რევაზ კვერენჩხილაძე

საქართველოს მწერალთა კავშირი

1917-1982

გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 1983

8Г3
833 Гр7
8(47-922) (062)
ბ 452

რევაზ კვერენჩხილაძის ამ ნაშრომში ვრცლად და დაწვრილებითაა მოთხრობილი საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორია მისი დაარსებიდან (1917) დღევანდლამდე (1982).

აქ მკითხველი საფუძვლიანად გაეცნობა საქართველოს მწერალთა კავშირის (აგრეთვე 20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა) შექმნისა და რეორგანიზაცია-განვითარების ეტაპებს, მისი გამგეობის, პრეზიდიუმის, სამდივნოს საქმიანობას, მის ყველა ღონისძიებას (ყრილობები, პლენუმები, დისკუსიები, შემოქმედებითი საღამოები...), პუბლიცისტურ ორგანოებს, განყოფილებებს, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, შემოქმედებით სექციებს, მწერალთათვის ყველა ლიტერატურული პრემიისა თუ საპატიო წოდების მინიჭებას...

ყოველგვარი ცნობა, ინფორმაცია, თარიღთა სიზუსტე შემოწმებული და შედარებულია პირველ წყაროსთან.

ეს არის დაახლოებით სრული სურათი მწერალთა დიდი ოჯახის, მისი შინაარსიანი ცხოვრებისა და აქტიური საქმიანობისა თითქმის 65 წლის მანძილზე.

წიგნი დიდად შეუწყობს ხელს და დაეხმარება ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს. მას ინტერესით წაიკითხავს მასობრივი მკითხველიც.

I გამოცემა

რედაქტორი ნიკა აგიაშვილი

70303 — 118
ბ————————ბრძ № 399
М 604 (08) — 83

©გამომცემლობა „მერანი“ 1983 წ.

1917 წლამდე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც შედის სსრკ მწერალთა კავშირში, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი შემოქმედებითი ორგანიზაციაა და აერთიანებს პროფესიონალ მწერლებს.

დღეს მწერალთა კავშირს ამომწურავად ჩამოყალიბებული აქვს თავისი მიზნები — ხელი შეუწყოს მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნას, მწერალთა კოლექტიური შეხედულებების გამომუშავებას უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით პრობლემებზე დისკუსიებითა და შემოქმედებითი განხილვის სხვა ფორმებით, ცხოვრებასთან მწერლების კავშირის გაძლიერებას, მწერლებში პასუხისმგებლობის აღზრდას, პარტიულ-პრინციპულ კრიტიკას, ბურჟუაზიული შეხედულებების, დოგმატიზმისა და ვულგარიზატორობის წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალისტური რეალიზმის მაღალი პრინციპების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა შეგობრობის დაცვას, განმტკიცება-განვითარებას, ახალი ცვლის მომზადებას, ახალგაზრდა მწერლებისათვის უფრო თაობათა გამოცდილების გადაცემას.

მწერალთა კავშირის მიზანია ხელი შეუწყოს მოძმე სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურებთან და საზღვარგარეთის პროგრესულ მწერლებთან შემოქმედებითი კავშირის განვითარებას, მსოფლიოს ყველა ხალხის ლიტერატურებთან კონტაქტების გაფართოებას, საერთაშორისო საქმიანობაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მწერლების აქტიურად ჩაბმას.

მწერალთა კავშირი ზრუნავს მწერალთა საავტორო უფლებების დაცვისა და მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ასეთია საქართველოს მწერალთა კავშირი დღეს. მაგრამ სანამ დღევანდელ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა, მან განვითარების რთული გზა გაიარა.

* * *

მწერალთა ორგანიზაციის შექმნისათვის ზრუნვა საქართველოში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ წლებში დაიწყეს. 1908 წლის 3 სექტემბერს გაზეთმა „ამირანმა" (№ 148) საზოგადოებას ამცნო: დღემდე ჩვენს მწერლებს საკუთარი ოჯახი არ ჰქონდათ, ახლა კი სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება იქმნებაო, და დაბეჭდა 1908 წლის 5 ივლისს დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა.

წესდების მიხედვით, საზოგადოების სამოქმედო რაიონი იყო თბილისი და თბილისის გუბერნია.

უკვე აქედან ჩანს, რომ საზოგადოება არ მოიცავდა მთელ საქართველოს, ე. ი. ჩანასახშივე ნაკიანი იყო.

წესდება საზოგადოების მიზნად აცხადებდა: ა) ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების ხელშეწყობას; ბ) გაჭირვებული ქართველი მწერლებისათვის ქონებრივი დახმარების აღმოჩენას.

საზოგადოებას შეიძლებოდა ჰყოლოდა საპატიო, ნამდვილი და დამხმარე (დამწყები მწერლები) წევრები. საზოგადოების ქონება უნდა შეედგინა საწევრო გადასახადებს (წელიწადში ნამდვილი წევრისაგან 12 მან., დამხმარე წევრისაგან — 24 მან.), ლექციებიდან თუ სხვა ღონისძიებებიდან შემოსულ თანხასა და შემოწირულებებს.

საზოგადოების საქმეების გამგეობა ევალებოდა ა) საზოგადო კრებას, ბ) საბჭოს.

საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრებები (კითხვა-განხილვების მოსაწყობად) უნდა გამართულიყო თვეში ერთჯერ, წლიური (საანგარიშო) კრებები — წელიწადში ერთჯერ.

საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენციის გახსნის დღეს (28.9.) იმავე გაზეთ „ამირანში" (№ 169) იროდიონ ევდოშვილი პატარა წერილით მიესალმა საზოგადოების შექმნას — პირველ ნაბიჯს, გადადგმულს დაკნინებული ქართული მწერლობის აღსადგენად [1].

1908 წლის 28 სექტემბერს თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2) გაიმართა სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელიც გახსნა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთმა ინიციატორ-

---

[1] ოპტიმისტური ნოტები — ქართული მწერლობა აღორძინდებაო — იმ წელს გაისმა არჩილ ჯორჯაძის წერილშიც „ურწმუნო მწერლებს", გაზ. „ამირანი", 1908, № 153.

მა, პუბლიცისტმა, კრიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ რცხილაძემ[2]. მან მოკლე მოხსენებაში დაახასიათა საზოგადოების მიზანი და დანიშნულება, განსახილველი საქმეები.

კრებამ მიიღო ოცდაათამდე ნამდვილი წევრი, 3 წლით აირჩია საბჭო — შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი), იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი), კოტე (კონსტანტინე) მაყაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სვიმონ ყიფიანი და სარევიზიო კომისია — ალექსანდრე მირიანაშვილი, ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), დავით ნახუცრიშვილი.

საბჭოს საპატიო წევრად აირჩიეს აკაკი წერეთელი.

იმავე დღეს საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩიეს გრიგოლ რცხილაძე, მდივნად — სვიმონ ყიფიანი, ხაზინადრად — კოტე მაყაშვილი. სარევიზიო კომისიამ კი თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე მირიანაშვილი.

საზოგადოება შეუდგა მუშაობას, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ქართველ მწერალთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვაში.

შემდეგ საანგარიშო კრებაზე[3], რომელზეც მოხდა გადარჩევნები და რომელიც გრიგოლ რცხილაძის თავმჯდომარეობით 1911 წ. 22 მაისს გაიმართა საადგილმამულო ბანკის (ფრეილინას, ახლანდელი სულხან-საბას ქ. 11) შემფასებელი კომისიის დარბაზში, კრებამ განიხილა სარევიზიო კომისიის ანგარიში (საზოგადოებას შემოსავალი სულ 102 მანეთი ჰქონია, აქედან დახარჯულა 66 მან. 12 კაპ.) და დაადგინა: 1) თანამედროვე სიტყვაკაზმული მწერლობის კრებულისა და მე-19 საუკუნის მწერლების ნაწარმოებთა გამოცემა; 2) საწევრო გადასახადის შემცირება ნამდვილ წევრთათვის — 3 მანეთამდე (ან ერთდროული გადასახადი 25 მან.) დამხმარე წევრთათვის—5 მანეთამდე (ან ერთდროული გადასახადი 50 მან.).

კრებამ საზოგადოების ნამდვილ წევრებად აირჩია ნიკო კურდღელაშვილი (ნარ-კანი), დავით ლუკაშვილი და იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე).

---

[2] გაზ. „ამირანი", 1908, № 170; იპოლიტე ვართაგავას მოგონებების მე-2 ტომის (თბ., 1962) რედაქტორი გრიგოლ ნადარეიშვილი შენიშვნებში (გვ. 385) მიუთითებს მოგონებების ავტორის მიერ „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების" შექმნის თარიღად 1911—12 წლების მიჩნევის (გვ. 360) არასისწორეს. აქვე დაუმატებთ, რომ არაზუსტია იპოლიტე ვართაგავა, როდესაც ასახელებს ამ საზოგადოების გამგეობის წევრებს. არც არისტო ჭუმბაძე ყოფილა გამგეობის მდივანი საზოგადოების შექმნისას.

ასევე მცდარად 1911 წელია მიჩნეული „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების" შექმნის თარიღად ივანე ენიკოლოფოვის მიერ შედგენილ წიგნში — „დიდების პანთეონი" (რუსულ ენაზე, თბ., 1957, გვ. 189).

[3] „სახალხო გაზეთი", 1911, № 309.

ახალ გამგეობაში შევიდნენ: შიო არაგვისპირელი, იპოლიტე ვართაგავა, კოტე მაყაშვილი, გრიგოლ რცხილაძე და ია ეკალაძე.

გამგეობის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს სერგო გორგაძე, დავით ლუკაშვილი და ნინო ნაკაშიძე.

გამგეობის თავმჯდომარედ ისევ გრიგოლ რცხილაძე იქნა არჩეული.

სარევიზიო კომისიაშიც კვლავ ძველი წევრები შევიდნენ (ილია ზურაბიშვილი, ალექსი მირიანაშვილი, დავით ნახუცრიშვილი).

მოწინავე თანამემამულენი იმედით შესცქეროდნენ ამ საზოგადოებას. 1911 წლის დასაწყისში, როდესაც საზოგადოებას ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდა გაკეთებული, გარდა ქართველ მწერალთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვისა, გაზეთი „თემი" (10.1. № 614) წერდა: „ქ. თფილისში შესდგა ქართველ მწერლების წრე, რომელსაც დაუსახავს მიზნათ დროგამოშვებით გამოსცეს კრებული სხვადასხვა ნაწარმოებისა, როგორც ბელეტრისტული, ისე პუბლიცისტურისა, რომ ამ საშუალებით მაინც შეავსოს ის ნაკლი, რომელიც მოაქვს ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ყოველ თვიური ჟურნალის უქონლობას. ვუსურვებთ ამ აზრს ყოველსავე წარმატებას".

ამ წარმატებას ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამ რამდენადმე მართლაც მიაღწია მომდევნო 1912 წლიდან, როდესაც დაიწყო გამოცემა ქართველ მწერალთა თხზულებებისა (1912 წელს — ბესიკის, 1914 წელს — იოსებ გრიშაშვილის კრებულები) და სალიტერატურო კრებულ „გრდემლისა" (რედაქტორი გრიგოლ რცხილაძე, გამოვიდა სამი წიგნი I და II — 1912 წ., III — 1916 წ.).

საზოგადოების გამგეობაცა და კრებულის რედაქციაც მოთავსებული იყო გრიგოლ რცხილაძის ბინაში — ოლღას (ახლანდელი ლენინის) ქ. № 32.

ამ საზოგადოების მესამე გადარჩევნები მოხდა 1916 წლის 28 თებერვალს [4]. საანგარიშო კრებამ, რომელიც გრიგოლ რცხილაძის თავმჯდომარეობით სამეურნეო ბანკის (სასახლის ქ. № 6) შენობაში გაიმართა, პატივი სცა აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ნიკო ლომოურის ხსოვნას.

სხდომის დასაწყისშივე მიიღეს ახალი წევრები (22 კაცი).

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი

---

[4] გაზ. „საქართველო", 1916, № 47; გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916, №№ 515, 516.

1911—1915 წლებში საზოგადოების მოქმედების ანგარიშის, აგრეთვე, სხვა საკითხების განხილვის შემდეგ (კამათში მონაწილეობდნენ სერგო გორგაძე, იპოლიტე ვართაგავა, ილია ზურაბიშვილი, ნინო ნაკაშიძე, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, არისტო ჭუმბაძე) კრებამ სასურველად სცნო 1) სალიტერატურო ფონდის დაარსება (საბჭოს დაევალა წესდების შემუშავება); 2) მუდმივი საქმისმწარმოებლის მოწვევა და მუდმივი ბინის (ერთი ოთახის) შოვნისთვის ზრუნვა; 3) არ ეზღვევინებინათ წ. კ. გ. საზოგადოებისათვის ღირებულება იოსებ გრიშაშვილის წიგნებისა, რომლებიც ცეცხლმა გაანადგურა; 4) საზოგადოების თანხების სარგებლიან ქაღალდებად ქცევა და მათი ბანკში შენახვა; 5) გარდა დიდი წიგნებისა, პატარა წიგნაკების გამოცემა; 6) შემომწირველებისათვის მადლობის გამოცხადება.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: სერგი გორგაძე, შიო არაგვისპირელი, იპოლიტე ვართაგავა, კოტე მაყაშვილი და გრიგოლ რცხილაძე. კანდიდატებად — დავით კასრაძე, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი. პრესაში არ ჩანს გამგეობაში ფუნქციების განაწილება, კერძოდ, ვინ იყო არჩეული თავმჯდომარის მოადგილის ახალშემოღებულ თანამდებობაზე.

ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებაში წარმომადგენლებად წამოაყენეს ილია ზურაბიშვილი, კოტე მაყაშვილი და გრიგოლ რცხილაძე.

გარდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებისა, არსებობდა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც აწყობდა ლექცია-მოხსენებებს, მწერალთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვას. იყო აგრეთვე ქართული ნაწარმოებების რუსულად მთარგმნელთა საზოგადოება ბაქოში [5].

როგორც ვთქვით, საზოგადოებრიობა იმედით შესცქეროდა ამ წამოწყებას. თვით მწერლები კი მწვავედ გრძნობდნენ თავიანთ პროფესიულ საქმეებზე სათათბიროდ შეკრების საჭიროებას. ერთ-ერთი მათგანი 1912 წელს გაზეთ „თემში“ (№ 69) დაბეჭდილ წერილში — „ქართველ მწერალთა საყურადღებოდ“ წუხდა: მწერლობაში შტამპი გამეფდა, საჭიროა განხილვების მოწყობა. ამჟამად კარგ განსახილველ (წერილში — „სარჩევ“) ორგანოდ თვითონ მწერალთა კრება მიმაჩნია, სადაც სხვადასხვა სამწერლო საკითხი იქნება განხილულიო.

---

[5] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 470; „სახალხო გაზეთი“, 1913, № 873 და საერთოდ იმდროინდელი პრესა.

მწერლობის პროფესიული საკითხების მოსაგვარებლად, მთელი საქართველოს მწერლების ერთ ოჯახად შესაკავშირებლად მომზადებული და მოხერხებული, კომპეტენტური და ავტორიტეტიანი ვერ აღმოჩნდა სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება.

1917 და შემდეგი წლები

საჭირო იყო მწერალთა შეკავშირება — გაერთიანება სხვა პრინციპების საფუძველზე. და აი, 1917 წელს, გადაწყდა „ქართველ მწერალთა კავშირის" შექმნა [6].

როდესაც ხმა გავრცელდა, მწერალთა კავშირის შექმნას აპირებენო, სამწერლო საზოგადოებრიობას იმედი ჩაესახა — ქართული მწერლობის აღორძინებას ხელი შეეწყობაო.

კონფერენციის გახსნის დღისათვის (7.10) გაზეთ „საქართველოში" (№ 220) დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის პატარა წერილი „ქართველ მწერალთა კონფერენცია", რომელშიც პოეტი ამბობდა: „ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი მწერლები ერთად იკრიბებიან თავიანთ საპროფესიო საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად; უწინ ამის არც მოთხოვნილება იყო და არც შესაძლებლობა, ორმაგი ცენზურის ქვეშ, მწერლობა თავის პირდაპირ მოვალეობას ივიწყებდა და ცენზურასთან ბრძოლა თითქმის მიზნად აქცია, რაც ხელს უწყობდა მწერლობის დაცემას".

მწერლობის დაკნინებაზე წუხილი სერგო კლდიაშვილის წერილშიც („მიძინებული პარნასი" — გაზ. „ალიონი", 1917, № 47) გაისმა: „ხელოვნებას ჩვენში ტკბილი ძილით სძინავს... მეტ ბარგად მიაჩნიათ ხელოვნების ყველა დარგი და ხელოვანის პატივისცემაზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია".

მაგრამ ამ მწარე სიტყვებში მაინც იმედი გამოსჭვირდა. ასეთ იმედს სხვებიც გამოთქვამდნენ: „ასეთ უნუგეშო დროს დიდის აღფრთოვანებით მოველოდით ქართველ მწერალთა კონფერენციას" (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", მოწინავე, 1917, № 40).

აქვე უნდა ითქვას, მწერალთა კავშირის შექმნამდეც ნათელი ვახდა, რომ ეს კავშირი ვერ იქნებოდა მთელი ქართველი მწერლების შემაკავშირებელი.

საქმე ეხებოდა არა იმდენად განკერძოებულობას ცისფერყანწელებისა, რომლებიც მაშინ დამოუკიდებელ ლიტერატურულ დაჯგუფებად იყვნენ ჩამოყალიბებულნი და უპირისპირდებოდნენ და-

---

[6] ზოგჯერ არაზუსტად ასახელებენ „ქართველ მწერალთა კავშირის" შექმნის წელს. მაგ., წიგნში „დიდების პანთეონი" (რუსულ ენაზე), თბ., 1957, გვ. 136.

ნარჩენ მწერლებს. ამ დროისათვის ასპარეზზე გამოდიოდნენ პროლეტარული მწერლები. ისინი კი ასეთი აზრისანი იყვნენ მწერალთა კავშირზე: „დაუშვებელია მუშათა მწერლების ბურჟუაზიულ და მოდერნისტულ-დეკადენტურ მწერლებთან თანამშრომლობა“.. (ივ. ჭ-ძე, „ხელოვან მწერალთა საყურადღებოდ“, გაზ. „ერთობა“, 1917. № 69). ასეთივე აზრი იყო გამოთქმული ს. ქიშვარდიშვილის (ეული) წერილში „ესეც კონფერენცია!“ (გაზ. „ერთობა“, 1917, № 169) — ვისაც მწერლობა გაჭირვებულის დამცველად მიაჩნია, ისინი ვერ დაესწრებიან კონფერენციას. ვინც ესწრება — ფუქსავატები არიანო.

მაგრამ ასეა თუ ისე კონფერენცია ჩატარდა და „ქართველ მწერალთა კავშირი“ შეიქმნა.

„ქართველ მწერალთა კავშირის“ დამფუძნებელი კონფერენცია[7] მოამზადა და ჩაატარა „ქართველ ხელოვან მწერალთა“ კონფერენციის მომწვევმა კომისიამ (ბიურომ), რომელშიც შედიოდნენ: კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე), კონსტანტინე გამსახურდია — აბაშისპირელი (კომისიის მდივანი), შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, ვარლამ რუხაძე და ლეო ქიაჩელი (ლეონ შენგელაია).

კონფერენცია ჩატარდა 1917 წლის 7-15 ოქტომბერს (ძვ. სტილით)[8]. თუმცა 7 ოქტომბერს, როგორც პრესა იუწყებოდა. მხოლოდ კერძო, წინასწარი თათბირი ჰქონდათ მწერლებს. ამ დახურულ სხდომაზე შეიმუშავეს დღის წესრიგი და საორგანიზაციო კომისიის წინადადებით კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია), მელანია (ნიკოლოზ ნათიძე) და ნიკო ნიკოლაძე.

კვირას, 8 (21) ოქტომბერს, ქართული კლუბის დარბაზში (სასახლის ქუჩაზე, შემდგომში — ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრი) კოტე მაყაშვილმა გახსნა ქართველ მწერალთა პირველი კონფერენცია (მუშაობდა დილის 11-დან 5 საათამდე).

---

[7] პრესა (გაზ. „ალიონი“, 1917, № 42; გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, №№ 78, 79 და სხვ.) და თვით მწერლები ხან კონფერენციას უწოდებდნენ, ხან — ყრილობას. ჩვენ „კონფერენცია“ ვარჩიეთ, რათა არ აირიოს მწერალთა შემდგომ ყრილობებში.

[8] გაზ. „ალიონი“, 1917, №№ 49, 50, 53; გაზ. „საქართველო“, 1917, № 228; მაგრამ გაზეთები „ერთობა“ (1917, № 170) და „ეროზროედენიე“ (1917, № 152) წერდნენ, კონფერენციამ მუშაობა 13 ოქტომბერს დაამთავრაო.

კონფერენციის მასალები იხ. აგრეთვე გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, №№ 24, 71, 72, 75, 78, 79, 86, 91; გაზ. „საქართველო“, 1917, №№ 216, 221, 222, 224, 227; გაზ. „ეროზროედენიე“, 1917, №№ 149, 152.

კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კოტე მაყაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებად — შალვა დადიანი და პეტრე ქაეთარაძე, მდივნებად — ლევან მეტრეველი და დავით ლიხელი (სულიაშვილი).

კონფერენციას უნდა განეხილა შემდეგი საკითხები: 1) მისალმებანი, 2) მოხსენებები, 3) სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების ანგარიში, 4) მწერალთა კავშირის დაარსება, 5) არჩევნები მუდმივ ორგანოთა წევრებისა.

შესავალ სიტყვაში კოტე მაყაშვილმა ილაპარაკა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, ლიტერატურის დანიშნულებასა და მწერალთა ერთ ოჯახად შეკავშირებაზე: „ვერიდნეთ დანაწილების, დაქსაქსვის შხამს! ნუ შევუშინდებით ჩვენში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა სხვადასხვაობას! ჩვენ ყველანი ძიების ხანაში ვართ. ვეძებთ ჭეშმარიტების და მშვენიერების მწვერვალებს. მიზანი ერთი გვაქვს, მხოლოდ მივდივართ საძებრად სხვადასხვა გზით. ეს მიზანი გვაერთებს ჩვენ“ [9].

დუტუ მეგრელის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს, გაზ. „საქართველოს“ სიტყვებით რომ ვთქვათ, „მიცვალებულ მწერლებს ბარათაშვილიდან დაწყებული ვაჟა-ფშაველამდი და აგრეთვე „გამორჩენილ“ უსახელო მწერლებს, რომელთაც ვერ დააჩინეს კვალი მწერლობას“ [10].

ცხარე კამათი გამოიწვია სხვადასხვა მწერლების, პოლიტიკური მოღვაწეებისა თუ ორგანიზაციებისათვის მისალმებათა გაგზავნის საკითხის განხილვამ, რაც მწვავედ გაგრძელდა პრესაში [11].

შემდეგ სხდომაზე (რომელიც ორშაბათს, საღამოს 8 საათიდან თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში გაიმართა) მოხსენება მწერალთა კავშირის დაარსების გამო გააკეთა შალვა დადიანმა. კონფერენციამ მუხლობრივ განიხილა და ცოტაოდენი ცვლილებებით მიიღო შალვა დადიანის მიერ შემუშავებული და საორგანიზა-

---

[9] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი (სსლმ), 5743-ხ.

[10] გაზ. „საქართველო“, 1917, № 224; გაზ. „ალიონის“ მიხედვით (1917, № 49), „პირველი სიტყვა აიღო დუტუ მეგრელმა და საზოგადოებას მოუწოდა ფეხზე. ადგომით პატივი ეცათ მეცხრამეტე საუკუნეში გარდაცელილ მწერალთათვის“.

ამ ფორმულირებამ კამათი გამოიწვია პრესაში: რუსთაველი დაავიწყდათ, მე-20 ს-ში გარდაცელილნიც არ გაიხსენესო.

[11] იხ. სამსონ ფირცხალავას წერილი „ხელოვანთა პოლიტიკა“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, № 77), კონსტანტინე გამსახურდიას „მწერლის დღიური“ (იქვე), ლევან მეტრეველის „მწერალთა ყრილობა“ (იქვე, № 79), „მწერალთა კონფერენცია“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1917, № 40. თაგუნა (შალვა შარაშიძე), „ჩვენი პარნასი“, გაზ. „ალიონი“, 1917, № 49.

ციო ბიუროში წინასწარ ნამსჯელევი წესდება. კერძოდ, კამაოი გამოიწვია სიტყვებმა „ხელოვანმა“ (სიტყვათა შეკავშირებაში „ხელოვან მწერალთა“) და „საზოგადოებამ“ („საზოგადოება“ თუ „კავშირი“). ბოლოს ორგანიზაციას ეწოდა „ქართველ მწერალთა კავშირი“.

მწერალთა კავშირის წესდება, რომელსაც ხელს აწერენ კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, დავით კოპალი (კოპალეიშვილი), ლევან (ლელი) ჯაფარიძე, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე... რეგისტრირებულია ნოტარიუსთან 1919 წლის 20 ივნისს [12].

როგორც დღისწესრიგიდან დავინახეთ, კონფერენციას უნდა მოესმინა სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების ანგარიში [13]. ეს საზოგადოება ბევრს არ აკმაყოფილებდა და, ჩანს, თავიდან იყო ნაგულისხმევი, რომ იგი შეუერთდებოდა ახლადშექმნილ მწერალთა კავშირს.

მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ამ საზოგადოების მესვეურნი. ან, შესაძლებელია, მათ დაარღვიეს წინასწარი შეთანხმება შეერთების თაობაზე. ასეა თუ ისე, იმდროინდელი პრესის მიხედვით, „წესდების დამტკიცების შემდეგ გრ. რცხილაძე და სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების გამგეობის წევრნი აცხადებენ, რომ მათ არავითარი სურვილი არ აქვთ თავისი საზოგადოების გაუქმებისა და წინადადებას აძლევენ კონფერენციას მთელის შემადგენლობით ჩაეწერონ სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებაში. ეს განცხადება თითქმის ყველა დამსწრეთათვის მოულოდნელი იყო და კრებაში ატყდა დიდი აურზაური“ [14].

კონფერენციაზე ამ საზოგადოების შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ზოგი ამბობდა, საზოგადოებას არაფერი გაუკეთებია, ლიკვიდირებულ უნდა იქნას და მისი ქონება მწერალთა კავშირს გადაეცესო (გიორგი ქუჩიშვილი, სეზმან ერთაწმინდელი). ნაწილს უმართებულოდ მიაჩნდა სხვა საზოგადოების ლიკვიდაციის მოთხოვნა (სამსონ დადიანი, იპოლიტე ვართაგავა, ილია ზურაბიშვილი, აკაკი პაპავა, არისტო ჭუმბაძე).

ასეა თუ ისე კონფერენციამ მომავალ საბჭოს დაავალა — ეზრუნა, რომ ეს საზოგადოება შემოეერთებინა მწერალთა კავშირისათვის

---

[12] საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ლხცსა), ფონდი 8 (საქართველოს მწერალთა კავშირი), აღწერილობა I, საქმე I, ფურცელი 1—4 (8—1—1 — ფურც. 1—4).

[13] გ ი ო ბ ო ლ რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ანგარიში და მოკვლევა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებისა 1916 წლის 1-ლ იანვრიდან 1917 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, სსლმ, 5793-ხ.

[14] გაზ. „საქართველო“, 1917, № 227.

და ეს ასეც მოხდა, რაც ჩანს მწერალთა მე-2 კონფერენციის (1920) მასალებიდან.

დამფუძნებელმა კონფერენციამ შესაძლებლად და საჭიროდ სცნო ისეთი ჟურნალის გამოცემა, სადაც დაიბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები და თავს მოიყრიდნენ ყველა მიმდინარეობის მწერლები.

პაოლო იაშვილმა წამოაყენა წინადადება რუსთაველის ძეგლის აგებისა და ქართული ხელოვნების სადღესასწაულოდ ერთი დღის გამოყოფისათვის.

კონფერენციამ მომავალ საბჭოს დაავალა ეშუამდგომლა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა გოლოვინის პროსპექტს დარქმეოდა რუსთაველის სახელი (კონსტანტინე გამსახურდიას წინადადება), პეტროგრადიდან გადმოსვენებულიყო პოეტ გრიშა აბაშიძის (სამსონ დადიანის წინადადება), ხოლო რუმინეთიდან ბესიკის (ტიციან ტაბიძის წინადადება) ნეშტი.

კონფერენციამ აგრეთვე დაადგინა: მიენდოს მომავალ საბჭოს იზრუნოს, რათა „შოთას საზოგადოება" შემოუერთოს ჩვენს კავშირსო [15].

კონფერენციამ მისალმებები გაუგზავნა ავადმყოფ კრიტიკოსს კიტა აბაშიძეს, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე მთარგმნელს კონსტანტინე ბალმონტს, ქართველი ხალხისა და მისი მწერლობის მეგობრებს ოლივერ უორდროპს და არტურ ლაისტს, მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხსა და კათალიკოსს, სრულიად სა-

---

[15] 1913 წ. 8 აპრილს (№ 118) გაზ. „თემში" დაიბეჭდა წერილი „რუსთაველის საზოგადოება", რომელშიც ნათქვამი იყო: „... ალ. ყანჩელის თაოსნობით არსდება ყველა ქართველისათვის ყოვლად საყურადღებო საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება ჩვენი ლიტერატურის მაცისკროვნებელი გენიოსის ყოველმხრივ შესწავლა.

წესდება უკვე შემუშავებულია".

იმავე გაზეთში 15 აპრილს (№ 119) დაიბეჭდა შოთას პორტრეტი და სარედაქციო წერილი, ეს საზოგადოება არსდებაო. იქვე, ახალ ამბებში, ვკითხულობთ: „ამ დღეებში მთავრობას წარედგინა წესდება ახალი საზოგადოებისა, რომელსაც სახელად აქვს „ქართველ პოეტის შოთა რუსთაველის საზოგადოება". მიზნად დასახული აქვს 1) შესწავლა შოთას ცხოვრებისა და მისი ნაწარმოებისა. 2) ხელის შეწყობა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლისა და განვითარების საქმეში. 3) შეკრება და შესწავლა ქართულ ზეპირსიტყვაობისა. საზოგადოების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ძეგლის აგება როგორც შ. რუსთაველისთვის, ისე სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებისა და ხელოვანთათვის. საზოგადოების საქმეებს განაგებს საბჭო, თვით საზოგადოებას შეადგენენ 1) წევრნი — დამფუძნებელნი 2) წევრნი საპატიონი 3) წევრნი ნამდვილნი 4) წევრნი დამხმარენი 5) წევრნი კორესპონდენტნი".

ქართველოს პატრიარქს კირიონს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი არჩევის გამო.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს ათი წევრი: კონსტანტინე გამსახურდია, სამსონ დადიანი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, დავით სულიაშვილი, კოტე მაყაშვილი, აკაკი პაპავა, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი.

კონფერენციის დახურვის პატივი წილად ხვდა ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს, რომელმაც ქართველ მწერლებს მოუწოდა გაერთიანებისაკენ.

საბჭომ თავის სხდომაზე, კვირას — 22 ოქტომბერს, თავმჯდომარედ აირჩია პოეტი კოტე მაყაშვილი [16].

ამიერიდან 1926 წლის თებერვლამდე, კოტე მაყაშვილი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. ფიზიკური და სულიერი მომხიბველობით აღსავსე, ეს ადამიანი მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილებით, სიდარბაისლით, ცოდნითა და გულისხმიერებით უანგაროდ იღვწოდა, დროსა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა შეეკავშირებინა ქართველი მწერლები.

საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნაში, მწერლობის განვითარებისათვის აუცილებელი ბეჭდვითი ორგანოების დაარსებასა და სოლიდურ სიმაღლეზე აყვანაში კოტე მაყაშვილთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვით პაოლო იაშვილს, პავლე ინგოროყვას, ტიციან ტაბიძეს, ლეო ქიაჩელს.

თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს (1917—1920) ქართველ მწერალთა კავშირის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და მისი წესდების შემდგენელი შალვა დადიანი, მოლარედ — დავით სულიაშვილი, ჟურნალის სარედაქციო კომისიაში — აკაკი პაპავა და ლეო ქიაჩელი. მდივნად მიწვეულ იქნა იოსებ გრიშაშვილი (მამულაიშვილი).

სარევიზიო კომისიაში შეიდნენ არტემ ახნაზაროვი, გიორგი მუმლაძე და ლევან მეტრეველი [17].

---

[16] გაზ. „სახალხო საქმე", 1917, № 86, გაზ. „საქართველო", 1917, № 234.

[17] ი პ ო ლ ი ტ ე ვ ა რ თ ა გ ა ვ ა ხსენებული მოგონებების მე-2 ტომში საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებშიც უშვებს უზუსტობებს, როდესაც:

1. ორგანიზაციასა და მის ხელმძღვანელ ორგანოს უწოდებს „საქართველოს მწერალთა საზოგადოებას და მის კომიტეტს" (გვ. 359);

2. ამ „საზოგადოების" დაარსების დროდ მიიჩნევს 1919—1920 წლებს (გვ. 359, თუმცა იქვე შენიშნავს, თარიღი ზუსტად არ მახსოვს);

3. ყრილობის ჩატარების ადგილად ასახელებს ბანკის შენობას მაშინდელი სასახლის ქუჩაზე (გვ. 360);

სამწერლო საზოგადოებრიობა წუხდა, რომ „ქართველ მწერალს არა აქვს ბინა, სადაც შეეძლოს ჰპოვოს მოძმე და გაუზიაროს თავისი ოცნება, ურვა და სიხარული“ [18], ამიტომ მწერალთა საბჭოს სხდომები ხან სად იმართებოდა, ხან — სად. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე, რომელიც 1919 წლის 16 ივნისს ჩატარდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობაში (ბანკის ახალი შენობა — ლორის-მელიქოვის, ახლანდელი კეცხოველის, ქუჩაზე), მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. მემორანდუმი მთავრობისადმი მწერალთა ფონდის დაარსებისათვის, 2. რესტორან „ანონაში“ მხატვრული კლუბის გახსნა, 3. ევროპაში მწერლების გაგზავნა [19].

1919 წელს ქართველ მწერალთა კავშირმა ქალაქის გამგეობისაგან შეიძინა რესტორანი „ანონა“ რუსთაველის პრ. № 21, არტისტული საზოგადოების თეატრში (ახლანდელი რუსთაველის თეატრის ქვემოთა საგარდერობო). მოაწყო იქ კაფე-რესტორანი, კლუბი და უწოდა „ქიმერიონი“ [20].

საიდან აიღეს ეს სახელწოდება?

ამის თაობაზე აი რას გვეუბნება ტიციან ტაბიძე წერილში „ქიმერიონი“: „მწერალთა კავშირის საბჭომ ათი სხდომა მოანდომა, რომ კაფესათვის დაერქმია სახელი. იყო აუარებელი წინადადება ყველა პოეტის, მაგრამ შერიგება არ მოხდა.

უკანასკნელი კრება შედგა „ნაკადულის“ რედაქციაში. მწერალთა კავშირს მაშინ არ ჰქონდა თავისი ბინა. „ცისფერი ყანწელი“ პოეტები გაჩერდნენ „ქიმერაზე“. იყო წინადადება „ქიმერეთის“—პაოლო იაშვილი, „ქიმერია“—ტიციან ტაბიძე. გაიმარჯვა წინადადებამ: „ქიმერიონი“—სიტყვა აღებულია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსიდან [21].

„ქიმერიონის“ ოთახები ფრესკული პრინციპით მოახატვინეს ქართველ და რუს მხატვრებს. კერძოდ, კაფეში ჩასასვლელის მარცხენა მხარე მოხატა მაშინ საქართველოში მცხოვრებმა რუსმა მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა (მისი ნახატების თემა იყო „ქართველი პოეტები“, აგრეთვე ეპიზოდები ძველი თბილისის ცხოვრებიდან და

---

4. ნოშხსენებლად ასახელებს არჩილ ჯაჯანაშვილს (გვ. 361), მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ კი — თავის თავს (გვ. 362) და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იპოლიტე ვართაგავა არაზუსტია, როდესაც ამბობს (გვ. 368—373) კომერსანტ აკაკი ხოშტარიას სახლი მწერალთა კავშირს მეშვიდეკური მთავრობის დროს გადაეცა.

[18] გაზ. „ალიონი“, 1917, № 12.

[19] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, № 550.

[20] გაზ. „საქართველო“, 1920, № 46; გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 236; გაზ. „ბახტრიონი“, 1922, № 4.

[21] გაზ. „ბარიკადი“, 1922, № 5.

თავისი ავტოპორტრეტი). უფრო დაწვრილებით კვლავ მოვუსმინოთ ტიციან ტაბიძეს:

„პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ მიმართეს ს. სუდეიკინს დაეხატა დეკორაცია „ქიმერიონისა“.

ს. სუდეიკინი, ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე შეუდგნენ „ქიმერიონის“ მოხატვას.

პირველი კედელი დაიწყო სუდეიკინმა.

შესავალ კარებთან რომის კეისრის წამოსასხამში დგას პოეტი, მისი მეორე სახე იხედება ალაყაფის კარის საკმელში, მის წინ დგანან ქალები: განსაკუთრებით ყველაში უფრო გამოირჩევა ერთი ქალი მარგო, ნამდვილი პროტოტიპი ფრანსუა ვიიონის კაბატჩიცა მარგოსი. ესპანური ქუდით და წამოსასხამით, ყანწებით ხელში დახატულია პაოლო იაშვილი, თავს ახვევია მტრედები და სახე უბრწყინავს, როგორც ილია წინასწარმეტყველს... ფონი — ცისფერი მტრედები ცისფერ ყანწებში აღნიშნავენ მის გულკეთილობას.

შემდეგ სუდეიკინის ავტოპორტრეტი, ხელში უჭირავს სარკე, რომელშიც იყურება ამური, და როგორც მადონა — დგას ვერა არტუროვნა [22]. ეს არის ახალი მისტერია. ეს სახეები გადაღებულია ორიგინალიდან, შემდეგ ხეზე — რომელიც აღნიშნავს ხეს ცნობადისას — მიყუდებული დგას ტიციან ტაბიძე პიეროს წამოსასხამში, ქვევით ტრაგიკული ბალაგანი, არლანი, თუთიყუში — ფონი მეწამული ქალდეასი, შემდეგ, როგორც საიდუმლო სერობა, ნინა მაყაშვილი კოლომბინას კოსტიუმში ნილაბით; და კიდევ ქართული სამება მხატვრების: ლადო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე:

შემდეგ სუდეიკინი ჩავიდა მთავარ დარბაზში. ალბათ, მთელ ქვეყანაზე არ არის კაფე, რომელიც იტევდეს ამდენ შთაგონებას და შემოქმედებას, როგორც „ქიმერიონი“.

ბევრი დიდი მარკის მხატვარი ყოფილა აღტაცებული ამ ახალი ბაირეიტით“ [23].

„ქიმერიონის“ ჩასასვლელის მარჯვენა მხარეზე ლადო გუდიაშვილმა დახატა „სტეპკოს დუქანი“ და „დარაჯი მელა“, დარბაზის შიდა კედლები დაამშვენა დავით კაკაბაძემ (თემა „გაზაფხული“), დანარჩენი კედლები — კირილე ზდანევიჩმა და პოლონელმა მხატვარმა ზიგმუნდ ვალიშევსკიმ.

შემოსავლის გაჩენის მიზნით ქართველ მწერალთა კავშირმა ილო მაჩაბელს 2 წლით იჯარით მისცა კაფე-რესტორანი „ქიმერიონი“ [24],

---

[22] ვერა არტუროვნა ლური-სუდეიკინისა.

[23] გაზ. „ბარიკადი“, 1922, № 5.

[24] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 718.

შენობის ერთი ნაწილი კი (მეორე ოთახი, რომელიც მოხატეს მამაშვილმა მოსე და ირაკლი თოიძეებმა) თავის გამგებლობაში დაიტოვა, როგორც კლუბი.

და აი 1919 წლის 27 დეკემბერს, შაბათ დღეს „ქიმერიონში" მეგობრულ წრეში გაიმართა ქართველ მწერალთა პირველი საღამო, ხოლო კვირას, 28 დეკემბერს, კაფე-რესტორანი საზეიმოდ გაიხსნა საზოგადოებისათვის. სტუმრებს (მათ შორის იყვნენ მწერლები, მხატვრები, გაზეთების რედაქტორები, უცხოელები — მაგალითად, ოლივერ უორდროპი) გაუმართეს დიდი ბანკეტი, რომელზეც სხვათა შორის შეისვა იუბილარი მსახიობის ნუცა ჩხეიძის, მხატვარ სერგეი სუდეიკინისა და მწერალ ოვანეს თუმანიანის სადღეგრძელოები [25].

როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი იგონებს კაფე „ქიმერიონში" ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები, მწერლები კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. შემდეგ გამოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. საერთოდ, ეს კაფე ძალიან თვალწარმტაცი სანახავი იყო, შადრევნების ირგვლივ, მაგიდებს შორის, თავისუფლად დასეირნობდნენ შვლები და ხანდახან სუფრაზე მიტანილ მწვანილსაც წასწვდებოდნენ ხოლმე [26]".

დიდი მსჯელობა გამოიწვია „ქიმერიონის" საკითხმა ქართველ მწერალთა მეორე კონფერენციაზე, რომელიც 1920 წლის 4 აპრილს, კვირას, დღის 1-ლ საათზე ქართული კლუბის დარბაზში გახსნა ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა. (მეორე სხდომა — 5 აპრილს საღ. 7 საათზე „ქიმერიონში", მესამე — 6 აპრილს ქალაქის საბჭოში) [27].

სამწერლო საზოგადოებრიობამ კონფერენციის წინ სცადა მწერლური საქმიანობის შეჯამება: 1920 წ. გაზეთ „სახალხო საქმეში" (№ 719, 724—25, 727, 729—30, 733, 743—44) აკაკი პაპავამ მიმოიხილა („ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე") 1919 წლის პოეზია, სამსონ ფირცხალავა კი წუხდა („კაზმული მწერლობისათვის", იქვე, № 754): „ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარეშე დავტოვეთ ის, რამაც გვასახელა, რაშიც

---

[25] გაზ. „სლოვო", 1919, № 113; გაზ. „ეოზროჟდენიე", 1919, № 58; ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1920, № 1.

[26] ლადო გუდიაშვილი, მოგონების წიგნი, თბ., 1979, გვ. 14.

[27] გაზ. „სახალხო საქმე", 1920, № 765, 787, 796—798, 802; გაზ. „საქართველო", 1920, № 73, 75; გაზ. „გრუზია", 1920, № 7; გაზ. „სლოვო", 1920, № 88.

ჩვენი სული ჰპოულობდა საუკეთესო გამოხატულებას, რაც ყოველთვის მტკიცე ბურჯი იყო ჩვენი ეროვნებისა".

პოეზიას ასე თუ ისე ეტყობა აღორძინება, პროზა კი სულ აღარ არისო. „აღარსად სჩანს მემკვიდრეები ჭავჭავაძის, ყაზბეგის, წერეთლის, არაგვისპირელის, კლდიაშვილის, ბარნოვის! ქიაჩელი, ჭუმბურიძე-პაპავა, ჯორჯიკია, ლორთქიფანიძე მთლად გაუჩინარდნენ, გაჩუმდნენ, ათასში ერთხელ თუ წააწყდებით გაზეთის ფელეტონში პატარა ესკიზს, ამბავს, აჩქარებულად დაწერილს. ცალკე კაბმული პროზის ხომ არც ერთი წიგნაკიც არ დაბეჭდილა ამდენ წელიწადს!"

კონფერენციის (ყრილობის) გახსნამდე ათი დღით ადრე გაზეთ „ერთობაში" (1920. 23.3. № 66) გამოქვეყნდა ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს განცხადება და სია იმ მწერლებისა. (165 კაცი, კავშირის წევრებიცა და არაწევრებიც), რომლებსაც საბჭო იწვევდა კონფერენციაზე. ცოტა ხნის შემდეგ იმავე გაზეთში (№ 71) გამოქვეყნდა დამატებითი სია 16 მწერლისა.

კონფერენცია, როგორც ვთქვით, გაიხსნა 4 აპრილს.

კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკო ნიკოლაძე, თავმჯდომარის ამხანაგებად — ივანე გომართელი და პეტრე მირიანაშვილი.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ივანე გომართელი (ნიკო ნიკოლაძე ამ სხდომას ვერ დაესწრო).

პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს პირველ კონფერენციაზე არჩეულმა საპატიო თავმჯდომარეებმა შიო არაგვისპირელმა, ვასილ ბარნოვმა, დავით კლდიაშვილმა და დუტუ მეგრელმა.

ამ კონფერენციაზე ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა [28], რომ მწერალთა საბჭომ ბევრი ვერაფერი გააკეთა, რადგან მძიმე წლები იყო. უსახსრობის გამო ვერ დააარსა ბეჭდვითი ორგანო.

იმის გამო, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა ვერ შეძლო ბეჭდვითი ორგანოს დაარსება, მწერლები ყოველ შემთხვევას იყენებდნენ ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებდა („წინასიტყვაობის მაგიერ") ერთ-ერთი ასეთი გამოცემის — ჟურნალ „შვიდი მნათობის" (ამიერკავკასიის კოოპერატორთა კავშირის გამოცემა) სარედაქციო კოლეგია № 1-ში (1919 წლის აპრილი):

„რომ ჩვენი ქვეყნისთვის ვრცელი და ფართო შინაარსიანი პერიოდული ორგანო საჭიროა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

---

[28] მწერალთა კავშირის საბჭოს მოხსენება 1918/1919 წლის განმავლობაში მოქმედების შესახებ, სსლმ, 5744-ხ.

მეორე მხრით, ვინ არ იცის, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს დიდი ჟურნალის გამოცემა საზოგადოთ და ჩვენს დროში კი განსაკუთრებით.

ამ დარგში მრავალმა ცდამ, რომლებმაც ჩვენ თვალწინ გაიარა, დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ ძლიერ საზოგადოებრივ დაწესებულებას შეეძლო ეკისრა ამ საჭირო, მაგრამ საძნელო საქმის მოგვარება...“

მხოლოდ ორი ნომერი (№ 2—1919, ოქტომბერი) დაიბეჭდა თვით ამ ჟურნალისა, რომელსაც ჰქონდა სიტყვაკაზმული მწერლობის, მხატვრობის, მეცნიერების, პოლიტიკისა და კოოპერაციული ცხოვრების განყოფილებები, და რომელშიც გამოქვეყნდა ლექსები იოსებ გრიშაშვილისა („ლოტოსი“), პაოლო იაშვილისა („წერილი დედას“), მოთხრობები ნიკო ლორთქიფანიძისა („ერთი ღამის ეპილოგი“ „ძლიერნი სულნი“), ლეო ქიაჩელისა („მკვლელობა კოხტა-გორაზე“), დრამა პოლიკარპე კაკაბაძისა („სამი ასული“) და სხვ.

ასეთივე გამოცემაა 1919 წელს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებული კულტურა-განათლების კომისიასთან ერთად ივანე გომართელის, ალექსანდრე აბაშელისა და ობოლი მუშის (სოლომონ თავაძის) ინიციატივით (სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ აგრეთვე პოლიო ირეთელიკალანდაძე და არჩილ რუხაძე) დაარსებული ჟურნალი „ცისარტყელა“, რომელიც გამოდიოდა 1919 (დეკემბერი) — 1921 წლებში (სულ 14 ნომერი), და რომელმაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ქართული ბელეტრისტიკის გამომზეურებას. კერძოდ, აქ დაბეჭდილი მასალიდან მნიშვნელოვანი იყო შიო არაგვისპირელის რომანი „გაბზარული გული“ (1—14 ნომრებში), დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“ (1920 წელს), ვასილ ბარნოვის მოთხრობები (1920 წელს), ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“ (№№ 8, 9, 10), ლეო ქიაჩელის ნოველები „Escalade“ და „იშვიათი შემთხვევა“, დემნა შენგელაიას მოთხრობა „ანდრო სავანელი“ (№№ 12—13, 14), კ. გამსახურდიას ნარკვევი „რომი“ და თარგმანები ინდური ლიტერატურიდან და სხვ. აგრეთვე ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ქუჩიშვილის, ნოე ჩხიკვაძისა და სხვათა ლექსები, ტრიფონ რამიშვილის პიესა „სტუმარ-მასპინძლობა“, ივანე გომართელის სტატიები (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალში ნაციონალისტურმა განწყობილებამაც ჰპოვა გამოხატულება).

მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოს უქონლობის გამო მწერლები კერძო გამოცემებსაც მიმართავდნენ. ეს გამოცემები, როგორც წესი, თითქმის ჩანასახშივე ჩაკვდებოდა. ასეთი იყო იმავე 1919 წელს თბილისში გამოსული ჟურნალები: „თოლაბულისის

სარტყელი“ (რედ. გრიგოლ ცეცხლაძე), „სმარაგდი“ (რედ. ვასო გორგაძე), „კრონოსის სარკე“ (გამოსცა ტერენტი გრანელმა ლიტერატორ კონსტანტინე გაჩეჩილაძესთან ერთად) [29].

აი რას ამბობდა ამ მტკივნეული საკითხის თაობაზე ერთი ასეთი კერძო გამოცემის რედაქტორი იოსებ გრიშაშვილი: „ვიდრე ჟურნალი გამოჩნდებოდეს მეთქი (რა ვუთხრა მწერალთა კავშირს!) გადავწყვიტე ქართულ სიტყვიერების მეგობრებს სახალხო ნობათად ჩემი „ლეილას“ კოცნა გავუგზავნო. „ლეილა“ არ გადაიქცევა პერიოდულ გამოცემად (ანდა რომელი ჟურნალი გახდა ამ ოთხ წელში პერიოდული!). იგი გამოვა მაშინ, როცა ეშხი და შესაფერი მასალა დაგროვდება“ [30].

მაგრამ დავუბრუნდეთ კოტე მაყაშვილის საანგარიმო მოხსენებას ქართველ მწერალთა მეორე კონფერენციაზე. მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა: თუ მწერალთა კავშირმა „ქიმერიონისაგან“ რაიმე შემოსავალი მიიღო, ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებული მწერლებისათვის შემწეობისა და სესხის მიცემას მოახმარა; რომ „ქიმერიონი“ არაა იდეალი, მაგრამ იქედან აღებული საჯარო ფულით მომავალში უნდა დაარსდეს ნამდვილი კლუბი; რომ საბჭომ ქართული მწერლების პრესტიჟის ამაღლებისა და ერისათვის მათი გაცნობის მიზნით იუბილეები მოუწყო შიო არაგვისპირელს (1919. 19.5). ვასილ ბარნოვსა და დავით კლდიაშვილს (1920. 15.2); რომ ქართველ მწერალთა კავშირი ატარებდა „ქართული ესთეტიკის საღამოებს“.

აღნიშნა, რომ მწერალთა კავშირის გარშემო, რომელსაც პირველად უნდობლად უყურებდნენ, თანდათან თავი მოიყარეს ყველა მიმართულების მწერლებმა; რომ მწერალთა კავშირის თაოსნობით კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით დაარსდა საქართველოს სახელოვნო ცენტრი (1919 წ.), რომელშიც შედის მწერალთა კავშირის, სამუსიკო საზოგადოების, მხატვართა საზოგადოებისა და მსახიობთა კავშირის 3—3 წარმომადგენელი [31].

სარეგიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გიორგი მუმლაძემ.

კონფერენციაზე მწერლებმა მწვავედ გააკრიტიკეს საქართველოს

---

[29] იხ. ლერი ალიმონაკის შენიშვნები წიგნში — ტ. გრანელი, რჩეული, თბ., 1979, გვ. 437.

[30] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 719.

[31] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №№ 538, 549, 557. ცენტრის მდივანი იყო შალვა დადიანი (ქსნელიბეთა კავშირისაგან), ცენტრში შედიოდა აკაკი პაპავა (1920 წ. ამ ცენტრმა გამოსცა მისი წიგნი „სოლეილ-დორ“).

მენშევიკური მთავრობა მწერლებისათვის დახმარების გაუწევლობის გამო.

მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველი მწერლების წახალისება-დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვერც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ შეძლო დახმარებოდა მწერლებს. მხოლოდ ცალკეული პირები და საზოგადოებები ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ქართული მრეწლობისათვის. ასე მაგ.: 1908 წ. 3 სექტემბერს გაზ. „ამირანმა" (№ 148) დაბეჭდა „წესი უგანათლებულეს თავადის გრიგოლ დადიანის პრემიის მიცემისა".

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას ჰქონდა შეწირულებათაგან გასაცემი პრემიები გრიგოლ დადიანისა (3000 მანეთის პროცენტი — 2 პრემია 400—400 მანეთის ოდენობით), ნიკოლოზ ერისთავისა (10 000 მანეთის პროცენტი) და ნიკო ღოღობერიძისა (11 306 მანეთის პროცენტი — 2 პრემია 300—300 მანეთის ოდენობით).

პირველი პრემია 3 წელიწადში ერთხელ გაიცემოდა, დანარჩენი — ყოველწლიურად.

პრემიები ენიჭებოდათ ქართული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის თხზულებებისათვის. (გაზ. „სახალხო საქმე", 917. № 81).

ნიკო ერისთავის სახელობის პრემია 1917 წელს მიენიჭა ლეო ქიაჩელს რომანისათვის „ტარიელ გოლუა" და აკაკი პაპავას ესკიზისათვის „მკრთალ სხივთა ძნა" (იხ. ი. მეგრელიძის წერილი, „მნათობი" 1959 № 7.)

კონფერენციამ შეცვალა წესდების ზოგიერთი მუხლი. კერძოდ, კონფერენციის დადგენილებით „ქართველ მწერალთა კავშირს" ეწოდა „მწერალთა კავშირი" [32], გადაწყდა კონფერენციები და საბჭოს არჩევნები ჩატარებულიყო ყოველ წელს; ქართველ მწერალთა დღეს დაერქვა „პოეზიის დღე" (ტიციან ტაბიძის წინადადება) და პოეზიის დღედ აღიარებულ იქნა 7 მაისი; კონფერენციამ მოითხოვა კაფე-რესტორანთან სამარცხვინო ურთიერთობის შესაწყვეტად „ქიმერიონს" ჩამოხსნოდა მწერალთა კავშირის სახელი.

* * *

აქვე უნდა ითქვას პოეზიის დღის (დღესასწაულისა და გაზეთის) და „ქიმერიონის" შემდგომ ბედზე.

---

[32] პრესაში ადრევე უწოდებდნენ „საქართველოს მწერალთა კავშირს" (მაგ. გაზ. „სახალხო საქმე", 1919, № 608).

მანამდე, 1919 წლის 28 აგვისტოს, ქართული კლუბის ბაღსა და საზაფხულო დარბაზში გაიმართა ქართველ მწერალთა კავშირის პირველი დღეობა.

1920 წლიდან კი პოეზიის დღესასწაულები 7 მაისს იმართებოდა. მეორე კონფერენციის დამთავრებისთანავე მწერალთა საბჭომ ხელი მოჰკიდა პოეზიის დღის ჩატარებისათვის სამზადისს. ამ წელს პოეზიის ზეიმის მოწყობა მიენდო: ქუთაისში — ნიკო ლორთქიფანიძეს, ფოთში — იასამანს (მიხეილ კინწურაშვილს), ჩოხატაურში — ია ეკალაძეს, თელავში — ბეგლარ ახოსპირელს (აღაიანცს), ზუგდიდში — ლეო ქიაჩელს. სხვაგანაც, კერძოდ ბათუმში, საგანგებო პირების გაგზავნას აპირებდნენ.

თბილისში რამდენიმე ადგილას გაიმართა პოეზიის დღისთვის მიძღვნილი საღამოები: სახელმწიფო თეატრში სხდომა დუტუ მეგრელმა გახსნა, სიტყვა წარმოსთქვა ივანე გომართელმა. ლექსები წაიკითხეს პაოლო იაშვილმა, მსახიობებმა ნინო დავითაშვილმა, ვერიკო ანჯაფარიძემ, თარგმნილი ლექსები — იმხანად თბილისში მყოფმა ვასილი კაჩალოვმა, მარია გერმანოვამ და სხვა რუსმა მსახიობებმა. გრიმებში გამოიყვანეს ძველი პოეტები (ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იროდიონ ევდოშვილი), გუნდმა, კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, შეასრულა დიმიტრი არაყიშვილის მიერ შექმნილი „პოეზიის ჰიმნი". ქართულ კლუბში მოხსენებით გამოვიდა იპოლიტე ვართაგავა, სახალხო სახლში — აკაკი პაპავა, მუშათა ცენტრალურ კლუბში — ვახტანგ კოტეტიშვილი. ყველგან მონაწილეობდნენ პოეტები, მსახიობები [33].

როგორც ვხედავთ, პოეზიის დღეს იმთავითვე მთელ საქართველოში დღესასწაულობდნენ.

ოციანი წლების ბოლოს შეწყდა პოეზიის დღის ჩატარება და იგი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით აღდგა 1960 წელს. აი რას წერდა ამის თაობაზე მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია: „ტრადიციული პოეზიის დღე ოცდაათი წლის შემდეგ, ახლა, 1960 წელს, საქართველოში საბჭო-

---

[33] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920, № 88; გაზ. „სახალხო საქმე", 1920, № 821; გაზ. „ერთობა", 1920, №№ 98, 100, 104 — „ლ. ნ"-ს ანგარიში: პოეზიის დღე სახელმწიფო თეატრში უფერულად ჩატარდა, ჩვენი კლასიკოსებისა და რუსული პოეზიის (ვ. კაჩალოვისა და მ. გერმანოვას ოსტატური კითხვით) შეჯიბრება ჩვენს დღევანდელ პოეზიასთან ამ უკანასკნელისათვის წამგებიანი იყოო; პოეზიის „ჰიმნზე" იხ. აგრეთვე გაზ. „პოეზიის დღე", 1923, № 4.

თა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავის წინაწელს, პირველად ტარდება“ [34].

განზრახული იყო პოეზიის დღის ისევ მაისში ჩატარება [35]. 1960 წელს პოეზიის ზეიმი ოდნავ მოგვიანებით, 5 ივნისს გაიმართა თბილისში სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. იქვე გაიმართა 1961 წლის 18 ივნისს.

რუსთაველის საიუბილეო დღედ, 1966 წლის 25 სექტემბრის დანიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა (1965. 14.5.) ეს დღე 1965 წლიდან პოეზიის დღედ გამოაცხადა [36]. ფაქტიურად პოეზიის დღესასწაული იმართება ოდნავ მოგვიანებით, ოქტომბრის ბოლო დეკადაში.

რუსთაველის იუბილესთანვე დაკავშირებით 1966 წლიდან პოეზიის დღეს რუსთაველის დღეც ეწოდა [37]. და აქედან მოყოლებული იგი წლითიწლობით ფართო ხასიათს იღებდა: იწყებოდა რა რუსთაველის სამშობლო კუთხეში — მესხეთში, მთელ საქართველოს ედებოდა.

პოეზიის დღის ზეიმთან ერთად ქართველ მწერალთა მეორე კონფერენციამ (1920 წლის აპრილი) დააწესა ერთდროული ლიტერატურული გაზეთის „პოეზიის დღის“ გამოცემა.

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ პირველად ეს გაზეთი გამოსცა იმავე წლის 7 მაისს თბილისში — რედაქციის მოწინავე წერილით [38].

---

[34] ს. ჭ ი ლ ა ი ა, „კეთილი იყოს!“ — „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, № 2.

[35] „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, № 16.

[36] „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 21.

[37] „ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 35.

[38] გაზეთს წელი და ნომერი არ აწერია, მაგრამ 1920 წელს რომ გამოვიდა, დასტურდება პრესით: გაზეთ „სახალხო საქმეში“ (1920, № 838) დაბეჭდილ აკაკი პაპავას „პატარა შენიშვნაში“ ნათქვამია: „ქართული პოეზიის ტრადიციულ დღეს, 7 მაისს, მწერალთა საბჭომ გამოსცა ერთდროული გაზეთი (ალმანახი) „პოეზიის დღე“: აქ სხვათა შორის, ჩემი წერილიცაა მოთავსებული: „ქაოსის ძლევა“.

იხ. აგრეთვე გიორგი ჭუმბურიძის რეცენზია „პოეზიის დღეზე“ — „თანამედროვე პოეზია“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 849) და ტრისტან მაჩაბლის (ვალერიან გაფრინდაშვილი) რეცენზია („ქართული პოეზია“) ამავე გაზეთზე (ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, 1920, № 4).

მართალია, პოეტი კოლაუ ნადირაძე იგონებს (წერილი „პოეზიის დღე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 40) — პირველად საქართველოში (და არამარტო საქართველოში) გაზეთი „პოეზიის დღე“ 1918 წ. ქუთაისში ციხეფერყანწელებმა გამოეცითო. მაგრამ ეს გაზეთი არა ჩანს ფიზიკურად, არც იმდროინდელი პრესით დასტურდება, არც პაოლო იაშვილი ან ტიციან ტაბიძე იხსენიებენ თვით იმ წერილებშიც კი, სადაც ლაპარაკი აქვთ გაზეთ „პოეზიის დღეზე“.

საქართველოს მწერალთა საბჭოს გაზეთ „პოეზიის დღის“ შემდეგი ნომრები გამოვიდა თბილისში 1921 წელს (წელი აწერია, ნომერი—არა) ტიციან ტაბიძის მოწინავე წერილით (რომელშიც ნათქვამია: „ეს მეორე 7 მაისია, რაც პოეზია თავის დღეს იხდის“), 1922 წელს—№ 3, გალაკტიონ ტაბიძის მოწინავე წერილით. 1923 წელს—№ 4, კოტე მაყაშვილის მოწინავე წერილით და 1924 წელს — № 5, რედაქციის მოწინავე წერილით (ბოლო სამს წელიც აწერია და ნომრებიც).

ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „პოეზიის დღე“ ბათუმშიც გამოიცა: 1921 წლის 7 მაისს (აჭარის სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების სალიტერატურო სექციის გამოცემა) [39], და 1922 წლის 7 მაისს (აჭარის ქართველ მწერალთა გამოცემა) [40].

1922 წელს გაზეთი „პოეზიის დღე“ მხატვრული მწერლობის ქუთაისის კავშირმაც გამოსცა.

საქართველოს მწერალთა კავშირისაგან ახალი მწერლობის კავშირის გამოყოფის შემდეგ, ამ უკანასკნელმაც გამოსცა გაზ. „პოეზიის დღის“ ორი ნომერი: № 1 — 1922, 6 მაისი, ტიციან ტაბიძის მოწინავე წერილით (რომელშიც ნათქვამი იყო, ჩემი წინადადებით 3 წლის წინ ჯერ საბჭომ, შემდეგ კონფერენციამ, დაადგინა 6 მაისს, ძვ. სტ. 23 აპრილს პოეზიის დღის აღნიშვნა. შემთხვევით გადაიდო მეორე დღისათვისო [41] და № 2 — 1923, 6 მაისი, პაოლო იაშვილის მოწინავე წერილით.

აქ საბუთად არ გამოდგება თითქოსდა გაზეთ „პოეზიის დღის“ გამოცემის აღსანიშნავად 1918 წ. ქუთაისში გადაღებული სურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში მხცოვანი ოსტატის დავით კლდიაშვილის ირგვლივ შემოკრებილი მწერლები.

ამ სურათზე კარგად ჩანს წარწერა „პოეზიის დღე“. მაგრამ წარწერა „პოეზიის დღე“ გაზ. „ერთობის“ სათაურქვეშაც იკითხება.

ჩვენ გავსინჯეთ 1918—1919 წ.წ. გაზეთი „ერთობა“ (სხვა ჟურნალ-გაზეთებიც). როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ადრეც გვინახავს, გაზეთ „ერთობის“ მხოლოდ 1920 წ. მაისის ნომრებში აღმოჩნდა ეს განცხადება (გრაფიკულადაც რომ ემთხვევა სურათზე აღბეჭდილს) პოეზიის დღესასწაულის ჩატარების თაობაზე. ცხადია, სურათი გადაღებულია არაუადრეს 1920 წლის მაისისა.

[39] „7 მაისს მთელ საბჭოთა საქართველოში მოწყობილი იყო პოეზიის დღე. თბილისში გამოუშვეს მშვენიერი გაზეთი... ბათუმშიც გამოშვებულ იქნა გაზეთი“—გაზ. „უწყებები“ (ბათუმი), 1921, 12.5 № 43.

1921 წელს ბათუმში „პოეზიის დღის“ გამოსვლას იუწყებოდა იგივე „უწყებები“ იმავე წლის 17 მაისსაც.

[40] გაზეთს წელი არ აწერია, მაგრამ დასტურდება პრესით: „პ ო ე ზ ი ი ს დ ღ ე“. რედაქციამ მიიღო ქ. ბათუმში გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე“. გაზეთში მონაწილეობენ: ბარნოვი ვასილ, ტაბიძე გალაკტიონი, კასრაძე .დ., ჯაფრინდაშვილი ვალერიან, ქუჩიშვილი გ., ვარდოშვილი ხარიტონ, ნადირაძე კ., ყიფიანი ი., კაპანელი კ., ცვარნაძი დ. და სხვა. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე ტრაგიკულად გარდაცვლილ ახალგაზრდა პოეტის კიკნა-ფშაველას დაუბეჭდავი ლექსი (გაზ. „კომუნისტი“, 1922, 20.5. № 113).

დათარიღების საბუთებს იძლევა თვით „პოეზიის დღის“ ამ ნომერში დაბეჭდილი ქრონიკაც.

[41] იგივე ტიციან ტაბიძე აღნიშნავდა („მწერალთა კავშირი“, გაზ.. „რუბიკონი“, 1923, № 13): 6 მაისს განზრახული იყო დიდი ზეიმი ალექსანდრეს ბაღში, რომ წვიმას არ დაეშალაო.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის (1926) შემდეგ მან „პოეზიის დღე“ ახალი ნუმერაციით გამოსცა და დაუკავშირა ბეჭდვითი სიტყვის დღეს — 1926 — № 1, 5 მაისი. ასევე მოიქცა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაც — 1928, № 1, 5 მაისი.

როგორც ვთქვით, პოეზიის დღესასწაული აღდგა 1960 წელს, მაგრამ ერთდროული გაზეთის გამოცემა რამდენიმე წელს არ მოხერხდა, მხოლოდ 1964 წელს გამოვიდა „პოეზიის დღე“, მაგრამ არა გაზეთი, არამედ კრებული. ასეთივე კრებული გამოიცა მომდევნო წელსაც (ორივე გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, რედ. — სარედაქციო კოლეგია).

შემდეგ 1967 წლიდან ისევ ერთდროული გაზეთები გამოდის, (გამომც. „ლიტ. და ხელოვნება“), მაგრამ ვინაიდან რუსთაველის დაბადების მე-800 წლისთავის იუბილის გამო „პოეზიის დღეს“ ეწოდა „რუსთაველის დღე“ და პოეზიის დღესასწაული შემოდგომაზე გადაიტანეს, გაზეთსაც დაერქვა „რუსთაველის დღე, პოეზიის დღე“, და ამ სახელწოდებით გამოვიდა 1967 წლის 30 სექტემბერს (16 გვერდიანი, რედ. — სარედაქციო კოლეგია) ირაკლი აბაშიძის მოწინავე წერილით — „ჩვენი დღესასწაული“, რომელშიც ნათქვამია: „ამიერიდან პოეზიის დღეს „რუსთაველის დღეს“ ვუწოდებთ“, „ვაქციოთ „რუსთაველის დღე“ საერთო სახალხო დღესასწაულად საქართველოში!“

ასეთივე სახელწოდებით გამოვიდა, კარლო კალაძის რედაქტორობით, ეს გაზეთი 1969 წლის 20 ოქტომბერს (4-გვერდიანი) და 1970—71 წლების ოქტომბერში (პატარა ფორმატის 8-გვერდიანი).

1974 წელს (28.10.) გაზეთი გამოდის ძველი სახელწოდებით — „პოეზიის დღე“ (რედაქტორები კარლო კალაძე, მურმან ლებანიძე, მც. ფორმატის 16-გვერდიანი).

1977 წელს გაზეთს კვლავ შეეცვალა სახელი — „პოეზია-77“.

1978—1982 წლებში გაზეთის ნაცვლად გამოვიდა მოზრდილი კრებული — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

* * *

ახლა ორიოდე სიტყვა კაფე-კლუბ „ქიმერიონზე“. როგორც ვთქვით, მწერალთა მეორე კონფერენციამ (1920) მოითხოვა „ქიმერიონს“ ჩამოხსნოდა მწერალთა კავშირის სახელი (იჯარად გაცემის ხელშეკრულებით კაფე-რესტორანი მწერალთა კავშირის სახელით არც უნდა მოხსენებულიყო).

„ქიმერიონის“ შემდგომი ბედი ასე წარიმართა: მის პატარა დარბაზში, რომელიც მწერალთა კლუბს წარმოადგენდა, მუშაობდა მწერალთა კავშირის საბჭო, მისი სარედაქციო თუ საიუბილეო კომისიები. იქ „პოეზიის კონფერანსები“ და „ესთეტური საღამოები“ ერთხანს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც იმართებოდა [42]. როგორც ჟურნ. „ლომისი“ იუწყებოდა (1922, № 1), „მწერალთა კავშირის საბჭოსაგან იჯარით აიღეს „ქიმერიონი“ ტიციან ტაბიძემ და ნიკოლო მიწიშვილმა“. და პრესაში კიდევ ერთხელ გამოცხადდა მისი გახსნა: 1921 წლის „6 დეკემბრიდან გაიხსნა საქართველოს მწერალთა კავშირების და ცისფერყანწელების პოეტების კაფე-კლუბი „ქიმერიონი“.

1922 წლის შუა ხანებში „ქიმერიონი“ განათლების კომისარიატს გადაუცია თეატრების მმართველობისათვის, მაგრამ მალე დახურულა წარმოების ზარალის გამო. მწერალთა კავშირს განუზრახავს მისი უკან დაბრუნება [43].

დაბოლოს მოვუსმინოთ ისევ ლადო გუდიაშვილს: იმ დროს თბილისში იყო სხვა კაფეებიც, სადაც თავს იყრიდნენ მწერლები და ხელოვანნი, მაგრამ „ყველაზე საინტერესო მაინც იყო „ქიმერიონი“, ეს კაფე მდებარეობდა რუსთაველის თეატრის ახლანდელ ქვემოთა ფოიეში, მისი გახსნის ინიციატივაც „ცისფერყანწელთა“ ჯგუფს ეკუთვნოდა. ყოველ იმ სტატიკართა შორის, რომლებიც კი ოდესმე ცხოვრების გზაზე შემხვედრია, ერთ-ერთი ისიცაა, რომ ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლი (ვგულისხმობთ „ქიმერიონის“ მოხატულ კედლებს) ყოვლად უაზროდ გაქრა და დაიკარგა“ [44].

* * *

დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს მწერალთა მეორე კონფერენციას. მან მომავალ საბჭოს დაავალა შეედგინა ავტორთა უფლებების დაცვის წესები, გამოეცხადებია პრემიები, მოეთხოვა ანგა-

---

[42] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 719; გაზ. „ერთობა“, 1920, № 23; გაზ „ბარიკადი“, 1922 № 4; იხ. აგრეთვე, გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 236.

[43] გაზ. „კომუნისტი“, 1922, № 263; ამის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ მწერლების აზრით ახალი მესვეურები უდიერად ეპყრობოდნენ „ქიმერიონის“ დარბაზებს: „ამ ბოლო დროს „ქიმერიონში“ გამართული იყო ლოტო და ძვირფასი მხატვრობა ამ კლუბისა სრულიად დაზიანდა. იმედია, ხელოვანთა კომიტეტი გამოასწორებს ამ საქმეს და გამოიჩენს მეტ მზრუნველობას (გაზ. „რუბიკონი“, 1923, № 8).

[44] ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მოგონების წიგნი, გვ. 13—14.

რიში ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისათვის, რომელსაც მწერალთა აგარაკის ასაშენებლად შეგროვილი ჰქონდა ფული. ეზრუნა ევროპაში მწერლების გასაგზავნად, წ. კ. გ. საზოგადოების ლიტერატურული ფონდების მწერალთა კავშირისათვის გადმოსაცემად, დამსახურებული მწერლებისათვის პენსიების დასანიშნავად, პანთეონის მოსაწყობად, მუზეუმის შესაქმნელად.

კონფერენციამ უარყო მწერალთა კავშირში ჟურნალისტებისა და პუბლიცისტების მიღების წინადადება, მისალმებით მიმართა მსოფლიოს მწერლებს.

ახლადარჩეულმა საბჭომ, რომელშიც შევიდნენ ალექსანდრე აბაშელი, ილია აგლაძე, ივანე გომართელი, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კოტე მაყაშვილი, სოლომონ თავაძე, აკაკი პაპავა, ვარლამ რუხაძე, ტიციან ტაბიძე და ლელი ჯაფარიძე, — თავმჯდომარედ ხელახლა აირჩია კოტე მაყაშვილი, მის ამხანაგებად, მდივნად და ხაზინადრად—ნიკო ლორთქიფანიძე, აკაკი პაპავა, ალექსანდრე აბაშელი (ისაკ ჩოჩია) და ტიციან ტაბიძე [45].

* * *

1920 წელს სახელმწიფო (ოპერის) თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძისა (3.3) და იოსებ გრიშაშვილის (10.6) საღამოები [46].

ამ წელს მოეწყო, აგრეთვე, აშუღი ჰაზირას (ლექსის — „აღსდექ მუშავ შენ“ ავტორის) საღამო (24.5).

1921 წლის 27 იანვარს პოეტების ერთმა ჯგუფმა გ. ტაბიძე „პოეტების მეფედ“ გამოაცხადა (გაზ. „ერი“, 1921, № 7) საკონკურსოდ წარმოდგენილი ლექსისათვის — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (გაზ. „ერთობა“, 1920, № 284).

---

[45] გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 802. გაზ. „სლოვოს“ მიხედვით (1920, № 88) კონკრეტულად არ ჩანს, ვის რა თანამდებობა ეჭირა. პრესა და საზოგადოებრიობა სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდა მწერალთა კონფერენციებს და, საერთოდ, ჯეროვნად ვერ აფასებდა მწერლობასა და მწერალთა ორგანიზაციის შექმნას. ამას აღნიშნავდა გულისტკივილით ვარლამ ხუროძე გაზეთ „ერთობაში“ (1920. № 80) დაბეჭდილ წერილში „მორცხვთა ყრილობა“:

„მეევნახეთა კრება რომ ყოფილიყო, აუარებელ დეპეშებს მიიღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მეაბრეშუმეთა ყრილობა უამრავ მოლოცვას მიიღებდა! ჩოთქის მორახუნეთა თავმოყრა აუარებელ მისალმებებს მიიღებდა:

ხოლო ქართველ მწერალთა ყრილობამ სულ სამი თუ ოთხი მილოცვა მიიღო და ისიც მწერლებისაგან. გაზეთებმა ცალკე წერილებიც კი არ უძღვნეს ამ ყრილობას...

... ქართველი მწერლები — ეს მეოცნებეთა ჯგუფად იყო მიჩნეული, რომელიც სწერდა მხოლოდ წერისთვის“.

[46] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920. №№ 9, 20, 23.

* * *

იმდროინდელ ლიტერატურულ ატმოსფეროზე რომ უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა მაშინ თბილისში მოხვედრილ (საბჭოთა რუსეთიდან გადმოხვეწილ) თუ აქაურ რუს მოდერნისტ პოეტთა (ზოგი მათგანი წარმოშობით არარუსი იყო) გაერთიანებაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

1918 წლის 11 აპრილს თბილისში რუსული აკმეიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, შემდეგში ცნობილი საბჭოთა პოეტის სერგეი გოროდეცკის ინიციატივითა და შეთაურობით, შეიქმნა „პოეტების საამქრო". რუსული ლიტერატურული ორგანიზაციის „პოეტების საამქროს" (არსებობდა პეტერბურგში 1911—1914 წლებში და შეადგენდა აკმეიზმის ბირთვს) მიხედვით შექმნილ თბილისურ „პოეტთა საამქროში", რომელიც მისდევდა ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის", შედიოდნენ ანა ანტონოვსკაია (შემდგომში მრავალტომიანი რომანის „დიდი მოურავის" ავტორი), რიფსიმე ასილიანცი, გრიგორი ბამელი (ბაუბეუქ-მელიქოვი), ნიმფა ბელკონ-ლიუბომირსკაია, ნინა გრაციანსკაია, მაგდალინა დეკაპრილევიჩი, იური დანციგერი, იური დეგენი, კონსტანტინე ზელინსკი, ოლგა კამაევა, ალექსანდრე კულებიაკინი, ნიკოლაი კაპრანოვი, სოფიო მელიქოვა, ტატიანა პოიარკოვა, სერგეი რაფალოვიჩი, ა. სელიხანოვიჩი, ვლადიმერ საპოჟნიკოვი, ნიკოლაი სემეიკო.

ამათგან უმეტესობამ მხატვრულ ლიტერატურაში შესამჩნევი კვალი ვერ დატოვა.

პოეტების საამქროს პირველი რუსული კრებული იყო „AKME". საამქროს ჟურნალი იყო აგრეთვე „ARS", გამომცემელი: ანა ანტონოვსკაია (1918); ანა ანტონოვსკაია და ი. ი. პოლინინი (1919). რედაქტორები: სერგეი გოროდეცკი (1918); ალექსანდრე პეტრაკოვსკი და ა. ა. ფლორენსკი (1919).

პოეტების საამქრომ შექმნიდან (1918. 11.4.) იმავე წლის 24 ივლისამდე ჩაატარა 14 სხდომა (ოთხშაბათობით), რომელსაც თავმჯდომარეობდა სერგეი გოროდეცკი. ეს სხდომები ტარდებოდა ჟურნ. „ARS"-ის რედაქციაში, რომელსაც სასტუმრო „ორიანტში" (შემდგომ „ინტურისტი") ორი ოთახი ეჭირა. აქვე იყო მოთავსებული ე. წ. არტისტერიუმი, რომელშიც სხვა სექციებთან ერთად (I—ლექტორიუმი, III — გამოფენები, IV — მუსიკალური, V — ბავშვთა შემოქმედება, VI — ძველი თბილისი) შედიოდა პოეტების საამქროც.

სწორედ აქ, რედაქციაში ჟურნალის გამომცემელმა ანა ანტონოვსკაიამ მიიწვია ცისფერყანწელები პაოლო იაშვილი, ტიციან ტა-

ბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი. ეს უკანასკნელნი დათანხმდნენ ლექტორიუმში წაეკითხათ მოხსენება ცისფერყანწელებზე.

აი როგორაა დახასიათებული ანა ანტონოვსკაიას იმდროინდელი მოღვაწეობა ბორის ჩორნის წიგნში „დროთა კავშირი" (რუსულ ენაზე, თბ., 1974 გვ. 90): „ახდენდა რა გერმანელთა, ინგლისელთა იგნორირებას, ანა არნოლდის ასულს იმედი ჰქონდა რედაქციის ირგვლივ შემოეკრიბა ქართველი და რუსი მწერლები, ისტორიის, არქიტექტურის, ფრესკული მხატვრობისა და არქეოლოგიის მაგალითებზე ეჩვენებინა თვითმყოფადობა ქართველი ხალხისა, რომელმაც საუკუნეებში გამოატარა სიყვარული თავისუფლებისადმი და სიძულვილი ტირანიისადმი. ანა არნოლდის ასულმა რამდენადმე შესძლო ამ პროგრამის შესრულება. „არს"-ის სწორად შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ მოვლენათა პრიზმაში, რომელთა გარემოცვაშიც იგი არსებობდა. ეს სავსებით ეხება პოლიტიკის სფეროსაც".

იმავე ბორის ჩორნის აზრით „არსი" შორს იდგა პოლიტიკისაგან, მისდევდა ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის" და თუ თავის პირველ ნომერში დაბეჭდა იოსებ (ონორე) შარლემანის მიერ საქართველოს მენშევიკური მთავრობის დაკვეთით დახატული საქართველოს გერბი, ამით მხოლოდ გრაფიკოსის ოსტატობას სცა პატივი.

1918 წლის დასაწყისში თბილისში ლექციებსა და მოხსენებებს მართავდა აგრეთვე „ფუტურისტების სინდიკატი", რომელშიც შედიოდნენ ცნობილი რუსი ფუტურისტი ალექსეი კრუჩონიხი, აგრეთვე პოეტები ილია ზდანევიჩი, ყარა-დერვიში, ნიკოლოზ (კოლაუ) ჩერნიავსკი (შემდეგში დემნა შენგელაიას რომანის „სანავარდოს" მთარგმნელი), მხატვრები ლადო გუდიაშვილი, კირილე ზდანევიჩი.

მალე პოეტების საამქროში განხეთქილება მოხდა: აკმეისტებს გამოეყვნენ ფუტურისტები, შექმნეს ახალი საამქრო საზოგადოება „კოლჩუგასთან" და იკრიბებოდნენ იური დეგენის ინიციატივით პოეტებისა და მხატვრების ჯგუფის მიერ დაარსებულ ფანტასტიკურ სამიკიტნოში (გოლოვინის პრ. 12). სარდაფში მოთავსებული ეს სამიკიტნო ზღაპრულად მოხატეს სერ გეიმ (კარიკატურისტი), იური დეგენმა, ილია ზდანევიჩმა, ალექსანდრე პეტრაკოვსკიმ, ქართველმა მხატვრებმა ლადო გუდიაშვილმა და იაკობ ნიკოლაძემ.

სამიკიტნო გაიხსნა 1918 წლის 25 ნოემბერს. პოეტების ამ საამქროს თავმჯდომარე იყო იური დეგენი. იქ შედიოდნენ ტატიანა ევჩორკა (ქართველ პოეტთა მთარგმნელი), ბორის კორნეევი (შემდეგში ბ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის" მთარგ-

მნელი), ალექსანდრე პოროშინი, ნიკოლაი სემეიკო, იგორ ტერენტიევი, ყარა-მურზა, ალექსანდრე ჩაჩიკოვი (ქართველ პოეტთა მთარგმნელი).

ამ საამქროს შეკრებებში მონაწილეობდნენ ფუტურისტი პოეტები ალექსეი კრუჩონიხი და ილია ზდანევიჩი, რომლებიც საამქროში არ შედიოდნენ.

შეკრებებს ესწრებოდნენ ცისფერყანწელებიც: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე.

სერგეი გოროდეცკის ჯგუფი კი 1918 წლის შემოდგომიდან სალამოებს მართავდა ბენდიცკის მუსიკალურ სტუდიაში (ა. ჭავჭავაძის ქუჩაზე, კუთხის სახლი პროფკავშირების სასახლის პირდაპირ?)[47].

1919—1920 წლებში თბილისში მცხოვრები რუსი მწერლები იკრიბებოდნენ ე. წ. აკადემიურ კლუბში (სერგიევის, ახლანდელი მაჩაბლის, ქუჩის დასაწყისში), სადაც იმართებოდა ლექსების კითხვა-განხილვა, მოხსენებები, ცხარე ლიტერატურული კამათი.

ამ შეკრებებში გარდა ზემოთდასახელებული მწერლებისა მონაწილეობდნენ სატირიკოსი ვასილ ზოტა (ზოტენკო), რიურიკ ივნევი (შემდგომში ცნობილი საბჭოთა პოეტი, ავტორი რომანისა „მთაწმინდის კალთებთან"), ვასილი კატანიანი (შემდგომში ვლადიმერ მაიაკოვსკის ცნობილი მკვლევარი), ვლადიმერ ტატიშვილი (შემდგომში ავტორი წიგნისა „ქართველები მოსკოვში", რომანისა „აბო თბილელი") და პოეტი გიორგი ხარაზოვი.

ამ შეკრებებზე გაისმოდა ფუტურისტების უსაგნო და გაუგებარი პოეზიის კრიტიკის ფხიზელი ხმებიც.

---

[47] მასალები პოეტების საამქროზე — ჟურნ. „ARS", 1918, № 1, გვ. 73; № 2—3, გვ. 135. ჟურნ. „ფენიკს", 1919, № 1.

* * *

ჩვენთვის მოუციათ დიდებული
„ხელოვნების სასახლე".

გალაკტიონ ტაბიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის ადგილსამყოფელი ბინით უზრუნველყოფა ვერც კლუბმა „ქიმერიონმა" შეძლო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ძირეულად შეცვალა ქართველ მწერალთა მდგომარეობა. ეს მწერლებმა იგრძნეს ამ დიდი მოვლენის მეორე დღესვე — 1921 წლის 26 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს რევკომმა მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვით, ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს გადაეცათ კომერსანტ აკაკი ხოშტარიას (დავით სარაჯიშვილისეული, 1905 წელს არქიტექტორ ნ. ტატიშჩევის პროექტით აშენებული) სახლი სერგიევის ქუჩაზე, № 13 (1922 წლიდან ივანე მაჩაბლის ქ. № 13) მთელი თავისი ქონებით და მყუდრო ბაღით [48]. ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე დღიურში ჩაწერს: „ჩვენთვის მოუციათ დიდებული „ხელოვნების სასახლე".

როგორც გაზ. „კომუნისტი" იუწყებოდა [49], „1 მარტს საღამოს 5 საათზედ აკ. ხოშტარიას სახლში (სერგიევის ქუჩა) შესდგა ქართველ ხელოვანთა კრება. კრებას დაესწრნენ ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლები: მწერლები, მუსიკოსნი, მსახიობნი და მხატვარნი. პოეტმა პაოლო იაშვილმა კრებას განუცხადა, რომ საქართველოს რევკომს განზრახვა აქვს აკაკი ხოშტარიას სახლი მთელი თავისი ინვენტარით გადასცეს ქართველ მწერალთა კავშირს, რომელიც მოაწყობს ხელოვანთა სასახლეს. საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად კრებამ აირჩია კომისია 5 კაცისაგან, რომელშიც შე-

---

[48] ლხცსა, 8—1—15—1 28 თებერვლით დათარიღებული მიმართვა რევკომისა საქ. მწ. კავშირს — სახლის გადმოცემის გამო.

[49] გაზ. „კომუნისტი", 1921, № 3.

ვიდნენ: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, პოეტი პაოლო იაშვილი, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, მხატვარი მოსე თოიძე, და კ. ანდრონიკაშვილი. ეს კომისია დელეგაციის სახით წარუდგება საქართველოს რევკომს და მოახსენებს ქართველ მწერალთა კავშირის გეგმას ხელოვანთა სასახლის დაარსების შესახებ".

3 მარტს მომავალ ხელოვანთა სასახლეში კვლავ შედგა მწერალთა და ხელოვანთა კრება[50], რომელზეც საქართველოს რევკომის წარმომადგენელმა, საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა შალვა ელიავამ ილაპარაკა მთავრობის პოლიტიკაზე კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს და უზრუნველყოფს ნაციონალური კულტურის განვითარებას.

პაოლო იაშვილმა კრებას გამოუცხადა, რევკომმა ეს სახლი ჩვენ გადმოგვცაო.

ასრულდა ქართველ მწერალთა ოცნება — მათ ოჯახს, მათ კავშირს მიეცა საკუთარი ადგილსამყოფელი ბინა!

სახლს ეწოდა „ხელოვანთა სასახლე".

რატომ მაინცდამაინც სარაჯიშვილისეულ სახლზე შეჩერდა მწერალთა არჩევანი? საქმე ისაა, რომ მათ ჰქონდათ საბაბი მოეთხოვათ ეს სასახლე, როგორც ვარამ გაგელი (ტიციან ტაბიძე) აღნიშნავდა, დავით სარაჯიშვილის „ანდერძით ეს სახლი უნდა დარჩენოდა ქართველ მწერლებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ მემკვიდრეებმა მისი ანდერძი დაარღვიეს (ამაზე თავის დროზე დავა იყო პრესაშიც). მაგრამ აქაც ბედით ეს სახლი შეიძინა ბ. ვ. ხოშტარიამ და სწორედ იმავე მიზნით, რომ დაეტოვებია ქართველ ხელოვნებისათვის, ამიტომ რევოლუციონური კომიტეტის დეკრეტი, რომ ამ სახლში მოწყობილიყო ხელოვნების სასახლე, გამაგრებულია ყოველ მხრივ"[51].

ვარამ გაგელი რამდენადმე ტენდენციურია. ანდერძში არ იყო ნათქვამი, სახლს მაინცდამაინც მწერლებს ეუტოვებო. „განსვენებულს გამოუცხადებია სურვილი, რომ მისი სახლი სერგიევის ქუჩაზე, სადაც ის მუდამ სცხოვრობდა, გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობას თავის მშვენიერი მოწყობილობით, იმ პირობით, რომ ამ სახლში ქალაქმა მოაწყოს ან სამხატვრო გალერეა ანდა შინა-

[50] გაზ. „კომუნისტი", 1921, № 5; ჟურნ. „ლომისი", 1922, № 2.

[51] გაზ. „ბახტრიონი", 1922, № 15; ხელოვანთა სასახლის დაარსებას უფრო ადრე წერილი უძღვნა ვახტანგ გარიკმა (ვაჩნაძე) „ქართველ ხელოვანთ", გაზ. „კომუნისტი", 1921, № 12.

მრეწველობისა და ხელოსნობის მუზეუმი, ანდა ორივე დაწესებულება ერთად“ (გაზ. „თემი“, 1911. № 25). ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა 300000 მანეთი. ამ ფულის ნახევარი უნდა მოხმარებოდა ქართული ეროვნული მუზეუმის აგებას, მეორე ნახევარი—სტიპენდიებს. აქ აღარ შევჩერდებით ანდერძის სხვა პირობებზე.

ქართული კულტურული საზოგადოებისა და დაწესებულებებისათვის დიდი სახსრების დატოვება დაადასტურა დავით სარაჯიშვილის მეუღლემ ეკატერინე ივანეს ასულმა ფორაქიშვილმა-სარაჯიშვილისამ თავის ანდერძში[52] (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 644). სახლი კი მისი სიკვდილის (1916 წ.) შემდეგ შეიძინა კომერსანტმა აკაკი ხოშტარიამ.

როგორც ვხედავთ, დავით სარაჯიშვილი ანდერძით სასახლე უნდა ჩამდგარიყო ქართული კულტურის, ხელოვნების სამსახურში. ქართველ მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, რომ მათთვის სასახლის გადაცემა იქნებოდა სარაჯიშვილის ანდერძის ჭეშმარიტი შესრულება. და ასე გადაწყვიტა ახალშექმნილი საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამაც — რევკომმა.

როგორც ვთქვით, სახლს ეწოდა „ხელოვანთა სასახლე“.

ამიერიდან, აქ სხვა შემოქმედებით კავშირებთან ერთად, მუშაობდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, მისი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, მისი აკადემია პოეზიისა;

ხელოვანთა სასახლეში დამკვიდრდა 1921 წლის მიწურულს შექმნილი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობაც.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ხელოვნების სასახლეში ცხოვრობდნენ მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები, მაგალითად, კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე (სარდაფის სართული), პაოლო იაშვილი (გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის დიდი ოთახი და პასუხისმგებელი მდივნის ოთახი), ნიკო-

---

[52] კისლოვოდსკში დასასვენებლად მყოფ ეკატერინე სარაჯიშვილს აცნობეს სამხედრო ხელისუფალთ სამხედრო საჭიროებისათვის თქვენი სახლის ჩამორთმევა უნდათო. ძალზე სწყენია — ჩემმა მეუღლემ ყველაფერი საზოგადოებას, ქალაქის თვითმმართველობას შესწირა და სანამ ცოცხალი ვარ, რატომ მავიწროებენო. დაუყოვნებლივ გამომგზავრებული მლეთში გარდაცვლილა 1916 წელს დაბადებიდან 52 წლისა.

საგულისხმოა, რომ ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძითაც ბევრი სახსარი დარჩა ეკლესიებს, საზოგადოებებს მ. შ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას — 100000 მანეთი, სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებას — 20000 მანეთი დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების სახელობის პრემიებისათვის და ა. შ. (გაზ. „სახალხო ფურცელი““, 1916. № 44).

ლო მიწიშვილი (თავმჯდომარის მისაღები), კოლაუ ნადირაძე (სპარსული ოთახი (შემდეგ იქ იყო „მნათობის“ რედაქცია) და მისი მომიჯნავე ოთახი ენგელსის ქუჩის მხარეს), გალაკტიონ ტაბიძე (მეორე სართულზე, ქუჩის მხარეს. შემდგომში იმ ოთახში „ჩვენი თაობის“ რედაქცია იყო, მოგვიანებით — სექციების, იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანის კაბინეტი), ტიციან ტაბიძე (სხვენის სართულში), ბენიტო ბუაჩიძე, ალექსანდრე სულავა. აქ იმართებოდა მწერალთა კრებები, მათი ხელმძღვანელი ორგანოების სხდომები.

აქ მუშაობდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის (1926—1928) და საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის (1928—1932) საბჭოები და პრეზიდიუმები.

აქ მუშაობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა, პრეზიდიუმი, სამდივნო, მისი აპარატი და მისი შემოქმედებითი სექციები, აქ ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, იუბილეები.

აქ იმართებოდა მწერალთა კავშირის საბჭოს (შემდეგ გამგეობის) სხდომები, ტარდებოდა მწერალთა ყრილობები (წინათ კონფერენციები), ვიდრე 1954 წლიდან ყრილობების გამართვა არ დაიწყეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

აქედანვე მიაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე გარდაცვლილ მწერლებს — მათი თანამოკალმენი.

* * *

ხელოვანთა სასახლეში ჰქონდა ბინა აგრეთვე ქართველ ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს.

ზემოთ ნახსენებმა კრებამ 1921 წლის 3 მარტს დააარსა ხელოვანთა კავშირი. ეს იყო ერთგვარი მემკვიდრე სახელოვნო ცენტრისა (რომელიც დაარსდა 1919 წელს) და აგებული იყო იმავე პრინციპებზე (ხელოვანთა შეკავშირება კულტურულ ორგანიზაციაში).

ხელოვანთა კავშირის მიზანი იყო „შექმნა მთავრობის და საზოგადოების დახმარებით იმ ლაბორატორიისა, სადაც უნდა შემდგარიყო, დაწყებულიყო ქართველ ხელოვნების აღორძინების და ხელოვანთა შემოქმედებითი მუშაობის გაცხოველების გეგმა“ [53].

ხელოვანთა კავშირში შედიოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირი, მუსიკოსთა, მხატვართა და მსახიობთა კავშირები.

---

[53] კოტე მაყაშვილის სიტყვიდან სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე 1926 წელს. სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1926, გვ. 141.

ხელოვანთა კავშირის საქმეებს განაგებდნენ: ა) ზემოდჩამოთვლილ კავშირთა აღმსრულებელი ორგანოების (საბჭოების, გამგეობათა) საერთო კრება; ბ) მთავარი კომიტეტი.

1921 წლის 3 მარტის კრებაზე შეიქმნა დროებითი მთავარი კომიტეტი მწერალთაგან (3 კაცი), მსახიობთა, მხატვართა და მუსიკოსთაგან (2—2 კაცი), რომელიც ხელმძღვანელობდა ახლადშექმნილ ხელოვანთა სასახლის საქმიანობას.

ხელოვანთა მთავარ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა კოტე მაყაშვილი. თავმჯდომარის გარდა მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმში შედიოდნენ: მ. ფირცხალავა (მოადგილე), პაოლო იაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), ვარლამ რუხაძე (ხაზინადარი)[54].

მოვლენებს რამდენადმე წინ გავუსწრებთ და აქვე შევეხებით ხელოვანთა მთავარი კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის შემდგომ ბედს.

1921 წლის ბოლოს (26.12.) ხელოვანთა მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი შეიცვალა. მასში შევიდნენ: კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე), ტიციან ტაბიძე (მოადგილე), აკაკი ფაღავა (თავმჯდომარის ამხანაგი), ვახტანგ კოტეტიშვილი და ვარლამ რუხაძე[55].

1922 წელს მოხდა ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის რეორგანიზაცია: მასში შევიდა 13 წევრი. ყველაზე მეტი ადგილი (ამჯერად 7) კვლავ მწერალთა კავშირს ჰქონდა (თავის მხრივ მან სამი ადგილი დაუთმო ახლადდაარსებულ ასოციაციებს). მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები ისევ ორ-ორი ადგილით იყვნენ წარმოდგენილნი.

ხელოვანთა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ 1922 წელს კვლავ კოტე მაყაშვილი აირჩიეს[56].

მწერალთა კავშირის საბჭომ 1924 წლის 23 მარტს ხელოვანთა მთავარ კომიტეტში, ფარული კენჭისყრით, აირჩია მწერლები ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, კოტე მაყაშვილი, ვარლამ რუხაძე და ტიციან ტაბიძე (ისევ 7 კაცი).

კოტე მაყაშვილი ხელახლა იქნა არჩეული ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ 1926 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე, სადაც მან სწორედ ხელოვანთა სასახლის მუშაობაზე წაიკითხა მოხსენება. ამჯერად მას-

---

[54] გაზ. „კომუნისტი", 1921, № 5; ჟურნ. „ლომისი", 1922, № 2.

[55] გაზ. „კომუნისტი", 1921, № 36; კომიტეტში მწერალთაგან კიდევ შედიოდა პაოლო იაშვილი.

[56] გაზ. „ბარიკადი", 1922, № 4.

თან. ერთად მთავარ კომიტეტში აირჩიეს: არისტო ჭუმბაძე და მიხეილ ჯავახიშვილი (თავმჯდომარის მოადგილეები), შალვა აფხაიძე, შაქრო ნავთლუღელი (სარქის კირაკოზოვი), დავით რონდელი (ცაგარეიშვილი), ვარლამ რუხაძე, პეტრე ქავთარაძე, ნიკო შიუკაშვილი და ნიკოლოზ ჩაჩავა (სულ 10 კაცი). სარევიზიო კომისიაში მწერალთაგან შევიდნენ ვასო გორგაძე და პოლიკარპე კაკაბაძე.

როგორც კოტე მაყაშვილის მოხსენებაში აღინიშნა, ამ დროისათვის ხელოვანთა კავშირში იყო 548 წევრი. აქედან მწერალი — 245, მსახიობი — 135, მხატვარი — 95, მუსიკოსი — 73.

ხელოვანთა კავშირში არ შედიოდნენ, პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და ფუტურისტები.

1928 წელს საქართველოს ხელოვანთა კავშირი და მისი მთავარი კომიტეტი გაუქმდა. მანამდე კი, როგორც ტიციან ტაბიძე წერდა [57], „მთელი ლიტერატურული მუშაობა ტფილისში უმთავრესად წარმოებდა ხელოვანთა სასახლეში“ სწორედ „საქართველოს ხელოვნების მთავარი შტაბის“ — საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის მეთაურობით, რომელშიც წამყვანი ადგილი მწერლებს ეჭირათ.

* * *

როგორც მწერალთა მე-3 კონფერენციაზე (1921) ალექსანდრე აბაშელმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა (ამ კონფერენციის შესახებ ცოტა ქვემოთ), იმის გამო, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი ხელოვანთა მთავარ კომიტეტს ჩაუდგა სათავეში, 1921 წლის 9 აპრილს მწერალთა კავშირის საბჭომ აირჩია ახალი პრეზიდიუმი: ალექსანდრე აბაშელი (თავმჯდომარე), ტიციან ტაბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგები) [58]. სწორედ ამიტომ იყო, რომ მე-3 კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით ალექსანდრე აბაშელი წარსდგა.

როგორც ვხედავთ, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში არ არის კოტე მაყაშვილი.

კოტე მაყაშვილი რჩებოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ (მას იხსენიებენ უცვლელ თავმჯდომარედ), მაგრამ მას დიდ დროს

---

[57] ვ ა რ ლ ა მ გ ა გ ე ლ ი, „ხელოვანთა სასახლე“, გაზ. „რუბიკონი“, 1923, № 1.

[58] ლხცსა, 8—1—9.

ართმევდა ახალი თანამდებობა ხელოვანთა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეობა) [59].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდაქმნების, ახალი ორგანიზაციების, ახალი ინსტიტუტების შექმნის დაუდეგელ ეპოქაში ბევრი რამ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო. მწერალთა კავშირს კი ესაჭიროებოდა ოპერატიული ხელმძღვანელობა და, ალბათ, საჭიროდ მიიჩნიეს ასეთი ხელმძღვანელობის არჩევა.

ასე თუ ისე, მალე, იმავე წლის შემოდგომაზე, კოტე მაყაშვილი ისევ აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ.

ეს მოხდა ქართველ მწერალთა მესამე კონფერენციაზე, რომელიც ხელოვანთა სასახლეში გაიმართა 1921 წლის 9—12 ოქტომბერს.

კონფერენციამ მოისმინა ალექსანდრე აბაშელის მოხსენება „რაბისი და მწერალთა კავშირი“ [60]. მოხსენებაში ლაპარაკი იყო იმ მატერიალურ, ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ სიძნელეებზე, რომლებიც თან ახლდა საანგარიშო პერიოდს (1920—1921), კერძოდ, სიძნელეები შექმნა მწერალთა კავშირის მთავარი ფინანსიური დასაყრდენის კაფე-რესტორან „ქიმერიონის“ დახურვამ. მოხერხდა ცოტაოდენი ქაღალდის დაგროვება, პირველი „პოეზიის დღის“ ჩატარება (რამაც მკრთალად ჩაიარა).

მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწერალთა კავშირის პროფესიული ფუნქციები გადავიდა ახალ ნიადაგზე მოწყობილი ხელოვნე-

---

[59] თუ რამდენ დროს, ენერგიასა და ნერვებს ითხოვდა ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის ხელმძღვანელობა, თუნდაც ერთი საკითხის მოგვარება, კარგად ჩანს კ. მაყაშვილის მოხსენებიდან ამ კომიტეტის საქმიანობაზე 1922—1923 წლებში:

„სრ. საქ. ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარ კომიტეტის და ხელოვნების სასახლის მდგომარეობა საანგარიშო წელთა განმავლობაში იმისთანა გამოურკვეველი და მერყეევი იყო, რომ მათ სისტემატიურ და ყოველმხრივ ნაყოფიერ მუშაობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. 1921 წლის განმავლობაში მთავარმა კომიტეტმა მოიგერია რამდენიმე ათეული ორდერი სხვადასხვა დაწესებულებების მიერ აღებული ხელოვნების სასახლეზე. შემდეგი ორი წლის განმავლობაში თითქმის კვირა არ გასულა ისე, რომ ყოველთვის უსაფუძვლო და უნიადაგო ხელოვანთა კავშირის მოქმედების ან მარტო მისი არსებობის შესახებ ყალბის ინფორმაციით გამოწვეული რაიმე მუქარა თავს არ დასტეხოდა კომიტეტს. ეს გარემოება ჰქმნიდა ნერვიულ ატმოსფეროს“ (სსლმ, 5792 — 6).

[60] ლხცსა, 8—1—5; გაზ. „პრავდა გრუზიი“ 1921, № 184; კონფერენციის გახსნის შესახებ იხ. კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „ქართველ მწერალთა კონფერენცია“, გაზ. „ტრიბუნა“, 1921, № 45.

ბის მუშაკთა ორგანიზაციის „რაბისის“ [61] ხელში. კულტურული მუშაობის სფეროც გადაეცა სახელმწიფო ორგანოებს (სახელმწიფო გამომცემლობა და აკადემიური ცენტრი). მაგრამ ვინაიდან საქართველოში მწერალთა კავშირს დიდი მორალური ღირებულება აქვს, სახელმწიფოებრივი ორგანოები ანგარიშს უწევენ მას. კერძოდ, 1921 წლის 24 აგვისტოს სახალხო განათლების კომისარიატთან შეიქმნა აკადემიური ცენტრის მთავარი სახელოვნო კომიტეტი, რომლის ხელში მოექცა უფლებრივად ხელოვნების ყველა დარგის მოწყობა და ხელმძღვანელობა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამ კომიტეტის შემადგენლობა მწერალთა კავშირის საბჭოსთან შეთანხმებით შედგა [62].

---

[61] Рабис-ი (Всерабис — Всесоюзный профессиональный союз работников искусств) შეიქმნა 1919 წ.

[62] ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი და განათლების კომისარიატთან არსებული აკადემიური ცენტრის მთავარი სახელოვნო კომიტეტი. პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, მეორე — სახელმწიფო.

ვინაიდან სახელოვნო კომიტეტის სექციებსა და კოლეგიებში ბევრი მწერალი შედიოდა, მოგვაქვს მისი სრული შემადგენლობა (გაზ. „ტრიბუნა“, 1921, 9.9 № 7):

სახელოვნო კომიტეტს ჰქონდა შემდეგი სექციები: ლიტერატურული (ალექსანდრე აბაშელი — გამგე, გრიგოლ რცხილაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი), მუსიკალური (მელიტონ ბალანჩივაძე — გამგე, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, გ. საყვარელიძე, ნ. ქართველიშვილი), სათეატრო (შალვა დადიანი — გამგე, ალექსანდრე წუწუნავა, სანდრო ახმეტელი), სახვითი (გრ. გრინევსკი — გამგე, იაკობ ნიკოლაძე, გიგო გაბაშვილი), კინოს (ივანე პერესტიანი) და კოლეგიები: ძველი და თანამედროვე ქართული მწერლობის გამოცემისა (ია ეკალაძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, შალვა აფხაიძე), უცხოეთის მწერლების პერიოდული კრებულების გამოცემისა (ლეო ქიაჩელი, ილია აგლაძე, პაოლო იაშვილი), ხალხური პოეზიის შემსწავლელი და სისტემაში მომყვანი (დავით თურდოსპირელი — ჩხეიძე, ვლადიმერ ტუქსიშვილი — ჩოხელაშვილი, შ. ბილანიშვილი), ხელოვნებასა და ესთეტიკაზე მოხსენებების მომწყობი (მიხეილ აბრამიშვილი, ალი არსენიშვილი), საქართველოს ბუნების ესთეტიკურად შესწავლისა და სალიტერატურო მოგზაურობათა (ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე), პოპულარული საჯარო ლექციების მომწყობი (იპოლიტე ვართაგავა, სოლომონ თავაძე, ივანე ყიფიანი), ქართველი კლასიკოსების მონოგრაფიულად შესწავლისა (სამსონ ფირცხალავა, პაველ ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი).

საბელოვნო კომიტეტის მდივანი იყო შალვა აფხაიძე.

1923 წლის ივლისში მოხდა სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაცია, გაუქმდა მთელი მისი შემადგენლობით და ხელახლა შეიქმნა ახალი ფუნქციებით, მის თავმჯდომარედ დაინიშნა განათლების კომისარი დავით კანდელაკი, მოადგილე და ლიტერატურული განყოფილების გამგე — სანდრო ეული-ქურიძე, მუსიკალური განყოფილების გამგე — მელიტონ ბალანჩივაძე (გაზ. „კომუნისტი,“ 1923, № 152).

ალექსანდრე აბაშელის მოხსენებაში აღინიშნა, აგრეთვე, რომ მწერალთა კავშირი მართავდა მოხსენებებს, საბჭომ შეიძინა პავლე თუმანიშვილისეული წიგნთსაცავის ნაწილი (ბელეტრისტიკა) [63], რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მალე, 15 აპრილს, მწერალთა კავშირმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოთა საქართველოს მთავრობას მწერლების უზრუნველყოფის თაობაზე. და საქართველოს რევკომმა იმავე წლის 25 აგვისტოს დაამტკიცა სია იმ მწერლებისა, რომელთაც დაენიშნათ დახმარება.

კამათი გამოიწვია „რაბისში" შესვლის საკითხმა. კონფერენციამ მხარი დაუჭირა ამ ორგანიზაციაში მწერალთა შესვლას პერსონალურად.

კონფერენციამ მოისმინა ვახტანგ კოტეტიშვილისა და ტიციან ტაბიძის მოხსენებები ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემის თაობაზე, გაიზიარა სახელმწიფო გამომცემლობის პრინციპი, ამავე დროს საჭიროდ მიიჩნია მწერალთა კავშირს ჰქონოდა საკუთარი გამომცემლობა და სტამბა. კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „სახელმწიფო გამომცემლობის არსებული პირობები ვერ აკმაყოფილებენ მწერალთა კავშირის მიერ დასახულ მიზნების განხორციელებას ამ სფეროში. მწერალთა ყრილობა საჭიროდ ცნობს მიეცეს მწერალთა კავშირს უფლება თვით ჩაუდგეს სათავეში მხატვრული გამომცემლობის საქმეს, რისთვისაც შუამდგომლობს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას სტამბა და სხვა საგამომცემლო ტექნიკური საშუალებანი" [64].

---

[63] აქვე უნდა აღინიშნოს, „თანახმად განათლების კომისრის მანდატისა ტიციან ტაბიძემ და ვახტანგ კოტეტიშვილმა გადასწერეს ყოფილი პროფ. ი. ვერხოვსკის ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 2000-მდე მხატვრულ წიგნს, რომელიც მალე გადატანილ იქნება ხელოვნების სასახლეში, სადაც ეწყობა ცენტრალური სამხატვრო ბიბლიოთეკა" (გაზ. „კომუნისტი", 1922, № 82).

[64] ლხცსა, 8—1—5—15; ეურნ. „ლომისი", 1922, № 2; აქვე უნდა აღინიშნოს: მწერალთა შორის გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია გამომცემლობის მოწყობას: „დღიდან მწერალთა კავშირის დაარსებისა, მის უმთავრეს საზრუნავ საგნად უნდა გადაქცეულიყო საქართველოში გამომცემლობის საქმის მოგვარება.

სამწუხაროდ, უმთავრესი ყურადღება იმთავითვე რესტორან „ქიმერიონის" მოწყობამ შეიწირა.

მართალია, „ქიმერიონი" — ცდა იყო კავშირის ნივთიერ საშუალებათა მოპოვებისა, მაგრამ ფაქტია, რომ ქიმერიონის „ამბებმა" უფრო ზარალი მისცეს მწერლებს და დრო ტყვილა დაკარგვინეს" (ადონის — მიხეილ ბოჭორიშვილი, „გამომცემლობისათვის", გაზ. „ლომისი", 1922, № 4).

მაგრამ ახლა მოვისმინოთ ასევე იმ დღეების მომსწრე ხელოვანის აზრი, რაც ჩამოყალიბდა წლების გასვლისა და ფაქტების და მოვლენების („ქიმერიონში" ლექსების კითხვა, ექსპრომტების თქმა, მხატვართა გამოფენების, სუ-

ახალი საბჭოს დადგენილებით მწერლებისაგან ნაწარმოებთა შეფასებისა და გამოსაცემად შეიქმნა მწერალთა კავშირის გამოცემათა სარედაქციო კომისია: გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია.

რეზოლუციაში გათვალისწინებული იყო ხელოვანთა სასახლეში ლიტერატურული საღამოების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, მწერალთა სამუშაო ოთახების მოწყობა.

სამეურნეო საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა არჩილ რუხაძე.

საბჭომ არასასურველად მიიჩნია სასახლეში კერძო ბინების არსებობა.

კონფერენციამ აირჩია მწერალთა კავშირის ახალი საბჭო: ალექსანდრე აბაშელი, ილია აგლაძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, ია ეკალაძე, სოლომონ თავაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, კოტე მაყაშვილი, არჩილ რუხაძე, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ კონფერენციაზევე აირჩიეს კოტე მაყაშვილი.

ახალარჩეულმა საბჭომ შექმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარე — კოტე მაყაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგები — იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე [65].

ბუღალტერიის წარმოებაში სარევიზიო კომისიის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გამო ძველი გამგეობისა და პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი ახალ გამგეობასა და პრეზიდიუმში ვერ მოხვდა.

არჩევნებში დამარცხებულებმა (ცისფერყანწელები და ზოგიერთი სხვა) განაცხადეს (პაოლო იაშვილი), ამიერიდან ჩვენ კავშირში ვერ დავრჩებით, გავდიოართ მწერალთა კავშირიდან და

რათების აუქციონების, უბრალოდ ქეიფისა და პოეტთა — მაგალითად, გიორგი ლეონიძის — ქორწილის მოწყობა და სხვ.) მნიშვნელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე, მწერალთა და ხელოვანთა დაკავშირება-დამეგობრებაზე მათი ზემოქმედების შორიდან აწონ-დაწონვის შედეგად: „ერთი შეხედვით, ყოველივე ამას, თითქოს მხოლოდ გართობის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. „ქიმერიონის“ შეხვედრებმა და საღამოებმა უდიდესი როლი შეასრულეს იმდროინდელი მხატვრული ინტელიგენციის ეროვნული სახის ჩამოყალიბებისა და მისი ეროვნული პოზიციის განმტკიცების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მწერლები და ხელოვნების მუშაკები ხვდებოდნენ ერთმანეთს... ახლაც კი ბევრჯერ მენატრება ის განწყობილება და შთაგონება, რომელიც „ქიმერიონში“ სუფევდა“ (ლადო გუდიაშვილი, მოგონების წიგნი, გვ. 14—15).

[65] გაზ. „ტრიბუნა“, 1921, 26.10. № 56; რამდენადმე განსხვავებულია თანამდებობის განაწილება ლხცსა-ს 8—1—10—1 მონაცემებით (იხ. გვ. 42).

ახალ მწერალთა კავშირს ვაარსებთო. საბჭოდან გავიდნენ ტიციან ტაბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი [66].

ეს ჯგუფი კავშირიდან გასვლას ასე ხსნიდა: ზოგიერთებმა მოინდომეს მწერალთა კონფერენციის მუშაობისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ, ამიტომ წმინდა ესთეტიკური ორიენტაციის მქონე ერთი ჯგუფი მწერალთა კავშირს გამოეთიშეთო.

ეს მოსაზრება მათ დაუბეჭდავთ რუსულ „თეატრალურ ბიულეტენში". ამან მწერალთა კავშირის საბჭოს წყრომა გამოიწვია. აი რას წერდა „მწერალთა საბჭოს წევრი" წერილში „ქართველ მწერალთა გათიშვისათვის".

„რას ნიშნავს ეს დღევანდელ პირობებში, თუ არადა დასმენას? რატომ ქართულ პრესაში არ გაუშვეს ასეთი შენიშვნა განდგომილებმა? მათ კარგად იციან, რომ ქართულ პრესაში ეს რომ დაეწერათ, ყოველი რიგიანი ქართველი შესაფერ მსჯავრს დასდებდა ასეთ ინსინუაციას" [67].

ასეა თუ ისე, მწერალთა კავშირი გაითიშა.

საქართველოს მწერალთა კავშირმა განაგრძო თავისი საქმიანობა. ამის თაობაზე განცხადებაც კი გამოაქვეყნა: საბჭო ისევ განაგრძობს კავშირის საქმეების მართვა-გამგეობას დამოუკიდებლად იმ ჯგუფისა, რომელმაც კავშირიდან გასვლა განაცხადა არჩევნების შემდეგ და დააარსა ე. წ. „ახალი მწერლობის კავშირი" [68].

ახალი მწერლობის კავშირი კი ასე ჩამოყალიბდა: კონფერენციის დამთავრებისთანავე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი და ტიციან ტაბიძე [69].

კვირას, 1921 წლის 23 ოქტომბერს, ხელოვნების სასახლეში გაიმართა საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის დამფუძნებელი კრება (ანუ ყრილობა, როგორც ზოგიერთ გაზეთში უწოდებდნენ). თავმჯდომარეობდა გერონტი ქიქოძე, მდივანი იყო მიხეილ აბრამიშვილი. კრებას ცისფერყანწელთა სახელით მიესალმა პაოლო იაშვილი. მოხსენებით — „სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ორგანიზაციის შესახებ" — გამოვიდა ტიციან ტაბიძე.

კრებამ ერთხმად მიიღო მოხსენება და ახალი კავშირის წევრებად დაამტკიცა მიხეილ აბრამიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ალი არ-

---

[66] „დეკლარაცია ახალი მწერლობის" — ჟურ. „ლაშარი", 1923, № 1; ლხცსა, 8—1—5 და 8—1—12—11.

[67] გაზ. „ტრიბუნა", 1921, № 31.

[68] გაზ. „ტრიბუნა" 1921, № 69.

[69] გაზ. „კომუნისტი", 1921, 23.10.

სენიშვილი, შალვა აფხაიძე, აკაკი ბერეკაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, რაუდ (რაჟდენ) გოგოხია, ტერენტი გრანელი (კვირკველია), სეზმან ერთაწმინდელი (ბატკუაშვილი), პაოლო იაშვილი, ინბანი (იროდიონ სონღულაშვილი), პავლე ინგოროყვა, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), სერგო კლდიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლადო მაჭავარიანი, ნიკოლო მიწიშვილი (სირბილაძე), კოლაუ ნადირაძე, გიონ საგანელი (გიორგი საგანელიძე), ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, სანდრო ყანჩელი, იოანე ყიფიანი, გრიგოლ ცეცხლაძე, სანდრო ცირეკიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გრიგოლ ჯაფარიძე, ლელი ჯაფარიძე.

კრებამ დაამტკიცა აგრეთვე კანდიდატები.

არჩეულ იქნა ახალი მწერლობის კავშირის საბჭო (ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე) და სარევიზიო კომისია (მიხეილ აბრამიშვილი, აკაკი ბერეკაშვილი, სეზმან ერთაწმინდელი) [70].

ახალი მწერლობის კავშირის საბჭოს პრეზიდიუმში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე [71].

ახალი მწერლობის კავშირი შეეცადა ჰქონოდა თავისი ბეჭდვითი ორგანო: 1923 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო ჟურნალ „ლაშარის" გამოცემა (მაგრამ გამოვიდა მხოლოდ 1 ნომერი), 21 იანვრიდან კი — გაზეთ „რუბიკონისა" (გამოვიდა 16 ნომერი). ამავე კავშირმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსცა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე" (1922 და 1923 წ. წ. 6 მაისს); 1922 წ. ჩაატარა ალი არსენიშვილის (იანვ.), 1923 წ. პაოლო იაშვილის (იანვ.), ვახტანგ კოტეტიშვილის (თებ.) მოხსენებები, შალვა კარმელის საღამო (4.2) და სხვ. [72].

ამ კავშირისაგან განსასხვავებლად, საქართველოს მწერალთა კავშირს პრესაში უწოდეს ძველ მწერალთა კავშირი. ამან გამოიწვია პრესის საყურადღებოდ ასეთი განცხადების გამოქვეყნება:

„სრ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს ზოგიერთ გაზეთების საყურადღებოდ, რომელნიც ამ კავშირს „ძველ მწერალთა კავშირს" უწოდებენ, ასეთი სახელწოდება არა აქვს ჩვენ მწერალთა კავშირს და არც შეეფერება მას სრულიად.

---

[70] გაზ. „ტრიბუნა" 1921, № 58; 1922 წლის აპრილში ახალი მწერლობის კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ გამგეობაში დამატებით შეიყვანა 5 კაცი: შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე (გაზ. „ტრიბუნა", 1922, № 90).

[71] გაზ. „ბარიკადი", 1922 № 4.

[72] გაზ. „ბარიკადი", 1922, № 56; გაზ. „რუბიკონი," 1923, №№ 1, 2, 3, 4, 5.

ამიერიდან საქართველოს მწერალთა კავშირი ასეთ საქციელს შეპრესეებისა და რეპარტიორების მხრით მიიღებს შეურაცხყოფად და სათანადო პასუხსაც მოსთხოვს მათ.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი“ [73].

* * *

მაგრამ დავუბრუნდეთ საქართველოს მწერალთა მესამე კონფერენციას. მის მიერ არჩეულმა ახალმა საბჭომ პირველ სხდომაზე (1921. 19.10) განსაზღვრა პრეზიდიუმის შემადგენლობა — 5 კაცი, ხოლო 1921 წლის 23 ოქტომბერს აირჩია პრეზიდიუმი: კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე), ლეო ქიაჩელი (თავმჯდომარის ამხანაგი, (1921—1922), იოსებ გრიშაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი, 1921—1922), კონსტანტინე გამსახურდია და გალაკტიონ ტაბიძე (წევრები), იმავე წლის 21 ნოემბრიდან საბჭომ ლეო ქიაჩელის თანამდებობას სახელი შეუცვალა — თავმჯდომარის მოადგილე უწოდა, ხოლო საბჭოს მდივნად მიხეილ ბოჭორიშვილი მიიწვია.

საბჭომ სინანული გამოთქვა მისი შემადგენლობიდან ზოგიერთი წევრის გასვლის გამო, პროფესიული ინტერესები მოითხოვენ მთლიანობას, პროფესიულ ფარგლებში, მიუხედავად ლიტერატურული მიმართულებისა, შეიძლება ყველა ჯგუფის ერთად მუშაობა და თუ დაგვიბრუნდებიან, მზად ვართ მივიღოთო[74].

* * *

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საქართველოს მწერალთა კავშირმა შექმნისთანავე დაადგინა ბეჭდვითი ორგანოს დაარსება, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერს გახდა. ეს გულისტკივილით აღინიშნა საქართველოს მწერალთა მეორე კონფერენციაზე (1920. 4—5. 4) მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის მოხსენებაში. შემდეგ მხოლოდ ერთდროული ლიტერატურული გაზეთის „პოეზიის დღის“ გამოცემა მოხერხდა (1920 და 1921 წლის მაისში).

ახლა კი, მესამე კონფერენციის მიერ არჩეულმა საბჭომ შექმნა მწერალთა კავშირის გამოცემათა სარედაქციო კომისია და პრესაში

---

[73] გაზ. „ლომისი“, 1922, № 9.

[74] ლხცსა, 8—1—10—1; 8—1—10—5; 8—1—10—2.

(გაზ. „კომუნისტი“, 1921. № 226) გამოაცხადა: „გამოვა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „ლომისი“. სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე გალაკტიონ ტაბიძე“.

ახალი, 1922 წლის 1-ლი იანვრიდან მწერალთა კავშირის საბჭომ მართლაც შეძლო ყოველკვირეული ჟურნალის (და არა გაზეთის) „ლომისის“ გამოცემა. თუმცა მალე „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ „ლომისი“-ს გამოცემა შეწყდა უსახსრობის მიზეზით“ (იხ. ლეო ქიაჩელის წერილი „ეროვნული კულტურის ფრონტზე“, გაზ. „ლომისი“, 1922 № 1).

გარკვეული შუალედის შემდეგ, იმავე 1922 წლის 3 სექტემბრიდან, ნაცვლად ჟურნალისა მოხერხდა ყოველკვირეული გაზეთის — „ლომისის“ გამოცემა, რომელიც ასევე დაიხურა 1923 წლის 13 მაისს (№ 34) და კვლავ აღსდგა „ხომლის“ სახელწოდებით იმავე 1923 წლის 30 სექტემბერს.

* * *

თანახმად მეორე კონფერენციის (1920) გადაწყვეტილებისა, კონფერენციები უნდა გამართულიყო ყოველ წელს. მაგრამ 1922 წელს კონფერენციის მოწვევა არ მოხერხდა[75], ამიტომ საბჭომ თავის სხდომაზე წლის ბოლოს (29 დეკემბერს) ფარული კენჭისყრით აირჩია ახალი პრეზიდიუმი: კოტე მაყაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და სოლომონ თავაძე[76].

1923 წლის 12—13 აპრილს[77] კი ჩატარდა ქართველ მწერალთა მორიგი, მეოთხე კონფერენცია (ან როგორც ზოგიერთი გაზეთი[78] უწოდებდა — მწერალთა საზოგადო კრება). კონფერენციამ

---

[75] გაზ. „ლომისში“ (1922, №№ 13, 15) გამოცხადებული იყო კონფერენციის დღის წესრიგი და მოწვევის დრო — 1922 წლის 29 დეკემბერი.

კონფერენციის მოუწვეველობის მიზეზზე წერდა ვარამ გაგელი (ტიციან ტაბიძე) 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ (№ 19): თბილისში მწერალთა კავშირი ორად გაიყო, ერთმანეთს ეკინკლავებიან, საზეიმო სხდომაც კი დაიხურა ახალგაზრდების ობსტრუქციის გამო. ამიტომ კონფერენციას ვერ იწვევენო.

ხელოვანთა სასახლეში მოხსენების ჩაშლის შესახებ იხ. აგრეთვე „საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის განცხადება (გაზ. „ლომისი“. 1922 № 9.).

[76] ლხესა, 8—1—29—41. სოლომონ თავაძემ და ლეო ქიაჩელმა ხმების თანაბარი (4) რაოდენობა მიიღეს, მაგრამ ლეო ქიაჩელმა უარი თქვა პრეზიდიუმის წევრობაზე.

[77] გაზ. „კომუნისტი“ (1923, 14,4. № 33) წერდა: 12 აპრილს გაიხსნა მწერალთა ყრილობა. გაგრძელდა სამ დღეს.

[78] გაზ. „ლომისი“ 1923, №№ 32, 33.

(რომელიც გაიხსნა საღამოს 7 საათზე), მოისმინა: 1) მოკლე მიმოხილვა საბჭოს მოქმედებისა (კოტე მაყაშვილი) და 2) ანგარიშები (მიხეილ ბოჭორიშვილი).

აღინიშნა, რომ საბჭომ შეძლო ჟურნ. „ლომისისა“ (შემდეგში გადაკეთდა ყოველკვირეულ გაზეთად) და გაზ. „პოეზიის დღის“ გამოცემა, ლიტერატურული ხუთშაბათობებისა და ზაქარია ჭიჭინაძის სალიტერატურო მოღვაწეობის 50-ე წლისთავის იუბილეს (1922) ჩატარება.

კონფერენციამ წესდებაში შეიტანა ზოგიერთი ცვლილებები.

ამ ცვლილებების გამო გაზ. „ლომისის“ (1923. № 33) მოწინავეში „ქართველ მწერალთა კონფერენცია“ ნათქვამი იყო:

„ახალი სიტუაციის მიხედვით, მწერალთა კავშირის წესდებას ჩამოეცალა ის მუხლები, რომლებიც წმინდა პროფესიონალური ინტერესების დაკმაყოფილებას ისახავდნენ მიზნად; ჩამოსცილდა იმიტომ, რომ მწერალთა პროფესიონალური ინტერესების დასაცავად სპეციალური პროფესიონალური ორგანიზაციები არის შექმნილი. ამნაირად შეცვლილი წესდება მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

ზემოხსენებული ცვლილებების შემდეგ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს ახალი სახე ეძლევა — იგი მხოლოდ კულტურულ ორგანიზაციად რჩება, ისეთს ორგანიზაციად, რომელმაც ქართველ მწერალთა კულტურულ მოთხოვნილებებს უნდა უხელმძღვანელოს და ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სათანადო პირობები შეჰქმნას, მწერლის უპირველეს მოთხოვნილებებს გასაქანი მისცეს“.

მეორე კონფერენციამ საბჭოს წევრებად აირჩია 13 მწერალი: მიხეილ ბოჭორიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, მიმქრალი (ლიდია მეგრელიძე), სოლომონ თავაძე, ვარლამ რუხაძე, პავლე საყვარელიძე, გალაკტიონ ტაბიძე, სიკო ფაშალიშვილი, ლეო ქიაჩელი, ნიკო შიუკაშვილი, ცქვიტი (ანა ხახუტაშვილი), არჩილ ჯაჯანაშვილი.

საბჭომ თავის სხდომაზე 1923 წლის 15 აპრილს აირჩია პრეზიდიუმი: კოტე მაყაშვილი — თავმჯდომარე, ნიკო შიუკაშვილი — მოადგილე, იოსებ გრიშაშვილი, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი [79].

საბჭომ სარედაქციო კომისიაში გამოჰყო იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ თავაძე და ცქვიტი, საფინანსო კომისიაში — მიმქრალი, ვარლამ რუხაძე, პავლე საყვარელიძე და სიკო ფაშალიშვილი, ხოლო საღამოების მომწყობ კომისიაში — გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი და არჩილ ჯაჯანაშვილი.

[79] ლხცსა, 8—1—46.

* * *

რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდებით საღამოების მოწყობაზე.

როგორც ვთქვით, მეოთხე კონფერენციაზე (1923. 12—13. 4.) აღინიშნა, რომ მწერალთა კავშირი ატარებდა ლიტერატურულ ხუთშაბათობებს (უწინ ეწყობოდა ესთეტიკის საღამოები).

პირველი ლიტერატურული ხუთშაბათობა მოეწყო 1921 წლის 24 ნოემბერს. მოხსენებით „სტეფან გეორგე" გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია. ს. გეორგეს ლექსები ქართულად წაიკითხეს იოსებ გრიშაშვილმა და სოლომონ თავაძემ [80].

წლის ბოლომდე ლიტერატურულ ხუთშაბათობებზე მოხსენებით გამოვიდნენ: ლეო ქიაჩელი — „ჩვენი ლიტერატურის გზები და მიზნები", კონსტანტინე გამსახურდია — „თომას მანი", აკაკი შანიძე — „ქართული კრიპტოგრამა", ილია ნაკაშიძე — „ეროვნული შემოქმედება", კოკი აბაშიძე — „ტრაგიკული მხარეები ქართული შემოქმედებისა", დიმიტრი უზნაძე — „ნიკო ბარათაშვილი".

1922 წლის დასაწყისში (12.1) ლიტერატურული ხუთშაბათობა დანტეს გარდაცვალების მე-600 წლისთავს ეძღვნა. ეს სხდომა გახსნა იოსებ გრიშაშვილმა, დანტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა კოკი აბაშიძემ, ლეო ქიაჩელის მოხსენების თემა იყო დანტეს წინა ეპოქის ტრუბადურების პოეზია. სიტყვით გამოსულმა კონსტანტინე გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში ევროპელი მწერლის საიუბილეო საღამოს გამართვისა.

ამას მოჰყვა მორიგი ხუთშაბათობები — იოსებ გრიშაშვილი — „ჰაზირა", ქრისტეფორე რაჭველიშვილი — „თეიმურაზ I", ლეო ქიაჩელი — „რომენ როლანი", იპოლიტე ვართაგავა — „გრიშაშვილი", ალექსანდრე წერეთელი — „შანშიაშვილი", ილია ნაკაშიძე—„რომენ როლანი", კონსტანტინე გამსახურდია — „შპენგლერი", ბავლე ინგოროყვა — „ვეფხისტყაოსნის" გეოგრაფია" (17.12.).

ხუთშაბათობები ეძღვნა დიმიტრი ყიფიანის შოგონებას (9.11.), ტერენტი გრანელის შემოქმედებას.

ქართული თეატრის პრობლემებისადმი მიძღვნილ საღამოზე მოხსენებით გამოვიდნენ კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი და არისტო ჭუმბაძე (დეკ.).

---

[80] გაზ. „ტრიბუნა", 1921, № 84. მასალები ლიტერატურული ხუთშაბათობების შესახებ ჟურნ. „ლომისში" (1922), გაზ. „ლომისში" (1922—23).

* * *

საქართველოს მწერალთა კავშირს, რომელიც გრძნობდა, რომ ახალ პირობებში ისედაც არ იყო მთელი ქართველი მწერლების კავშირი, აწუხებდა მისგან ახალი მწერლობის კავშირის გამოყოფა, ამიტომ 1923 წლის 8 ივნისს მისმა საბჭომ გამოჰყო კომისია (კოტე მაყაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, სოლომონ თავაძის და არჩილ ჯაჯანაშვილის შემადგენლობით), რომელსაც დაევალა ახალი მწერლების კავშირთან მოლაპარაკება გაერთიანების თაობაზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი და მისგან 1921 წელს გამოყოფილი ახალი მწერლობის კავშირი მალე ისევ შეერთდნენ. ეს მოხდა მეხუთე, გამაერთიანებელ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1923 წლის 27 — 28 ოქტომბერს. (პირველი სხდომა — 27.10. საღამოს 8—12 ს., მეორე, გაერთიანებულ კავშირთა სხდომა — 28.10. ნაშუადღევის 1—4 საათზე).

კონფერენცია გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა.

კონფერენციის თავმჯდომარეებად აირჩიეს ალექსანდრე აბაშელი, შალვა დადიანი და ნინო ნაკაშიძე, მდივნებად — ანა ღვინიაშვილი, დემნა შენგელაია და ხარიტონ ვარდოშვილი, საპატიო თავმჯდომარეებად — შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და დუტუ მეგრელი.

კონფერენციამ პატივი სცა ახალგარდაცვლილი მწერლების ილია ნაკაშიძისა და სანდრო ცირეკიძის ხსოვნას.

მწერალთა კავშირის წარსულ მუშაობაზე წაკითხულ მოხსენებაში ამ კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკო შიუკაშვილმა აღნიშნა: მოკლე დროში (6 თვე წინა, მეოთხე კონფერენციის შემდეგ) მიუხედავად სიძნელეებისა, მაინც მოხერხდა გაზეთ „ლომისის“ 2 ნომრისა და გაზ. „ხომლის“ 5 ნომრის გამოშვება, „ხომლი“ საბჭოს მთავარი საზრუნავია.

ფინანსიური ანგარიშით კონფერენციის წინაშე წარსდგა მიხეილ ბოჭორიშვილი, სარევიზიო კომისიის დასკვნა კი წაიკითხა გიორგი მუმლაძემ.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა და ახალი მწერლობის კავშირის გაერთიანების თაობაზე ილაპარაკა კოტე მაყაშვილმა.

დიდი კამათის შემდეგ (იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ თავაძე, კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურია), პავლე საყვარელიძე, სიმონ

ქვარიანი, არისტო ჭუმბაძე და სხვ.) კონფერენცია ხმის დიდი უმრავლესობით მიემხრო კავშირების გაერთიანებას[81].

მეორე დღეს გაერთიანებული მწერალთა კავშირის სხდომის თავმჯდომარე შალვა დადიანი მიესალმა მწერალთა ოჯახის გამთლიანებას. ახალი მწერლობის კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა წაიკითხა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაერთიანებული ბიუროს სხდომის ოქმი „ახალი მწერლობის კავშირის" „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირთან" გაერთიანების თაობაზე, რომელსაც კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე (24.10) მოაწერეს ხელი კოტე მაყაშვილმა (თავმჯდომარე), ვახტანგ კოტეტიშვილმა (მდივანი), პაოლო იაშვილმა, პავლე ინგოროყვამ, ლეო ქიაჩელმა, იოსებ გრიშაშვილმა[82] და რომელშიც ნათქვამი იყო: „მწერალთა კავშირი, რომელიც აერთებს მთელს ქართულ მწერლობას განურჩევლად მიმართულებისა, ღირსეულად შეასრულებს ქართული კულტურის წინაშე იმ დიდ დანიშნულებას, რომელიც ისტორიულად აქვს დაკისრებული ქართულ ლიტერატურას... ახალი მწერლობის კავშირი „იხსნის" კავშირის" სახელწოდებას და რჩება ლიტერატურული მიმართულება. მას, როგორც ერთ ნაწილთაგანს სრულიად საქ. მწერალთა კავშირისა, აქვს საკუთარი გამომცემლობა და ლიტერატურული გამოსვლები".

გამოითქვა აზრი, რომ საბჭოს წევრთა რაოდენობა გაზრდილიყო 33 კაცამდე, რათა უფრო გაცხოველებულიყო მუშაობა. სხდომის პრეზიდიუმის წევრებმა გამაერთიანებელი ბიუროს წევრებთან ერთად შეადგინეს საბჭოს წევრობის კანდიდატთა შეთანხმებული სია და კონფერენციამ მწერალთა კავშირის საბჭოში აირჩია: ალექსანდრე აბაშელი, ვასილ ბარნოვი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, სოლომონ თავაძე, დავით კლდიაშვილი, კონსტანტინე კაპანელი, დავით კასრაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, მარიჯანი (მარიამ ალექსიძე), ნინო ნაკაშიძე, გიორგი ლეონიძე, ვარლამ რუხაძე, პავლე საყვარელიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, შალვა შარაშიძე (თაგუნა), ნიკო შიუკაშვილი, ანა ხახუტაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, არისტო ჭუმბაძე.

საბჭომ თავის პირველ სხდომაზე (29.10) აირჩია შვიდკაციანი

---

[81] გაზ. „ხომლი", 1923, № 1; გაზ. „კომუნისტი" 1923, № 250; გაზ. „ტრიბუნა", 1923, № 608.

[82] ლხცსა, 8—1—50—1.

პრეზიდიუმი: კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე, ევალებოდა საბჭოს წარმომადგენლობა და აერთიანებდა ყველა სექციის მუშაობას), ალექსანდრე აბაშელი (თავმჯდომარის მოადგილე და სალაროს გამგე), იოსებ გრიშაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), პაოლო იაშვილი (ლექციებისა და მოხსენებათა სექციის ხელმძღვანელი), პავლე საყვარელიძე (საფინანსო-სამეურნეო სექციის ხელმძღვანელი), პავლე ინგოროყვა (გამომცემლობის ხელმძღვანელი და მომავალი ყოველთვიური ჟურნალის რედაქტორი), ლეო ქიაჩელი (ყოველთვიური გაზეთის რედაქტორი).

სექციებში წევრებად აირჩიეს:

სამეურნეო-საფინანსოში — რაჟდენ გვეტაძე, დავით კასრაძე, დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ლექცია-მოხსენებისაში — კონსტანტინე კაპანელი, მარიჯანი, არისტო ჭუმბაძე.

საგაზეთოში — სოლომონ თავაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიკო ფაშალიშვილი.

საგამომცემლო-საჟურნალოში — ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, სანდრო შანშიაშვილი.

საბჭომ დაადგინა: ლიტერატურული ხუთშაბათობების ნაცვლად მოეწყოს ლიტერატურული შაბათები, რადგან ხუთშაბათობით ქართული დრამის პრემიერებია დანიშნულიო[83]. (პირველ ლიტერატურულ შაბათს კონსტანტინე კაპანელმა წაიკითხა მოხსენება „ტროპიზმი და მარადისობის იდეა“ — 1923. 10.11; შემდეგი ლიტერატურული შაბათი ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნას (დეკემბ.) ეძღვნა. მოხსენებით გამოვიდნენ: ვახტანგ კოტეტიშვილი და მიხეილ ბოჭორიშვილი)...

საბჭომ დაადგინა: მწერალთა კავშირების გაერთიანების აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთს „ხომლს“ (ჟურნ. „ლომისის“ და გაზ. „ლომისის“ მემკვიდრეს) ეწოდოს „ივერია“.

„ხომლის“ ბოლო ნომერმა (1923.28.10) გზა დაულოცა მწერალთა კავშირის გაერთიანებას (სარედაქციო წერილი „მწერალთა კონფერენციისათვის“), ხოლო „ივერია (1923. 4.11.) მიესალმა მომხდარ გაერთიანებას (ლეო ქიაჩელის, ვახტანგ კოტეტიშვილის, პაოლო იაშვილის, შალვა დადიანის წერილები). გაზ. „ივერიის“ № 2, გამოვიდა 11 ნოემბერს და ამის შემდეგ გაზეთს ეწოდა „ქართული სიტყვა“, რომელიც გამოდიოდა 1923 წლის 18 ნოემბრიდან 1924 წლის 8 ივნისამდე (№ 30).

---

[83] ლხცსა, 8—1—49—1; გაზ. „ხომლი“, 1923, № 1; გაზ. „კომუნისტი“, 1923, № 252.

* * *

მიუხედავად ამ გაერთიანებისა, მიუხედავად სახელწოდებისა, „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“, — ეს ორგანიზაცია არ იყო ყველა ქართველი მწერლის გამაერთიანებელი. არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ძირეულად შეცვალა მდგომარეობა — ამიერიდან ლიტერატურულ ცხოვრებას განსაზღვრავდნენ რევოლუციურ პოზიციებზე მდგომი მწერლები, შეიქმნა გამარჯვებული კლასის, პროლეტარიატის წარმომადგენელ მწერალთა ორგანიზაცია — პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც, ცხადია, ვერ გაერთიანდებოდა ძველ მწერალთა კავშირთან.

შეიქმნა, აგრეთვე, ფუტურისტთა დაჯგუფებაც (1922) [84].

იმდროინდელი პრესის ცნობით[85] პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შექმნის შემდეგ ხელოვანთა სასახლეში არსებული ძველი დაჯგუფებები გაითიშა. ნაწილი „ქიმერიონში“ გადასახლდა, ნაწილმა კი ობოლი მუშის (სოლომონ თავაძის) პირით თქვა, პროლეტარიატის სამსახურში ვდგებითო.

თვით ახალი მწერლობის კავშირი, მართალია, გაერთიანდა საქართველოს მწერალთა კავშირთან, მაგრამ დარჩა როგორც ლიტერატურული მიმართულება საკუთარი გამოცემებით, ლიტერატურული გამოსვლებით და ხელმძღვანელობით (გაერთიანებისთანავე აირჩიეს ახალი მწერლობის კორპორაციის თავმჯდომარე) [86].

გარდა ამისა, იყო დაქსაქსულობის სხვა ნიშნები: როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1922 წელს თბილისში გამოვიდა ორი „პოეზიის დღე“, ერთი — სრულიად საქართველოს, ხოლო მეორე — ახალი მწერლობის კავშირისა.

იმავე 1922 წელს გაზ. „ბახტრიონში“ (№ 19) ვარამ გაგელი (ტიციან ტაბიძე) წერილში — „ხელოვნების მთავარი შტაბი“ — აღშფოთებას გამოთქვამდა — ცალკე მწერალთა კავშირი დააარსეს აჭარაში და ქუთაისში, ისინი თბილისს ანგარიშს სრულიად არ უწევენო.

---

[84] საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შექმნამდეც გამოითქვა აზრი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, სამწუხაროდ, ყველას კავშირი არაა — იხ. მარუთა შუამდინარელის (იოსებ გრიშაშვილი) წერილი „მწერალთა კავშირი“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, № 653) და კოტე მაჟაშვილის პასუხი მარუთა შუამდინარელს (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, № 657).

[85] გაზ. „კომუნისტი“, 1922, № 9, ხელმოწერა „რ. კ.“ ალბათ რაჟდენ კალაძე.

[86] გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 611.

წუხდა ტიციან ტაბიძე საქართველოს მწერალთა კავშირის ორად გაყოფაზეც.

იყვნენ დაჯგუფებათა გარეშე მდგარი მწერლებიც, რომელნიც სამწერლო ასპარეზზე რევოლუციამდე გამოვიდნენ, რევოლუცია მიიღეს და ქართველ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი ცხოვრების შენების გზას დაადგნენ.

ყველა ამ დაჯგუფებას ჰქონდა თავისი ესთეტიკური მრწამსი, ლიტერატურული ორგანოები, ჰყავდა თავისი ხელმძღვანელობა და, ივანე კრილოვის ცნობილი იგავ-არაკის პერსონაჟთა მსგავსად, ყველა სხვადასხვა მხარეს მიიწევდა.

საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორია ამ ლიტერატურული დაჯგუფებებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ისტორიაცაა. ამიტომ მოკლედ შევეხებით თითოეულ მათგანს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც ეს დაჯგუფებანი შეიქმნა.

ცისფერყანწელები

ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურული დაჯგუფება, რომელიც ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ჩამოყალიბდა, ორგანიზაციულად გაფორმდა 1916 წელს ქუთაისში, ამავე წელს მათ იქვე გამოსცეს ჟურნალი „ცისფერი ყანწები" (რედ. — პაოლო იაშვილი, № 1, გაზეთი, № 2 — ზამთარი), რის შემდეგ დაჯგუფება ცნობილია ცისფერყანწელების სახელით.

აღნიშნული ჟურნალის 1-ლ ნომერში გამოქვეყნდა „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული მანიფესტი „პირველთქმა". პაოლო იაშვილის მიერ დაწერილი ეს დოკუმენტი ასეა შეფასებული დღევანდელ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში: „ეს ლიტერატურული მანიფესტი, როდესაც ერთი მსოფლმხედველობითა და მხატვრული მეთოდის პრინციპებით შეკავშირებულ ლიტერატორთა გარკვეული ჯგუფი ბეჭდური სიტყვით მიმართავს საზოგადოებას და აყალიბებს თავის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სამწერლო მუშაობის პროგრამას, პირველი იყო ქართული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე" [87].

ცისფერყანწელების დაჯგუფებაში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ივანე ყიფიანი. 1918 წელს დაჯგუფებას შეემატნენ სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი, ალი არსენიშვილი.

სხვადასხვა დროს ამ დაჯგუფების მხატვრული ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყვნენ და მათ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდნენ გრიგოლ ჯაფარი (ჯაფარიძე), ლადო ჯაფარიძე, ელი ჯაფარიძე, ლადო მაჭავარიანი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვიქტორ გაბესკი-

---

[87] მირიან აბულაძე, „ცისფერი ყანწების" ლიტერატურული ჯგუფის პერიოდული გამოცემები, წიგნში „ნარკვევები მეოცე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან", თბ., 1974, გვ. 74.

რია, ლილი მეუნარგია, ლევან ასათიანი, რაუდ გოგოხია, გიონ საგანელი, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ.

პირველ ხანებში ცისფერყანწელებს ფუტურისტებად მიიჩნევდნენ (ამას ხელს უწყობდა მათი განცხადებაც—„ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები“) [88], და ასედაც იყვნენ ცნობილი საზოგადოებაში, პრესაში. (ამბობენ, რომ ხალხი ქართული სიტყვის „ფუტუროს“ შინაარსსაც დებდა ამ სახელწოდებაში. ამას უფრო სიამოვნებით აკეთებდა შემდეგში ნამდვილი ფუტურისტების მიმართო). შემდეგ და შემდეგ ისინი ჩამოყალიბდნენ სიმბოლისტებად. ლოზუნგად გაიხადეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

„პირველთქმა ჩვენი არის შხამური, იგი ადუღებულ ფოლადივით დასწვავს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვანის მტერნო, თქვენ, ვისაც არა გწამთ ხელოვანის მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას“.

დღეს ყოფილი „ცისფერყანწელი“ კოლაუ ნადირაძე ამ დაჯგუფების ასეთ მწვავე გამოსვლას თვლის იმ დროის გამეფებული შტამპისა და ქართული ლექსის დაკნინების წინააღმდეგ მიმართულ რეაქციად. მისი სიტყვებით ეს იყო „ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება — გვებრძოლა მოზღვავებული „პოშლიაკობის“ წინააღმდეგ. გვწამდა, რომ არსებითად სწორ გზას ვადექით, რომ ქართული ლექსის ფორმა და მისი აღნაგობა დაკნინებას განიცდიდა, რომ აკაკი წერეთლის მიერ სავსებით ამოწურული ქართული ლექსის აკაკისებური წყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად, რომ აკაკის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსს სილამაზე და ელეგანტურობა, გააუბრალოეს, დააყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რუსთაველი უფრო თანამედროვე პოეტი იყო, ვიდრე აკაკის მიმბაძველ პოეტთა ლეგიონი.

ცალკეულ გამოჩენილ პოეტთა ხმა (ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე) იკარგებოდა ამ უგემოვნობის ზღვაში, რადგან მათი განცალკევებული, ერთპიროვნული გამოსვლა, რაც მთავარია, არ ქმნიდა ერთ მთლიანსა და მიზანდასახულ ფრონტს, ე. ი. პოეტურ სკოლას“ [89].

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წმინდა ხელოვნების გზაზე შედგომამ „ცისფერყანწელების“ შემოქმედებიდან განდევნა იმდროინდე-

---

[88] პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი, „პირველთქმა“, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, № 1.

[89] კ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, „პოეზიის დღე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1967, № 40.

ლი საქართველოს მტკივნეული საკითხები და მთავარი ადგილი დაუთმო სიკვდილის („გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს“), ლოთობის („ვცხოვრობთ... სიმთვრალეში“), სიმახინჯის თემებს, ისინი უპირისპირდებოდნენ რეალიზმს, უპირატესობას ანიჭებდნენ სინამდვილის სიმბოლოებით ასახვას.

ცხადია, ციისფერყანწელებს საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ძირეული გარდატეხის — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც გადმოჰყვათ ეს დეკადენტურ-სიმბოლისტური შეხედულებები, ეს განდგომა მტკივნეული ცხოვრებისეული საკითხებისაგან. პირველ ხანებში მათ შემოქმედებაში არ აისახა ის მწვავედ მიმდინარე საზოგადოებრივი ძვრები, რაც გამოიწვია საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებამ.

თუმცა სიტყვიერად 1921 წლის თებერვლის შემდეგ „ციისფერყანწელები“ თავიანთ დეკლარაციებში საბჭოთა ხელისუფლებას ერთგულებას პირდებოდნენ, მხატვრული შემოქმედებით ყოველთვის ვერ ამართლებდნენ ამ დაპირებას.

მართალია, პაოლო იაშვილი 1921 წ. 25 თებერვალს თბილისში გამართულ მიტინგზე ლექსით („ახალ საქართველოს“) მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, 1921 წლის 21 მარტს ხელოვანთა სასახლეში წაიკითხა მოხსენება „რევოლუცია და ხელოვნება“ [90], ტიციან ტაბიძემ სტატიები უძღვნა პროლეტარულ კულტურას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ძველი ესთეტური მრწამსის დათმობა. ფაქტია, რომ 1922 წელს ციისფერყანწელებმა თავიანთ დეკლარაციაში კვლავ გამოაცხადეს, ჩვენი ესთეტიკური იდეალების ერთგული ვრჩებითო: „ციისფერი ყანწები“ ერთადერთი შკოლაა პოეტების საქართველოში, რომელიც თავისთავს ამტკიცებს მხოლოდ ესთეტიურად“ [91].

ეს მათ ეამაყებოდათ. მათ გარდუვალად მიაჩნდათ, რომ სხვა ლიტერატურული დაჯგუფებები მწერლობაში სხვადასხვა შეხედულებათა გამოხატვის გამო ღალატობდნენ ესთეტიკურობის პრინციპებს. ამიტომაც ებრძოდნენ ისინი აკადემიური მწერლობის კავშირს, ამიტომაც არ მოსწონდათ პროლეტარული პოეტები.

ეს გამიჯვნა მათი ლიტერატურული ორგანოების სახელწოდებებშიც პოულობდა გამოხატულებას: „ბარიკადზე“ სდგანან გლადიატორები პოეზიის. „ბარიკადი“-ს იქით ჭაობია და გახრწნა“ (გაზ. „ბარიკადი“, 1922, № 5).

---

[90] გაზ. „კომუნისტი“, 1921, 30.3.
[91] გაზ. „ბარიკადი“, 1922, № 4.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ცისფერყანწელთა დეკლარაციიდან მარტო ამ დასაწყისზე არ შეეჩერდეთ. მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა ხშირად ეროვნული ბრძოლისათვის სწირავდა ფორმას. თვით ცისფერყანწელებს კი უნდოდათ ფორმის დახვეწით კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანათ ქართული ლექსი.

სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი ზემოთნახსენებ დეკლარაციაში:

„ჰქონდა გამართლება იმ ანომალიას, რომ ქართველმა მწერლებმა მეცხრამეტე საუკუნე გახადეს ერემიადათ და მწერლობა საშუალებათ ეროვნული ბრძოლისთვის. ადამ მიცკევიჩის სიტყვებია: სამშობლოს სიყვარულს ის გაიგებს, ვინც სამშობლო დაჰკარგა და გასაგებია სიყვარული ქართველ პოეტების, რადგან საქართველო მთელი ათეული საუკუნეების განმავლობაში დაკარგული იყო ყოველთვის. ამიტომ ექნება ყოველთვის გამართლება ქართულ მესიანიზმს. ეს არის დაწყევლა ერის, ეს შეიძლება იყოს ბედის ირონია, მაგრამ სულ დაიღუპება ის ერი, რომელიც დღეს ვერ შეჰქმნის კულტურას, რომელსაც ექნება უნივერსალური ხასიათი და რომელიც არ იქნება გამართლებული კაცობრიობის მასშტაბით.

ამიტომ მხოლოდ ველურებს შეუძლიანთ უარყონ, რომ ქართველი პოეტი მარტო თავის შობის ფაქტით არ იყოს პატრიოტი. მაგრამ პოეზია აყვანილი ეტნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც.

ეს არის ტეზისი ცისფერი ყანწების“.

უნივერსალური ფორმის დაუფლების სწრაფვით იყო ნაკარნახევი პოეზიის აკადემიის შექმნა 1921 წლის ზაფხულში ხელოვნების სასახლეში ცისფერყანწელთა თაოსნობით (გაზ. „პოეზიის დღე“ 1921. 7.5; გაზ. „კომუნისტი“, 1921. № 39).

ამ საქმის ინიციატორები ასე ასაბუთებენ პოეზიის აკადემიის შექმნის საჭიროებას: „საქართველოში დღეს სრულებით არ არსებობს ლექსის კულტურა. არიან პოეტები და ამასთან სახელიანიც, რომელნიც სრულიად მოკლებული არიან ელემენტარულ ცოდნას ლექსისას“, „აკადემია იქნება ლაბორატორია ლექსისა, სადაც დამწყებნი ან ახალგაზრდა პოეტები ისწავლიან ლექსის ტექნიკას“ (გაზ. „ბარიკადი“, 1922 № 4).

პოეზიის აკადემიის მომწყობთ შედგენილი ჰქონდათ გეგმა და 1921—23 წლებში აპირებდნენ გაემართათ მოხსენებები და საღამოები, კერძოდ: „პოეტიკა ნოვალისის“, „ჰენრიხ კლეისტი“, „რიტმის პრობლემა“, „ლირიზმი და პერსონალიზმი“, „პოეზია და ასტრალები“, პაოლო იაშვილი — „არტურ რემბო“, „პოეტი და ბიოგრა-

ფია“, „ფრანსუა ვიიონი“, ტიციან ტაბიძე — „ლაფარგი“, „მედეას პრობლემა“, „ირონია და ცინიზმი“, „პოეტი და გარეგნობა“, ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის საღამო (სიტყვები—პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე), „პროზის პრობლემა — სანდრო ცირეკიძის „მთვარეული“ (მომხ. — ტიციან ტაბიძე), „ალექსანდრე ბლოკი“ (მომხსენ. — ტიციან ტაბიძე, ს. რაფალოვიჩი), პავლე ინგოროყვა — „დეკადანსის საზღვართან“, „სიტყვა როგორც ფონემა“, „ქართული ლექსი“, ვახტანგ კოტეტიშვილი — „პლასტიკური ხელოვნება: ფორმა და შინაარსი“, „ესტეტიკის ალგებრა“, ვალერიან გაფრინდაშვილი — „ლირიკა როგორც ელეზიუმი“, „ახალი მითოლოგია“, მიხეილ აბრამიშვილი — „მხატვრული შემოქმედების პროცესი (ვილჰელმ გუმბოლდტი, აფანასი პოტებნია)“, გიორგი ლეონიძე—„პოეტების გენეალოგია“, შალვა აფხაიძე — „ნიკოლოზ გუმილიოვი“, „სარკის მისტიკა“.

განზრახული ჰქონდათ რუსთაველის ეპითეტის ლექსიკონის შედგენა და ანალიზი, ვაჟა-ფშაველას შესწავლა (გაზ. „ბარიკადი“, 1922 № 4. გაზ. „რუბიკონი“, 1923 № 1, 3.).

ფორმის სრულყოფისათვის, მარადიული იდეების ღირსეულად ხორცშესხმისათვის ბრძოლის მედროშედ პავლე ინგოროყვას [92] მიერ შექმნილი სოლიდური ჟურნალი „კავკასიონიც“ გამოდიოდა. ამ ნიადაგზე ეს ჟურნალი ცდილობდა აკადემიურ და ციხფერყანწელი მწერლების გაერთიანებას, მისი მოწინავეს სიტყვებით რომ ვთქვათ, თავს უყრიდა „ყველა ლიტერატურულ დაჯგუფებას და მან ვალად იდო იყოს არა მარტო ლიტერატურული ორგანო, არამედ მესვეური მთელი ქართული კულტურისა. ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ მარადხელოვნებისა, რომელიც მაღლა დგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ მემარჯვენეებსა და მემარცხენეებზე, მარადი ხელოვნებისა, რომელიც არასოდეს არ ბერდება“.

ცხადია, პოეტური კულტურის სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლა და პოეტური ფორმის სრულყოფისათვის ბრძოლა ძალზე საჭირო იყო, მაგრამ რევოლუცია მხარდაჭერას და ასახვას მოითხოვდა, ხოლო უნივერსალურ ფორმას და ესთეტურობას გამოდევნებული ციხფერყანწელები ხშირად უგულვებელყოფდნენ ცხოვრებისეულ, საჭირბოროტო თემებს.

---

[92] გავიხსენოთ, რომ ამ საკითხებში შეხედულებათა და მიზანთა ერთიანობის გამო პავლე ინგოროყვა 1921—23 წლებში ციხფერყანწელებთან ერთად ახალი მწერლობის კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახდა.

მაგრამ ახალი ცხოვრება, მისი მიღწევები თავისას აკეთებდა და 20-იან წლების შუა ხნიდან ცისფერყანწელებში სუსტდება დეკადენტურ-სიმბოლისტური ნაკადი, თანდათან იჭრება ახალი სოციალისტური საქართველოს სინამდვილის ასახვა.

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, მიუხედავად დეკადენტურ-სიმბოლისტური შინაარსისა, ცისფერყანწელები გამოირჩეოდნენ როგორც ლექსის დიდი ოსტატები, ცხადი გახდება, რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ ჩაყენებას საბჭოთა მწერლების რიგებში.

* * *

1921 წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში თბილისში ჩატარდა ცისფერყანწელების კონფერენცია. მოხსენებებით გამოვიდნენ პაოლო იაშვილი (ხუთი წლის მუშაობის ანგარიში) და ტიციან ტაბიძე (ცისფერყანწელების ტაქტიკა). კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები [93].

* * *

გარდა დასახელებული „ცისფერი ყანწებისა", „ცისფერყანწელთა" დაჯგუფება გაერთიანებული იყო ჟურნალების — „მეოცნებე ნიამორების" (რედ. ვალერიან გაფრინდაშვილი, №№ 1—7, 1919—1922, ქუთაისი; №№ 8—11, 1922—1923, თბილისი), „შვილდოსანის" (1920, 1922, 1924, რედ. ტიციან ტაბიძე), „ბახტრიონის" (1922—1923, თბილისი, რედ. გამომც. გიორგი ლეონიძე), „რუბიკონის" (1923, რედ. — სარედაქციო კოლეგია, თბილისი) ირგვლივ.

ამ ლიტერატურულ დაჯგუფებას ჰქონდა გამომცემლობები „კირჩხიბი" და „მეოცნებე ნიამორები", რომლებიც ქუთაისში ჩამოყალიბდა სანდრო ცირეკიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით („კირჩხიბმა" 1919 წელს გამოსცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების პირველი კრებული „დაისები" და „ახალი პოეზიის ანთოლოგია", 1922 წელს კი ს. ცირეკიძის „მთვარეულები". გამომცემლობა „მეოცნებე ნიამორებმა" — 1919 წელს სტეფან მალლარმეს „ლექსები და პროზა", 1920 წელს — კოლაუ ნადირაძის ლექსების პირველი წიგნი „ბალდახინი").

---

[93] გაზ. „ბარიკადი", 1922, 7.1. № 4.

აკადემიური მწერლობის კავშირი (ასოციაცია)

ამ ლიტერატურულ დაჯგუფებას ძველი მწერლების კავშირსაც უწოდებენ, მას შემდეგ, რაც საქართველოს მწერალთა კავშირს გამოეყო ახალი მწერლების კავშირი (1921 წ. ოქტომბერი). დაჯგუფება ჩამოყალიბდა 20-იანი წლების დასაწყისშივე[94]. 1922—23 წ.წ. მის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვარლამ რუხაძე, სოლომონ თავაძე, არისტო ჭუმბაძე.

ეს მწერლები (და მათთან ერთად მარიჯანი — მარიამ ალექსიძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი) შედიოდნენ ასოციაციის გამგეობაში[95].

გარდა ამ მწერლებისა ზემოხსენებული დამფუძნებელი კრების (1925) მიერ დამტკიცებულ წევრთა სიაში შედიოდნენ: ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ხარიტონ ვარდოშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, დუტუ მეგრელი, ილო მოსაშვილი, შიო მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, ირაკლი ტატიშვილი, ვ. ტუქსიშვილი, ლეო ქიაჩელი, ერმილე შარაშიძე, ნიკო შიუკაშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი (გარდელი), აგრეთვე ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი.

1928 წლის სიაში მხცოვან მწერალთა ბოლო ოთხეული ასოციაციის საპატიო წევრებად არიან მოხსენებული, ხოლო 1925 წლის სიაში ჩამოთვლილთა გარდა ასოციაციის ახალ წევრებად ითვლებიან: მიხეილ აბაშიძე, მიხეილ აბრამიშვილი, ილია აგლაძე, დარია ახვლედიანი, ბანოვანი (ქრისტინე გელოვანი), ივანე ბუქურაული, ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე), მარიამ გარიყული (თათეიშვილი), ია ეკალაძე (კობაანთ თომა — იაკობ ცინცაძე), ილია

---

[94] მაგ. გაზ. „ბარიკადის" 1922 წ. № 5-ში უკვე ასე უწოდებენ, გაფორმება მოხდა 1925 წ. 27 ნოემბერს, როდესაც გაიმართა დამფუძნებელი კრება. იხ. სსლმ, 5794-ხ.

[95] იხ. სია, ხელმოწერილი ასოციაციის პრეზიდიუმის წევრის პავლე ინგოროყვას მიერ 1928 წ. 28.10; 8—1—175-ფ. 2—3.

ელეფთერიძე (ზურაბიშვილი), იპოლიტე ვართაგავა, დომენტი თომაშვილი (ოყრეშიძე), ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი), ივანე იოსელიანი, პოლიო ირეთელი (ყალანდაძე), პოლიკარპე კაკაბაძე, პლატონ კეშელავა (თომაზ ბორელი), ნიკო კეცხოველი, ივანე მაჭავარიანი, საფო მგელაძე, პეტრე მირიანაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ნარკანი (ნიკო კურდღელაშვილი), დავით ნახუცრიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, დავით ონიაშვილი, პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე, თედო სახოკია, ილია სიხარულიძე, იროდიონ სონღული (სონღულაშვილი), დიტო უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნინო ყიფიანი, შალვა შარაშიძე (თაგუნა), ცვარნამი (დავით მებუკე), ცქვიტი (ანა ხახუტაშვილი), ალექსანდრე წერეთელი, სიო ჭანტურიშვილი, სიმონ ჯანაშია, ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკია.

მაგრამ სიაში აღარ არიან ნ. ნიკოლაძე (გარდაიცვალა), შალვა დადიანი, ილო მოსაშვილი, ლეო ქიაჩელი („არიფიონში" გადავიდნენ) და ნიკო ლორთქიფანიძე.

დაჯგუფების შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი, მაგალითად, ვასილ ბარნოვი და დავით კლდიაშვილი თავიდანვე აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ქართველი ინტელიგენციის აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის აუცილებლობას.

კავშირის (ჯგუფის) არაერთგვაროვნებას, იმას, რომ ზოგი მხოლოდ ირიცხებოდა „აკადემიური მწერლობის კავშირის" სიაში, ოციან წლებშივე აღნიშნავდნენ:

„აკადემიურ მწერლობას" ჰყავს ინიციატორთა გაჩგეობა, რომელიც თვითნებურად გამოდის მოხუც და დაჯგუფებათა გარეშე მყოფ მორცხვი მწერლების „ოპეკუნის" როლში და ატარებს მათი წარმომადგენლის სახელს. რა თქმა უნდა, ეს ჯგუფი წმინდა ლიტერატურულ ჯგუფურ მუშაობას ვერ აწარმოებს და ვერც აწარმოებს, რადგან მათი წევრების შემაერთებელი, გარდა საერთო მწერალთა კავშირის წევრობისა და ჯგუფის მოთავეთა პირადი ინტერესებისა, რომელიც უთუოდ არ არის ლიტერატურული სფერო, არაფერი არსებობს" [96].

აკადემიური მწერლობის კავშირის წევრთა მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ეროვნულ მოტივს. ისინი დაინტერესებული იყვნენ და ბევრს ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა მათი საამშობლოს, ქართული კულტურისა და მწერლობის მომავალი, საქართველოში მომხდარი ძირეული გარდატეხის — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

---

[96] გრიგოლ ცეცხლაძე, „მოქმედებისათვის" ჟურნ. „მოქმედება", 1927 წ. 27.6. № 1 რედაქტ. — გრ. ცეცხლაძე.

ისინი პირველად რამდენადმე უნდობლად იყვნენ განწყობილი ახალი საზოგადოებრივი წყობის მიმართ. ცხადია, ადვილი არ იყო ძველის ერთი ხელის დაკვრით ჩამოცილება და ახალი გზის პროგრესულობის უცებ განჭვრეტა.

აკადემიური მწერლების კავშირის წევრთა მერყეობა ასე იყო ახსნილი მათი ჟურნალის „ახალი კავკასიონის" (1925, № 1—2) საპროგრამო წერილში — „რედაქციისაგან":

„1921 წლის თებერვლიდან, როცა საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართული მწერლობის ფართე წრეების წინაშე აქტუალურად დადგა ამ ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობის საკითხი.

ქართული მწერლობის უკეთილშობილეს ტრადიციას წარმოადგენს ის შეურიგებელი რევოლუციური სული, რომელიც ისტორიულად გამომუშავდა მე-19—20 საუკუნეთა მანძილზე, როცა საქართველოს მშრომელი მასები მოწინავე რიგებს შეადგენდნენ რუსეთის ცარიზმთან მებრძოლ რაზმებში. ქართული მწერლობისათვის, რომლის მთავარი ხელმძღვანელი წრეები მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოვიდა, და რომელიც ბუნებრივი ამსახველი იყო მშრომელი მასების რევოლუციური სულისკვეთებისა — ქართული მწერლობის ამ მთავარი რიგებისათვის თითქოს არ უნდა ყოფილიყო უცხო ეს ახალი საბჭოთა რევოლუციური ხელისუფლება.

მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართე წრეებს ხელს უშლიდა იმ თავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა.

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეში ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ, ერთის მხრივ, ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ, უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდენ სრულს განხორციელებას; რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ; რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს; რომ რუსული წიგნი თანდათან დასჩრდილავდა ქართულ წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს შეუწყობდა ობიექტური პირობები.

ეს მერყეობა და უნდობლობის გრძნობა ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინისცენცია, იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში. ამასთან შიში, რომ დიდი მასშტაბის რუსეთის კულტურა დასჩაგრავდა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარ შოვინისტურ ტენდენციების გარეშე.

უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, და ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ და კულტურულ პოლიტიკის ხაზში არის მნიშვნელოვანი მიღწევები".

და ჟურნალის რედაქცია. მიმართავდა ქართველ მწერლებს:

„ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ქართველ მწერალთა ფართე წრეებს გულწრფელი და აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ემსახურონ ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინების საქმეს" [97].

აქ იმ დროისათვის საკმაოდ სწორადაა ჩამოყალიბებული ძველი ინტელიგენციის მერყეობის საფუძველი და ისიც, რომ ახალი ხელისუფლების მოქმედება თანდათან ნიადაგს აცლიდა ამ მერყეობას. საბჭოთა წყობილების ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ჩვენს დროში ქართული ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებამ საკვებით ცხადყო ძველი ინტელიგენციის შიშისა და მერყეობის უსაფუძვლობა.

მაგრამ მაშინ, მიუხედავად სარედაქციო წერილში შეხედულებათა ასე ჩამოყალიბებისა, მერყეობისა და ეჭვების გაფანტვის საფუძველის საკმაოდ ნათლად დანახვისა, და მხურვალე მოწოდებისა — საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ვემსახუროთ ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინების საქმეს, — ასე ადვილი არ იყო ამ მერყეობის დაძლევა.

თვით ჟურნ. „ახალ კავკასიონში", ისევე როგორც მის უშუალო წინამორბედ „კავკასიონსა" და აკადემიური მწერლობის ჯგუფის სხვა პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მხატვრული მასალა ყოველთვის ვერ ამართლებდა ამ მოწოდებასა და დაპირებებს.

ამ ეჭვებისა და მერყეობის გამო იყო, რომ 1921 წელს ჟურნ. „ხომლში" (№ 1) ალექსანდრე აბაშელის, ხარიტონ ვარდოშვილის, სოლომონ თავაძის, იოსებ მშედლიშვილის, ვარლამ რუხაძის ლექ-

[97] ეს სარედაქციო წერილი და ჟურნ. „კავკასიონის" საპროგრამო წერილიც (№ 1) ეკუთვნის 20-იანი წლების ამ ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური ქართული ჟურნალის დამაარსებელსა და რედაქტორს პავლე ინგოროყვას.

სებში, მომდევნო წლებში კი გაზ. „პოეზიის დღეში“ კოტე მაყაშვილის ლექსებსა (1922 წ.) და მოწინავე წერილში (1923) ლაპარაკი იყო მწუხარებაზე, ტანჯვაზე, ნარეკლით მოფენილ გზაზე, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია ჟურნ. „ილიონში“ მოითხოვდა ახალ პირობებში მთელი ეროვნული ენერგია კულტურულ ფრონტზე საბრძოლველად მივმართოთო: „ჩვენ ვიცით მაგალითები, რომ როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს. საქართველოში კულტურული საალყო წესები უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა. ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება“.

ეს იწვევდა მწვავე კრიტიკას პროლეტარული მწერლებისაგან თუ სხვათაგან. შემობრუნების ის მცირე ნიშნები კი, რაც პირველ ხანებში გამოჩნდებოდა ხოლმე აკადემიური მწერლების კავშირის (ასოციაციის) წევრთა შემოქმედებაში, როგორც მართებულად აღინიშნება დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეობაში [98], ხშირად არასწორად, ტენდენციურად იყო განმარტებული და სათუთად მოპყრობის ნაცვლად ზოგჯერ ხელს კრავდნენ ამ მწერლებს.

შემდგომმა მიღწევებმა, საბჭოთა კავშირის სწორმა ეროვნულმა პოლიტიკამ თანდათან გამოაცალა ნიადაგი აკადემიური ჯგუფის მწერლების ჭოჭმანსა და მერყეობას.

* * *

1926 წელს (სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან ცადარჩევის შემდეგ) კოტე მაყაშვილი აირჩიეს აკადემიური მწერლობის ასოციაციის თავმჯდომარედ.

აკადემიური მწერლობის ასოციაციის პრეზიდიუმში შედიოდნენ: პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, არისტო ჭუმბაძე [99].

ამ დაჯგუფების მწერლები გაერთიანებული იყვნენ ჟურნალების: „ხომალდის“ (1921 — 1922, თბილისი, ფაქტიური რედ. — ალექსანდრე აბაშელი), „ლომისის“ (1922, თბილისი, რედ. — სარედაქციო კოლეგია), „ილიონის“ (1922—1923, თბილისი, რედ. — კონს-

[98] იხ. მაგ. გ რ ი გ ო ლ ხ ერ ხ ე უ ლ ი ძ ე, თანამედროვე ქართული პოეზია, თბ., 1977.

[99] ლხცსა, 8—1—133—29; 8—1—198—1.

ტანტინე გამსახურდია), „კავკასიონის“ (1924, თბილისი, რედ. — პავლე ინგოროყვა), „ახალი კავკასიონის“ (1925, თბილისი, რედ. — პავლე ინგოროყვა), „ლაშარის“ (1923, თბილისი, რედ. — სარედაქციო კოლეგია), გაზეთების: „პოეზიის დღის“ (1922, 1923, 1924), „ლომისის“ (1922—1923; თბილისი, რედ. — ლეო ქიაჩელი), „საქართველოს სამრეკლოს“ (1923, თბილისი, რედ. — კონსტანტინე გამსახურდია) გარშემო.

ამ ჟურნალ-გაზეთებს, მართალია, ზოგს ეწერა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო („ლომისი“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“, „პოეზიის დღე“), ზოგსაც („ლაშარი“) „ახალი მწერლობის კავშირის ორგანო“, მაგრამ ძირითადში აკადემიური მწერლობის დაჯგუფების წევრები იბეჭდებოდნენ [100], მეორე მხრით აკადემიური მწერლების დაჯგუფების ბეჭდურ ორგანოებში (მაგ., „კავკასიონი“) ერთიანდებოდნენ ცისფერყანწელებიც და ზოგი სხვა მწერლებიც.

მაგალითად, ამავე „პოეზიის დღეში“ (1922) წარსულზე მგოდებელი ზოგიერთი ლექსის გვერდით გალაკტიონ ტაბიძე წერილში გამარჯვებული ხალხის სამსახურს მოუწოდებდა მწერლობას რეალისტურ ნიადაგზე დგომით. ასევე ხდებოდა ჟურნალ „ლომისშიც“ (1922, № 1), რომელშიც დაბეჭდილია იგივე გალაკტიონ ტაბიძე.

„კავკასიონის“ 1-ლ ნომერში რედაქცია აცხადებდა, ჟურნალი არც ერთი დაჯგუფების არ იქნებაო. მიუხედავად ამისა, „კავკასიონი“ და მისი გაგრძელება „ახალი კავკასიონი“ ძირითადში აკადემიური მწერლობის დაჯგუფების ნაწარმოებებს ბეჭდავდა, თუმცა მის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ „ცისფერყანწელებიც“ (პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე) და თვით პროლეტარული პოეტებიც (რაჟდენ კალაძე, იონა ვაკელი).

ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟურნალ-გაზეთებს ზოგს ეწერა, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოო, ისინი ვერ იქნებოდა მთელი ქართველი მწერლების ორგანო იმ ფაქტის გამო, რომ იქ არ იბეჭდებოდნენ გამარჯვებული კლასის მწერლები, პროლეტარული მწერლები, უფრო მეტიც, ეს ჟურნალ-გაზეთები ზოგჯერ ვერ აერთიანებდნენ ცისფერყანწელებსა და აკადემიური ჯგუფის მწერლებს.

---

[100] ამ მხრივ დამახასიათებელია გაზ. „ბარიკადის“ (1922 № 4). აზრი: „ჟურნალ „ლომისს“ აწერია სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა, მხოლოდ ამიტომ ვხდით მას ბიბლიოგრაფიის საგნათ. „სრულიად“-ს რასაკვირველია დიდი ბრჭყალები აქვს“.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩვენში აქტიურდებიან პროლეტარული მწერლები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისინი არალეგალურ მდგომარეობაში იყვნენ და იბეჭდებოდნენ ბოლშევიკურ გაზეთებში „ბრძოლასა“ და „კომუნისტში“. (სილიბისტრო თოდრია, ნოე ზომლეთელი, სანდრო ეული, იონა ვაკელი).

1921 წლის თებერვლის შემდეგ მათი ლექსები დროდადრო ისევ „კომუნისტში“ იბეჭდებოდა. აგვისტოდან მათ სცადეს დარაზმულიყვნენ პოლიტგანყოფილების მთავარი მმართველობის საგიტაციო განყოფილების მიერ დაწყებული გამოცემის — იუმორისტული ჟურნალ „ყუმბარის“ ირგვლივ (რედაქტორი სანდრო ეული), მაგრამ ამ ჟურნალმა მეორე ნომრამდე ვერ მიაღწია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემდგომშიც, მაშინაც კი, როცა პროლეტარული მწერლები ორგანიზაციულად ჩამოყალიბდნენ და თავიანთი ჟურნალები ჰქონდათ (რომლებიც პირველ ხანებში ერთორ ნომერს ვერ გასცდებოდა ხოლმე), მათ ფართოდ უთმობდა თავის ფურცლებს საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პოლიტიკური და ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალი „მომავალი“ (1921 წლის დეკემბერი — 1924) და გაზეთი „სპარტაკი“ (1922—1925), საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გაზეთ „კომუნისტის“ დამატება — ჟურნალი „დროშა“ (გამოიცა 1923 წლიდან).

თავიდან პროლეტმწერლების ჯგუფი მჭიდრო კავშირში იყო პროლეტკულტთან (და როგორც შემდეგ დავინახავთ, იმეორებდა მის შეცდომებს); 1921 წლის შემოდგომაზე გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ორი განცხადება:

„საქართველოში „პროლეტკულტის“ დაარსებაში დაინტერესებულებმა მიმართონ რუსეთის პროლეტკულტის აღმასკომის „წმუნებულს ს. ქურიძეს“.

„დაარსდა საორგანიზაციო ბიურო საქართველოს პროლეტარულ

მწერალთა ასოციაციისა. ჩაწერა პოლიტგანათლების მთავარმმართველობაში ს. ეულთან“ [101].

ცხადია, ამ განცხადებებს, უპირველეს ყოვლისა, გამოეხმაურებოდნენ შემოქმედებით ასპარეზზე რევოლუციამდე გამოსული პროლეტარული მწერლები (პირველი თაობა). საორგანიზაციო სამუშაოს ჩატარების შემდეგ სწორედ ეს მწერლები გაერთიანდნენ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. გამარჯვებული კლასის მწერლების ეს პირველი ორგანიზაცია საქართველოში შეიქმნა 1921 წლის 17 დეკემბერს სილიბისტრო (სილვა, სილია) თოდრიას, სანდრო ეულის (ქურიძე) და რაჟდენ კალაძის ინიციატივით ხელოვანთა სასახლეში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე.

ამ კრებაზე მოისმინეს რაჟდენ კალაძისა და სანდრო ეულის მოხსენებები. მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვით გამოვიდნენ სანდრო ეული, იონა ვაკელი (მეგრელიძე), სევასტი თალაკვაძე, სილიბისტრო თოდრია, იაკინთე ლისაშვილი (ხომერიკი). ასოციაციას მიესალმა ტიციან ტაბიძე [102].

პროლეტარული მწერლების პირველ თაობაში შედიოდნენ, აგრეთვე, ნოე ზომლეთელი (ქურიძე) და პეტრე სამსონიძე (ქუთათელაძე).

ამ ეტაპზე ქართველი მწერლების თავმოყრის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო სანდრო ეული, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც (1917—1921) წინამძღოლობდა პროლეტარულ მწერალთა ჯგუფს (იონა ვაკელი, ნოე ზომლეთელი, იაკინთე ლისაშვილი, სევასტი თალაკვაძე...).

ასოციაციის შექმნის შემდეგ მისმა წევრებმა ენერგიულად დაიწყეს პროლეტარული მწერლობის დაცვა და პროპაგანდა.

25 დეკემბერს „კომუნისტში“ (№ 246) დაიბეჭდა იონა ვაკელის წერილი „პროლეტარული პოეზია“, სადაც იგი ამბობდა: „ჩვენი

---

[101] გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 214, 217.

[102] გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 241; ჟურ. „ქურა“, 1922, № 1; სანდრო ეული, „წარსულიდან მომავლისაკენ“, ერთდროული გაზეთი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა „5 მაისი“, 1926 წ.; ს. ეულის მიხედვით ასოციაციას მიესალმნენ განათლების სახალხო კომისარი დავით კანდელაკი და აკოფ აკოფიანი. სამწუხაროდ, თვით პროლეტარული მწერლები უზუსტობას უშვებდნენ მოგონებებში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსების გამო. ასე, მაგალითად, ალიო ჩირეხულავა წერილში „ბენიტო ბუაჩიძე“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, (1963, № 50) წერდა: „1926 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“.

ასოციაცია, როგორც აღინიშნა, შეიქმნა 1921 წელს (17.12.) მხოლოდ ესაა, რომ იგი არ იყო მტკიცე ორგანიზაცია, მაგრამ ამის შესახებ საუბარი გვექნება ცოტა ქვემოთ.

მიზანია შესწავლა და გადაძალვა ჩვენამდე არსებული მხატვრულ სკოლებისა ახალ მიღწევათათვის და შესაქმნელად ისეთ ხელოვნებისა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კომუნისტურ საზოგადოებას.

ჩვენ, პროლეტარულ პოეტებს, გვწამს, რომ პროლეტარული პოეზია ახალგაზრდაა, აგრეთვე არ არის ჯერ კიდევ სრულქმნილი ფორმით, მაგრამ ამავე დროს ვამტკიცებთ, რომ ეს მაინც არის ერთადერთი ნამდვილი პოეზია, რომელიც დასაწყისს იჩენს ჩვენს დროში, ძალუძს განვითარება და გადაქცევა კაცობრიულ ხელოვნებად".

30 დეკემბერს იმავე „კომუნისტში" (№ 250) გამოქვეყნებულ სევასტი თალაკვაძის წერილში — „პროლეტკულტის დაარსების გამო", აღნიშნული იყო, რომ სხვა მიმდინარეობათა მწერლები განზე იდგნენ. გამონაკლისია ტიციან ტაბიძე, ჩვენთან დაახლოებული ნიჭიერი პოეტიო.

1921 წლის 31 დეკემბერს გაიმართა ასოციაციის საერთო კრება. საორგანიზაციო ბიუროს სახელით მოხსენება გააკეთა სანდრო ეულმა. განიხილეს და მოიწონეს დროებითი წესდება, რომლის მიხედვით ასოციაციის წევრებად მიიღებოდნენ მუშა მწერლები და არა მუშები (მუშა ინტელიგენტები), რომლებიც ორგანიზაციასთან იყვნენ დაკავშირებული, აირჩიეს მუდმივი გამგეობა: სილიბისტრო თოდრია (თავმჯდომარე) [103], სანდრო ეული (თავმჯდომარის ამხანაგი), იონა ვაკელი (მდივანი), რაჟდენ კალაძე, იაკინთე ლისაშვილი, ტ. სვანიძე, აკოფ აკოფიანი.

1922 წლის 30 იანვარს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ რუსთაველის სახელობის თეატრში გამართა ლიტერატურული საღამო [104].

იმავე წლის 18 თებერვალს გაზ. „კომუნისტში" (№ 39) გამოქვეყნდა სანდრო ეულის წერილი „ლიტერატურული ფრონტი". ავტორმა გააკრიტიკა ყანწელები, თუმცა აღნიშნა, დადებითი მხარეებიც აქვთო. ნაკლებ მორიდებულად მოიხსენია სხვა ჯგუფები, დიდ განძს არ წარმოადგენენო. წერილში აღნიშნული იყო — მწერლობაში საჭიროა ახალი ფრონტის შექმნა და კიდეც ჩამოყალიბდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაო.

---

[103] გაზ. „კომუნისტი", 1922, № 2. შდრ. მიხეილ ცერცვაძე „სილიბისტრო თოდრია" (თბ. 1974, გვ. 74) — „1923 წლის 5 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისიამ ს. თოდრია შეიყვანა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის დროებით პრეზიდიუმში".

[104] გაზ. „კომუნისტი" 1922, № 24; აღსანიშნავია აგრეთვე რაჟდენ კალაძის ვრცელი სტატია „პროლეტკულტი" — გაზ. „კომუნისტი" 1922, №№ 139, 140, 143.

1922 წლის 18 მარტს ასოციაციამ გამოსცა საკუთარი ჟურნალი „ქურა“ სილიბისტრო თოდრიას, სანდრო ეულისა და რაჟდენ კალაძის რედაქტორობით (სულ გამოვიდა ორი ნომერი) და საზოგადოებას ამცნო თავისი მიზნები.

პროლეტარული მწერლები ხაზს უსვამდნენ ლიტერატურის კლასობრივობას: „პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ჭეშმარიტი პოეზია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარულ-კომუნისტური და ამ რევოლუციონურ კლასის დიქტატურის გატარების როლი შეასრულოს“.

პროლეტარული მწერლების მოწინავე ნაწილი ძირითადში ცნობდა ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საჭიროებას: „გადასინჯოს და გაარჩიოს წინა ეპოქების ქართული პოეზიის შინაარსი და ფორმები, რომ ეს ისტორიული განძეულობა ახალი ქართული პროლეტარული პოეზიის ახალი ფორმების შესაქმნელად გამოიყენოს, რომ წარსულის ქართული პოეზიის ზოგი იდეებიც კი ახალი ახსნა-განმარტებით ქართველი პროლეტარიატისათვის გამოსადეგი გახადოს“ [105].

ყოველივე ეს პროლეტარულ მწერალთა დეკლარაციაშიც აისახა. „ჩვენი ლოზუნგია: გამოყენება იმ მოღვაწეთა, რომელიც კი არსებობდა წარსულსა და თანამედროვე ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში“. ამ დეკლარაციაში პროლეტარული მწერლები მწერლობისაგან მოითხოვდნენ რეალიზმის პრინციპების დაცვას, ებრძოდნენ დეკადენტურ ლიტერატურულ მიმდინარეობებს.

„თანამედროვე საქართველოს მწერლობა თავისი დეკადენსობით, რომლიდან ლოღიკურად გამომდინარეობს: ფუტურიზმი, სიმბოლიზმი (ჩვენებური „ყანწელები“) და სხვა მიმართულებები, მაჩვენებელია უსათუოდ არსებული საზოგადოების დაშლის და ჩვენ ვუცქერით მას, როგორც მიუღებელ ფორმას მუშათა კლასისათვის. ამ მიმდინარეობათა იდეოლოგია დაფუძნებულია უკიდურეს ინდივიდუალიზმსა და საზოგადოებრივი იდეალის მიჩქმალვაზე და მტრულად განწყობილია პროლეტარიატის კოლექტიურ შემოქმედებისა და შენებისადმი.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვუარყოფთ მწერლობაში იმ აზრსაც, ვითომ შესაძლებელი იყოს და არსებობდეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ხელოვნება ცხოვრების გარეშე ფიქციაა და ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის ჭკუის გარეშე სდგას“.

მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ მხატვრული ოსტატობით თავად შორს იყვნენ სრულყოფისაგან, მაგრამ სწამდათ მომავლისა:

---

[105] ჟურნ. „ქურა“, 1922, № 1, მოწინავე წერილი.

„ჩვენ პროლეტარული პოეტები და მწერლები დარწმუნებული ვართ და ამავე დროს საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არც ფორმით, არც სტილით არ არის სრულქმნილი, მაგრამ ვამტკიცებთ მაინც ერთს: რომ ის არის ერთად ერთი ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასაწყისს პოულობს ჩვენს გარდამავალ დროში და **რომელსაც ძალუძს განვითარდეს და დაიპყროს სულიერი კულტურის მწვერვალები**“ [106].

პროლეტარული მწერლობის პირველი თაობა ბევრი რამით ჰგავდა რუსული ჟურნალის „კუზნიცას“ ჯგუფის პროლეტარულ პოეტებს. ჩვენი პროლეტარული პოეტებიც მხოლოდ შრომის იდეას, შრომით სიამაყეს, კოლექტივიზმს უმღეროდნენ აბსტრაქტულად, რიტორიკულ-პათეტიკური სტილით. ისინიც ცნობდნენ „წმინდა“ კლასობრივ-პროლეტარულ ანუ მხოლოდ მუშის მიერ შექმნილ კულტურას, ამას კი ისინი პრაქტიკულად მიჰყავდა კულტურულ მშენებლობაში პროლეტარიატის განსაკუთრებულობის, ავტონომიურობის აღიარებამდე.

მხატვრულ ფორმაში ისინი განიცდიდნენ სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა გავლენას.

შემდეგ და შემდეგ პირველი თაობიდან ზოგიერთებმა (სანდრო ეული, იონა ვაკელი, ნოე ზომლეთელი, პეტრე სამსონიძე) შეძლეს ახალი ფორმის დაუფლება, მაგრამ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ძირითადად გააძლიერა საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულმა* პროლეტარულ მწერალთა მეორე თაობამ, პირველმა კომკავშირელმა მწერლებმა კარლო კალაძემ (კაკი ეწრელი), კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ალიო მაშაშვილმა (მირცხულავა), ელიზბარ ზედგინიძემ.

შემდეგ მოვიდა კომკავშირელ მწერალთა ახალი ნაკადი: სიმონ წვერავა, კალე ბობოხიძე, ბორის ჩხეიძე, ალექსანდრე სულავა, ფრიდონ ნაროუშვილი, ილია ხოშტარია და უფრო მოგვიანებით ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე, გრიგოლ აბაშიძე, ალიო ადამია, ალექსი გომიაშვილი, მოსე გვასალია და სხვები.

სანამ პროლეტარული მწერლების ამ ახალ კომკავშირულ თაობებს შეეხებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ 1923 წლის 17 მაისს გამო-

---

[106] „ქურა“, 1922, № 2; გაზ. „კომუნისტი“, 1922, 7 ივლისი. ეს დეკლარაცია განიცდიდა მოსკოვის „კუზნიცას“ (1921. № 7) დეკლარაციის პროლეტკულტიზმის გავლენას. თუ შეადარებთ იონა ვაკელის წერილს „პროლეტარული პოეზია“ („კომუნისტი “,1921, № 246), ეს ადგილი თითქმის ემთხვევა. გამოდის, რომ ან იონა ვაკელის დაწერილია ეს დეკლარაცია, ან მისი წერილი დაუდეს საფუძვლად.

ვიდა პროლეტარული მწერლების გაზეთი „ქარხნის ჰანგები“ (რედ. სანდრო ეული), იმავე წლის 21 ოქტომბერს — ასოციაციის ყოველკვირეული გაზეთი „ორიონი“ (იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, რაჟდენ კალაძე, ალექსანდრე დუდუჩავა), რომელიც იმთავითვე იცავდა კლასიკურ მწერლობას იმ ნიჰილიზმისაგან, რამაც უკვე მაშინ იჩინა თავი პროლეტარული მწერლების ახალ თაობაში (უსახსრობის გამო ეს გამოცემები მალე წყვეტდნენ არსებობას).

ახლა კი ორიოდე სიტყვა პროლეტარული მწერლების ამ ახალ მეორე თაობაზე, იგი შექმნეს კომკავშირელ მწერალთა პირველი წრიდან — „მომავლიდან“ და პროლეტარულ მწერალთა ქუთაისის განყოფილებიდან („დინამიტელები“) გამოსულმა მწერლებმა.

1923 წლის ნოემბერში საქართველოს კომკავშირის ცკ-თან ჩამოყალიბდა კომკავშირელ მწერალთა ჯგუფი „მომავალი“, რომელშიც შედიოდნენ პროლეტარულ მწერალთა ახალი ძალები: ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, ვალერიან ლუარსამიძე (სამაგლიშვილი, ვან-პელიანი), შალვა რადიანი (შეწირული), კალე ფეოდოსიშვილი (ვეკუა), პლატონ ქიქოძე (პ. ლეონარდი) და სხვ.

წრის გამგეობაში შედიოდნენ იაკინთე ლისაშვილი, ვალერიან ლუარსამიძე, ალიო მაშაშვილი და სხვ. [107].

ამ წელს ნოემბერში ქუთაისში შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის განყოფილება [108], რომელიც აერთიანებდა ახალგაზრდობას — ბენიტო ბუაჩიძეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, დავით რონდელს (ცაგარეიშვილი), გიორგი მდივანს, აპოლონ ნუცუბიძეს და სხვ. მათ გამოსცეს ალმანახი „დინამიტი“ (1924 წ. ივნისში).

1923 წელს პროლეტარულ მწერალთა ძველი თაობა და პროლეტარულ მწერალთა მეორე თაობაც — „მომავლელი“ და „დინამიტელი“ კომკავშირელი მწერლები გაერთიანებული იყვნენ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. მაგრამ ეს გაერთიანება ფორმალური იყო. პროლეტარულ მწერალთა ძველი თაობის ისედაც არამტკიცე ორგანიზაცია 1924 წლისათვის მოდუნდა [109]. ამიტომ პროლეტარულ მწერალთა ახალმა თაობამ შექმნა „პროლემაფი“.

---

[107] გაზ. „კომუნისტი“, 1923, № 261.

[108] კონსტანტინე ლორთქიფანიძე 1928 წ. დაწერილ ავტობიოგრაფიაში ამბობდა, 1924 წელს ბენიტო ბუაჩიძესთან ერთად დავაარსე დასავლეთ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირიო — ლხცსა, ფონდი 38 (საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია) (1925—32 წ.), აღწერა — 1, საქმე—15, ფურცელი — 30.

[109] იხ. სანდრო ეულისა და პეტრე სამსონიძის წერილები პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ერთდროულ გაზეთ „5 მაისში“, 1926.

1924 წელს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ორგანიზაციულად გამოეყო ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა კოლექტივი — პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი, ეს ახალი თაობა დაირაზმა ჟურნალ „პროლემაფის“ (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი, გამოდიოდა 1925 წ.) ირგვლივ [110], და დაიწყო პროლეტარული ლიტერატურის გადაყვანა სოციალიზმის მშენებლობისა და ახალი ყოფის კონკრეტულ ასახვაზე, და ამის შესაბამისად ახალი ფორმის ძიება.

პროლეტარული მწერლობის ახალ ფრონტში („პროლემაფი“) გაერთიანდნენ „მომავლელები“ თბილისიდან და „დინამიტელები“ ქუთაისიდან: ელიზბარ ზედგინიძე (გუგუნავა), კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, შალვა რადიანი, კალე ფეოდოსიშვილი, პლატონ ქიქოძე, ბენიტო ბუაჩიძე, ვალერიან ლუარსამიძე (საძაგლიშვილი), დავით რონდელი, ვლადიმერ ბესოშვილი (ელერია), გიორგი მდივანი, ძველი თაობიდან მას მიემხრნენ ნოე ზომლეთელი და რაჟდენ კალაძე.

* * *

„პროლემაფის“ შექმნა დროული იყო (ამაში უნდა დავეთანხმოთ პეტრე სამსონიძეს [111]). მან მართლაც გამოაცოცხლა მუშაობა, გადაწყვიტა პროლეტარულ მწერალთა ძველი თაობის შემოქმედებაში გამეფებული შაბლონის დაძლევა, მაგრამ გადავარდა მეორე უკიდურესობაში: თავი წარმოიდგინა ახალი კულტურის ერთადერთ და ყველაზე უკეთეს შემქმნელად. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა (დავით რონდელი) ხაზგასმით განაცხადა: „პროლემაფიდან“ იწყება ქართული ხელოვნების ოქტომბერი“.

ჯგუფმა თავისი ჟურნალის სარედაქციო წერილში „პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი“ ასე ჩამოაყალიბა თავის კრიტიკული დამოკიდებულება პროლეტარული მწერლობის პირველი თაობისადმი:

„დღემდე არსებულმა პროლეტარულ მწერლებმა ვერ შესძლეს რევოლუციონურ თანამედროვეობის ალღოს შენარჩუნება. გამოუვალად მოექცნენ მოპირდაპირე კლასების ფორმალურ სკოლათა უშუალო გავლენის ქვეშ. დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლუციის

---

[110] მანამდე ჟურნ. „მომავალში“ იბეჭდებოდნენ, შემდეგ, როგორც ვთქვით, საკუთარ ჟურნ. „პროლემაფსა“ და „დარიალში“, კიდევ შემდეგ — ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობაში“.

[111] პროლეტარულ მწერალთა ერთდროული გაზეთი „5 მაისი“, 1926.

იდეოლოგიურ მონაპოვართა დასაცავად. რევოლუციის პოეზია გაიგეს როგორც ბუკის ტრაფარეტი, დიდ მანძილზე დაცილდენ მშრომელ მასების მშვიდ საალმშენებლო ცხოვრების შინაარსს, რაც მთავარია, მათ ვერ შესძლეს პროლეტარულ სახელმწიფოს ორბიტაში მოქცეულ ადამიანის ასახვა, კოსმიურ საკითხებზე გაყინვით, რიტორიულ პლაკატით, ყალბი პათოსით და კაბინეტურ ხედვით პროლეტარულ პოეზიის რევოლუციონური ღირებულება დასცეს".

„პროლემაფს" არ აკმაყოფილებდა ბრძოლისა და შრომის იდეალიზაცია. ამას გარდა, აცხადებდა იგი, საჭიროა „მუშურ-გლეხურ ყოფა-ცხოვრების და ფსიქოლოგიურ მომენტების მხატვრული ასახვა".

პროლეტარული მწერლების პირველი თაობის ნაკლოვანებები გაკრიტიკებული იყო პლატონ ქიქოძის წერილშიც „ქარხნის პოეტები, რომლებმაც ვერ ნახეს ქარხანა". მასში გატარებული იყო ასეთი აზრი: პროლეტარული მწერალი ვერ გაექცევა ცხოვრების ვერც ერთ მხარეს. იგი კი მხოლოდ პროლეტარულ ცხოვრებას ასახავს და იმასაც ვერ წვდება კარგად, მხოლოდ მის გარეგნულ მხარეებს ხატავსო. „იგი ხედავს ქარხანას მთელი მისი გარეგნული გრანდიოზობით, ისმენს და იმორჩილებს მას დინამოს მძლე გუგუნი...

... მაგრამ შეუძლია პოეტს ახადოს სახურავი ქარხანას, რომელმაც იგი ასე დაიმონა, შეიხედოს შიგ, დაინახოს მუშების არა მარტო შავი ხელები, არამედ შინაგანი სულიც, მისი მიზეზი და სარჩული — ყოფა? ვინ თქვა, რომ მუშას არ აქვს სინაზე, თუ გინდ საკმაო სანტიმენტალობა, თითქოს იგი მხოლოდ რკინის ნატეხია, იმიტომ რომ ბრძოლის წუთებში იგი მართლაც რკინას ჰგავდა თავისი ნებისყოფით. მონახეთ თქვენ თუ გინდ ამ ნებისყოფის სარჩული?

შეგიძლიათ თქვენ, პოეტებო, გაჰყვეთ მუშას სახლში, შვილთან, ცოლთან, სადილზე?" [112]

ასე მწვავედ გააკრიტიკეს პროლემაფელებმა პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობა. მით უმეტეს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და იმავე ჟურნალში ცალ-ცალკე წერილები უძღვნეს სხვა ლიტერატურულ ჯგუფებს: იგივე პლატონ ქიქოძე აკრიტიკებდა ე. წ. დემოკრატიულ პოეტებს (გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ხარიტონ ვარდოშვილი, სოლომონ თავაძე, ვარლამ რუხაძე), შალვა რადიანი — კონსტანტინე გამსახურდიას და ტერენტი გრანელს, დავით რონდელის მძაფრი წერილი „დეკადანსის საზღვრებთან"—ქართველ ფუტურისტებს, ცისფერყანწელებს კი—ასევე მწვა-

[112] ჟურნ. „პროლემაფი", 1925, № 1.

ვეტონიანი წერილი ბენიტო ბუაჩიძისა, რომელშიც მათზე ნათქვამი იყო: „პროლემაფის შეტევით საბოლოოდ აიხვეტება ეს აჩრდილების და გადაშენების დაგროვილი ნაგავი“.

პროლემაფელების ღირსება ის იყო, რომ ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ლიტერატურის შექმნა-განმტკიცებისათვის. მაგრამ მათ ჰქონდათ შეცდომებიც: უდიერად ეპყრობოდნენ სხვა ლიტერატურულ ჯგუფებს, ზოგჯერ თავიანთ ლექსებში ავულგარებდნენ რევოლუციის შინაარსს (თუნდაც კალე ფეოდოსიშვილი). ერთი სიტყვით, ბევრ რამეში იმეორებდნენ პროლეტკულტის, ნაპოსტოველთა და რაპპ-ის [113] რიგებში არსებულ შეცდომებს.

1925 წლის 18 ივნისს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკამ მიიღო დადგენილება „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, რომლითაც დაგმო როგორც პროლეტარული მწერლების დაუფასებლობა, ასევე ნაპოსტოველთა კომუნისტური ყოყოჩობაც და რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას მოუწოდა ტაქტითა და მზრუნველობით მოპყრობოდა თანამგზავრ მწერლებს, მეტი მოთმინება გამოეჩინა სხვა დაჯგუფებათა მწერლების მხატვრული ფორმის სხვადასხვაობის მიმართ, თუკი ისინი სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით არ უპირისპირდებოდნენ ახალ წყობილებას, რადგან როგორც ნათქვამი იყო დადგენილებაში „თუ პროლეტარიატის ხელში არსებობს დღეს საზოგადოებრივ პოლიტიკური შინაარსის შეუცდომელი კრიტერიუმი ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოებისთვის, მას არ მოეპოვება ასეთივე განსაზღვრული პასუხები ყველა საკითხზე სამხატვრო ფორმის შესახებ“ [114].

ამ დადგენილებამ გაილაშქრა ძველი კულტურული მემკვიდრეობისადმი ზერელე და უდიერი მოპყრობის წინააღმდეგ.

დადგენილება აღნიშნავდა: მართალია, კლასობრივი ბრძოლა არ წყდება არც ცხოვრებაში, არც ლიტერატურაში, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში წინა პლანზე მშვიდობიანი ორგანიზატორული მუშაობა დგებაო.

---

[113] ჟურნ. „ნა პოსტუს“ (1923 — 1925) მიმდევრები იჩენდნენ სექტანტობას, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი.

რაპპ-ი — რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, გაფორმდა 1925 წლის იანვარში პროლეტარული მწერლების პირველ საკავშირო კონფერენციაზე, როგორც წმყვანი რაზმი 1920 წელს შექმნილი სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა (ვაპპ).

[114] ჟურნ. „დროშა“, 1925, № 8.

დადგენილების შემდეგ დაიწყო დისკუსია მემარცხენეებთან პროლეტარულ მწერალთა რიგებში. ასეთივე დისკუსია გაჩაღდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაშიც.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივნის (1925 წლიდან) ნოე ზომლეთელის[115] ხელმძღვანელობით 1925 წელს გამოსული ჟურნალ „ლიანდაგის" (2 ნომერი) გარშემო ს

შონი, იური ლიბედინსკი[117], შაქრო ნავთლუღელი, არკადი სიტ-კოვსკი.

ყრილობას სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით მიესალმა — გრიგორ აბოვი, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის[118] სახელით — ივანგო ღოღობერიძე, ხელოვნების მუშაკთა სახელით („რაბისიდან") — სანდრო ქურიძე (ეული), სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის (ვაპპ) სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იური ლიბედინსკიმ.

საქართველოს მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა და მიმდინარე მომენტსა და პროლეტარულ მწერალთა ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ. მან თქვა: პროლეტარული მწერლები ჰეგემონიას ვერ მიაღწევთ, თუ არ აიმაღლებთ მხატვრულ ოსტატობას, რაც ჯერ საკმაოდ დაბალი გაქვთ. ოსტატობის ასამაღლებლად უნდა გამოიყენოთ მწერლობის მიღწევები ფორმისა და ტექნიკის სფეროში.

მეორე სხდომაზე პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის ბიუროს წევრმა დრამატურგმა ვლადიმერ კირშონმა ისაუბრა ასოციაციაში არსებულ წინააღმდეგობებზე. საანგარიშო მოხსენებით პროლეტარულ მწერალთა თბილისის ასოციაციის საქმიანობაზე გამოვიდა ნოე ზომლეთელი. მან აღნიშნა ასოციაციის გზის სიძნელე, დამთავრება მისი ორგანიზაციული პერიოდისა, რომელშიც გამოჰყო 4 ეტაპი: 1) პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი შეუერთდა პროლეტკულტს, გამოსცეს ჟურნალი „ქურა"; 2) შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა კავშირი, კრიზისის და ჯგუფების წარმოშობა: 3) პროლეტარულ მწერალთა ახალი ფრონტის—პროლემაფის ჩამოყალიბება — მაგრამ ეს მაინც ჯგუფი იყო; 4) პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შექმნა — ორგანიზაცია წესიერ კალაპოტში ჩადგა, გამოცემათა საქმეც მოგვარდა, მაგრამ ჯგუფობრიობა მაინც დარჩა („რამი", მუშა მწერლები).

---

[117] ვლადიმერ კირშონი, იური ლიბედინსკი — რუსი მწერლები, რაპპ-ის იმ უმეტესობის ხელმძღვანელები (ლეოპოლდ აევერბახთან, დიმიტრი ფურმანოვთან და ცოტა ხნის შემდეგ შემატებულ ალექსანდრე ფადეევთან, ვლადიმერ ერმილოვთან, ვლადიმერ სუტირინთან ერთად), რომლებიც პარტიის რეზოლუციის ხაზს მიჰყვებოდნენ სემიონ როდოვის, გ. ლელევიჩის (ლაბორი კალმანსონი), ილია ვარდინის (მგელაძე) მემარცხენული ჯგუფისაგან განსხვავებით (განხეთქილება ამ ჯგუფებს შორის მოხდა 1926 წლის თებერვალში).

[118] ეს კავშირი სწორედ ამ წელს, თებერვალში შეიქმნა. ამ კავშირისა და სხვა საერთო-სამწერლო ორგანიზაციულ საკითხებს დაუბრუნდებით ლიტერატურულ დაჯგუფებათა ირგვლივ საუბრის დამთავრების შემდეგ.

8 მაისის სხდომაზე პროლეტარული ლიტერატურის განვითარების გზებზე ილაპარაკა ალექსანდრე დუდუჩავამ.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა წესდება.

ყრილობის მიერ არჩეულ გამგეობაში შევიდნენ: აკოფ აკოფიანი, ასრიბეკოვი, სიმონ დოლიძე, ალექსანდრე (შურა) დუდუჩავა, ლეო ესაკია, ნოე ზომლეთელი, სილიბისტრო თოდრია, იონა ვაკელი. აღასი ვართანიანი, ალიო მაშაშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, არშავირ მელიქიანი, გრიგოლ მუშიშვილი (ხოფერია), შაქრო ნავთლუღელი, შალვა რადიანი (შეწირული), არკადი სიტკოვსკი, გიგო ხეჩუაშვილი, მირიან ხუხუნაიშვილი.

როგორც ვხედავთ, ხელმძღვანელობაში ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად ჩადგნენ ახალი თაობის მწერლები.

ახალმა ხელმძღვანელობამ თითქოს დაიწყო მოქმედება, მაგრამ შეუთანხმებლობის გამო მუშაობა დეკემბრამდე ჩაკვდა [119].

ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომაზე 1926 წლის 12 ნოემბერს, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბენიტო ბუაჩიძე და ესწრებოდა გრიგოლ მუშიშვილი, ნოე ზომლეთელი ტოვებს სხდომას — ასე მუშაობა არ შემიძლიაო.

ამ პრეზიდიუმმა დაადგინა: მოწვეულ იქნას 26 თებერვალს (იგულისხმება 1927 წ. 26 თებერვალი) გამგეობის სხდომა შემდეგი დღისწესრიგით:

1) პარტიის პოლიტიკა და ასოციაციის მომავალი მუშაობა (ბენიტო ბუაჩიძე).

2) საქართველოს მწერალთა კავშირთან დამოკიდებულება (პლატონ ქიქოძე) [120].

მაგრამ მანამდეც მოითხოვა გარემოებამ გამგეობის სხდომის ჩატარება.

პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის (და სარედაქციო კომისიის) სხდომაზე 1926 წლის 24 ნოემბერს [121] გრიგოლ

---

[119] ლხცსა, 38—1—11, ბენიტო ბუაჩიძის ანგარიში ასოციაციის მუშაობის თაობაზე 1926 წლის ნოემბრიდან 1927 წლის ოქტომბრამდე. შეუთანხმებლობას ხელს უწყობდა ის, რომ ნოე ზომლეთელსა და საერთოდ პროლეტარულ მწერალთა ძველ ფრთას მემარჯვენეობას უკიჟინებდნენ (მაგ. პლატონ ქიქოძე — ეურნ. „მნათობი", 1927, № 10).

[120] ლხცსა, 38—1—0—6. კარლო კალაძის ხელით ნაწერი ოქმია, აღნიშნულია პირველი სხდომა და წელი 1926 გადაკეთებულია 1927-ად, მაგრამ ლოგიკით სწორედ 26 წელი უნდა იყოს, რადგან აქ ნოე ზომლეთელზეა მიტანილი იერიში, და მართლაც იგი მალე გადაირჩიეს.

ამასთან აქ დაადგინეს თებერვალში გამგეობის მოწვევა და დღის წესრიგი. ასეთი გამგეობა სწორედ 1927 წლის მარტში იყო.

[121] ლხცსა, 38—1—3.

მუშიშვილმა მიმოიხილა ასოციაციის საქმიანობა, აღნიშნა, რომ ასოციაციას არ ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო, რომ ჟურნ. „მერცხალმა“ ვერ გაამართლა იმედები. ასოციაციას უნდა ჰქონდეს ისეთი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც დაუპირისპირდება ჟურნალ „ქართულ მწერლობას“.

პლენუმმა დაადგინა:

1) ბეჭდვითი ორგანოს ახალი სახელწოდებით გამოცემა და სარედაქციო კოლეგიაში აირჩია გრიგოლ მუშიშვილი, ალიო მაშაშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, დავით რონდელი, შაქრო ნავთლუღელი.

2) მუშათა წრის ორგანოს „მიზანს“ აგრეთვე გამოეცვალოს სახელი და გახდეს ასოციაციის დამწყებ წევრთა ბეჭდვის ასპარეზი.

3) მოხსნილ იქნეს ასოციაციის მდივნის თანამდებობიდან ნოე ზომლეთელი უმოქმედობისათვის და პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნეს ბენიტო ბუაჩიძე (იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1931 წლის სექტემბრამდე).

1926 წლის 11 დეკემბერს ისევ შედგა გამგეობის სხდომა, რომელმაც აირჩია სამდივნო: ბენიტო ბუაჩიძე, ალიო მაშაშვილი.

სამდივნოს სხდომაზე (1926. 16.12) ფუნქციები ასე განაწილდა: ბენიტო ბუაჩიძე—ორგანიზაციული საკითხები; ალიო მაშაშვილი—სარედაქციო საკითხები.

ერთი დღის შემდეგ (18.12.) სამდივნომ დაადგინა: [122] ასოციაცია თავის წარმომადგენლებად გზავნის სახელგამში პლატონ ქიქოძეს (ნოე ზომლეთელის მაგივრად), ჟურნ. „ქართულ მწერლობაში“ — ბენიტო ბუაჩიძეს, „მნათობში“ — ალიო მაშაშვილს, „საბჭოთა ხელოვნებაში“ — დავით რონდელს.

სამდივნოს ამავე სხდომაზე აღინიშნა: ვინაიდან საქართველოს მწერალთა კავშირი (ტექსტში — „ქართველ მწერალთა კავშირი“) არ შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა მწერლების კავშირად, ამიტომ აღნიშნული კავშირის წესდებაში გარკვევით უნდა აღინიშნოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ავტონომიურობა (ასე უსვამდნენ ისინი ხაზს განსაკუთრებულობას, უპირისპირდებოდნენ სხვა მწერლებს).

სამდივნომ თავისი ჟურნალისათვის მწერალთა სასახლეში ოთახი მოითხოვა და განაცხადა, შაბათობით სასახლეში საღამოებს გავმართავთო.

მართლაც 5 დეკემბერს, ბენიტო ბუაჩიძის შესავალი სიტყვის შემდეგ, დავით რონდელმა წაიკითხა მოხსენება „ქართული პროლეტარული ლიტერატურის გზები და მიზნები“ [123].

[122] ლბსა, 39—1—3; 38—1—4.

[123] გაზ. „5 მაისი“, 1927 წ.

26 დეკემბერს ვალერიან ლუარსამიძემ — „გადახრები პროლეტარულ მწერლობაში“, ნოე ზომლეთელმა — საკავშირო ასოციაციის გამგეობის გაფართოებული პლენუმის შედეგებზე. 1927 წლის 2 იანვარს საჯარო სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: 1. „შემოქმედების რაობისათვის“ (ლეო ესაკია) და „რომანტიული რეალიზმისა და ქართული პროლეტარული ლიტერატურის პერსპექტივების შესახებ“ (პლატონ ქიქოძე). 15 იანვარს გაიმართა დისკუსია—„1926 წლის ლიტერატურის შეფასებისათვის (შესავალი სიტყვა გრიგოლ მუშიშვილი, ძირითადი მომხსენებლები ბენიტო ბუაჩიძე. ლეო ესაკია, შალვა რადიანი, დავით როხდელი, პლატონ ქიქოძე) [124]. თებერვალში ორი საღამო დაეთმო სევასტი თალაკვაძის ახალი რომანის კითხვა-განხილვას.

ერთი სიტყვით, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რეორგანიზაციის შემდეგ მუშაობა გამოცოცხლდა.

* * *

1926 წლის დეკემბერში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან დაარსდა ლიტერატურული წრე. მასში გაერთიანდა უმთავრესად კომკავშირული ახალგაზრდობა, რომელიც სწავლობდა სკოლებში, მუშფაკებში, უნივერსიტეტში. წრის ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ეს აღნიშნულია 1928 წელს შედგენილ წრის მუშაობის მიმოხილვაში, პირველ ხანებში ხელს უშლიდა გამოუცდელობა და ის ჯგუფობრიობა, რომლის მთავარი ხელმძღვანელი პლატონ ქიქოძე იყო. ასოციაციის ხელმძღვანელობაში აურჩევლობის გამო გაგულისებულმა პლატონ ქიქოძემ წრეში დეზორგანიზაცია შეიტანა და იგი დაუპირისპირა ასოციაციის ახალ ხელმძღვანელობას. მან შეცდომაში შეიყვანა პარტიის თბილისის კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე პავლე აზარაშვილი და გამოატანინა დადგენილება — წრე დამოუკიდებელია, ასოციაციის მუშაობასთან კავშირი არა აქვსო.

წრის წევრთა ნაწილი გაერკვა პლატონ ქიქოძის გზის მცდარობაში და ასოციაციის ხელმძღვანელობის დახმარებით, წრე ნორმალურ მდგომარეობაში ჩადგა. პლატონ ქიქოძისა და მისი მომხრეების მიმართ მკაცრი ზომები მიიღო პარტიის თბილისის კომიტეტმა.

წრის მუშაობა განიხილა აგრეთვე საქართველოს კომკავშირის ცეკამ 1928 წლის 9 აპრილს, გამოყო კომისია, რომელმაც შემოწმების შედეგად ჩამოაყალიბა პრაქტიკული ღონისძიებანი, მოითხოვა პლატონ ქიქოძისა და კარლო კალაძის დასჯა [125].

---

[124] გაზ. „კომუნისტი“, 1927, 30.1.

[125] ლხცსა, 38—1—33; ლხცსა, 38—1—35.

გამოიშველები დაგმეს პროლეტმწერლების აქტივის კრებაზეც (1927.18.10). წრიდან გარიცხეს პლატონ ქიქოძე და მასთან ერთად გუგული ბუხნიკაშვილი, კარლო კალაძე, გიორგი ზარიძე, შალვა კარსანიძე (შან-კონი).

წრე გადაიქცა ასოციაციის მუშაობის მთავარ დასაყრდენად. ამ წრიდან მწერლობაში შემოვიდნენ (1926—1928) კალე ბობოხიძე, გიორგი კაჭახიძე, ფრიდონ ნაროუშვილი; კომკავშირულ პროზაში 1926 წლამდის თითქმის არაფერი შექმნილა. ამ წლიდან სიმონ წვერავა წერს მოთხრობებს კომკავშირული ცხოვრებიდან აღებულ მასალაზე.

ალექსანდრე სულავა მუშაობდა მარქსისტულ კრიტიკაში.

ასეთია წრის შემოქმედებითი მუშაობის პირველი პერიოდი.

1928 წლიდან წრემ პროლეტმწერლობას მისცა ახალი ნაკადი: ფრიდონ ნაროუშვილი, ირაკლი აბაშიძე, ალიო ადამია, მოსე გვასალია, კარლო მელაძე, ბორის ჩხეიძე და სხვ. ესენი იბეჭდებოდნენ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურულ ფურცლებზე, „პროლეტარულ მწერლობაში“ და სხვა ჟურნალებში.

სხვადასხვა წლებში ამ წრის წევრები იყვნენ: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აროსია, დიმიტრი ბენაშვილი, სიმონ წვერავა, გიორგი კაჭახიძე, ალექსი გომიაშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, კალე ბობოხიძე, როსტომ ელანიძე, მარგო თომაძე, ნიკა აგიაშვილი, ვლადიმერ თორდუა, ალექსანდრე კოპლავაშვილი, ალიო ადამია, გიორგი ლომიძე, ბიკენტი მეუნარგია, მოსე გვასალია, გიორგი ნატროშვილი, შაქრო სამადაშვილი, ერემია ქარელიშვილი (ასტვაცატუროვი) შალვა შავგულიძე, შალვა შაველაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, შალვა შენგელი, ალეკო შენგელია, არჩილ ჩაჩიბაია, ვასო ჩაჩიბაია, ალექსანდრე ღლონტი, მიხეილ ჩიქოვანი (ელელი), ია ჩხაიძე, ალიოშა ჯაფარიძე, ლავრენტი ჭიჭინაძე, ილია ხოშტარია, გიორგი ჯიბლაძე და სხვ.

გარდა ამ შემოქმედებითი მუშაობისა წრის წევრების სწავლებისათვის ტარდებოდა ასოციაციის ხელმძღვანელობის მოხსენებები თემატიკის, სტილის, წერის ტექნიკის შესახებ. თვეში ორჯერ წრის წევრები ჩაბმული იყვნენ ასოციაციის სემინარებში. ასოციაციის მიერ წარმოება-დაწესებულებებში დაარსებულ ლიტერატურულ წრეებს უმთავრესად „ახალგაზრდა კომუნისტის“ წრის წევრი კომკავშირელი მწერლები ხელმძღვანელობდნენ.

წრის ორგანი იყო გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურული ფურცელი „კომკავშირული მწერლობა“, რომელიც გამოდიოდა თვეში ორჯერ ერთ გვერდზე (პოეზია, პროზა, კრიტიკა).

წრის მუშაობის მეთოდი ლაბორატორიული იყო: იკრიბებოდნენ თვეში ოთხჯერ (ხშირად ხელოვნების სასახლეში), აქედან ორჯერ ხდებოდა მასალების განხილვა, ორჯერ კი — მოხსენებების მოსმენა. წრის ბიუროს დავალებით რამდენიმე კაცი წინასწარ ეცნობოდა მასალებს და წარმოადგენდა თავის აზრს, წრეში მასალის წაკითხვის შემდეგ მასზე კამათობდნენ.

წრის ბიუროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობასთან და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც ყოველწლიურად მართავდა კომკავშირულ მწერალთა თათბირს.

მაისიდან ოქტომბრამდე წრეს არდადეგები ჰქონდა და მისი წევრები პროვინციაში მიდიოდნენ. მაისში ბიურო წარადგენდა საანგარიშო მოხსენებებს და ირჩევდნენ ახალ ბიუროს ან მაშინვე ან ოქტომბერში.

1928 წელს წრეში 30 კაცი იყო. შეკრებას ეს წრებოდნენ არაწევრებიც. 1926 წლიდან 1932 წლამდე წრეში მონაწილეობდა ასზე მეტი კაცი.

სხვადასხვა დროს წრეს ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე სულავა, კალე ბობოხიძე, სიმონ წვერავა.

1927 წელს ასეთი იყო წრის ბიუროს შემადგენლობა: კალე ბობოხიძე, ვალერიან ლუარსამიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, დავით რონდელი, სიმონ წვერავა; 1928 წელს კი ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე, ვალერიან ლუარსამიძე, აკაკი მახათაძე, ალექსანდრე სულავა, სიმონ წვერავა. (გაზ. "5 მაისი", 1927).

წრის პასუხისმგებელი მდივანი 1928—32 წ.წ. იყო სიმონ წვერავა, ლიტერატურული ფურცლის რედაქტორი — ვალერიან ლუარსამიძე, წრის მდივანი — ირაკლი აბაშიძე.

წლების მანძილზე ამ წრეს დიდ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდნენ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" გამოცდილი ხელმძღვანელები, ძველი ჟურნალისტები, ამ გაზეთის რედაქტორი (1927—1931) დავით ვოლსკი და რედაქციის მდივანი ვარლამ მიქაძე.

* * *

1927 წლიდან საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მტკიცდება და მთელ ლიტერატურულ მოძრაობას ხელმძღვანელობს. იანვრიდან გამოსვლას იწყებს და წლების განმავლობაში განაგრძობს არსებობას ასოციაციის ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" (1927—1932, პასუხისმგებელი რედაქტორები: დავით

რონდელი, ვალერიან ლუარსამიძე — 1931—32; პასუხისმგებელი მდივნები: კარლო კალაძე, ფრიდონ ნაროუშვილი). ამ ჟურნალში გაიზარდნენ პროლეტარული მწერლების უმნიშვნელოვანესი ძალები. ჟურნალი იბრძოდა ლიტერატურაში პარტიული ხაზის გატარებისათვის, გამოდიოდა ანტისაბჭოთა დაჯგუფებების წინააღმდეგ.

პროლეტარული მწერლები გამოდიოდნენ მუშათა კლუბებში, მუშფაკებში, პროვინციაში.

27 თებერვალს ასოციაციის გაფართოებულ პლენუმზე მოსმენილ იქნა მოხსენებები გრიგოლ მუშიშვილისა — თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები; ბენიტო ბუაჩიძისა — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის შესახებ; პლატონ ქიქოძისა — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დამოკიდებულება მწერალთა კავშირთან.

მაისში ასოციაციამ გამოსცა ერთდროული გაზეთი „5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის და პოეზიის დღე“ (№ 2).

7 აგვისტოს შეიქმნა აჭარის პროლეტარულ მწერალთა კავშირი (20 სექტემბერს შეიცვალა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილებად).

16 ოქტომბერს ჩატარებულ ინტერნაციონალურ საღამოში მონაწილეობა მიიღეს ბენიტო ბუაჩიძემ, კარლო კალაძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ალიო მაშაშვილმა, აკოფ აკოფიანმა, რუბენ პოღოსიანმა, აზიზ აზიზოვმა, გიორგი კრეიტანმა, არკადი სიტკოვსკიმ, ვლადიმერ სუტირინმა.

1927 წელს გაგრძელდა ბრძოლა ასოციაციის იდეურ-ორგანიზაციული სრულყოფისათვის. კერძოდ, 13—14 მარტს შედგა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმი[126], რომელიც გახსნა ნოე ზომლეთელმა. ბენიტო ბუაჩიძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა ასოციაციაში არსებულ გადახრებზე, აღნიშნა, რომ ასოციაციას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული იდეოლოგიური პლატფორმა, მუშაობას ხელს უშლიდა რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის (რაპპი) უმცირესობის მცდარი იდეურ-პოლიტიკური პლატფორმის ხელოვნური გადმოტანა საქართველოში, რომ ასოციაციამ უნდა უარყოს არასწორი დამოკიდებულება თანამგზავრი მწერლებისადმი, უნდა გამტკიცდეს და შეთანხმებული გახდეს ურთიერთობა საქართველოს მწერალთა კავშირთან, მწერალთა კავშირი უნდა მოეწყოს ფედერაციულ საფუძველზე.

---

[126] გაზ. „კომუნისტი“, 1927, № 59; ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 3.

ყველაფერი ეს აღინიშნა პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაშიც.

14 მარტს პლენუმზე მოხსენებით („თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები") საკავშირო კომპარტიის რეზოლუციის ირგვლივ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე გრიგოლ მუშიშვილი.

27 აპრილს ისევ შედგა ასოციაციის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის სხდომა, აირჩიეს ახალი პრეზიდიუმი: ბენიტო ბუაჩიძე, სანდრო ეული, აღასი ვართანიანი, ნოე ზომლეთელი, სილიბისტრო თოდრია, გიორგი კრეიტანი, მარტინი (მარტინ ყარაგოზიანი), ალიო მაშაშვილი, ვლადიმერ (ვოვა) მაჭავარიანი, შაქრო ნავთლუღელი, რუბენ პოღოსიანი, ნიკოლოზ სტორი და გიო ხეჩუაშვილი. სამდივნოში შეავიდნენ ბენიტო ბუაჩიძე, აღასი ვართანიანი, ნიკოლოზ სტორი. „მთავარ" მდივნად აირჩიეს ბენიტო ბუაჩიძე.

18 ოქტომბერს პროლეტარულ მწერალთა აქტივის კრებაზე მწვავედ გააკრიტიკეს პლატონ ქიქოძე და ნოე ზომლეთელი — პირველი დაპირებებს იძლევა, მაგრამ არ ასრულებს, მეორე კი მემარჯვენეაო [127].

პროლეტმწერალთა მეორე ყრილობაზე კი მათ მიმართ უფრო მკაცრი ზომები მიიღეს.

1928 წლის 13—17 იანვარს მწერალთა სასახლეში გაიმართა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობა [128], რომლის დღისწესრიგი ასეთი იყო: 1. კულტურული რევოლუცია და სოციალისტური მშენებლობა (მომხს. საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანი მიხეილ კახიანი), 2. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის ანგარიში (ბენიტო ბუაჩიძე), 3. პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებით-მხატვრული პლატფორმის შესახებ (დავით რონდელი, შალვა რადიანი), 4. ამიერკავკასიის პროლეტარული მწერლების გაერთიანების შესახებ (აღასი ვართანიანი), 5. არჩევნები.

ყრილობას მიესალმნენ: საქართველოს კომპარტიის სახელით — მიხა ცხაკაია, სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით — აღასი ვართანიანი, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით — ტიციან ტაბიძე (რომელმაც აღნიშნა — რასაც თქვენ გადაწყვეტთ, ჩვენი კავშირისათვის სახელმძღვანელო იქნებაო), მემარცხენე (ლეფელ) მწერალთა სახელით — ბესარიონ

---

[127] ლხცსა, 38—1—9.

[128] ლხცსა, 38—1—41; ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1928, № 2—3; გაზ. „კომუნისტი", 1928, №№ 11—14, 18.

ელენტი, რომელმაც თქვა: ჩვენს შორის განსაკუთრებული ურთიერთობაა, რაც სხვა მიმდინარეობებს შორის არ შეიძლება არსებობდეს, თქვენცა და ჩვენც ვიბრძვით ახალი კულტურის შესაქმნელად. დავა იმის გამო გვაქვს, რომ ახალი გზები გამოვნახოთ ძველი ესთეტიკური კულტურის ნანგრევებზე ახლის ასაშენებლადო, და იმედი გამოთქვა, მტკიცე მეგობრულ ურთიერთობას დავამყარებთო.

აზერბაიჯანის პროლეტარული მწერლების სახელით ყრილობას მიესალმა სარაჯ მამედოვი, აფხაზეთის პროლეტარულ მწერალთა სახელით — მუშნი ხაშბა, აჭარის პროლეტარულ მწერალთა სახელით — ვალერიან მახარაძე.

მეორე დღეს, 14 იანვარს, ყრილობამ მოისმინა ბენიტო ბუაჩიძის მოხსენება, რომელშიც აღინიშნა: საქართველოს მწერალთა კავშირთან ურთიერთობაში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გაატარა ღონისძიებანი არაპროლეტარულ მწერლებზე იდეური ზეგავლენის მოსახდენად, ასოციაციის მიზანია ნამდვილ თანამგზავრთა ჯგუფის შექმნა. ასოციაციას უნდა მოახდინოს კავშირის რეორგანიზაცია. ამისათვის ნიადაგი მომზადებულია თვით კავშირის წევრთა შორის;

თანდათან ამაღლდა პროლეტარულ მწერალთა პოეტური ნაწარმოებების ხარისხი. თუ 1925 წლამდე მათ ერთი მოთხრობაც არ დაუწერიათ, ამ ყრილობისათვის გვაქვს პროლეტარული მხატვრული პროზის ნიმუშები თანამედროვეობის თემაზეო.

პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებითი პლატფორმის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდნენ შალვა რადიანი და დავით რონდელი.

მეხუთე დღეს ყრილობამ მოისმინა მიხეილ კახიანის მოხსენება. მან დაასახელა მაგალითები კულტურული რევოლუციისა საქართველოში, აღნიშნა — პროლეტარულ მწერლებს ზოგჯერ აქვთ ნაციონალისტური გადახრა, მაგრამ ნაციონალიზმთან ბრძოლა არ ნიშნავს ნაციონალური კულტურის უარყოფასო.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა: ამ ყრილობაზეც გამოჩნდა, რომ ასოციაციას არ აქვს ერთიანობა, რაც ასე აუცილებელია. იგი იმისთვის არის საჭირო, რომ ვებრძოლოთ პროლეტარიატის იდეოლოგიურ მტრებს. ლიტერატურული ოპოზიციის ჯგუფი პლატონ ქიქოძის მეთაურობით კი ანგარიშს არ უწევს ამ გარემოებას, პირიქით, არევ-დარევა შეაქვს ასოციაციაში.

ყრილობის პრეზიდიუმის წინადადებით დეზორგანიზატორული მუშაობისათვის პლატონ ქიქოძე გარიცხეს ასოციაციიდან, ხოლო ნოე ზომლეთელს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს.

სრულიად საკავშირო პროლეტარული მწერლების სახელით

ყრილობას მიესალმა მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, ჟურნ. „ნა ლიტერატურნომ პოსტუს“ [129] რედაქტორი ლეოპოლდ ავერბახი.

იმავე დღეს აღასი ვართანიანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების გამგეობებმა დაადგინეს ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა გამაერთიანებელი ორგანიზაციის შექმნაო.

ყრილობამ დაადასტურა ასეთი ორგანიზაციის შექმნის საჭიროება.

ყრილობამ აირჩია გამგეობა (29 კაცის შემადგენლობით), სარევიზიო კომისია (7 კაცი) და ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ყრილობისა (29 კაცი) და სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობის (55 კაცი) დელეგატები.

ყრილობა დაიხურა სილიბისტრო თოდრიას გამოსვლით.

გამგეობის პირველმა პლენუმმა [130] შექმნა პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: ბენიტო ბუაჩიძე, სანდრო ეული, აღასი ვართანიანი, სილიბისტრო თოდრია, გიორგი კრეიტანი, ვალერიან ლუარსამიძე, სარაჯ მამედოვი, მარტინი, ალიო მაშაშვილი, შაქრო ნავთლუღელი, დავით რონდელი.

შეიქმნა აგრეთვე სამდივნო: ბენიტო ბუაჩიძე, სანდრო ეული, აღასი ვართანიანი და სარედაქციო კოლეგია: ბენიტო ბუაჩიძე, იონა ვაკელი, ვალერიან ლუარსამიძე, ალიო მაშაშვილი, შალვა რადიანი და დავით რონდელი (რედაქტორი).

* * *

1928 წლის 19—23 იანვარს თბილისში, მწერალთა სასახლეში გამართულ ა/კ მწერალთა ყრილობაზე შექმნილ ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობაში, რომლის შტაბბინა თბილისში — მწერალთა სასახლეში იყო, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან შევიდნენ ბენიტო ბუაჩიძე, სანდრო ეული, სილიბისტრო თოდრია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვალერიან ლუარსამიძე, ალიო მაშაშვილი, შაქრო ნავთლუღელი, დავით რონდელი. აგრეთვე აკოფ აკოფიანი და ვლადიმერ სუტირინი. სამდივნოში კი არჩეული იყვნენ: ბენიტო ბუაჩიძე, ვლადიმერ ანდრიას ძე სუტირინი, აგრეთვე თაჰირ გუსეინოვი აზერბაიჯანიდან, სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი ალაზანი (ვაჰრამ გაბუზიანი) და მიხეილ იურინი [131].

---

[129] რაპპ-ის უმრავლესობის თეორიულ-კრიტიკული ჟურნალი, შეიქმნა ჟურნალ „ნა პოსტუს“ მცდარ მემარცხენულ შეხედულებებთან დასაპირისპირებლად.

[130] ლხცსა, 38—1—42.

[131] ლხცსა, 38—1—41; 38—1—42.

პროლეტარულ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1928 წელს სიტყვით გამოვიდა სანდრო ეული.

ამ წელს გამოვიდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთდროული გაზეთი „5 მაისი“ (ასეთივე გაზეთი მომდევნო წელსაც გამოვიდა).

* * *

1928 წლის 19 ივლისს გამართულ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომაზე სანდრო ეულმა მოხსენებაში — „წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ“ — დაახასიათა ასოციაციის საქმიანობა მისი პირველი ყრილობიდან (1926) 1928 წლის 1-ლ ივლისამდე.

ამ მოხსენების გამო გამგეობამ მიიღო პრეზიდიუმის კომფრაქციის მიერ გამომუშავებული რეზოლუცია [132], რომელშიც აღნიშნული იყო: ასოციაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო პროლეტარულ მწერალთა ამიერკავკასიის ასოციაციის შექმნაში, პროლეტარულ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის ჩატარებაში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტთან“, აგრეთვე გაზ. „კომუნისტთან“ და „მუშასთან“ ლიტერატურული წრეების ჩამოყალიბებაში. კარგად მუშაობდა რუსული სექცია.

რეზოლუციაში ნათქვამი იყო ისიც, რომ ასოციაციას აქვს ნაკლი მასებთან კავშირის, სექციების ხელმძღვანელობის, პროლეტარულ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის პოპულარიზაციის, ასოციაციის გამგეობის აპარატის მუშაობის საქმეში, ნაკლები ყურადღება ექცევა მწერალთა ყოფაცხოვრებას, შემცირდა ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ მოცულობა, ასოციაციას არა აქვს მტკიცე ბიუჯეტი.

ფედერაციის მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა ბენიტო ბუაჩიძე.

გამგეობამ დამაკმაყოფილებლად ცნო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დელეგაციის ხაზი ფედერაციის უკანასკნელ პლენუმზე.

მოხსენება „ნაპოსტოველთა უმცირესობის შესახებ“ წაიკითხა ბენიტო ბუაჩიძემ.

გამგეობამ მიიღო ზომები იმათ მიმართ, ვინც ხელს უშლიდა მუშაობას.

ფედერაციის მდივნობისაგან გაათავისუფლეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელი ალიო მაშაშვილი ფედერაციაში ასოციაციის ხაზის სუსტად გატარებისათვის, ნაპოსტოველთა უმცირესობის თანაგრძნობისათვის. მის მაგივრად პროლე-

---

[132] ლხცსა, 38—1—28; 38—1—34.

ტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელ მდივნად ფედერაციაში დაინიშნა შალვა რადიანი.

ჩამოყალიბდა ასოციაციის გამგეობის შემდეგი კომისიები და დაინიშნა მისი ხელმძღვანელები:

სასწავლო-მეთოდური (პასუხისმგებელი ხელმძღვანელი შალვა რადიანი);

საგამომცემლო (იონა ვაკელი);

ლიტერატურული საღამოების მომწყობი (კონსტანტინე ლორთქიფანიძე);

ლიტერატურული წრეების მომწყობი და მათი მუშაობის ხელმძღვანელი (პეტრე სამსონიძე);

ასოციაციის წმენდისა და მწერალთა ყოფა-ცხოვრების (სანდრო ეული);

თეატრალური (გუგული ბუხნიკაშვილი);

კინოსი (დავით რონდელი).

გამგეობამ მოისმინა ინფორმაცია ასოციაციის ქუთაისის განყოფილების მუშაობაზე (დავით გვილავა).

* * *

ახორციელებდა რა თავის დანაპირებს „ჩარიოს და ჩაბას ქართველ პროლეტარულ მწერლებთან ერთად პოეტურ შემოქმედებით პროცესში ქართველი მუშები, რომ საერთო კოლექტიური ძალღონით შექმნას პროლეტარული პოეზიის ახალი ქართული სახეები, ფორმები“. — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ 1921 წლის ბოლოს შექმნა სტუდია, სადაც მხოლოდ მუშებს შეეძლოთ ჩაწერა[133], თავის რიგებში მიიზიდა ასოციაციის მუშათა წრის სალიტერატურო ალმანახის „ჩვენი მიზანის“ (1926—1930) ირგვლივ შემოკრებილი ავტორები: ნიკო ასლამაზიშვილი, სოლომონ დოლიძე, შაქრო ნავთლუღელი, გიორგი შინატეხელი (მანთაშოვი), გიორგი ხეჩუაშვილი, სიო ხიდისთაველი (კალანდაძე).

ასოციაციაში ბევრი ისეთი მოხვდა, ვისაც მწერლური ნიჭი და ოსტატობა არ ჰქონდა. სხვა მიზეზებთან ერთად (ასოციაციის წმენდა მასში მოხვედრილი არაპროლეტარული წარმოშობის წევრებისაგან — ისევ ლოზუნგი: მხოლოდ მუშების მიერ შექმნილი კულტურა!) რამდენადმე ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ 1928 წელს კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ სანდრო ეული (თავმჯდომარე), სოლომონ დოლიძე, ვალერიან ლუარსამიძე, შაქრო ნავთლუღელი შალვა რადიანი და ალექსანდრე სულავა, მოახდინა ასოციაციის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია[134].

---

[133] გაზ. „კომუნისიტი“, 1921, № 245.

[134] იხ. კომისიის ოქმი № 2 — ლხცსა, 38—1—29.

რაც შეეხება ასოციაციის წევრთა ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, 1928 წელს ასოციაციის წევრთაგან მხოლოდ სამ კაცს ჰქონდა უმაღლესი განათლება. პროლეტარულ მწერალთა ახალ ხელმძღვანელობას ჩამოყალიბებული ჰქონდა ღონისძიებები[135] ამ მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად:

შემოქმედებით ნაწილში — ასოციაცია ცდილობდა აემაღლებინა თავის წევრთა ლიტერატურული კვალიფიკაცია ლიტერატურული კურსების მეშვეობით, ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი, ლიტერატურული კონსულტაციით, ლექციებით, საუბრებით, სემინარული, სექციურ-ლაბორატორიული მუშაობით, ჟურნალ-გაზეთებში პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ყრილობისა და პლენუმების გადაწყვეტილებათა გაშუქებით, დისკუსიებით პროლეტარული მწერლობის შემოქმედებით საკითხებზე, ლიტერატურული საღამოებით პროლეტარული მწერლების სასწავლებლად გაგზავნით (მაგალითად, სამდივნოს 1929 წ. 9.12. გადაწყვეტილებით ელიზბარ ზედგინიძე გაიგზავნა ა/კ უნივერსიტეტში, ფრიდონ ნაროუშვილი და ალიო მაშაშვილი — მოსკოვში, სერგო ჯაფშანიძე — მუშფაკში).

ორგანიზაციულ ნაწილში — ხელმძღვანელი ორგანოების (გამგეობა, პრეზიდიუმი, სამდივნო) სხდომათა სისტემატიზაციით, ზუსტი აღრიცხვის მოგვარებით სოციალური მდგომარეობის მიხედვით, ასოციაციის მუშა აპარატის (მეთოდკომისიები, წრეები, სექციები) შექმნით, ამ აპარატის ხელმძღვანელების მოხსენებათა მოსმენით, ადგილობრივ ოგანიზაციებისადმი მუდმივი ხელმძღვანელობით, მათთვის მასალის დაგზავნით, მათი მუშაობის განხილვით, გეგმური მუშაობის უზრუნველყოფით ხელმძღვანელობა ცდილობს ასოციაციის ქმედითუნარიანობის გაზრდას.

გრძელდებოდა დისკუსიები მხატვრული პლატფორმის ირგვლივ. მართალია, პარტიის მითითებათა შედეგად დაიწყო ერთგვარი შემობრუნება კულტურული მემკვიდრეობის შეფასებაში — ასოციაციის ხელმძღვანელობამ პროლეტარულ მწერლებს მოუწოდა წარსული კულტურისაგან ვისწავლოთო, მაგრამ ასოციაციაში ადგილი

---

[135] მაგალითად, პროლეტმწერლების სწავლებისათვის ასოციაციის სამდივნომ დაადგინა (1929. 10.10) სემინარების ჩამოყალიბება: 1. ისტორიულ მატერიალიზმში, 2. ქართული ლიტერატურის ისტორიასა და 3. ლიტერატურის თეორიაში. წრეების ორგანიზატორობა დაევალა ს. წვერავას. ლხცსა, 38—1—75—12; 38—1—43—1; იხ. აგრეთვე, ასოციაციის მუშაობის გეგმა 1928 წ. 1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე — ლხცსა, 38—1—31. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1921 წ. 19 აპრილს გაზ. „კომუნისტში" (39) გამოცხადდა: ხელოვანთა სასახლეში პოეზიის აკადემიასთან „არსდება ლაბორატორია პროლეტარულ პოეზიის შესასწავლად".

ჰქონდა სხვა ნაკლს — პარტიული მწერლები უპირისპირდებოდნენ უპარტიოებს, პოლიტიკურ იარლიყებს აწებებდნენ თანამგზავრებს.

1928 წელს (24.11.) გაიმართა ასოციაციის გამგეობის კიდევ ერთი პლენუმი [136], რომელზეც ბენიტო ბუაჩიძემ ილაპარაკა მოწინააღმდეგე დაჯგუფებებთან ბრძოლაზე და ქართულ ლიტერატურაში გამოყო ბურჟუაზიული და თანამგზავრული ფენები. პირველის წარმომადგენლად დაასახელა: კონსტანტინე გამსახურდია (გააკრიტიკა მისი „ტაბუ") და იოსებ გრიშაშვილი (ბრალი დასდო პორნოგრაფიულობაში).

ბენიტო ბუაჩიძემ თანამგზავრებშიც გამოჰყო რამდენიმე შრე: ისინი, ვინც იხრებოდა ჭარჯვნივ და ისინი, ვინც იხრებოდა მარცხნივ. აღნიშნა: არ კმარა განაცხადო, რომ თანაუგრძნობ რევოლუციას, მხატვრული პროდუქციით კი არ გაამართლო ეს დანაპირები. ბენიტო ბუაჩიძის აზრით ასე იქცეოდნენ ცისფერყანწელები. გააკრიტიკა არიფიონელები — გერონტი ქიქოძე ეპვს გამოთქვამს, ევროპას როგორ დავეწევითო, შემდეგ გააკრიტიკა მიხეილ ჯავახიშვილი (ადამაშვილი) — გამოყავს პროლეტარიატის კადრი, რომელიც ყველაფერს ყვლეფს, („დამპატიჟე"), პორნოგრაფიულ ნაწარმოებებს წერსო („მუსუსი", „ოქროს კბილი").

ყველაზე გულწრფელ თანამგზავრად ბენიტო ბუაჩიძემ დაასახელა გალაკტიონ ტაბიძე. სანდრო შანშიაშვილსაც „არიფიონთან" ორგანული კავშირი არ ჰქონიაო. თანამგზავრებში დაასახელა ლეო ქიაჩელი და ლევან მეტრეველი:

შემდეგ პროლეტმწერლების გაბიაბრუებისათვის გააკრიტიკა გრიგოლ მუშიშვილი.

კამათში გამოსულმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ და იონა ვაკელმა ილაპარაკეს კლასიკოსებთან დამოკიდებულებაზე.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა მემარცხენეთა წარმომადგენელი სიმონ ჩიქოვანი.

ბოლოს გამგეობამ გადაწყვიტა ორგანიზაციული საკითხები: მეორე მდივნად აღასი ვართანიანის ნაცვლად აირჩია შალვა რადიანი: აღასი ვართანიანი და სარაჯ მამედოვი კი გამოიყვანა პრეზიდიუმიდან;

გამგეობამ აღადგინა ასოციაციის მეორე ყრილობის (1928) მიერ გარიცხული პლატონ ქიქოძე, რომელმაც განცხადებაში [137] აღნიშნა: ნაპოსტოველთა უმცირესობის ჯგუფმა „მებრძოლმა", რომელსაც მთავარ მიზნად ჰქონდა დასახული მემარჯვენეებთან ბრძოლა და პროლეტმწერლების შემოქმედებითი კრიზისიდან გამოყვანა,

---

[136] ლხცსა, 38—1—24; 38—1—25.

[137] ლხცსა, 38—1—38.

ამ მიზნის განსახორციელებლად ჯგუფურობის მეთოდს მიმართა და ძალაუნებურად დაუპირისპირდა ასოციაციის ხელმძღვანელობას. ყოველივე ამან არევ-დარევა შეიტანა ასოციაციაში, რითაც ისარგებლეს მემარჯვენეებმა.

მე, როგორც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ვაცხადებ, რომ ჯგუფი იშლება და უარყოფს ფრაქციული ბრძოლისა და ხელმძღვანელობისადმი დამოკიდებულების ძველ ტაქტიკას, გვსურს ასოციაციაში დაბრუნება რიგით წევრად, ვიზიარებთ ასოციაციის ხაზს, გამომუშავებულს პარტიის პოლიტიკის საფუძველზე.

თანამგზავრობის შესახებ დიდი კამათი ატყდა შემდგომ პლენუმზეც, რომელიც გაიმართა 1929 წლის 17—29 ნოემბერს. ამ პლენუმზე ბენიტო ბუაჩიძის მოხსენებაში[138] — „მწერლობის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში", აღინიშნა: კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის შეტევის დროს ბრძოლა მწერლობაშიც გამწვავდა. კერძოდ, ხდება მემარჯვენეების აქტივიზაცია, მეორე მხრივ — დიფერენციაცია თანამგზავრებს შორის (უსახო და გაურკვეველი თანამგზავრებიდან ნამდვილი თანამგზავრების ჩამოყალიბება), მესამე მხრივ, პროლეტარული მწერლობის ზრდა.

მოხსენებაში კვლავ იყო გაკრიტიკებული მიხეილ ჯავახიშვილი, და კონსტანტინე გამსახურდია (ამ უკანასკნელმა ლექსს „ოდა ზაჰესს" ქვესათაურად „ქართლის ფალავანი" უწოდა, ე. ი. ხედავს საერთო მშენებლობას, რომელიც სოციალისტური მშენებლობის მიზნების გარეშე დგასო).

ბენიტო ბუაჩიძემ ასევე მემარჯვენული ელემენტები დაინახა შალვა დადიანის შემოქმედებაში („უბედური რუსი"), ნიკოლო მიწიშვილთან (მუდამ ამბობს „ქართველი საზოგადოება" და არ დაყოფს ამ საზოგადოებას ფენებადო), ალექსანდრე აბაშელთან და ნიკოლო მიწიშვილთან (რევოლუციის ფოსტით მოსვლის თეზისს იმეორებენ ტიციან ტაბიძის შემდეგო).

ბენიტო ბუაჩიძის მიხედვით, სწორი არ იყო ნიკოლო მიწიშვილის საყვედური, პროლეტარული მწერლები სხვას არ ცნობენო. ეს იყო მხოლოდ 1922 წელს. შემდეგ პროლეტმწერლები თანამგზავრებს ღებულობდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ზოგჯერ მარჯვნივ იხრებოდნენო.

---

[138] ლხცსა, 38—1—63. გარდა ამისა პლენუმმა მოისმინა მოხსენებები: „ქართული პროლეტარული პოეზია" (მომხს. შალვა რადიანი), „პროლეტარული მწერლობის ახალგაზრდობა" (ალექსანდრე სულავა), კინოსა და სამხრეთ ოსეთის მწერლობაზე.

ბენიტო ბუაჩიძის მოხსენებაში აღინიშნა ფედერაციის ხელმძღვანელობის ნაკლი [139]. კერძოდ, ითქვა, რომ ფედერაციაში არიან მწერლები, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ საბჭოთა მწერლობასთან. სტეფანე კასრაძე საზღვარგარეთაა; იქ იბეჭდება, აქ კი ფედერაციის წევრად, ლეფის წევრად ითვლება, ასევე, აკაკი პაპავა ემიგრაციაშია, მისი ნაწარმოები კი „მნათობში“ ქვეყნდება. ამიტომ საჭიროა ფედერაციის წმენდა ჩატარდესო.

ჩვენი ასოციაციაც დამნაშავეა, ფედერაცია რომ ვერ მუშაობს. უნდა ვებრძოლოთ მემარცხენეებს ჩვენს რიგებში, რომლებიც არ აფასებენ თანამგზავრებს. თანამგზავრები თანდათან უნდა დავიახლოვოთ, მეორე მხრივ, ეს მემარცხენეები არ ინდობენ პროლეტარულ მწერლებსაც. სწორი არაა პლატონ ქიქოძის მოთხოვნა — გადახრისათვის ასოციაციიდან გავრიცხოთო, საჭიროა აღზრდა. ჩვენ ყველანი ახლა ვყალიბდებით და მოსალოდნელია წაბორძიკებაც.

აქტიური თემების დამუშავებისათვის პროლეტარული მწერლებიდან ბენიტო ბუაჩიძემ აღნიშნა კონსტანტინე ლორთქიფანიძე („პირველი დედა“), ალიო მაშაშვილი (პოემები), ელიზბარ ზედგინიძე („რკინის ძმები“), კარლო კალაძე („როგორ“, „ხატიჯე“) და სანდრო ეული.

მოხსენებაში აღინიშნა: საჭიროა მუშა მწერალთა ბირთვის გაზრდა, ძველმა მუშა მწერლებმა თავისი საქმე გააკეთეს — ერთგვარი ნიადაგი მოამზადეს მუშური პოეზიისა. მაგრამ ისინი გაუნათლებლები არიან, მათი გარდაქმნა კი გვიანაა. ამიტომ ორიენტაცია ავიღოთ მწერლური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა მუშებისაკენ. მწერლების სწავლებისათვის მოვაწყოთ სემინარები.

ბენიტო ბუაჩიძემ გააკრიტიკა მემარცხენე ფრონტის მწერალთა შემოქმედების მეთოდი — ფაქტოლოგია.

ლეფელთა ლექსების ფაქტოლოგია დაგმო კამათში გამოსულმა კონსტანტინე გამსახურდიამაც. კამათში გამოსულთაგან აღვნიშნავთ აგრეთვე სიმონ ჩიქოვანს, ბესო ჟღენტსა და გერონტი ქიქოძეს.

ბუნებრივია, ასოციაციის ხელმძღვანელობა ზოგიერთთა უკმაყოფილებას იწვევდა თანამგზავრ მწერალთა შემოქმედების მეტისმეტად მემარჯვენული შეფასებით.

მეორე მხრივ, ასოციაციის რიგებში იყო მემარცხენული გადახრები — მეტისმეტად მკაცრად ეკიდებოდნენ თვით პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებას. ამის გამოხატულება იყო 1930 წელს გა-

---

[139] მანამდე, 1929 წლის 7 იანვარს, ასოციაციის პრეზიდიუმმა მოისმინა ფედერაციის მუშაობის საკითხი, მოხსენებით გამოსულმა სილვა თოდრიამ აღნიშნა — დაჯგუფებებმა სუსტი მუშაკები წამოაყენეს ფედერაციაში, ძლიერები კი განზე გადგნენო.

ზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ (რედაქტორი დავით ვოლსკი) იერიში ასოციაციის ხელმძღვანელობის მიმართ, პროლეტარული მწერლების შემოქმედებაში მემარჯვენულ გადახრებს არ ხედავენო (ამის თაობაზე დაწვრილებით გვექნება საუბარი, როდესაც შევეხებით პროლეტარული მწერლების ასოციაციის დაშლის მიზეზებს და ერთიანი საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნას).

ასეთ პირობებში, 1930 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ მიიღო დადგენილება „საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის შესახებ“ [140], რომელიც მხარს უჭერდა ასოციაციის ხელმძღვანელობას, გმობდა ჯგუფობრივობას, აღნიშნავდა ცალკეული წევრების მცდარობას, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ბრძოლაში (დავით ვოლსკი, სანდრო ეული) და გამგეობას ავალებდა ებრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, როგორც მთავარ საშიშროებასთან, აგრეთვე, მემარცხენე გადახრასთან, გაეძლიერებინა მუშაობა თანამგზავრ მწერალთა შორის.

1931 წლის 3—5 სექტემბერს გამართულ ასოციაციის მეექვსე პლენუმზე [141] (დღისწესრიგი: 1. ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები და პროლეტარული მწერლობის ამოცანები — ბენიტო ბუაჩიძე, 2. დამკვრელი მუშების გაწვევა მწერლობაში — სიმონ წვერავა, 3. საორგანიზაციო საკითხები). ბენიტო ბუაჩიძის მოხსენებაში კვლავ დიდი ადგილი ეკავა ყოფილი აკადემიური და ციმფერყანწელთა ჯგუფების წარმომადგენლებთან ბრძოლას. ამასთან მომხსენებელი ზოგჯერ მეტისმეტ და უსამართლო ბრალდებებს ეყენებდა მათ (მიხეილ ჯავახიშვილი ცილს სწამებს ჩვენს სინამდვილეს — სოციალისტური სოფლის მშენებლები ზარმაცებად და კულაკებად გამოყავს, მარტო „არსენა მარაბდელში“ ბატონყმობის გაკიცხვით თანამგზავრობის დამტკიცება ვერაფერი საქმეაო, შალვა დადიანი კომედიით „კაკალ გულში“ ვითომ ებრძვის საბჭოთა ბიუროკრატიზმსო). თანამგზავრებად და მოკავშირეებად მომხსენებელმა დაასახელა გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე (1926) საერთოდ ლაპარაკი იყო რევოლუციის მიღება-არმიღებაზე. ყრილობამ დააჩქარა დიფერენციაციის პროცესი და ამ დიფერენციაციის ხელმძღვანელი იყო პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. მას ბრძოლა ჰქონდა მემარჯვენეებთან, რომლებიც ახალახალ გადაჯგუფებებს მიმართავდნენო.

---

[140] გაზ. „კომუნისტი“, 1930, № 282.

[141] ლხცსა, 38—1—148.

* * *

ორიოდე სიტყვა მწერლობაში დამკვრელი მუშების გაწვევაზე: როგორც ვნახეთ, 1929 წელს ნოემბრის პლენუმზე მიხვდნენ რა, რომ ძველ მუშებზე როგორც მწერლებზე ორიენტაციის აღება შეცდომაა, რადგან მათ საამისო მცირე ნიჭს არ განამტკიცებდა ცოდნა-განათლება, ხოლო მათი გარდაქმნა უკვე გვიან იყო, — ორიენტაცია აიღეს მწერლური ნიჭის მქონე ახალგაზრდებზე მუშათა წრიდან. მაგრამ გადახრების გარეშე ვერც ეს ღონისძიება ჩატარდა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გააჩაღა მწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევა[142]. ამ საკითხებს საგანგებო მოხსენება ეძღვნა ამ პლენუმზეც. ამ საკითხებს უძღვნიდნენ თათბირებსა და მოწინავე წერილებს, მართავდნენ მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშათა შემოქმედების საღამოებს. მაგრამ მათგან (გიორგი ასათაშვილი, ვ. ბაზღაძე, კ. კაჭახიძე, გიორგი მაისურაძე, ივანე ნაზარბეგოვი-თეძმისპირელი, გ. ტაბატაძე და სხვ.) მწერლობამ შევსება ვერ მიიღო.

აქ ბევრი რამ დამოკიდებული იყო იმათზეც, ვისაც მწერლობაში მუშათა გაწვევა ეხებოდა: რა საზომით უდგებოდა იგი მწერლობას? ჰქონდა თუ არა უნარი გამოეცნო ნამდვილი მწერლური ნიჭი? მეორე მხრით, სარგებლობდნენ რა ლოზუნგით, მწერლობაში შემოსვლას ცდილობდნენ ისეთნიც, რომლებიც მართალია მუშები იყვნენ, მაგრამ მწერლობის ბევრი არაფერი გაეგებოდათ.

მუშათა წრიდან მწერლობაში კადრების მოზიდვა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზანი, როდესაც ოცდაათიანი წლების დასაწყისში ქარხნებში (ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, 26 კომისრის სახ. და სხვ.), ფაბრიკებში (აბრეშუმის, მაუდის, სამკერვალო და სხვ.), კლუბებში (პლეხანოვის, სტალინის, ვოროშილოვის სახელობის, მილიციის. ტრამვაელთა და სხვ.), ბიბლიოთეკებში (ჯაფარიძის სახელობისა და სხვ.) სტამბებში („კომუნისტის", სახელგამის და სხვ.), უნივერსიტეტში, განათლების მუშაკთა სახლში და სხვაგან ლიტერატურულ წრეებს ქმნიდნენ და მას ძირითადში პროლეტარული მწერლები ხელმძღვანელობდნენ (ირაკლი აბაშიძე, ალი არსენიშვილი, კალე ბობოხიძე, აკაკი გაწერელია, ალექსანდრე გომიაშვილი, ელიზბარ ზედგინიძე, გიორგი კაჭახიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, ბესო ყღენტი, ალექსანდრე სულავა, ალექ-

---

142 იხ. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს ღია წერილი მწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევის თაობაზე, გაზ. „კომუნისტი" 1930.18.10.

სანდრე შანიძე, დემნა შენგელაია, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, გრიგოლ ცეცხლაძე, სიმონ წვერავა).

არსებობდა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა წრეც, რომელსაც 1932 წელს ხელმძღვანელობდა ერემია ახტვაცატუროვი (ქარელიშვილი).

* * *

მაგრამ დავუბრუნდეთ 1931 წლის მეექვსე პლენუმს. პლენუმმა ორგანიზაციული საკითხებიც განიხილა: ბენიტო ბუაჩიძის ეოაპპ-ში (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1928 წელს პროლეტარულ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე) გადაყვანის გამო ასოციაციის პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს შალვა რადიანი. სამდივნოში შეიდნენ სოლომონ დოლიძე, სანდრო ეული, აღასი ვართანიანი, ვალერიან ლუარსამიძე, ალექსანდრე სულავა, სიმონ წვერავა.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოცემულია როგორც მემარჯვენეთა, ისევე თვით პროლეტარულ მწერალთა გადახრების დახასიათება [143].

* * *

როგორც დავინახეთ, ახლადშექმნილ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში (1926) და საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაში (1928), რომელთა შესახებ, როგორც ვთქვით, გვექნება საუბარი, პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ხელმძღვანელობას ზოგჯერ ადმინისტრირებით უნდოდა საბჭოთა მწერლობის მხარეზე გადმოეყვანა, მოკავშირეებად, შემდეგ კი საბჭოთა მწერლებად ექცია თანამგზავრები — ის მწერლები რომლებმაც მწერლობა რევოლუციამდე დაიწყეს.

ეს იწვევდა ასოციაციის ხელმძღვანელობის გაკრიტიკებას და ხშირ შეცვლას. ასე, მაგალითად, 1931 წლის დეკემბერში ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი გახდა პანტელეიმონ ჩხიკვაძე. მდივნებად აირჩიეს სანდრო ეული და შალვა რადიანი, რომელიც ამავე დროს 1-ლი ნოემბრიდან დაინიშნა ახლადდაარსებული „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორად [144].

---

[143] ლხცსა, 38—1—152—28; 38—1—153.

[144] „სალიტერატურო გაზეთი“, 1931, № 2.

მაგრამ სულ მალე, 1932 წლის პირველ იანვარს, ასოციაციის მე-7 პლენუმზე, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ორ ფრონტზე ა) მემარჯვენე გადახრის (მთავარი საკითხი) და ბ) მემარცხენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, აგრეთვე თანამგზავრ და მოკავშირე მწერლებთან მუშაობაზე მათი შემოქმედებითი თავისებურებების გათვალისწინებით, თვით ასოციაციის ნაკლზე — კომუნისტურ ყოყოჩობაზე, თვითკრიტიკის ჩახშობაზე, კლასიკოსთა მცდარ შეფასებაზე (ბენიტო ბუაჩიძის მოხსენება) — მუშაობის გადახალისების მიზნით შეიქმნა ახალი სამდივნო: ვინაიდან პანტელეიმონ ჩხიკვაძე გახდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პირველი მდივანი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პასუხისმგებელ მდივნად ისევ შალვა რადიანი აირჩიეს (პანტელეიმონ ჩხიკვაძე კი დარჩა ასოციაციის ხელმძღვანელობაშიც, როგორც ერთ-ერთი მდივანი). ასოციაციის მესამე მდივნად კვლავ სანდრო ეული დატოვეს. მასთან ერთად ასოციაციის ბიუროში შეევიდნენ ირაკლი აბაშიძე, დიმიტრი ბენაშვილი, გუგული ბუხნიკაშვილი, დავით დემეტრაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, ნოე ზომლეთელი, სილიბისტრო თოდრია, კარლო კალაძე, იაკინთე ლისაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვალერიან ლუარსამიძე, ალიო მაშაშვილი, გიორგი ნატროშვილი, პეტრე შარია [145].

მაგრამ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში, მის ხელმძღვანელობაში მაინც განაგრძობდა არსებობას ზემოთნახსენები ადმინისტრირების სული.

* * *

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ჰქონდა რამდენიმე განყოფილება:

1. ქუთაისის განყოფილება. შეიქმნა 1923 წლის ნოემბერში, უფრო ორგანიზებულად ეს მოხდა 1927 წლის სექტემბერში. ეს განყოფილება, რომელშიც შედიოდნენ ანაზარდი (ჭიჭიკო ნიკოლეიშვილი, 1926 წლიდან განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი), პეტრე ბახტურიძე, ვლადიმერ იამანიძე, მუშა-მწერალი კოსტაიდი (კოსტა თავბერიძე), ვალერიან ლალიაშვილი, გიორგი მდივანი, ვლადიმერ ხობისპირელი (ქვარცხავა), გარდა ზემოთნახსენები „დინამიტისა" (1924. გამოვიდა მხოლოდ 1 ნომერი), დროგამოშვებით სცემდა ალმანახებსა და ჟურნალებს: „ოქტომბრის ზა-

[145] „სალიტერატურო გაზეთი", 1932, № 1. ლხცსა, 36—1—176. 38—1—181.

რი“ (1925), „რიონი“ (1926) „გრდემლი“ (1927—28), „პროლეტარული მწერლობა“ (1928), „წითელი აფრა“ (1928—30), „ლიტერატურულ ფრონტზე“ (1931. 4 ნაკვეთი).

2. ბათუმის განყოფილება. 1927 წლის 7 აგვისტოს საორგანიზაციო კრებაზე შეიქმნა აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც 20 სექტემბერს გადაკეთდა განყოფილებად, მისი ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს თომა სიხარულიძე (გაზ. „ფუხარას“ რედაქტორი), მდივნად — ვლადიმერ მახარაძე. შემდეგ, 1927 წელსვე, თავმჯდომარედ იყო ევგრაფი ჯიჯეიშვილი[146].

1928 წელს აჭარის განყოფილებაში წევრდის შემდეგ იყვნენ: შოთა ართილაყვა, გრიგოლ გორგაძე, დავით დუმბაძე, ბესარიონ თადუმაძე, სერგო კარსანიძე, თინა ლეჟავა, ჯემალ ნოღაიდელი, პარმენ ობოლი (ლორია), პარმენ ოდიშელი (რურუა), გრიგოლ შავიშვილი.

განყოფილება სცემდა ორთვიურ ჟურნალს „ლიტერატურულ სადარაჯოზე“ (1931).

3. სამხრეთ ოსეთის განყოფილება. 1928 წლის 28 მაისს ცხინვალში სამხრეთ ოსეთის პროლეტარულ მწერალთა პირველმა კრებამ დაადგინა ასოციაციის შექმნა და აირჩია საორგანიზაციო ბიურო[147]. საოლქო კონფერენციის მოსაწვევად. გაერთიანებული იყვნენ ჩერმენ ბეგიზოვი, ხარიტონ პლიევი, ყათრან ყოროევი, სოზრიკო (სიკო) ყულაევი. განყოფილებას ჰქონდა ლიტერატურული ორგანო „ფიდიუაგი“ („მოამბე“).

4. აფხაზეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაა[148] შეიქმნა 1927 წლის 15 ოქტომბერს. ასოციაციის სამდივნოში შედიოდნენ მუშნი ხაშბა (პასუხისმგებელი მდივანი), სამსონ ჭანბა, პარმენ ნანეიშვილი (ქართული სექციიდან), ავრელი ლევიტი (რუსული სექციიდან).

ასოციაცია სცემდა გაზეთსა და პატარა ჟურნალ „თანავარსკვლავედს“, რომელიც 1928 წელს სამსონ ჭანბასა და მუშნი ხაშბას რედაქტორობით გამოდიოდა.

* * *

1926 წელს შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რუსული სექცია. მანამდე საქართველოს პროლეტკულტში შედიოდა არმიის პოლიტმუშაკებისა თუ არმიისავე გაზე-

---

[146] ლხცსა, 38—1—18; 38—1—20.

[147] გაზ. „კომუნისტი“, 1928, № 123.

[148] ლხცსა, 38—1—17; 38—1—50; შალვა ინალ-იფა, „აფხაზური მწერლობა გუშინ და დღეს“, თბ., 1973, გვ. 13.

თის მუშაკების, მუშურ-გლეხური წარმოშობის ახალგაზრდობის ბაზაზე შექმნილი რუს კომკავშირელ მწერალთა კოლექტივი „კრასნიე ვსხოდი“. მასში გაერთიანებული იყვნენ: დ. გრებენშჩიკოვი, მიხეილ იურინი, იგორ კოზლოვი, ავრელი ლევიტი, პეტრე მაგერი, ვლადიმერ პეტრიაკი, არკადი სიტკოვსკი და სხვ. ამ კოლექტივის წევრები იბეჭდებოდნენ ჟურნალში „კრასნიე ვსხოდი“ (რომლის სახელსაც ატარებდნენ და რომელიც იყო კომკავშირის ა/კ სამხარეო კომიტეტის ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1922—26 წწ.) აგრეთვე „იუნოშესკაია პრავდასა“ და „ზარია ვოსტოკაში“, მოსკოვის ჟურნალებში — „სმენასა“ და „კომარში“ [149].

1925 წელს ამ ჯგუფმა, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დახმარებით, გამოსცა პირველი ლიტერატურული კრებული.

„კრასნიე ვსხოდისთან“ ერთად პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შედიოდა ლიტერატურული ჯგუფი „შტურმიც“. მასში გაერთიანებული საქართველოში მცხოვრები რუსი ლიტერატორები წერდნენ უმთავრესად სამოქალაქო ომისა და მაშინდელი სოფლის ცხოვრებაზე.

რუსული სექციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ვ. ვ. იგნატოვი.

1926 წელს თბილისში გაზ. „ზარია ვოსტოკის“ რედაქციამ გამოსცა „ალმანახი № 1“ გიორგი კრეიტანისა და ნიკოლოზ სტორის რედაქციით. მასში დაბეჭდილი თითქმის ყველა მოთხრობა (იგორ კოზლოვისა, ავრელი ლევიტისა, პეტრე მაგერისა, ნიკოლოზ სტორისა) სამოქალაქო ომის დროინდელ ამბებს ასახავდა. ალმანახში მოთავსებული იყო კ. დობროვოლსკის, მიხეილ იურინის, გიორგი კრეიტანის, არკადი სიტკოვსკის ლექსები.

1926 წელს კი, როგორც ვთქვით, შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რუსული სექცია. მასში შედიოდნენ: გორინი, დუბენსკი, ტანდიტი. შემდეგში დაემატნენ: გიორგი კრეიტანი, არკადი სიტკოვსკი, ვლადიმერ სუტირინი [150].

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სომხურ სექციაში გაერთიანდნენ აკოფ აკოფიანი, მოვსეს არაზი (არუთინი-

---

[149] ინფორმაცია ამ ჯგუფზე იხ. ჟურნ. „კრასნიე ვსხოდი“, 1925, № 2—3. აქვეა ჯგუფის ფოტოსურათიც.

[150] ლტესა 38—1—47; საზოგადოდ იმდროინდელ საქართველოში მოღვაწე რუსი მწერლების შესახებ იხ. როსტისლავ ვლადიმერის ძე პრილიპკოს სადისერტაციო ნაშრომის „რუსი მწერლების ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში 1920—1930-იან წლებში“ — ავტორეფერატი (რუსულ ენაზე, თბ. 1971).

ანი), გეორგ გრიგი (გრიგორიანი), აღასი ვართანიანი, მკრტიჩ კორიუნი, მადათ პეტროსიანი, ეღიშე ჩარენცი [151].

შეიქმნა, აგრეთვე, აზერბაიჯანული (მაშინ თურქულს უწოდებდნენ) სექცია.

* * *

1931 წლისთვის საქართველოს პროლეტარმწერალთა ასოციაცია აერთიანებდა 100-ზე მეტ წევრს [152].

---

[151] „დაარსებულია სომხური სექცია ამხ. აკოპ აკოპიანის მეთაურობით" — ჟურნ. „ქურა", 1922, № 1.

[152] ასოციაციის შესახებ იხ. ვალერიან ლუარსამიძის წერილი, ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა", 1931, № 1—2.

ასოციაციის და სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებთან მისი დამოკიდებულების თაობაზე იხ. ბ. ბუაჩიძის, ვ. ლუარსამიძის, გ. ნატროშვილის, ა. სულავას, ს. ეულის წერილები — ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა", 1927 № 9 — 10; 1931; №№ 1—2, 4—5, 8—9.

ფუტურისტ-ლეფელები

1922 წელს თბილისში შეიქმნა ახალგაზრდა ფუტურისტთა დაჯგუფება: 23 აპრილს ფუტურისტებმა კონსერვატორიის დარბაზში მოაწყვეს საღამო, 6 მაისს კი გამოსცეს მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერდნენ სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, ნიგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, დემნა შენგელაია, ირაკლი გამრეკელი...

1922 წელსვე ქუთაისში სრულიად დამოუკიდებლად შეიქმნა ფუტურისტთა ჯგუფი „ფენიქსი". როდესაც ქუთაისელი ფუტურისტების ნაწილი თბილისში გადმოვიდა, 1923 წლის 16 თებერვალს თბილისელი და ქუთაისელი ფუტურისტები ერთ დაჯგუფებად გაერთიანდნენ. ამ ჯგუფში, გარდა ზემოთ დასახელებულისა, შედიოდნენ: ჟანგო ღოღობერიძე, ბიძინა აბულაძე, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი, ლევან ასათიანი, პალიკო ნოზაძე.

ფუტურისტები ქადაგებდნენ ქართველი ხალხის განსაკუთრებულობას („ვაღიარებთ ქართველ ხალხს მსოფლიო მესიად"), კატეგორიულად არ ცნობდნენ წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას („ჩვენ უარვყოფთ წარსულს. ეს მხოლოდ ლიტერატურას შეეხება") [153], იჩემებდნენ ახალი, რევოლუციური საქართველოს შესატყვისი მწერლობის ერთადერთი შემქმნელის სახელს („უარვყოფთ, რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება"). ბესარიონ ჟღენტის პირით ამბობდნენ, პროლეტარული კულტურის ერთადერთი წარმომადგენლები ფუტურისტები არიანო. ამიტომ ებრძოდნენ მათს თანამედროვე დეკადენტურ მიმდინარეობებს (რაც მათი დამსახურებაა) — სიმბოლისტურ აზროვნებას. მაგრამ ებრძოდნენ თვით პროლეტარული მწერლების პირველ თაობასაც, რადგან ისინი ძველის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან კავშირი ვერ გასწყვიტესო [154].

---

[153] პ ა ვ ლ ე (პ ა ლ ი კ ო) ნ ო ზ ა ძ ე, ჟურნ. „H_2SO_4", 1924, № 1.

[154] ამასვე ამბობდა ბესო ჟღენტი, იხ. ჟურნ. „მემარცხენეობა" 1927, № 1.

მაგრამ, თუ ფუტურისტები დეკლარაციებს ასე თუ ისე გასაგები ენით წერდნენ, გასაგებადვე ლაპარაკობდნენ, — ლექსებს მეტად გაუგებარს ქმნიდნენ. აცხადებდნენ: ლიტერატურაში რევოლუციონერები ვართო, მაგრამ ფორმალური ნოვატორობის გზით წავიდნენ და რეალიზმს დაუპირისპირეს ბუნტარობა, ლიტერატურული ოინბაზობა და „ზაუმი". ტიციან ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფუტურიზმი დეკლარაციების შემდეგ დარჩა მხოლოდ სიტყვად"[155].

ეს ფუტურისტებმაც საკმაოდ მალე შეიგნეს და დაიწყეს ახალი გზების ძიება. თავის ადრინდელ ფუტურისტულ, ექსცენტრულ გამოსვლებს კი ასე ამართლებდნენ:

„ჩვენმა პირველმა გამოსვლებმა მოახდინეს მეშჩანური გემოვნებისა და სიმბოლისტური აზროვნების ტერორი (გამოაჩინეს უდღეურობა მოჩვენებათა უგემურ პოეზიისა)" [156].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუტურისტები ფიქრობდნენ, ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა და ხელოვნება წარსულის ესთეტიურ ტრადიციებს ვერ შეითვისებსო, და მთელი სიმძიმე გადაიტანეს ახალი ფორმის ძიებაზე. პირველად ეს ძიება იყო ფუტურისტულ-ზაუმური. შემდეგ კი, როგორც ვთქვით, დაიწყეს ახალი ფორმების ძიება. 20-იან წლების ბოლოს ისინი გაერთიანდნენ საქართველოს ხელოვანთა მემარცხენე ფრონტში („ლეფი"), რომელშიც მათ გარდა შედიოდნენ კინო-რეჟისორები და სახვითი ხელოვნების მოღვაწეები. ამ ფრონტმა განაცხადა, კომუნისტური კულტურის მშენებლობის პრინციპებზე ვდგებითო.

მემარცხენე ფრონტელებმა (ლეფელებმა) დეკლარაციით მიმართეს პროლეტარულ მწერლებს [157], რათა მწერალთა ფედერაციაში მოეწყოთ ბლოკი პროლეტარული მწერლებისა და მემარცხენე ფრონტის შემადგენლობით, უახლოეს თანამგზავრთა ჩაბმით.

რატომ მიიჩნიეს შესაძლებლად ასეთი ბლოკის შექმნა პროლეტარულ მწერლებთან, იმათთან, ვისაც მანამდე ასე მწვავედ აკრიტიკებდნენ?

აი როგორ ხსნიდნენ ამას მემარცხენე ფრონტში გაერთიანებული მწერლები: პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობა მხოლოდ პოლიტიკური ლოზუნგებით გამოდიოდა, წერით კი რიტორულ-

---

[155] ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები", 1923, № 9.

[156] ჟურნ. „მემარცხენეობა", 1927, № 1.

[157] მემარცხენე ფრონტის დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერს სიმონ ჩიქოკანი, წაკითხულ იქნა პროლეტარულ მწერალთა მესამე პლენუმზე და დაბეჭდილია ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობაში", 1930, № 4.

საკალენდარო ლექსებს წერდა, ფორმის რეკონსტრუქციას არ აქცევდა ყურადღებას, ამისთვის ვერ იცლიდაო.

ფუტურისტ-მემარცხენეთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბესარიონ ჟღენტი ამბობდა: პროლეტარული მწერლობის ადრინდელი თაობა ხელოვნების არეზე ძველი ლიტერატურული სკოლების (მათ შორის „ყანწელების") გავლენაში მოექცაო [158].

მაგრამ პროლეტარული მწერლების ახალმა თაობამ დაიწყო მუშაობა ახალი სტილის შესაქმნელად. იმავე ხანებში ფუტურისტების ევოლუციაც მოხდა: მათ მოიცილეს ზაუმურ-დადაისტურ-ფუტურისტული ბუნტარობა, იქცნენ მემარცხენეებად (ლეფელებად) „ხელოვნების ამსახველობითი პრინციპების წინააღმდეგ ხელოვნების ფუნქციად ცხოვრების მშენებლობას და ორგანიზაციას" აღიარებდნენ და გადავიდნენ, ბესარიონ ჟღენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფუნქციონალურად საჭირო პროდუქციის შექმნაზე" — შევიდნენ მემარცხენე ფრონტში, რომელიც ხელოვნებას აცხადებდა სავსებით უტილიტარულ, პრაქტიკული მნიშვნელობის კატეგორიად.

და ახლა მათ შესაძლებლად ჩათვალეს ბლოკის შექმნა პროლეტარულ მწერლებთან.

ამ ბლოკს მემარცხენე ფრონტელები (ლეფელები) მიზნად უსახავდნენ შემდეგს: „ორგანიზაციული, პრაქტიკული საქმიანობის შეთანხმებით წარმოება და ფედერაციის მუშაობის გაცხოველება" [159].

პროლეტარული მწერლების ასოციაციის ხელმძღვანელობა (შალვა რადიანი) მიესალმა ამ ბლოკის შექმნას [160] იმ პირობით, თუ მემარცხენე ფრონტელები (ლეფელები) თავიანთ დაპირებას გაამართლებენო. ამასთანავე ზოგ რამეში იტოვებდნენ მემარცხენეთა გაკრიტიკების უფლებას.

* * *

ფუტურისტ-მემარცხენეები (ლეფელები) დაჯგუფებული იყვნენ ჟურნალების „H_2SO_4" (1924, 1.3. თბილისი, გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი), „ლიტერატურა და სხვა" (1924—1925, თბილისი,

---

[158] ჟურნ. „მემარცხენეობა", 1927, № 1.

[159] მემარცხენე ფრონტელები უკმაყოფილონი იყვნენ ფედერაციით. ეს ჩანს მემარცხენეთა პ/მგ. მდივნის ბესარიონ ჟღენტის მიერ ხელმოწერილი (1929.24.4) განცხადებიდან, რომელშიც ნათქვამი იყო — არაფრად გვაგდებენ, ამიტომ მომავალ ყრილობაზე გავდივართ ფედერაციიდანო,—ლხცსა, 8—1—189.

[160] ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა", 1930, № 4.

გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი), „მემარცხენეობა“ (თბილისი, გამოვიდა ორი განაკვეთი: 1927, დეკემბერი, № 1 და 1928, № 2) და გაზეთ „დროულის“ (1925 — 1926, თბილისი, გამოვიდა სამი ნომერი: № 1—1925, 25.XII; № 2—1926, 17.1. № 3 — 1926.31.1) გარშემო.

ფუტურისტებს მეთაურობდა სიმონ ჩიქოვანი.

1927—1929 წლებში მემარცხენე ფრონტელთა (ლეფელთა) ასოციაციის პ/მგ მდივანი იყო ბესარიონ ჟღენტი [161].

---

[161] ლხცსა, 8—1—133—26; 8—1—189; 8—1—198—3.

* * *

როგორც დავინახეთ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ძირეულად შეცვალა მწერლობის მდგომარეობაც: ასპარეზი მიეცა გამარჯვებული კლასის — პროლეტარიატის — მწერლობას, წარმოიქმნა სხვა ლიტერატურული დაჯგუფებებიც; ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა პირობებმა ცვლილებები გამოიწვია ადრე არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებებშიც.

ცხადია, კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით არსებულ საქართველოს მწერალთა კავშირში ვერ გაერთიანდებოდნენ პროლეტარული მწერლები. უკვე ამის გამო იგი აღარ იყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი.

ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროლეტარული მწერლები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ძალად გვევლინებოდა, პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია რიცხობრივადაც საკმაოდ გაიზარდა.

პროლეტარულ მწერალთა ძველი და ახალი თაობების გარდა ქართული საბჭოთა მწერლობის განმტკიცებას იმთავითვე უწყობდნენ ხელს დაჯგუფებათა გარეშე მდგომი ის მწერლები, რომლებიც ლიტერატურულ ასპარეზზე რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი საბჭოთა ხალხის მხარეზე დადგნენ. ამ მწერალთა შორის უპირველესი ადგილი ეჭირა გალაკტიონ ტაბიძეს.

1922 წლის 1-ლ იანვარს გალაკტიონ ტაბიძე ჟურნ. „ლომისში“ (№ 1) აქვეყნებს წერილს, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელშიც მწერლებს მოუწოდებდა დამდგარიყვნენ რეალისტურ ნიადაგზე, დაეგმოთ დეკადენტური მწერლობის გზა: „ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანისა, დეკადანსის. აქ პოეზია ხდება „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამრთობლათ, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებს“.

იმავე 1922 წელს „პოეზიის დღეში“ გალაკტიონ ტაბიძემ მწერლებს მოუწოდა მხარი აებათ ახალი ცხოვრებისათვის, შეექმნათ

მისი შესაფერისი ახალი მწერლობა: „ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ჩამორჩე მას... ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის, რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც. ახლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება. მან უნდა მოიცილოს შემბოჭველი სიცივე გარდამავალი ამბებისა".

შემდეგ გალაკტიონმა დააარსა საკუთარი ორგანო—„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი" (1922 წ. დეკემბერი) და გამოაცხადა (№ 1): „განახლება ან სიკვდილი! ძირს ყოველგვარი რუტინა; ძირს დროგამოჭმული და შემოქმედების უნარს მოკლებული ელემენტები. გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას".

1924 წელს გალაკტიონი აქვეყნებს საპროგრამო ლექსს „ჩვენ პოეტები საქართველოსი" (ჟურნ. „მნათობი" № 7—8) და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მძაფრი დღეებით შთაგონებულ პოემას — „ჯონ რიდს", 1925 წელს „მნათობში" (№ 10) ბეჭდავს ახალი საქართველოს ცხოვრების ამსახველ „ას ლექსს"...

საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხას თავიდანვე კარგად შეხვდა და მტკიცედ დადგა რევოლუციის მხარეზე დემოკრატიული სკოლის მწერალთა წარმომადგენელი გიორგი ქუჩიშვილი (ლექსი „საქართველო", 1921 წ.). იგი შეემატა პროლეტარულ მწერლებს და გააძლიერა მათი რიგები.

ასევე იმთავითვე დაადგა პროლეტარულ რევოლუციასთან შემოქმედებით თანამშრომლობის გზას შალვა დადიანიც.

საჭირო იყო ამ (და სხვა) მწერლებს ჰქონოდათ ერთიანი მწერლური ოჯახი, სადაც შესაძლებლობა ექნებოდათ ემსჯელნათ თავიანთ პროფესიულ-შემოქმედებით საკითხებზე, ოჯახი, რომელიც დაიცავდა მწერლების პროფესიულ ინტერესებს და ახალი ვითარების შესაბამისად ხელს შეუწყობდა ქართული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის შექმნა-განვითარებას.

ძველ მწერალთა კავშირში ვერ გაერთიანდებოდნენ ფუტურისტ-მემარცხენეებიც (ლეფელები).

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა და ახალი მწერლების კავშირის (ძირითადად „ცისფერყანწელების") გაერთიანებაც, როგორც ვიცით, ეფემერული იყო.

მეორე მხრივ, ახალი ცხოვრების წარმატებები სულ უფრო მეტ მწერალს არწმუნებდა, რომ ერთადერთი პერსპექტიული გზა იყო განახლებული ცხოვრების მშენებელ ქართველ ხალხთან დგომა. ასე, მაგალითად, პაოლო იაშვილმა საქართველოს განახლებას ჯერ კიდევ 1921 წელს, გასაბჭოების პირველ დღეებშივე, უძღვნა ლექსი „ახალ

საქართველოს". საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი თვის თავზე კი ტიციან ტაბიძე წერდა: რუსეთის ინტელიგენციამ დატოვა ტანჯული სამშობლო, მაგრამ ხელოვნებაში ვერ გაამართლეს თავი რუსმა ემიგრანტებმაო. „როდესაც კვერცხიდან იბადება ახალი არსება, თუნდაც ქათმის წიწილა — მაშინ ინგრევა კვერცხის ცა, მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ ცის დანგრევა ახალი ცხოვრებაა...

ინტელიგენცია, რომელიც გაიგებს ერის მისწრაფებას ასე — ყოველთვის მასთან იქნება და რევოლუციის ცეცხლი არ უნდა აბრმავებდეს მის თვალებს, თუ რუსეთმა იწამა იდეა მსოფლიო რევოლუციის, საქართველო პირველი მატარებელია აზიის რევოლუციის" [162]. 1921 წელსვე ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოდის წიგნი „რევოლუციის პოეტები". ცისფერყანწელთა პოეტებმა 1924—1925 წლებშიც უძღვნეს ლექსები რევოლუციასა და მის ბელადს ლენინს: პაოლო იაშვილი — „ლენინს" (1924); კოლაუ ნადირაძე — „წითელი მოედანი" (1924), „1905" (1924), „ვლადიმერ ლენინ" (1925); ვალერიან გაფრინდაშვილი — „პარიზის კომუნა" (1925), „ჩინეთი" (1925); რაჟდენ გვეტაძე — „მერკვილაძის დები" (1925).

ვალერიან გაფრინდაშვილმა თარგმნა ალექსანდრე ბლოკის პოემები „თორმეტნი" და „სკვითები".

აკადემიური მწერლობის კავშირის საპატიო უხუცესი წევრები შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი იმთავითვე კარგად შეხვდნენ საქართველოს განახლებას.

აკადემიური დაჯგუფების წარმომადგენელთაგან სიკო ფაშალიშვილმა 1921 წელს ეჟენი პოტიეს „ინტერნაციონალი" თარგმნა (ოფიციალურად მიღებული ტექსტი), იოსებ გრიშაშვილი 1925 წელს შემოქმედების ჭველ გზას ეთხოვებოდა („გამოთხოვება ძველ თბილისთან"), კონსტანტინე გამსახურდია კი ძველი სამყაროს, მის ნაშიერთა გარდუვალ ნგრევას ასახავდა (რომანი „დიონისოს ღიმილი"), ძველი სამყაროს ნგრევას უძღვნა თავისი რომანები „კვაჭი კვაჭანტირაძე" და „ჯაყოს ხიზნები" მიხეილ ჯავახიშვილმაც.

თედო სახოკიამ თარგმნა ანრი ბარბიუსის რომანი „ცეცხლი".

(გარდა ამისა, სისრულისათვის აღვნიშნავთ, რომ 1926 წლის ყრილობისათვის ქართული მხატვრული ლიტერატურა გამდიდრებული იყო ისეთი ნაწარმოებებით, როგორიცაა ვასილ ბარნოვის რომანები

---

[162] ტ. ტაბიძე, ანალოგიები, გაზ. „კომუნისტი", № 44.

„გიორგი სააკაძე“ და „არმაზის მსხვრევა“ (1925), სანდრო შანშიაშვილის ისტორიული დრამა „ჰერეთის გმირები“ (1925), კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები „ლილ“, „დიდი იოსები“, „ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ქალის რძე“, „ჯავუ“, „ზარები გრიგალში“).

ერთი სიტყვით, უკვე არაპროლეტარული მწერლებიც ებმებოდნენ სოციალისტური გარდაქმნის პროცესის ასახვაში.

საჭირო იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ განწყობილ ამ მწერლებზეც ზრუნვა, სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის შემოქმედებითი შეჯიბრების გაშლა, ახალი წყობილების, ახალი ცხოვრების უპირატესობაში დარწმუნების შედეგად ამ მწერლების თანდათან გადმოყვანა საბჭოთა მწერლობის მხარეზე. სწორედ ამას მოითხოვდა პარტიის ცკ-ის 1925 წ. 18 ივნისის დადგენილება „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“. ეს დოკუმენტი ყურადღებასა და ფრთხილ მიდგომას მოითხოვდა თანამგზავრების მიმართ, სწორ გეზს იძლეოდა საბჭოთა მწერლობის შექმნის პროცესის დასაჩქარებლად.

საჭირო იყო ერთიანი მწერლური ორგანიზაციის შექმნა, განცალკევებული ლიტერატურული ჯგუფების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება.

მწერალთა ასეთი კონსოლიდაციის, მისი ძველი თაობის სოციალისტურ სინამდვილესთან დაახლოების ნიშნით ჩატარდა მწერალთა სასახლეში სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა 1926 წლის 21—24 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავზე.

როგორც ყრილობაზე ფილიპე მახარაძემ აღნიშნა, „ეს პირველი ყრილობაა საქართველოს მწერლებისა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ასე ჩავთვალოთ, ე. ი. ეს პირველი ყრილობაა, სადაც საქართველოს მწერლობის ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები პირველად იკრიბებიან“ [163].

---

[163] ყრილობის მასალები — სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1926. გაზეთი „კომუნისტი“, 1926, № 42, 44, 45, 46, 47; ჟურნ. „მნათობი“, 1926, № 2; ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926, № 1.

ვაერთიანებისადმი საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დამოკიდებულების გასათვალისწინებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ამონაწერი ამ კავშირის პრეზიდიუმის სხდომის (1921.23.1) ოქმიდან (სხდომას ესწრებოდნენ: კოტე მაყაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი): „ვინაიდან მწერალთა არსებული ორგანიზაციები (მწერალთა კავშირი, „პროლეტარული ასოციაცია“, და „ცისფერყანწელები“) წარმოადგენენ გარკვეული სახის მჭონე სალიტერატურო ჯგუფებს და მათი გაერთიანება ერთ ორგანიზაციაში მხოლოდ შეაფერხებს მათ სალიტერატურო მუშაობას, ამიტომ

1926 წლის 19 თებერვალს შედგა ქართველ მწერალთა ჯგუფების წარმომადგენელთა კრება (იოსებ გედევანიშვილი, კოტე მაყაშვილი, ტიციან ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, ნოე ზომლეთელი, ნიკოლო მიწიშვილი, პაველ ინგოროყვა). კრებამ გადაწყვიტა ყრილობის მოწვევა 1926 წლის 21 თებერვალს [164].

ყრილობის დელეგატთა სია წინასწარ შედგა მწერალთა ორგანიზაციების მიერ, რის შემდეგ დამტკიცდა ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს (შეიქმნა 1924 წლის ოქტომბერში) და ლიტერატურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე. ყრილობას დაესწრნენ მაშინ არსებული ოთხივე ჯგუფის წარმომადგენლები: სრულიად საქართველოს ძველი მწერალთა კავშირის (აკადემიური ჯგუფის) 44 დელეგატი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან — 25, საქართველოს ახალი მწერლების კორპორაციის („ცისფერყანწელებთან" ერთად) — 25, ფუტურისტები —5.

ამრიგად ეს ნამდვილად სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა იყო.

ყრილობას დაესწრნენ მხოლოდ დელეგატები და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

ყრილობა 21 თებერვალს საღამოს 8 საათზე გახსნა იოსებ გედევანიშვილმა.

პრეზიდიუმში აირჩიეს სილიბისტრო თოდრია, კოტე მაყაშვილი, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ სხდომებს. სამდივნოში — სიკო ფაშალიშვილი, შალვა აფხაიძე, ნოე ზომლეთელი, საპატიო თავმჯდომარეებად—მწერლები ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ვასილ ბარნოვი და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, დავით კანდელაკი, მიხეილ კახიანი.

ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე, მიხა ოკუჯავა, მარიამ ორახელაშვილი, გიორგი ყურულაშვილი, არჩილ მიქაძე.

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის მოხსენება „მიმდინარე მომენტი

აუცილებლად საჭიროა, რათა ეს ორგანიზაციები დარჩნენ იმავე სახით, როგორც დღემდე არსებობენ.

მწერალთა ყრილობა უნდა იყოს მწერალთა ყრილობა პერსონალურად და არა ორგანიზაციების მიხედვით. ყრილობის შემდეგ მწერალთა არსებული ორგანიზაციები მართავენ ცალკე კრებებს და საკუთრად ირჩევენ წარმომადგენლებს სელოვანთა კულტურული კავშირის მთავარ კომიტეტში" — სსლმ 5821 — ხ.

[164] იხ. კრების ოქმი, ლხცსა, 8—1—84.

და ქართველი მწერლების ამოცანები“, რომელშიც მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათების შემდეგ ლაპარაკი იყო ქართული მწერლობის ამოცანებზე, მთავარ საკითხად მიჩნეული იყო მწერლების მიერ რევოლუციის ცნობა-არცნობა. ნათქვამი იყო, რომ „ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს ყველა მიმდინარეობას მწერლობაში, ოღონდ კი რევოლუციის ნიადაგზე იდგენ, და მასთან არც ერთ მიმდინარეობას არ შეიძლება ჰქონდეს ეგემონობა“.

ამ ფორმულირებამ გამოიწვია კრიტიკა: ვახტანგ კოტეტიშვილმა (სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი) განაცხადა — საკითხის ასე დასმა ანაქრონიზმია, რევოლუცია დიდი ხანია ვიცანითო.

მეორე მხრივ, ბესარიონ ჟღენტმა (ფუტურისტთა ჯგუფი) თქვა— რევოლუციის დეკლარაციულად ცნობა-არცნობა კი არ არის მთავარი, არამედ „როგორ ქმნიან ისინი (მწერლები, რ. კ.) ბაზისს ახალი ქართული კულტურის მშენებლობისათვის, როგორია ამ მხრივ მათი ორიენტაცია და მათი შემოქმედებითი პოტენცია? სხვაგვარად მათი დეკლარატიული პათოსი, თუგინდ გულწრფელიც, არაფერს შემატებს არც საქართველოს, არც მომენტს, არც რევოლუციას“.

თავის სიტყვაში უხუცესი მწერალი ვასილ ბარნოვი მიესალმა სოციალისტურ რევოლუციას — „როგორ შეიძლება არ შეიგრძნოს მხატვარმა — მწერალმა, როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?! როგორ შეიძლება სხვანაირად წარმოიდგინოს იმან ეს მომავალი?! ეს არც იქნება? საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის მოელოდა ამ დიდებულ ხანას. ის იღვწოდა ამ ხანის დამყარებისათვის. მას თვითონ მძაფრად ჰქონდა განცდილი თვითმპყრობელობის ძალა მანადგურებელი და იბრძოდა ამ სარბიელზე.

... რასაკვირველია ეხლანდელი მწერლობა ვერ აუქცევს ამას გზას და უსათუოდ დახატავს“ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თაობის ცნობილი მწერლები შიო არაგვისპირელი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე იმთავითვე თანაუგრძნობდნენ საქართველოში ახალი ცხოვრების დაწყებას).

ნაწილი მწერლებისა ქართული მწერლობის მომავალზე. მისი ეროვნული ხასიათის შენარჩუნებაზე ფიქრობდა (ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია). როგორც ვიცით, ამ ნიადაგზე იყო გაუგებრობა და უნდობლობა მწერლების ამ ნაწილსა და საქართველოს მაშინდელ ხელისუფალთა შორის. მწერლებმა გამოთქვეს სურვილი ამ გაუგებრობა-უნდობლობის აღმოფხვრისა. ყრილობაზე

ვახტანგ კოტეტიშვილის პირით ითქვა: „გვინდა ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო იმ უნდობლობას, რომელიც საქმიანობის საშუალებას არ გვაძლევს“. ამასვე ამბობდა კონსტანტინე გამსახურდიაც: „ჩვენს შორის ყოფილა რაღაც ხინჯი, ხიდი ყოფილა ჩვენს შორის ჩატეხილი; ქართულ მწერლობას ახასიათებდა ყოველთვის კეთილშობილება და სიყვარული ქართული კულტურისადმი და ჩვენ შორისაც. იყოს ხიდათ ეს სიყვარული ქართული კულტურისადმი და მოციქულად — კეთილშობილება“.

პროლეტარულ მწერლებს კი გარკვეული ჰქონდათ ქართული მწერლობის მომავალი. მათ იცოდნენ, რომ ეს იქნებოდა ეროვნული ლიტერატურა, „მაგრამ ქართველი მუშათა კლასის, მისი მოწინავე რაზმის კონტროლის ქვეშ, მისი ხელმძღვანელობით“. (რაჟდენ კალაძე).

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ (ნიკოლო მიწიშვილი). აღინიშნა, რომ ძველმა მწერალთა კავშირმა ვერ შეძლო წიგნების გამოცემა. შვიდი წლის მანძილზე (1917—1925) „ვერც სახელმწიფოებრივის გზით, ვერც საზოგადოებრივ-ორგანიზაციული ინიციატივთ საკითხი ქართული წიგნის და ქართული მწერლობის უზრუნველყოფის საქმეში გადაწყვეტილი ვერ იქნა.

საქართველოში საბჭოთა წესწყობილების შემდეგ მწერლობის საკითხი დადგა უფრო აქტიურად, აქტიურად დადგა საკითხიც გამომცემლობის“.

ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს მუშაობაზე ილაპარაკა იოსებ გედევანიშვილმა.

კოტე მაყაშვილის მოხსენებაში ხელოვნების სასახლის შესახებ გადმოცემული იქნა ხელოვანთა კულტურული კავშირის ორგანიზაციის ისტორია, მისი მიზნები და სამოქმედო გეგმა, ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის საქმიანობა. აღინიშნა, რომ კომიტეტის თხოვნით საქართველოს სახკომსაბჭომ ხელოვნების სასახლეს გადასცა დიმიტრი ყიფიანისეული სახლი ქვიშხეთში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ქვიშხეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სახლი უკან წაიღო; ხელოვანთა სასახლემ ვერ მოახერხა სტამბის, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს და ბევრი სხვა რამეს მოწყობა; სასახლეში საღამოებს მართავდნენ მწერლები, ზოგჯერ მუსიკოსები და მხატვრები. მთავარმა კომიტეტმა გამართა 20 საღამო.

ყრილობაზე გავრცელდა „რევოლუციონურ ახალი მწერლობის“ — „რამ-ის“ დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო: „ლიტერატურის ქაოტიურ მდგომარეობიდან გამოყვანა და მისი საღი მომავლისაკენ მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციონურ

ახალი მწერლობის მებრძოლი ძალების იდეოლოგიური დარაზმვით.

... რევოლუციონური ახალი მწერლობის კოლექტივი „რამ“ მოდის ქართულ ხელოვნების დიალექტიკურ-მატერიალისტურ განვითარების რკინის აუცილებლობით.

... ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე ხარისხობრივი და რაოდენობით ჰეგემონია რამ-ის იქნება.

დღევანდელი დღე [165] ქართულ ლიტერატურაში ახალი ეპოქის დაწყების თარიღია“.

ამ რამდენადმე პრეტენზიულ დეკლარაციას ხელს აწერდნენ ბენიტო ბუაჩიძე, დავით გაჩეჩილაძე, ლეო ესაკია, კარლო კალაძე, თინა ლოლაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, ვარლამ ჟურული, დავით რონდელი.

ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია მომავალ საბჭოს ავალებდა: 1. სალიტერატურო სამუშაოებზე მწერლების მოწყობას, 2) მწერალთა კავშირის მიერ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება-გამოცემას, 3) მწერალთა კავშირთან ქართული მხატვრული სიტყვის პრობლემების დასამუშავებლად, ქართული ენის სიწმინდის დასაცავად და შესასწავლად ქართული სიტყვის ინსტიტუტის დაარსებას, 4). ამავე მიზნით მწერალთა კავშირის წარმომადგენლის გაგზავნას უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში, 5) მწერალთა კავშირის ინიციატივითა და მონაწილეობით სპეციალური კოლეგიის შექმნას ქართული აკადემიური ლექსიკონის დამუშავება-გამოცემისათვის, 6) მსოფლიო ლიტერატურის ძეგლების თარგმნაზე ზრუნვას.

ყრილობამ გამოიმუშავა ერთიანი პლატფორმა, სოციალ-პოლიტიკური ორიენტაცია, გამოაცხადა, რომ მზადაა ითანამშრომლოს საბჭოთა სახელმწიფოსთან და შექმნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელშიც გაერთიანდა ცალკე მდგარი ლიტერატურული ჯგუფები და რომლის საბჭოში შევიდნენ ყველა ჯგუფის წარმომადგენლები: ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე (შურა) დუდუჩავა, ლეო ესაკია, ნოე ზომლეთელი, სილიბისტრო თოდრია, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, კარლო კალაძე, დავით კლდიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, კოტე მაყაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ნინო ნაკაშიძე, პავლე (პალიკო) ნოზაძე, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, ჟანგო (ივანე) ღოღობერიძე, სანდრო შანშიაშვილი (საბჭოს წევრობის კანდიდატებად აირჩიეს რაჟდენ გვეტაძე, სოლომონ თავაძე, ალიო მაშაშვილი, მარიჯანი და დემნა შენგელაია).

---

[165] დეკლარაციის ხელმოწერის დღე — 1926 წლის 21 თებერვალი.

ასე დაიწყო ახალი, განსხვავებული ეტაპი ერთიანი საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნისა.

ყრილობამ მიიღო წესდება[166].

ყრილობის მიერ შექმნილი საარჩევნო-შემთანხმებლური კომისიის სახელით არისტო ჭუმბაძემ განაცხადა: ჩვენმა ყრილობამ დიდად მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღო, რასაც ისეთი სახსრები, ისეთი საქმიანობა უნდა, რომ მარტო მწერლები ვერ მოერევიანო. ამიტომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ დაასახელა და ყრილობამ აირჩია (1926—1928) ცნობილი რევოლუციონერი, საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) მდივანი, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის წარმომადგენელი, მისი ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი სილიბისტრო თოდრია[167].

პაოლო იაშვილის წინადადებით, ყრილობამ მადლობა გადაუხადა და ოვაცია გაუმართა კოტე მაყაშვილს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე (1917—1926) ხანგრძლივი, ნაყოფიერი და სინდისიერი მოღვაწეობისათვის და აირჩია იგი ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ (მოადგილეებად — არისტო ჭუმბაძე და მიხეილ ჯავახიშვილი. სულ მთავარ კომიტეტში ამჯერად შევიდა 10 მწერალი).

ყრილობამ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია ალექსანდრე აბაშელი (მოადგილის მოვალეობას ასრულებდა აგრეთვე ტიციან ტაბიძე).

სარევიზიო კომისიაში შევიდნენ: ია ეკალაძე (თავმჯდომარე), ლევან მეტრეველი და გრიგოლ ცეცხლაძე.

საბჭოს პირველ სხდომაზე, 1926 წლის 3 მარტს, თავმჯდომარესა და მოადგილეებს საქმიანი პრეზიდიუმის შესაქმნელად დაუმატეს ნიკოლო მიწიშვილი, პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი და ჟანგო (ივანე) ღოლობერიძე. შემდეგ პრეზიდიუმმა (22.III.) ჟანგო ღოლობერიძე გამოჰყო კავშირისა და საბჭოს მდივნად და იგი ამ თა-

---

[166] სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება დაამტკიცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატმა 1926 წლის 12 აგვისტოს, № 882 და 1927 წლის 12 თებერვალს, № 125. ტექსტი დაბეჭდილია ჟურნ. „ქართულ მწერლობაში", 1927, № 1.

[167] არაზუსტია მიხეილ ცერცვაძის ფორმულირება (მ. ცერცვაძე, „სილიბისტრო თოდრია", თბ., 1974. გვ. 60)—„1926 წელს საქართველოში დაარსდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, ამ. საბჭოს პრეზიდიუმის პირველ თავმჯდომარედ სილვია თოდრია აირჩიეს".

დაარსდა არა საბჭო, არამედ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, რომლის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ს. თოდრია.

ნამდებობაზე მუშაობდა 1927 წლის აპრილამდე, როდესაც გათავისუფლდა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის გამო.

იმავე წლის ოქტომბერში ჟანგო ღოღობერიძის ნაცვლად პრეზიდიუმის მდივნად აირჩიეს კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე იყო სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამდე (1928). ჟანგო ღოღობერიძის ნაცვლად პრეზიდიუმში შეიყვანეს დემნა შენგელაია. შემდეგში ამ პრეზიდიუმში შევიდა აგრეთვე ბენიტო ბუაჩიძე [168].

1926 წელს სამჯერ გაიმართა საბჭოს პლენუმი (29.3., 31.5., 3.7.).

ყრილობის შემდეგ ახალი ნუმერაციით გამოვიდა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე" (1927, № 1, სრ. საქ. მწ. კავშირის ორგანო).

გამოსვლა დაიწყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალმა „ქართულმა მწერლობამ" (1926—1930, რედაქტორები: ნიკოლო მიწიშვილი — 1926—1928, სიმონ ხუნდაძე — 1928—1930) და თუმცა იქ დიდი იყო აკადემიური მწერლების ჯგუფის გავლენა, ამ ჟურნალმა შემოიკრიბა ქართველი მწერლები და ხელი შეუწყო ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებას.

ქართული საბჭოთა მწერლობის წინაშე უფრო მეტია დამსახურება ცოტა უფრო ადრე (1924 წლის თებერვალი) დაარსებული ჟურნალ „მნათობისა", რომელიც მთავარ გეზს აძლევდა ქართული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბება-განვითარებას და რომლის პირველ ნომერში დაბეჭდილი ერთ-ერთი პირველი ქართული საბჭოთა რომანით — რევოლუციისაგან აღგვილი ფეოდალური არისტოკრატიის უკანასკნელ ნაშიერთა ცხოვრების ამსახველი დემნა შენგელაიას „სანავარდოთი" (1924 წელსვე წიგნად გამოსულ, საქართველოში მომხდარი მწვავე სოციალური გარდატეხების ამსახველი მიხეილ ჯავახიშვილის რომან „ჯაყოს ხიზნებთან" და შალვა დადიანის ისტორიულ რომან „გიორგი რუსთან" ერთად) დაიწყო ქართული პროზის აღორძინება.

* * *

უკვე აღნიშნულის გარდა, 1926 წლის ყრილობამდე, საქართველოს მწერალთა ორგანიზაციებმა ჩაატარეს რიგი ღონისძიებებისა [169]. ამასთან ერთად, ჩვენ ახლაც და შემდგომშიც ზოგიერთ იმ

---

[168] ლხცსა, Ф—1—136, 8—1—86—1, 8—1—87—4, 8—1—109—8, 8—1—146—1; გაზ. „კომუნისტი", 1928 8.3.

[169] მასალები იხ. გაზ. „კომუნისტი", 1921, 14.6; 1922, 14.4; 1923; № 99; 1925, 2.3. № 292; 1926, 2.3; ჟურნ. „ლომისი", 1922, № 6—7; გაზ. „ლომისი", 1922, № 8; გაზ. „ბარიკადი" 1922, №5; გაზ „მუშა", 1922, № 18; გაზ. „რუბიკონი" 1923, №№ 9, 12.

ლონისძიებებსაც მოვიხსენიებთ, რომლებიც მწერალთა ორგანიზაციას არ ჩაუტარებია (ან არამარტო მას ჩაუტარებია), მაგრამ მწერლობასა და მის ისტორიას ეხება. ასევე შევეხებით იმ მოვლენებს, ფაქტებს, რომლებსაც მწერლობასთან აქვს კავშირი.

1921 წელი — საქართველოს რესპუბლიკის რევკომის 25 ნოემბრის დადგენილებით სახელმწიფო დრამის თეატრს (ყოფილი საარტისტო საზოგადოების თეატრი) ეწოდა შოთა რუსთაველის სახელი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნამდე (1926) მწერალთა კავშირი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ატარებდა ლიტერატურულ ხუთშაბათობებს, შემდეგ კი, 1923 წლის შემოდგომიდან, ლიტერატურულ შაბათებს.

ამას გარდა 1921 წელს ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო (12.6). 1922 წელს იანვარში—გრიგოლ ცეცხლაძის შემოქმედების საღამო (კონსერვატორიის დარბაზში), ტიციან ტაბიძის შემოქმედების საღამო (6.4), ოპერის სახელმწიფო თეატრში გადახდილ იქნა ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50-ე წლის იუბილე (23.4), კონსერვატორიის დარბაზში კი — ქართველი ხალხისა და მისი ლიტერატურის მეგობრის, გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის ლიტერატურული მოღვაწეობის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე (6.4), რომელზეც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ კოტე მაყაშვილი, შალვა ნუცუბიძე და ვალერიან გუნია.

1922 წელსვე გაიმართა დემნა შენგელაიას შემოქმედების საღამო (20.10), საიათნოვას (ოქტ.), ჭოლა ლომთათიძის (ნოემ.), ვარლამ რუხაძის, ვაჟა-ფშაველას (დეკემბ.) საღამოები. რუსმა მწერლებმა მოაწყვეს თ. დოსტოევსკის საღამო.

სახელმწიფო ოპერის ბაღში დაიდგა (1922.10.12) აკაკი წერეთლის ქანდაკება (ავტორი იაკობ ნიკოლაძე).

1923 წელს — თბილისში გაიხსნა (1.5) ეგნატე ნინოშვილის ძეგლი (კომუნარების ბაღში, ავტორი იაკობ ნიკოლაძე). შ. რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა (3.2) შალვა დადიანის სამწერლო, სამსახიობო და სარეჟისორო მოღვაწეობის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. მწერალს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. ხელოვანთა სასახლეში კი მოეწყო ვალერი ბრიუსოვის დაბადების 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო (22.12).

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით აპრილში ხელოვანთა მთავარ კომიტეტს გადაეცა დიმიტრი ყიფიანისეული სახლი ქვიშხეთში.

1924 წელს აღინიშნა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ლიტერატურული მოღვაწეობის 35-ე წლისთავი (10.3), გაიმართა ტერენტი გრანელის შემოქმედების საღამო.

29.8. თბილისში „მისტერია ბუფის" დადგმის თაობაზე ჩამოვიდა ვლადიმერ მაიაკოვსკი (4 სექტემბერს გაზ. „ზარია ვოსტოკაში" დაიბეჭდა მისი ლექსი „ვლადიკავკაზი — თბილისი"), ხოლო სექტემბერ-დეკემბერში აქ იყო სერგეი ესენინი. იგი, ისევე როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკი, ეცნობა ქართველ პოეტებს (ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, ვალერიან გაფრინდაშვილს და სხვ.), უძღვნის მათ ლექსს. თბილისის შემდეგ ს. ესენინი 1925 წლის 25 თებერვლამდე ბათუმში ცხოვრობდა.

სომხეთის პროლეტარული მწერლობის ფუძემდებელს აკოფ აკოფიანს სალიტერატურო მოღვაწეობის 30-ე წლისთავზე სომხეთის სახალხო პოეტობასთან ერთად საქართველოს სახალხო პოეტობაც მიეკუთვნა.

1924 წელსვე ქართველი მწერლების სტუმარი იყო ნიკოლოზ ტიხონოვი.

1925 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა (14.11.) პოლიო ირეთელის (პოლიექტოს კალანდაძე) შემოქმედების 25-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მწერალთა კავშირში დისკუსიაზე მოხსენებით („ახალი ლიტერატურა") გამოვიდა (20.12). სიმონ ჩიქოვანი.

1926 წლის დასაწყისში (2.2.) გარდაიცვალა შიო არაგვისპირელი. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

თებერვალში (26.2) თბილისში კვლავ ჩამოდის ვლადიმერ მაიაკოვსკი და რუსთაველის სახელობის თეატრში მართავს საღამოს (26.2.), გამოდის (1.3.) მოხსენებით „საბჭოთა კავშირის ლიტერატურული სახე".

ამ წელსვე საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა ილია ერენბურგი.

* * *

1926 წელს შეიქმნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილება ქუთაისში (თავმჯდომარე — დია ჩიანელი) [170].

---

[170] ლხცსა 38—1—55—3.

* * *

სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ ძალთა თანაფარდობა იცვლება. თანდათან ძლიერდება პროლეტარული მწერლობა. მეორე მხრით, კლასობრივი ბრძოლა იწვევდა არაპროლეტარული მწერლური ჯგუფების დიფერენციაციას, თანდათან ნიადაგი ეცლებოდა მათ არსებობას, მათი საუკეთესო, ნიჭიერი წარმომადგენლები სულ უფრო ემიჯნებოდნენ თავიანთ ჯგუფებს, უახლოვდებოდნენ საბჭოთა სინამდვილეს, სულ უფრო უწყობდნენ ფეხს ახალი დროების მსვლელობას, 20-იანი წლების დასასრულისათვის ე. წ. თანამგზავრებიდან თანდათან ხდებოდნენ რევოლუციის, საბჭოთა ხალხის მოკავშირეები და შემდეგ — საბჭოთა მწერლები. ასე, მაგალითად, ლიტერატურული ჯგუფებიდან ყველაზე ადრე დაუახლოვდნენ საბჭოთა მწერლობის ინტერესებს ყოფილი ფუტურისტები: სიმონ ჩიქოვანი (1926 წლიდან ფუტურიზმს ჩამოვშორდიო), დემნა შენგელაია, ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი.

არიფიონი

20-იანი წლების მეორე ნახევარში ცისფერყანწელები, როგორც ლიტერატურული ჯგუფი, თითქმის აღარ არსებობდა[171]. ცისფერყანწელებმა ხომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოაცხადეს, მხარს ახალ ცხოვრებას ვუჭერთო, მაგრამ შემდეგ გარკვეული წლები დასჭირდათ, სანამ მხატვრული შემოქმედებით გაამართლებდნენ ამ დაპირებებს. 20-იანი წლების ბოლოს პროლეტარული მწერლობის ხელმძღვანელობა საბჭოთა მწერლობასთან ყველაზე ახლო მისულად თვლიდა ცისფერყანწელ რაქედენ გვეტაძეს[172]. ამავე ჯგუფიდან, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ტექნიკით, ასეთ გზას დაადგნენ ცისფერყანწელთა იდეოლოგი ტიციან ტაბიძე, მათი ლიდერი პაოლო იაშვილი, ცისფერყანწელთა შორის იმთავითვე ეროვნულ ნიადაგზე მდგომი გიორგი ლეონიძე, ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელი ქართული სიმბოლიზმისა — ვალერიან გაფრინდაშვილი; აგრეთვე ცისფერყანწელთა სხვა ცნობილი წარმომადგენელნი: კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე. ეს მწერლები შემდეგში ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღიარებული წარმომადგენელნი გახდნენ.

მაგრამ ეს პროცესი მეტად რთულად მიმდინარეობდა, ზოგი მეტად მძიმედ თავისუფლდებოდა, გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გარდამავალი ამბების შემბოჭველი სიცივისაგან, და კვლავ განაგრძობდა მერყეობას.

ამიტომაც 20-იანი წლების მეორე ნახევარში (1927) აღმოცენდა ახალი ლიტერატურული ჯგუფი „არიფიონი". ამ ჯგუფის ხელმძღვა-

---

[171] იხ. ბენიტო ბუაჩიძის წერილი, ჟურნ. „პროლემაფი", 1925, № 1; დაშლა ფიქსირებულია ცისფერყანწელთა ჯგუფის 1931 წლის საგანგებო გადაწყვეტილებით.

[172] „სალიტერატურო გაზეთი", 1932, № 27.

ნელობამ შემდეგი განცხადებით [173] მიმართა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს:

„მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს

ვაუწყებთ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, რომ ქვემორე ჩამოთვლილმა მწერლებმა დააარსეს ახალი სალიტერატურო კორპორაცია „არიფიონი“.

წევრთა სია (ალფაბეტით):

გორგაძე ვასილი	ტატიშვილი იოსები
დადიანი შალვა	ქავთარაძე პეტრე
კაპანელი კონსტანტინე	ქიაჩელი ლეო
მეტრეველი ლევანი	ქიქოძე გერონტი
მოსაშვილი ილო	შანშიაშვილი სანდრო
სულიაშვილი დავითი	ჭიჭინაძე კონსტანტინე
ტაბიძე გალაკტიონი [174]	ჯავახიშვილი მიხეილი

კორპორაციის სალიტერატურო განცხადება (დეკლარაცია) გამოქვეყნებული იქნება ჩვენს ალმანახ „არიფიონში“.

ზემოხსენებული გთხოვთ მიიღოთ ცნობათ.
თავმჯდომარე: მიხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი
თავმჯდომარის ამხანაგები: კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი
ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი“.

სწორედ ეს მწერლები აწერდნენ ხელს სალიტერატურო განცხადებას, რომელიც დაიბეჭდა მათ ჟურნალ „არიფიონში“ (1928, თბილისი; მორიგე რედაქტორები გერონტი ქიქოძე, ვასო გორგაძე). „თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ასოციაცია **არიფიონის** მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში“.

უფრო კარგად რომ გავიგოთ, თუ რა პოზიცია ეჭირა ამ ჯგუფს საქართველოში მომხდარი რევოლუციური ძვრების მიმართ, გავეც-

---

[173] ლხცსა, 8—1—175—1.

[174] გ. ტაბიძეს არაფერი დაუბეჭდავს ამ ჯგუფის ალმანახის პირველ ნომერში, მეორე ნომერი კი აღარ გამოსულა.

ნოთ ჟურნ. „არიფიონში“ დაბეჭდილ მისი რედაქტორის გერონტი ქიქოძის წერილს „არიფიონი ჰერეთში“:

„ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწროპოლიტიკის იარაღათ ვაქციოთ. ამ მხრით დიდათ განვსხვავდებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონურ ოდების წერაში. ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიცივით მისდიო და უჭიხვინო რევოლუციის ეტლს. მაგრამ ჩვენ არც იმ მუდამ პირქუშ ცრუმამულიშვილებს ვგავართ, რომელნიც იმავე ეტლს წყევლითა და ლანძღვით მისდევენ“.

მაგრამ იმავე წერილში გამოთქმული იყო ეჭვი — ძველი კულტურა, ძველი ღმერთები მოკვდნენ. რევოლუციამ კი მათ მხოლოდ ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია და კოოპერაცია დაუპირისპირაო. დაცარიელებულ სულს ელექტრონის ნაკადი ვერ ამოავსებსო.

საკითხის ასე დაყენებაში, რაც ჟურნალის სხვა მასალებშიც იგრძნობოდა, გამოსჭვიოდა ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის და კოლექტივიზაციის შეუფასებლობა. დრომ და შემდგომმა ვითარებამ სავსებით დაადასტურეს ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების, ელექტრონაკადების და კოლექტიური მეურნეობის შექმნის სისწორე და აუცილებლობა.

• • •

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ყრილობიდან (1926) მეორე ყრილობამდე (1928) განვლილ პერიოდში სხვადასხვა ჯგუფის მწერლები კიდევ უფრო მეტად ჰკიდებენ ხელს ახალი ცხოვრების ასახვას. კერძოდ, რევოლუციური ბრძოლის წარსულისა და აწმყოს ასახვას უძღვნეს ლექსები ცისფერყანწელებმა: ტიციან ტაბიძემ — „ახალი მცხეთა“ (1926), „სტალინი“ (1927); შალვა აფხაიძემ — „გემი „ლენინი“ (1926); ვალერიან გაფრინდაშვილმა — „ორი ძმა, ალექსანდრე ულიანოვის ხსოვნას“ (1928), არიფიონელმა სანდრო შანშიაშვილმა „ლენინი ჯავშანოზე“ (1927), მოთხრობები და რომანი — ასევე არიფიონელებმა: დავით სულიაშვილმა („ჩიკორი“, „ნაღვერდალი“) და ლეო ქიაჩელმა („სისხლი“).

ახალი ცხოვრების მიღწევები და ამ მიღწევებით მომხდარი გარდატეხა შემოქმედთა სულსა და შემოქმედებაში ჩანდა ცისფერყანწელ ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „პასუხი“ (1927), აკადე-

მიური ჯგუფის წევრის ალექსანდრე აბაშელის ლექსში „ჰაეროპლანი სოფლად“ (1927), ყოფილი ფუტურისტის, მემარცხენე დავით გაჩეჩილაძის ლექსში — „ოქტომბრის დღეები“ (1927).

საქართველოს ინდუსტრიის პირმშოს, ზაჰესს, უძღვნეს ლექსები აკადემიური ჯგუფის წევრმა ალექსანდრე აბაშელმა („უცნაური ამბავი“, 1926), ცისფერყანწელმა გიორგი ლეონიძემ („სიმღერები ელექტროფიკაციისა“ 1927), არიფიონელმა ილო მოსაშვილმა („ზაჰეს, შენ გიმღერ!“, 1927).

ძველი და ახალი ცხოვრების ბრძოლას ეძღვნა არიფიონელი მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „თეთრი საყელო“.

თანამედროვე თემატიკისაკენ შემობრუნება თარგმნილ ლიტერატურაშიც იგრძნობოდა: ცისფერყანწელმა ლელი ჯაფარიძემ თარგმნა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების სიძნელეთა ამსახველი მოთხრობა ალექსანდრე ნეველროვისა „ტაშკენტი — ქალაქი პურის“, მეორე ცისფერყანწელმა სერგო კლდიაშვილმა კი — იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ამსახველი რომანი ე. ლ. ვოინიჩისა „კრაზანა“.

აღარაფერს ვამბობთ პროლეტარული მწერლების შემოქმედებაზე. ისინი ხომ ახალი ცხოვრების ერთგული მეხოტბენი იყვნენ, აღვნიშნავთ მხოლოდ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის თაოსნობით გამოცემულ წიგნს „ამიერ კავკასიის მწერლები ზაჰეს-ზე“ (1927).

ბუნებრივია, აქ ყურადღება გამახვილებულია იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც ადასტურებდნენ სხვადასხვა მიმდინარეობის მწერალთა სულ უფრო მეტად შემობრუნებას სოციალისტური სინამდვილისაკენ. შეიძლება ზოგიერთი ეს ნაწარმოები მხატვრული თვალსაზრისით არ იდგა სასურველ სიმაღლეზე, მაგრამ იმ დროს მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხოვრების განახლებით დაინტერესებას, მისი მნიშვნელობის შეგნებას.

ამავე დროს ამ პერიოდში იქმნებოდა ნაწარმოებები, რომლებშიც ახალი დროის გარეგნული ნიშნები არ იყო თვალშისაცემი, მაგრამ მარადიულ თემებთან შეჭიდების წარმატება და ასახვის მაღალმხატვრულობა იგრძნობოდა, კერძოდ, 1928 წლის ყრილობისათვის შექმნილი იყო საუკეთესო ლექსები იმავე ტიციან ტაბიძისა — „ლექსი-მეწყერი“, „რია-რია“, „ანანურთან“, „მაშ გამარჯვება“; პაოლო იაშვილისა — „პოეზია“, „თბილისი“; გიორგი ლეონიძისა — „ციცარი“, „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“, „მყვირალობა“, კოლაუ ნადირაძისა — „ორი ქორჩორა“, „იმერეთი“.

ამ დროისათვის ია ეკალაძის რედაქტორობით გამოვიდა (1927)

„ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია“, წ. 1, ლელი ჯაფარიძემ თარგმნა შტეფან ცვაიგის „ამოკი“, „შიში“, და ბერნჰარდ კელერმანის რომანი „გვირაბი“, დავით ონიაშვილმა — ი. ვ. გოეთეს „ფაუსტი“ წ. I.

უნდა აღინიშნოს როგორც მოვლენა გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების წიგნის გამოცემა (1927) [175].

აი ის რითაც დაახლოებით წარსდგა ქართული მწერლობა 1928 წლის ყრილობაზე.

* * *

პირველ ყრილობაზე ქართული მწერლობის ერთიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო მწერლობის შემოქმედებით ზრდა-განვითარებას, მის დაახლოებას საბჭოთა ხელისუფლებასთან, ახალ სოციალურ ვითარებასთან.

მეორე ყრილობას უნდა შეეჯამებინა პირველი ყრილობის შემდეგ ჩატარებული მუშაობა და დაესახა ღონისძიებანი ქართველი მწერლების უფრო შესაკავშირებლად. მართლაც, ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მან პირველ ყრილობაზე უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, უფრო დააახლოვა მწერლები საბჭოთა სინამდვილესთან, უფრო შეაკავშირა ისინი, ერთგვარად დაასრულა გაერთიანების პროცესი და საორგანიზაციო მუშაობა და მწერლებს მოუწოდა უფრო აქტიურად ჩაბმულიყვნენ სოციალიზმის მშენებლობაში.

ყრილობა 1928 წლის 6 მარტს საღამოს 8 საათზე გახსნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ სილიბისტრო თოდრიამ (ყრილობა მიმდინარეობდა 6—14 მარტს) [167].

---

[175] „1927 წ. სახელგამის მიერ იცემა გალაკტიონის დიდი წიგნი, რომელშიც მოთავსებულია უმრავლესობა პოეტის ლექსებისა. წიგნი პოპულარობით სარგებლობს. გამოდის ერთდღიური გამოცემა (ბიულეტენი) „გალაკტიონი“, რომელშიც მოთავსებულია წერილები და ლექსები გალაკტიონის შესახებ. გალაკტიონის წიგნის გამოსვლას ესალმებიან ქართველი მწერლები: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ვალერიან გუნია, სანდრო შანშიაშვილი, განდეგილი, შიო მღვიმელი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვ.

სოხუმში იმართება დიდი საზეიმო საღამო გალაკტიონის პატივსაცემად. სოხუმის ახალგაზრდობამ გალაკტიონს სახსოვრად მიართვა ოქროს ჩანგი — წარწერით: „გალაკტიონს, პოეტების მეფეს“ (გ. ტაბიძე, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, 12 ტომეულის ტ. 12, გვ. 283—284).

[176] გაზ. „კომუნისტი“ 1928, №№ 52, 53, 55—61; ყრილობის მოკლე ანგარიში იხ. ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928, № 4. ფ. მახარაძის სიტყვა — ჟურნ. „მნათობი“, 1928, № 4;

ამ ყრილობაზეც წარმოდგენილი იყო მაშინ საქართველოში არსებული ყველა ლიტერატურული ჯგუფი და გაერთიანება. მაგრამ, 1926 წლის პირველ ყრილობასთან შედარებით, შეცვლილი იყო ძალთა თანაფარდობა: ყველაზე მეტი დელეგატი — 55 — ჰყავდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, რომელმაც ამ დროისათვის ხელმძღვანელი ადგილი დაიკავა (1926 წლის ყრილობაზე — 25 ადგილი).

აკადემიურ მწერალთა ასოციაციამ, რომელსაც პირველ ყრილობაზე (1926) ყველაზე მეტი დელეგატი ჰყავდა (44), დაჰკარგა ადგილები და წარმოდგენილი იყო 36 დელეგატით.

ასევე ცნაკლები ადგილები ჰქონდათ ცისფერყანწელებს — 12 (1926 წელს — 25). ამდენ-ამდენივე დელეგატებით იყვნენ წარმოდგენილი მემარცხენე ფრონტელები (ლეფი) (წინა ყრილობაზე ფუტურისტების სახელით გამოსულთ 5 დელეგატი ჰყავდათ), და ახალშექმნილი „არიფიონი“.

ყრილობას ესწრებოდა დაჯგუფებათა გარეშე მყოფი 15 მწერალი.

ყრილობის დღის წესრიგი გამოიმუშავა პრეზიდიუმმა მწერალთა კავშირში შემავალ ლიტერატურულ სექციებთან შეთანხმებით.

სილიბისტრო თოდრიას წინადადებით ყრილობამ პატივი სცა უკანასკნელ წლებში გარდაცვლილი მწერლების კოტე მაყაშვილის, ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილის), შიო არაგვისპირელის, სოფრომ მგალობლიშვილის, არტურ ლაისტის, აკაკი ბერეკაშვილის და ილია ჭყონიას ხსოვნას.

ყრილობამ მოისმინა მოხსენებები „კულტურული რევოლუცია და საბჭოთა მწერლების ამოცანები“ (ფილიპე მახარაძე), საქართველოს მწერალთა კავშირისა და პრეზიდიუმის (სილიბისტრო თოდრია, პაოლო იაშვილი), სახელგამის (ბარონ ბიბინეიშვილი) და სახელოვნო და სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის (სეონ თოხაძე), სარევიზიო კომისიის (ლევან მეტრეველი) მუშაობის შესახებ, აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის შექმნის თაობაზე (სილიბისტრო თოდრია).

ფილიპე მახარაძემ აღნიშნა ქართული მწერლობის თანდათან დაახლოება მშრომელი ხალხის სულისკვეთებასთან, პროლეტარული მწერლობის ზრდა, თანამგზავრული ლიტერატურის განვითარება და ქართველ მწერლებს მოუწოდა კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ მუშათა კლასს, მის ხელისუფლებას და თანამშრომლობით ხელი შეეწყოთ სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

სილიბისტრო თოდრიამ თავის მოხსენებაში თქვა: სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა ორი წლის მანძილზე ვერ გაამართლა იმედები. ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეპყრობოდა მწერლებს, დაარსდა გაერთიანებული მწერალთა კავშირის ლიტერატურული ჟურნალი, მაგრამ მწერლობამ სათანადო სიმაღლეზე ვერ დააყენა თავისი ბეჭდვითი ორგანო, ლიტერატურულ დაჯგუფებათა მუშაობაც არადამაკმაყოფილებელიაო;

მთავარი ყურადღება მაინც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ექცეოდა და ამ ხაზით მწერალთა კავშირს დიდი მიღწევები აქვს. მან გააერთიანა მთელი მწერლობა, რომელიც მანამდე შეუთანხმებლად მოქმედებდაო;

შემდეგ სილიბისტრო თოდრიას მოხსენებაში აღინიშნა, რომ: საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარი ქართული მწერლობა ეხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაში; მწერლები პირველად შევიდნენ რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში (1927 წელს თბილისის საქალაქო საბჭოში შეიყვანეს ალექსანდრე აბაშელი, პაოლო იაშვილი. ისინი სიტყვით გამოვიდნენ თბილისის საბჭოს მე-6 ყრილობაზე 1927 წლის თებერვალში, აღნიშნეს ხელისუფლებისა და მწერლობის ერთიანობა, მწერლების მიერ ქალაქის საბჭოს დიდი საქმიანობის მხარდაჭერა. „კომუნისტი", 1927; № 46).

1926—28 წლებში კარგად მუშაობდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია:

საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცა ლიკვიდაციაქმნილი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქონება, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის სახლი თბილისში, აკაკი წერეთლის სახლი და მამული სხვიტორში, დიმიტრი ყიფიანისეული სახლი და მამული ქვიშხეთში, სადაც ზაფხულობით უკვე ისვენებს 20-მდე მწერალი;

მწერალთა კავშირი ზრუნავდა ამიერკავკასიისა და სხვა საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა დაახლოებაზე — 1927 წლის ზაფხულში ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ანდრეი ბელის, ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ვიქტორ შკლოვსკის მოხსენებები;

მწერალთა კავშირი ზრუნავდა გარდაცვლილი მწერლების დაკრძალვაზეც, მათ გახსენებაზე: მოეწყო იროდიონ ევდოშვილისა და შიო არაგვისპირელის ხსოვნის საღამოები;

მწერალთა კავშირმა ხელოვანთა სასახლეში შექმნა ბიბლიოთეკის ბაზა.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ქართველი მწერლებისათვის უკვე აღარ იდგა რევოლუციის მიღებისა და საბჭოთა ხელისუფლების ცნობის საკითხი, ეს განვლილი პერიოდი იყო, მწერალთა დიდი ნა-

წილი თანდათან მოექცა რევოლუციური თანამედროვეობის გავლენის ქვეშ.

მწერალთა ორგანიზაციის ახალი ფორმა — ფედერაცია, რომლის შექმნაც შესთავაზეს მწერლებს, სილვა თოდრიას აზრით, უკეთესი საშუალება იქნებოდა მწერალთა მერყევი ფენის რევოლუციის მიმართულებით სრული შემობრუნებისა. დაჯგუფებები ერთბაშად არ ისპობა. ეს მოხდება შემოქმედებითი შეჯიბრების, დარწმუნების გზით. მანამდე კი ფედერაცია უფრო შეეფერება სახელად მწერალთა ამ ორგანიზაციას, რადგან მასში ავტონომიურად შედიან ლიტერატურული დაჯგუფებანიო.

მართლაც, ყრილობაზე ნაცვლად სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა, შეიქმნა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია.

ფედერაციაში დამაარსებელ წევრებად შევიდა არსებული ხუთი ლიტერატურული ჯგუფი, რომლებიც სალიტერატურო მუშაობაში დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, ჰქონდათ საკუთარი ლიტერატურული ორგანოები, ჰყავდათ საკუთარი ხელმძღვანელობა, მაგრამ მწერლობის პროფესიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე გამოსვლის უფლება ფედერაციას ენიჭებოდა.

ყრილობამ დაგმო „არიფიონის“ მუშაობა, და ეს ჯგუფი მალე კიდეც დაიშალა. კრებულ „არიფიონში“ დაბეჭდილი ილო მოსაშვილის ლექსის სათაური რომ მოვიშველიოთ, არიფიონელებისათვის ეს დაჯგუფება უკანასკნელი უღელტეხილი იყო საბჭოთა მწერლობისაკენ მიმავალ გზაზე. „არიფიონის“ დაშლის შემდეგ მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა 1928 წლის 11 ივლისის სხდომაზე აღნიშნა: ყოფილი არიფიონელები ფედერაციის წევრებად რჩებიანო [177].

მაგრამ დავუბრუნდეთ სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობას.

მეორე ყრილობის მიერ არჩეულ საბჭოში წარმოდგენილი იყო ყველა ლიტერატურული დაჯგუფება: ალექსანდრე აბაშელი, სერგო ამაღლობელი, ბენიტო ბუაჩიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სანდრო ეული, სოლომონ თავაძე, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, დავით კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვალერიან ლუარსამიძე, სარაჯ მამედოვი, მარიჯანი, მარტინი, ალიო მაშაშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ნიკოლო მიწიშვილი, გრიგოლ მუშიშვილი, შაქრო ნავთლუღელი, ბესო ჟღენტი, შალვა

---

[177] ლხცსა, 8—1—152—19.

რადიანი, დავით რონდელი, პეტრე სამსონიძე, ვლადიმერ სუტერინი, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ ჩაჩავა, სიმონ ჩიქოვანი, არისტო ჭუმბაძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

ყრილობამ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია სილიბისტრო თოდრია, ხოლო საბჭომ თავის პირველ სხდომაზე (18.3.) თავმჯდომარესთან ერთად აირჩია მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი — ალიო მაშაშვილი [178].

მალე, 1928 წლის 11 ივლისს, პრეზიდიუმმა ალიო მაშაშვილი გაათავისუფლა მდივნისა და პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან, მის მაგივრად კი პრეზიდიუმში შეიყვანა და პ/მგებელ მდივნად აირჩია შალვა რადიანი [179].

1928 წლის 16 ოქტომბერს პრეზიდიუმმა თავის რწმუნებულად მოსკოვში დაამტკიცა სერგო ამაღლობელი.

ყრილობის შემდეგ ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად (1928.16.6.) ქუთაისში შეიქმნა ფედერაციის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ კვლავ დია ჩიანელი აირჩიეს (14.11.)

მუშაობას შეუდგა საბჭოც.

1928 წლის 13 ივლისს გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პირველი პლენუმი [180], რომელმაც იმსჯელა ჩატარებულ მუშაობასა (მომხსენებელი ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე) და მომავალ ამოცანებზე (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პ/მგებელი მდივანი ბენიტო ბუაჩიძე).

პირველ მოხსენებაში აღინიშნა, რომ ფედერაცია მართავდა ლიტერატურულ საღამოებს [181], გამოსცა .გაზეთი „პოეზიის დღე“,

---

[178] ლხცსა, 8—1—147—1.

[179] ლხცსა, 8—1—152—19. იხ. აგრეთვე საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომის (1928.19.7.) ოქმი.

[180] 1-ლ პლენუმად უნდა მივიჩნიოთ ფედერაციის შექმნისთანავე ყრილობის შემდეგ გამართული საბჭოს სხდომა (1928.18.3). ასეთი არევა საბჭოს (შემდეგში გამგეობის) სხდომათა ნუმერაციისა (სტენოგრამებსა და პრესაში) იშვიათი არაა.

[181] მარტო 1928 წელს ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოებზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: მიხეილ ჯავახიშვილი — ახალი ქართული ლიტერატურა (18.5.), რაჟდენ კალაძე — ე. ნინოშვილი და გორკი (21.6), შერა დუდუჩავა —ლ. ტოლსტოი (19.9), ბესო ეღუნტი—თანამგზავრობის პრობლემა (10.10). კონსტანტინე გამსახურდია — ე. მ. რილკე (13.10), შერა დუდუჩავა — ოქტომბრის რევოლუცია და ხელოვნება (10.11), სიმონ ხუნდაძე — ნ. ჩერნიშევსკი (6.12).

1928 წლის 1 მაისს ჩაიბარა აკაკი წერეთლის სახლი სხვიტორში [182].

საბჭომ დაადასტურა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან ფედერაციის პ/მგებელ მდივნად ალიო მაშაშვილის ნაცვლად შალვა რადიანის არჩევა [183].

ფედერაციის საბჭოს მეორე პლენუმმა 1929 წლის 19 სექტემბერს იმსჯელა იდეოლოგიურ საკითხებზე (ბორის პილნიაკისა და ევგენი ზამიატინის ნაწარმოებთა გამოცემის გამო).

საბჭოს შემდეგმა სხდომამ (1929.27.10) მოისმინა მოხსენება ჟურნ. „ქართული მწერლობის" (საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის შექმნის შემდეგ ჟურნალი გახდა ფედერაციის ლიტერატურული ორგანო) რედაქციის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ჟურნალი იდეოლოგიურად სწორ ხაზზე დადგა, მუშაობაში ჩაება ქართველი მწერლების ყველა ფენა.

საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ფედერაციის წესდება, აღნიშნა, რომ ლიტერატურული ცხოვრების ოპერატიული გაშუქებისათვის (რასაც ვერ ახერხებს ჟურნალი) საჭიროა ლიტერატურული გაზეთის დაარსება [184].

* * *

ორიოდე სიტყვით შევეხოთ ხელოვანთა სასახლეს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის (1926) შემდეგ დაისვა ხელოვანთა სასახლის მწერლებისათვის გადაცემის საკითხი.

ფედერაციის საბჭოს პირველ პლენუმზე კი (1928.13.7.) აღინიშნა — ყოფილი ხელოვნების სასახლე მთლიანად გადაეცა მწერალთა ფედერაციას და მას მწერალთა სასახლე ეწოდაო [185].

მაგრამ სხვა ორგანიზაციებისაგან სასახლის დაცლა კარგა ხანს გაგრძელდა. 1934 წელს სასახლეში ჯერ კიდევ იყო კომპოზიტორთა კავშირი, აგრეთვე, მწერალთა გამომცემლობა „ფედერაცია" (იხ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნოს 1934 წლის 21 სექტემბრის დადგენილება სასახლიდან ამ ორგანიზაციების გაყვანის თაობაზე).

---

[182] თანახმად ცაკის 1928 წლის დადგენილებისა (1928.15.2), ლხცსა 8—1—152—12; ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1928, № 5.

[183] ლხცსა, 8—1—149.

[184] ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1929, № 10; ლხცსა, 8—1—179.

[185] ლხცსა, 8—1—156.

1931 წელს (14.10) სამდივნოს დადგენილებით მწერალთა სასახლეს ეგნატე ნინოშვილის სახელი მიეკუთვნა[186] და ერთხანს ასე იყო ცნობილი.

1928 წელს მწერალთა სასახლეში ოთახები ასე იყო განაწილებული: პირველ სართულზე ფედერაციას ეჭირა № 1—4 ოთახები[187] (№ 1 ოთახი — მარმარილოს კიბეების მარჯვნივ, შემდეგში იქ საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველო — საუდი იყო, უფრო გვიან — მწერალთა კავშირის მდივანი ნოდარ დუმბაძე იჯდა), № 2— სალონი, № 3 — სხდომის დარბაზი, № 4 — სამკითხველო დარბაზი); მეორე სართულზე — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ეკუთვნოდა №№ 9—10 ოთახები (შემდეგში № 9 — მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტი, № 10—მოსაცდელი), აკადემიურ ჯგუფს— № 5 (შემდეგში „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის ოთახი), ცისფერყანწელებს — № 6 (სპარსული ოთახი, ერთ დროს აქ „მნათობის" რედაქცია იყო მოთავსებული), ფუტურისტ მემარცხენეებს — № 8; (შემდეგში მწერალთა კავშირის მდივნების — ბესარიონ ქღენტის, გიორგი ციციშვილის კაბინეტი), ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობასა" და „ნა რუბეჟე ვოსტოკას" — № 7 (შემდეგში ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქცია იყო, მერე — სექციების, უფრო მოგვიანებით — მწერალთა კავშირის მდივნების იოსებ ნონეშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის კაბინეტი), ჟურნალ „ქართულ მწერლობას" — № 11, სასახლის გამგეს[188] — № 12.

* * *

1926 წლის ყრილობის შემდეგ საქართველოს რამდენიმე რუსი და უცხოელი მწერალი ეწვია:

1927 წელი — საქართველოში მთელი ზაფხული გაატარა რუსმა მწერალმა ანდრეი ბელიმ. იგი კვლავ ჩამოვიდა 1929 წლის ივლისში, ცხოვრობდა საჩხერეში, აკაკი წერეთლის სახლსა და კოჯორში.

---

186 ლხცსა, 8—1—239—10.

187 შემორჩენილია შემდეგი ოთახების ნომრები: № 2—სალონი, № 3—სხდომის დარბაზი, № 4 — სამკითხველო დარბაზი, № 6 — სპარსული ოთახი, № 9 — თავმჯდომარის კაბინეტი.

188 აქვე აღვნიშნავთ: მწერალთა სასახლის გამგეებად, დირექტორებად (1960 წლამდე იყო ასეთი თანამდებობა) მუშაობდნენ პლატონ კეშელავა (1921—1939), ილია ხოშტარია (1940), შოთა შუბლაძე (1940—41), აღექსანდრე შანიძე (1942), ანდრო თევზაძე (1942—43), ბესარიონ გვასალია (1943 იანვარი — 1952), რევაზ კვერენჩხილაძე (1952.18.8—1960).

8.10. — თბილისში ჩამოვიდა ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი. მან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან — სილვა თოდრიასთან ერთად მთელი ჩვენი რესპუბლიკა მოიარა. 1928—29 წლებში იგი კვლავ ჩვენს ქვეყანაშია. ამ მოგზაურობათა შედეგად დაიწერა წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს" (თბ. 1931).

8.12 — თბილისს ისევ ეწვია ვლადიმერ მაიაკოვსკი. მეორე დღეს მან რუსთაველის სახელობის თეატრში წაიკითხა პოემა „კარგია!", 10.12. — შეხვდა თსუ სტუდენტებს, საღამოს ისევ რუსთაველის სახელობის თეატრში გამოვიდა მოხსენებით, 12.12 — კი მწერალთა კავშირში წაიკითხა მოხსენება „ლექსები და პოეტის ამოცანები".

1928.21.7. — თბილისში ჩამოვიდა მაქსიმ გორკი. მან ინახულა ის ადგილები, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა 1891—92 წლებში. 24 ივლისს დაათვალიერა ზაჰესი, ესაუბრა მუშებს, იმავე დღეს მწერალთა სასახლეში შეხვდა ქართველ მწერლებს. 27 ივლისს მშენებელთა (შემდეგში გორკის სახელობის) კლუბში ესაუბრა გაზეთების მუშაკორესპონდენტებს. იმავე დღეს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მის პატივსაცემად გაიმართა თბილისის საქალაქო საბჭოს სახეიმო პლენუმი, რომელზეც მან სიტყვა წარმოთქვა. პლენუმზე მას მიესალმნენ სილიბისტრო თოდრია, ივანე გომართელი და ალექსანდრე აბაშელი.

5.9. — თბილისში ჩამოვიდა ვიკენტი ვერესაევი [189].

* * *

სხვა ღონისძიებებიდან, მოვლენებიდან, ფაქტებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

1927 წელი — 25 ივნისს ქართულ კლუბში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის დიდი საღამო.

1928 წელი — 1 აპრილს გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

1929 წელი — თბილისში მეორედ ჩამოვიდა ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი (20.1). ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ალექსანდრე გრიბოედოვისა (24.2.), ხოლო რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ოვანეს თუმანიანის (23.3) ხსოვნის საღამოები; ივნისში მოეწყო აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერალთა დელეგაცი-

---

[189] მასალები იხ. გაზ. „კომუნისტი", 1927, № 229. 11.12. 1928, № 173. 1929, 3.2. გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1928, № 171.

ების საღამო მუშათა კლუბში; 13.7 — თბილისში ჩამოვიდა უკრაინის მწერალთა დელეგაცია. 9.9 — თბილისში კვლავ ჩამოვიდა მაქსიმ გორკი; ოქტომბერში თბილისში ჩამოვიდა რევოლუციური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია (იოჰანეს ბეხერი, ფრანც ვაისკოპფი, მათე ზალკა). მოეწყო შეხვედრა მწერალთა კავშირში; 10.12 — ხელოვანთა სასახლეში სიმონ ჩიქოვანმა წაიკითხა მოხსენება ქართულ ლიტერატურაზე, მწერალთა კავშირთან შეიქმნა საავტორო უფლებათა დაცვის უწყება „საუდი“.

1930 წელი — სალიტერატურო მოღვაწეობის მე-40 წლისთავზე დავით კლდიაშვილს იუბილე გადაუხადეს და საქართველოს სსრ სახალხო მწერლის საპატიო წოდება მიანიჭეს.

14.3. — შეიქმნა დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინოსცენარისტთა საზოგადოება „დრამკომი“, რომლის გამგეობაში შევიდნენ: გუგული ბუხნიკაშვილი (თავმჯდომარე), ზაქარია ფალიაშვილი (მოადგილე), ბესო ჟღენტი (პ/მგებელი მდივანი), აკაკი ფაღავა, სანდრო შანშიაშვილი, პეტრე სამსონიძე, მიხელ ჯავახიშვილი, დავით რონდელი, მათეოს დარბინიანი, ნიკო შიუკაშვილი [190].

ივნისი — თბილისში გაიხსნა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი (შემდეგში ლიტერატურული მუზეუმი).

1930 წლის იანვრიდან შალვა რადიანი ინიშნება ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად (1930—1931).

1930 წლიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დირექტორია (1930—1931) პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

* * *

1930 წლის 15 ნოემბერს ფედერაციის საბჭოს მეოთხე პლენუმმა [191] მოისმინა პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება (შალვა რადიანი, ბესო ჟღენტი). აღინიშნა, რომ ორი წლის მანძილზე ფედერაციამ ვერ გაამართლა დასახული ამოცანები, ჩამორჩა საბჭოთა მშენებლობის ტემპებს, ვერ დაუახლოვდა მუშათა კლასის ბრძოლისა და მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკას, ფედერაცია ფაქტიურად სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობას აგრძელებდაო. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა ფედერაციის წევრთა აქტივიზაცია, რომ ფედერაციაში უნდა იყვნენ მხოლოდ ისე-

---

[190] მასალები იხ. ლხცსა, 8—1—201—1; გაზ. „კომუნისტი“, 1929.25.2; 24.3; 19.6; 15.7; 10.9; 12,12.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930. № 58.

[191] ლხცსა, 8—1—210—ფურც. 1—4.

თი მწერლები, რომლებიც დგანან საბჭოთა საზოგადოებრიობის პოზიციაზე, ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ყოველივე ამის გამო შეიცვალა ფედერაციის სტრუქტურა — შეიქმნა სამდივნო, რომელშიც შევიდა პ/მგ მდივანი—პანტელეიმონ ჩხიკვაძე და მდივნები — ალიო მაშაშვილი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, არისტო ჭუმბაძე.

მდივნებს გარდა საბჭოს მიერ არჩეულ პრეზიდიუმში შევიდნენ ბენიტო ბუაჩიძე, კოტე გორდელაძე, დავით ვოლსკი, სილიბისტრო თოდრია, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვალერიან ლუარსამიძე, ნიკოლო მიწიშვილი, შაქრო ნავთლუღელი, ბესო ჟღენტი, შალვა რადიანი, გალაკტიონ ტაბიძე და ლეო ქიაჩელი.

სამდივნოს, როგორც ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოს, დაეკისრა სრული პასუხისმგებლობა დასახული ამოცანების შესრულებაში [192].

პლენუმზე სიტყვით გამოსულებმა (შალვა რადიანი, ბესო ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, იაკინთე ლისაშვილი და სხვ.) მოითხოვეს აკადემიური მწერლების დაჯგუფების, როგორც ხელისშემშლელის, დაშლა. აკადემიური მწერლობის კავშირის (ასოციაციის) სახელით ალექსანდრე აბაშელმა დაჯგუფება დაშლილად გამოაცხადა [193].

საბჭოს დადგენილებაში აღინიშნა აკადემიური ასოციაციის დაშლა. ამავე დროს ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა: ყოფილი აკადემიური მწერლობის ასოციაციის წევრებს, რომლებიც დადგებიან ქართველი საბჭოთა ხალხის სამსახურში, ფედერაციაში მისაღებად გზა ხსნილი აქვთო.

და მართლაც, აკადემიური და „არიფიონის" ჯგუფების დაშლის შემდეგ მისი საუკეთესო ძალები ქართული საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელნი გახდნენ (იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი — აკადემიური მწერლების ჯგუფიდან; მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ილო მოსაშვილი, გერონტი ქიქოძე, დავით სულიაშვილი, ვასო გორგაძე და სხვ. — არიფიონიდან).

მაგრამ მანამდე, ვიდრე ეს მოხდებოდა, ლიტერატურული და მწერლური საზოგადოებრიობა მგზნებარედ მოუწოდებდა მათ ახალი დროის მსვლელობისათვის აეწყოთ ფეხი. აი, მაგალითად, 1930 წელს გალაკტიონ ტაბიძე წერილით მიმართავს საბჭოთა მწერლების

---

[192] ლხცსა, 8—1—216—ფურც. 3—8.

[193] ლხცსა, 8—1—210—ფურც. 1—3.

ფედერაციას („წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი"), რომელშიც ფედერაციის მემარჯვენე ფრთისაგან მოითხოვს „პირდაპირ შეხედოს თვალებში სინამდვილეს. სინამდვილე კი აი როგორია: ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს. მწერლობას მას შემდეგ არ უნდა შეშინებოდა არავითარი რეაქციის, არავითარი ძალდატანების, თქვენ კი საბედისწერო სისუსტე გამოიჩინეთ. გამოირკვა ულმობელი სიცხადით, რომ მემარჯვენეობა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისაგან იყო განწირული, ცხოვრება შეუბრალებლად და უგულოდ გადაიხარა 180 გრადუსით, იგი შეუჩერებლად გაექანა მსოფლიო რევოლუციისაკენ, თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით სუსტი, ხანდახან ავანტურისტული ხელმძღვანელობის წყალობით მიუახლოვდით ნაპრალს, მიდით გადაჩეხვამდე, აი ეს არის სინამდვილე, რომელსაც პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალებში.

... თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს" [194].

* * *

მაგრამ დავუბრუნდეთ ფედერაციის საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის სხდომას. საბჭოს პლენუმმა მოითხოვა ფედერაციას გადასცემოდა ჟურნალი „მნათობი" და კიდევ ერთხელ გამოთქვა სურვილი — დაჩქარებულიყო სალიტერატურო გაზეთის გამოცემა.

მართლაც, 1931 წლის იანვრიდან „მნათობი" საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანოა, ხოლო ამავე წლის 1-ლი ნოემბრიდან გამოსვლა დაიწყო საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიურმა „სალიტერატურო გაზეთმა" (რედაქტორი — შალვა რადიანი, 1932 წლის 21 იანვრიდან — დავით დემეტრაძე), რომელმაც პირველივე ნომრიდანვე დაიწყო ბრძოლა მწერლობის ჩასაყენებლად ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის სამსახურში („არც ერთი მწერალი, რომელსაც აქვს გარკვეული ღირებულება და მნიშვნელობა საბჭოთა მწერლობისათვის, არ ჩავუგდოთ ხელში კლასიურ მტრებს") და ნახევარი საუკუნეა ერთგულად ემსახურება ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის, ქართულ კულტურის წინსვლას.

მანამდე კი, წლის დასაწყისში, თითქოს ძალები მოსინჯაო, საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ საქართველოში საბ-

---

[194] გაზ. „კომუნისტი", 1930, № 96; გალაკტიონ ტაბიძე, ტ. 12, გვ. 55—56.

ჭოთა ხელისუფლების დამყარების მეათე წლისთავზე (1931.25.2) გამოუშვა ერთდროული „სალიტერატურო გაზეთი“, რომელშიც სხვათა შორის მიმოხილულია საქართველოს პროლეტარული მწერლობის 10 წლის ნამოღვაწარი (ალექსანდრე სულავას წერილი).

საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის სხდომის დადგენილების („ჩატარდეს წმენდა მემარჯვენე რეაქციული მწერლებისაგან“) თანახმად 1931 წელს ჩატარდა ფედერაციის წმენდა. საამისოდ გამოყოფილმა კომისიამ ფედერაციის სამდივნოს წარუდგინა (1931.9.5.) ოქმი, რომელიც სამდივნომ დაამტკიცა 1931 წ. 17 მაისს. როგორც მემარჯვენეები, გარიცხეს პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე და კონსტანტინე გამსახურდია [195].

1931 წელს ჩატარებული ღონისძიებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მაისში თბილისში ჩამოვიდნენ ვაიან-კუტურიე, იოჰანეს ბეხერი და ანდორ გაბორი. მოეწყო მათი შეხვედრა ქართველ მწერლებთან.

1—13.7. — თბილისში ჩატარდა უკრაინის კულტურის დეკადა. 3 ივლისს მწერალთა სასახლეში გაიმართა უკრაინელ და ქართველ მწერალთა შეხვედრა, რომელიც გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მდივანმა შალვა რადიანმა. უკრაინის ლიტერატურულ ცხოვრებაზე ისაუბრა უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანმა ივან მიკიტენკომ.

მეორე შეხვედრაზე (9.7.), რომელსაც თავმჯდომარეობდა ბენიტო ბუაჩიძე და რომელსაც ესწრებოდნენ ივან მიკიტენკო და მიკოლა ბაჟანი, უკრაინული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საქმის ხელმძღვანელობის გასაწევად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციასთან შეიქმნა მუდმივი კომისია, რომელშიც შეივიდნენ: ნიკოლო მიწიშვილი, შალვა რადიანი, პავლე საყვარელიძე, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი და სიმონ წვერავა.

გადაწყდა პიესების გაცვლა, აუცილებლად იქნა მიჩნეული უკრაინაში ქართველი მწერლების ბრიგადის მივლინება [196].

დეკემბერში ფედერაციამ დაადგინა თბილისში ლიტერატურული მუზეუმის გახსნა.

წლის ბოლოს ბეჭდვითი სიტყვის საპაიო ამხანაგობა „ქართული წიგნი“ გადავიდა ფედერაციის გამგებლობაში „ფედერაციის“ სა-

---

[195] ლხცსა, 8—1—238; 8—1—238; შემდეგში ეს (და სხვა) მწერლები, რომლებსაც 20—30-იან წლებში ხშირად მტრულ იარლიყებს აკრავდნენ, ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ.

[196] გაზ. „კომუნისტი“ 1931, №№ 49, 151—153, 156—57, 159—60.

ხელწოდებით. ამ გამომცემლობის დირექტორად 1931 წელს მუშაობდა სიმონ წვერავა[197].

•

1931 წელი — 24 აპრილს გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მწერალი დავით კლდიაშვილი, დაიკრძალა მთაწმინდის პანთეონში.

ჟურნალ „მნათობის" რედაქტორად დაინიშნა გიორგი ყურულაშვილი (1932—1936), მწერალთა კლუბის დირექტორად — გრიგოლ ცეცხლაძე.

•

1932 წლის დასაწყისში (31 იანვარს) საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამართა დისკუსია თემაზე „თანამგზავრობა და მოკავშირეობა". მოხსენებაში[198] (შალვა რადიანი) აღინიშნა: თანამგზავრებს — სამწერლო ასპარეზზე უმთავრესად რევოლუციამდე გამოსულ მწერლებს — რომლებიც რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში ძირითადად საბჭოთა წყობილებისადმი სიტყვიერი მხარდაჭერით კმაყოფილდებოდნენ და რომელთა საუკეთესო ნაწილი შემდეგ თანდათან შემოქმედებითაც ხდებოდა პროლეტარიატის მოკავშირედ, — დღეს ორი გზა აქვთ: ერთი რევოლუციისაკენ, მეორე — რეაქციისაკენ. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა გააძლიეროს იდეური მეთვალყურეობა, უნდა ამხილოს და ებრძოლოს კლასობრივი მტრების ყოველ ცდას სადაო თანამგზავრებსა და მოკავშირეებზე გავლენის მოსაპოვებლად.

• •

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1930 წლის 15 ნოემბერს საბჭომ, ხოლო 19 ნოემბერს — სამდივნომ მწერალთა ფედერაციის პასუხისმგებელ მდივნად აირჩია პანტელეიმონ ჩხიკვაძე. მაგრამ ერთი თვეც არ გასულა და, იგი ისევ გადაირჩიეს (საერთოდ ამ პერიოდი-

---

[197] ფედერაციის გამგეობის სამდივნოს დადგენილება 1931.4.10 — ლხცსა 8—1—239—10; 8—1—255; „სალიტერატურო გაზეთი", 1932, № 1.

[198] „სალიტერატურო გაზეთი", 1932, № 2; შ. რადიანის საბოლოო სიტყვა და პ. ჩხიკვაძის გამოსვლა — იქვე. № 4.

სათვის დამახასიათებელი დუღილი და ძიება ხელმძღვანელობის ხშირ ცვლაშიც გამოიხატა) — 1930 წლის 13 დეკემბერს პრეზიდიუმმა მის ნაცვლად პ/მგებელ მდივნად აირჩია შალვა რადიანი[199] (დანარჩენი მდივნები დარჩნენ უცვლელად: ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, არისტო ჭუმბაძე, ტიციან ტაბიძე).

1931 წლის 14 სექტემბერს პრეზიდიუმმა პირველ მდივნად აირჩია სიმონ წვერავა — ნაცვლად შალვა რადიანისა[200] (ეს უკანასკნელი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პ/მგებელ მდივნად აირჩიეს 1931 წლის 3—5 სექტემბერს პლენუმზე, მალე კი, იმავე წლის პირველი ნოემბრიდან შეუდგა ახალდაარსებული „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორობას, თან დეკემბრიდან ასოციაციის ერთ-ერთი მდივანი გახდა), პრეზიდიუმიდან გამოიყვანეს ბენიტო ბუაჩიძე (პროლეტარულ მწერალთა საკავშირო გაერთიანებაში — ვოაპპ-ში პ/მგებელ მდივნად გადაყვანის გამო).

თავის მხრივ სიმონ წვერავა გაათავისუფლეს იმავე წლის 19 დეკემბერს და ცოტა ხნის შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელობაში ისევ პანტელეიმონ ჩხიკვაძე დაბრუნდა, როგორც პირველი მდივანი. ეს მოხდა 1932 წლის 13 იანვარს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. მდივნებად კი ისევ ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, არისტო ჭუმბაძე და ტიციან ტაბიძე დარჩნენ[201].

პანტელეიმონ ჩხიკვაძე ამავე დროს იყო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი (1932 წლის 1-ლი იანვრიდან. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მეშვიდე პლენუმის შემდეგ). აქედან ჩანს, რომ ფედერაციაში მთავარი ადგილი ეკავა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას.

პრეზიდიუმის ამ გაფართოებულ სხდომაზე (1932.13.1.) პრეზიდიუმს დაუმატეს რამდენიმე წევრი: რაჟდენ გვეტაძე, დავით დემეტრაძე, სანდრო ეული, ივანე ვაშაყმაძე, ელიზბარ ზედგინიძე, ნოე ზომლეთელი, სევასტი თალაკვაძე, კარლო კალაძე, მარიამ ორახელაშვილი, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ წვერავა, მუშა დ. ჯღარკავა. პრეზიდიუმიდან გამოიყვანეს ბენიტო ბუაჩიძე, კოტე გორდელაძე, დავით ვოლსკი და შაქრო ნავთლუღელი.

---

199 პრეზიდიუმის სხდომის ოქმში აღნიშნულია: პირველ მდივნად — ლხცსა, 8—1—212—16.

200 ლხცსა, 8—1—238—16.

201 ლხცსა, 8—1—283—1.

1932

მიუხედავად ფედერაციის ხელმძღვანელობაში ჩატარებული გარდაქმნებისა (სამდივნოს შექმნისა), როგორც აღინიშნა პარტიის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებაში[202] („სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ"), „არსებულ პროლეტარულ სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციათა ჩარჩოები ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას. ასეთი გარემოება ქმნის იმის საფრთხეს, რომ ეს ორგანიზაციები სოციალისტური მშენებლობის გარშემო საბჭოთა მწერლებისა და მხატვრების რაც შეიძლება მეტი მობილიზაციის საშუალებიდან გადაიქცევიან ჯგუფური კარჩაკეტილობის დანერგვის, თანადროულობის პოლიტიკური ამოცანებისა და მწერალთა და მხატვართა იმ ჯგუფებისაგან მოწყვეტის საშუალებად, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას".

მართლაც, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია 30-იანი წლების დასაწყისში არათუ შეესაბამებოდა საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებას, არამედ ეწინააღმდეგებოდა კიდეც მას.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია დიდხანს წარმოადგენდა პარტიის ძირითად დასაყრდენს მხატვრულ ლიტერატურაში. როდესაც არსებობდა მნიშვნელოვანი გავლენა მტრული ელემენტებისა (განსაკუთრებით ნეპის დროს), პარტია საჭიროდ თვლიდა განსაკუთრებული პროლეტარული ლიტერატურული ორგანიზაციის არსებობას, რომელიც ლიტერატურაში პარტიის პოლიტიკის განხორციელებას შეუწყობდა ხელს.

მაგრამ პროლეტარული მწერლების ერთ ნაწილში, რომელიც წინათ ჟურნალ „პროლემაფის" ირგვლივ დაირაზმა, უფრო იმძლავრა ადრეც არსებულმა მემარცხენულმა ტენდენციებმა. ისინი

---

[202] „სალიტერატურო გაზეთი", 1932, № 11.

რაპპელების პოზიციებზე დადგნენ, გააყალბეს პარტიის პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში, იქცნენ ვულგარიზატორებად.

ისინი სარგებლობდნენ იმით, რომ ფედერაციაში მთავარი ადგილი ეჭირათ და ადმინისტრირების მეთოდს მიმართავდნენ ფედერაციაში შემავალ სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა, ძველ უპარტიო მწერალთა მიმართ.

ძველი მწერლები რევოლუციის პირველ წლებში კმაყოფილდებოდნენ დეკლარაციული განცხადებებით — მხარს ვუჭერთ საბჭოთა საქართველოსო, მაგრამ მათ მხატვრულ შემოქმედებაში კი ასე ჩქარა ვერ პოულობდა გამოხატულებას ეს მხარდაჭერა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მემარცხენე ნაწილს უნდოდა ერთი ხელის დაკვრით, ბრძანებით, ძალდატანებით გადმოეყვანა ეს თანამგზავრი მწერლები რევოლუციის მხარეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აწებებდნენ პოლიტიკურ იარლიყებს. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში არსებული მემარცხენეები ხელმძღვანელობდნენ ლოზუნგით: მტერი ან მოკავშირე. ცხარე ლიტერატურულ კამათში უდიერად იხსენიებდნენ სხვა ლიტერატურულ ჯგუფებს. ისინი არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ საჭირო იყო გარკვეული დრო, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, რომ თანამგზავრი მწერლები საბოლოოდ შემოქმედებითაც ჩამდგარიყვნენ ახალი ცხოვრების სამსახურში. და თუ რაიმე ცვლილებები ხდებოდა საბჭოთა წყობილების წლებში შემოქმედებით ასპარეზზე რევოლუციამდე გამოსულ, სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებში გაერთიანებულ მწერლებს შორის (ცვლილებები კი ნელა, მაგრამ აუცილებლად ხდებოდა), თუკი ახლისაკენ რამე შემობრუნება იყო, — ისიც ხშირად არასწორად ფასდებოდა.

ცხადია, აკადემიური თუ ცისფერყანწელთა დაჯგუფების მწერლები შეშფოთდნენ ეროვნული კულტურის ბედით, როცა პროლეტარული მწერლების მემარცხენე ფრთა ამტკიცებდა ეროვნული კულტურის ლოზუნგი რეაქციულია, პროლეტარიატი ქმნის არა ეროვნულ, არამედ ინტერნაციონალურ კულტურასო, და თავს ესხმოდნენ მე-19 საუკუნის კლასიკოსებს, ერთი მათგანი უკმაყოფილო იყო „აკაკი წერეთლის ლექსის კულტურით“, მეორე ამბობდა ილია რეაქციონერი „იყო არა მარტო მსოფლმხედველობით, არამედ თემატიურადაც“, აკაკის „შემოქმედების უმთავრესი მოტივი საქართველოს (უკეთ: არისტოკრატიულ წოდების წარსულის) იდეალიზაცია იყო“.

ამავე ნიადაგზე ებრძოდნენ მემარცხენე პროლეტარული მწერლები სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებში გაერთიანებულ მათ თანამედროვე მწერლებს (კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილს, ლ. ქიაჩელს და სხვ) [203].

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მემარცხენე ვულგარიზატორებს, მხოლოდ თავისი თავი მიაჩნდათ ახალი კულტურის მშენებლად, ისინი აბუჩად იხსენიებდნენ კლასიკურ მემკვიდრეობას (წარსულისადმი ნიჰილიზმის გაღვივებას ხელი შეუწყო სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე. 1926 წელს ფილიპე მახარაძის სიტყვაში ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისადმი გამომჟღავნებულმა არასწორმა დამოკიდებულებამაც. მან ამ მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა: „ხალხის ინტერესები სინამდვილეში იმათ (ილიასა და აკაკის, რ. კ.) არ სწამდათ", ასეთი დამოკიდებულების შედეგად გამოიცა 1931 წელს დიმიტრი ბენაშვილის, შალვა შავგულიძის, ფრიდონ ნაროუშვილისა და პლატონ ქიქოძის წიგნი „ბრძოლა კლასიკოსებისათვის" — იმავე ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობით). ისინი გამოდიოდნენ ყოველგვარი ეროვნულის, პატრიოტულის წინააღმდეგ, ლექსში საქართველოსა და სამშობლოს ხსენებასაც კი აუგად თვლიდნენ. ამ ნიადაგზე მემარცხენეები ებრძოდნენ თვით პროლეტარული მწერლობის ჯანსაღ წარმომადგენლებს. აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კრიტიკოსები გრიგოლ მუშიშვილი, პლატონ ქიქოძე, კარლო მელაძე, ასე, მაგალითად, ალიო მაშაშვილმა ლექსს „გარდატეხაში" საქართველო ახსენა. ამის გამო რაპპელებმა მკაცრად გააკრიტიკეს — პროლეტარიატი მხოლოდ ინტერნაციონალურ კულტურას ქმნისო.

აი ერთი მაგალითიც: 1930 წელს კრიტიკოსმა კარლო მელაძემ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში" (№ 148) მწვავედ გააკრიტიკა პროლეტარული მწერალი იონა ვაკელი, როგორ თუ ლექსში თქვა, ჩვენი სამშობლოა ქართლი, კახეთი, გურია; ქართული სისხლი თვით მზის ფერიაო: „რას გავს ეს?! რა შუაშია აქ მოქ. პოეტო, ქართუ-

---

[203] დ. რ ო ნ დ ე ლ ი, „ლიტერატურული კვალიფიკაციის საკითხი პროლეტარულ მწერლობაში", ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა", 1927, № 8;

გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, „იდეალიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ლიტერატურულ ფრონტზე" ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა", 1931, № 1 — 2; ჟურნ. „მნათობი" 1926 № 2;

იხ. თუნდაც ბ. ბუაჩიძის, ელ. ლუარსაბიძის, ალ. სულავას წერილები—ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობაში 1931, № 1—2.

ლი სისხლი. რა შუაშია აქ ქართლი, გურია და საქართველოს კუთხეებზე ნაციონალური აღიღინება?!"

კრიტიკოსმა იონა ვაკელი მემარჯვენე მწერლობის იდეურ ბელადად გამოაცხადა. კარლო მელაძის უკან გაზეთი იდგა. ეს გამოირკვა, როცა პეტრე სამსონიძის მიერ იონა ვაკელის დაცვას (სტატია „ნუთუ ეს არის თვითკრიტიკა?!) მოჰყვა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" (1930, № 148) „ჩვენი პასუხი ამხ. პ. სამსონიძეს" (დღეს როცა კლასობრივი ბრძოლა გამძაფრდა, ყველაფერი უნდა ითქვას და საწყენი ნუ იქნებაო), და ამავე გაზეთის რედაქტორის დავით ვოლსკისა და ალექსანდრე კოპლავაშვილის მკაცრი წერილი (№ 174), „თვითკრიტიკა უნდა შეეხოს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობასაც", რომელშიც ასოციაციის ხელმძღვანელობას ბრალს დებდნენ: კადრებს არ ამზადებს, ორიენტაცია ძირითადად სტუდენტებზე აქვს აღებული და არა პროლეტარულ ახალგაზრდობაზე, შემოფარგლულია მხოლოდ თბილისელი მწერლების ხელმძღვანელობით, ბენიტო ბუაჩიძე და ალექსანდრე სულავა გადახრას მხოლოდ მემარჯვენე მწერლობაში ხედავენ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოცდენიათ პროლეტარული მწერლის იონა ვაკელის მემარჯვენეობაზე და მის დამცველ პეტრე სამსონიძეზე; არც მემარცხენე გადახრებს ხედავენ ისინი თავიანთ რიგებში. ასოციაციის ხელმძღვანელობა მხოლოდ დეკლარაციული განცხადებებით კმაყოფილდება; არც ასოციაციის ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" დგას თავის სიმაღლეზე: გაზეთმა „პრავდამ" სასტიკად გააკრიტიკა შალვა ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია", ჟურნალს კი სიტყვაც არ დაუძრავს. ჟურნალი კულტურული რევოლუციისა და შემოქმედებითი პლატფორმის საკითხებს არ აშუქებსო.

წერილის ავტორები ამ შეცდომების მიზეზებს ხედავდნენ ასოციაციის ვიწრო ჯგუფური ხელმძღვანელობის პრაქტიკაში, ხელმძღვანელობის მიერ (ბენიტო ბუაჩიძე) კრიტიკის აუტანლობაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იმავე „ახალგაზრდა კომუნისტში" (1930, № 181), დაბეჭდილ საპასუხო წერილში „პროლეტარული საზოგადოებრიობის ყურადღება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას!" საქართველოს ალკკ ცკ-ის პროპაგანდისა და თეორიული სწავლების განყოფილების გამგემ აკაკი მახათაძემ და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პ/მგებელმა მდივანმა ბენიტო ბუაჩიძემ დაიცვეს ასოციაციის ხელმძღვანელობა, თუმცა ვერ დააკმაყოფილეს თავიანთი ოპონენტები (ვერ უარყვეს ის ფაქტები, რაზეც ჩვენ მივუთითეთო).

ასეთ მბრძანებლურ კრიტიკას (რომლის მაგალითზეც ახლა შეჩერდით) დაბნეულობა, დეზორგანიზაცია შეჰქონდა როგორც არაპროლეტარულ დაჯგუფებაში, ისე პროლეტარულ მწერლებში. აი როგორ გამოხატა მწერალმა მიხეილ ბოჟორიშვილმა ეს ნერვიული ატმოსფერო: „არის დრო ბობოქარი, დაუდეგარი და ქართველი მწერალი ისედაც ჩქარი და მოუსვენარი, დღეს მარტოოდენ ნერვების ცახცახით ცხოვრობს“ [204].

პროლეტარული მწერლების, მათი ხელმძღვანელების ერთი ნაწილის და ფუტურისტ-მემარცხენეების ნიჰილიზმი ეროვნული საკითხისადმი, გულგრილი დამოკიდებულება პატრიოტიზმისადმი აფრთხობდა, ხელს ჰკრავდა სხვა დაჯგუფებათა მწერლებს, განგაშს იწვევდა აკადემიური მწერლობისა და ცისფერყანწელთა დაჯგუფებების მწერლებში, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ეროვნული საკითხით, ეროვნული მწერლობის ბედით.

ერთი სიტყვით, მწერალთა ფედერაციაში ერთმანეთს ორგანიზაციულად დაუპირისპირდნენ პროლეტარული და არაპროლეტარული მწერლები. ლიტერატურაში კი დაუშვებელი იყო რომელიმე ჯგუფის უპირატესობის არსებობა.

ყველაფერი ეს პარტიას უნდა ჩაეყენებინა კალაპოტში და მან კიდეც უთხრა მემარცხენე-ეულგარიზატორებს, რაპპელებს, არ შეიძლება ლიტერატურის გაიგივება პარტიულ ორგანიზაციასთანო.

ამიტომ 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე პარტიამ გააუქმა ცალკეული მწერლური ორგანიზაციები. ასევე მოხდა საქართველოშიც — 14 მაისს პროლეტარული მწერლების ბიუროს კონფერენციამ იმსჯელა ამ დადგენილების შესახებ და გამგეობის სახელით დაშლილად გამოაცხადა ასოციაცია. 16 მაისს ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე იმსჯელეს და გამგეობის სახელით დაშლილად გამოაცხადეს ფედერაცია [205].

ცხადია, გაუქმდა 1932 წლის 4 მარტს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა სამდივნოს გაფართოებული სხდომის დადგენილების თანახმად პროლეტარული საკოლმეურნეო მწერლების ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად გამოყოფილი საორგანიზაციო ბიურო, რომელშიც შედიოდნენ ნოე ზომლეთელი (თავმჯდომარე), სანდრო ეული, გუგული ბუხნიკაშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, სერგო აბულაძე, ბესო ჟღენტი და ვასო გორგაძე. ამით ზღვარი დაედო პროლეტარულ და საერთოდ მწერალთა ოჯახის გაუმართლებელი დაყოფა-დაქუცმაცების ბოლო წამოწყებას.

---

[204] „შენიშვნები ხელოვნებაზე“, გაზ. „ლომისი“, 1923, № 32.

[205] ლხცსა, 8—1—270—1; „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, № 13.

„არიფიონი“ და აკადემიური მწერლობის ასოციაცია ამ დროისათვის დაშლილი იყვნენ (შესაბამისად 1928 და 1930)[206]. ფუტურისტები და ცისფერყანწელები ლიტერატურული კრიტიკის შეტევით ადრევე დაადგნენ ლიკვიდაციის გზას.

ფედერაციის პრეზიდიუმის ხსენებულ გაფართოებულ სხდომაზე 1932 წლის 16 მაისს ფედერაციის ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო ბიურო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტპროპგანყოფილების გამგის კარლო ორაგველიძის თავმჯდომარეობით. ბიუროში შეევიდნენ: გუგული ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, დავით დემეტრაძე, სანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, ალიო მაშაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ბესო ყღენტი (საორგანიზაციო ბიუროს მდივანი), შალვა რადიანი, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და არისტო ჭუმბაძე.

ამ საორგანიზაციო ბიურომ შექმნა კომისიები:

1. მწერალთა რეგისტრაციისათვის — ხელმძღვანელი სანდრო ეული.

2. საწესდებო — ხელმძღვან. პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

3. ოპერატიული მუშაობის საწარმოებლად და ლიტერატურული საქმიანობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად — პანტელეიმონ ჩხიკვაძე, რაჟდენ გვეტაძე, ბესო ყღენტი.

4. პარტიული, სალიტერატურო-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებათა შესამუშავებლად — თავმჯდომარე გიორგი ყურულაშვილი.

საწესდებო კომისიის მიერ შედგენილი წესდების პროექტი 30 მაისს გამოქვეყნდა „სალიტერატურო გაზეთში“.

თბილისიდან მივლინებულ მწერალთა თანდასწრებით მწერალთა აქტივების კრებები ჩატარდა 5 ივნისს ბათუმსა (მივლინებული იყო სანდრო ეული) და ქუთაისში (მივლინ. იყო პანტელეიმონ ჩხიკვაძე), 7 ივნისს ცხინვალში (მივლინ. იყო პეტრე სამსონიძე), 8 ივნისს სოხუმში (მივლინ. იყო ტიციან ტაბიძე). ყველგან დაიშალა ძველი მწერლური ორგანიზაციები და შეიქმნა საორგანიზაციო ბიუროები (კომისიები) და აირჩიეს საქართველოს საბჭოთა

---

[206] „სულ უკანასკნელ ხანებში დაიშალა ინგოროყვა-გამსახურდიას მეთაურობით არსებული „აკადემიურ მწერალთა კავშირი“ (ბენიტო ზუაჩიძე, „მწერლობის ათი წელი“, ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931, № 1—2).

იმავე ჟურნალის 1931 წ. № 4—5-ში იგივე ბ. ბუაჩიძე წერილში „მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკის გზები“ წერდა: პროლეტარული მწერლობა იერიშზე გადავიდა, „ამის დამადასტურებელია „არიფიონის“ განადგურება, „ქართული წიგნის“ გამომცემლობიდან ნაციონალისტური მწერლების (ინგოროყვა და სხვ.) განდევნა“.

მწერლების მომავალი დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები[207] (შესაბამისად 2, 3, 4 და 3 დელეგატი).

დამფუძნებელი ყრილობის (1932. 27—29. 6.) გახსნის წინა დღეს საორგანიზაციო ბიურომ შეაჯამა მუშაობა და გამოყო საგანგებო კომისია (ნიკოლო მიწიშვილი, სანდრო ეული, სიმონ ჩიქოვანი, რაუდენ გვეტაძე, შალვა რადიანი). რომელსაც დაევალა ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების მოგვარება, საორგანიზაციო ბიუროს გამგებლობაში არსებული ყოფილი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და საბჭოთა მწერლების ფედერაციის მთელი ქონების, ფინანსების, ჟურნალების, გამომცემლობისა და გაზეთის გადაბარება ქართველ მწერალთა ახალი ორგანიზაციისათვის.

1932 წლის 27 ივნისს საღამოს მწერალთა სასახლეში პანტელეიმონ ჩხიკვაძის მოკლე შესავალი სიტყვით გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო (პირველი) ყრილობა (აქედან იწყება საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობის ახალი ნუმერაცია)[208].

ამ დროისათვის ქართულ მწერლობას გარკვეული მიღწევები ჰქონდა საბჭოთა სინამდვილის ასახვაში. არაფერს ვამბობთ პროლეტარულ პოეტებზე — მათი მთავარი თემა ხომ საბჭოთა საქართველოს ცხოვრება, განსაკუთრებით ინდუსტრიის პირველი მშენებლობები და კოლექტიური მეურნეობა იყო. მათგან აღვნიშნავთ მხოლოდ ალიო მაშაშვილ-მირცხულავას „დამკვრელ ბრიგადებს“, ირაკლი აბაშიძის „გადარჩენის ბალადას“ და „შეიქენ გმირი!“, რომლებშიც ჩანდა ახალი დროის გმირის სახე.

პროლეტარულმა მწერლებმა პირველი სიტყვა თქვეს საკოლმეურნეო ცხოვრების ასახვაშიც (კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევი „ახალი გლეხები“ და რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“, ალიო მაშაშვილი-მირცხულავას „განგაში“), მუშათა ცხოვრებაზეც (კ. ლორთქიფანიძის პოემა „მუშა-გამომგონებელი“, ერთერთი პირველი ცდა საქართველოს ქალაქის ცხოვრების, ინდუსტრიალიზაციის ასახვისა — პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულები“

---

[207] „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, № 14.

[208] ყრილობის მასალები იხ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, №№ 16, 17.

ყრილობის გახსნა და მიმდინარეობა გადაღებულია კინოფირზე — „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, № 16.

მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში (რუსულ ენაზე) ტ. 7, გვ. 293 — საქართველოს მწერალთა I ყრილობად ნახსენებია 1926 წლის ყრილობა, შემდეგ, მე-2 ყრილობად კი — 1939 წლისა, მაგრამ რა ვუყოთ მათ შორის ჩატარებულ ორ (1928, 1932) ყრილობას?

და „ამხანაგი ბუთხუზი“) და საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოქმნილ ადამიანთა ახალ ურთიერთობაზე, კომუნისტურ მორალზე, ოჯახზე (კ. ლორთქიფანიძის პირველი მოთხრობები: „ხავსი“, „ფოტოგრაფი“, „პირველი დედა“).

არანაკლებ აქტიურობდნენ არაპროლეტარული მწერლებიც: ქართველ მკითხველს შეეძლო წაეკითხა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა ციკლები სოციალისტურ მშენებლობებზე, რევოლუციის მონაპოვართა დაცვაზე — „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლუციონური საქართველო“.

ყოფილი ფუტურისტ-მემარცხენის სიმონ ჩიქოვანის ლექსში „შემოღამება ხახმატში“ აისახა საქართველოს მთის სწრაფვა განახლებული ცხოვრებისაკენ.

ახალი ცხოვრების ასახვა დაწყებული ჰქონდათ სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა წარმომადგენლებსაც. უკვე დაწერილი იყო ყოფილი ცისფერყანწელების ტიციან ტაბიძის „რიონი-პორტი“ (ყოლხეთის აღორძინების საგალობელი), გიორგი ლეონიძის „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“, „ზამთრის მუხამბაზი“, „ახალი მინდვრის სიმღერები“, ვალერიან გაფრინდაშვილის „გაზაფხული“, ყოფილი არიფიონელის ილო მოსაშვილის „თანამედროვე პოეტებისადმი მიწერილი“, აკადემიური მწერლობის დაჯგუფების ყოფილი წარმომადგენლის კონსტანტინე გამსახურდიას „ოდა ზაჰესს, ქართლის ფალავანს“...

ამ ლექსებში ჩანდა კეთილი დამოკიდებულება ახალი დროებისადმი.

ყოფილმა არიფიონელმა სანდრო შანშიაშვილმა საკოლმეურნეო თემაზე შექმნა ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „პირველი ტრაქტორი“.

ძველისა და ახლის ჭიდილს ასახავდა სვანეთის მაგალითზე ლეო ქიაჩელის ნოველა „ალმასგირ კიბულან“ და ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ტრაგედია, შალვა დადიანის „თეთნულდი“ (პროლეტარულმა მწერლობამ აქაც თქვა თავისი სიტყვა — კარლო კალაძის პიესა „ხატიჯე“ აჭარის ცხოვრებიდან).

მწერლობა სათანადო ყურადღებას აქცევდა სოციალიზმის ქვეყნის დამცველი არმიის ასახვას. ამ თემაზე საკმაო რაოდენობის ნაწარმოებები შეიქმნა და 1928 წელს გამოვიდა კრებული „წითელი არმია მხატვრულ ნაწარმოებებში. ლექსები. მოთხრობები. პიესები“.

რევოლუციურ წარსულზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლასა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებზე მოგვითხრობდა საანგარიშო პერიოდში (1928 — 1932) შექმნილი მოთხრობები და რომანები: ნიკო ლორთქიფანიძის

„ბილიკებიდან ლიანდაგებზე“, პავლე საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები“, ნიკოლო მიწიშვილის „ეპოპეა“, დემნა შენგელაიას „თებერვალი“, „გურამ ბარამანდია“, „ქაც“, „ციმბირი“, სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“ და „ფერფლი“, ალექსანდრე ქუთათელის „განთიადის წინ“ („პირისპირ“), დავით სულიაშვილის „მეორე დღე“, რაჟდენ გვეტაძის „თეო“ და „ჟიაკოკონა“; პიესები: პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, სანდრო შანშიაშვილის „ანზორ“ (აქვე უნდა მოვიხსენიოთ მისი ლექსი „დედისერთა ვაჟიკა“, იგივე „დედისერთა ლენინთან“) და კარლო კალაძის „როგორ“.

დაწყებული იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და მისი ბელადის, სახალხო გმირის ცხოვრების ამსახველი რომანის მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ბეჭდვა (1926—1932 წლებში).

ახალშექმნილი საბჭოთა აპარატის ხელშემშლელ ბიუროკრატიზმს აკრიტიკებდა ერთ-ერთი პირველი ქართული საბჭოთა კომედია — შალვა დადიანის „კაკალ გულში“.

უკვე დაბეჭდილი იყო რევოლუციისაგან განწირული კლასის წარმომადგენლის ცხოვრების ამსახველი ნოველა ლეო ქიაჩელისა „თავადის ქალი მაია“ (29) და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და რუსეთის პირველი რევოლუციის დროის ქართველი გლეხის ცხოვრების ამსახველი რომანი — დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“.

ამასთან, მკითხველს საშუალება ჰქონდა წაეკითხა გიორგი ლეონიძის პატრიოტული ლექსები „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას“, „ოლე“, აგრეთვე ალექსანდრე აბაშელის ფანტასტიკური რომანი „ქალი სარკეში“, საფო მგელაძის „ლიანა ლორდია“, დია ჩიანელის „გიონ დარანა“.

როგორც ვხედავთ, არაპროლეტარული მწერლები, სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა წევრები ფრიად აქტუალურ თემატიკას ამუშავებდნენ (ამასთანავე ეს იყო ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები). ეს შეტყველებდა იმაზე, რომ უკვე, განურჩევლად დაჯგუფებებისა, შეიქმნა ერთიანი ქართული მწერლობა.

საანგარიშო პერიოდში (1928—1932) გამოვიდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ მეორე (1928) და მესამე (1930) ტომი ია ეკალაძის რედაქტორობით.

ითარგმნა რუსული საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: მაქსიმ გორკის „არტამონოვების საქმე“ (მთარგმნ. ლეო ქიაჩელი) და „ჩემი უნივერსიტეტები“ (მთარგმნ. ილია აგლაძე), ალექსანდრე ფადეევის „განადგურება“ (მთარგმნ. არისტო ჭუმბა-

ძე), ალექსანდრე სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“ (მთარგმნ. დავით კასრაძე), თედორე გლადკოვის „ცემენტი“ (მთარგმ. დემნა შენგელაია), აგრეთვე ავეტიკ ისააკიანის პოემა „აბუ ალა მაარი“ (მთარგმნ. ტიციან ტაბიძე), ფრანგული რომანები: გი დე მოპასანის „ლამაზი მეგობარი“ (მთარგმნ. მიხეილ ჯავახიშვილი), ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“ და ონორე ბალზაკის „შაგრენის ტყავი“ (ორივე თარგმნა გერონტი ქიქოძემ) და გერმანული რომანი — ე. მ. რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ (მთარგმნ. კონსტანტინე გამსახურდია).

ასე შეხვდა ქართული მწერლობა 1932 წლის ყრილობას.

ყრილობას დაესწრო 120-მდე დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი:[209]. „23 აპრილის დადგენილება და საბჭოთა მწერლების ამოცანები“ (მომხსენებელი საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი გიორგი ყურულაშვილი). მოხსენებაში აღინიშნა თანამგზავრი მწერლების გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, რაჟდენ გვეტაძის, სერგო კლდიაშვილის მიღწევები საბჭოთა სინამდვილის ასახვაში და ამით საბჭოთა სინამდვილესთან მათი უფრო მეტად დაახლოება. მათ მიმართ კი როგორც მოხსენებაში ითქვა, მემარცხენეები გადახრას უშვებდნენ.

---

[209] საქართველოს სსრ მე-40 წლისთავისათვის ეურნ. „მნათობში“ (1961, № 5). დაბეჭდილ ქრონიკაში — „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ცხოვრებიდან“ (გვ. 175—183), ნათქვამია: „1932 წლის 25 დეკემბერს გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა“, რაც შეცდომაა. როგორც ცნობილია, ეს ყრილობა გაიხსნა 1932 წლის 27 ივნისს (25.XII. კი გაიმართა პლენუმი).

ქრონიკაში ყრილობის დღის წესრიგის ნაცვლად მოტანილია 25.XII გამართული პლენუმის დღის წესრიგი, ისიც შემოკლებულ-შეცვლილი.

ქრონიკაში დაშვებულია სხვა შეცდომებიც:

1. 1921 წელს მწერალთა კონფერენცია მოწვეულ იქნა არა 10.X არამედ — 9—12.X.

2. 1926 წ. საქართველოს მწერალთა I ყრილობა შედგა არა 21.II, არამედ 21—24.II.

3. 1928 წ. საქართველოს მწერალთა II ყრილობა შედგა არა 20.II, არამედ 6—14. III.

4. 1944 წელს ს. ჩიქოვანი აირჩიეს არა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პ/მგებელ მდივნად, არამედ თავმჯდომარედ.

5. საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა გაიხსნა არა 1954 წლის 23.VI, არამედ 30.VI. და სხვ.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ 1970 წელს გამოცემულ ვ. კაპარავას წიგნშიც „ქართველი ინტელიგენცია“ (ტექსტი ქართულ და ფრანგულ ენებზე) შეცდომითაა აღნიშნული საქართველოს მწერალთა კავშირი 1934 წელს დაარსდაო (გვ. 25).

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, ბენიტო ბუაჩიძის მეთაურობით, ატარებდა ფედერაციის წმენდას, მიმართავდა ადმინისტრირებას, ნიკოლო მიწიშვილს ლეგალურ მენშევიკს ეძახდნენ, სანდრო შანშიაშვილს — კულაკურ მწერალს და ა. შ.

მოხსენებაში აღინიშნა მემარცხენული ადმინისტრირების დაუშვებლობა, მაგრამ ითქვა ისიც, რომ ეს არ ნიშნავდა მემარჯვენეების ამნისტიას, მათ წინააღმდეგ ბრძოლის შენელებას. კამათში გამოსულებმა (ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, დია ჩიანელი, არისტო ჭუმბაძე, მიხეილ ჯავახიშვილი), აღნიშნეს პარტიის დადგენილების დროულობა, მიუღებლობა მემარცხენული ლოზუნგისა „მტერი ან მოკავშირე!“ გარდა აღნიშნულებისა, სიტყვებით გამოვიდნენ ალი არსენიშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, დავით დემეტრაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, სანდრო ეული, სოლომონ თავაძე, კარლო მელაძე, დუტუ მეგრელი, კატო მიქელაძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პარმენ ლორია, ბესო ჟღენტი, შალვა რადიანი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გიგო ხეჩუაშვილი.

ყრილობამ, ადგილობრივი პირობების გამო, საქართველოში სხვა რესპუბლიკებზე ადრე შექმნა საბჭოთა მწერლების კავშირი და ამით მწერალთა კავშირის ისტორიაში დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი.

საბოლოო სხდომაზე (29.6.) საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

ყრილობის მიერ არჩეულ საბჭოში შევიდა 47 კაცი: ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, ასკერი, ვართან ატრიანი, ბარონ ბიბინეიშვილი, გუგული ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, დ. გრებენშჩიკოვი, გრიგოლია, იოსებ გრიშაშვილი, დავით დემეტრაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, სანდრო ეული, აღასი ვართანიანი, ნოე ზომლეთელი, სევასტი თალაკვაძე, სილიბისტრო თოდრია, პაოლო იაშვილი, კარლო კალაძე, სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, პარმენ ლორია, მარქარი (ავეტისიანი), ალიო მაშაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, ბესო ჟღენტი, შალვა რადიანი, პეტრე სამსონიძე, პავლე საყვარელიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, მალაქია ტოროშელიძე, კოსტა ფარნიევი, ლეო ქიაჩელი, ალექსანდრე ქუთათელი, გიორგი ყურულაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, დია ჩიანელი, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, არისტო ჭუმბაძე, სიმონ ხუნდაძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

საბჭოს საპატიო წევრებად აირჩიეს ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ფილიპე მახარაძე, დუტუ მეგრელი.

შეიქმნა სარევიზიო კომისია, რომელშიც შევიდნენ ალი არსენიშვილი, იაკინთე ლისაშვილი, კარლო მელაძე, დავით სულიაშვილი, გიგო ხეჩუაშვილი.

საბჭომ თავის პლენუმზე (1-ლ ივლისს) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარედ აირჩია საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნე მალაქია ტოროშელიძე, მოადგილეებად სანდრო ეული და ნიკოლო მიწიშვილი, მდივნად — ბესო ჟღენტი. მათ გარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ პრეზიდიუმში შევიდნენ: გუგული ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, დავით დემეტრაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, შალვა რადიანი, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გრიგოლ ყურულაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, პენტელეიმონ ჩხიკვაძე.

ამავე დროს (1932 წლის 7 ივლისს) პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მწერალთა კავშირში შეიქმნა შემდეგი სექტორები: მასობრივი მუშაობისა (ხელმძღვანელი — სანდრო ეული, გამგე — რაჟდენ გვეტაძე), საორგანიზაციო (ხელმძღვანელი—ბესო ჟღენტი, გამგე — მიხეილ ჩიქოვანი), საყოფაცხოვრებო (ხელმძღვ. — მალაქია ტოროშელიძე, გამგე — მიხეილ ჯავახიშვილი), საგამომცემლო (ხელმძღვანელი — დავით დემეტრაძე) საფინანსო-ეკონომიკური (ხელმძღვ. — ნიკოლო მიწიშვილი).

სხდომაზე მიიღეს სექტორების საორიენტაციო გეგმა.

ჟურნ. „მნათობის" რედაქტორად დაამტკიცეს გიორგი ყურულაშვილი, პ/მგ. მდივნად — ლევან ასათიანი; ჟურნალ „საბჭოთა მწერლობის" რედაქტორად — შალვა რადიანი, პ/მგ. მდივნად — ალექსანდრე ქუთათელი; „სალიტერატურო გაზეთის" რედაქტორად დავით დემეტრაძე, პ/მგ. მდივნად — რაჟდენ გვეტაძე [210].

* * *

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭომ შექმნისთანავე დაიწყო ზრუნვა მწერალთა მომარაგების, ჯანმრთელობის პუნქტის გახსნის, სასახლიდან კერძო მობინადრეთა გაყვანისა და დასასვენებელი სახლის მოწყობის (ქვიშხეთში) გამო. იმთავითვე შეიქმნა დამწყებ მწერალთა საკონსულტაციო კაბინეტი (გამგე — ლეო ქიაჩელი, კონსულტანტები: პროზაში — დემნა შენგელაია, პოეზიაში — ფრიდონ ნაროუშვილი).

---

[210] ლხცსა, 8—1—289—1.

ახალჩამოყალიბებული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭომ თავის მიერ შექმნილ საორგანიზაციო სექტორს (ხელმძღვანელი ბესო ყღენტი) დაავალა მწერალთა კავშირის წესდების დამუშავება.

ამავე საორგანიზაციო სექტორს დაევალა მწერალთა კავშირის აპარატისა და საქმეთა მმართველობის შექმნა. და აი თითქმის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნიდან. კერძოდ 1934 წლიდან 1978 წლამდე მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველად მუშაობდა უხუცესი ბელეტრისტი, რუსული და ფრანგული მწერლობის რჩეულ ნიმუშთა ცნობილი მთარგმნელი იროდიონ ქავჟარაძე, თითქმის ნახევარი საუკუნე მწერალთა სასახლეს თავისებურ განუმეორებელ ელფერს აძლევდა მწერალთა კავშირისა და მის ორგანიზაციებში მომუშავე (ზოგჯერ ათეულ წლობით მომუშავე) თანამშრომელთა ეს პატრიარქი.

საორგანიზაციო სექტორსავე დაევალა მწერალთა კავშირის განყოფილებების ჩამოყალიბება და 1932 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირიდან მივლინებულ მწერალთა დელეგაციების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა:

1. ქუთაისის განყოფილება. თავმჯდომარე (1932—1937) — დია ჩიანელი, პასუხისმგებელი მდივანი (1932—1938) — ილია ხოშტარია; განყოფილებამ დაიწყო ჟურნალ „საბჭოთა მწერლის" გამოცემა (1932—1934, რედაქტორები პეტრე ბახტურიძე. შალვა რადიანი).

2. აჭარის განყოფილება ბათუმში. თავმჯდომარე (1932—6.10. — 1945) დავით დუმბაძე, პასუხისმგებელი მდივანი (1932—1952) — პარმენ ლორია;

3. სამხრეთ ოსეთის განყოფილება, ცხინვალში. თავმჯდომარე (1932—1937) ჩერმენ ბეგიზოვი, პასუხისმგებელი მდივანი (1932—1937) — სოსლან გაზაევი.

4. აფხაზეთის მწერალთა კავშირი (ხან განყოფილება ეწოდებოდა) სოხუმში. თავმჯდომარე (1932—1937) — სამსონ ჭანბა.

(დაწვრილებით იხ. თავი — „საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები").

* * *

ახლადშექმნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ცხოვრებაში დიდი ყურადღება ეთმობოდა მემარჯვენული გადახრების წინააღმდეგ ბრძოლას. მეორე მხრივ. პროლეტარულ მწე-

რალთა რიგებშიც იყო ბევრი რამ გასარკვევი: ზოგს, ვინც პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის არსებობისას თავს პრივილეგირებულად გრძნობდა, არ მოეწონა ახალი კავშირის შექმნა.

ეს მემარცხენეები აკრიტიკებდნენ მწერალთა კავშირს — მემარჯვენეებს ლმობიერად ეპყრობა, პროლეტარული მწერლობა იჩაგრებაო.

ასეთ ვითარებაში მწერალთა კავშირს ისევ დასჭირდა ჯგუფობრიობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველი პლენუმი[211], რომელიც გაიმართა 1932 წლის 25—31 დეკემბერს. პლენუმმა მოისმინა მოხსენებები: 1) „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობა და მომავალი ამოცანები" (მომხს. სანდრო ეული); 2) „საბჭოთა მწერლების კავშირის მომავალი მუშაობისათვის" (ბესო ჟღენტი); 3) „მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის მდგომარეობა და მწერალთა უფლებრივ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესახებ" (ნიკოლო მიწიშვილი). მწერალთა ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ მათი ხელმძღვანელები.

პლენუმზე ლაპარაკი იყო ჯგუფობრიობის სრულ ლიკვიდაციასა[212] და მთლიანობის მიღწევაზე, შემოქმედებით აქტივიზაციაზე, სოციალისტურ მშენებლობასთან ორგანულ დაკავშირებაზე, კავშირზე ხელოვნების მოსაზღვრე დარგებთან.

კამათში გამოსულთაგან განსაკუთრებით საინტერესო იყო მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელი სიტყვა.

სიტყვით („საბჭოთა მწერლების ძალთა კონსოლიდაციისათვის") გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე კარლო ორაგველიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა მწერლების საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაციამ უკრაინელი მწერლის, პარტიული და საზოგადო მოღვაწის ივანე კულიკის (ილაპარაკა საკავშირო ორგკომიტეტის პლენუმის შედეგებზე), სერგო ამაღლობელისა და მიხეილ იურინის შემადგენლობით.

---

[211] „სალიტერატურო გაზეთი" 1933 № 1, 2, 3; ლხცსა, 8—1—271.

[212] ჯგუფობრიობის გამოვლინება იყო, მაგალითად, 1932 წლის სექტემბერში აჭარაში მივლინებულ საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაციის წევრის ფრიდონ ნაროუშვილის მიერ ლექსის „თავადი ილია ჭავჭავაძე" წაკითხვა ბათუმში საჯარო გამოსელაზე. ეს ფაქტი დაგმო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა 1932 წ. 17 ოქტომბერს.

* * *

1932 წელს რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნამდე:

27 მარტს თბილისში სტუმრად იყო გერმანელი მწერალი ვილი ბრედელი. 29 მარტს იგი „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქციას ეწვია, საღამოს კი მწერალთა კლუბში ი. ვ. გოეთეს გარდაცვალების მე-100 წლისთავის საღამოს დაესწრო. ამ საღამოზე გერმანულ ენაზე სიტყვა წარმოთქვა შალვა ნუცუბიძემ.

წინა წლებშიც და ამ წელსაც იმართებოდა ე. წ. საწარმოო თათბირები, მაგალითად, 1932 წლის 6—19 აპრილს ჩატარდა პროზის საწარმოო თათბირი (მომხსენებლები — გიორგი ნატროშვილი და ბესო ჟღენტი) [213].

25 აპრილს დავით კლდიაშვილის ხსოვნის საღამოზე მოხსენებებით გამოვიდნენ ბესო ჟღენტი და გიორგი ნატროშვილი.

ამ წელს რამდენიმე ღონისძიება ჩატარა ახალშექმნილმა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმაც:

აგვისტოში ქართველ მწერლებს ეწვია და პრეზიდიუმის წევრებს, მწერალთა აქტივს ესაუბრა რუსეთის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, გაზეთ „იზვესტიის“ პ/მგებელი რედაქტორი ივანე მიხეილის ძე გრონსკი.

14—24.9. — საქართველოში ჩატარდა „მაქსიმ გორკის შემოქმედების ათდღიური“, რომლის დროსაც (22.9) მწერალთა კლუბში გაიმართა მისი სალიტერატურო მოღვაწეობის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო [214].

19.10. — მოეწყო მწერალთა შეხვედრა კოლმეურნეებთან.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა თითო თვის შემოქმედებითი მივლინებებით საქართველოს რაიონებში გაგზავნა გუგული ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, პეტრე სამსონიძე, ტიციან ტაბიძე და სიმონ ჩიქოვანი.

მწერალთა სასახლეში გაიხსნა დახურული განმანაწილებელი და სასადილო.

21.11. — მოეწყო ლიტერატურული წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

* * *

1932 წლიდან გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორად მუშაობდა (1932—1935) იაკინთე ლისაშვილი (ხომერიკი).

[213] „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, № 9, 10.

[214] გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1932, №№ 211, 214, 221, 225, 227.

1933

2.3. — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ [215], რომელიც ითვალისწინებდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ცხოვრებისა და შემოქმედების პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ, მათთვის სპეციალური დასასვენებელი სახლის აშენებას, დახურული სასადილოს გახსნას. ბინის სამშენებლო ამხანაგობის შექმნას სესხის მიცემით, დადგენილების მიხედვით თბილისის საქალაქო საბჭოს 3 ბინა უნდა გამოეყო მწერალთა სასახლიდან მობინადრეთა გასაყვანად. ჟურნალ „მნათობისა“ და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციებს კონკურსები უნდა ჩაეტარებინათ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებზე. გაზეთ „კომუნისტს“ უფრო მეტად უნდა გაეშუქებინა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები.

23.3. — ქართველმა მწერლებმა აღნიშნეს კარლ მარქსის გარდაცვალების 50-ე წლისთავი.

3.4. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტად თბილისში დაამტკიცა ლევან ასათიანი. გადაწყდა ქვიშხეთის მწერალთა სახლის მწერალთა დასასვენებელ სახლად გადაკეთება სათანადო პანსიონატით; 24 აპრილს მწერალთა კავშირის წევრებად მიიღო მემედ აბაშიძე, პოლიო აბრამია, ვახტანგ გარიკი, ვალერიან გუნია, ლეო ესაკია, გიორგი დარისპანაშვილი, სოლომონ დოლიძე, ილია ზურაბიშვილი, გიორგი თავზიშვილი (თავზარაშვილი), ხარიტონ ვარდოშვილი, სოლომონ იორდანიშვილი, გ. შინატეხელი, ივანე მაჭავარიანი, კატო მიქელაძე, ანა ღვინიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია.

17.4 — გაიმართა თათბირი დრამატურგიის საკითხებზე.

---

[215] გაზ. „კომუნისტი“, 1933. № 54.

23.4. — ლიტერატურის თაობაზე პარტიის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების ერთი წლისთავს ეძღვნა ბესო ჟღენტის მოხსენება.

შუა მაისიდან ივნისამდე თბილისში იმყოფებოდა დრამატურგი ვსევოლოდ ვიშნევსკი. მას 2 ივნისს საქმიანი შეხვედრა ჰქონდა მწერლებთან და წაიკითხა მოხსენება „საბჭოთა დრამატურგიის საკამათო საკითხები“.

11 ივნისიდან თბილისში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის კულტურის დღეები.

26.6. — საქართველოს ცაკის დადგენილებით სამწერლო მოღვაწეობის 25-ე წლისთავის აღსანიშნავად გალაკტიონ ტაბიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო პოეტის წოდება, 29 ივნისს მწერალთა სასახლეში, 5 ივლისს კი ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პოეტის საიუბილეო საღამოები.

ოქტომბერში თბილისში ჩამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის ბრიგადის წევრი იური ტინიანოვი. გარდა ორგკომიტეტის საქმეების მოგვარებისა, მან იმოგზაურა კახეთში.

შემოქმედებითი მივლინებების გაცემა გაგრძელდა 1933 წელსაც. ამასთან გაფართოვდა მივლინებების გეოგრაფია — მან მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირი. სხვა ღონისძიებებთან ერთად ესეც უწყობდა ხელს მოძმე რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებას, რასაც ხელი მოჰკიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ.

1933 წლის ოქტომბერში, გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციის მიწვევის თანახმად, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრში, მშენებლობებზე (იაროსლავი, მინსკი, ხარკოვი, ჩელიაბინსკი, კუზბასი, დნეპროჰესი და სხვ.) გაზეთის კორესპონდენტის მოწმობებით გასამგზავრებლად საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოჰყო მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ტიციან ტაბიძე, ნოე ზომლეთელი, ბორის ჩხეიძე და ალიო მაშაშვილი.

ოქტომბერში თბილისში გავლით იყო საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის სომხეთის ლიტერატურასთან ურთიერთობის ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ ვალერი კირპოტინი, ბენიამინ კავერინი, მარკ კოლოსოვი, ალექსანდრე გატოვი და აზერბაიჯანის ლიტერატურასთან ურთიერთობის კომისია ალექსანდრე ზუევის, ლევ ნიკულინისა და მიხეილ იურინის შემადგენლობით. ეს მწერლები ქართველ კოლეგებთან ერთად იყვნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

1933 წლის 17 ნოემბერს მაქსიმ გორკის ინიციატივით საქართველოში ჩამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტე-

ტის მწერალთა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ პეტრე პავლენკო (ხელმძღვანელი), ოლღა ფორში, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ვიქტორ გოლცევი (შემთხვევით არ იყვნენ ამ დელეგაციაში ოლღა ფორში და პეტრე პავლენკო — მათ ბავშვობა თბილისში გაატარეს, პეტრე პავლენკომ აქ დაიწყო ბეჭდვა. ნიკოლოზ ტიხონოვიც მანამდე ორჯერ იყო ნამყოფი საქართველოში).

მწერლების ეს ჯგუფი 20 დღის განმავლობაში ეცნობოდა ქართულ მწერლობას, საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის მუშაობას, მასალებს აგროვებდა საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობისათვის.

1933 წლის 5 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის ბრიგადის მოხსენება (პეტრე პავლენკო) და იმსჯელა საკავშირო ყრილობისათვის მზადების შესახებ.

1933 წლის 10 დეკემბერს პრეზიდიუმზე ამ ბრიგადის წევრთა, გამომცემლობის მუშაკთა, მთარგმნელთა თანდასწრებით განხილულ იქნა ქართული ლიტერატურის, კერძოდ, საყრილობო მასალის რუსულ ენაზე თარგმნის საკითხი.

* * *

ქართველი საბჭოთა მწერლები, განსაკუთრებით პროლეტარული მწერლები, გულმოდგინედ ასახავდნენ ახალ ძვრებს და გარდაქმნებს, ახალ ყოფა-ცხოვრებას. ისინი პირველი ხუთწლედის შესასრულებლად გაჩაღებულ შეჯიბრებასაც მაშინვე გამოეხმაურნენ, შეიქმნა ლექსები, მოთხრობები... საუკეთესო მათგანი შევიდა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ გამოშვებულ წიგნში „ხუთწლედის გმირი მხატვრულ ლიტერატურაში“ (შემდგენლები იაკინთე ლისაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი).

* * *

სამდივნომ და პრეზიდიუმმა შეადგინეს ლიტერატურული დისკუსიების გეგმა. ერთი ასეთი დისკუსია თემაზე — „რევოლუციური რომანტიზმის პრობლემები“ გაიმართა 11 დეკემბერს; დისკუსიებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ნაციონალიზმისა და ანტიპროლეტარული იდეოლოგიის გამოვლინებასთან ბრძოლას.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა მემარჯვენეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა მემარცხე-

ნეობასთან ბრძოლასაც. ასე, მაგალითად, 1933 წლის 5 ოქტომბრის პრეზიდიუმის სხდომის რეზოლუციაში აღნიშნული იყო მთავარ საფრთხესთან — მემარჯვენეობასთან ერთად მემარცხენე ეულგარიზატორობასთან ბრძოლის აუცილებლობაც.

* * *

1933 წლისათვის ასე გამოიყურებოდა მწერალთა კავშირის შტატი: 1) პასუხისმგებელი თანამდებობანი (თითო-თითო): თავმჯდომარის მოადგილე, პ/მგ. მდივანი, მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი, საორგანიზაციო მუშაობის ინსტრუქტორი, სამხედრო კომისიის ხელმძღვანელი; 2) ტექნიკური მუშაკები: საქმეთა მმართველი, სასახლის გამგე, მემანქანე, მოანგარიშე, ბიბლიოთეკის გამგე, შიკრიკი, მეეზოვე და ორ-ორი დამლაგებელი და კარისკაცი[216].

როგორც ამ საშტატო განრიგიდან ჩანს თავმჯდომარე და ერთი მოადგილე უხელფასოდ მუშაობდა.

იმავე საშტატო განრიგიდან ჩანს, რომ 1933 წელს საქართველოს მწერალთა კავშირში არსებობდა სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისია. იგი სწორედ ამ წელს შეიქმნა. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო კალე ბობოხიძე. კომისიაში სხვებთან ერთად შედიოდნენ გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი.

იმავე 1933 წელს შეიქმნა დრამატურგთა სექცია (პირველი ხელმძღვანელი — პეტრე სამსონიძე) და საბავშვო ლიტერატურის სექცია (პირველი ხელმძღვანელი — მალაქია ტორიშელიძე).

1933 წელს გადაწყდა რიგი ორგანიზაციული საკითხისა: 8 აპრილს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე შემოქმედებით შეებულებაში წასვლის გამო სანდრო ეული გაათავისუფლეს და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე (ამავე პლენუმმა მოისმინა აგრეთვე, ალექსანდრე დუდუჩავას მოხსენება საკავშირო ორგკომიტეტის მე-2 პლენუმის შესახებ და მიიღო რეზოლუცია).

5 ოქტომბერს მწერალთა აქტივის კრებამ განიხილა საქართველოს კპ ცკ-ის 1933 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“[217]. აქტივზე მიღწევებთან ერთად აღინიშნა ჯგუფობრიობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, სა-

---

[216] ლხცსა, 8—1—326—10.

[217] „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, 18.10.

ლიტერატურო წრეების მუშაობის გაშლის, მუშათა ფენებიდან მწერლობაში ახალი კადრების მიზიდვის, ხანგრძლივი მივლინებების, ახალგაზრდა მწერლებისათვის ჟურნალის დაარსების, მწერალთა კავშირისა და მისი განყოფილებების ბიუჯეტის ვაძლიერების საჭიროება.

აქტივმა მოითხოვა თბილისში გათავისუფლებულიყო ილიასეული სახლი (ორჯონიკიძის ქ. 22) მუზეუმის მოსაწყობად და ანასტასია წერეთლის სახლი (ყვალის ქ. № 5) საბავშვო მუზეუმისათვის.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ სპეციალური მომარაგება დაენიშნათ მწერლებს ვასილ ბარნოვს, ეკატერინე გაბაშვილს, ნიკო ლორთქიფანიძეს, დუტუ მეგრელს, შიო მღვიმელს, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ქუჩიშვილს, პანტელეიმონ ჩხიკვაძეს და მიხეილ ჯავახიშვილს. პარტიის ზემოთნახსენები დადგენილების შესაბამისად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ოქტომბერში გადაწყვიტა სამდივნოს შექმნა. სამდივნოში შევიდნენ: მალაქია ტოროშელიძე (თავმჯდომარე), დავით დემეტრაძე (1934. 19 სექტემბრიდან 1937 წლამდე პირველი მდივანი), ბესო ჟღენტი (1933—1934, 1934—1937), ნიკოლო მიწიშვილი (1933—1934), პანტელეიმონ ჩხიკვაძე (1933—1934).

ამ სამდივნოში ფუნქციები ასე იყო განაწილებული: მ ა ლ ა ქ ი ა ტ ო რ ო შ ე ლ ი ძ ე ს ევალებოდა მწერალთა კავშირის საერთო ხელმძღვანელობა, აგრეთვე დრამატურგთა, სამხედრო-თავდაცვითი და საბავშვო სექციების ზედამხედველობა, დ ა ვ ი თ დ ე მ ე ტ რ ა ძ ე ს — კავშირის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა პრესისა და გამოშცემლობის ხაზით, კავშირი პოლიტიკურ პრესასთან, ენციკლოპედიისათვის მასალების მიწოდების, ქართულიდან სხვა ენებზე და სხვა ენებიდან ქართულზე თარგმნის ორგანიზება; ბ ე ს ო ჟ ღ ე ნ ტ ს — ლიტერატურული მუშაობის ხელმძღვანელობა, დისკუსიების ორგანიზება, ნაციონალურ უმცირესობათა სექციების, მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველობისა და აპარატის ზედამხედველობა; ნ ი კ ო ლ ო მ ი წ ი შ ვ ი ლ ს — საყოფაცხოვრებო საკითხები, ფინანსები, მეურნეობა; პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე ს — ლიტერატურული კაბინეტების მეთვალყურეობა, მწერალთა კავშირის განყოფილებების, მუშათა სალიტერატურო წრეების, ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის ხელმძღვანელობა.

სხვადასხვა დროს ამ სამდივნოში შედიოდნენ: სანდრო ეული (1934—1939), ვალერიან გაფრინდაშვილი (1934—1939) და კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1937).

• • •

წლის მიწურულში (28. 12.) გარდაიცვალა შიო მღვიმელი. დაიკრძალა დიდუბის პანთეონში.

• •

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის შემდეგ გადაწყდა სამდივნოს სხდომების გამართვა კვირაში ერთჯერ, პრეზიდიუმისა — თვეში ერთჯერ.

სამდივნოსა და პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად განიხილებოდა შემოქმედებითი საკითხები, მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოებისა და გამომცემლობის გეგმები და მუშაობა, მათ მიერ დაბეჭდილი მხატვრული პროდუქცია, შემოქმედებითი სექციების სამუშაო გეგმები, მათი საქმიანობა; გასცემდნენ შემოქმედებით მივლინებებს და ისმენდნენ მივლინებიდან დაბრუნებულ მწერალთა ანგარიშს; დიდი ყურადღება ეთმობოდა მწერალთა კავშირის განყოფილებების შემოქმედებითსა და ორგანიზაციულ მუშაობას, მოძმე ერებთან ლიტერატურულ ურთიერთობას, მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობებს და სხვა მნიშვნელოვან თუ შედარებით წვრილმან საკითხებს.

ჩვენ კვლავ შევეცდებით, ჩატარებულ ღონისძიებებთან ერთად ქრონოლოგიურად აღვნიშნოთ სამდივნოსა თუ პრეზიდიუმის სხდომებზე განხილული ზოგიერთი, შედარებით მნიშვნელოვანი საკითხი.

1934

7. 1. — გაიმართა საქართველოს მწერლების, მეცნიერებისა. და ინჟინერ-ტექნიკოსების შეხვედრა. დაისახა ღონისძიებები მწერლებისა და მეცნიერ მუშაკთა საქმიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად.

სამდივნომ ორჯერ განიხილა დრამატურგთა სექციის (11. 3. და 27. 12). მუშაობის საკითხი, აგრეთვე განყოფილებების — აფხაზეთის მწერალთა კავშირის (4. 12.), სამხრეთ ოსეთისა (10. 12.) და აჭარის (14. 12.) მწერალთა ორგანიზაციების საქმიანობა.

პრეზიდიუმმა რამდენიმეჯერ მოისმინა მწერალთა კავშირში მიმღები კომისიის მოხსენება, განიხილა „ლიტერატურული გაზეთის" მუშაობა და სხვ.

თანახმად გეგმისა, წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე ლიტერატურული დისკუსია, კერძოდ: „პოეზიის ფრონტი საქართველოში" (19 — 23. 4.), აგრეთვე კონსტანტინე ლორთქიფანიძის („ძირს სიმინდის რესპუბლიკა", 17. 2), ალექსანდრე ქუთათელის („პირისპირ", აპრილი), დემნა შენგელაიას („ბათა ქექია", 29 — 31. 5.) რომანებისა და სიმონ ჩიქოვანის პოეზიის (25 — 29.12.) ირგვლივ.

პრეზიდიუმმა (5.4), მოისმინა რა დავით დემეტრაძის მოხსენება საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის მე-3 პლენუმის შედეგებზე, დაადგინა: მუშაობის გამოცოცხლებისა და მეტი ოპერატიულობის მიზნით მოხდეს მწერალთა კავშირის სტრუქტურის რეორგანიზაცია. გაუქმდა სამდივნო და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს (მალაქია ტოროშელიძე), პ/მგებელ მდივანსა (დავით დემეტრაძე) და მის მოადგილესთან (ნიკოლო მიწიშვილი) ერთად არსებობდა შემოქმედებითი სექტორები და სექციები. კერძოდ, სექტორები: დისკუსიებისა და მასობრივი მუშაობის (გამგე ბესო ჟღენტი), ახალ კადრებთან მუშაობის სალიტერატურო-საკონსულტაციო კაბინეტით (გამგე — პანტელეიმონ ჩხიკვაძე, კონსულტანტები: პროზაში — ლეო ქიაჩელი, პოეზიაში — ირაკლი აბაშიძე,

დრამატურგიაში — შალვა დადიანი), ლიტფონდისა და საგამომცემ-ცემლო მუშაობისა (გამგე ნიკოლო მიწიშვილი)[218].

სექციები: 1933 წელს შექმნილი საბავშვო ლიტერატურისა და დრამატურგთა (ხელმძღვანელი — პეტრე სამსონიძე,) ახალშექმნილი მთარგმნელთა (ხელმძღვანელი — ვალერიან გაფრინდაშვილი), ეროვ-ნულ უმცირესობათა (რუსული — ხელმძღვანელი ვლადიმერ ელს-ნერი, სომხური — ხელმძღვ. ვართან ატრიანი, თურქული — ხელ-მძღვ. კასუმოვი) სექციები და 1933 წელს შექმნილი სამხედრო-თავ-დაცვითი ლიტერატურის კომისია (ხელმძღვ. — კალე ბობოხიძე).

პრეზიდიუმის ამავე სხდომაზე საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტიდან დროებითი წესდების მიღებასთან დაკავშირე-ბით შეიქმნა მწერალთა ხელახალი აღრიცხვის კომისია სანდრო ეულის თავმჯდომარეობით (მალე — 1934. 5.6. — თავმჯდომა-რედ დანიშნეს პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე). კომისიაში შედი-ოდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი და გუგული ბუხნიკაშვილი.

ამ კომისიის მიერ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში თბილისიდან მიღებულ წევრთა (94 კაცი) სია გამოქვეყნდა „სა-ლიტერატურო გაზეთსა" (№ 13) და „კომუნისტში". (1934. 21. 5.) კომისიამ კავშირის გარეთ დატოვა მემარჯვენეებად შერაცხილი ცნობილი მწერლები კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგო-როყვა...

ასრულდა 1933 წლის 5 ოქტომბერს მწერალთა აქტივის მიერ გამოთქმული სურვილი — გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „ახალ-გაზრდა მწერალმა" (რედაქტორი მალაქია ტოროშელიძე).

25 აპრილიდან გამოდიოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების ათდღიური (1935 წელს — ორ-კვირეული) ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა და საქმე" (1934-1935, რედაქტორი პლატონ ქიქოძე).

მწერალთა შემოქმედებითი პრაქტიკის გარდაქმნის თაობაზე სა-კავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის ორი წლისთავზე (1934. 16—19. 6.) ჩატარებული საბჭოს პლენუმი[219] ეძღვნა ამ ხნის მანძილზე ქართულ საბჭოთა მწერლო-ბაში მომხდარი დიდი შემობრუნებისა და გარდაქმნების დაწვრი-ლებით განხილვა-გაანალიზებას.

---

[218] ლხცსა, 8—1—390; „სალიტერატურო გაზეთი", 1934. № 8.

[219] „სალიტერატურო გაზეთი", 1934, № 14; გაზ. „კომუნისტი", 1934, №№ 139—144.

პლენუმმა მოისმინა მოხსენებები: 1. „გარდაქმნის ორი წელი (მომხს. მალაქია ტოროშელიძე); 2. „საბჭოთა პოეზიის შემოქმედების საკითხები“ (შალვა რადიანი); 3. „ქართული საბჭოთა პროზა სოციალისტური რეალიზმის გზაზე“ (ბესო ჟღენტი); 4. „მხატვრული კრიტიკის ამოცანები“ (დავით დემეტრაძე); 5. „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ (ალექსანდრე დუდუჩავა).

მოხსენებებში აღინიშნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ თანამგზავრ მწერალთა მიმართ გამოყენებული უკომპრომისო ლოზუნგის — „მტერი ან მოკავშირე“ — მცდარობა, საბჭოთა წყობილების შექმნის შემდეგ თანამგზავრულ მწერლობაში მომხდარი გარდატეხა-შემობრუნების მაგალითებად დასახელებულ იქნა მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ (თუმცა მაინც ისტორიაა, თანამედროვეობას გაურბისო), დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“, რაჟდენ გვეტაძის „ჭიაკოკონა“, ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, ლეო ქიაჩელის „კრეისერი შმიდტი“, შალვა დადიანის „ნინოშვილის გურია“, დავით სულიაშვილის „კედელი“, ილო მოსაშვილის „კობა ჩოხელი“ კონსტანტინე გამსახურდიას „უკრაინის თემიდი“ და „მთვარის მოტაცება“.

ითქვა ისიც, რომ ბევრი ნიჭიერი თანამგზავრი სუსტად მუშაობს (ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი). პაოლო იაშვილს, ნიკოლო მიწიშვილსა და ტიციან ტაბიძეს კი „წმინდა ლირიკის“ აღორძინების ცდები აქვთო.

პროლეტარულ მწერლობის მიღწევად დასახელებულ იქნა კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“, ხოლო შეცდომად — კლასიკური მემკვიდრეობის დაუფასებლობა, კერძოდ ზესტაფონის რაიონულ გაზეთში ფრიდონ ნაროუშვილის ლექსის („ჩვენი ეგნატე, მათი ილია“) დაბეჭდვა. პლენუმმა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმში შეიყვანა ჩერმენ ბეგიზოვი (კოსტა ფარნიევის ნაცვლად), სამსონ ჭანბა (გრიგოლიას მაგიერ) და აირჩია საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატები.

საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაში (მოსკოვი, 1934.17.8 — 1.9.) საქართველოდან მონაწილეობას იღებდა 22 მწერალი გადამწყვეტი ხმით: ჩერმენ ბეგიზოვი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, სანდრო ეული, სევასტი თალაკვაძე, პაოლო იაშვილი, თედორე კანონიდი (აფხაზეთიდან), კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მარიჯანი, ნიკოლო მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, პავლე საყვარელიძე, ტიციან ტაბიძე, მალაქია ტოროშელიძე, ყაზბეგ ყოროევი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, სამსონ ჭანბა, მი-

ხეილ ჯავახიშვილი. და 8 მწერალი სათათბირო ხმით: ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკოლოზ მიქავა, პეტრე სამსონიძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, პლატონ ქიქოძე, დია ჩიანელი.

სხვა ხალხებისათვის ქართული მწერლობის გაცნობას დიდად შეუწყო ხელი მისი მრავალსაუკუნოვანი გზის ამსახველმა, თვით ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაზე ვრცელმა თანამოხსენებამ (მალაქია ტოროშელიძე), რითაც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი წარსდგა პირველ საკავშირო ყრილობაზე. ამ ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, შალვა დადიანი, ტიციან ტაბიძე და სანდრო ეული.

საკავშირო ყრილობის მიერ არჩეულ გამგეობაში შეავიდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე და მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, სანდრო ეული, სარეეიზიო კომისიაში — აფხაზი მწერალი სამსონ ჭანბა.

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში კი აირჩიეს მალაქია ტოროშელიძე და მიხეილ ჯავახიშვილი[220].

მწერალთა საკავშირო ყრილობის მუშაობის დღეებში მოსკოვში მწერალთა სახლში გაიმართა (26.—8.) ქართული პოეზიის საღამო, რომელზეც წაიკითხეს იოსებ გრიშაშვილის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, ალექსანდრე ქუთათელის ლექსების თარგმანები. პაოლო იაშვილმა წაიკითხა თავისი თარგმანი ალექსანდრე პუშკინიდან.

მწერალთა საკავშირო ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გამრავალფეროვანდა ლიტერატურული ურთიერთობანი. ფართო გასაქანი მიეცა ქართული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას რუსულ და სხვა მოძმე ერების ენებზე და პირიქით. ეწყობოდა ქართული პოეზიის საღამოები მოსკოესა თუ მოძმე რესპუბლიკებში.

მწერალთა საკავშირო ყრილობის მუშაობის დღეებში 20 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ იუბილის ჩატარების თაობაზე[221].

---

[220] საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1934. გვ. (შესაბამისად) 690—698; 74—103; 146—148; 155—159; 281—282; 450—452; 515—518; 564—565; 712—713; 715. მალაქია ტოროშელიძის მოხსენება ქართულ ენაზე იხ. ჟურ. „მნათობი“, 1934, № 7—8. „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1934. № 105—118.

[221] გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 193. აგრეთვე № 194.

დადგენილების მიხედვით ზეიმი უნდა ჩატარებულიყო 1937 წლის ოქტომბერში, თბილისში უნდა აღმართულიყო დიდი პოეტის ძეგლი, უნდა დაწესებულიყო რუსთაველის სახელობის მუდმივი ჯილდო საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისათვის. გათვალისწინებული იყო საიუბილეო გამოცემები, კონკურსები, მუზეუმის შექმნა.

ამ დადგენილებით შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის გერმანე მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით. კომიტეტში ქართველ მწერალთაგან შეიდნენ კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე დუდუჩავა, პავლე ინგოროყვა, გალაკტიონ ტაბიძე, მალაქია ტოროშელიძე, გერონტი ქიქოძე. სანდრო შანშიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

26 აგვისტოს გამოქვეყნდა მთავრობის კომიტეტის დადგენილება შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმის მოწყობის თაობაზე [222].

იწყებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მხატვრული ლიტერატურის გატანა საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე.

უკვე ამავე წლის ბოლოს (29.12.) რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყო ინტერნაციონალური ლიტერატურული საღამო, რომელზეც წაკითხულ იქნა „ვეფხისტყაოსნის" თარგმანთა ნაწყვეტები სხვადასხვა ენებზე.

* * *

1932 წლის ივლისში ახალშექმნილ სამწერლო ორგანიზაციას ეწოდა, „სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი" [223], 1934 წლის აგვისტოდან, მწერალთა I საკავშირო ყრილობის შემდეგ კი დაერქვა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი" (თუმცა პრესაში იმთავითვე ასე უწოდებდნენ).

* * *

მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შემდეგ, 1934 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა პ/მგ. მდივნის მოადგილის თანამდებობა და კვლავ შექმნა სამდივნო, რომელშიც შეიდნენ მწერალთა კავში-

---

[222] გაზ. „კომუნისტი", 1934, № 197.

[223] ლბცსა, 8—1—303—2.

რის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, პირველი მდივანი დავით დემეტრაძე, მდივნები ბესო ჟღენტი, სანდრო ეული და ვალერიან გაფრინდაშვილი.

რამდენიმე დღის შემდეგ კი სამდივნოზე (21.9.) ასე განაწილდა ფუნქციები: მალაქია ტოროშელიძეს მიენდო სამდივნოს საერთო ოპერატიული ხელმძღვანელობა და საბავშვო სექცია; დავით დემეტრაძეს — ფინანსები, პრესა, გამომცემლობა; ვალერიან გაფრინდაშვილს — მასობრივი მუშაობა და მთარგმნელთა სექცია; სანდრო ეულს — განყოფილებები და ნაციონალურ უმცირესობათა სექციები: ბესო ჟღენტს — დისკუსიები, ლიტერატურული საღამოები.

აშავე სხდომაზე სამდივნომ დაადგინა, სასახლიდან გამომცემლობა „ფედერაციისა" და კომპოზიტორთა კავშირის გაყვანა, აგრეთვე, სსრკ სახკომსაბჭოს 1934 წლის დადგენილების საფუძველზე, დავით დემეტრაძესა და ბესო ჟღენტს მიანდო ლიტერატურული ფონდის ორგანიზაცია.

შეიქმნა ლიტფონდის გამგეობა, რომელშიც შევიდნენ სანდრო ეული (თავმჯდომარე), ნიკოლო მიწიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე და საქლიტფონდის დირექტორი), ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, დემნა შენგელაია და მიხეილ ჯავახიშვილი.

საქლიტფონდის ფაქტიური მუშაობა დაიწყო 1934 წლის 28 ოქტომბრიდან, როდესაც მას — საკავშირო ლიტფონდის საქართველოს განყოფილებას — მოსკოვიდან გადმოუგზავნეს საოპერაციო თანხები.

* * *

30.9. — „სალიტერატურო გაზეთს" ეწოდა „ლიტერატურული გაზეთი" (№ 17-დან), იქცა ექვსდღიურ ორგანოდ და მის რედაქტორად დაინიშნა პლატონ ქიქოძე (1934—1935).

10.10.—გარდაიცვალა ტერენტი გრანელი. დაკძალულია პეტრეწავლეს სასაფლაოზე.

4.11. — გარდაიცვალა ვასილ ბარნოვი. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

17.12 — საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით შეიქმნა კრიტიკოსთა სექცია (პირველი თავმჯდომარე შენიტო ბუაჩიძე).

25.12. — თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებამ სა-

სახლეში (მაჩაბლის, 13) მწერალთა კავშირისთვის გახსნა დახურული ტიპის პოლიკლინიკა[224].

ამ წელს საქართველოში იყვნენ უკრაინელი მწერლები — უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ივანე კულიკი და პოეტი მიკოლა ბაჟანი.

1934 წლის განმავლობაში მწერალთა სასახლეში ჩატარდა შიო მღვიმელის ხსოვნის (20.1.), გიორგი ბუხნიკაშვილის შემოქმედების (28.2.), ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების მე-40 წლისთავის (10.5.), სანდრო ეულის სალიტერატურო მოღვაწეობის 25-ე წლისთავისა (27.5.) და ანტალ გიდაშის შემოქმედების (15.7) საღამოები.

---

[224] პოლიკლინიკის გამგის ექიმ გიორგი თევდორაძის მოხსენებითი ბარათი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს — ლხცსა, 8—1—757—17.

1935

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე აირჩიეს საქართველოს ცაკის, ა/კავკასიისა და საკავშირო ეროვნებათა საბჭოს წევრად, პაოლო იაშვილი — ა/კავკასიის ცაკის, დავით დემეტრაძე, გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი — საქართველოს ცაკ-ის, ხოლო ბესო ჟღენტი და ტიციან ტაბიძე — თბილისის საბჭოს წევრებად.

23-26.1.—გაიმართა კრიტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები“ (დავით დემეტრაძე), „ლიტერატურათმცოდნეობის ფრონტი საქართველოში“ (ბესო ჟღენტი) [225].

3.2. — მოსკოვში ჩატარდა ქართული პოეზიის საღამო, რომელიც გახსნა საკავშირო მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ალექსანდრე შჩერბაკოვმა. დავით დემეტრაძის მოხსენების შემდეგ ლექსების კითხვით გამოვიდნენ: ირაკლი აბაშიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო ეული, პაოლო იაშვილი, კარლო კალაძე, ალიო მაშაშვილი, ტიციან ტაბიძე და სიმონ ჩიქოვანი, აგრეთვე ქართველ პოეტთა მთარგმნელი რუსი მგოსნები პავლე ანტოკოლსკი, ბორის პასტერნაკი და ნიკოლოზ ტიხონოვი [226].

საღამოს დაესწრნენ საკავშირო საბჭოების ყრილობის დელეგატები შალვა ელიავა, ფილიპე მახარაძე, გერმანე მგალობლიშვილი, ბუდუ მდივანი და თენგიზ ჟღენტი.

ქართველი მწერლები მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრნენ საღამოს ჩასატარებლად.

4 მარტს მოსკოვში, ხოლო 21 მარტს ლენინგრადში ჩატარდა ტიციან ტაბიძის შემოქმედების საღამო.

13.3. — პრეზიდიუმზე კვლავ ცვლილება მოხდა საქართველოს

---

[225] გაზ „კომუნისტი“, 1935. № 20.

[226] გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1935, № 2.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში: სხვადასხვა პასუხსაგებ ორგანიზაციებში მუშაობით გადატვირთვის გამო მალაქია ტოროშელიძე, თანახმად მისი განცხადებისა, გათავისუფლებულ იქნა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი აკაკი თათარიშვილი. მდივნებად — ისევ დავით დემეტრაძე, ბესო ჟღენტი, სანდრო ეული და ვალერიან გაფრინდაშვილი დარჩნენ.

13.5. — მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა შექმნა „ვეფხისტყაოსნის" საუბილეო კომისია, რომელშიც შევიდნენ აკაკი თათარიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ჭიხეილ ჯავახიშვილი (მოადგილე), აკაკი გაწერელია (მდივანი), დავით დემეტრაძე, ბენიტო ბუაჩიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა რადიანი, გერონტი ქიქოძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე. შემდგომში პრეზიდიუმი დროდადრო განიხილავდა ამ იუბილესათვის მზადების საკითხებს.

15.5. — მწერალთა სასახლეში მოეწყო შეხვედრა ბელორუს მწერლებთან.

14-15.6. — თბილისში იმყოფებოდა აზერბაიჯანელ მწერალთა დელეგაცია, მოეწყო შეხვედრა მწერალთა სასახლეში.

17.6. — მწერალთა სასახლეში მოხსენებით გამოვიდა რუსი დრამატურგი ელექსანდრე აფინოგენოვი.

21-25.6. — გალაკტიონ ტაბიძე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა პარიზში გამართულ მწერალთა პირველ მსოფლიო ანტიფაშისტურ კონგრესზე.

30.6. — ყაზბეგში გაიხსნა ლიტერატურულ-ისტორიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ივლისიდან ჟურნ. „ახალგაზრდა მწერლის" ნაცვლად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის დავით დემეტრაძის რედაქტორობით (1935—1936) გამოდის „ჩვენი თაობა" (1935 — 1941), რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მწერალთა ახალი თაობების აღზრდას.

1935 წელს ბელორუსიაში 3 თვით მიელინებული იყო ქართველ მწერალთა ჯგუფი (ბენიტო ბუაჩიძე, რაჟდენ გვეტაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი), სამდივნომ (15.8.) და პრეზიდიუმმა (20.9) მოისმინეს მათი ანგარიში.

2.10. — ვაჟა-ფშაველის გარდაცვალების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად პრეზიდიუმმა იმსჯელა პოეტის შემოქმედებაზე და აღიარა მისი დიდი ღირებულება.

17 ოქტომბერს კი, მთავრობის დადგენილებით, ვაჟა-ფშაველას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. მეორე დღეს — იქ სამოქალაქო პანაშვიდი, ხოლო კონსერვატორიის დარბაზში საღამო გაიმართა (გაზ., „მუშა", 1935, № 242).

7.10. — მწერალთა სასახლეში მოეწყო შეხვედრა უკრაინელ მწერალთა ჯგუფთან (მიკოლა ბაჟანი, ალექსანდრე კორნეიჩუკი, ივანე კულიკი, ივანე მიკიტენკო, ლეონიდ პერვომაისკი, ივანე სენჩენკო, ვლადიმერ სოსიურა, პავლო ტიჩინა) [227].

1935 წლიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციის" დირექტორად მუშაობდა (1935—1937) პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე.

1935 წლიდან მწერალთა ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა (1935—1960) გუია ბერულავა.

---

[227] გაზ. „კომუნისტი", 1935, 17. 5; 16. 6; 18. 6; 29. 9; გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1935, №№ 134, 137, 138, 236.

25.2. — ნაცვლად „ლიტერატურული გაზეთისა“, რომლის ბოლო ნომერი გამოვიდა ერთი წლის წინ (1935. 20.2. № 8), გამოსვლას იწყებს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის აკაკი თათარიშვილის რედაქტორობით (1936. 25.2. № 1—1937. № 7).

რამდენიმე დღეს (13.3. — 16.4) გრძელდებოდა დისკუსია თემაზე „ფორმალიზმის წინააღმდეგ ქართულ ლიტერატურაში“. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოხსენებაში „ფორმალისტური წარსულის რეციდივები“ აღინიშნა, რომ ზოგი მწერალი (სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია), მოწინავეთა რიგებში დგომის მიუხედავად, მთლიანად მაინც არაა თავისუფალი ფორმალიზმისაგან; აქა-იქ გაიელვებს დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლის ტრადიციებიც (ვალერიან გაფრინდაშვილთან — „მკვლელობა თეატრის შესახვევში“, „ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ“ და გიორგი ლეონიძესთან); პროლეტარულ მწერლებთანაც გვხვდება ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ეკლექტური აღრევა (კარლო კალაძე), ნატურალისტური გაუბრალოება, სქემატიზმი, ლიტერატურული დაუდევრობა (იოსებ ტატიშვილის რომანი „დები“, სევასტი თალაკვაძის რომანი „ახალი აზვირთება“, იაკინთე ლისაშვილის, პეტრე სამსონიძის, სანდრო ეულის შემოქმედებაში).

დისკუსიაზე მიხეილ ჯავახიშვილმა ილაპარაკა ხალხურობასა და სისადავეზე, ვალერიან გაფრინდაშვილმა — კლასიკურ მწერლობაზე.

დავით დემეტრაძე (მოხსენება „ლიტერატურშჩინის წინააღმდეგ“) ცხოვრების ასახვის ნაცვლად ლიტერატურული ამბებით გატაცებას ხედავდა სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში. დღევანდელობის პრობლემატიკის დამუშავებას მოითხოვდა პროზისაგანაც.

ორჯერ ჩატარდა (28.4 და 27.9.) ახალგაზრდა მწერალთა თათბირი.

15 — 19.7 — საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი. მისი მონაწილეობით თბილისში ფ. ძერჟინსკის სახე-

ლობის კლუბში გაიმართა ლიტერატურული საღამო. ა. ჟიდმა იმოგზაურა კახეთში, იყო გორში, სტალინირში, ბათუმში.

აგვისტოდან ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორია აკაკი თათარიშვილი.

5.9. — საკავშირო ცაკ-ის დადგენილებით სანდრო შანშიაშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

27.9. — გაიმართა ახალგაზრდა მწერლების თათბირი [228], რომელზეც განიხილეს ჟურნ. „ჩვენი თაობის“ რედაქციისა და, საერთოდ, საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობა მწერლობის ახალ თაობასთან. ინფორმაციებით ამ საკითხზე გამოვიდნენ პოეტების სექციის თავმჯდომარე პაოლო იაშვილი, გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ პ/მგებელი მდივანი ნიკოლოზ ჩაჩავა, დრამატურგთა სექციიდან სიმონ თვარაძე, ჟურნალ „ჩვენი თაობიდან“ — მწერალთა კავშირის პ/მგებელი მდივანი, ჟურნალის პ/მგებელი რედაქტორი დავით დემეტრაძე და ჟურნალის პ/მგებელი მდივანი ალექსანდრე აბაშელი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მწერლებმა შალვა ამისულაშვილმა, მიხეილ ფოფხაძემ, იაკობ ჩხაიძემ და სხვ.

ოქტომბერში გაიმართა დისკუსია კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაზე“ [229].

5–7.12. — მოეწყო დისკუსია რაჟდენ გვეტაძის „ლაშაური საღამოების“ გამო.

1936 წლის განმავლობაში გაიმართა ბენედიქტ ლივშიცის (10. 3.), ვლადიმერ მაიაკოვსკის (29.4), ვაჟა-ფშაველას (15.5) შემოქმედების, ბესარიონ ბელინსკის დაბადების 125-ე წლისთავის აღსანიშნავი (26.6.) და ნიკოლოზ ზაბოლოცკის შემოქმედების (5.10. გალაკტიონ ტაბიძისა და ტიციან ტაბიძის ლექსების თარგმანთა კითხვა) საღამოები.

შეიქმნა პოეტების სექცია (პირველი თავმჯდომარე — პაოლო იაშვილი) და პროზაიკოსთა სექცია (პირველი თავმჯდომარე — მიხეილ ჯავახიშვილი).

საქართველოს სახკომსაბჭომ შექმნა ილია ჭავჭავაძის დაბადების მე-100 და გარდაცვალების 30-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისია, მალაქია ტოროშელიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი თათარიშვილი, მწერალთა კავშირის პირველი მდივანი დავით დემეტრაძე, მწერლები იოსებ გრიშაშვილი, პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე, სანდრო შანშიაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი.

---

[228] ჟურნ. „ჩვენი თაობა“, 36. № 3.

[229] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, №№ 17, 18.

1937

საკავშირო მწერალთა კავშირმა შექმნა შოთა რუსთაველის საიუბილეო კომისია, რომელშიც შეეიდნენ პავლე ანტოკოლსკი, ნიკოლოზ ბაჟანი, ვიქტორ გოლცევი, დავით დემეტრაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, ნაირი ზარიანი, აკაკი თათარიშვილი, პაოლო იაშვილი, ვსევოლოდ ივანოვი, გერონტი ქიქოძე, მიხას (მიხეილ) კლიმკოვიჩი, სამედ ვურღუნი, ივანე სენჩენკო, იანკა კუპალა, აბულყასემ ლახუთი, ივანე ლუპოლი, მარჩენკო, დიმიტრი მირსკი, ბორის პასტერნაკი, დ. სიმონიანი, ვლადიმერ სტავსკი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსი ტოლსტოი, პავლო ტიჩინა, კონსტანტინე ფედინი, მიხეილ შოლოხოვი, ალექსანდრე შჩერბაკოვი, ეღიშე ჩარენცი, სიმონ ჩიქოვანი და სხვ.

9.1. — საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთაველის საიუბილეო კომისიამ მოაწყო მიკოლა ბაჟანის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა.

23.1. — მოეწყო საბავშვო მწერალთა შეხვედრა მოზარდმაყურებელთა თეატრის კოლექტივთან.

იანვრიდან ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რამდენიმე ნომერს (№№ 1, 2—3) რედაქტორობს შალვა რადიანი.

13.2 — გაიმართა ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, ხოლო 16-19 მარტს — ამავე თარიღისადმი მიძღვნილი მწერალთა საბჭოს პლენუმი, რომელზეც, მწერალთა კავშირის პირველი მდივნის დავით დემეტრაძის მოხსენების შემდეგ, ქართული მწერლობის ამოცანებზეც იმსჯელეს.

8.3. — იაკინთე ლისაშვილი (ხომერიკი) დაინიშნა „საქლიტფონდის“ დირექტორად (1937—38).

20.3. — მოსკოვში ჩატარდა ტიციან ტაბიძის შემოქმედების საღამო [230].

---

[230] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 20. 3.

მარტში თბილისში გაიხსნა გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“ [231].

აპრილში წიწამურში, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილას, გაიხსნა ობელისკი, ყვარელში კი (30.4.) — ილიას სახელმწიფო მუზეუმი [232].

1937 წლის 14 აპრილს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: შოთა რუსთაველის იუბილეს ორგანიზაცია და მასში მწერალთა საზოგადოებრიობის მონაწილეობა (დავით დემეტრაძე) და ილია ჭავჭავაძის იუბილესთვის მზადება (ბესო ჟღენტი). გამოითქვა აზრი: ეთხოვოს საკავშირო მწერალთა კავშირს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, საიუბილეო პლენუმი ჩაატაროსო. პლენუმმა ორგანიზაციული საკითხიც განიხილა: დაკმაყოფილა აკაკი თათარიშვილის თხოვნა განთავისუფლების შესახებ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მეტად გადატვირთვის გამო. გაუქმდა თავმჯდომარის თანამდებობაც და მწერალთა კავშირში მთავარ ფიგურად იქცა პასუხისმგებელი მდივანი. ამ თანამდებობაზე საბჭომ კვლავ აირჩია დავით დემეტრაძე, აგრეთვე სამდივნოს დაემატა მეხუთე მდივანი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელიც სულ მალე, (1937.8—9.6) პრეზიდიუმმა ისევ გამოიყვანა სამდივნოს შემადგენლობიდან [233].

სამდივნოს სხდომაზე (16.4) ასე განაწილდა ფუნქციები მდივნებს შორის: დავით დემეტრაძე — საერთო ხელმძღვანელობა; ბესო ჟღენტი — მწერალთა კავშირის გამომცემლობა, ბეჭდვითი ორგანოები, სექციები (პროზის, პოეზიის, კრიტიკოსთა, დრამატურგთა, სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის); სანდრო ეული — საქლიტფონდი, განყოფილებები, საბავშვო ლიტერატურის სექცია; ვალერიან გაფრინდაშვილი — მთარგმნელთა სექცია, მასობრივ-ლიტერატურული მუშაობა.

საქართველოს მწერალთა კავშირის პ/მგებელი მდივანი დავით დემეტრაძე რედაქტორობდა ჟურნ. „მნათობის“ 4 ნომერს (1937. №№ 4-7).

20.4. — შალვა რადიანი კვლავ გაზ. „ლიტერატურული საქართველოს (№ 8-დან) რედაქტორია (1937—1943).

---

[231] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 20.3.

[232] გაზ. „კომუნისტი“ 1937, 14.4 და № 100.

[233] 8—1599—1; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 8; 8—1—599—2.

5—11 მაისს ჩატარდა ვრცელი თათბირი[234], რომელზეც მოხსენების („საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მარტის პლენუმის შედეგები და საქართველოს საბჭოთა მწერლების ამოცანები" — აკაკი თათარიშვილი) შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგ ამოცანებზე, შემოქმედებით სექციებზე, რაპპულ კრიტიკაზე, აგრეთვე საქლიტფონდზე იმსჯელეს კონსტანტინე გამსახურდიამ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, პაოლო იაშვილმა, სერგო კლდიაშვილმა, პარმენ ლორიამ, ნიკოლო მიწიშვილმა, შალვა რადიანმა, ტიციან ტაბიძემ, ლეო ქიაჩელმა, დია ჩიანელმა, სამსონ ჭანბამ, მიხეილ ჯავახიშვილმა.

1937 წელს გაიმართა სამი დისკუსია: „ხალხის წარსული ქართულ დრამატურგიაში" (7—9.1.), „ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსი" — ბესო ჟღენტი (5.7.). და მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთის" გამო (8.8.).

29 მაისს თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო და ამით დაიწყო ილიას დღეები. ილია ჭავჭავაძის დღეებში (29.5.—15.6.) 2—4 ივნისს მწერალთა სასახლეში ჩატარდა საიუბილეო პლენუმი[235], რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა დავით დემეტრაძემ. წაკითხული იქნა მოხსენებები შალვა რადიანისა — „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა", გერონტი ქიქოძისა — „ილია ჭავჭავაძის როლი ქართული კულტურის განვითარებაში", სიმონ ჩიქოვანისა — „ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა" და ბესო ჟღენტისა — „ილია ჭავჭავაძე როგორც მხატვრული რეალიზმის ფუძემდებელი".

5 ივნისს მწერალთა სასახლეშივე გაიმართა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო.

14 ივნისიდან თბილისში ჩატარდა აფხაზეთის მწერლობის დეკადა. თბილისს ესტუმრნენ დიმიტრი და გიორგი გულიები, თედორე კანონიდი, ლეონტი ლაბახუა, ნიკოლოზ მიქავა, ანდრო ჟვანია, ბაგრატ შინქუბა, სამსონ ჭანბა.

15 ივნისს მწერალთა კავშირში გაიმართა მათი საღამო.

ამ დეკადასთან დაკავშირებით ქართველმა მწერლებმა მოამზადეს, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა „საბჭოთა აფხაზეთის მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი" ხუხუტი ბღაჟბას წინასიტყვაობით.

22.7 — დაიღუპა პაოლო იაშვილი (1957 წ. მისი ცხედარი

---

[234] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937. № 10, 11, 13.

[235] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937, № 13.

დიდუბის პანთეონში გადაიტანეს). ამ წელს ქართულ მწერლობას უდროოდ მოსწყდნენ ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვები.

30.7. — ქართველ მწერლებს ესტუმრნენ და პრეზიდიუმის სხდომაზე (31.7.) ლიტერატურულ ურთიერთობის შესახებ გამართულ საუბარში მიიღეს მონაწილეობა ჩრდ. ოსეთის მწერლებმა ანდრია ბულუევმა, გრის (გრიგოლ) პლიევმა, ხარიტონ პლიევმა და სხვ.

აგვისტოდან ეურნ. „მნათობის“ რედაქტორია (1937—1946) ალიო მაშაშვილი (მირცხულავა).

აღვნიშნავთ პრეზიდიუმზე განხილულ კიდევ რამდენიმე საკითხს: 17 აგვისტოს პრეზიდიუმმა იმსჯელა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობაზე, 10 სექტემბერს დაადგინა მორიგი ყრილობის მოწვევა 1937 წლის 30 სექტემბრისათვის [236] და შეიმუშავა დღის წესრიგი (ანგარიში — დავით დემეტრაძე, პოეზია — სიმონ ჩიქოვანი, პროზა — ბესო ჟღენტი, დრამატურგია — შალვა დადიანი), ხოლო 26 ნოემბერს შექმნა ახალი საიუბილეო კომისია შოთა რუსთაველისა: სიმონ ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ალიო მაშაშვილი-მირცხულავა, ვასო გორგაძე.

განახლდა აგრეთვე შოთა რუსთაველის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობა. მასში მწერალთაგან შეიდნენ ალექსანდრე აბაშელი, დავით დემეტრაძე, სანდრო ეული, პავლე ინგოროყვა, გალაკტიონ ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი.

9.1. — მწერალთა სასახლეში მოეწყო მიკოლა ბაჟანის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა-განხილვა.

პ/მგ მდივნის პოსტზე დავით დემეტრაძე 1937 წლის სექტემბერში შეცვალა (შეთავსებით) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგემ კანდიდ ჩარკვიანმა (მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა 1937. 26.9).

მალე, 1937 წლის 26 ნოემბერს, პრეზიდიუმმა მდივნობიდან გაათავისუფლა ბესო ჟღენტი და სამდივნოში კანდიდ ჩარკვიანთან ერთად დარჩნენ სანდრო ეული და ვალერიან გაფრინდაშვილი.

ამ დროისათვის მათთან ერთად პრეზიდიუმში შედიოდნენ: გუგული ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ელიზბარ ზედგინიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე [237].

---

[236] როგორც ცნობილია, ყრილობა ამ წელს არ ჩატარდა.

[237] ლბცსა, 8—1—681—2.

12 დეკემბერს სსრკ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქართველ მწერალთაგან აირჩიეს (1937—1946) ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი.

წლის ბოლოს 24—29 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მეხუთე (საიუბილეო) პლენუმი[238], მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის" შექმნის 750-ე წლისთავისადმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ცნობილი მწერლები და მეცნიერები პავლე ანტოკოლსკი, ნიკოლოზ ასეევი, მიკოლა ბაჟანი, დემიან ბედნი, ალექსანდრე ბეზიმენსკი, თედორე გლადკოვი, ვიქტორ გოლცევი, ილია ერენბურგი, ვსევოლოდ ვიშნევსკი, სამედ ვურღუნი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ნაირი ზარიანი, ვერა ინბერი, ავეტიკ ისააკიანი, ანა კარავაევა, იანკა კუპალა, ბორის ლავრენევი, ყასიმ (აბულყასიმ) ლახუთი, ივანე ლე, ლეონიდ ლეონოვი, ნიკოლოზ ლიაშკო. ვლადიმერ ლუგოვსკოი, აკადემიკოსი ივანე ლუპოლი, პერეც მარკიში, აკადემიკოსი ივანე მეშჩანინოვი, სერგეი მიხალკოვი, ა. ნოვიკოვ-პრიბოი, თედორე პანფიოროვი, პეტრე პანჩი, ლეონიდ პერვომაისკი, ნიკოლოზ პოგოდინი, ალექსანდრე ჟაროვი, მამედ რაჰიმი, მაქსიმ რილსკი, სულეიმან რუსტამი, გელამ სარიანი, ლიდია სეიფულინა, ილია სელვინსკი, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, ლეონიდ სობოლევი, ალექსი სურკოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, პავლო ტიჩინა, ნიკოლოზ უშაკოვი, ალექსანდრე ფადეევი, კონსტანტინე ფედინი, იციკ ფეფერი, მარიეტა შაგინიანი, აკადემიკოსი ვლადიმერ შიშმარიოვი, ჯამბულ ჯაბაევი და სხვები.

პლენუმმა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ვლადიმერ სტავსკიმ, გარდა რუსთაველისადმი მიძღვნილი მოხსენებებისა („რუსთაველი და მისი პოემა" — პავლე ინგოროყვა, „პოემა „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" — პეტრე პავლენკო, „რუსთაველი და თანამედროვეობა" — ვალერიან გაფრინდაშვილი, „საქართველოს მატერიალური და ინტელექტუალური კულტურა რუსთაველის ეპოქაში" — ივანე ჯავახიშვილი), მოისმინა საქართველოს მწერალთა კავშირის პ/მგებელი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის მოხსენება „ქართული საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში".

პლენუმის მონაწილეებმა 29 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ინტერნაციონალური ლიტერატურის საღამო გამართეს.

---

[238] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937, № 32, 33, 1938, № 1.

გამოვიდა. კრებული „ქართველი პოეტები შოთა რუსთაველს“ („ფედერაცია“).

რუსთაველის იუბილეს თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო პლენუმიც ეძღვნა[239]. მასში ფართო მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა და მწერლებმა: მოხსენება „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე წაიკითხა კორნელი კეკელიძემ, სიტყვებით გამოვიდნენ არნოლდ ჩიქობავა, მაქსიმ რილსკი, სამედ ვურღუნი, ჯამბულ ჯაბაევი და სხვ.

* * *

1937 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობას სათავეში ჩაუდგა და თხუთმეტი წლის განმავლობაში (1937—1952) ხელმძღვანელობდა რაჟდენ გვეტაძე.

1937 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პ/მგებელი მდივანია (1937—1940) ხარიტონ პლიევი, აფხაზეთისა — პუხუტი ბღაჟბა (1937—1938).

---

239 გაზ. „კომუნისტი“ 1937. 31.12.

1938

იანვრიდან ირაკლი აბაშიძე ინიშნება ჟურნ. „ჩვენი თაობის“ რედაქტორად (1938—1939).

25.1. — მწერალთა სასახლეში მოეწყო შეხვედრა ჩინელ რეოლუციონერ პოეტ ემი სიაოსთან.

25. — 26.1. — ჩატარდა დისკუსია: „1937 წლის ქართული პოეზია“ (მომხსენებელი — გიორგი ნატროშვილი).

თებერვალი — მოეწყო დისკუსია: „1937 წლის ქართული პროზა“ (მომხსენ. — ვანო წულუკიძე).

(აქვე აღვნიშნავთ ამ წელს გამართულ სხვა დისკუსიებსაც: ირაკლი აბაშიძის პოეზიაზე, 25.3. მომხსენ. დიმიტრი ბენაშვილი; იაკინთე ლისაშვილის რომანზე „ძახილი მთაში“, 21.6.; ქართული მხატვრული თარგმანის საკითხებზე, 25.6.).

მწერალთა კავშირი ჯერ კიდევ ეძებდა თავის ორგანიზაციულ — სტრუქტურული აგებულების ოპტიმალურ ვარიანტს, ხელმძღვანელობის სწორ ფორმებს. ამიტომ იყო, რომ თებერვალში ჩატარდა მწერალთა კავშირის ძველი ხელმძღვანელების ნაკლოვანებათა მხილების კამპანია; ხოლო 2 მარტს მწერალთა საერთო კრებაზე გამოითქვა მოსაზრება მრავალსაფეხურიანობის წინააღმდეგ, რომ საჭირო არაა სექციები, რომ ლაბორატორიულ მუშაობას სამდივნო უხელმძღვანელებსო (კანდიდ ჩარკვიანი).

კრებაზე მოითხოვეს მცირერიცხოვანი გამგეობის, ოპერატიული სამდივნოსა და პრეზიდიუმის შექმნა. მრავალრიცხოვანი გამგეობა, პრეზიდიუმი და დიდი აპარატი მწერალთა საყვედურს იწვევდა. მართლაც გამგეობაში იყო მესამედი მწერალთა კავშირის 180 წევრისა (1938 წ.) [240].

აპრილი — მოეწყო ახალგაზრდა მწერლების (ლადო ავალიანი, შალვა ამისულაშვილი, ანდრო თევზაძე, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, ვლადიმერ უბილავა, გრიგოლ ჩიქოვანი, ლავრენტი

[240] სერგო კლდიაშვილის სიტყვა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 5.

ჭიჭინაძე, გაბრიელ ჯაბუშანური) შემოქმედების საღამო (მომხსენებელი — ირაკლი აბაშიძე).

25.5. — ჯამბულ ჯაბაევის საღამო.

29.5. — მწერალთა სასახლეში აღინიშნა რუსული ხალხური ეპოსის „იგორის ლაშქრობის ამბავის" შექმნის 750-ე წლისთავი. საიუბილეო საღამოზე, სერგი დანელიას მოხსენების შემდეგ, სიტყვებითა და თარგმანის კითხვით გამოვიდნენ ვალერიან გაფრინდაშვილი, ვასო გორგაძე, სიმონ ჩიქოვანი და კონსტანტინე ჭიჭინაძე.

საიუბილეოდ ცალკე წიგნებად გამოვიდა ამ ნაწარმოების ორი ქართული თარგმანი, შესრულებული კონსტანტინე ჭიჭინაძისა და სიმონ ჩიქოვანის მიერ.

12.6. — საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევენ ილო მოსაშვილს.

6—12.7. — თბილისში იმყოფებოდა ალექსი ტოლსტოი, იგი შეხვდა ქართველ მწერლებს. 11 ივლისს მწერალთა სასახლეში წაიკითხა მოხსენება ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ.

7.8. — გარდაიცვალა ეკატერინე გაბაშვილი. დაკრძალეს დიდუბეში.

კ. ჩარკვიანის საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად დანიშვნის გამო (1938.31.8) მის ნაცვლად პრეზიდიუმზე (იმავე 31.8.), მისივე წინადადებით, პ/მგ მდივნად აირჩიეს (1938 — 1939) ალიო მაშაშვილი-მირცხულავა, რომელიც ამ თანამდებობაზე იყო საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამდე (1939 წლის სექტემბერი) [241].

1938 წლის 15 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა მთაწმინდას მიაბარა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. საქართველოს მწერალთა კავშირმა, როგორც მთავარმა ჭირისუფალმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ დიდ საქმეში. მწერალთა კომისიის (ალიო მაშაშვილი-მირცხულავა — თავმჯდომარე, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, პროფ. ვლადიმერ ჟღენტი) უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მოხდა დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში პოეტის ნეშტის გადასვენება, რის გამოც შედგა სათანადო აქტი [242].

ხელოვნების სასახლის დაარსებიდანვე (1921) მწერალთა კავშირის საზრუნავთა შორის ერთ-ერთი იყო კლუბისა და ბიბლიოთე-

---

[241] წიგნში — „ეპოქის კვალდაკვალ" (თბ. 1977), ბორის მირცხულავა შეცდომით წერს (გვ. 90): „1936—40 წლებში ალიო მირცხულავა საქ. მწერალთა კავშირის პირველი მდივანია".

[242] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938, 20.10.

კა-სამკითხველოს მოწყობა. ეს ორი დაწესებულება თანდათან ყალიბდებოდა კლუბისთვის სათავსოების გამოთავისუფლებისა და სახსრების გამოყოფის მიხედვით. რამდენიმეჯერ კიდეც ეუწყა საზოგადოებას კლუბის გახსნა. ბოლოს, 1938 წლის მიწურულს, მან მიიღო თითქმის დღევანდელი სახე — კლუბისთვის განთავისუფლდა სასახლის მთელი ქვედა სართული და 7 დეკემბერს სამდივნომ დაადგინა მწერალთა კლუბის გახსნა. კლუბის საზეიმო გახსნაში 21 დეკემბერს მონაწილეობა მიიღეს კონსტანტინე გამსახურდიამ, ალექსი. გომიაშვილმა, შალვა დადიანმა, ალიო მირცხულავამ, ილო მოსაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, მსახიობებმა და მომღერლებმა დავით ანდღულაძემ, აკაკი ვასაძემ, სერგო ზაქარიაძემ, სანდრო ინაშვილმა, აკაკი კვანტალიანმა, მერი ნაკაშიძემ, თამარ ჭავჭავაძემ, შალვა ჯაფარიძემ.

მოეწყო მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა.

10.12. — მწერალთა სასახლეში გამართულ მ. ფ. ახუნდოვის ხსოვნის საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი და დემნა შენგელაია. ამ წელს გაიმართა აგრეთვე ნიკოლოზ ნეკრასოვის (19.1.), ოვანეს თუმანიანის (30.3.), მაქსიმ გორკის (26.6.), აკოფ აკოფიანის (22.11.) ხსოვნის საღამოები.

23.12.—გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო.

1938 წელს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული „საუდი" გადაკეთდა საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს ფილიალად.

1938 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პ/მგებელი მდივანია (1938—1944) დიმიტრი კვირკველია, აფხაზეთის მწერალთა კავშირისა ლევარსან კვიწინია (1938. 6.10. — 1940).

1 0 3 0

წლის დასაწყისში (28.1.) სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე ალიო მაშაშვილი-მირცხულავა შეიყვანეს ამ პრეზიდიუმში.

31.1. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ჩვენი ქვეყნის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ქართველი მწერლები: შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ირაკლი აბაშიძე, სერგო კლდიაშვილი, ალიო მაშაშვილი-მირცხულავა, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. 17 თებერვალს მოსკოვში მიხეილ კალინინმა მათ მთავრობის ჯილდოები გადასცა, ხოლო 21 თებერვალს მოსკოვის მწერალთა კლუბში გაიმართა მათი საღამო [243].

31.1. ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა შალვა დადიანის მოღვაწეობის 45-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

7.3 — ტარას შევჩენკოს დაბადების 125-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში.

აპრილი — გაიმართა ოვანეს თუმანიანის დაბადების 70-ე წლისთავის აღსანიშნავი (7.4.) და ვლადიმერ მაიაკოვსკის ხსოვნის (14.4.)საღამო; თბილისში ჩამოვიდნენ (21.4) რუსი მწერლები ვერა ინბერი, ევგენი პეტროვი, ილია სელვინსკი. მოეწყო მათი შეხვედრა ქართველ კოლეგებთან (22.4.).

20.4. — გაიმართა მირზა გელოვანის შემოქმედების საღამო.

მწერალთა კავშირის წევრებად მიიღეს იმედის მომცემი ახალგაზრდობა: ლადო ბალიაური, გივი გაჩეჩილაძე, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, გაბრიელ ჯაბუშანური.

25.5. — მოეწყო შოლომ ალეიხემის დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

19.6. — გაიმართა მაქსიმ გორკის ხსოვნის საღამო.

---

[243] ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1939, №№ 5, 7.

აგვისტოში აღინიშნა სომხური ეპოსის „დავით სასუნელის“ მე-1000 წლისთავი.

1939 წლის 25—29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა[244]. ყრილობამ, რომელიც საღამოს 9 საათზე გახსნა მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ალიო მაშაშვილმა (მირცხულავა), მოისმინა მოხსენებები: ალიო მაშაშვილი-მირცხულავასი კავშირის მუშაობის შესახებ, შალვა დადიანისა — სტალინის სახე ქართულ ლიტერატურაში, სიმონ ჩიქოვანისა — ქართული კრიტიკა, ილო მოსაშვილისა — ლიტფონდის მუშაობის შესახებ.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ ზოგიერთებმა კომუნისტური პარტიის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება გაიგეს როგორც პროლეტარული მწერლობის ლიკვიდაცია და საანგარიშო პერიოდში მწერალთა კავშირს უხდებოდა ბრძოლა ასეთი შემოტევების წინააღმდეგ. ეს იყო წლები ბრძოლისა რეალისტური პრინციპების დაცვისათვის, ფორმალისტური ტრადიციების წინააღმდეგ.

აღინიშნა, რომ 1932—1939 წლებში შეიქმნა მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა სინამდვილის ყველა მთავარმა მოვლენამ.

ამ წლებში ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ პოეტები გალაკტიონ ტაბიძე („იდეა“, „მთვარის ნაამბობიდან“, „სამშობლოს“), ალიო მაშაშვილი („ჰიმნი სამშობლოს“), სიმონ ჩიქოვანი („უშგულის კომკავშირი“, „სამეგრელოს საღამოები“), იოსებ გრიშაშვილი („სამშობლოსადმი“, „ნარინჯიანო“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“), გიორგი ლეონიძე („სამშობლოსადმი“, „ვუმღერ სამშობლოს“).

ქართული პოეზია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პატრიოტიზმს, სამშობლოს დაცვას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას. ამ თემებზე არაერთი მშვენიერი ლექსი შეიქმნა.

ყრილობაზე ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში (1932—1939) რადიკალური ცვლილებები მოხდა სოფლის ცხოვრებაში და ქართული მწერლობაც ცდილობდა აესახა სოფელში სოციალისტური მეურნეობის გამარჯვებისათვის ბრძოლა, საკოლმეურნეო ცხოვრების წინსვლა. მრავალ ლექსს გარდა ამ თემას ეძღვნა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა პოემები: კარლო კალაძის „უჩარდიონი“, გიორგი ლეონიძის „ფორთოხალა“; რომანები: ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „იმერეთი“, ელიზბარ

---

[244] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939, №№ 28, 29, 30.

ზედგინიძის „იღვიძებენ მთები“, იაკინთე ლისაშვილის „ძახილი მთაში“ (და მოთხრობა „კერპი“), რაჟდენ გვეტაძის „ლაშაური საღამოები“; კომედიები: პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, იონა ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, გერცელ ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“.

კოლხეთის ჭაობის ამოშრობას ეძღვნა პოემები: გიორგი ლეონიძის „ფორთოხალა“ სანდრო ეულის „ჭალადიდი“, ლადო ასათიანის „კოლხიდა“, პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანი „ახალი ხმელეთი“, სერგო კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“.

აღინიშნა ქალაქის ცხოვრების ასახვის შედარებით ჩაბორჩენა (ბორის ჩხეიძის „ფერო“, იაკინთე ლისაშვილის „ვარდნილი“). საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ფონზე ვითარდებოდა მოქმედება ალიო მაშაშვილის პოემა „ენგურში“.

ინტელიგენციის დამოკიდებულება სოციალიზმთან აისახა ვიქტორ გაბესკირიას („მათი ამბავი“), იონა ვაკელის („შური“), სიმონ მთვარაძის („მთაგრეხილზე“) პიესებში. ინტელიგენციის თემას ეძღვნა მოთხრობები „აბესალომ და ეთერი“. ალექსანდრე ქუთათელისა და „ახალგაზრდები“ აკაკი ბელიაშვილისა.

1935 წლის სამთვიანი მივლინების შედეგად მოძმე ბელორუსი ხალხის ცხოვრება აისახა რაჟდენ გვეტაძის „ბელორუსულ ნოველებსა“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ბელორუსულ მოთხრობებში“, უკრაინელი ხალხისა — კონსტანტინე გამსახურდიას ნარკვევების წიგნში „უკრაინის თემიდი“, როდიონ ქორქიას „შჩორსში“.

აღინიშნა, რომ საკმაოდ კარგად აისახა რევოლუციური წარსული და სამოქალაქო ომი, საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების მძაფრი ძვრები და ბრძოლები. ამ თემას ეძღვნა ირაკლი აბაშიძის ვრცელი ლექსი „წულუკიძის სიკვდილი“, პოემები: გიორგი ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“, გრიგოლ აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“, ვანიონ დარასელის „კიკვიძე“, კალე ბობოხიძის „ორჯონიკიძე“, ალექსანდრე საჯაიას „უტუ მიქავა“, მირზა გელოვანის „შავნაბადა“. მოთხრობები და რომანები: ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, (1—33, II—38), ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, პანტელეიმონ ჩხიკვაძის „ნაბიჯები“, პიესები: შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“, გიორგი ნახუცრიშვილის „ლადო კეცხოველი“, გერცელ ბააზოვის „იცკა რიჟინაშვილი“).

რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლა აისახა გიორგი მდივნის პიესა „ალკაზარში“, აგრეთვე ლევან მეტრეველის მოთხრობა — „ცხრათვალა მზეში“.

ისტორიულ თემაზე შეიქმნა მოთხრობები და რომანები: კონს-

ტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, შალვა დადიანის „ურდუმი“ და „დღესა ერთსა“, დემნა შენგელაიას „შემოქმედი“ და „ბაშკადიკლარ“, პანტელეიმონ ჩხიკვაძის „მურზაყან დადეშქელიანი“ და „ნაბიჯები“, ანა ხახუტაშვილის „იოსებ ლაღიაშვილი“, სიმონ ქვარიანის „დიდი მოურავი“; პიესები: იონა ვაკელის „შამილი“, სანდრო შანშიაშვილის „არსენა“.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული ნაწარმოები „გოეთეს ცხოვრების რომანი“ და „ხოგაის მინდია“, სერგო კლდიაშვილის „სვანური მოთხრობები“, პარმენ ლორიას „ჩაი“, საფო მგელაძის „ქარიშხლის ფრთებზე“, პიესები: გიორგი ნახუცრიშვილისა — „კომბლე“ და „ნაცარქექია“, გიორგი მდივნისა — „სამშობლო“.

გამოვიდა დავით კლდიაშვილის „მემუარები“, იაკობ მანსვეტაშვილისა და სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებანი“.

საანგარიშო პერიოდში ქართულ ენაზე ითარგმნა მსოფლიო მწერლობის ბევრი საუკეთესო ნიმუში..

ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალების მე-100 წლისთავისათვის შალვა დადიანმა თარგმნა „კაპიტნის ქალიშვილი“ (1936), გრიგოლ ცეცხლაძემ — „ევგენი ონეგინი“.

ამას გარდა რუსული მწერლობიდან თარგმნეს: სიმონ ჩიქოვანმა და კონსტანტინე ჭიჭინაძემ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ (1938), შალვა დადიანმა — მიხეილ ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“ (1936), არისტო ჭუმბაძემ — ლევ ტოლსტოის „ბავშვობა, ყრმობა და ჭაბუკობა“ (1935), ლეო ქიაჩელმა — მაქსიმ გორკის „არტამონოვების საქმე“ (1932), არისტო ჭუმბაძემ — მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ (1935), ივანე მაჭავარიანმა — ალექსი ტოლსტოის „პეტრე პირველი“ (1935), ქეთევან ირემაძემ — იური ტინიანოვის „კუხლია“ (1937).

იასამანის (მიხეილ კინწურაშვილი) თარგმანებმა შეადგინეს ტარას შევჩენკოს ნაწარმოებთა კრებული „კობზარი“, ხოლო კოლაუ ნადირაძემ თარგმნა „გაიდამაკები“, დავით კასრაძის თარგმანებმა შეადგინეს კრებული „ოსური მწერლობა“ წ. I (1934); ითარგმნა „დავით სასუნცი“.

დასავლეთ ევროპის მწერლობიდან გერონტი ქიქოძემ თარგმნა სტენდალის „წითელი და შავი“, ივანე მაჭავარიანმა — ვიქტორ ჰიუგოს „93“ (1936), არისტო ჭუმბაძემ — გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“ (1937), იროდიონ ქავჟარაძემ — ფრანსუა შატობრიანის „რენე“ და „უკანასკნელი აბენსერაჟი“ (1939), კონსტანტინე ჭიჭინაძემ — „თქმულება ნიბელუნგებზე“, ბაირონის „მანფრედი“, სოლომონ თავაძემ — ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“ (1934).

„ფედერაციამ“ გამოსცა წიგნი „უცხოეთის რევოლუციური პოეტები“ (1935).

საანგარიშო პერიოდში მწერლობის ახალი ძალების გამოვლინების ხელშესაწყობად გამოსვლას იწყებს (1934) მწერალთა კავშირის ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი გაგრძელება „ჩვენი თაობა“ (1935—1941). სწორედ „ჩვენმა თაობამ“ შეუწყო ხელი მწერალთა იმ ახალი თაობის გამოჩენას, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო მეორე ყრილობაზე. ამ თაობაში შედიოდნენ: გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, შალვა ამისულაშვილი, ლადო ასათიანი, ლადო ბალიაური, მარიკა ბარათაშვილი, ვახტანგ ბეწუკელი, მირზა გელოვანი, ანდრო თევზაძე, გრიგოლ იმედაძე, შალვა იოსელიანი, სევერიან ისიანი, გიორგი კალანდაძე, რევაზ მარგიანი, მაყვალა მრევლიშვილი, გიორგი ნაფეტვარიძე, იოსებ ნონეშვილი, დავით პატატიშვილი, სანდრო ყღენტი, ალექსანდრე საჯაია, ლადო სულაბერიძე, გიორგი ქავთარაძე, ელიზბარ და ვლადიმერ უბილავა, ალეკო შენგელია, გრიგოლ ჩიქოვანი, იაკობ ჩხაიძე, ოთარ ჩხეიძე, გიორგი ძიგვაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, კოტე ხიმშიაშვილი, გაბრიელ ჯაბუშანური და სხვები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის პ/მგებელი მდივანი ალექსანდრე ფადეევი. ყრილობას ესწრებოდნენ, აგრეთვე, პავლე ანტოკოლსკი, სერგეი მიხალკოვი, ოლგა ფორში, სომხეთის მწერალთა კავშირის პ/მგებელი მდივანი რაჩია გრიგორიანი და სხვ.

ყრილობამ აირჩია გამგეობა 27 კაცის შემადგენლობით: ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, დიმიტრი ბენაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსი გომიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, სანდრო ეული, პავლე ინგოროყვა, ლევარსან კვიწინია, სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პარმენ ლორია, მარიჯანი, ილო მოსაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ხარიტონ პლიევი, ბესო ყღენტი, შალვა რადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი და სარევიზიო კომისია — შალვა აფხაიძე, ვასო გორგაძე, იონა ვაკელი, იაკინთე ლისაშვილი, დავით სულიაშვილი.

გამგეობამ თავის პირველ სხდომაზე 29 სექტემბერს შექმნა პრეზიდიუმი: ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, ლევარსან კვიწინია, ილო მოსაშვილი, ხარიტონ პლიევი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი.

გამგეობის პ/მგებელ მდივნად არჩეულ იქნა ირაკლი აბაშიძე.

პრეზიდიუმში ფუნქციები ასე განაწილდა:

ირაკლი აბაშიძე — ყოველდღიური კავშირი გამომცემლობებთან და ჟურნალ-გაზეთებთან;

შალვა დადიანი — კავშირი მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირებთან, დრამსექცია;

სანდრო ეული — სამხედრო-თავდაცვითი და ნაციონალურ უმცირესობათა სექციები, მწერალთა კავშირის განყოფილებები;

ილო მოსაშვილი — ახალგაზრდა კადრები, საქლიტფონდი;

შალვა რადიანი — კრიტიკის სექცია;

ლეო ქიაჩელი — პროზის სექცია;

სიმონ ჩიქოვანი — პოეტების სექცია, მთარგმნელი სექცია.

გადაწყდა პრეზიდიუმის სხდომების გამართვა დეკადაში ერთჯერ, გამგეობის სხდომებისა — 2 თვეში ერთჯერ.

პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე (9.X.) ხაზი გაესვა პრეზიდიუმის წევრთა კოლეგიალური მუშაობის აუცილებლობას, ძველი ჯგუფობრიობის რეციდივების არდაშვებას.

პრეზიდიუმი შეუდგა მუშაობას.

* * *

ირაკლი აბაშიძის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად არჩევის შემდეგ ჟურნ. „ჩვენი თაობის“ რედაქტორობის მოვალეობას № 9-დან დიმიტრი ბენაშვილი ასრულებდა (1940 წლის იანვრიდან იგი პასუხისმგებელი რედაქტორია).

წლის ბოლოს მოეწყო მ. ლერმონტოვის დაბადების 125-ე (15. 10), კოსტა ხეთაგუროვის დაბადების მე-80 (29.11. რუსთაველის თეატრში) წლისთავის აღსანიშნავი და ვასილ ბარნოვის ხსოვნის (10.12.) საღამოები.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს ირაკლი აბაშიძე, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია.

1940

30.1. — საქართველოს შავიზღვისპირეთის გასაცნობად სოხუმს ეწვივნენ შალვა დადიანი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსი გომიაშვილი, სანდრო ეული, ელიზბარ ზედგინიძე, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი, ლეო ქიაჩელი.

7—8.2. — გაიმართა ახლად არჩეული საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მეორე პლენუმი[245], რომელმაც იმსჯელა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავისათვის მზადებასა (ამავე საკითხს ეძღვნა, ცოტა მოგვიანებით, 4 ივლისს გამართული მწერალთა აქტივის კრება) და თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებაზე (ივანე შაიშმელაშვილი).

თებერვლის პლენუმზე ერთ-ერთ საკითხად იდგა ახალგაზრდა მწერლების კონფერენციის მოწვევა. ასეთი თათბირი თებერვალშივე გაიმართა (15.2.). ამ წელს მეორე ასეთი თათბირიც მოეწყო (7.10) ახალგაზრდა მწერალთა ამ თათბირ-სემინარებში მონაწილეობა მიიღეს შალვა ამისულაშვილმა და იოსებ ნონეშვილმა, თბილისიდან, ალექსანდრე ბეგაშვილმა (სიღნაღი), რ. გასიევმა (ცხინვალი), გრიგოლ იმედაძემ და მიხეილ კაკიტელაშვილმა (ქუთაისი), შალვა შუბლაძემ (ბათუმი).

11.2. — გაიმართა სანდრო ეულის სამწერლო მოღვაწეობის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

14.2. — აფხაზეთის მწერალთა კრებაზე გიორგი გულია აირჩიეს ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივნად (1940—1945).

მწერალთა კავშირის წევრებად მიიღეს ახალგაზრდა შემოქმედთა კიდევ ერთი გუნდი: ლადო ავალიანი, შალვა იოსელიანი, რევაზ მარგიანი, ვლადიმერ უბილავა, ივანე შაიშმელაშვილი და ალეკო შენგელია.

31.3. — გაიმართა ნიზამის დაბადების მე-800 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

13.4. — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სოფ. ბაღდადს დაერქვა მაიაკოვსკი, ხოლო ბაღდადის რაიონს — მაიაკოვსკის რაიონი.

---

[245] ჯ.ბ. „ლიტერატურული საქართველო", 1940, № 6.

22.6. — მწერალთა სასახლეში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, მეორე დღეს კი ამ თარიღს ეძღვნა საზეიმო პლენუმი[246], რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოძმე ხალხთა მწერლები, კერძოდ, რუსეთიდან: ვიქტორ გოლცევი, ვალერი კირპოტინი, კონსტანტინე ლიფსკეროვი, ვიქტორ პერცოვი, სერგეი სპასკი, მარკ ტარლოვსკი, აგრეთვე აკადემიკოსი ივანე ლუპოლი; აზერბაიჯანიდან: მირვარიდ დილბაზი, მიქაელ რაფილი, ჯაბარ ჯაბარლი; სომხეთიდან: სარქის ბაიანური, გურგენ ბორიანი, რაჩია გრიგორიანი, დერენიკ დემირჭიანი, ნაირი ზარიანი, რიფსიმე პოღოსიანი, უზბეკეთიდან: გაფურ გულიამი და ოსები: თათარი ეფხიევი, ხარიტონ ფლიევი, რეზო ჩოჩიევი.

პლენუმმა მოისმინა მოხსენებები: 1. აკაკის მსოფლმხედველობა (შალვა რადიანი); 2. აკაკი და ქართული საბჭოთა ლიტერატურა (ალიო მაშაშვილი), 3. აკაკის პოეზია (პავლე ინგოროყვა), 4. აკაკი როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი (ლევან ასათიანი).

24 ივნისს სტუმრები საჩხერეში გაემგზავრნენ. მეორე დღეს სხვიტორში გაიხსნა აკაკი წერეთლის სახლმუზეუმი.

17.8. — მწერალთა კავშირის წევრებად მიიღეს სურენ ავჩიანი, ლადო ასათიანი, მარიკა ბარათაშვილი, მამია ვარშანიძე, ილია ზურაბიშვილი, ოვანეს კარაიანი (კარაპეტიანი), გიორგი ნახუცრიშვილი, იროდიონ ქავჟარაძე, გიორგი ცაგარელი, კოტე ხიმშიაშვილი.

28.8. — მაიაკოვსკში გაიხსნა მწერლის სახლ-ჰუზეუმი.

სექტემბერში თბილისში მოეწყო სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ჩვენება. მწერალთა კავშირში გაიმართა ოსი მწერლების შემოქმედების საღამო (5.9)

სექტემბრის დასაწყისში ყალმუხური ხალხური ეპოსის „ჯანგარის" შექმნის მე-500 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ქ. ელისტაში გაემგზავრნენ სანდრო ეული და ეპოსის ორი მთარგმნელთაგანი კარლო კალაძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე („ჯანგარი" საიუბილეო წელს გამოსცა „ფედერაციამ").

19.20 სექტემბერს გამართულ დისკუსიაზე განხილულ იქნა თბილისის კინოსტუდიის დადგმები: „დაგვიანებული სასიძო" და „სამშობლო."

27.10. — დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს იაკობ გოგებაშვილის ნეშტი. მეორე დღეს გაიმართა დიდი პედაგოგისა და მწერლის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომა (რუსთაველის თეატრში).

---

[246] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1940, № 18.

30.10. — 2.11 — მწერალთა აქტივის კრებამ იმსჯელა ქართველ მწერალთა მუშაობასა და მათ ამოცანებზე.

1.11. — საქართველოს მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში უკრაინას გაემგზავრნენ კონსტანტინე ლორთქიფანიძე და გიორგი ლეონიძე.

15.12. — ქუთაისში გაიხსნა აკაკი წერეთლის ძეგლი.

დეკემბერში გაიმართა ახალგაზრდა დრამატურგთა თათბირი.

1940 წელს გაიმართა ვალერიან გაფრინდაშვილის (8.5), კონსტანტინე ჭიჭინაძის (25.5.), რევაზ მარგიანის (29.6.) და შალვა ამისულაშვილის (4.7). შემოქმედების საღამოები, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 25-ე (9.8.) და იაკობ გოგებაშვილის დაბადების მე-100 (26.10.) წლისთავების აღსანიშნავი საღამოები.

ამ წელს გამომცემლობა „ფედერაცია" გადავიდა ახალ ბინაზე — (პლეხანოვის პროსპექტი, 181) [247]. საქართველოს მწერალთა კავშირის ს/ოსეთის განყოფილების პ/მგებელ მდივნად (1940 — 1946) ინიშნება მუხტარ შავლოხოვი.

---

[247] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1940, № 32.

1 9 4 1

წლის დასაწყისში, 6 იანვარს, პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ის დადგენილება ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის თაობაზე.

31.1. — გარდაიცვალა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი (დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად, მწერალთა კავშირმა თავის გამომცემლობა „ფედერაციაში" გამოსცა კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს". აქვე გამოვიდა აგრეთვე საიუბილეო კრებული „აფხაზური პოეზია".

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 15 მარტის დადგენილებით სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ ლეო ქიაჩელს რომანისათვის — „გვადი ბიგვა" და გიორგი ლეონიძეს პოემისათვის — „ბავშვობა და ყრმობა".

ივნისში საქართველოში იყო ამერიკელი მწერალი ერსკინ. კოლდუელი. იგი შეხვდა ქართველ მწერლებს (20.6.), იმოგზაურა კახეთსა და აფხაზეთში.

გრძელდებოდა კითხვა-განხილვები, დისკუსიები და ლიტერატურული საღამოების თუ იუბილეების გამართვა, კერძოდ, აპრილში გაიმართა დისკუსია იაკინთე ლისაშვილის რომანის „ლადო კეცხოველის" ირგვლივ, ჩატარდა ვიქტორ გაბესკირიას (27.1.) ლადო ასათიანის (31.1), ილია სიხარულიძის (14.6.) შემოქმედების საღამოები, ავეტიკ ისაკიანის დაბადების 65-ე წლისთავის (10.2.), ვალერიან გაფრინდაშვილისა (18.3.) და ივანე ფრანკოს (30.5.) ხსოვნის საღამოები.

წინ კიდევ მრავალი შემოქმედებითი ღონისძიება იყო, მაგრამ საბჭოთა ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის, მწერლებისა და მწერალთა კავშირის ეს მშვიდობიანი საქმიანობა დაარღვია ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე.

• •

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იმთავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა ე. წ. თავდაცვითი ლიტერატურის შექმნას. ამ თემაზე დაიწერა მრავალი ლექსი და მოთხრობა, გამოვიდა კრებულები.

1930 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა შექმნა სამხედრო კომისია, რომელშიც შევიდნენ გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი და კალე ბობოხიძე (კომისიის პ/მგ. მდივანი), აგრეთვე არმიის წარმომადგენლები;

1931 წლის იანვარში წითელი არმიის ნაწილებში სამუშაოდ შეიქმნა მწერალთა ბრიგადა, რომელშიც შევიდნენ ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი-მირცხულავა და სხვები.

უნდა აღინიშნოს ფაშისტების მიერ გერმანიაში ხელისუფლების აღების წელს (1933) დაწერილი პოემა ალექსი გომიაშვილისა „ისევ ეძახიან გერმანიას“.

როგორც უკვე ვთქვით, 1933 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმაც შექმნა სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისია. მწერალთა კავშირის გამგეობა და პრეზიდიუმი ამ კომისიის საშუალებით მრავალ ღონისძიებას ატარებდა, რათა პატრიოტულ თემაზე შექმნილიყო მხატვრული ნაწარმოებები, მწერლები გაცნობიდნენ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს და აესახათ მათი ცხოვრება.

1933 წლის 17—18 ივლისს გაიმართა მწერალთა კავშირის სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის თათბირი; გამოვიდა „თავდაცვითი მხატვრულ-ლიტერატურული კრებული“ („ფედერაცია“).

1934 წლის 3 აპრილს პრეზიდიუმმა განიხილა სამხედრო-თავდაცვითი კომისიის მუშაობა.

1937 წლის 22 ივლისს სამხედრო—თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის თათბირი გაიმართა „სახელგამში“ — კრებულის გამოცემის თაობაზე.

ქართველი მწერლები მხატვრული ნაწარმოებებით გამოეხმაურნენ ესპანელი რესპუბლიკელების ბრძოლას გენერალ ფრანკოსა და ჰიტლერის გაერთიანებულ ფაშისტურ ძალებთან.

1938 წელი — 19 თებერვალს მწერალთა საერთო კრებამ მოისმინა სამხედრო კომისიის მაშინდელი ხელმძღვანელის ალექსი გომიაშვილის მოხსენება სამხედრო—პატრიოტულ თემაზე ნაწარმოებთა შექმნის საჭიროებისათვის და იმსჯელა ამ საკითხზე; 4 აგვის-

ტოს გაიმართა მწერალთა მიტინგი იაპონელ იმპერიალისტთა მიერ ჩვენი ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის საზღვრებზე თავდასხმის გამო; 28 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში, ინტელიგენციის კრებაზე, რომელიც გაიმართა გერმანიის ფაშიზმის მიერ ებრაელთა რბევის დასაგმობად, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელებთან ერთად (დიმიტრი არაყიშვილი, ლადო გუდიაშვილი, გრიგოლ კილაძე, იაკობ ნიკოლაძე) გამოვიდნენ მწერლები კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, ალიო მაშაშვილი-მირცხულავა და სიმონ ჩიქოვანი.

წლის ბოლოს დაიწერა ალექსანდრე აბაშელის ვრცელი ლექსი „გერმანიაში", რომელშიც ასახულია ფაშისტურ ქვეყანაში გამეფებული საშინელებანი.

„სახელგამში" გამოდის კრებული „სამშობლო".

1939 წლის 16 ივლისს გაიმართა სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის მორიგი თათბირი;

1-ლ აგვისტოს მწერალთა სასახლეში ჩატარდა იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო და ანტიფაშისტური საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საღამო.

სამხედრო-თავდაცვით ლიტერატურაზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობამ (1939, სექტემბერი).

კვლავ გამოიცა ქართველ მწერალთა კრებული „სამშობლო".

1940 წელი — გალაკტიონ ტაბიძემ დაბეჭდა ცნობილი პატრიოტული ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ" და გამოთქვა რწმენა, რომ ხალხი დაიცავდა საყვარელ სამშობლოს. ეს იყო რწმენა საბჭოთა ხალხისა, რომელსაც მალე მოედებოდა უკვე გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომის ცეცხლის ალი.

ისევ გამოდის სამხედრო-პატრიოტული მხატვრული კრებული „სამშობლო".

თებერვალში მწერალთათვის ჩატარდა ლექცია „პრესა და ჟურნალისტი ომში"; თებერვალშივე გამგეობის მეორე პლენუმმა ერთ-ერთ საკითხად განიხილა თავდაცვითი მუშაობის გაცხოველების ღონისძიებანი, რის შესახებაც მოხსენებით გამოვიდა პროფესიული ჯარისკაცი და მწერალი, მწერალთა კავშირის სამხედრო-თავდაცვითი კომისიის ხელმძღვანელი ივანე შაიშმელაშვილი; მწერალთა კავშირის პარტიულმა კომიტეტმა საერთო კრებაზე ორჯერ მოისმინა სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის მუშაობის საკითხი.

სამხედრო-თავდაცვითი კომისია ცდილობდა მოემზადებინა მწერლები საველე გაზეთების რედაქციებში მუშაობისათვის სამ-

ხედრო კორესპონდენტებად და ჟურნალისტებად. ეს მოითხოვდა, მწერალს ცოდნოდა არმიის ცხოვრება, იარაღის ხმარება. ამისათვის ჩამოყალიბდა მწერალთა სამხედრო მომზადების კურსები, სადაც მეცადინეობდნენ ირაკლი აბაშიძე, კალე ბობოხიძე, სანდრო ეული, სოლომონ თავაძე, გიორგი კაპახიძე, იოსებ მჭედლიშვილი, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, ერემია ქარელიშვილი, ალექსანდრე შანიძე, ნიკოლოზ ჩაჩავა, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ წვერავა, ვანო წულუკიძე, ილია ხოშტარია.

სხვადასხვა წლებში სამხედრო კომისიაში აქტიურად მუშაობდნენ მის ხელმძღვანელად მყოფი კალე ბობოხიძე, ალექსი გომიაშვილი, ივანე შაიშმელაშვილი და სიმონ წვერავა, აგრეთვე ამ კომისიის წევრები სოლომონ თავაძე, როდიონ ქორქია, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე საქართველოს მწერალთა კავშირმა მთელი თავისი მუშაობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დაუმორჩილა.

23 ივნისს მწერალთა კლუბში გაიმართა მწერალთა მიტინგი [248], რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს ირაკლი აბაშიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, აკაკი გაწერელიამ, ალექსი გომიაშვილმა, შალვა დადიანმა, სანდრო ეულმა, გიორგი ლეონიძემ, ბესო ჟღენტმა, შალვა რადიანმა, სანდრო შანშიაშვილმა, დემნა შენგელაიამ და სიმონ წვერავამ. მათი გამოსვლების საერთო აზრი ასე გამოიხატა მიღებულ რეზოლუციაში: მთელ ჩვენ ძალებს მივმართავთ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად, ჩვენი შემოქმედების მთავარი საგანი სასტიკი მტრის დამარცხება იქნება. ჩვენ, სიტყვის ოსტატები, მზად ვართ პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე კალამი იარაღით შევცვალოთ და დავიცვათ ჩვენი დიადი სამშობლო.

მიტინგზე კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა: „ქართველი ხალხი, რომელიც დიდ ისტორიულ ბრძოლებში მუდამ დიდი რუსი ხალხის ერთგული მოკავშირე იყო, მით უფრო ახლა გააასკეცებს ბრძოლის უნარს იმისთვის, რომ ჩვენი სამშობლო გამარჯვებული გამოვიდეს“, შალვა დადიანმა კი მწერლებს მოუწოდა: „დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ჩვენი სიტყვა უნდა რაზმავდეს მასებს თავდადებული შრომისა და ბრძოლისათვის“.

ჩვენი მწერლების ეს მისწრაფება კარგად გამოიხატა ალექსანდრე აბაშელის ამ სიტყვებში: „კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა! — გადაივიწყე სხვა ყველაფერი“.

---

[248] გაზ. „კომუნისტი, 1941, № 147; „გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, № 26.

და მართლაც, ომის დაწყების პირველივე დღიდან ქართველი მწერლები ქმნიდნენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დაპრაზშავ, გამამხნევებელ, ამაღელვებელ ნაწარმოებებს. ცხადია, როგორც უფრო მობილური, ომს პირველად პოეზია გამოეხმაურა.

ომის დაწყების მეორე დღესვე დაიწერა იმავე ალექსანდრე აბაშელის ლექსი „ცამ დაიქუხა გუშინ" („მნათობი", № 6), 25 ივნისს გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა გიორგი ქუჩიშვილის ლექსი „პოეტი — ჯარისკაცი". ივნისშივე გაისმა გიორგი ლეონიძის მოწოდება „აიმართენით, ვაჟკაცნო!", ხოლო ივლისში — მისივე „სამშობლოსათვის" (6 ივლისს უკვე „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაიბეჭდა ვერა ზვიაგინცევას მიერ თარგმნილი), ალიო მაშაშვილის „შხამად შეერგოს დედის რძე", და „სიმღერა გამარჯვებისა" („მნათობი" № 6; 13 ივლისს იმავე „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაიბეჭდა ვლადიმერ დერჟავინის მიერ თარგმნილი), აგვისტოში — სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება!" და ჭაბუკი პოეტის ხუტა ბერულავას „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!" (გაზ. „კომუნისტი", 1941, 24.8. № 200), რომელიც მალე სიმღერად გახმაურდა.

ივლისსა და აგვისტოში „ლიტერატურულ საქართველოში" გამოჩნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სოლომონ თავაძის სამხედრო ნარკვევები.

ომის დაწყების მეორე დღეს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა იმსჯელა მწერლებისა და მათი ორგანიზაციის მუშაობის ომის შესაფერისად გარდაქმნის თაობაზე და გამოთქვა ერთსულოვანი რწმენა — ქართველი მწერლები ყველაფერს გააკეთებენ მტრის გასანადგურებლადო.

4 ივლისს მწერალთა კავშირში გამართულ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვასო გორგაძე, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, ვანო წულუკიძე და სხვები. მწერლებმა განაცხადეს, რომ სამოქმედო პროგრამად გაიხდიან თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის 3 ივლისის გამოსვლას რადიოთი.

ივლისში მწერალთა კავშირმა ჩამოაყალიბა სააგიტაციო-საპროპაგანდო ბიურო, რომელშიც შეიყვანენ: სიმონ ჩიქოვანი, (თავმჯდომარე, ევალებოდა [219], კავშირი პრესასთან), შალვა დადიანი (კავშირი თეატრთან და ესტრადასთან), ილო მოსაშვილი (კინოსთან და რადიოსთან), სანდრო ეული და სიმონ წვერავა (ბიუროს

---

[219] ფუნქციების განაწილება პრეზიდიუმის სხდომაზე, 1941 3.9.

შდივანი. კავშირი არმიის ნაწილებთან, ყლეებთან). ბიურო აწყობდა ანტიფაშისტურ ლიტერატურულ საღამოებს, სისტემატურად გზავნიდა მწერლებს მოქმედ არმიაში, ჯარის ნაწილებში, სამობილიზაციო პუნქტებში, სამხედრო გოსპიტლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში.

1941 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირმა თბილისის რკინიგზის სადგურზე არსებულ სააგიტაციო პუნქტში სამორიგეოდ გამოჰყო მწერლები: ვასო გორგაძე, ბორის სერებრიაკოვი, როდიონ ჟორქია, გიორგი ქუჩიშვილი, ვანო წულუკიძე [250].

1-ლი სექტემბრიდან გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული (1942 წელს — ორკვირეული) მრავალტირაჟიანი კედლის გაზეთი „ლახვარი" (სარედ. კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, სულ გამოვიდა 1941—4 ნომერი, 1942 — 4 ნომერი).

29.9. — თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგზე (სახელმწიფო ესტრადის საზაფხულო დარბაზში) მშრომელთა და მებრძოლთა წარმომადგენლებთან ერთად გამოვიდა ახალგაზრდა პოეტი რევაზ მარგიანი [251].

ოქტომბერში გაიმართა სააგიტაციო-საპროპაგანდო ბიუროს თათბირი ესტრადის რეპერტუარის თაობაზე: შედგა მწერალთა ბრიგადა რადიოსათვის (ხელმძღვანელი ბესო ჟღენტი), რომელსაც დაევალა სამოქმედო გეგმის შედგენა და სააგიტაციო-საპროპაგანდო ბიუროსათვის წარდგენა.

ასევე მიამაგრეს მწერლები ჟურნალ-გაზეთებს.

28 ივლისს მწერალთა კავშირმა ა/კ სამხედრო ოლქის პოლიტ-სამმართველოს აცნობა, რომ არმიის ნაწილებში გამოსვლებისათვის გამოჰყო მწერალთა ბრიგადები: [252] I — ალიო მაშაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, გალაკტიონ ტაბიძე, კარლო ჯალაძე, რიურიკ ივნევი. II — სიმონ ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ვასო გორგაძე, ბორის სერებრიაკოვი. III — ილო მოსაშვილი, სანდრო ეული, ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ლეონიძე, გიორგი კრეიტანი.

მწერალთა კავშირში მწერლებმა დაიწყეს სამხედრო მეცადინეობა საბრძოლო იარაღით.

2 აგვისტოს კრებაზე მწერლებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს

---

250 ლხცსა, 8—1—892—6.

251 გაზ. „კომუნისტი", 1941, № 231.

252 ლხცსა, 8—1—892—8.

პირადი დანაზოგი ფული, ობლიგაციები, დაიწყეს თბილი ტანსაცმლის შეგროვება ჯარისკაცებისათვის[253].

29—30 ნოემბერს მწერალთა კავშირში გამართულ კრებაზე იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ გაეწიათ უფრო ნაყოფიერი სამსახური საბჭოთა ხალხების ბრძოლისათვის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, როგორ გამოენახათ ომის პირობებში შემოქმედებითი მუშაობის მოქნილი გზები და ფორმები.

გარდა ზურგში განლაგებული სამხედრო ნაწილებისა და ჰოსპიტლებისა, ქართველი მწერლები ბევრჯერ ეწვივნენ მოქმედ არმიას, ფრონტს, ნაწილებში, საველე ლაზარეთებში, საძმო საფლავებთან ისინი კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, მონაწილეობას ღებულობდნენ საფრონტო გაზეთების გამოშვებაში, აგროვებდნენ მასალებს არმიის, ავიაციის, ფლოტის, პარტიზანების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ასასახავად.

1941 წლის განმავლობაში სახელგამმა გამოსცა ტრადიციული კრებული „სამშობლო“, ხოლო „ფედერაციამ“ — კრებული „სამშობლოსათვის“ (ორი წიგნი), გარდა ამისა ამ წელს ქართულ ენაზე ლექსებისა და მოთხრობების სამი კრებული გამოვიდა: ბათუმში — „სისხლი სისხლისა წილ“, „ბრძოლა გამარჯვებამდე“, სოხუმში — „გამარჯვების სიმღერები“.

---

[253] ლხცსა, 8—1—891.

1 9 4 2

16 იანვარს გამართული ლიტერატურული ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ საღამოზე გერონტი ქიქოძის მოხსენების („სამამულო ომი და საბჭოთა ახალგაზრდობა") შემდეგ იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა ლექსი „ქართველის დიდება დავიცვათ". მხატვრული ნაწარმოებების კითხვით გამოვიდნენ ლადო ავალიანი, ლადო ასათიანი, მარიკა ბარათაშვილი, კლავდია დეევდარიანი, ანდრო თევზაძე, გიორგი კალანდაძე, რევაზ მარგიანი, მაყვალა მრეველიშვილი და გრიგოლ ჩიქოვანი. საღამოში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა კომპოზიტორმა გუგული თორაძემ.

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის გაფართოებულ თათბირზე დასასწრებად მოსკოვს მყოფი ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე და ალიო მირცხულავა 29 იანვარს ესტუმრნენ მაიორ ა. ჯახიევის ჯავშნოსანი მატარებლის შემადგენლობას მოსკოვის მახლობლად[254], იყვნენ მოსკოვის ოლქის განთავისუფლებულ რაიონებში.

იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე, აგრეთვე საკავშირო თათბირის შედეგებზე ილაპარაკეს ამ მწერლებმა 15 თებერვალს გამართულ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელმაც მოისმინა და განიხილა ირაკლი აბაშიძის მოხსენება „სამამულო ომი და ქართული მწერლობის ამოცანები".

თებერვალშივე დონბასში იყვნენ ალიო მაშაშვილი და ილო მოსაშვილი, ხოლო ყირიმში, აკ-მონაის კატაკომბებში, ახლად შექმნილ 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიას მშრომელთა დელეგაციის (ხელმძღვანელი საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი კალე შეროზია)

---

[254] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, „ჯახიევის ჯავშნიან მატარებელზე", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1942, 15.2.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზ. „ლიტერატურული საქართველოსა" და „მნათობის" ფურცლებზე იბეჭდებოდა ჩვენი მწერლების მგზნებარე და ამაღელვებელ მხატვრულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, ეს გაზეთი და ჟურნალი სარკეა მწერალთა და მათი ორგანიზაციის შემოქმედებითი მუშაობისა, ტრიბუნაა, საიდანაც იმ მძიმე დღეებში თავის ხალხს გულშიჩამწვდომ მხატვრულ სიტყვას აწვდენდნენ ქართველი მწერლები.

შემადგენლობაში ეწვია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პ/მგებელი მდივანი, პოეტი ირაკლი აბაშიძე. ამ დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე ცნობილი მეცნიერი და მწერალი ნიკო კეცხოველი. იქ ნახული საჰაერო ბრძოლის შედეგად დაიწერა ირაკლი აბაშიძის „ჰორიზონტზე იწვოდა მესერშმიტი“ და სხვა ლექსები, რომლებიც იბეჭდებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

მარტის ბოლოს პრეზიდიუმმა მოისმინა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის ინფორმაციები სამამულო ომის პერიოდში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ [255].

10 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მწერალმა ილო მოსაშვილმა, 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიას და მასში შემავალ პოლკებს გადასცა მხედრული დიდების სიმბოლო — ალისფერი დროშა.

30.5. — გაიმართა მწერლებისა და კინოხელოვნების მუშაკთა თათბირი თბილისის კინოსტუდიის მუშაობის გეგმების განხილვებაში მწერლების მონაწილეობის თაობაზე. აღინიშნა ომზე სცენარის შექმნის აუცილებლობა.

ივნისში კავკასიის დამცველ 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ეწვივნენ ქართველი მწერლები შალვა დადიანი, ანდრო თევზაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სიმონ მთვარაძე, ილო მოსაშვილი და როდიონ ქორქია.

24.7. — მწერალთა კავშირში მოეწყო შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირ მიხეილ გახოკიძესთან.

23.8. — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში გამართულ ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურ მიტინგზე ქართველ მწერალთაგან სიტყვები წარმოთქვეს კონსტანტინე გამსახურდიამ და გერონტი ქიქოძემ [256].

აგვისტო — მწერალთა კავშირში ჩატარდა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი „მწერალთა მუშაობა წითელი არმიის ნაწილებში“.

28 აგვისტოდან სიმონ ჩიქოვანი 15 დღით იყო ჩრდ. კავკასიის ფრონტზე, ორჯონიკიძეში.

1942 წლის სექტემბერში საქართველოს მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში ჩრდ. კავკასიაში ჩეგემისა და ბაქსანის ხეობებში 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ესტუმრნენ პოეტები

---

[255] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1942, № 15.

[256] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1942, № 34.

ირაკლი აბაშიძე, ალიო მაშაშვილი და სიმონ ჩიქოვანი. იქ, სოფ. ფსიხოდში, ძმათა სასაფლაოს ნახვისას, დაწერა ირაკლი აბაშიძემ ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც ამ დივიზიის გაზეთის „წინ გაბარჯვების აკენ“ 1942 წლის 4 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა პირველად და მალე ხალხმა სიმღერად აიტაცა—სიმღერადვე გახმაურებულ „ლურსმანაშვილის გმირობასთან“ ერთად. ამავე დივიზიაში ყოფნისას დაიწერა და პირველად ამავე გაზეთში დაიბეჭდა სიმონ ჩიქოვანის ლექსი „საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ კანკავა“.

ოქტომბერში ამავე დივიზიას ნალჩიკში ესტუმრნენ კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, გიორგი ქუჩიშვილი. სოლომონ თავაძე, ერემია ქარელიშვილი.

1942 წელს დემნა შენგელაია იყო ჯარის ნაწილებში ზღვისპირა ქალაქ გელენჯიკში, შალვა დადიანი და ბესო ჟღენტი — დაღესტანში, ქ. ბუინაკსკში, გიორგი მდივანი — ყირიმში, ბესო ჟღენტი — შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებთან.

1942 წლის 15 ნოემბერს მწერალთა საქალაქო აქტივმა განიხილა ქართული მხატვრული ლიტერატურის მდგომარეობა (ირაკლი აბაშიძის მოხსენება „მწერალთა კავშირის შემოქმედებითი და საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა სამამულო ომის განმავლობაში“, ინფორმაციები ჟურნალ „მნათობისა“ და გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციების მუშაობის შესახებ) და დასახა ღონისძიებანი მუშაობის ისე გარდაქმნისათვის, როგორც ამას მოითხოვდა ომის ვითარება.

ნოემბერში (29—30.11.) გაიმართა კიდევ ერთი თათბირი ომის პერიოდში მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის გამო.

წლის მიწურულში (10-11.12.) შედგა გამგეობის პლენუმი, რომელმაც იმსჯელა საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებასა (ლიტერატურულ-მხატვრული პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ) და ირაკლი აბაშიძის მოხსენებაში („ომის პერიოდში გამოსული ლიტერატურული პროდუქციის მხატვრული დონე და მწერალთა ამოცანები მხატვრული ლიტერატურის ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში“) წამოჭრილ საკითხებზე [257].

პლენუმზე აღინიშნა, რომ არასაკმაოდ ღრმად ასახავენ სინამდვილეს თვით ნიჭიერი მწერლები, რადგან საფუძვლიანად არ იცნობენ ფრონტისა და ზურგის ცხოვრებას. საჭიროა მოქმედ არმიაში და ზურგის მშრომელებთან მწერლების უფრო ხშირად ყოფნაო.

---

[257] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1942, № 44.

15 დეკემბერს გაიმართა საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრის, მწერალ პეტრე პავლენკოს მოხსენება „საბჭოთა მწერლების მონაწილეობა სამამულო ომში“.

1942 წელს დაიწერა და მალე სიმღერად იქცა იოსებ ნონეშვილის „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“.

„ფედერაციამ“ ისევ გამოსცა ლექსებისა და ომის ეპიზოდების ამსახველი კრებული „სამშობლოსათვის“, აგრეთვე, „ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია“ (ლევ. ასათიანის რედაქციით), გამოვიდა „ქართველი პოეტები წითელ არმიას“ („სახელგამი“), ლექსების წიგნი „ჩვენი გამარჯვებისათვის!“ (სოხუმი).

25—28 იანვარს მწერალთა კავშირში გაიმართა დისკუსია „თბილისის ქართული თეატრების დადგმები სამამულო ომის თემაზე“. მომხსენებელმა ლეო ქიაჩელმა, სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა (გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, იონა ვაკელი, ლევან ასათიანი, ბესო ჟღენტი, ირაკლი აბაშიძე) და თეატრის მუშაკებმა (აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვასო ყუშიტაშვილი) მთავარი ყურადღება მიაქციეს ორიგინალური რეპერტუარის შექმნას და ამ საქმეში თეატრისა და მწერლების თანამშრომლობას. აღინიშნა, რომ ომის პერიოდში კ. მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სამი ორიგინალური პიესიდან მხოლოდ ერთი (გიორგი მდივნის „პარტიზანები“) შეეხებოდა სამამულო ომს.

8 თებერვალს ქართველ მწერლებს ფრონტული შთაბეჭდილებები გაუზიარა ირაკლი ანდრონიკოვმა.

1943 წლის გაზაფხულზე 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ახლა უკვე კალაბატკასთან (სლავიანსკის რაიონი, უკრაინა) ესტუმრა სიმონ ჩიქოვანი და იქ ნანახ საძმო სასაფლაოს უძღვნა ლექსი.

25 მარტიდან ერთი თვით იყო ჩრდ. კავკასიის ფრონტზე რაჟდენ გვეტაძე სიმონ ჩიქოვანთან ერთად.

17.4. — მწერალთა კავშირში შეხვედრა მოუწყვეს სტალინგრადის დამცველებს. მზვერავ არტილერისტს, უფროს სერჟანტ სერგო ხოფერიას, მეორე რანგის სამხედრო ექიმს კლარა ხოჭოლავას, გვარდიის ლეიტენანტებს შალვა ყავრიშვილსა და ვლადიმერ ბოკერიას და სხვებს მიესალმნენ ირაკლი აბაშიძე, ალიო მაშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო ეული და იოსებ გრიშაშვილი.

3—5 ივნისს გამართულმა გამგეობის მეექვსე პლენუმმა[258] განიხილა ორი საკითხი: 1. ქართული პროზა სამამულო ომის დღეებში (მომხს. ბესო ჟღენტი); 2. ქართველი მწერლები სამხედრო პრესაში (მომხს. ილო მოსაშვილი). ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ირაკლი აბაშიძემ, ლადო ავალიანმა, აკაკი ბელიაშვილმა, აკაკი გაწერელიამ, ვანიონ დარასელმა, სანდრო

[258] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1943, №№ 14, 15.

ეულმა, სოლომონ თავაძემ, პარმენ ლორიამ, შალვა რადიანმა, ლეო ქიაჩელმა, დემნა შენგელაიამ, და ბორის ჩხეიძემ.

პლენუმზე აღინიშნა: საკმაოდ კარგი მიღწევები აქვს ომის დღეების ქართულ პოეზიას. ამ საქმეში მწერლებს ისიც დაეხმარა, რომ ჰქონდათ საშუალება ახლო გაცნობოდნენ და შეესწავლათ მეომართა ბრძოლა და ცხოვრება. მაგრამ არა ჩანს დიდი პოეტური და პროზაული ტილოები. მართალია, ომზე ბევრი მოთხრობა იბეჭდება, მასთან გამოდის ჯრებულებიც, მაგრამ ამ ნაწარმოებებში ჭარბობს ხელოვნური სიტუაციები, სქემატიზმი. ამასთან — პროზაში და, განსაკუთრებით დრამატურგიაში, შეიმჩნევა ისტორიული თემატიკით გატაცება. თუმცა ომის თემაზე გვაქვს კარგი დრამატული ნაწარმოები — სერგო კლდიაშვილის პიესა „ირმის ხევი“, ხოლო ისტორიულ თემაზე შექმნილი რომანები — კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, ალექსანდრე ჭუთათელის „პირისპირ“, ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია, ღირსეულ ასახვას მოელიან სამშობლოს, კერძოდ — კავკასიის დამცველები. ჩვენი ვალია შევქმნათ ისეთი სახე ამ მეომრებისა, „რომელიც გახდებოდა მისაბაძი და საყვარელი ყველა მებრძოლისათვის“.

პლენუმზე, ამას გარდა, ითქვა: ომის დღეებში სისტემატურად გამოდის პლაკატები, ნაბეჭდი კედლის გაზეთი „ხიშტით და კალმით“, რომელშიც იბეჭდება ქართველ პოეტთა დასურათებული ლექსები, მაგრამ მცირერიცხოვანია ქართველი მწერლების მონაწილეობა სამხედრო პრესაში. მწერლები უნდა გახდნენ საფრონტო პრესის მუდმივი თანამშრომლები.

პლენუმმა მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში შეიყვანა ბესო ჟღენტი და რაჟდენ გვეტაძე.

ივნისში შალვა დადიანი, სანდრო ეული, ლეო ქიაჩელი და როდიონ ქორქია ორი კვირით იყვნენ შავი ზღვის მოქმედ ფლოტში.

23 ივნისს გარდაიცვალა ახალგაზრდა პოეტი ლადო ასათიანი, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

5 ივლისს მწერალთა კავშირში გაიმართა საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა გვარდიის გენერალ-მაიორ ნიკოლოზ თავართქილაძესთან. სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე და დემნა შენგელაია, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, მხატვარი მოსე თოიძე, მსახიობი თამარ ჭავჭავაძე და სხვები.

9 ივლისიდან კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, დემნა შენგელაია და სიმონ ჩიქოვანი ერთი თვით იყვნენ ჩრდ-

კავკასიაში, ქ. კრასნოდარში ეწვივნენ ჩრდ. კავკასიის ფრონტის გაზეთ „ვპერიოდ ზა როდინუს“ რედაქციას, .რომლის თანამშრომელთა შორის იყვნენ პოეტი ილია სელვინსკი და მწერალი ნიკა აგიაშვილი. (იხ. კორესპონდენცია და ფოტო გაზეთ „პოეზიის დღეში“, 1974).

ივლის-აგვისტოში ბელგოროდის მიმართულებით კურსკის ბრძოლებში განადგურებული მტრის სანახავად იყვნენ ალიო მაშაშვილი და ირაკლი აბაშიძე, 24 აგვისტოს კი მწერალთა კავშირში გაიმართა მიტინგი კურსკის ბრძოლების წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად.

24 აგვისტოსვე ნაშუადღევს გაიმართა თათბირი წითელი არმიის ნაწილებში მწერალთა მუშაობის გაძლიერების შესახებ, ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ა/კ სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი კრეტოვი. თათბირმა დასახა ღონისძიებანი.

ოქტომბერში ქ. ანაპაში მდგომ 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ეწვია გიორგი ლეონიძე, იქ დაწერა ლექსი „ქართველ მეომრებს“ და იქვე წაიკითხა ნაწილებში.

იქ, ტამანის ნახევარკუნძულზე, უცნობი ქართველი მეომრის ლევანის საფლავის ნახვამ შთააგონა გიორგი ლეონიძეს შესანიშნავი ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“.

ოქტომბერში ყუბანს ეწვია ალიო მაშაშვილი, ნოემბერში კი ქ. კრასნოდარში იყო სიმონ ჩიქოვანი.

19 დეკემბერს გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა გრიგოლ აბაშიძის პოემა კავკასიის დაცვაზე „ძლევის ქედი“.

25 დეკემბერს მწერალთა სასახლეში მოეწყო სამამულო ომის ფრონტებიდან მებრძოლთა მიერ გამოგზავნილი ლექსების კითხვა.

მწერალთა კავშირის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ორი კრებული: „სამშობლოსათვის“ და „რუსი საბჭოთა პოეტები სამამულო ომს“ (ლევ. ასათიანის რედაქციით). გარდა ამისა, გამოვიდა კრებულები: „გამარჯვების სიმღერები“ (თბილისში), „ჩვენ გავიმარჯვებთ“ (ბათუმში) და „სიმღერები გმირობაზე“ (სოხუმში).

1944

აპრილიდან კონსტანტინე ლორთქიფანიძე ისევ ყირიმშია, როგორც ზღვისპირეთის პირველი ცალკე არმიის გაზეთ „ეპერიოდ ზა როდინუს“ რედაქციის მწერალი-თანამშრომელი და გაზ. „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

გაზაფხულზე ქ. სიმფეროპოლში გაზ. „ეპერიოდ ზა როდინუს“ რედაქციას და მის თანამშრომელებს ეწვივნენ მწერლები: ელიზბარ ზედგინიძე, სოლომონ თავაძე და ბორის ჩხეიძე, ისინი იყვნენ 414-ე დივიზიის ნაწილებში.

სამხედრო ნაწილებში მივლინებული მწერლების ანგარიშს ხშირად ისმენდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

16. 12. — ქართველმა მწერლებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის მწერალთა კრებაში, რომელმაც განიხილა საკითხი „აფხაზეთის მწერლების მუშაობა სამამულო ომის წლებში“.

1944 წელს სიმღერებად გახმიანდა ახალგაზრდა პოეტების ხუტა ბერულავასა და ფრიდონ ხალვაშის ლექსები სამამულო ომის გმირ მებრძოლებზე: ჭიჭიკო ბენდელიანსა და ისრაფილ ჭინჭარაძეზე.

მწერლების მონაწილეობით გამოდის კრებულები „ქართველი მეომრები“ (თბილისი), „სამშობლოს სადღეგრძელოდ“ (ბათუმი).

* * *

მაგრამ მწერლები შაშხანითაც იბრძოდნენ, ფრონტულ, საარმიო და დივიზიათა გაზეთებსაც ემსახურებოდნენ...

ფრონტზე იარაღით ხელში ებრძოდნენ გერმანელ დამპყრობლებს:

I — ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი: ა) მწერალთა კავშირის წევრები 1941 წლის 22 ივნისისათვის — ალექსი გომიაშვილი, მამია ვარშანიძე, გიორგი ნატროშვილი. ბ) მომავალი შემოქმედნი, რომელთაგან ზოგს ომამდე ჭაშნიკი ჰქონდა გამოქვეყნებული, ზოგი ომის ხანძარში დაიბადა და გამოიწრთო მწერლად ან ომის

შემდეგ მოჰკიდა ხელი კალამს და მწერალთა კავშირის წევრი გახდა — შალვა ამისულაშვილი, ნიკოლოზ არეშიძე, სიმონ არველაძე, სილოვან ახვლედიანი, ვასო ბაიაძე, გრიგოლ ბერძენიშვილი, ამირან გაბესკირია, აკაკი გეწაძე, ვასო გვეტაძე, ვახტანგ გორგანელი, თინა დონქაშვილი, ვლადიმერ თორდუა, აკაკი თოფურია, იაკობ მელია, ალექსანდრე კალანდაძე, ტარიელ კვანქილაშვილი, დავით კვიცარიძე, მურმან ლებანიძე, ელიზბარ მაისურაძე, სამუელ მოძღვრიშვილი, კარპე მუმლაძე, ლადო სულაბერიძე, ვანო ურჯუმელაშვილი, გიორგი ქავთარაძე, ალიო შანიძე, გიორგი ციციშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი. აგრეთვე მწერლები (რომლებიც არ ყოფილან მწერალთა კავშირის წევრები) მიხეილ კაკიტელაშვილი და ვლადიმერ ხობისპირელი (ქვარცხავა).

II — ა ფ ხ ა ზ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი: ქიაზიმ აგუმაა (მწერალთა კავშირის წევრი 1940 წლიდან), შამილ აყუსბა, ნური ბარათელია, მიხეილ ლაკერბაი (კ. წ. 38-დან), შალვა სანგულია, ჯოტა ტაბალუა, ალექსი ჯონუა, ჭიჭიკო ჯონუა;

III — ო ს ი მ წ ე რ ლ ე ბ ი: რევაზ ასაევი, ელიოზ ბეკოევი, დიმიტრი ბიაზიროვი, ალექსი ბუქულოვი, ნიკოლოზ გაგლოევი, თედორე გაგლოევი (გაფეზი), კოსტა მარღიევი, გიორგი ძუგაევი, გიორგი ჯათიათი. (არაკავშირის წევრები — გ. გაგლოევი, ს. თედეევი, ბ. ფუხაევი);

IV — ს ო მ ე ხ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი: მკრტიჩ ასლანიანი, ვართან სიმონიანი, მარტინ ქარამიანი;

V — რ უ ს ი მ წ ე რ ლ ე ბ ი: მიხეილ ლოხვიცკი, ემანუილ ფეიგინი;

VI — ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ე ლ ი მ წ ე რ ა ლ ი — მამედ-ჰუსეინ ბახტიარლი.

მოქმედი არმიისავე დივიზიების, არმიების, ფრონტების გაზეთთა კორესპონდენტებად და თანამშრომლებად მუშაობდნენ უშუალოდ ცეცხლის ხაზის ახლოს, დაბომბვათა და საარტილერიო ზალპების ქვეშ ქართველი მწერლები: პოლიო აბრამია (კ. წ. 1934-დან), ნიკა აგიაშვილი, ნოე კაკუშაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე (კ. წ. 1934 წლიდან), რევაზ მარგიანი (კ. წ. 1940-დან). ვლადიმერ მაჭავარიანი, აფხაზი მწერალი სანდრო სანგულია.

გარდა ამისა ომის დროს წითელ არმიაში იყვნენ ვასილ ლაფერაშვილი, შალვა ლომსაძე, შალვა რადიანი, ერემია ქარელიშვილი, ივანე შაიშმელაშვილი (პროფესიონალი სამხედრო, შემდეგში გენერალ-მაიორი, მწერალთა კავშირის წევრი 1940 წლიდან). დემნა შენგელაია, ილია ხოშტარია და რევაზ ჯაფარიძე, ხოლო სამხედრო გაზეთებში მუშაობდნენ გარეგინ ბებუთოვი, კალე ბობოხიძე, ვა-

ნიონ დარასელი (პროფესიონალი სამხედრო, მწერალთა კავშირის წევრი 1935 წლიდან), ელიზბარ ზედგინიძე, სტეფანე მხარგრძელი (არღუნელი), იოსებ ნონეშვილი და ლავრენტი ჭიჭინაძე.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ ქართველი მწერლები: მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი (კ. წ. 1940 წ.) სევერიან ისიანი, ნიკოლოზ კოპალიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი, სანდრო ყენტი, შალვა სოსლანი (სოსელია), ანდრო სიჭინავა, ალექსანდრე სულავა (კ. წ. 34 წ.), ვლადიმერ უბილავა (კ. წ. 40 წ.), მიხეილ ფოფხაძე, ვაჟიკა ფხოველი (მიტო ცალხელიშვილი), ასლან ყოჩიაშვილი, იაკობ (ია) ჩხაიძე, გრიგოლ ხურციძე;

აფხაზები — ცნობილი მწერალი ლევარსან კვიწინია და 9 ახალგაზრდა მწერალი (პ. ანუა, მ. გოჩუა, შ. თორია, ვ. კაპბა. ს. ქუჩუბერია, ვ. ჩიჩერია, ს. ცაბრია, კ. ხურცლაა, რ. ჯონუა);

11 ახალგაზრდა ოსი მწერალი — (კ. ბ ა ზ ა ე ვ ი, ა. ბ ე კ ო ე ვ ი, გ. გ ა ს ი ე ვ ი, ე. თ ი გ ი ე ვ ი, ე. კ ა ბ უ ლ ო ვ ი, ა. მ ა გ კ ა ე ვ ი, ი. მ ა რ ღ ი ე ვ ი, გ. ტ ე ხ ო ვ ი, გ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, გ. ხ ა მ ი ც ო ვ ი, ხ. ხ ო დ ო ვ ი).

სიკვდილმა ადრე შეწყვიტა ამ ახალგაზრდების შემოქმედება, მაგრამ მათ მაინც მოასწრეს ბევრის გაკეთება და ომის შემდეგ გამოჩნდა მათი წიგნებიც (ზოგის ადრე და ზოგის — გვიან).

შემდეგში (1961) ნიკა აგიაშვილმა ქართველი მწერლების ამ თაობის ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ შექმნა მოგონებათა წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

უფრო მოგვიანებით, 1968 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლის ბაღში მწერლების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა, ჟურნალისტთა, შინმოუსვლელი მწერლების ოჯახის წევრთა, ნათესავთა და მეგობარ-ახლობელთა თანდასწრებით გაიხსნა ომში დაღუპულ ქართველ მწერალთა მემორიალური დაფა.

და, ბოლოს, ომის მონაწილე ამ თაობის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი, მირზა გელოვანი, სიკვდილის შემდეგ დააჯილდოეს ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელობის კონკურსის მემორიალური მედლით, მერე საქართველოს კომკავშირის (1974), ხოლო ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავზე (1975) შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა. ბელორუსიაში, რჟავკის საშუალო სკოლას მირზას სახელი ეწოდება, მისი ბიუსტი დაიდგა თიანეთის საშუალო სკოლის ეზოში, სადაც ის სწავლობდა, ის სკოლა კი ახლა მირზას სახელობისაა. პოეტის დიდი ძეგლი

დგას კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ხდება მირზას პოემა „შავნაბადაში“ აღწერილი ამბები.

1978 წელს, გამარჯვების დღეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპული 11 ოსი მწერლის მემორიალური დაფა გაიხსნა ქ. ცხინვალში, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებაში. იქვე გამოიცა კრებული „ხიშტითა და კალმით“, სადაც ამ პატრიოტების ნაწარმოებებია დაბეჭდილი.

* * *

ომის დროს საქართველომ მშობლიური კერიდან აყრილი მრავალი საბჭოთა ადამიანი შეიკედლა. ქართველი მწერლებიც სიყვარულითა და ზრუნვით შეხვდნენ ევაკუირებულ თანამოკალმეთა ოჯახებს, მწერლებს[259] მოსკოვიდან — ირაკლი ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილის ოჯახს, ნიკოლოზ პავლეს ძე აბრამოვს, ანა არნოლდის ასულ ანტონოვსკაიას, ვიქტორ ექვთიმეს ძე არდოვს, ვიკენტი ვიკენტის ძე ვერესაევს (სმიდოვიჩს), რიურიკ ალექსანდრეს ძე ივნევს (მიხეილ კოვალიოვს), ვასილ ვასილის ძე კამენსკის, ილია პავლეს ძე კრემლიოვს (სვენს), ივანე ალექსის ძე ნოვიკოვს, გრიგოლ ისაის ძე რევზინს, არკადი ილიას ძე სიტკოვსკის, ალექსანდრე უილიამის ძე ფეერალსკის, ბორის კონსტანტინეს ძე ჩორნის; ლენინგრადიდან — იგორ ევგენის ძე ვსევოლოჟსკის, იოსებ ეგნატეს ძე იაკერს (ისაევს), კირილე ვლადიმერის ძე ივანოვს, ევგენი ტიმოთეს ძე კანტოროვიჩს, სიმონ ანატოლის ძე კუპერს, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ორლოვს; უკრაინიდან — სიმონ ბაბაევსკის ოჯახს, გენადი ივანეს ძე ბრეჟნევს, ივანე დიმიტრის ძე ვასილენკოს, იური მიხეილის ძე კარსკის, სოფიო მარკოზის ასულ ლევიტინას, ვალენტინ ათანასეს ძე მიაკუშევს, ნისტერს (პილხოს მენდელის ძე კაგანოვიჩს), ანდრეი ათანასეს ძე პორტენკოს (ოდესა). ივანე ტიმოთეს ძე სნეგირიოვს (ხარკოვი); მოლდავეთიდან — ლევ აბრამის ძე კაცს; როსტოვიდან — ალექსანდრე ისაკის ძე შამკოვიჩს; ჩრდილოეთ ოსეთიდან — გიორგი ხარიტონის ძე კაიტუკოვს; ყაბარდოდან — ხაჩიმ ისხაკის ძე ტეუნოვს; ჩერქეზეთიდან — ტემბიტ მაგომედის ძე კერაშევს.

---

[259] ლხცსა, 8—1—920 — ფურც. 1—2.

ასევე თბილისს შეაფარეს თავი მოსკოვში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულე მწერლებმა ელიზბარ ანანიაშვილმა, ვლადიმერ ტა-ტიშვილმა, ნატალია ჩხეიძემ.

საქართველოს მწერალთა კავშირი ზრუნავდა ამ თანამოკალ-მეთა და მათი ოჯახის წევრთა დაბინავებაზე (ევაკუირებულთაგან ზოგი მწერალთა სასახლეში ცხოვრობდა, ზოგი ქართველ მწერ-ლებთან, ნაწილი ნაცნობ-ნათესავებთან და ა. შ.), მათ მომარაგება-ზე, მკურნალობასა და შემოქმედებისათვის საჭირო პირობების შექმნაზე (იხ. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრე-ზიდიუმისა და სხვ. სხდომის ოქმები).

ევაკუირებული მწერლები აქტიურად თანამშრომლობდნენ პრე-საში (გაზეთები „ზარია ვოსტოკა", „ბოეც რკკა"), გამოდიოდნენ რადიოში, სამხედრო ნაწილებში, ჰოსპიტლებში და ა. შ.

საქართველოს მწერალთა კავშირი ზრუნავდა არმიაში მყოფ იმ მწერლებზე, რომლებიც თბილისში, საქართველოში მოხვდნენ მეტ-ნაკლები დროით, ესენი იყვნენ ირაკლი ანდრონიკოვი, სიმონ ბა-ბაევსკი, ვიტალი ზაკრუტკინი, ემანუილ ფეიგინი და სხვები.

* * *

1945 წლის 9 მაისს მწერალთა კავშირში გაიმართა გამარჯვე-ბის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი.

დამთავრდა ბრძოლა და სისხლისღვრა, დაძაბული შრომა და მძიმე წლები, როცა მწერლების მთელი შემოქმედებითი და ფი-ზიკური ძალები მიმართული იყო სასტიკი მტრის დასამარცხებ-ლად, ბრძოლისათვის.

და მაინც, იმ მძიმე დღეებშიც, არ შემწყდარა ფიქრი მწერ-ლობის პროფესიულ საკითხებზე, წყდებოდა ორგანიზაციული სა-კითხები, ტარდებოდა საღამოები, იხსენებდნენ წინაპრებსა და პატივს ცემდნენ თანამედროვეთა დამსახურებას (ამ მხრივ განსა-კუთრებით გამოცოცხლდა მუშაობა 1943 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, საბჭოთა ხალხებმა წელში გატეხეს ფაშისტი დამპყრობლები).

1942 წლის დამდეგს გაიმართა ევაკუირებული რუსი მწერლე-ბის ირაკლი ანდრონიკოვის (2.1), ვიკენტი ვერესაევის (16.1), ივანე ნოეიკოვის (28.3) და ანა ანტონოვსკაიას (30.3.) შემოქმე-დების საღამოები.

22.5 — თბილისში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი.

1 აგვისტოს მწერლებმა ქართველ ხალხთან ერთად აღნიშნეს

დავით გურამიშვილის გარდაცვალების 150-ე წლისთავი. გიორგი ლეონიძის მოხსენების შემდეგ სიტყვებითა და თარგმანების კითხვით გამოვიდნენ: ბესო ჟღენტი, ლეო ქიაჩელი, ივანე ნოვიკოვი, დ. სტრელცოვი (ელიზბარ ანანიაშვილი).

წლის ბოლოს კი, 27—30 დეკემბერს, მწერალთა კავშირში გაიმართა დიდი დისკუსია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებლის" გარშემო.

1942 წელს ვასო გორგაძე ინიშნება „საქლიტფონდის" დირექტორად (1942—1943).

* * *

1943 წელს — ჩაკარდა ოვანეს თუმანიანის (22.3.), ალექსანდრე ყაზბეგის (23.12), შიო მღვიმელის (29.12) ხსოვნისა და ლენინური კომკავშირის 25-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამოები. 29 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50-ე და მოღვაწეობის 35-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

ამ წელს ბესო ჟღენტი დაინიშნა „საქლიტფონდის" დირექტორად (1943—1946).

* * *

1944 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს (22—23.2) კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და გალაკტიონ ტაბიძე [260].

მაის-ივნისში მოსკოვში გაიმართა ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საღამოები (საღამოები შედგა: 12.5. — მწერალთა კლუბში, 19.5. — არმიის ცენტრალურ კლუბში, გახსნა პეტრე პავლენკომ, მოხსენებით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე. 20.5. — მსახიობის სახლში, 29.5. — კინოს სახლში, 30.5. — საქართველოს სსრ წარმომადგენლობაში ქართულ ენაზე, 31.5. შეხვედრა „პრავდის" რედაქციაში, 1.6 — კავშირის სვეტებიან დარბაზში). ამ საღამოებში მონაწილეობდნენ გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, ვიქტორ გაბესკირია, კონსტანტინე გამსახურდია, რაჟდენ გვეტაძე, იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე, ალიო მაშაშვილი, ილო მოსაშვილი, ბესო ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე. ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი და კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ამ წელს თბილისში გაიმართა ქართული თეატრის დაარსების 150-ე წლისთავის (10.1.), ევაკუირებული მწერლის ვასილ კა-

---

[260] გაზ. „კომუნისტი", 1944, № 40.

შენსკის შემოქმედების (18.4.), შალვა დადიანის დაბადების 70-ე და მოღვაწეობის 50-ე წლისთავის (26.6.), ალექსანდრე აბაშელის დაბადების მე-60 წლისთავის (23.10.), იოსებ გრიშაშვილის მოღვაწეობის მე-40 წლისთავის (30.10.), ეგნატე ნინოშვილის (12.5.) და ვასილ ბარნოვის (15.11.) ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები.

2.10. — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ნაცვლად გამოსვლას იწყებს საქართველოს მწერალთა კავშირისა და სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება", რომლის რედაქტორად დაინიშნა (1943—1963) გიორგი ნატროშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით (1943.25.8.) ალექსანდრე აბაშელი და იოსებ გრიშაშვილი დაჯილდოვდნენ შრომის წითელი დროშის ორდენებით.

* * *

1944 წლის 20—24 მარტს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე [261], რომელმაც მოისმინა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ირაკლი აბაშიძის მოხსენება „ქართული საბჭოთა ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში", კამათში გამოსულმა მწერლებმა (კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია და სხვებმა) გააკრიტიკეს პრეზიდიუმი სუსტი მუშაობისათვის. პლენუმზე შეიცვალა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა: ისევ შეიქმნა მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა და თავმჯდომარედ აირჩიეს სიმონ ჩიქოვანი (რომელიც ამ თანამდებობაზე იყო 1951 წლამდე), პასუხისმგებელ მდივნად — გიორგი ჯიბლაძე.

აპრილში ახალმა ხელმძღვანელობამ გამართა მწერალთა აქტივის თათბირი. როგორც მწერალთა კავშირის ახალ არჩეულმა თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა განსაზღვრა, ეს თათბირი არსებითად წარმოადგენდა გაგრძელებას მარტის პლენუმისა, რომელმაც უმთავრესად შემოქმედებითი საკითხები განიხილა და დასახა ქართული მწერლობის შემდგომი განვითარების ამოცანები [262]. ამ თათბირს უნდა გამოემუშავებინა ის ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელთა გატარება უზრუნველყოფდა ქართული მწერლობის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას.

---

[261] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1944, №№ 11, 12, 13.
[262] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1944, № 15.

კონკრეტული გეგმა აქტივს თავის მოხსენებაში წარუდგინა გიორგი ჯიბლაძემ. ეს გეგმა ითვალისწინებდა 1) გაცხოველებულიყო სექციების საქმიანობა; 2) უფრო ფართოდ გაშლილიყო მასობრივი მუშაობა (ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები მთელ საქართველოში, არმიის ნაწილებში და სხვ.); 3) მეტი ყურადღება დათმობოდა ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობას; 4) გაძლიერებულიყო ხელმძღვანელობა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის ლიტერატურული ორგანიზაციებისადმი; 5) წესად შემოღებულიყო პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

* * *

18.5. — გიორგი სამხარაძე (გიასელი) არჩეულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად (1944—1956).

25.5 — გარდაიცვალა ნიკო ლორთქიფანიძე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

1945

15.1. — გაიმართა ალექსანდრე გრიბოედოვის დაბადების 150-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო[263].

წლის დასაწყისში მოეწყო ორი დისკუსია: 15 თებერვალს — რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველების" ირგვლივ, ხოლო 19—28 მარტს — თემაზე „სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზია". მარტში (15.3.) საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა (1945—1948) ხუხუტი ბღაჟბა.

რამდენიმე საღამო ეძღვნა აკაკი წერეთლის (გარდაცვალების 30-ე წლისთავი, 12.2.), ნიკოლოზ შენგელაიას (19.2.), თედო რაზიკაშვილის (14.4.), ვლადიმერ მაიაკოვსკის (19.4.) ხსოვნას.

7 მაისს აღინიშნა დავით სულიაშვილის სალიტერატურო მოღვაწეობის 35-ე წლისთავი.

ომის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდა მუშაობა მწერალთა კავშირში:

18 ივნისს ჩატარდა ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნის საღამო.

23—25 ივლისს გაიმართა გამგეობის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა სიმონ ჩიქოვანის მოხსენება „ქართული ლიტერატურა 1944—45 წლებში". მოხსენებასა და საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის (პროპაგანდის დარგში) პეტრე შარიას ვრცელ სიტყვაში ყურადღება გამახვილებული იყო უსაგნო ლირიკის მომძლავრებაზე, პროზის ჩამორჩენილობაზე, ისტორიული თემებით გატაცებაზე. ითქვა მხატვრული ოსტატობის ამაღლებისა და ახალ კადრებისადმი ზრუნვის აუცილებლობის გამო.

9 აგვისტოს რუსთაველის სახელობის თეატრში აღინიშნა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30-ე წლისთავი, 24 სექტემბერს ბორის პასტერნაკს მოუწყვეს მისი შემოქმედების საღამო, 1-ლ ოქტომბერს კი საიათნოვას გარდაცვალების 150-ე წლისთავს ეძღვნა საღამო.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში გაუქმდა თავმჯდომარის თანამდებობა და მთავარ ფიგურად იქცა პასუ-

---

[263] გაზ. „კომუნისტი", 1945. №№ 10, 11.

ხისმგებელი მდივანი. ამ თანამდებობაზე ხელახლა აირჩიეს (1945—1952) პარმენ ლორია. საქართველოში იყო ინგლისელი მწერალი ჯონ პრისტლი[264].

ქართველმა მწერლებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების მე-100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში. ამ თარიღს ეძღვნა გამგეობის საიუბილეო პლენუმი[265] (19—20 ოქტომბერი). პოეტის შემოქმედების მრავალმხრივი ანალიზი იყო მოცემული მოხსენებებში, რომლებიც ეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას (სიმონ ჩიქოვანი), პოეტიკას (კონსტანტინე ჭიჭინაძე), სევდას (კორნელი კეკელიძე), მის პიროვნებასა და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას (აკაკი გაწერელია), მისი ლექსების თარგმანებს (სოლომონ იორდანიშვილი), მის ურთიერთობას ქართულ საბჭოთა პოეზიასთან (ბესო ჟღენტი), მე-19 საუკუნის ქართულ კლასიკურ პოეზიასთან (გერონტი ქიქოძე) და რუსულ პოეზიასთან (პავლე ინგოროყვა).

ნიკოლოზ ბარათაშვილის დღეები დააგვირგვინა ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულმა საიუბილეო საღამომ (21.10).

საიუბილეო დღეებში მონაწილეობდნენ რუსი მწერლები: ვიქტორ გოლცევი, ვადიმ კოჟევნიკოვი, ევგენი ლუნდბერგი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ სტეპანოვი, არსენი ტარკოვსკი; უკრაინელები — ანდრეი გოლოვკო, ალექსანდრე კოპილენკო, ლეონიდ ნოვიჩენკო, ვლადიმერ სოსიურა; აზერბაიჯანელი მიქაელ რაფილი, ლატვიელი იულიუს ვანაგი და სხვ.

* * *

რუსულ ენაზე გამოვიდა „ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია“.

---

[264] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945. 6. 11.
[265] იქვე, № 36.

1946

წლის დასაწყისში (29.1.) გაიმართა დისკუსია თემაზე „1945 წლის ქართული ლიტერატურა“ (მომხსენებელი ბესო ჟღენტი). ამას მოჰყვა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი კონფერენცია (16.2. და 11.3.), რომელზეც მომხსენებლებმა დიმიტრი ბენაშვილმა და ვანო წულუკიძემ განიხილეს ლადო ავალიანის, შალვა ამისულაშვილის, მირზა გელოვანის, ანდრო თევზაძის, ანდრო ლომიძის, რევაზ მარგიანის, იოსებ ნონეშვილის, ალეკო შენგელიას და გრიგოლ ჩიქოვანის ნაწარმოებები.

თებერვალში საბჭოთა კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ხელმეორედ აირჩიეს შალვა დადიანი.

ალექსანდრე აბაშელმა და გრიგოლ აბაშიძემ შექმნეს ტექსტი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნისათვის.

მარტში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებით, მათ შორის ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ მწერლები გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი; შრომის წითელი დროშის ორდენით — ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), ვლადიმერ მაჭავარიანი (მაშინ კინემატოგრაფიის სამმართველოს უფროსი), გიორგი ნატროშვილი, ლეო ქიაჩელი; წითელი ვარსკვლავის ორდენით გრიგოლ აბაშიძე, შალვა აფხაიძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი ბელიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, სერგო დანელია, მამია დუდუჩავა, დავით დუმბაძე, რევაზ მარგიანი, ნინო ნაკაშიძე, ბესო ჟღენტი, თედო სახოკია, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე ქუთელია, გიორგი ქუჩიშვილი, სერგი ჭილაია (მაშინ საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის სექტორის გამგე), კონსტანტინე ჭიჭინაძე [266].

27.4 — ქართველი და იუგოსლაველი მწერლების შეხვედრა.

13 — 14.5. — კვლავ მოეწყო დისკუსია თემაზე „სამამულო ომის გმირი ქართულ დრამატურგიაში“ (მომხს. ბესო ჟღენტი).

---

[266] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946. № 10.

ამ წელს გაიმართა ვალერიან გაფრინდაშვილის (19.2.), ირო-დიონ ევდოშვილის (15.5.), შოლომ ალეიხემის (4.6.) ხსოვნისა და ანა კალანდაძის (25.5.), კალე ბობოხიძის (29.6.), მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის (4.7.) შემოქმედების საღამოები.

20.5. — ოპერის თეატრში მოეწყო ალიო მირცხულავას ლიტე-რატურული მოღვაწეობის 25-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

სექტემბრიდან ირაკლი აბაშიძე დაინიშნა ჟურნალ „მნათობის" პასუხისმგებელ რედაქტორად (1946—1953).

ამ წელს ქართველი მწერლები კვლავ შეიკრიბნენ თავიანთ მორიგ ყრილობაზე, რათა შეეჯამებინათ ომის პერიოდში გაწეული შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული მუშაობა და დაესახათ მო-მავლის გეგმები.

1946 წლის 7—10 სექტემბერს ჩატარდა საქართველოს მწე-რალთა მესამე ყრილობა[267], რომლის მუშაობა განსაზღვრა საბჭო-თა კავშირის კომპარტიის ცკ-ის 1946 წლის 14 აგვისტოს დად-გენილებამ („ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესა-ხებ").

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სიმონ ჩი-ქოვანის საანგარიშო მოხსენებასა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის (პროპაგანდის დარგში) პეტრე შარიას სიტყვაში — „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითა-რების გზები" — აღინიშნა ქართული მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმატებები სამამულო ომის დროს, მის მიერ საბჭოთა ხალხისათვის გაწეული ღირსეული სამსახური - მძიმე განსაცდელის ჟამს. ითქვა, რომ ქართული მწერლობა საბრძოლ-ველად რაზმავდა ქართველ ხალხს, ქმნიდა საბჭოთა ხალხების თავ-განწირული ბრძოლის, ომით გამოწვეული ტკივილების ამსახველ ნაწარმოებებს. ყრილობაზე აღინიშნა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ნაწარმოებთა შორის: ლექსები — ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე", გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო", „შინ-მოუსვლელო, სადა ხარ?", ა. აბაშელის „არ მოუშვა, დაჰკარი", გალაკტიონ ტაბიძის „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო", სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", კარლო კალაძის „სა-არტილერიო დუელი", ალიო მირცხულავას „მყინვარი", „დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი", დავით გაჩეჩილაძის „ძახილი უკვდავებისა", იოსებ ნონეშვილის „სიმღერა ზოია კოსმოდემიან-სკაიაზე", გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი", მოთხრობე-ბი — კონსტანტინე ლორთქიფანიძის — „როგორ მოკვდა მოხუცი

---

267 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946, №№ 37, 39, 40.

მეზღვაური“, გიორგი ნატროშვილის — „დასავლეთის ფრონტზე“, რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველები“, ლეო ქიაჩელის „მამა და შვილი“, დემნა შენგელაიას „მეოთხე ძმა“, ბორის ჩხეიძის „ომგადახდილი“, ანდრო ლომიძის „უძლეველი ძალა“, პიესები — ლევან გოთუას „ქედუხრელნი“, სერგო კლდიაშვილის „ირმის ხევი“, გიორგი მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“, „პარტიზანები“, გიორგი შატბერაშვილის „ფიქრის გორა“.

ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას ეხმაურებოდა საანგარიშო პერიოდში ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე შექმნილი ილო მოსაშვილის პოემა „ბაზალეთი“, რომანები — დემნა შენგელაიას „შთაგონება“, „ცისკარი“, ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“ (ნაწ. III), ბორის ჩხეიძის „ლიახვის პირას“, როდიონ ქორქიას „მზე წითლად ამოდიოდა“, ვანიონ დარასელის პიესა „კიკეიძე“. ამავე მიზანს ემსახურებოდა უფრო შორეული წარსულის ამსახველი ნაწერმოებები: პოემა გრიგოლ აბაშიძისა „გიორგი VI“, მოთხრობა დავით სულიაშვილისა „თევდორე“, რომანები — კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ (ნ. I), აკაკი ბელიაშვილის „ბესიკი“, ქეთევან ირემაძის „ქეთევანი“; პიესები — სანდრო შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“, მიხეილ ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“, იონა ეაკელის „დიდი მოურავი“, ლევან გოთუას „ერეკლე მეფე“.

დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების ბრძოლას ეხმაურებოდა თარგმნილი რომანები: ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ (ნ. I — 1940, წ. I, ნაწ. მე-2 — 1941, თარგმნა არისტო ჭუმბაძემ) და ჟან კასუს „პარიზის სისხლისღვრა“ (1941, თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ), არკადი გაიდარის მოთხრობა „თემური და მისი რაზმი“ (1944, თარგმნა ნიკოლოზ ჩაჩავამ). ვ. ვასილევსკაიას „ციხარტყელა“ (მთარგმნელი პოლიო აბრამია).

საანგარიშო პერიოდში (1939—1946) შეიქმნა აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის „საუბარი ლირიკის შესახებ“, სიმონ ჩიქოვანის „ვინა სთქვა“, და „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ცოტა უფრო ადრე — ისტორიული რომანები დემნა შენგელაიას „ირმის ნახტომი“, პარმენ ლორიას „მევლუდი“.

ამავე წლებში შექმნა თავისი საუკეთესო ლექსები ლადო ასათიანმა.

საანგარიშო პერიოდში ომის წინ გამოჩენილ და ომში მომძლავრებულ თაობას შალვა ამისულაშვილს, ლადო ავალიანს, იოსებ ნონეშვილს, რევაზ მარგიანს, ალეკო შენგელიას, გვერდით დაუდგნენ მურმან ლებანიძე, ოთარ ჭელიძე, თეიმურაზ ჯანგუ-

ლაშვილი, ვახტანგ გორგანელი, გიორგი სალუქვაძე, ხუტა ბერუ-ლავა...

ყრილობის წინ გამოჩნდა ხალასი ნიჭის პოეტი ანა კალანდაძე. აფხაზურ მწერლობაში შეიქმნა დიმიტრი გულიას რომანი „კამა-ჩიჩი". ოსმა პოეტებმა შეაგროვეს, დაამუშავეს და გალექსეს თქმულება ნართებზე (დაიბეჭდა 1942 წ.), რომელიც ქართულად თარგმნეს გიორგი ლეონიძემ, ვასო გორგაძემ, სიკო ფაშალიშვილ-მა. საანგარიშო პერიოდში ილია კაეკაზაგმა შექმნა პოემები „ბაი-რამ", „დედა", პიესა „ისაკი" („უკანასკნელი ხარკი"), მუხტარ შაველოხოვმა — კომედია „სასიძო".

ყრილობაზე აღინიშნა, ომის შემდეგ უიდეო ნაწარმოებების გა-მოქვეყნების ფაქტები, ისტორიული თემატიკით გატაცება და და-ისახა ხარვეზების გამოსწორებისა და წინსვლის გზები.

მესამე ყრილობის მიერ არჩეულმა გამგეობამ თავის პლენუმ-ზე (1946.13.9.) შექმნა საქართველოს . მწერალთა კავშირის გამ-გეობის 9-კაციანი პრეზიდიუმი: სიმონ ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ალექსი გომიაშვილი (მდივანი), ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, გიორგი ნატრო-შვილი, დავით სულიაშვილი, ლეო ქიაჩელი.

ალექსი გომიაშვილი პასუხისმგებელ მდივნად იყო 1946—1950 წლებში. შემდეგ ამ თანამდებობაზე მუშაობდა (1950—1951 წ.წ.) ოთარ ჩხეიძე.

* * *

საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობის შემდეგ 1946 წლის დამლევამდე მწერალთა კავშირში რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა:

25.10. — დღისით გაიმართა თათბირი საბავშვო ჟურნალების მუშაობაზე, საღამოს კი, რუსთაველის სახელობის თეატრში — გიორგი ქუჩიშვილის დაბადების მე-60 და მოღვაწეობის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

12.9. — მოეწყო სომეხი პოეტების გეღამ სარიანისა და გურ-გენ ბორიანის შემოქმედების საღამო.

18.11. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაი-მართა ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალების მე-100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

* * *

ნოემბრის დამდეგს თბილისს ესტუმრნენ ლიტველი მწერლები იოზას პაუკშტელისი, ანტანას ვენუოლისი, ალბინას ჟუკაუსკასი და რუსი ლევ დლიგაჩი. მწერალთა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ლიტვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პეტრას ცვირკა, მოეწყო ლიტველ მწერალთა შეხვედრა ქართველ თანამოკალმეებთან.

27.11 — ქართველი მწერლების შეხვედრა პოლონელ მწერლებთან.

* * *

1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს პოეტი და მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი.

ალიო მირცხულავა[268] ინიშნება „საქლიტფონდის" დირექტორად (1946—1948).

წლის დასაწყისიდან ელიოზ ბეკოევი არჩეულ იქნა სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივნად (1946—1949).

---

[268] 1947 წლიდან პოეტი ფსევდონიმ „ეაშაშვილის" ნაცვლად თავის ნაწარნოებებს ნამდვილ ვეარს აწერს. ამის თაობაზე იგი წერს ლექსს — „გამოთხოვება ფსევდონიმთან" (1947).

1947

20.1. — გარდაიცვალა პოეტი გიორგი ქუჩიშვილი (დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

1947 წლის იანვარში ისევ შეიქმნა საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული კომისია, რომელშიც შეიდნენ: პავლე ანტოკოლსკი, ვიქტორ გოლცევი (თავმჯდომარე), ვლადიმერ დერჟავინი, სემიონ ევგენოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ალექსანდრე კოჩეტკოვი, გიორგი ლომიძე, გიორგი მდივანი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსანდრე ფევრალსკი (თავმჯდომარის მოადგილე), სერგეი შერვინსკი [269].

ამავე წელს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ დაიწყო ზრუნვა ომის წლებში შეწყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან [270].

[illegible]ერა თქმა უნდა, არც მეზობელი რესპუბლიკების მწერლები რჩებოდნენ ყურადღების გარეშე — 13 თებერვალს საქართველოს მწერალთა კავშირში მოეწყო შეხვედრა სომეხ მწერალ ნაირი ზარიანთან, ხოლო 12 მაისს — სილვა კაპუტიკიანთან.

23—24 მარტს გამართულ დისკუსიაზე მოხსენებით — „1946 წელი ქართულ ლიტერატურაში" გამოვიდა ბესო ჟღენტი.

პრეზიდიუმის მიერ განხილული საკითხებიდან შეიძლება გამოიყოს რუსულ და აფხაზურ პოეზიათა (1947. 7.1. და 16.1.) და ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიების შედგენა-გამოცემა (18.2, 4.3. და სხვა სხდომებზე), ალექსანდრე ფადეევის რომანის „მოლოდაია გვარდიას" ქართული თარგმანის (მთარგმნელი პოლიო აბრამია, მომხსენ. კონსტანტინე ლორთქიფანიძე) ბეჭდვა (21.1.).

აპრილიდან გიორგი კაჭახიძე ინიშნება ჟურნალ „პიონერის" რედაქტორად (1947—1952).

პრეზიდიუმმა მრავალჯერ განიხილა ახალგაზრდა მწერლების საკითხი. მწერლობის ახალ თაობაზე ზრუნვის შედეგად 1947 წლის

---

269 ლბცსა, 3—1—1112.

270 ლბცსა, 3—1—1114.

17—19 მაისს თბილისში ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა კონფერენცია, რომელმაც თავი მოუყარა და გამოაჩინა ქართული მწერლობის ახალი ცვლა: ამირან აბშილავა, ხუტა ბერულავა, ვასო გვეტაძე, ვახტანგ გორგანელი, ელენე დიდიმამიშვილი, მამია ვარშანიძე, მურმან ლებანიძე, კარპე მუშლაძე, გიორგი სალუქვაძე, ლაღო სულაბერიძე, არჩილ სულაკაური, შალვა ფორჩხიძე, მიხეილ ქვლივიძე, ემელიან ქურდიანი, ოთარ ჩხეიძე, ოთარ ჭელიძე, ფრიდონ ხალვაში; აფხაზი ივანე თარბა, ოსი რევაზ ასაევი, სომეხი ბენიკ სეირანიანი.

ამ კონფერენციის შემდეგ პრეზიდიუმმა შეჰქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ფართოდ უნდა გაეშალა მუშაობა ახალგაზრდა მწერლებს შორის — ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია.

მოსკოვში, ახალგაზრდა მწერალთა პირველ საკავშირო თათბირში მონაწილეობა მიიღეს რევაზ მარგიანმა და იოსებ ნონეშვილმა.

2 ივნისს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა რუსული საბჭოთა პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ პავლე ანტოკოლსკი, ალექსანდრე მეჟიროვი, და ქართველი პოეტები ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვიქტორ გაბესკირია, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი.

7 ივნისს გამოქვეყნებული დადგენილებით 1946 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა სიმონ ჩიქოვანს პოემისათვის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და ლექსებისათვის „ვინა სოქვა“, „ქართლის საღამოები“, „გამარჯვების დღესასწაული“ და „ბორი“.

10.6. გაიმართა ნიკოლოზ ტიხონოვის შემოქმედებითი საღამო.

5—7 სექტემბერს გამგეობის პლენუმმა[271] მოისმინა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სიმონ ჩიქოვანის ვრცელი ნოხსენება „ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ პარტიის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ“ (აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის ხუხუტი ბღაჟბას თანამოხსენება ამავე საკითხზე). მოხსენებაში აღინიშნა, რომ ამ დადგენილებამ გამაჯანსაღებელი გავლენა იქონია ქართულ მწერლობაზე, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა უიდეობის განწყობილებებს. მოხსენებაში დაწვრილებით იყო ლაპარაკი: ა) მწერალთა შემოქმედებით მიკლინებებზე, ბ) მწერალთა კავშირის ჟურნალისა და გაზეთის რედაქციებისა და პრეზიდიუმის მუშაობაზე, გ) ახალ

[271] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 34, 35; 36 ,37.

დრამატურგიულ ნაწარმოებებზე (აღინიშნა რამდენადმე წინსვლა დრამატურგიისა), დ) მხატვრული პროზის გარკვეულ აღმავლობაზე (ამასთან გააკრიტიკეს კონსტანტინე გამსახურდიას ნარკვევი კოლხეთზე — მწერლის შორეული ისტორიული ასოციაციების ნისლითაა დაჩრდილულიო), ხოლო შემდეგ მხატვრული პროზიდან განხილული იყო ჟანრების მიხედვით. ითქვა, რომ პოეტები, რომლებიც სამამულო ომის დროს უდიდესი ნაყოფიერებით მუშაობდნენ, ახლა არ იჩენენ საჭირო შემოქმედებითი აქტივობას. განსაკუთრებით არა ჩანსო ეპიკური პოეტური ნაწარმოებები — ომის შემდგომ ცხოვრებაზე.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი პეტრე შარია, რომელმაც პრეზიდიუმის მუშაობის ნაკლად ჩაითვალა ის, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა გეგმიურობას (რის შედეგად მწერალთა კავშირის სექციები არ ცხოვრობენ სისხლჭარბი შემოქმედებითი ცხოვრებითო) და მწერალთა შორის აღმზრდელობით მუშაობას. მან გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლა ამ პლენუმზე [272] და აღნიშნა: ჩვენი მწერლობის მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა საბჭოთა ლიტერატურაში აღმოიფხვრას დეკადენტური სკოლების ნაშთები.

კონსტანტინე გამსახურდიამ მიიღო კრიტიკა, რის შესახებ განცხადებაც კი გამოაქვეყნა [273].

1947 წელს კიდევ ერთ პლენუმზე შეიკრიბნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

4—5 ნოემბერს გამართულ მესამე პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავს, გიორგი სტურუას გამოსვლის („ოქტომბერი და საქართველო") შემდეგ ერთგვარად შეჯამდა ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ განვლილი გზა ქართული საბჭოთა პოეზიის (მომხსენებელი დიმიტრი ბენაშვილი), პროზის (ბესო ჟღენტი), დრამატურგიის (შალვა აფხაიძე), საბავშვო ლიტერატურის (ნინო ნაკაშიძე). ლიტერატურათმცოდნეობისა და სალიტერატურო კრიტიკის (შალვა რადიანი) და მწერლობის ახალი კადრების (კონსტანტინე ჭიჭინაძე) შესახებ გაკეთებულ მოხსენებებში [274].

---

[272] პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ვასო ბეგიზოვი (სამხრეთ ოსეთი), აკაკი ბელიაშვილი, აკაკი გაწერელია, ბონდო [illegible], [illegible] კლდიაშვილი, იაკინთე ლისაშვილი, პარმენ ლორია, ნინო ნაკაშიძე, გიორგი სამხარაძე, ილია სიხარულიძე, ლადო სულაბერიძე და სხვ.

[273] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1947, № 35.

[274] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1947, № 42—43.

20.9. — თბილისში ჩამოვიდნენ ჩეხი მწერლები, 23 სექტემბერს ისინი შეხვდნენ ქართველ თანამოკალმეებს.

6.11. — სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ალექსი გომიაშვილი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის, ხოლო გიორგი ნატროშვილი — სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.

1.12. — ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავის აღნიშვნის შემდეგ ყვარელში გაიხსნა მწერლის სახლ-მუზეუმი.

1947 წელს საქართველოს სსრ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს მწერლები ილო მოსაშვილი და სიმონ ჩიქოვანი.

თბილისის უნივერსიტეტში შექმნილ სტუდენტთა ლიტერატურულ წრეს სათავეში ჩაუდგა კრიტიკოსი ბესო ჟღენტი.

1948

პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილმა (21.2—1.3) ბრიგადამ (კარლო კალაძე — თავმჯდომარე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, ვანო წულუკიძე) შეისწავლა სამხრეთ ოსეთის განყოფილების საქმიანობა.

კვლავ მოეწყო დისკუსია წინა წლის ქართული მხატვრული ლიტერატურის შესახებ (23—24.1). გიორგი ნატროშვილის მოხსენებაში აღინიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით 1947 წელს ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო ქართველი ბელეტრისტების მუშაობა. ყველაზე მეტად 1947 წელს შექმნილ და გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებებში გამოჩნდა ჩვენი ხალხის ომისდროინდელი და ომისშემდგომი ცხოვრება; ქართული მწერლობის გააქტიურება, მისი შემოქმედებითი ნაყოფიერება, მისი შემობრუნება თანამედროვეობისაკენ იმითაც უნდა აიხსნას, რომ 1947 წელს უფრო ორგანიზებულად, უფრო გეგმიანად და ოპერატიულად მუშაობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, მისი პრეზიდიუმი, მწერალთა კავშირის სექციები.

დისკუსიაზე სიტყვები წარმოთქვეს სიმონ ჩიქოვანმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, დემნა შენგელაიამ, ბესო ჟღენტმა, გრიგოლ ბერძენიშვილმა, სერგო ჭილაიამ და ვანო წულუკიძემ.

თებერვალში გადახალისდა წინა წელს შექმნილი ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია. ამის გამო ისაუბრეს ახალგაზრდა მწერლების თათბირზე მწერალთა კავშირის მდივანმა ალექსი გომიაშვილმა და ამ კომისიის ახლადდანიშნულმა ხელმძღვანელმა გიორგი შატბერაშვილმა [275].

თებერვალშივე მწერალთა კლუბში მწერლები შეხვდნენ კომპოზიტორებსა და ესტრადის მსახიობებს, იქვე გაიმართა საბჭოთა არმიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, ხოლო რუსთაველის სახელობის თეატრში აღინიშნა ნინო ნაკაშიძის დაბადების 75-ე წლისთავი.

22—24 აპრილს გამართული მწერალთა კავშირის გამგეობის

---

[275] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1948, № 4.

მორიგი პლენუმის[276] მსჯელობის საგანი იყო ქართული მწერლობის მაშინდელი ვითარება და მისი ამოცანები, რის შესახებაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიში, განხილული იყო ქართული მწერლობის ბოლო წლების მიღწევები, დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში კლასიკური ქართული მწერლობის შეფასების სისწორის საკითხს, განსაკუთრებით კი დეკადენტური სკოლების რეციდივებს ქართულ მხატვრულ პროზაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა სსრკ მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილემ ნიკოლოზ ტიხონოვმა.

პლენუმის ანგარიშში ნათქვამი იყო: „ვინაიდან გაურბოდა პრეზიდიუმში კოლეგიურ მუშაობას, არ ესწრებოდა პრეზიდიუმის სხდომებს და არ ღებულობდა პრეზიდიუმის წევრისთვის შესაფერის მონაწილეობას საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე იმისათვის, რომ როგორც საჯარო გამოსვლებში, ისე პრესაში დაბეჭდილი წერილებით დაამტკიცა, რომ მისი თვალსაზრისი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება იმ ხაზს, რომელსაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა უნდა ატარებდეს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს ისტორიული დადგენილების შემდეგ, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია პლენუმმა გამოიყვანა პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.

პლენუმმა პრეზიდიუმში აირჩია შალვა დადიანი.

შემდეგი, მეხუთე პლენუმი, რომელიც სამ დღეს (29.9.—1.10) მიმდინარეობდა, ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების მე-100 წლისთავს ეძღვნა. იგი ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა მეწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა. პლენუმმა მოისმინა გიორგი ჯიბლაძის („ალ. ყაზბეგი და თანამედროვეობა"), გიორგი ნატროშვილის („ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ალ. გაზბეგის შემოქმედებაში"), ალექსი გომიაშვილის („ალ. ყაზბეგი და ხალხური ზეპირსიტყვიერება"), შოთა ძიძიგურის („ალ. ყაზბეგის ენობრივი თავისებურება"), დიმიტრი ბენაშვილის („ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა"), ბესო ჟღენტის („ალ. ყაზბეგი ქართულ კრიტიკაში"), იოსებ გრიშაშვილის („ალ. ყაზბეგი როგორც პოეტი და დრამატურგი") მოხსენებები[277].

---

[276] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1948, № 19, 20, 21.

[277] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1948, №№ 39, 40.

საიუბილეო პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სტუმრები — ჩეხი მწერალი ქალი მარია პუიმანოვა, ნიკოლოზ ზაბოლოცკი (მოსკოვიდან), ალექსანდრე ილჩენკო და დიმიტრი ბელოუსი (უკრაინიდან), ფრიცის როკპელნისი (ლატვიიდან), მირ-ჯალალი, ა. აბულჰასანი და ბახტირ ვაჰაბზადე (აზერბაიჯანიდან), დაბე მამსუროვი, გიორგი კაიტუკოვი, და ურდიმაზოვი (ჩრდილოეთ ოსეთიდან).

2.10. — გაიმართა ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

წლის ბოლოს, 8—10 დეკემბერს გაიმართა გამგეობის კიდევ ერთი პლენუმი[278]. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ პლენუმი მთლიანად დრამატურგიის საკითხებს ეძღვნა. ვრცელი მოხსენებით — „თანამედროვეობა ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში" — გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანმა როსტომ შადურმა.

მოხსენებასა და გამოსვლებში საკავშირო კომპარტიის ცკ-ის 1946 წლის 26 აგვისტოს დადგენილების — „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" — შუქზე განხილული იყო ქართული დრამატურგიის მიღწევები და ნაკლი.

მწერალთა კავშირის მიერ 1948 წელს ჩატარებულ სხვა ღონისძიებათაგან აღვნიშნავთ შემდეგს:

ივლისში მწერალთა კლუბში მოისმინეს ლმიტრო კოსარიკის მოხსენება დავით გურამიშვილის ახალი მასალების ირგვლივ (პოეტის საფლავის აღმოჩენა ქ. მირგოროდში).

პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის მიერ გაწეული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ 3 ნოემბერს გაიმართა ახალგაზრდა პროზაიკოსთა თათბირი, რომელიც ძირითადად მიეძღვნა 1949 წელს გამოსაცემად განზრახული ახალგაზრდა ბელეტრისტების კრებულისათვის მასალათა მომზადებას. ახალგაზრდა მწერლებს ესაუბრა სიმონ ჩიქოვანი.

დეკემბერში საქართველოში სტუმრად იყო ბრაზილიელი მწერალი ჟორჟი ამადუ. მან იმოგზაურა გორში, 23 დეკემბერს მწერალთა კავშირში შეხვდა და ესაუბრა ქართველ მწერლებს.

---

[278] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1948, № 49, 51.

ამას გარდა, 1948 წლის მაისში აღინიშნა უზბეკი ხალხის დიდი პოეტის ალიშერ ნავოის დაბადების მე-500, ივნისში — დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის დაბადების მე-100, სექტემბერში კი — სომეხი კლასიკოსის ხაჩატურ აბოვიანის დაბადების მე-100 წლისთავები.

1.8. — დაბა სურამში, სახლს, სადაც ცხოვრობდა უკრაინელი მწერალი ქალი ლესია უკრაინკა, გაუკეთდა მემორიალური დაფა.

დეკემბერში სოფ. დიდ ჯიხაიშში გაიხსნა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

1948 წელს (17.8.) ივანე თარბა არჩეულ იქნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად (1948—1956).

1949

წლის დასაწყისში 7—8 თებერვალს გაიმართა თათბირი[279] კრიტიკის საკითხებზე. მწერლებმა და მათთან ერთად თეატრის რეჟისორებმა, მსახიობებმა განიხილეს გაზ. „პრავდის“ 1949 წლის 28 იანვრის სარედაქციო წერილი — „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

25 თებერვალს მწერალთა აქტივის კრებამ განიხილა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველთა მიმართვა ქართველი მწერლებისადმი მხატვრულ მწერლობაში ქალაქ თბილისის ცხოვრების ღირსეულად ასახვის თაობაზე. კამათში გამოსულებმა აღნიშნეს საქართველოს დედაქალაქის, საერთოდ ქალაქის ცხოვრების სუსტი ასახვა მწერლობაში. იმსჯელეს ამ ჩამორჩენის გამოსწორების გზებზე[280].

1949 წელს (26.3.—1.4) წინა წლის მხატვრული ლიტერატურის შეფასებას დისკუსიების ნაცვლად პლენუმი ეძღვნა[281]. მოხსენებებით გამოვიდნენ პოეზიის შესახებ კარლო კალაძე, პროზაზე — დემნა შენგელაია, დრამატურგიაზე — იონა ვაკელი, საბავშვო ლიტერატურაზე — მარიჯანი (მარიამ ალექსიძე), ლიტერატურათმცოდნეობისა და სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე — ალექსი გომიაშვილი. კამათში გამოსულებმა (მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა მწერალმა) აღნიშნეს (კარლო კალაძემ) ფორმალისტურ-დეკადენტური რეციდივები, პროზის შემდგომი განვითარების აუცილებლობა (დემნა შენგელაიამ), უცხოეთისადმი ქედმოხრის მაგალითები (ალექსი გომიაშვილმა).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი როსტომ შადური.

ამ წელს კიდევ ორი პლენუმი გაიმართა: ერთმა (11—12.10.) ჟურნ. „მნათობისა“ (მომხსენ. პ/მგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თანამომხსენებელი შალვა აფხაიძე) და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ (მომხსენებელი პ/მგებელი რედაქტორი

---

[279] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 7, 8.
[280] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 10.
[281] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 14, 15.

გიორგი ნატროშვილი, თანამომხსენებელი — გრიგოლ აბაშიძე) რედაქციების მუშაობა შეაფასა[282], მეორე კი (გორი, 21—22.12.) საიუბილეო იყო — ი. ბ. სტალინის დაბადების 70-ე წლისთავს ეძღვნა.

ამ პლენუმზე წაკითხულ მოხსენებებში ლაპარაკი იყო ი. ბ. სტალინის სახის ასახვაზე ქართულ (მომხ. ალექსი გომიაშვილი), რუსულ და სხვა მშობელ ხალხთა (ბესო ჟღენტი), დემოკრატიული ქვეყნების (ირაკლი აბაშიძე) მწერლობაში. გარდა ქართველი მწერლებისა, პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რუსმა პოეტმა ალექსანდრე ჟაროვმა, უკრაინელმა მიკოლა ბაჟანმა, სომეხმა მწერლებმა გარეგინ სევუნცმა, გელამ საროიანმა, დავითიანმა, აზერბაიჯანელმა თალიათმა.

1949 წლის აპრილის დადგენილებით 1948 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა სანდრო შანშიაშვილს პიესებისათვის „არსენა", „კრწანისის გმირები" და „იმერეთის ღამეები" და გიორგი ლეონიძეს კინოფილმ „ჯურღაის ფარის" სცენარისათვის, გიორგი გულიას რომანისათვის „გაზაფხული საკენში".

17 ივნისს მწერალთა საერთო კრებაზე ვრცელი მოხსენებით „ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომი აღმავლობისათვის" („საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1949 წ. 27 მაისის დადგენილება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ"), გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი როსტომ შადური. მოხსენებაში[283] დაწვრილებით იყო ლაპარაკი მწერლების მიერ ცხოვრების ღრმად შესწავლაზე, ნიჭისა და შრომის მაღალ კულტურაზე, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, პრეზიდიუმისა და ბეჭდვითი ორგანოების მუშაობაზე, მწერლის მოქალაქეობრივ სახეზე, საბჭოთა მწერლობის თემატიკაზე.

აგვისტოში ქ. მირგოროდში, დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით, უკრაინაში გაემგზავრნენ ალექსანდრე ბარამიძე, კარლო კალაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ბესო ჟღენტი და სანდრო შანშიაშვილი.

აგვისტოში საქართველოში იყვნენ კუბელი პოეტები ნიკოლას გილიენი და ხუან მარინელო.

29.10 — სოფ. ზედა სიმონეთში გაიხსნა დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი.

---

[282] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1949, № 41, 42.
[283] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1949, № 24, 25.

ნოემბერში ქართველ მწერლებს ესტუმრა და დავით გურამიშვილის „დავითიანის“ უკრაინულ ენაზე თარგმნის თაობაზე ესაუბრა პოეტი მიკოლა ბაჟანი.

ამ წელს პრეზიდიუმის მიერ განხილული საკითხებიდან აღვნიშნავთ კიდევ რამდენიმეს: 16 ივნისს პრეზიდიუმმა შექმნა მწერალთა კავშირის კინოკომისია (თავმჯდომარე — სიმონ ჩიქოვანი, მოადგილეები — აკაკი ბელიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი), ხოლო 22 ნოემბრისა და მომდევნო სხდომებზე იმსჯელა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შედგენის თაობაზე.

1949 წელს გამართული საღამოებიდან გამოვყოფთ შემდეგს: გაიმართა დიმიტრი გულიას დაბადების 75-ე წლისთავისა (5.5.) და ალექსანდრე პუშკინის დაბადების 150-ე წლისთავისადმი (6.6. თბილისის ოპერის თეატრში), ონორე ბალზაკის დაბადების 150-ე (2.7.), ი. ვ. გოეთეს დაბადების მე-200 (12.9.), ილია სიხარულიძის დაბადების მე-60 წლისთავების აღსანიშნავი იუბილეები, ნიკოლოზ ზაბოლოცკის თარგმანების (ვაჟა-ფშაველადან) განხილვის (4.10.), ივანე თარბასა (17.10) და ალექსანდრე მეჟიროვის (18.10.) შემოქმედების საღამოები.

* *

1949 წელს რევაზ ასაევი აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად (1949—1954).

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვიდა ანთოლოგია „საქართველოს პოეზია“, ჩეხოსლოვაკიაში კი სლოვაკურ ენაზე — ქართული პოეზიის ანთოლოგია „მერანი“.

1950

16.1. — გაიმართა ეგნატე ნინოშვილის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მეორე დღეს სოფ. არჩეულში (ლანჩხუთის რ-ნი) გაიხსნა მწერლის სახლ-მუზეუმი.

3.4. — ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართა გიორგი ლეონიძის დაბადების 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

27—29 აპრილს ჩატარდა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი[284], რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1) საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის მე-13 პლენუმის (1950. 25.1—2.2) შედეგები. (ძირითადში ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ ალექსანდრე ფადეევის მოხსენების მიხედვით) — მომხსენებელი სიმონ ჩიქოვანი; 2) თეატრების, თვითმოქმედი დრამატული წრეებისა და ესტრადის რეპერტუარის შექმნისათვის მწერალთა კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — მომხსენებელი ალექსი გომიაშვილი.

პირველმა მომხსენებელმა ილაპარაკა ქართული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევებზე კოსმოპოლიტური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში, ორივე მოხსენებამ გამოიწვია ცხარე კამათი, რომელშიც, გარდა ქართველი მწერლებისა, მონაწილეობა მიიღო რუსმა კრიტიკოსმა ვიქტორ გოლცევმა.

14 მარტს პრეზიდიუმმა იმსჯელა მწერლობის მომავალ თაობაზე და ამას მოყვა ახალგაზრდა მწერლების კონფერენციის[285] ჩატარება ამავე წლის 29.5.—1.6. მოხსენება ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაზე წაიკითხა ოთარ ჩხეიძემ, ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაზე — ზურაბ ჭუმბურიძემ. ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დემნა შენგელაიამ, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა. იმჟამად თბილისში მყოფმა რუსმა პოეტმა სემიონ გუძენკომ და სხვ. განხილვის გარდა იმართებოდა სექციურ-ლაბორატორიული მუშაობა.

---

[284] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950, № 19, 20.
[285] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950, № 24.

ამ კონფერენციამ თავი მოუყარა და გამოაჩინა ქართული მწერლობის კიდევ ერთი ახალი თაობა: თენგიზ ბუაჩიძე, თენგიზ გოგოლაძე, ნოდარ გურეშიძე, ნოდარ დუმბაძე, დოდო ვადაჭკორია, მაგალი თოდუა, რევაზ ინანიშვილი, მედეა კახიძე, მუხრან მაჭავარიანი, სამუელ მოძღვრიშვილი, ლადო მრელაშვილი, ზურაბ ნაყოფია, შოთა ნიშნიანიძე, შალვა ტოგონიძე, ედიშერ ყიფიანი, სიმონ შამფრიანი, თამაზ ჩხენკელი, გიორგი ხუხაშვილი.

8.8. — მოეწყო მიკოლა ბაჟანის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი დავით გურამიშვილის „დავითიანის" კითხვა-განხილვა.

როგორც ვიცით, მესამე ყრილობის მიერ შექმნილმა გამგეობამ თავის თავმჯდომარედ აირჩია სიმონ ჩიქოვანი, პასუხისმგებელ მდივნად — ალექსი გომიაშვილი, ამგვარად მწერალთა კავშირს სათავეში ედგა ორი პოეტი.

იმ პერიოდში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის, გამგეობის, მთელი ლიტერატურული საზოგადოებრიობის საზრუნავი იყო ქართული პროზის ერთგვარი ჩამორჩენილობა (გავიხსენოთ, რომ 1948 წლის 3 ნოემბერს გაიმართა ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონფერენცია. ზემოთნახსენებ ახალგაზრდა მწერლების 1950 წლის კონფერენციაზეც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროზას).

პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია პროზის დარგში მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება და სწორედ ამ მიზნით 1950 წლის 7 ივნისის სხდომაზე გადაწყდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში ერთი პროზაიკოსის შეყვანა: ალექსი გომიაშვილის ნაცვლად პ/მგებელ მდივნად აირჩიეს და პრეზიდიუმში შეიყვანეს ოთარ ჩხეიძე.

პრეზიდიუმის წევრებს შორის ფუნქციები ასე იყო განაწილებული (1951. 23.1.): სიმონ ჩიქოვანი — საერთო ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია; ოთარ ჩხეიძე — ფინანსები, აპარატი, საბავშვო სექცია; ილო მოსაშვილი — დრამატურგთა სექცია; გიორგი ლეონიძე — კინოდრამატურგთა სექცია; გიორგი ნატროშვილი — კრიტიკოსთა სექცია; ლეო ქიაჩელი — პროზაიკოსთა სექცია.

ივლისის დასაწყისში მწერლებმა ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე [286].

3 ივლისს საქართველოს ეწვია რუმინელ მწერალთა დელეგაცია — მიხაი ბენიუკი, მარია ბანუში, დან დაშლიუ, ჯედე ბიგზა, მიხეილ დავითოგლუ, ნ. იგნატი. 5 ივლისს ქართველი მწერ-

---

[230] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950, № 28.

ლები შეხვდნენ მათ. დეკემბერში კი თბილისში იყვნენ უნგრელი მწერლები.

1950 წელს მწერალთა კავშირში გაიმართა ორი რუსი პოეტის სემიონ გუძენკოს (11.5.) და მიხეილ ლუკონინის (23.10.) შემოქმედების საღამო.

1950 წლის მარტის დადგენილებით 1949 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა იოსებ გრიშაშვილს (ერთტომეულისათვის).

სსრკ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქართველ მწერალთაგან აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი.

კარლო კალაძე დაინიშნა ჟურნ. „ნიანგის“ რედაქტორად (1950—1955).

1951

1951 წელს გრძელდება პრეზიდიუმის დაინტერესებულობა მწერლობის ახალი თაობის მომზადებით:

3.1. — პრეზიდიუმმა მოისმინა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის ანგარიში.

2.8. — განიხილა საქართველოს ალკკ ცკ-ის და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 26 ივნისის დადგენილება ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე და იმსჯელა ამ საკითხზე.

29.12. — ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული საღამო.

1951 წელს პრეზიდიუმის მიერ განხილულ საკითხთაგან კიდევ შეიძლება გამოიყოს: საბავშვო-ლიტერატურის სექციის (23.1.), მწერალთა კლუბისა და მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს ანგარიშების მოსმენა (13.2. და 23.3.), ჩეხურ ენაზე ქართული პროზის ანთოლოგიის გამოცემის მასალებისა და პროექტის განხილვა (9.3; 16.3; 27,3), აჭარის, აფხაზეთის და ს/ოსეთის განყოფილებების საქმიანობის გამოკვლევის შედეგები (8—10.5.) [287], მხატვრული ლიტერატურის თარგმანის გაუმჯობესების ღონისძიებები (დემნა შენგელაიას ვრცელი მოხსენება) და ქართულად სათარგმნი ლიტერატურის საორიენტაციო გეგმის დამტკიცება (8—10.5.), ჟურნალ „მნათობის" რედაქციის მუშაობა (22.11.).

9—11 აპრილს მოეწყო ტრადიციადქცეული დისკუსია წინა წლის მხატვრული პროდუქციის განსახილველ-შესაფასებლად, მაგრამ ამჯერად, გამგეობისა და პრეზიდიუმის მიერ პროზაზე ყურადღების გამახვილების შესაბამისად, გიორგი ნატროშვილის მოხსენების თემა იყო „1950 წლის ქართული პროზა", ხოლო დემნა შენგელაიას მოხსენებისა — „ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედება". [288].

---

[287] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, № 21.
[288] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, № 18.

1951 წელს ჩატარდა გამგეობის ოთხი პლენუმი.

წლის დასაწყისში, 22—23 თებერვალს, პლენუმმა[289] იმსჯელა თბილისის XX პარტკონფერენციის[290] შედეგებსა და ქართველი მწერლების ამოცანებზე (მომხს. სიმონ ჩიქოვანი). სიტყვით გამოვიდა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი გიორგი ჯიბლაძე, რომელმაც გააკრიტიკა სიმონ ჩიქოვანი ენობრივი ჩაკარდნების, სიტყვების უმართებულო ხმარების, გაუგებარი და სუმბურული გამოთქმებისათვის. გააკრიტიკა აგრეთვე მისი გამოსვლა პარტიის თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენციაზე და მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე — თვითკრიტიკული არ იყო.

ამ პლენუმზე შეიცვალა გამგეობის ხელმძღვანელობა: განთავისუფლებულ სიმონ ჩიქოვანისა და ოთარ ჩხეიძის ნაცვლად თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ლეონიძე, პასუხისმგებელ მდივნად — სერგი ჭილაია (რომელიც შეიყვანეს პრეზიდიუმის შემადგენლობაში). პირველი ამ თანამდებობაზე 1953 წლამდე, ხოლო გამგეობის მდივნად 1957 წლამდე იყო, სერგი ჭილაია კი მდივნად მუშაობდა 1973 წლამდე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კპ ცკ-ის მდივანი როსტომ შადური.

თებერვალში საქართველოში ჩატარდა ლესია უკრაინკის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი დღეები. 27 თებერვალს მწერალთა კავშირში გაიმართა საიუბილეო საღამო, ხოლო 28-ში სურამში — მწერალთა კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმი[291].

ლესია უკრაინკის დღეებში მონაწილეობდნენ უკრაინელი მწერლები ოლეგ ბაბიშკინი, მიკოლა ბაჟანი, პლატონ ვორონკო, დმიტრო კოსარიკი, იაროსლავ შპორტა.

25 სექტემბერს გამგეობამ იმსჯელა[292] (კონსტანტინე გამსახურდია, ალექსი გომიაშვილი, შალვა დადიანი, ნინო ნაკაშიძე, ბესო ჟღენტი, შალვა რადიანი) პრეზიდიუმის დადგენილებათა შესრულების შემოწმებისა და სამუშაო გეგმების განხილვის შესახებ (მომხსენებლები: სერგი ჭილაია, ერემია ქარელიშვილი).

---

[289] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, № 8, 11.

[290] XX კონფერენციაზე 1951 წ. 10 იანვარს საქ. კპ ცკ-ის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ქართული სალიტერატურო ენის საკითხებს, გაკრიტიკებულ იქნა ვაჟა-ფშაველას ენა, ენის საკითხში გაკრიტიკებულ იქნენ აგრეთვე გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, № 2.

[291] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, № 9.

[292] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, № 39.

ამავე სხდომაზე განიხილეს რევაზ ჯაფარიძის რომანის „ხევის პატარძალის“ ახალი ვარიანტი (მომხსენებელი აკაკი ბელიაშვილი, კამათში — სიმონ ჩიქოვანი, დიმიტრი ბენაშვილი, ბესო ჟღენტი, ლეო ქიაჩელი, ვანო წულუკიძე, სერგი ჭილაია).

პრეზიდიუმი და გამგეობა დაინტერესდა კინოდრამატურგიითა და ქართული მხატვრული ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნის მდგომარეობით. ამ საკითხების შესწავლის შემდეგ მათზე იმსჯელა გამგეობის პლენუმმა 10—15 ოქტომბერს [293].

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრის გ. კიკნაძის მოხსენება.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ხშირად წარმოებაში უშვებენ სუსტ სცენარებს (ნატო ვაჩნაძე); რომ მწერლები არ ჰკიდებენ ხელს სცენარების შექმნას და ამის ერთ-ერთი მიზეზია უწყებრივი ბარიერები სცენარის შემქმნელ მწერალსა და სცენარის დასადგმელად მიღებას შორის (კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ მრევლიშვილი, სერგი ჭილაია), არაჯანსაღი შემოქმედებითი ურთიერთობა მწერლებსა და კინოსტუდიას შორის — ხშირად კინორეჟისორები ლექციას უკითხავენ მწერლებს (აკაკი ბელიაშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია). გარდა დასახელებულებისა, ამ საკითხზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ლევან ასათიანი, შალვა აფაქიძე, აკაკი ვასაძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, ბესო ჟღენტი, ნიკოლოზ სანიშვილი, ალექსანდრე შტეინი.

მეორე საკითხის განხილვის დაწყებისას გიორგი ლეონიძემ თქვა: „დღემდე თარგმანი უმთავრესად პწკარედის საშუალებით ხდებოდა. დროა ამ ეტაპს გავშორდეთ, ჩვენ უნდა მოვამზადოთ დედნის ენის მცოდნე მთარგმნელთა კადრი, ხოლო ვიდრე ეს არ მომხდარა, უნდა გავაუმჯობესოთ პწკარედის ხარისხი, იგი ნამდვილ მეცნიერულ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ“.

პლენუმმა მოისმინა მოხსენებები: „ქართული პოეზია რუსულ ენაზე“, (კონსტანტინე ჭიჭინაძე), „ქართული პროზა რუსულ ენაზე (დემნა შენგელაია), „ქართული დრამატურგია რუსულ ენაზე“ (მიხეილ მრევლიშვილი). საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ალექსანდრე ბარამიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გივი გაჩეჩილაძემ, ვიქტორ გოლცევმა, ა. დეევმა, ჟურნ. „ზვეზდის“ რედაქტორმა ვალერი დრუზინმა, გიორგი ლეონიძემ, გიორგი

---

[293] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 40, 42, 43.

მარგველაშვილმა, მარიჯანმა, ნინო ნაკაშიძემ, ელენე ღოღობერიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ნატო ჩხეიძემ, ვანო წულუკიძემ, სერგი ჭილაიამ.

* * *

1951 წელს ჩატარებული სხვა ღონისძიებებიდან, მოვლენებიდან, ფაქტებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

18.2. — საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქნენ მწერლები გიორგი ლეონიძე და ილო მოსაშვილი, აგრეთვე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გიორგი ჯიბლაძე.

1951 წლის მარტის დადგენილებით 1950 წლის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ გრიგოლ აბაშიძეს ლექსების ციკლებისათვის — „ლენინი სამგორში“ , „სამხრეთ საზღვარზე“ და ილო მოსაშვილს პიესისათვის — „ჩაძირული ქვები“.

27.3. — გაიმართა სახელმწიფო პრემიის ლაურეატების გრიგოლ აბაშიძისა და ილო მოსაშვილის ლიტერატურული საღამო.

24.4. — მოეწყო დავით კლდიაშვილის ხსოვნის საღამო.

28.4 — მოეწყო შეხვედრა ახალგაზრდა მწერალთა მეორე საკავშირო თათბირის მონაწილეებთან. მოხსენებით „ახალგაზრდა მწერალთა მეორე საკავშირო თათბირი და მისი შედეგები“ გამოვიდა თათბირის მონაწილე ოთარ ჭელიძე. მწერალთა ახალი თაობის შესახებ ილაპარაკეს შალვა დადიანმა და გიორგი ლეონიძემ. სიტყვებითა და საკუთარ ნაწარმოებთა კითხვით გამოვიდნენ თათბირის მონაწილეები თენგიზ გოგოლაძე, ანა კალანდაძე და არჩილ სულაკაური.

მაისი — გარდაიცვალა ანასტასია ერისთავი-ხოშტარია (1.5. დაკრძალულია დიდუბეში), საგურამოში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (27.5. მანამდე ერთხანს იქ მწერალთა შემოქმედებითი სახლი იყო), გაიმართა აკოპ აკოპიანის დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავი (28.5), მაქსიმ გორკის ხსოვნის (16.6.), სილვა კაპუტიკიანის შემოქმედების (20.6.) საღამოები.

6—9.7. — მწერალთა საერთო კრებამ განიხილა „ახალი ქართული ენის ზოგიერთი საკითხები ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით“.

18.7. — თბილისს ესტუმრნენ ინდოელი მწერლები ხ. ჩატოფადხაიას ხელმძღვანელობით.

აგვისტოდან გამოსვლას იწყებს ილუსტრირებული ჟურნალი „დროშა“, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს მხატვრულ ლიტერატურას და რომლის პირველ რედაქტორად (1951. № 1—1960 № 10) ინიშნება გრიგოლ აბაშიძე.

18.9 — მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მწერალი ილო მოსაშვილი, კომიტეტში შევიდნენ აგრეთვე იოსებ გრიშაშვილი და შალვა დადიანი.

21.11. — გაიმართა ეკატერინე გაბაშვილის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

1—6.12. — თბილისში იმყოფებოდა ჩინეთის ლიტერატურის მოღვაწეთა დელეგაცია.

1951 წელს დასრულდა გალაკტიონ ტაბიძის შვიდტომეულის გამოცემა (1937—1951), ალექსი გომიაშვილი დაინიშნა საქლიტფონდის დირექტორად (1951—1963), ხოლო თეიმურაზ ჯანგულაშვილი — მწერალთა კლუბის დირექტორად (1951—1958).

1952

ამ წელს მწერალთა კავშირში მიღებულ იქნენ მიხეილ ალავიძე, კუკური გოგიაშვილი, თენგიზ გოგოლაძე, ვახტანგ გორგანელი, არჩილ გურჯიძე, მურმან ლებანიძე, პროკოფი რატიანი, შალვა ფორჩხიძე, ივანე ცხოვრებოვი, ფრიდონ ხალვაში, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, რევაზ ჯაფარიძე.

1952 წელს პრეზიდიუმზე განხილულ იქნა: საესტრადო რეპერტუარი (8.1.), გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ და საქლიტფონდის მუშაობა (15.1.), სამხრეთ ოსეთის განყოფილების საქმიანობა (12.2.), მწერალთა კლუბის მუშაობა და ქართული პროზის ანთოლოგიის ქართულად გამოცემა (1.4.), ჟურნალ „მნათობის“ მუშაობა (27.5.).

12.3. — მოეწყო შეხვედრა ოს მწერლებთან (კავკაზაგი — ილია კაჩმაზოვი, ილია პლიევი და სხვ.) თანამედროვე ოსურ ლიტერატურაზე მოხსენება წაიკითხა რევაზ ასაევმა.

მარტიდან რევაზ მარგიანი დაინიშნა ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორად (1952—1963).

დისკუსიებიდან გამოვყოფთ აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში (29.4. — 3.5, 7.5.) გამართულ ერცელ დისკუსიას წინა წლის პროზასა და პოეზიაზე (მომხს. კარლო კალაძე), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკაკი ბელიაშვილმა, კალე ბობოხიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, რაჟდენ გვეტაძემ, გივი გოგიჩაიშვილმა, სოლომონ თავაძემ, მარიჯანმა, მუხრან მაჭავარიანმა, იოსებ ნონეშვილმა, გიორგი ნატროშვილმა, ბესო ჟღენტმა, ვლადიმერ ტატიშვილმა, მიხეილ ქვლივიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა.

22.—23.5. — გაიმართა თათბირი დრამატურგიისადმი მიძღვნილი საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის მე-14 პლენუმის მოწვევასთან დაკავშირებით. სიტყვა წარმოთქვა ალექსი სურკოვმა.

ორი დისკუსია ეძღვნა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების განხილვას (14—20.4. და 15.12.).

14 ივნისს გამართულმა გამგეობის პლენუმმა მოისმინა საკავშირო მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის

აღმსრულებლის ალექსი სურკოვის ვრცელი სიტყვა[294], რომელშიც ნათქვამი იყო: ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში რამდენადმე დამკვიდრებულია ისტორიული წარსულით მოხიბლულობა. ეს ჩანს, კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას, „დავით აღმაშენებელში", შეცდომა იყო დიდი ხნის წინ დაწერილი შალვა დადიანის „იური ბოგოლუბსკის" რუსულ ენაზე თარგმნა. ეს რომანი რუსულ პრესაში სამართლიანად გააკრიტიკესო.

პლენუმმა დაგმო რესპუბლიკაში გავრცელებული ხელმძღვანელობის მანკიერი სტილი, იმსჯელა მწერლობის საჭირბოროტო საკითხებზე, და აირჩია პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მიხეილ მრევლიშვილი, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ივანე (ვანო) ურჯუმელაშვილი, ლეო ქიაჩელი, სერგი ჭილაია.

იმავე დღეს პრეზიდიუმმა თავმჯდომარედ ისევ გიორგი ლეონიძე აირჩია, პასუხისმგებელ მდივნად — სერგი ჭილაია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა ვალერიან მელქაძემ და ცკ-ის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგემ ვლადიმერ ჭიაურელმა.

ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიამ (თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე) 1952 წლის 18—21 ივნისს ჩაატარა ახალგაზრდა მწერალთა მესამე კონფერენცია[295], რომელშიც მონაწილეობდნენ: თბილისიდან — მარი აბრამიშვილი, აკაკი გეწაძე, მედეა კახიძე, თინათინ კვირიკაძე, ნაზი კილასონია, მორის ფოცხიშვილი, ოთარ შალამბერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი; ბათუმიდან — ნანა გვარიშვილი, ქსენია მჟავია, შოთა როყვა, ილია რურუა, ფრიდონ ხალვაში; ქუთაისიდან — დავით კვიცარიძე, ზურაბ კუხიანიძე, ოთარ მამფორია, დავით ხუროძე; სიღნაღიდან — ალექსანდრე ბეგაშვილი, აფხაზეთიდან — შოთა აკობია, დიმიტრი გიგიბერია, ზურაბ ნაყოფია და აფხაზი მწერლები გიორგი გუბლია, ჭიჭიკო ჯონუა; სამხრეთ ოსეთიდან გიორგი ბესტაევი, ვლადიმერ გაგლოევი, კოსტა მარღიევი, მიხეილ ნართიკოევი, ვასო სანაკოევი, ივანე ცხოვრებოვი.

მოხსენება თემაზე „ქართული საბჭოთა მწერლობის ამოცანები და მწერალთა ახალგაზრდა კადრები" წაიკითხა სერგი ჭილაიამ. ამას გარდა, წარმოდგენილი იყო მოხსენებები: ახალგაზრდა პოეტები — გრიგოლ აბაშიძისა, პროზაიკოსები — გიორგი შატბერა-

---

[294] „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952, № 25.

[295] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952, № 27, 28.

შვილისა, დრამატურგები — მიხეილ მრევლიშვილისა, ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხები — საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივნის გელა ბანძელაძისა.

მწერალთა ახალი თაობის ნაწარმოებთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი ბელიაშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ბესო ჟღენტმა, სიმონ ჩიქოვანმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

ივნისიდან იოსებ ნონეშვილი ინიშნება ჟურნ. „დილის" რედაქტორად (1952—1963).

7—8.7. — მწერალთა თათბირმა განიხილა ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში" (მომხსენებელი შალვა აფხაიძე) და ჟურნალ „მნათობში" (მომხსენებელი ბესო ჟღენტი).

19.7. — გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხებს (მომხსენებელი სერგი ჭილაია).

1.8. — სურამში გაიხსნა ლესია უკრაინკას ძეგლი. გახსნისას მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ნაირი ზარიანმა, იური ზბანაცკიმ, მირზა იბრაჰიმოვმა, გიორგი ლეონიძემ და სხვ.

26.8. — პრეზიდიუმმა იმსჯელა აჭარის განყოფილების მუშაობის ირგვლივ, დასახა სათანადო ღონისძიებები და, პარმენ ლორიას ნაცვლად, რომელიც განყოფილებას ხელმძღვანელობდა 20 წლის განმავლობაში (1932—1952), პასუხისმგებელ მდივნად დაამტკიცა ანდრო თევზაძე (1952—1953).

23.9. — პრეზიდიუმმა შექმნა რუს მწერლებთან მომუშავე კომისია და დაამტკიცა მწერალთა კავშირში მიმღები კომისიის დებულება.

27—28 ნოემბერს გამართულ პლენუმზე[296] დაწვრილებით განიხილეს საბავშვო მწერლობის საკითხები მომხსენებლებმა გრიგოლ აბაშიძემ („ქართული საბავშვო მწერლობის მდგომარეობა და ამოცანები") და საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ვიქტორ კუპრაძემ („საბჭოთა სკოლა და საბავშვო ლიტერატურა"), აგრეთვე თანამომხსენებლებმა: მარიჯანმა („ქართული სკოლამდელთა ლიტერატურა"), როდიონ ქორქიამ („თანამედროვე საბავშვო ზღაპარი"), ერემია ქარელიშვილმა („საბავშვო თეატრი და საბავშვო დრამატურგია") და კამათში გამოსულმა მწერლებმა კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი თავზიშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ნინო ნაკაშიძემ, ბესო ჟღენტმა, ილია სიხარუ-

---

[296] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952, № 50.

ლიძემ, ნიკოლოზ ჩაჩავამ, თამარ ჩხაიძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, რუსმა მწერალმა სტეფანე ზლობინმა.

პლენუმზე გრიგოლ აბაშიძემ, ძირითადად ილაპარაკა რა ქართული საბავშვო მწერლობის ჩამორჩენილობაზე, აღნიშნა: „ქართული საბავშვო ლიტერატურა დღემდე ერთგვარ პრიმიტულობის დაღს ატარებს, ეს იყო მიზეზი, რომ საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ჩვენი საბავშვო წიგნი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, ჩვენს საბავშვო მწერლებს უსაყვედურეს მეტისმეტი გატაცება ჩიტებითა და პეპლებით. ეს საყვედური სამართლიანია. პირველ რიგში ჩვენ მოგვეთხოვება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ ადამიანთა ცხოვრებას, მათ ბრძოლასა და შრომას".

1.12. — გარდაიცვალა რაჟდენ გვეტაძე. დაიკრძალა დიდუბის პანთეონში.

წლის ბოლოს (8—18.12.) გაიმართა ახალგაზრდა მწერლების კიდევ ერთი თათბირ-სემინარი.

1951 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა გიორგი ლეონიძეს პოემებისათვის — „ბერშოულა" და „ფორთოხალა".

წლის განმავლობაში გაიმართა ნინო ნაკაშიძის დაბადების მე-80 (28.1.) და გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალების მე-5 (11.2.), ნიკოლოზ გოგოლის გარდაცვალების მე-100 (29.2.), დავით გურამიშვილის გარდაცვალების მე-160 (1.8. ფილარმონიის საზაფხულო თეატრში) წლისთავის აღსანიშნავი, აგრეთვე, ოსი პოეტების (7.3), სომეხი მწერლების (10.3), მურმან ლებანიძისა (17.3) და ანა ანტონოვსკაიას (17.11.) შემოქმედების საღამოები.

1952 წელს ამირან გაბესკირია ინიშნება „საბლიტგამის" დირექტორად (1952—1958), ხოლო სიმონ წვერავა — საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის „საბჭოთა მწერლის" დირექტორად (მეორედ, 1952—1953).

1953

12.2. — საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სახლის „ქვიშხეთის“ დირექტორად დაინიშნა გრიგოლ ცეცხლაძე.

13.2. — გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ნაცვლად გამოსვლას იწყებს (ახალი ნუმერაციით) საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურული გაზეთი“.

27 აპრილს ალიო მირცხულავა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ხოლო 25 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა მისი დაბადების 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ივლისიდან კი იგი ინიშნება ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად (1953—1955).

მაისის ბოლოს ქართველი მწერლები შეხვდნენ გერმანელ (გდრ) თანამოკალმეებს კ. ბარტელს (კუბას), ჰუგო ჰუპერტს და სხვ.

კვლავ შეიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა. 22 ივნისს პლენუმმა, კოლექტიური ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, გააუქმა თავმჯდომარის თანამდებობა და შექმნა სამდივნო, რომელშიც შევიდნენ ირაკლი აბაშიძე (პირველი მდივანი), გიორგი ლეონიძე და სერგი ჭილაია (მდივნები). აქედან დაწყებული ირაკლი აბაშიძე 1967 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს — როგორც მისი პირველი მდივანი, შემდეგში კი თავმჯდომარე.

მდივნებს გარდა პრეზიდიუმში აირჩიეს გრიგოლ აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მირცხულავა, ილო მოსაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ბესო ჟღენტი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი (11 კაცი).

ამ პრეზიდიუმის სხდომაზე (30,6). ასე განაწილდა ფუნქციები მის წევრებს შორის: ირაკლი აბაშიძე, — საერთო ხელმძღვანელობა; გიორგი ლეონიძე — პოეზიის საკითხები, გაზეთი, „მნათობი“; სერგი ჭილაია — აპარატი, დაქვემდებარებული დაწესებულებები, განყოფილებები; გრიგოლ აბაშიძე — კინოკომისია, ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია; კონსტანტინე ლორთქიფანიძე — პროზა; ალიო მირცხულავა — სამხედრო თავდაცვითი ლიტ. სექცია, საესტრადო რეპერტუარის კომისია; ილო მოსაშვილი — დრამატურგია, მიმღები კომისია;

გიორგი ნატროშვილი — კლუბი, პროპაგანდის ბიურო; ბესო ჟღენტი — კრიტიკა, სომხური სექცია; ლეო ქიაჩელი — საბავშვო ლიტ. სექცია; სიმონ ჩიქოვანი — მთარგმნელთა და რუსული სექციები.

მოხდა ცვლილებები განყოფილებათა ხელმძღვანელობაშიც: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის განახლებულმა პრეზიდიუმმა, ანდრო თევზაძის ნაცვლად, აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად დაამტკიცა (14.10.) ილია რურუა (1953—1957), 19 ნოემბერს კი მოისმინა მოხსენება აფხაზეთის განყოფილების მუშაობის ირგვლივ და განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად დაამტკიცა პოეტი ბაგრატ შინქუბა, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1958 წლამდე. (ივანე თარბა კი, რომლის განთავისუფლება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადასტურა 10 ოქტომბერს, აქედან მოკიდებული წლების განმავლობაში მწერლობასთან ათავსებდა სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელის პოსტებზე მუშაობას: 1953 წლის ოქტომბრიდან დაინიშნა აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრად, ხოლო 1954 წლის იანვრიდან 1958 წლის იანვრამდე მუშაობდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად).

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის განახლებულმა პრეზიდიუმმა ვრცელი სხდომა უძღვნა (29.9.) გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ (1953. 25.9.) თარგმანების თაობაზე გამოქვეყნებული საპოლემიკო წერილის განხილვას.

27—28 ნოემბერს გამართულმა გამგეობის პლენუმმა[297] განიხილა საკითხი „საკავშირო მწერალთა კავშირის მე-14 პლენუმის (ჩატარდა 1953 წლის ოქტომბერში და ეძღვნა დრამატურგიის საკითხებს) შედეგები და ქართული საბჭოთა დრამატურგიის მდგომარეობა“, რის შესახებაც მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე და მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციის თავმჯდომარე მიხეილ მრევლიშვილი. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და თეატრის მუშაკებმა დოდო ანთაძემ ვერიკო ანჯაფარიძემ, კარლო კალაძემ, ვალერიან კანდელაკმა, ვალენტინ კატაევმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, გიორგი მარგველაშვილმა, ბესო ჟღენტმა, შალვა ღამბაშიძემ, ალექსანდრე შტეინმა, აკაკი ხორავამ, აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ავთანდილ გუნიამ, განათლების მინისტრმა გიორგი ჯიბლაძემ, საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა ვ. ჩხიკვაძემ.

---

[297] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1953, № 42, 43, 44.

ოცი წლის შუალედის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობა. პლენუმი ამ მნიშვნელოვან საკითხსაც გამოეხმაურა, იმსჯელა საკავშირო ყრილობისათვის მზადების გამო (მომხსენებელი სერგი ჭილაია).

დეკემბერში ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა თათბირ-სემინარი. პროზაიკოსთა შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე. ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება დაწვრილებით განიხილა გიორგი მარგველაშვილმა. თათბირ-სემინარის მონაწილეებისათვის მოეწყო ლექციები: „თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის საკითხები" (გიორგი ჯიბლაძე), „თანამედროვე საზღვარგარეთული პროგრესული მწერლობა" (მიხეილ კვესელავა), „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხები" (შოთა გაბელია), „სოციალისტური რეალიზმის ზოგი საკითხი" (ლავროსი კალანდაძე), „ტიპიურობის საკითხი საბჭოთა მწერლობაში" (ბესო ჟღენტი), „ოსტატობის საკითხი ქართულ საბჭოთა პროზაში" (დემნა შენგელაია), „სოციალისტური რეალიზმი" (დიმიტრი ბენაშვილი), „თანამედროვე დრამატურგიის მდგომარეობა და ამოცანები" (მიხეილ მრევლიშვილი), „ნარკვევის შესახებ" (ემანუილ ფეიგინი), „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები" (ივანე გიგინეიშვილი), „სალიტერატურო ენა და დიალექტები" (შოთა ძიძიგური). სექციური მუშაობისას განხილვებში მონაწილეობდნენ ირაკლი აბაშიძე, შალვა აფხაიძე, ვლადიმერ ელსნერი, სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ ტატიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ბორის ჩხეიძე, ივანე წულუკიძე, სერგი ჭილაია.

* * *

12.10. — ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების 45-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

ნოემბერში მოეწყო ნაზი კილასონიასა და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების საღამო.

საღამოებით აღინიშნა 85-ე წელი თედო სახოკიას (18.4.), მე-60 ვლადიმერ მაიაკოვსკის (18.7.), 125-ე — ლევ ტოლსტოის (9.9. ორჯონიკიძის სახელობის პარკის საზაფხულო თეატრში), 70-ე — მარიამ გარიყულის (17.12) დაბადებიდან და 750-ე ნიზამი განჯელის (14.12), 75-ე წელი ნიკოლოზ ნეკრასოვის (8.1.), 30-ე — ოვანეს თუმანიანის (23.3.), 75-ე — მ. ფ. ახუნდოვის (6.4.),

70-ე — ივანე ტურგენევის (5.9.), ერთი წელი რაჟდენ გვეტაძის (12.12.), მე-20 — შიო მღვიმელის (28.12.) გარდაცვალებიდან.

ამ წელს აღინიშნა აგრეთვე ანრი ბარბიუსის დაბადების მე-80 (მაისი), ნიკოლოზ ჩერნიშევსკის დაბადების 125-ე (ივნისი) და სკკპ მე-50 წლისთავი (ივნისი).

1953 წელს ანდრო თევზაძე დაინიშნა გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორად (1953—1958), ხოლო მიხეილ ქვლივიძე — საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის კონსულტანტად (1953 — 1963).

1954

წლის დასაწყისში საღამოებით აღინიშნა მე-100 წელი ივანე მაჩაბლის (8.2.), მე-80 — დიმიტრი გულიას (9.3.), 70-ე — ლეო ქიაჩელის (29.4.) დაბადებიდან და 125-ე წელი ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალებიდან (11.2.).

9 მარტს, იუბილესთან დაკავშირებით, ლენინის ორდენით დაჯილდოვდა ლეო ქიაჩელი.

5—6 აპრილს გამართულ პლენუმზე [298] განხილულ იქნა საკითხები:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებანი და ქართული საბჭოთა მწერლობის ამოცანები (მომხს. სერგი ჭილაია).

2. მხატვრული ლიტერატურის გამოცემის მდგომარეობა (ბესო ჟღენტი). ამ საკითხებზე სიტყვებით გამოვიდნენ შალვა აფხაიძე, აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი მერკვილაძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, დემნა შენგელაია, ზურაბ ჭუმბურიძე და სხვ. პლენუმმა იმსჯელა აგრეთვე საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობის მოწვევის თაობაზე (მანამდე 22 თებერვალსა და 29 მარტს ამ საკითხს შეეხო პრეზიდიუმი). გადაწყდა ყრილობის გამართვა 1954 წლის გაზაფხულზე. დამტკიცდა მისი დღის წესრიგი და მზადების გეგმა.

უშუალოდ, ყრილობის წინ, 29 ივნისს, მწერალთა ამ დიდი ფორუმის ჩატარებას კიდევ ერთი პლენუმი ეძღვნა. მსჯელობა იყო დღის წესრიგზე, რეგლამენტზე, მოხსენებების ირგვლივ.

1954 წლის 30.VI.—3.VII. კი ჩატარდა საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა [299].

ყრილობამ, რომელიც გაიხსნა საღამოს 8 საათზე, მოისმინა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ირაკლი აბაშიძის საანგარიშო მოხსენება „ქართული საბჭოთა

---

[298] „ლიტერატურული გაზეთი", 1954, № 15, 16.

[299] „ლიტერატურული გაზეთი", 1954, № 27, 28, 29.

ლიტერატურის მდგომარეობა და ამოცანები“ და თანამოხსენებები: პროზა (გიორგი ჯიბლაძე), პოეზია (კარლო კალაძე), დრამატურგია (ბესო ჟღენტი), კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა (გიორგი ნატროშვილი), საბავშვო მწერლობა (გრიგოლ აბაშიძე) და თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა (შალვა აფხაიძე).

საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის მოხსენება წარმოადგინა მისმა თავმჯდომარემ იაკინთე ლისაშვილმა.

ამ ყრილობაზე გამოცხადდა, რომ რეაბილიტირებულნი არიან 1937 წელს უკანონოდ რეპრესირებული მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი.

მოხსენებაში, თანამოხსენებებსა და სიტყვებში აღინიშნა, რომ ქართულმა პოეზიამ გადაჭრით შეაქცია ზურგი უსაგნო ლიტერატურას (რომლის რეციდივებმაც თავი იჩინა ომის შემდეგ), რომ დიდი ზიანი მიაყენა დრამატურგიას უკონფლიქტობის თეორიამ.

განხილულ იქნა საანგარიშო პერიოდში (1946—1954) შექმნილი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომელთა ნაწილი ახალდამთავრებულ სამამულო ომში ქართველი და სხვა საბჭოთა ხალხების თავგანწირულ ბრძოლებსა და ფრონტულ სისხლისღვრას, ზურგში მძიმე შრომასა და გამარჯვებას ასახავდა. ეს იყო პოემები: კარლო კალაძის „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“, იოსებ ნონეშვილის „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, ოთარ ჭელიძის „ბრინჯაოს ჯარისკაცი“. რომანები: ლეო ქიაჩელის „მთის კაცი“ და დემნა შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“. მოთხრობები: რაჟდენ გვეტაძის „ცხოვრება იწყება თავიდან“, თინა დონეაშვილის „ვერ მიგატოვებ“; კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მწვანე ღილი“; მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ვანო ურჯუმელაშვილის ნარკვევი „დღეები კორეაში“; პიესები: ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, გიორგი შატბერაშვილის „რკინის პერანგი“.

ახალ ომგამოვლილი ქართველი ხალხის ცხოვრებაზე, ომის ტკივილების დაძლევაზე, სიცოცხლის ზეიმზე მოგვითხრობდა და ძირითადში საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას ასახავდა: ლექსთა ციკლები — გრიგოლ აბაშიძის „ლენინი სამგორში“ და „სამხრეთ საზღვარზე“, ირაკლი აბაშიძის „სიმღერა მკის დროს“ და „ჰყვავის გურია“, კარლო კალაძის „ისევ მშობლიურ სოფელში“, პოემები: გრიგოლ აბაშიძის „ზარზმის ზმანება“, ოთარ ჭელიძის „რაჭველები“, „ქიტესა“, შალვა ამისულაშვილის, ვახტანგ გორგანელის, რევაზ მარგიანის, მურმან ლებანიძის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ლექსები, ბალადები და პოემები; მოთხრობები: სერგო კლდიაშვილის „დაბრუნება“, ანდრო ლომიძის „სიცოცხლის ზეიმი“, მიხეილ

მრევლიშვილის „ოსტატი იონა“; გიორგი შატბერაშვილის „უკვდავი ფესვი“, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ვეფხის ყვავილობა (ნაწ. I) და რომანები და პიესები მწერლობაში ახალმომძლავრებული თაობისა — თენგიზ გოგოლაძის „გარიყულას განთიადი“, თინა დონჟაშვილის „განთიადი“, ოთარ ჩხეიძის „ჯებირი“, რევაზ ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“, მარიკა ბარათაშვილის „ჭრიჭინა“ (იგივე „მარინე“), კიტა ბუაჩიძის, „ვარდი ასფურცლოვანი“ და ვასო პატარაიას „უჩა უჩარდია“.

მუშათა კლასის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ცხოვრებას და საბჭოთა ხალხების მეგობრობას ასახავდა ხუტა ბერულავას („რუსული გული“) და ალეკო შენგელიას („ფოლადის ქალაქის ქრონიკები“) პოემები, სოლომონ თავაძის რომანი „ფოლადი“.

ამ წლებში შეიქმნა გალაკტიონ ტაბიძის („ქებათა-ქება ნიკორწმინდას“, „ზღვა ახმაურდა“), ანა კალანდაძის („ასეთი დარი თუ იყო მაშინ“ და სხვ.) და მუხრან მაჭავარიანის („საბა“ და სხვ.) მნიშვნელოვანი ლექსები.

ამავე წლებში შეიქმნა ლექსთა ციკლები გიორგი ლეონიძისა უნგრეთზე, იოსებ ნონეშვილისა სომხეთზე, სიმონ ჩიქოვანისა „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“, აგრეთვე გიორგი ლეონიძის პოემა „სამგორი“ შორეულ წარსულზე და სამგორის ველის აღორძინებაზე ჩვენს დროში, პიესები ილო მოსაშვილისა — „ჩაძირული ქვები“, გენო ქელბაქიანისა — „ახალგაზრდა მასწავლებელი“.

ამ პერიოდში გასრულდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, აკაკი ბელიაშვილის „ბესიკი“ და „ოქროს ჩარდახი“. გრძელდებოდა კიდევ ორი ისტორიული რომანის კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ და ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, აგრეთვე ლადო ავალიანის მუშათა ცხოვრების ამსახველი ეპოპეის „ახალი ჰორიზონტის“ ბეჭდვა.

ისტორიულ თემაზე შეიქმნა პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „დავით VIII“ („კახაბერის ხმალი“), იონა ვაკელის „თამარ მეფე“.

გამოვიდა აკაკი გაწერელიას მონოგრაფია „ქართული კლასიკური ლექსი“.

შეიქმნა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ამსახველი პირველი წიგნი (სერგი ჭილაია „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“).

ითარგმნა ივანე ტურგენევის რომანი „რუდინი“ (სოლომონ თავაძე), ალექსანდრე ტვარდოვსკის პოემა „ვასილი ტიორკინი“ (ოთარ ჭელიძე), ვ. კატაევის „პოლკის შვილობილი“ (ს. ხუციშვილი), ბ. პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ (პ. აბრამია),

ივანე პაპასქირის რომანი „თემირი“ (იოსებ ტატიშვილი), ფრანგული ლიტერატურიდან პროსპერ მერიმეს „ნოველები“ (გერონტი ქიქოძე), ონორე ბალზაკის „გობსეკი“ და „პოლკოვნიკი შაბერი“ (ეროდიონ ქავეარაძე), ანატოლ ფრანსის „კრენკებილი“ (მისივე).

უნგრული ლიტერატურიდან — შანდორ პეტეფის „ლექსები“ (გრიგოლ აბაშიძე), ჩეხოსლოვაკური ლიტერატურიდან — იულიუს ფუჩიკის „რეპორტაჟი სიკვდილიდან“ (ეროდიონ ქავეარაძე), სპარსული ლიტერატურიდან — ნიზამი განჯელის „ლექსები“ (კონსტანტინე ჭიჭინაძე), ბერძნული ლიტერატურიდან — ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ (ალექსანდრე ქუთათელი).

ყრილობაზე აღინიშნა უკონფლიქტობის თეორიის მიერ დრამატული ნაწარმოებებისათვის მიყენებული ზიანი (ალიო მირცხულავას „რუსთავი“, ვიქტორ გაბესკირიას „უფსკრულთან“, იონა ვაკელის „რვალი“, პოლიკარპე კაკაბაძის „ბედნიერების სამეფოდლო“. ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, გიორგი შატბერაშვილის „ძველი სახლი“.

აღინიშნა, რომ მწერლობაში მოვიდა და მომძლავრდა ახალი თაობა: როსტომ ბეჟანიშვილი, აკაკი გეწაძე, რევაზ ინანიშვილი. დავით კვიცარიძე, ნაზი კილასონია, ზურაბ ლორთქიფანიძე, ელიზბარ მაისურაძე, ოთარ მამფორია, მუხრან მაჭავარიანი, არჩილ სულაკაური, შალვა ფორჩხიძე, მიხეილ ქვლივიძე, ნოდარ შამანაძე, ფრიდონ ხალვაში.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი ნიკოლოზ ტიხონოვი.

მეოთხე ყრილობის მიერ არჩეულმა გამგეობამ (51 კაცი) 1954 წლის 6 ივლისს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად აირჩია ირაკლი აბაშიძე, მდივნებად — გიორგი ლეონიძე და სერგი ჭილაია. ამათ ჯარდა პრეზიდიუმში შევიდნენ გრიგოლ აბაშიძე, მარიკა ბარათაშვილი, შალვა დადიანი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მირცხულავა, ილო მოსაშვილი, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, ლეო ქიაჩელი და სიმონ ჩიქოვანი (15 კაცი).

სამდივნოში ფუნქციები ასე განაწილდა: ირაკლი აბაშიძე — საერთო ხელმძღვანელობა, განყოფილებები და ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია; გიორგი ლეონიძე — პოეზიის, საბავშვო ლიტერატურის, მთარგმნელთა სექციები, კინოკომისია, გაზეთი, „მნათობი“, „საუდი“; სერგი ჭილაია — კრიტიკისა და სომ-

ხური სექციები, მიმღები კომისია, ლიტფონდი, გამომცემლობა, აპარატი.

სხვადასხვა საქმის მეურვეობა პრეზიდიუმის წევრებსაც დაეკისრათ: გრიგოლ აბაშიძე — პოეზია; აჭარის განყოფილება; მარიკა ბარათაშვილი — კინოკომისია, საუდი; კარლო კალაძე — ახალგაზრდა მწერლები, კლუბი, ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო; კონსტანტინე ლორთქიფანიძე — პროზა, ქუთაისის განყოფილება; ალიო მირცხულავა — მიმღები კომისია; ილო მოსაშვილი — დრამატურგია, გიორგი ნატროშვილი — „საბჭოთა მწერალი"; იოსებ ნონეშვილი — საბავშვო ლიტერატურა, სამხრეთ ოსეთის განყოფილება; ბესო ჟღენტი — კრიტიკა, რუსული და სომხური სექციები; სიმონ ჩიქოვანი — მთარგმნელთა სექცია, აფხაზეთის მწერალთა კავშირი.

სარევიზიო კომისიაში (9 კაცი) თავმჯდომარედ ისევ იაკინთე ლისაშვილი აირჩიეს.

* *

ყრილობის შემდეგ მწერალთა კავშირმა განაგრძო თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა. 18 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მწერალთა შემოქმედების საღამო. პოეზიის ზეიმში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელები მირვარიდ დილბაზი, ბახტიარ ვაჰაბზადე, ოსმან სარიველი, ნაბი ხაზრი და სხვ. სომეხი მწერლები გევორქ ემინი, ნაირი ზარიანი, სილვა კაპუტიკიანი, ჰრაჩია ოვანესიანი, აკოფ სალახიანი, ამაიაკ სირასი და იმჟამად თბილისში მყოფი თურქი მწერალი ნაზიმ ჰიქმეთი.

19—20 ოქტომბერს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, მცხეთა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ყვავილებით შეამკეს ილიას ობელისკი, საიათნოვასა და მ. ფ. ახუნდოვის საფლავები.

22—23 ოქტომბერს გაიმართა დისკუსია თემაზე „დადებითი გმირის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში" (მომხს. ბ. ჟღენტი).

საღამოებით აღინიშნა 50-ე წელი ნიკოლოზ ოსტროვსკის (29.9.), მე-80 — შალვა დადიანის (25.10. რუსთაველის თეატრში) დაბადებიდან და მე-10 წელი ალექსანდრე საჯაიას (20.9.) და მირზა გელოვანის (22.11), ხოლო მე-20 წელი — ვასილ ბარნოვის (7.1—) გარდაცვალებიდან.

აღინიშნა, აგრეთვე 140-ე წელი ტარას შევჩენკოს (მარტი),

145-ე ნიკოლოზ გოგოლის (მარტი-აპრილი) დაბადებიდან და 50-ე წელი ანტონ ჩეხოვის გარდაცვალებიდან (ივლისი).

26.11. — გაიმართა ახალგაზრდა მწერლების საქალაქო თათბირ-სემინარი.

* * *

გარდაიცვალნენ ილო მოსაშვილი (აგვისტო) და ალექსანდრე აბაშელი (სექტემბერი) (ორივე დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

ამ წელს სსრკ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე და მწერალი ქალი მარიკა ბარათაშვილი.

გამოვიდა კრებულები: „ქართველი პოეტები უკრაინას“ და რუსულ ენაზე —„ქართული საბჭოთა პოეზია“, „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, „ქართული მოთხრობები“.

ივნისის დასაწყისში თბილისში სტუმრად იყო რუმინელი მწერალი მიხეილ სადოვიანუ.

* * *

ოცი წლის შუალედის შემდეგ 1954 წელს საბჭოთა კავშირის მწერლები უნდა შეკრებილიყვნენ თავიანთ მეორე ყრილობაზე. ბუნებრივია ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახვედრად ქართველი მწერლები ადრიდანვე შეუდგნენ სამზადისს. როგორც აღვნიშნეთ, საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობისათვის მზადების საკითხი ჯერ კიდევ 1953 წლის ნოემბრის პლენუმზე განიხილეს ქართველმა მწერლებმა. დიდი წინასაყრილობო დისკუსია გაშალა საქართველოს მწერალთა კავშირის ბეჭდვითმა ორგანომ „ლიტერატურულმა გაზეთმა“ [300].

საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობის მუშაობაში (1954. 15—26.12) საქართველოდან მონაწილეობა მიიღო საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე არჩეულმა 48 დელეგატმა გადამწყვეტი ხმით: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, შალვა აფხაიძე, რევაზ ასაევი, ლევან ასათიანი, ვართან ატრიანი, მარიკა ბარათაშვილი, აკაკი ბელიაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ხუტა ბერულავა, თედორე გაგლოევი (გაფეზი), კონსტანტინე გამსახურდია, თენგიზ გოგოლა-

---

[300] „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, №№ 33, 34, 36—38, 41—47, 49.

ძე, ალექსი გომიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, დიმიტრი გულია, შალვა დადიანი, სანდრო ეული, ილია კავკაზაგი (კაჩმაზოვი), ლავროსი კალანდაძე, კარლო კალაძე, სერგო კლდიაშვილი, იაკინთე ლისაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პარმენ ლორია, რევაზ მარგიანი, ალიო მირცხულავა, მიხეილ მრევლიშვილი, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ივანე პაპასქირი, ილია რურუა, ბესო ჟღენტი, შალვა რადიანი, გიორგი სამხარაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ერემია ქარელიშვილი, ლეო ქიაჩელი, ალექსანდრე ქუთათელი, ალექსანდრე შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, ბაგრატ შინქუბა, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ჭეიშვილი, სერგი ჭილაია, რევაზ ჯაფარიძე, გიორგი ჯიბლაძე და 6 დელეგატმა სათათბირო ხმით (იონა ვაკელი, მარიჯანი, მაყვალა მრევლიშვილი, ვანო ურჯუმელაშვილი, ფრიდონ ხალვაში, გიორგი შატბერაშვილი).

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე.

ყრილობის მიერ არჩეულ გამგეობაში საქართველოდან შევიდნენ ირაკლი აბაშიძე, ივანე თარბა, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, სარევიზიო კომისიაში — სერგი ჭილაია [301].

---

[301] საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1956; „ლიტერატურული გაზეთი", 1955, № 1.

1955

სამდივნო და პრეზიდიუმი განაგრძობდა მწერალთა კავშირის მრავალრიცხოვანი საქმეების გაძღოლას. მათ მიერ განხილული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხიდან ძნელია უმნიშვნელოვანეს საკითხთა გამოყოფა და, თუ მაინც აღვნიშნავთ ზოგიერთს, უმთავრესად იმიტომ, რომ წარმოდგენა შეგვექმნას მწერალთა კავშირის ამ ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაზე.

29.3. — პრეზიდიუმმა ჟურნალ „მნათობის" რედაქტორად (1955—1960) დანიშნა სიმონ ჩიქოვანი, პასუხისმგებელ მდივნად — ლავროსი კალანდაძე;

პრეზიდიუმის ვრცელი სხდომა მიეძღვნა „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნებული ფელეტონის „ბლადკობლიუბჩიე კოზის" განხილვას. ამავე სხდომაზე (17.6.) დაადგინეს მწერალთა კავშირის აპარატის თანამშრომლის ნინო კლდიაშვილის მუშაობის 35-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამოს მოწყობა; პაველ ინგოროყვას წაყენება აკადემიაში ასარჩევად — 4 აკადემიკოსი მწერლის განცხადება (30.6.).

წელიწადი კი დაიწყო გამგეობის მეორე პლენუმით (25—26.1.), რომელზეც განხილულ იქნა საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობის შედეგები და ქართული მწერლობის ამოცანები. როგორც მომხსენებელმა (საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე), ისე კამათში გამოსულმა ორატორებმა (აკაკი ბელიაშვილი; კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე და სხვ.) ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც მწერალთა წინაშე დააყენა მეორე საკავშირო ყრილობამ.

პლენუმმა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში შეიყვანა რევაზ მარგიანი.

იანვარში მწერალთა კავშირში ჩამოყალიბდა უცხოეთის კომისია.

27.2. — საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გიორგი ლეონიძე და მწერალი სანდრო შანშიაშვილი, აგრეთვე ვლადიმერ გელაშვილი (მაშინ გაზ. „საბჭოთა ოსეთის"

რედაქტორი) და გიორგი ჯიბლაძე (საქართველოს სსრ განათლების მინისტრი), მალე (6.4.) სანდრო შანშიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიყვანეს.

აპრილის დასაწყისში დემნა შენგელაიამ წაიკითხა მოხსენება „მ. გორკის ნაწარმოებები ქართულ ენაზე (მაქსიმ გორკის თხზულებათა ახალი თარგმანების 12 ტომეულის გამოცემის მომზადება).

6 აპრილს გამართულ დისკუსიაზე სერგი ჭილაიას წიგნის — „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა" — შესახებ მოხსენება გააკეთა ბესო ჟღენტმა.

თანახმად პრეზიდიუმის დადგენილებისა (23.3.) 23 მაისს თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყო ჩრდილოკავკასიელი და ქართველი მწერლების დიდი ლიტერატურული საღამო. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ. სტუმრებს ლეკურ, ოსურ, ჩერქეზულ, ხუნძურ, დარგუულ ენებზე მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები გიორგი ახვლედიანი და ვარლამ თოფურია, პროფ. გიორგი როგავა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები შოთა გაფრინდაშვილი და ტოგო გუდავა.

ლექსების კითხვით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და დაღესტნის სახალხო პოეტი აბუტალიბ გაფუროვი (ლაკი პოეტი).

ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობა მიიღეს: დაღესტნიდან — პოეტებმა რასულ გამზათოვმა და ატკაი აჯამატოვმა, შახემირ მურადოვმა; ჩრდილოეთ ოსეთიდან — პოეტებმა გიორგი კაიტუკოვმა, ხარიტონ ფლიევმა და პროზაიკოსმა მაქსიმ ცაგარაევმა; — ყაბარდოდან — პოეტმა ალიმ ქეშოკოვმა; ჩერქეზეთიდან — პოეტმა ალიმირზა ჯიბუტანოვმა; ადიღეადან — პოეტმა ყორიმიზე ჯანემ.

ჩრდილოეთკავკასიელი პოეტების ლექსთა თარგმანები წაიკითხეს ნაზი კილასონიამ, მარიჯანმა, მაყვალა მრევლიშვილმა, ოთარ ჭელიძემ, დაღესტნის ხალხური პოეზიის თარგმანები — თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

ლექსების კითხვით გამოვიდნენ, ხუტა ბერულავა, ალექსი გომიაშვილი, კარლო კალაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, სანდრო შანშიაშვილი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, იყვნენ საგურამოში, 24—25 მაისს წინანდალსა და თელავში შეხვდნენ კახეთის მშრომელებს.

ივნისში ქუთაისში გაიმართა ახალგაზრდა მწერალთა თათბირ-სემინარი.

10.6. — მწერალთა კავშირში მოეწყო გერმანელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის შემოქმედების საღამო.

8.10. — რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გამართულ საიუბილეო პლენუმზე, რომელიც ეძღვნა დავით გურამიშვილის დაბადების 250-ე წლისთავს, წაკითხულ იქნა ორი მოხსენება „დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება (სიმონ ჩიქოვანი) და „დავით გურამიშვილი უკრაინაში" (დიმიტრი კოსარიკი).

10 ოქტომბერს თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, საფუძველი ჩაეყარა პოეტის ძეგლს, ხოლო საღამოს ოპერის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო.

მეორე დღეს დავით გურამიშვილის იუბილეზე ჩამოსულმა საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეტებმა რუსთაველის სახელობის თეატრში გამართეს ხალხთა მეგობრობის საღამო.

ამ თარიღისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობა მიიღეს რუსმა მწერლებმა ვასილ აქაევმა, ვსევოლოდ კოჩეტოვმა, მიხეილ ლუკონინმა, ელადიმერ ნიკოლოზის ძე ორლოვმა და კონსტანტინე სიმონოვმა, უკრაინელებმა პლატონ ვორონკომ და ნიკოლოზ უპენიკმა, აზერბაიჯანლებმა — სამედ ვურღუნმა, ოსმან სარიველიმ და რასულ რზამ, სომეხმა აშოტ გრაშიმ, ლატვიელმა ვალდის ლუქსმა, მოლდაველმა ლივიუ დელიანუმ, დაღესტნელმა რასულ გამზათოვმა, ჩერქეზმა აბდულახ ოხტოვმა, ოსმა ხარიტონ ფლიევმა, ქალაქ მირგოროდის დელეგაციამ, ქართველმა მწერლებმა გრიგოლ აბაშიძემ, ბესო ჟღენტმა და სხვებმა.

ნოემბერში აღინიშნა (21.11.) ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 75-ე და ადამ მიცკევიჩის გარდაცვალების მე-100 წლისთავები.

* * *

დაბადების 50-ე წლისთავზე კონსტანტინე ლორთქიფანიძე დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

გაზაფხულიდან გამოსვლა დაიწყო საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების ჟურნალმა „ალაშარამ" („სინათლე").

თედორე გაგლოევი (გაფეზი) არჩეულ იქნა მწერალთა კავშირის ჩრდილოეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად (1955—1972).

1956

5—6 იანვარს მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა მწერალთა მესამე საკავშირო თათბირში მონაწილეობა მიიღეს ნოდარ გურეშიძემ, რევაზ ინანიშვილმა, ნაზი კილასონიამ, გიორგი მაზურინმა, მუხრან მაჭავარიანმა, შოთა როყვამ, ედიშერ ყიფიანმა. იმ დღეებში გამართულ მწერლობის ახალი თაობისადმი მიძღვნილ საკავშირო პლენუმზე სიტყვა („ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა") წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის თავმჯდომარემ, გრიგოლ აბაშიძემ [302].

11—15 იანვარს ქართველი მწერლების სტუმარი იყო ინდოელი მწერალი კრიშან ჩანდარი. იგი ლიტერატურულ საზოგადოებას შეხვდა რუსთაველის თეატრში.

23.1. — ირაკლი აბაშიძე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის მე-18 ყრილობაზე.

23.1. — გაიმართა კალე ბობოხიძის დაბადების 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

3 თებერვალს საქართველოს ალკკ ცკ-თან ერთად გაიმართა ახალგაზრდა მწერალთა საქალაქო თათბირი, რომელზეც ახალგაზრდა მწერალთა მესამე საკავშირო თათბირის შედეგებზე ილაპარაკეს ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ და საკავშირო თათბირის მონაწილეებმა.

26 მარტს კრიტიკის სექციამ გამართა თათბირი ქართული ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე (მომხს. ბესო. ჟღენტი).

ამ წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა პრეზიდიუმმა: შეისწავლა რა აფხაზეთის მწერლების საქმიანობა (ირაკლი აბაშიძე, სერგი ჭილაია), აღნიშნა (9.9.), რომ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მათ ვერ უთმობდა სათანადო ყურადღებას და პარტიის აფხაზეთის ასსრ საოლქო კომიტეტთან ერთად დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. პრეზიდიუმის დადგენილებით, ახალი წესდების შესაბამისად, აფხა-

---

[302] „ლიტერატურული გაზეთი", 1956, № 4.

ზეთის მწერალთა განყოფილებას ეწოდა აფხაზეთის მწერალთა კავშირი, მანამდე არსებული ერთი შტატის ნაცვლად მიეცა 4 შტატი: თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, კონსულტანტი, (ცოტა მოგვიანებით, 13 ნოემბერს, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს ბაგრატ შინქუბა, პასუხისმგებელ მდივნად — ალექსი ლასურია). საქლიტფონდს დაევალა აფხაზეთის მწერალთა კავშირისათვის ყოველწლიურად შესაბამისი თანხისა და საგზურების გამოყოფა, ჟურნალ „ალაშარასათვის" შენობის ასაგებად სპეციალური თანხის გამონახვა, აღინიშნა მწერალთა კავშირის რესპუბლიკურ პრესაში აფხაზი მწერლების ნაწარმოებთა ბეჭდვის გაზრდის აუცილებლობა, გადაწყდა თბილისში აფხაზური მწერლობის დეკადის ჩატარება, სადეკადოდ წიგნებისა და აფხაზური ლიტერატურის ნარკვევის გამოცემა. გამოიყო დეკადის ჩამტარებელი კომისია (თავმჯდომარე — ირაკლი აბაშიძე, მოადგილე — ბაგრატ შინქუბა).

ამავე სხდომაზე (56.8.9.) პრეზიდიუმმა მოითხოვა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული № 14 ამბულატორიის მწერალთა კავშირისათვის გადაცემა.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა სექციებისა და განყოფილებების გეგმები, განიხილა სახელგამის გეგმის მხატვრული ლიტერატურის ნაწილი (23.10.), დაასახელა კანდიდატები ახალი ჟურნალების „ჩვენი თაობის" (გამოვიდა „ცისკრის" სახელწოდებით) და „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორების თანამდებობაზე (13.11. და 1957.5.3.; 7.3.), დაადგინა შუამდგომლობის აღძვრა რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების წინაშე „ვეფხისტყაოსნის" პუკარედის გამოცემის თაობაზე (21.12.).

29—30 სექტემბერს ჩატარებული გამგეობის პლენუმი[303] მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომპარტიის მე-20 ყრილობის შედეგებს. მოხსენებით „საქართველოს კპ ცკ-ის აგვისტოს პლენუმის შედეგები და ქართველი მწერლების ამოცანები" გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი დავით მჭედლიშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ირაკლი აბაშიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, შალვა დადიანმა, სერგო კლდიაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, მიხეილ მრევლიშვილმა, ბესო ჟღენტმა, ლეო ქიაჩელმა, სანდრო შანშიაშვილმა, დემნა შენგელაიამ, სიმონ ჩიქოვანმა, სერგი ჭილაიამ, რევაზ ჯაფარიძემ და სხვ.

წლის განმავლობაში ორი დისკუსია მიეძღვნა მიხეილ მრევლიშვილის პიესა „ზვავს" (10.4.) და გიორგი ლეონიძის პოეზიას (29.10.).

---

[303] „ლიტერატურული გაზეთი", 1956, № 40, 43.

წლის განმავლობაში საღამოებით აღინიშნა მე-100 წლისთავი ივანე ფრანკოს (3.9), 70-ე — გიორგი ქუჩიშვილის (19.11.), მე-60 — დემნა შენგელაიას (25.12.) დაბადებიდან და 75-ე წლისთავი თედორე დოსტოევსკის (9.2), 50-ე კოსტა ხეთაგუროვის (2.4.) გარდაცვალებიდან, აგრეთვე ლევან ასათიანის (28.5) და კოტე მაყაშვილის (4.6.) ხსოვნა.

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად (1956 — 1958) არჩეულ იქნა არჩილ გურჯიძე.

1956 წელს ლიტფონდის ხარჯებით იაკობ გოგებაშვილის ქუჩაზე (№ 43) აშენდა მწერალთა საცხოვრებელი სახლი.

1956 წელს საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ (რომელიც თავის მხრივ 1936 წლიდან იყო მემკვიდრე „ზაკგიზისა“ და უფრო ადრინდელი „ზაკნიგასი“) გამოეყო წიგნის საგამომცემლო ნაწილი და ისევ იმავე სახელწოდებით („ზარია ვოსტოკა“) შეიქმნა თარგმნილი ლიტერატურის გამომცემლობა, რომელიც მიეკუთვნა საქართველოს მწერალთა კავშირს. (ზემდგომი ორგანოების დადგენილება) გამომცემლობის დირექტორად დაინიშნა მარკ ზლატკინი (1963 წლიდან გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“, შემდეგ „მერანის“ რუსულ გამოცემათა განყოფილების გამგე).

1957

პრეზიდიუმმა 23 იანვარს განიხილა რუსულ ენაზე გამოსაცემი ქართული პროზის ანთოლოგიის შინაარსი, დაამტკიცა თარგმნითი ლიტერატურის პერსპექტიული გეგმა (1958—1960 წლებისათვის). შემდეგი სხდომები ეძღვნა მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის წიგნების გამოცემას (10.4. და 22.6.), სახელგამის მხატვრული ლიტერატურის სექტორის 1958 წლის გეგმას (6.6.), ლენინურ პრემიაზე გალაკტიონ ტაბიძის წარდგენას (6.12.), მწერალთა კავშირის ზოგიერთ წევრთა საქციელს (იმავე სხდომაზე).

იანვარში პროზაიკოსთა სექციამ მოაწყო რევაზ ჯაფარიძის რომანის „ჯარისკაცის ქვრივის" საჯარო განხილვა (მომხს. აკაკი ბელიაშვილი).

12—19 იანვარს ჩატარდა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმში მომუშავე მწერლები: მამია ვარშანიძე, პარმენ ლორია, ნესტორ მალაზონია, შოთა როყვა, კაპიტონ რუსიძე, გიორგი სალუქვაძე, ამირან შერვაშიძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში. პოეტების სექციამ განიხილა ბათუმელ პოეტთა შემოქმედება (14.1.), მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოეწყო ლიტერატურული საღამო მათი მონაწილეობით. ბოლოს პრეზიდიუმმა შეაჯამა (23.1) დეკადის შედეგები.

დეკადის შემდეგ გაიმართა ბათუმელ მწერალთა საერთო კრება. (20.1.) რომელზეც არჩეულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა.

19—24 მარტს კი ჩატარდა სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად თბილისს ესტუმრნენ ოსი მწერლები გიორგი ბესთაევი, მელიტონ გაბულოვი, გაფეზი (თედორე გაგლოევი), გიორგი კაიტუკოვი, დაბე მამსუროვი, მიხეილ ნართიკოევი, ხარიტონ ფლიევი, გიორგი ძუგაევი, ხ. ჯატიევი, დავით ჯიოევი.

ოს მწერალთა ნაწარმოებები განხილულ იქნა სექციების

სხდომებზე, 26 მარტს კი პრეზიდიუმმა იმსჯელა დეკადის შედეგებზე.

31 მაისს მწერალთა საქალაქო აქტივმა იმსჯელა საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის მესამე პლენუმის შედეგებზე (მწერლობის განვითარება პარტიის მე-20 ყრილობის შემდეგ), მოხსენებით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე [304].

26.6. — გაიმართა დისკუსია კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობაზე".

ივნისში ქართველ მწერლებს ესტუმრა ჩეხი მეცნიერი და მწერალი იარომირ იედლიჩკა.

ივნისიდან გამოსვლა დაიწყო საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალმა „ცისკარმა" — ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობით (1957—1962), ივლისიდან კი — „ლიტერატურნაია გრუზიამ" — კონსტანტინე ლორთქიფანიძის რედაქტორობით (1957—1962).

10.8. — თბილისში ჩამოვიდა ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი.

19. — 22 ოქტომბერს მწერლებმა, ქართველ ხალხთან ერთად, აღნიშნეს ილია ჭავჭავაძის დღეები [305]. ზეიმი ყვარლიდან დაიწყო და 20 ოქტომბერს საგურამოში გადაინაცვლა.

საიუბილეო პლენუმზე (21—22.10) ილია ჭავჭავაძის დაბადების 120-ე და გარდაცვალების 50-ე წლისთავს ეძღვნა გიორგი ლეონიძის („ილია ჭავჭავაძის შემოქმედება"), იოსებ გრიშაშვილის („ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი") და ბესო ჟღენტის („ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა") მოხსენებები, ევგენი ევტუშენკოს, ვერა ზვიაგინცევას, ელენე ნიკოლაევსკაიას, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ორლოვის, უკრაინელთა პეტრე დოროშკოს, ოლექსა ნოვიცკის, ოლექსა იუშჩენკოს, ბელორუს ანატოლი ველიუგინისა და ა. ოსტრეიკოს, ლატვიელთა ოიარ ვაციეტისისა და კარლ კრაულინის, აზერბაიჯანელ ახმედ ჯამილისა და სხვათა გამოსვლები.

საიუბილეო დღეებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ალექსანდრე დემენტიევმა (მოსკოვი), პავლე უსენკომ (უკრაინა), თემბულათ ბალაევმა (ჩრდილო ოსეთი).

22 ოქტომბერს საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე, გარდა ქართველი მწერლებისა, გამოვიდნენ საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი გიორგი მარკოვი, ბელორუსიის მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელი ანა-

---

[304] „ლიტერატურული გაზეთი", 1957, №№ 23, 24.

[305] „ლიტერატურული გაზეთი", 1957, № 26.

ტოლი ველიუგინი, აზერბაიჯანელი ახმედ ჯამილი, თურქმენი პოეტი ყარა სეიტლიევი, ლიტველი ალექსას ბალტრუნასი.

25.10. — ილიას დღეების აღსანიშნავად ქ. ბათუმში გაიხსნა მწერლის ძეგლი.

ოქტომბერში (4.10.) საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები აკაკი ბელიაშვილი, თედორე გაგლოევი, შალვა დადიანი, ივანე თარბა, ალიო მირცხულავა, მიხეილ მრევლიშვილი, ბესო ჟღენტი, სანდრო შანშიაშვილი, სერგი ჭილაია.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილების (1956. 8.9.) შესაბამისად 16 ნოემბრიდან ჩატარდა აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხუხუტი ბღაჟბამ, გიორგი გუბლიამ, ივანე თარბამ, ნელი თარბამ, შალვა ინალ-იფამ, ივანე პაპასქირმა, ბაგრატ შინქუბამ.

დეკადის შედეგებზე იმსჯელა პრეზიდიუმმა (22 ნოემბერს).

12 ნოემბერს გამგეობის სხდომაზე განხილულ იქნა მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის მზადების საკითხები.

6 დეკემბერს პრეზიდიუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გიორგი ლეონიძე გაათავისუფლა მწერალთა კავშირის მდივნის თანამდებობიდან.

საღამოებით აღინიშნა მარიჯანის (მარიამ ალექსიძის) სამწერლო მოღვაწეობის მე-40 წლისთავი (იანვარი), მე-60 წელი წერუნ თორგომიანის (27.5.), 75-ე — იანკა კუპალას (12.7.), მე-60 — ეღიშე ჩარენცის (25.9.) დაბადებიდან და 30-ე წლისთავი არტურ ლაისტის გარდაცვალებიდან (აპრილი).

პაოლო იაშვილის ნეშტი გადაასვენეს დიდუბის პანთეონში.

ამ წელს აფხაზეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად ალექსი ლასურიას ნაცვლად აირჩიეს კუმფ (კონსტანტინე) ლომია.

1958

იანვრიდან გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის აპარის განყოფილების ორთვიური ჟურნალი „ლიტერატურული აპარა“ შოთა ქურიძის რედაქტორობით (1958—1967).

მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1956 წლის 8 სექტემბრის თხოვნა მწერლებისათვის მწერალთა სასახლეში განლაგებული № 14 ამბულატორიის გადაცემის თაობაზე, 1958 წლის 27 იანვარს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: საქლიტფონდის მიერ გახსნილ პოლიკლინიკას ეწოდოს „საქართველოს ლიტერატურული ფონდის მწერალთა პოლიკლინიკა“.

16.3.—სსრკ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კვლავ აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე.

წლის დასაწყისის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში (21—31.3.). გახსნის დღეს დეკადის მონაწილეებს სსრკ მწერალთა კავშირის სახელით მიესალმა პოეტი სერგეი სმირნოვი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე.

22 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში რსფსრ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ სობოლევმა გახსნა დეკადის ლიტერატურული ნაწილი. ირაკლი აბაშიძის შესავალი სიტყვის შემდეგ მოსკოველებს მიესალმა შალვა დადიანი. ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ წაიკითხა ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანიდან.

დეკადის განმავლობაში საკავშირო მწერალთა კავშირში საქმიან ვითარებაში განიხილებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები.

2 აპრილს სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე განხილულ იქნა დეკადის ლიტერატურული ნაწილის შედეგები.

28—29 აპრილს კი საქართველოს მწერალთა კავშირის გამ-

გეობამ განიხილა მოსკოვში ჩატარებული დეკადის შედეგები[306]. მომხსენებელმა, მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა, ირაკლი აბაშიძემ აღნიშნა მოსკოვში მოპოვებული წარმატებები.

გამგეობამ იმსჯელა აგრეთვე საქართველოს მწერალთა მეხუთე და საკავშირო მწერალთა მესამე ყრილობებისათვის მზადების გამო. მომხსენებელმა (სერგი ჭილაია) და კამათში გამოსულებმა (აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსი გომიაშვილი, შალვა დადიანი, გიორგი კაჭახიძე, ალიო მირცხულავა, მიხეილ მრევლიშვილი, ბესო ჟღენტი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, ოთარ ჭელიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, რევაზ ჯაფარიძე) აღნიშნეს ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების ვრცლად გაშუქების აუცილებლობა ყრილობებისათვის მზადების პერიოდში.

ბოლოს, გამგეობაზე გადაწყდა ორგანიზაციული საკითხები: გიორგი ლეონიძის ნაცვლად მდივნად აირჩიეს ბესო ჟღენტი (იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე — 1976).

პრეზიდიუმის სხდომაზე (15.5.) ბესო ჟღენტს დაეკისრა საქლიტფონდის ხელმძღვანელობა, ამიტომ იგი საქლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარედაც აირჩიეს.

თანახმად გამგეობის აპრილის პლენუმზე გამოსულთა მოთხოვნისა, მწერალთა კავშირში გაჩაღდა ქართული ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქება:

პროზის სექციამ მოაწყო დისკუსია (22—23.5.) გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანის „ლაშარელას“ ირგვლივ (მომხს. ბესო ჟღენტი). მეორე დისკუსია (13.6.) მიეძღვნა თანამედროვეობის თემას დრამატურგიაში (მომხს. შალვა აფხაიძე).

ახალგაზრდა პროზაიკოსთა თათბირზე (30.5.) მოხსენებით გამოვიდა გიორგი ნატროშვილი.

ივლისი — თბილისში გაიხსნა (10.7.) მ. ფ. ახუნდოვის ძეგლი. ამ ღონისძიებაზე ჩამოსულ აზერბაიჯანელ და სომეხ მწერალთა მონაწილეობით სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურის პარკში გაიმართა (10.7.) ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურული საღამო, მეორე დღეს კი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის ვრცელი სხდომა მიეძღვნა ამიერკავკასიის ხალხთა მჭიდრო ლიტერატურულ ურთიერთობას (ამავე საკითხის გამო ჩატარდა პრეზიდიუმის კიდევ ერთი სხდომა 1958 წლის 15 სექტემბერს).

---

[306] „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, №№ 18, 20.

სექტემბერი — მწერალთა კავშირს ეწვივნენ იტალიელი მწერლები ი. ბუტიტა, დ. კარდოზი, დ. მუჩი, ვ. მუჩი, ს. სოლმი, ვ. სტრადა.

ოქტომბემრი — გაიმართა (1—2.10.) დისკუსია ოთარ ჩხეიძის რომანის „მეჩეჩის“ [307] ირგვლივ. მომხსენებელმა რევაზ ჯაფარიძემ და კამათში გამოსულმა მწერლებმა გრიგოლ აბაშიძემ, შალვა აფხაიძემ, აკაკი ბელიაშვილმა, ლავროსი კალანდაძემ, კარლო კალაძემ, გიორგი მარგველაშვილმა, დემნა შენგელაიამ, სიმონ ჩიქოვანმა, შოთა ძიძიგურმა მწვავედ გააკრიტიკეს ეს რომანი (ამავე რომანს ეძღვნა პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა 1958 წლის 3—4 ნოემბერს).

* * *

ქართველმა მწერლებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად იზეიმეს ჩვენი დედაქალაქის 1500 წლისთავი და თბილისს მრავალი ნაწარმოები უძღვნეს, მათგან საუკეთესო ქმნილებებმა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ თბილისის 1500 წლისთავის გამო გამოცხადებული კონკურსის პრემიები დაიმსახურეს, კერძოდ პირველი პრემია ერგო გრიგოლ აბაშიძეს დრამატული პოემა — „დედისათვის“ მეორე პრემია — ოთარ ჭელიძეს — ბალადებისათვის, მესამე პრემიები — ალექსი გომიაშვილს პოემა „სამასი არაგველისათვის“ (ნაწილი I), ალიო მირცხულავას, იოსებ გრიშაშვილს და კონსტანტინე ჭიჭინაძეს — ლექსთა ციკლებისათვის, როსტომ ბეჟანიშვილს მოთხრობა „გარეუბნელი ბეზობლებისათვის“. ნოდარ წულეისკირს ნარკვევისათვის — „თბილისელი მოქალაქეები“.

თბილისის იუბილესთან დაკავშირებით 19 ოქტომბერს რუსთაველის პროსპექტზე გაიხსნა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი.

1—5 დეკემბერს მწერალთა კავშირმა საქართველოს ალკკ ცკ-თან ერთად გამართა ახალგაზრდა მწერლების თათბირ-სემინარი. მხატვრული სიტყვის ოსტატებმა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა, საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ განიხილეს ახალგაზრდა პროზაიკოსთა (ასმათ დავითაშვილი, იუზა ყაჭეიშვილი და სხვ.) მოთხრობები.

წლის ბოლოს ჩატარდა შემოქმედებითი სექციებისა და განყოფილებათა საანგარიშო კრებები.

---

[307] „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 48.

1958 წელს გრიგოლ აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობაში (სტოკჰოლმი, შვეცია).

ამ წელს გამართული საღამოებით აღინიშნა ომის მონაწილე მწერლების შემოქმედება (21.2.), კომკავშირის მე-40 წლისთავი (12.6.), გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 50-ე წლისთავი (29.12.), მე-100 წელი ვასილ ბარნოვის (3.6.), 115-ე — ნიკო ნიკოლაძის (15.11.), მე-100 — ალექსანდრე შირვანზადეს (ნოემბერი) დაბადებიდან, ომში დაღუპული მწერლების (28.2.), ვახტანგ ნადარეიშვილის (26.5.), მწერალ ქალთა დომინიკა ერისთავ-ანდეგილის, საფო მგელაძის, კატო მიქელაძის, დარია ახვლედიანის (2.6.), ლადო ასათიანის (30.6.) და გრიგოლ იმედაძის (27.12.) ხსოვნა.

ამირან გაბესკირია სათავეში ჩაუდგა საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“ (1958—1963), მამია ასათიანი კი — მწერალთა კლუბს (1958—1963).

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა დავით კვიცარიძე.

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვიდა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“.

1959

5—6 იანვარს გაიმართა აფხაზეთის მწერალთა პირველი ყრილობა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ (1958—1978) არჩეული ბაგრატ შინქუბას ნაცვლად აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივანე თარბა, პასუხისმგებელ მდივნად ისევ კონსტანტინე (კუმფ) ლომია.

5 იანვარს ქართველი მწერლების წინაშე გამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი ალექსი სურკოვი. მან ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომელთა აღძვრას აპირებდა თავის მოხსენებაში საკავშირო ყრილობაზე.

მაგრამ საკავშირო ყრილობამდე უნდა ჩატარებულიყო რესპუბლიკურ სამწერლო ორგანიზაციათა ყრილობები. და, აი, ჯერ 17 იანვარს, საქართველოს მწერალთა მე-5 ყრილობის ორგანიზაციის საკითხებზე იმსჯელა გამგეობის პლენუმმა, ხოლო 1959 წლის 19—20 იანვარს გაიმართა საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობა[308], რომელმაც მოისმინა მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ირაკლი აბაშიძის მოხსენება — „ქართული მწერლობა ახალი ამოცანების წინაშე". ვრცელ მოხსენებაში მიმოხილული იყო საანგარიშო პერიოდის (1954—1959) ქართული მწერლობა.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბრძოლა გამოეცხადა საზეიმო, რიტორიკულ-დიფირამბულ პოეზიას და მწერლობამ უფრო ღრმად დაიწყო შეჭრა ადამიანის გრძნობათა და განცდათა სამყაროში; რომ ქართულ მწერლობაში თანდათან დაძლეულ იქნა პროზის ჩამორჩენა პოეზიასთან შედარებით, პროზაზე წარმატებით გადადიან პოეტები (გრიგოლ აბაშიძე, არჩილ სულაკაური); რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა სიტყვის ოსტატობისათვის; რომ ქართულმა მწერლობამ მიიღო ახალი ჟურნალები „ცისკარი" და „ლიტერატურნაია გრუზია" (თბილისში), „ლიტერატურული აჭარა" (ბათუმში), აფხაზურმა ლიტერატურამ კი — „ალაშარა" და „ამცაბზი" (სოხუმში).

---

[308] „ლიტერატურული გაზეთი", 1959, №№ 4, 5.

პოეზიაში კვლავ განაგრძობდნენ შემოქმედებით მუშაობას გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, კოლაუ ნადირაძე, ალიო მირცხულავა, ვიქტორ გაბესკირია... შეიქმნა გრიგოლ აბაშიძის დრამატული პოემა „დედა", იოსებ ნონეშვილის ლექსთა ყაზახური ციკლი, ალექსი გომიაშვილის „ადგილის დედა" და „წუთისოფელი", ოთარ ჭელიძის „ქართული ბალადები"...

სოფლის ცხოვრებას ეძღვნა რომანები: კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა", კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალი", თინა დონეაშვილის „ალაზანზე", ოთარ ჩხეიძის „მეჩეჩი": როსტომ ბეჟანიშვილის „სამამულე რქა". აგრეთვე გიორგი ნატროშვილის („ისევ გაზაფხული იყო იორზე") და ბორის ჩხეიძის („ხოხბის წყაროსთან") მოთხრობათა კრებულები. პიესები: მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებურები", მიხეილ მრევლიშვილის „ზვავი", იონა ვაკელის „საქმიანი კაცი", („აპრაკუნე ჭიმჭიმელის" ახალი ვარიანტი).

მუშათა კლასის ცხოვრებას ასახავდა რამდენიმე რომანი: აკაკი ბელიაშვილის „რუსთაველი", იაკინთე ლისაშვილის „ერთგულება", პარმენ ლორიას „ჭიათურის მაღაროებში".

სამამულო ომის დროინდელ ცხოვრებაზე მოგვითხრობდა რომანები აკაკი ბელიაშვილისა „უღელტეხილი", რევაზ ჯაფარიძისა „ჯარისკაცის ქერივი", არჩილ სულაკაურის დებიუტი პროზაში „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", ვიქტორ გაბესკირიას პიესა „გურიის მთები დაუთოვია".

რევოლუციამდელი ცხოვრების სურათები მოგვცა შალვა დადიანმა რომანში — „გვირგვილიანების ოჯახი".

რევოლუციური წარსულის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებს ასახავდა ელიზბარ ზედგინიძის „მზის ამოსვლამდე" (იგივე „განთიადის წინ"), სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე" („პროვინციის მთვარის" გადამუშავება-გაღრმავება), ლიდია მეგრელიძის „მშობლიური ცის ქვეშ".

ისტორიულ თემაზე დაწერილ თხზულებებს შეემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები: სამი რომანი — გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა", ლევან გოთუას „გმირთა ვარამი", იროდიონ სონღულაშვილის „მირანდუხტ იადხმობილი" და ორი პიესა — პოლიკარპე კაკაბაძის „დავით მერვე", ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელი", თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი პოემა მამია ვარშანიძისა „ხიხანის არწივები" და მუხრან მაჭავარიანის „ვახტანგ".

ქართულ პროზაში საიმედოდ დამკვიდრდა ნოდარ დუმბაძე თა-

ვისი იუმორითა და კაცთმოყვარეობით გამორჩეული რომანით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ამ წლებში დაიწერა დემნა შენგელაიას „განძი“, გრიგოლ ჩიქოვანის „ბერძენი“, რევაზ ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“, არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“, ოთარ ჭელიძის „ქიტესა“ და „ორი მარაბდელი“. ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“ და პიესა „ვისია ვისი“.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა და დაიდგა შემდეგი პიესები: „უცნობი ქალი“ გიორგი შატბერაშვილისა, „სამსახეობა რაინდისა“ ლევან გოთუასი, „ეზოში ავი ძაღლია“ კიტა ბუაჩიძისა, „ახალწლის ღამეს“ ვიქტორ გაბესკირიასი, „ლერწამი ქარში“ გრიგოლ ბერძენიშვილისა.

მკითხველმა მიიღო პავლე ინგოროყვას კაპიტალური ნაშრომი „გიორგი მერჩულე“.

ზემოთდასახელებულ ქართველ მწერალთა, აგრეთვე ნაყოფიერად მომუშავე შალვა ამისულაშვილის, ხუტა ბერულავას, რევაზ ინანიშვილის, ანა კალანდაძის, გიორგი კაჭახიძის, ბონდო კეშელავას, მურმან ლებანიძის, ანდრო ლომიძის, რევაზ მარგიანის, ლადო სულაბერიძის, გრიგოლ ცეცხლაძის გვერდით დადგა ახალი საიმედო თაობა: შოთა აკობია, ხუტა გაგუა, გივი გეგეჭკორი, ნოდარ გურეშიძე, მედეა კახიძე, ოთარ კუპრავა, ზურაბ კუხიანიძე, მირიან მირნელი, ლადო მრელაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, გურამ რჩეულიშვილი, მორის ფოცხიშვილი, ედიშერ ყიფიანი, ოთარ შალამბერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი ძნელაძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე.

საქართველოში მოღვაწე რუს მწერალთაგან უნდა აღინიშნოს ემანუილ ფეიგინი, რომელმაც ამ წლებში დაწერა მოთხრობა „მზეონა“ და რომანი „სრულწლოვანება“, ოსური მწერლობიდან — ვლადიმერ გაგლოითის დრამა „პოემა დედაზე“.

ყრილობის მიერ არჩეულმა გამგეობამ 1959 წლის 20 იანვარს გამგეობის პირველ მდივნად ხელახლა დაასახელა და აირჩია ირაკლი აბაშიძე, მდივნებად — სერგი ჭილაია და ბესო ჟღენტი. მათ გარდა პრეზიდიუმში შევიდნენ გრიგოლ აბაშიძე, შალვა დადიანი, კარლო კალაძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მარგიანი, ალიო მირცხულავა, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი (15 კაცი).

სარევიზიო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ბორის ჩხეიძე.

7.3. — გაიმართა პოლიკარპე კაკაბაძის სალიტერატურო მოღვაწეობის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

15.3. — საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს მწერლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ხუხუტი ბღაჟბა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბაგრატ შინქუბა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია, საქ. სსრ განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე. სანდრო შანშიაშვილი კვლავ შეიყვანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მარტში ქართულმა მწერლობამ დაკარგა თავის ორი საუკეთესო წარმომადგენელი — შალვა დადიანი (15.3.) და გალაკტიონ ტაბიძე (17.3.). ორივე დაკრძალულ იქნა მთაწმინდის პანთეონში.

1.4. — აღინიშნა ნიკოლოზ გოგოლის დაბადების 150-ე წლისთავი.

10.4. — ახალარჩეულმა პრეზიდიუმმა იმსჯელა პოეზიის დღის ჩამართვის თაობაზე (ეს იყო ცდა ამ ზეიმის აღდგენისა). გადაწყდა საკითხი დამატებით შესწავლილიყო.

მაისში აღინიშნა ეგნატე ნინოშვილის დაბადების მე-100 წლისთავი.

1959 წლის 18—23 მაისს ჩატარდა საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა. ამ ყრილობაზე ქართველ მწერალთაგან სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე.

საკავშირო ყრილობის მიერ არჩეულ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობაში შევიდნენ ქართველი მწერლები ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, სერგი ჭილაია და აფხაზი მწერალი ბაგრატ შინქუბა, ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში კი — გრიგოლ აბაშიძე.

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოში არჩეულ იქნა ირაკლი აბაშიძე [309].

10 ივნისს ქართველ მწერალთა საქალაქო კრებამ იმსჯელა საკავშირო მწერალთა მესამე ყრილობის შედეგებზე და ქართული მწერლობის ამოცანებზე. ამ საკითხზე იყო ლაპარაკი ირაკლი აბაშიძის ვრცელ მოხსენებასა და მოკამათეთა სიტყვებში [310].

---

[309] სსრკ მწერალთა მესამე ყრილობა. მოსკოვი, 1959 (რუსულ ენაზე).
[310] „ლიტერატურული გაზეთი", 1959, № 25, 26.

15.9. — პრეზიდიუმმა სამდივნოს დაავალა საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომისიის შექმნა.

შემოდგომაზე იოსებ გრიშაშვილს (3.10.), წლის ბოლოს კი გიორგი ლეონიძეს (22.12.) მიენიჭათ საქართველოს სსრ სახალხო პოეტის წოდება და ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამოები პირველის დაბადების 70-ე (6.10.) და მეორის — მე-60 (29.12.) წლისთავების აღსანიშნავად.

საღამოებით აღინიშნა 250-ე წლისთავი სულხან-საბა ორბელიანის (24.10. რუსთაველის თეატრში), მე-100 — კოსტა ხეთაგუროვის (14.10. რუსთაველის თეატრში), 75-ე — დავით სულიაშვილის (20.11.) დაბადებიდან, აგრეთვე ალექსანდრე საჯაიას (2.10) და ალექსანდრე აბაშელის (30.11.) ხსოვნა.

1959 წელს გრიგოლ აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო ბელგიაში გამართულ პოეტთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესში (ბიენალში).

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს გრიგოლ აბაშიძე, მარიჯან ალექსიძე, ხუტა ბერულავა, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი და ბესო ჟღენტი.

მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მწერალთა დიდ ჯგუფს გაუნაწილა (14.11.) საცხოვრებელი ბინები სანაპიროზე, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისში და სხვ.

1960

წლის დასაწყისში მთარგმნელთა სექციის საჯარო სხდომაზე გიორგი ციციშვილმა დაწვრილებით განიხილა თინათინ ჯავახიშვილის მიერ თარგმნილი მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“.

19—23 თებერვალს გაიმართა თათბირი „ლიტერატურული კრიტიკა მხატვრულ პერიოდიკაში“ (1959 წლის მასალების მიხედვით) — „ლიტერატურულ გაზეთში“ (მომხს. ერემია ქარელიშვილი, თანამომხს. შალვა რადიანი), „მნათობში“ (გიორგი მარგველაშვილი, ივანე წულუკიძე), „ცისკარში“ (ვახტანგ ჭელიძე, გიორგი თავზიშვილი), „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (ზურაბ ჭუმბურიძე), „ლიტერატურულ აჭარაში“ (შოთა ქურიძე, ვლადიმერ ზამბახიძე).

4—5 აპრილს ქართველი მწერლებისა და კინემატოგრაფიის ოსტატთა პირველმა გაერთიანებულმა პლენუმმა იმსჯელა მწერალთა და კინემატოგრაფისტთა ურთიერთობაზე [311]. მოხსენებით გამოვიდნენ აკაკი ბელიაშვილი და სიკო დოლიძე. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 1959—60 წლებში გამოშვებული ფილმების სისუსტე აღნიშნეს და სცენარის ნაკლოვანებათა გამო მწვავედ ილაპარაკეს ვიქტორ გაბესკირიამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, რუსმა კინორეჟისორმა ივანე პირიევმა, ბესო ჟღენტმა, დემნა შენგელაიამ, ოთარ ჩიჯავაძემ, რეზო ჩხეიძემ.

7.4 — გარდაიცვალა აფხაზი მწერალი დიმიტრი გულია.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე განხილულ საკითხებთაგან აღვნიშნავთ რამდენიმეს:

გადაწყდა პოეზიის დღესასწაულის აღდგენა და ამ დღის ტრადიციულ დღედ გამოცხადება [312].

28 მაისს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მიეძღვნა გრიგოლ აბაშიძის პიესის („მოგზაურობა სამ დროში“) კითხვა-განხილვას.

პრეზიდიუმის კიდევ ერთი გაფართოებული სხდომა (გამომცემლობის მუშაკებთან ერთად, 14—15.9.) დაეთმო მხატვრული ლიტერატურის თარგმნის მდგომარეობის განხილვას [313].

---

[311] „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, №№ 15, 16.
[312] „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, № 16.
[313] „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, № 40.

ივნისში პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო ჩატარდა (5.6.) სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

18.6. — გარდაიცვალა კონსტანტინე ჭიჭინაძე.

1.8. — გარდაიცვალა გერონტი ქიქოძე (ორივე დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

ნოემბრიდან საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ „მნათობის" რედაქტორია (1960—1967) გრიგოლ აბაშიძე, ჟურნალ „დროშისა" — ალიო მირცხულავა (1960—1961).

3 დეკემბერს გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადების 120-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო პლენუმი. მოხსენებით „აკაკი წერეთლის ცხოვრება. და შემოქმედება" გამოვიდა ბესო ჟღენტი, „აკაკის პოეზია" — გიორგი ლეონიძე, სიტყვები წარმოთქვეს გრიგოლ აბაშიძემ, აკაკი ბელიაშვილმა, მიხეილ მრევლიშვილმა, შალვა რადიანმა, და სხვ. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეჰთი ჰუსეინმა, მამედ რაჰიმმა და ვაზგენ მნაცაკანიანმა.

ამას მოჰყვა (6.12.) აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში.

წლის განმავლობაში გაიმართა რამდენიმე თათბირი, რომელთაგან ერთი (თებერვალში) გაზ. „პრავდის" მოწოდების („შევქმნათ წიგნები თანამედროვეებზე — კომუნიზმის მშენებლებზე"), ხოლო მეორე (9.12.) ესტრადის საკითხების განხილვას ეძღვნა.

24 ნოემბერს პრეზიდიუმმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ასარჩევად წარადგინა ირაკლი აბაშიძე და იგი ამავე წლის ბოლოს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. (მასთან ერთად აირჩიეს მწერალთა კავშირის წევრები: ალექსანდრე ბარამიძე — შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე და გიორგი ჯიბლაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი).

საბჭოთა მწერალმა გამოსცა კრებული „ქართველი პოეტები ლენინს".

თანდათან ფართოვდებოდა საბჭოთა მწერლების ურთიერთობა საზღვარგარეთის მწერლებთან და სამწერლო ორგანიზაციებთან. ამ პროცესში ქართველი მწერლებიც ჩაებნენ. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1959 წელს (15.9.) პრეზიდიუმმა სამდივნოს დაავალა საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომისიის შექმნა (თუმცა მანამდეც, 1955 წლის იანვარში, ჩამოყალიბდა უცხოეთის კომისია). 1960 წელს ევროპის მწერალთა ასოციაციის (შეიქმნა 1958 წელს იტალიაში) წევრად აირჩიეს საქართვე-

ლოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

1960 წელს საღამოებით აღინიშნა მე-100 წლისთავი ანტონ ჩეხოვის (29.1.), მე-60 — ლევან ასათიანის (10.6.), მე-100 — მარიამ დემურიას (21.6. თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად), 70-ე — სეზმან ერთაწმინდელის (ივლისი), 120-ე — იაკობ გოგებაშვილის (22.10.) დაბადებიდან, შალვა დადიანის (15.3.) და გალაკტიონ ტაბიძის (17.3.) გარდაცვალების წლისთავები, გუია ბერულავას მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობის 25-ე წლისთავი (ივლისი).

1961

ამ წელს ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრებად აირჩიეს კიდევ რამდენიმე ქართველი მწერალი, კერძოდ: გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, სერგი ჭილაია, სიმონ ჩიქოვანი [314].

წლის დასაწყისში (12.1.) ჩატარდა დისკუსია ოტია იოსელიანის რომან „ვარსკვლავცვენაზე".

აპრილში საქართველოში იყვნენ ამერიკელი მწერლები ელენე და გიორგი პაპაშვილები [315].

აპრილშივე სსრკ მწერალთა კავშირმა და საქართველოს მწერალთა კავშირმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კპ შექმნის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გამართეს ქართველ პოეტთა საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხუტა ბერულავამ, ანა კალანდაძემ, რევაზ მარგიანმა, მუხრან მაჭავარიანმა, იოსებ ნონეშვილმა, მიხეილ ქვლივიძემ, ოთარ ჭელიძემ.

თბილისში კი საქართველოს მწერალთა კავშირმა 9 მაისს გამართა ამ თარიღის აღსანიშნავი საღამო.

10 მაისს თბილისში სტალინის სახელობის სანაპიროზე გაიხსნა ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი.

18.6. — ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი საღამო. შემდეგში პოეზიის დღის ზეიმი თანდათან მოედო მთელ საქართველოს.

19—25 ივნისს თბილისში იმყოფებოდა მიხეილ შოლოხოვი. იგი შეხვდა ქართველ მწერლებს ირაკლი აბაშიძეს, გიორგი ლეონიძეს, ბესო ჟღენტს, გიორგი ჯიბლაძეს, დაათვალიერა საქართველოს მრავალი კუთხე.

---

[314] „ლიტერატურული გაზეთი", 1961, № 13.

[315] „ლიტერატურული გაზეთი" 1961, № 16.

27.6. — ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართა კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 70-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

25 ივლისს შედგა ვაჟა-ფშაველას დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პლენუმი, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები ვაჟა-ფშაველას პოეზიის (სიმონ ჩიქოვანი), პროზის (აკაკი ბელიაშვილი), დრამატურგიის (დიმიტრი ბენაშვილი) შესახებ, აგრეთვე — „ვაჟა და ხალხური პოეზია" (ალექსი გომიაშვილი), „ვაჟა და თანამედროვე საბჭოთა პოეზია" (ბესო ჟღენტი). 26 ივლისს გაიმართა საიუბილეო ზეიმი თბილისის სპორტის სასახლეში. შესავალი სიტყვითა და მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

ვაჟას საიუბილეო დღეებში მონაწილეობა მიიღეს ნიკოლოზ ტიხონოვმა და ირაკლი ანდრონიკოვმა, აზერბაიჯანელმა მწერლებმა მირზა იბრაჰიმოვმა და ალი-ალა ქურჩაილიმ, ლატვიელმა მეინგარდ რუძიტისმა, ოსმა გიორგი კაიტუკოვმა და სხვ.

ვაჟა-ფშაველას საზეიმო დღეებში თბილისის ერთ-ერთ ახალ მთავარ მაგისტრალს ვაჟა-ფშაველას პროსპექტი ეწოდა.

26.7. — საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „ვაჟა" (რედაქტ. კონსტანტინე მეძველია).

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო დღეები დამთავრდა 22 სექტემბერს მოსკოვში პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაძართული საღამოთი, რომელიც გახსნა ნიკოლოზ ტიხონოვმა. სიტყვით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე.

14.12. — საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა აკაკი ბელიაშვილი.

ამ წელს მწერალთა კავშირის წევრებად მიიღეს გურამ ასათიანი, გურამ გვერდწითელი, გიორგი ციციშვილი და სხვ.

1961 წელს საღამოებით აღინიშნა 150-ე წელი ბესარიონ ბელინსკის (12.6. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში), მე-60 — არნო ონელის (28.10.) დაბადებიდან, მე-100 წელი ტარას შევჩენკოს (9.3.), 25-ე — მაქსიმ გორკის (17.6.) გარდაცვალებიდან.

1962

წლის დასაწყისში გაიმართა ორი საიუბილეო საღამო: ოპერის თეატრში აღინიშნა მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების მე-80 (18.1.), ხოლო რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში — ნინო ნაკაშიძის დაბადების 90-ე (29.1.) წლისთავები.

იანვარში სამდღიან თათბირზე (20.22.1.) განხილულ იქნა სამხედრო-მხატვრული ლიტერატურის მდგომარეობა და საბჭოთა არმიის მეომრებთან მწერლების ურთიერთობის განმტკიცების საკითხი.

19 თებერვალს პრეზიდიუმმა იმსჯელა ქართველი მწერლებისა და კინოხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაზე.

3—5 მარტს ჩატარდა პლენუმი რომელიც მიეძღვნა საკითხს — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები". მოხსენება ამ საკითხზე წაიკითხა მწერალთა კავშირის მდივანმა სერგი ჭილაიამ [316]. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდა შემოქმედთა ერთი ჯგუფის მიერ სამოქალაქო ლირიკის, საზოგადოებრივი საკითხების ზურგშექცევას და ნეიტრალური თემების გამოკიდებას. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნდა თანამედროვე ადამიანის უფრო ძლიერად და სრულყოფილად ასახვა, მწერლობისა და თეატრის ურთიერთობის სწორ ნიადაგზე დაყენება, ზრუნვა ქართულ ენასა და ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე. ამავე საკითხებზე ილაპარაკეს მწერლებმა ირაკლი აბაშიძემ, ვიქტორ გაბესკირიამ, თედორე გაგლოევმა, ალექსი გომიაშვილმა, დავით კვიცარიძემ, სერგო კლდიაშვილმა, გიორგი მარგველაშვილმა, მუხრან მაჭავარიანმა, ალიო მირცხულავამ, იოსებ ნონეშვილმა, ბესო ჟღენტმა, არჩილ სულაკაურმა, გიორგი შატბერაშვილმა, დემნა შენგელაიამ, ოთარ ჭელიძემ, თამაზ ჭილაძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ, ფრიდონ ხალვაშმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა — თენგიზ ბუაჩიძემ, რეჟისორმა დოდო ანთაძემ.

[316] „ლიტერატურული გაზეთი", 1962, №№ 11, 12.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი დეკი სტურუა.

მარტშივე (13—16.3.) თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რეგიონალური თათბირი მხატვრული თარგმანის მდგომარეობის თაობაზე, თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოველმა მწერლებმაც. თათბირზე ჩამოსულ მწერალთა ძალებით რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლიტერატურული საღამო (15.3.)

18.3. — სსრკ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კვლავ აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე.

2.6. — გაიმართა გერონტი ქიქოძის დაბადების 75-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

5.6. — მოეწყო მწერლებისა და კომპოზიტორების შეხვედრა.

15—25 ივნისს საქართველოში მოეწყო რუსული პოეზიის დეკადა. ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებულ (16.6.) ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ, გამოვიდნენ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ალექსი სურკოვი (მოხსენება „რუსული საბჭოთა პოეზია") და პოეტები ვიქტორ ბოკოვი, ევგენი დოლმატოვსკი, ნიკოლოზ რილენკოვი, ვლადიმერ სოლოუხინი, ილია ფონიაკოვი, ოლეგ შესტინსკი. დეკადაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე არსენ ტარკოვსკიმ და ალექსანდრე ტვარდოვსკიმ. რუს პოეტებს შეხვედრები ჰქონდათ ქ. რუსთავში (17.6.), საქ. მეცნ. აკადემიაში (18.6.), კახეთსა და დას. საქართველოში. 27 ივნისს კი რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ალექსანდრე ტვარდოვსკის შემოქმედების საღამო.

26.9. — გაიმართა მოსკოვის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „კავკაზში" მაქსიმ გორკის „მაკარ ჩუდრას" გამოქვეყნების 70-ე წლისთავს.

ოპერის თეატრში გაიმართა დავით კლდიაშვილის დაბადების შე-100 (25. 9.), მ. ფ. ახუნდოვის დაბადების 150-ე (30.10.) წლისთავების აღსანიშნავი საიუბილეო საღამოები.

ოქტომბრიდან კონსტანტინე ლორთქიფანიძე სათავეში უდგება ჟურნალ „ცისკარს" (1962—65), ნოემბრიდან კი მიხეილ მრევლიშვილი — ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" (1962—1968).

2.11. — მწერალთა სასახლეში მოეწყო მხატვარ კირილე ზდანევიჩის ნაწარმოებთა გამოფენა-განხილვა.

25—26 ნოემბერს საქართველოში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 125-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დღეები. ზეიმი ყვარელში დაიწყო (25.11.), მეორე დღეს (26.11.) თბილისში ოპერის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო.

ნოემბერშივე გაიმართა გიორგი ნამორაძის დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

17.11. — მოეწყო ახალგაზრდა მწერალთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდა მწერალთა მეოთხე საკავშირო თათბირისათვის მზადებას.

1962 წლის 15 ნოემბერს „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ქართული „ლიტერატურული გაზეთის" მიმოხილვა. ეს უკანასკნელი წერილში — „რეპლიკები" — შეედავა ამ კრიტიკას. ამან გამოიწვია „ლიტერატურნაია გაზეტას" ხელმეორე გამოსვლა („შესცვლიან თუ არა რეპლიკები თვითკრიტიკას?" № 143, 1.12. 1962). საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ, განიხილა რა ეს საკითხი[317], აღნიშნა: „ლიტგაზეტას" კრიტიკული შენიშვნები სამართლიანი იყო და „ლიტერატურული გაზეთის" რედაქტორს გიორგი ნატროშვილს უფლება არ ჰქონდა საპასუხო რეპლიკები სარედაქციო კოლეგიასთან შეუთანხმებლად გამოექვეყნებინაო. სამდივნომ დაავალა რედაქციას შეემუშავებინა და სამდივნოსთვის წარედგინა გაზეთის მუშაობის გარდაქმნის გეგმა „ლიტერატურნაია გაზეტას" კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით.

ყოველივე ამას ცოტა მოგვიანებით მოჰყვა გაზეთის რედაქტორის შეცვლა.

22.11. — მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე განაწილდა ახალი საცხოვრებელი სახლის (პლეხანოვის პროსპ. № 181) ბინები. იქვე გადავიდა საქლიტფონდი, რომელიც მანამდე მოთავსებული იყო იმავე პლეხანოვის პროსპ. № 117 სახლში.

* * *

გამოვიდა წიგნი „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ" („საბჭოთა საქართველო").

1962 წლიდან ვახტანგ გორგანელი ინიშნება მწერალთა შემოქმედებითი სახლის „ქვიშხეთის" დირექტორად (1962—1965).

---

[317] „ლიტერატურული გაზეთი", 1963, № 4.

1968

წელი დაიწყო (7.1.) გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოთი — რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში აღინიშნა პოეტის დაბადების 70-ე წლისთავი.

8 თებერვლიდან „ლიტერატურულ გაზეთს“ ისევ „ლიტერატურული საქართველო“ ეწოდა (№ 7-დან) და მის რედაქტორად (1963—1967) დაინიშნა იოსებ ნონეშვილი, გიორგი ნატროშვილი კი სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „დროშას“ (1963. № 3 — 1973. № 9).

სულ უფრო მეტ მწერალს ირჩევდნენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში — ამჯერად (17.3) რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატები გახდნენ გრიგოლ აბაშიძე (ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი), ხუხუტი ბღაჟბა (საქ. მეცნ. აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი), ვლადიმერ გელაშვილი (სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი), გიორგი ლეონიძე (საქართველოს სახალხო პოეტი, საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი), ბესო ჟღენტი (საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი), სერგო ფხაკაძე (ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი), ბაგრატ შინქუბა (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე) და სერგი ჭილაია (საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი).

თბილისის საბჭოს დეპუტატებად კი აირჩიეს მწერლები მარიკა ბარათაშვილი, ხუტა ბერულავა, ლევან გოთუა, ორდე დგებუაძე, ანა კალანდაძე, კარლო კალაძე და იოსებ ნონეშვილი.

23.3. — გაიმართა ლიტერატურისა და ხელოვნების, მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც მოხსენებით „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარება“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე.

8 აპრილს გამართული საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმის დღის წესრიგში იდგა მაღალიდეურობა და მხატვრული ოსტატობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში (სსრკ

მწერალთა კავშირის გამგეობის მეოთხე პლენუმის — 1963 მარტი — შედეგები). პლენუმმა[318] განიხილა მწერლობისა და თეატრის ურთიერთობა. ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მწერლებმა გრიგოლ აბაშიძემ, გურამ ასათიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გურამ გვერდწითელმა, კარლო კალაძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ბესო ჟღენტმა, დემნა შენგელაიამ, სერგი ჭილაიამ, რევაზ ჯაფარიძემ და თეატრის მუშაკებმა დოდო ანთაძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, არჩილ ჩხარტიშვილმა და სხვ.

1963 წლის 22 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ საქართველოს კპ ცკ-ს მიმართ[319] წინადადებით განიხილა საქართველოში ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის დაარსების საკითხი.

ეს წინადადება მოტივირებული იყო შემდეგნაირად: ვინაიდან ლენინური პრემიებით აღუნიშნავი რჩება ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, თვით ლენინური პრემიების კომიტეტის წევრებმა გამოთქვეს აზრი — დაწესებულიყო რესპუბლიკური პრემიები. ასეთი პრემიები უკვე არსებობდა რსფსრ-ში, უკრაინასა და ბელორუსიაში.

როგორც ვიცით, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა მომდევნო წელს.

აპრილიდან ჯანსუღ ჩარკვიანი ჟურნალ „დილის" რედაქტორია (1963—1967), ხოლო მუხრან მაჭავარიანი — ჟურნალ „პიონერისა".

აპრილში საღამოებით აღინიშნა 25-ე წლისთავი გამომცემლობა „ნაკადულისა" (15.4.), მე-80 — დემიან ბედნის (15.4. თბილისის ოფიცერთა სახლთან ერთად) მე-60—აკაკი ბელიაშვილის (29.4.) დაბადებიდან, მაისში კი (27.5.) — მე-60 წლისთავი სიმონ ჩიქოვანის დაბადებიდან (რუსთაველის თეატრში).

ივნისში ქართველ მწერლებს ესტუმრნენ ბულგარელი მწერლები ს. ვასევი, მლადენ ისაევი, კამენ კალჩევი, ტ. სტოიანოვი და იუგოსლაველი იზეტ სარაილიჩი, სექტემბერში — იაპონელი იპეი ფუკურო, გერმანელი ვერნერ ეგერატი და პოლონელი ცოლ-ქმარი ვ. და ე. სლობოდნიკი.

3.7. — გარდაიცვალა ნინო ნაკაშიძე (დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

---

[318] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", №№ 15, 16.
[319] ლხცსა, 8—2196—1.

20.7. — ხელოვნების სახლში გაიმართა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

23.9. — გაიმართა იროდიონ ევდოშვილის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

28.10. — გაიმართა საიათნოვას დაბადების 250-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო (ორივე ოპერის თეატრში).

11 ოქტომბერს ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამსელელი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა აჭარაში მომუშავე ქართველ მწერალთა შემოქმედება. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი შოთა ქურიძე, სიტყვებით — გრიგოლ აბაშიძე, ალექსი გომიაშვილი, კარლო კალაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, გიორგი შატბერაშვილი, სერგი ჭილაია, ბათუმში მომუშავე მწერლები: ჰაიდარ აბაშიძე, პარმენ ლორია, კაპიტონ რუსიძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი.

თბილისელი მწერლების მონაწილეობით ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში, სოფ. გონიოსა და ქედაში გაიმართა ლიტერატურული საღამოები.

25.12. — გარდაიცვალა ლეო ქიაჩელი. დაკრძალულია მთაწმინდაზე.

1963 წელს გამომცემლობების „საბჭოთა მწერლის", „ზარია ვოსტოკისა" და „ხელოვნების" ბაზაზე შეიქმნა ერთი გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება", რომლის დირექტორად პოეტი რევაზ მარგიანი დაინიშნა (1963—1967).

გამომცემლობა საკუთრივ თავისი საქმეების გარდა, ხელმძღვანელობდა ჟურნალების „მნათობის", „ცისკრისა" და „ლიტერატურნაია გრუზიის" გამოცემას.

ამავე წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს · ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, ეს გამომცემლობა დაექვემდებარა ამ კომიტეტს, თუმცა 1978 წლის დასაწყისამდე რჩებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობადაც.

1963 წელს ამირან გაბესკირია დაინიშნა საქლიტფონდის, გივი გოგიჩაიშვილი — მწერალთა კავშირის კლუბის დირექტორად (1963—1968) ხოლო ნიკოლოზ მიქავა — სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს · პასუხისმგებელ მდივნად (1963—1975).

1964

1964 წელზე საუბარი უნდა დავიწყოთ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნით: 10 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების შემდგომი განვითარების მიზნით შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების (1968 წლიდან „საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები“) დაწესების თაობაზე [320].

17.3. — პრეზიდიუმის მსჯელობის საგანი გახდა ჟურნალ „მნათობის“ დაარსების მე-40 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებანი. ეს საიუბილეო თარიღი აღინიშნა 30 მარტს.

27—28 მარტს გამართული პლენუმი მიეძღვნა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდასა და ქართულ საბავშვო ლიტერატურას [321]. მომხსენებელმა მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის თავმჯდომარემ ხუტა ბერულავამ მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ განიხილა ქართული საბავშვო პოეზიისა და პროზის მიღწევა-ნაკლოვანებები, საბავშვო წიგნის გამოცემის მდგომარეობა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მწერლები და მეცნიერები გიორგი ახვლედიანი, ვასო ბაიაძე, პაატა გუგუშვილი, ვლადიმერ ზამბახიძე, გიორგი კაჭახიძე, ნიკო კეცხოველი, მურმან ლებანიძე, ბესო ჟღენტი, როდიონ ქორქია, ანა ღვინიაშვილი, აკაკი შანიძე, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ ჩაჩავა, ზურაბ ჭუმბურიძე.

აპრილიდან საქართველოში იმყოფებოდა ბულგარელი პოეტი ნიკოლოზ კინჩევი.

---

[320] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, № 11, 1968, № 7.

[321] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, № 14. თუმცა საგანგებოდ აღინიშნა: პირველად საქართველოს მწერალთა კავშირის ცხოვრებაში პლენუმი მთლიანად საბავშვო ლიტერატურას მიეძღვნაო, — ეს სინამდვილეს არ შეეფერება, 1952 წლის 27—28 ნოემბერს გამართული პლენუმი ასევე მთლიანად საბავშვო მწერლობას ეძღვნა და დაწვრილებით განიხილა იგი მრავალ ასპექტში.

13.5. — გაიმართა თათბირი პოეზიის საკითხებზე.

3.6. — ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე ქართველ მწერალთაგან გამოვიდნენ გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე და სერგი ჭილაია.

ივნისში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში და სხვ. გაიმართა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი საღამოები.

30.6. — პრეზიდიუმმა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მისაღებად წამოაყენა პირველი კანდიდატები: ირაკლი აბაშიძე და კონსტანტინე გამსახურდია.

ივლისში საქართველოში იყვნენ ირანელი პოეტი საიდ ნაფისი და ალჟირელი მწერალი ქათიბ იახსინი, აგვისტოში — ჩეხოსლოვაკელი ივანე სკალა.

27.8. — გარდაიცვალა ვიქტორ გაბესკირია (დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

15.9. — ცხინვალში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სამხრეთ ოსეთის განყოფილების მუშაობა.

11.9. — პრეზიდიუმმა იმსჯელა საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის ჩატარების მზადებისათვის. ამ დეკადაში, რომელიც 2—12 ოქტომბერს გაიმართა, მონაწილეობა მიიღო უკრაინელი მწერლების დელეგაციამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ოლეს გონჩარის მეთაურობით. კერძოდ, საქართველოში ჩამოვიდნენ მიკოლა ბაჟანი, ივანე დრაჩი, ივანე ვირგანი, პავლო ზაგრებელნი, მიკოლა ზარუდნი, იური ზბანაცკი, ოლეს იურენკო, იგორ კაზიმიროვი, (უკრაინის მწერალთა კავშირის აპარატის მუშაკი), ვასილ კოზაჩენკო, ლიუბომ კოპილენკო, ვიტალი კოროტიჩი, დმიტრი კოსარიკი, ლეონიდ ნოვიჩენკო, ოლექსა ნოვიცკი, დმიტრო პავლიჩკო, ვადიმ სობკო, მიხაილო სტელმახი.

უკრაინელი მწერლები თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში გაეცნენ ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას, შეხვდნენ მკითხველებს.

12 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა დეკადის დასკვნითი საღამო.

1964 წლის ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილება:

24 დეკემბერს გამგეობის პლენუმზე შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა და სამდივნო. თავმჯდომარედ აირჩიეს ირაკლი აბაშიძე, მდივნებად — სერგი ჭილაია და ბესო ჟღენტი.

როგორც გამგეობის სხდომაზე აღინიშნა, ვინაიდან ბესო

ელენტმა მუშაობა დაიწყო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში და მწერალთა კავშირში დარჩა ნახევარ განაკვეთზე, ამ გარემოებამ მოითხოვა სამდივნოში კიდევ ერთი მდივნის შეყვანა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად აირჩიეს იოსებ ნონეშვილი, რომელიც, როგორც ითქვა, მუდმივად იყო დაკავშირებული მწერალთა კავშირის საქმიანობასთან (როგორც პარტბიუროს მდივანი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი). აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა, შეძლებდა თუ არა იოსებ ნონეშვილი მდივნობისათვის შეეთავსებინა გაზეთის რედაქტორობა (კარლო კალაძე, რევაზ ჯაფარიძე).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი დევი სტურუა.

1964 წელს საღამოებით აღინიშნა მე-60 წლისთავი ალიო მირცხულავას (13.1. რუსთაველის თეატრში), 70-ე — ჰაიდარ აბაშიძის (21.3.) მე-400 — უ. შექსპირის (აპრილი), 70-ე — პაოლო იაშვილის (10.6. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში), მე-60 — ნიკოლოზ ოსტროვსკის (სექტემბერი), 150-ე — მიხეილ ლერმონტოვის (14.10., რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში), მე-60 — ბასილ მელიქიშვილის (26.11.), მე-60 — სურენ ავჩიანის (ნოემბერი), მე-80 — ალექსანდრე აბაშელის (28.12. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში) და 90-ე წლისთავები შალვა დადიანის დაბადებიდან (დეკემბერი).

ნაცვლად ოციან წლებში გამომავალი ერთდროული გაზეთისა, გამოიცა პოეზიის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსთა კრებული „პოეზიის დღე".

1965

1965 წელიც შოთა რუსთაველის იუბილეს ნიშნით დაიწყო: 16 იანვარს საქართველოს კპ ცკ-მ მიიღო გადაწყვეტილება 1966 წლის სექტემბერში შოთა რუსთაველის დაბადების მე-800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის ჩატარების შესახებ. მთავრობის საიუბილეო კომიტეტში მწერალთაგან შეივიდნენ: ირაკლი აბაშიძე (საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), ირაკლი ანდრონიკოვი, მიკოლა ბაჟანი, ალექსანდრე ბარამიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, ბესო ჟღენტი, სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი ნიკოლოზ ტიხონოვი, სსრკ მწერალთა კავშირის პირველი მდივანი კონსტანტინე ფედინი, ბაგრატ შინქუბა, მიხეილ შოლოხოვი, სიმონ ჩიქოვანი, სერგი ჭილაია (საიუბილეო კომიტეტის მდივანი) და გიორგი ჯიბლაძე.

თებერვალში კი ცნობილი გახდნენ შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიის პირველი ლაურეატები — ირაკლი აბაშიძე (პრემია მიენიჭა ლექსებისათვის „პალესტინა, პალესტინა“ ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“) და კონსტანტინე გამსახურდია (რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“) [322].

გარდა რუსთაველის იუბილესათვის სამზადისისა, წინ იყო კიდევ ორი მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი: დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავი (1967 წელს) და ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავი (1970 წელს). სწორედ ამ იუბილეებისათვის მზადებას ეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის საგანგებო პლენუმი, რომელიც გაიმართა 26 თებერვალს [323].

პლენუმი ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ დოდო ანთაძე (თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე), ხუტა ბერულავა, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსი გომიაშვილი, სიკო დოლიძე (კინემატოგრაფისტთა კავშირის თავ-

---

[322] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 9.

[323] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 10.

მჯდომარე), ივანე თარბა, ოთარ თაქთაქიშვილი (საქ. სსრ კულ-ტურის მინისტრი), სერგო კლდიაშვილი, ელგუჯა მაღრაძე (გა-მომც. „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი), გივი მელაძე (ბეჭ-დვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე), ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია.

პლენუმმა დაადგინა: საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრი-ლობა გაიმართოს 1966 წლის პირველ კვარტალში.

შემდგომში, შოთა რუსთაველის საიუბილეო სამზადისთან ერთად, მწერალთა კავშირის სამდივნო, პრეზიდიუმი და გამგეობა არაერთხელ დაუბრუნდა საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრი-ლობისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 და ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის მზადების საკითხებს. კერძოდ, 14 მაისს პრეზიდიუმმა შოთა რუსთაველის მომავალი იუბილეს აღნიშვნის გამო 1965 წლიდან პოეზიის დღედ 25 სექტემბერი დააწესა [324].

ამ წელს გამართული მწერალთა კავშირისა თუ მწერლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებიდან შეიძლება აღვნიშნოთ:

22.3. — მწერალთა სასახლეში გაიმართა კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის შემოქმედების საღამო.

19 აპრილს გაიმართა სამამულო ომში დაღუპული მწერლების, ხოლო 7 მაისს ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მე-20 წლის-თავის აღსანიშნავი საღამო, რომელზეც მოხსენებით „ქართული მწერლობა დიდ სამამულო ომში“ გამოვიდა საქართველოს მწე-რალთა კავშირის მდივანი ბესო ჟღენტი, მოგონებებითა და ლექ-სების კითხვით კი — ომის მონაწილე მწერლები.

20—21.5. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად გაიმართა დისკუსია. მოხსენებით „თანამედროვეობის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“ გამოვიდა ბესო ჟღენტი.

6.6. — თბილისში ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე გაიხსნა და-ვით გურამიშვილის ძეგლი.

25.7. — გაიმართა დანტე ალიგიერის დაბადების მე-700 წლის-თავის აღსანიშნავი საღამო (ხელოვნების მუშაკთა სახლში).

ივლისში ნიკოლოზ ტიხონოვის თავმჯდომარეობით შეიქმნა შოთა რუსთაველის საკავშირო საიუბილეო კომიტეტი.

აგვისტოში გარდაიცვალა იოსებ გრიშაშვილი (დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში). აგვისტოშივე მოეწყო ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო (9.8.), თბი-ლისში სტუმრად იყო თურქი მწერალი აზიზ ნესინი.

---

[324] გაზ. „ლიტერატურული საქართველო, 1965, № 21.

სექტემბერში საქართველოში იყო მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის — პენ-კლუბის გენერალური მდივანი დეივიდ კარვერი.

ოქტომბრიდან ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორია (1965—1967) ხუტა ბერულავა.

23.11. — რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადების 125-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

11.12. — მოეწყო სოლომონ თავაძის დაბადების 75-ე წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

1965 წელს საფრანგეთის აკადემიამ სერგი წულაძეს მიანიჭა ლანგლუას პრემია „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნისათვის.

ნოდარ დუმბაძე დაინიშნა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორად (1965—1973).

გამოვიდა ქართველი პოეტების ლექსთა კრებულები „მრისხანე წლების მოსაგონრად. 1941—1945“ და „პოეზიის დღე“.

წლის განმავლობაში აღინიშნა მიხეილ შოლოხოვის დაბადების მე-60 (მაისი), გაბრიელ სუნდუკიანის დაბადების 140-ე (ივლისი) და კონსტანტინე ლორთქიფანიძის დაბადების მე-60 (ოქტომბერი) წლისთავები.

1966

იანვრიდან „საქართველოს ქალს“ სათავეში ჩაუდგა მარიკა ბარათაშვილი.

მარტში საქართველოს კპ XXIII ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე[325]. იგი შეეხო ეროვნული ფორმის შესახებ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე გამართულ კამათში დაშვებულ შეცდომებს, რომელზეც თვით გაზეთმაც მიუთითა შემაჯამებელ სტატიაში.

აპრილში გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება „გავაუმჯობესოთ თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის საქმე[326].

24.4. — გარდაიცვალა სიმონ ჩიქოვანი. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

აპრილში გაიმართა აფხაზეთის მწერალთა მეორე ყრილობა, რომელზეც განიხილეს კავშირის თავმჯდომარის ივანე თარბას საანგარიშო მოხსენება „აფხაზური საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის მიჯნაზე“.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ხელახლა იქნა არჩეული ივანე თარბა, პასუხისმგებელ მდივნად — კონსტანტინე ლომია[327].

თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა 1966 წლის 31 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ გადაწყვიტა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გამომცემლობა შეეცვალა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციად.

ვინაიდან ზემდგომმა ორგანოებმა მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ კვლავ საკავშირო მწერალთა კავშირს დაუბრუნეს (იხ. სსრკ მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილება, — 1966.9.4.), ამის მიხედვით, საქართველოს მწერალთა

---

[325] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 11.

[326] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 18.

[327] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 18.

კავშირის სამდივნომ დაადგინა (1966.5.5.): აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ინსტანციებთან, რათა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება", რომელიც ამას წინათ დაუქვემდებარეს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, კვლავ საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცესო.

ასეთი იყო რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლებიც 1966 წლის დასაწყისში საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოსა და პრეზიდიუმის ყურადღებას იპყრობდა.

მაგრამ ამ წელს მთავარი მაინც შოთა რუსთაველის იუბილესათვის სამზადისი იყო: კავშირში იმართებოდა რუსთველოლოგიური საუბრები; შოთა რუსთაველის დაბადების წლისთავისათვის მზადებას ეძღვნა გამგეობის პლენუმი (16—17.3.). ამ საკითხზე ვრცლად ილაპარაკა ირაკლი აბაშიძემ შესავალ სიტყვაში და მომხსენებელმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და რუსთაველოლოგებმა ალექსანდრე ბარამიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ელენე ვირსალაძემ, სარგის კაკაბაძემ, ვლადიმერ მაჭავარიანმა, ნოდარ ნათაძემ, აკაკი შანიძემ და დემნა შენგელაიამ.

ამავე პლენუმმა იმსჯელა საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრილობის მოწვევაზე (სერგი ჭილაიას ინფორმაცია, კონსტანტინე გამსახურდიას, ხუტა ბერულავას, გრიგოლ აბაშიძის, ბესო ჟღენტის, მიხეილ მრევლიშვილის, ერემია ქარელიშვილის გამოსვლები), დაადგინა საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრილობის მოწვევის დღე (1966 19 მაისი) და დღის წესრიგი (მოხსენებები და თანამოხსენებები ჟანრების მიხედვით) [328].

შემდგომი პლენუმი (23.6.) უშუალოდ მწერალთა ყრილობისათვის მზადებას ეძღვნა.

ასეთი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1966 წლის ზაფხულში, საქართველოს მწერლები შეიკრიბნენ თავიანთ მორიგ მეექვსე ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო 216 დელეგატი, აქედან 124 გადამწყვეტი ხმით (არჩეული იყო 126), 88 — სათათბირო ხმით (არჩევის ნორმა თანახმად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1966,14.3. — დადგენილებისა: 3 წევრზე 1 დელეგატი. დელეგატები აირჩიეს შემოქმედებითმა სექციებმა და განყოფილებებმა). ყრილობის დელეგატთაგან 188 ქართველი იყო, 11 — აფხაზი, 10 — სომეხი, 8 — ოსი, 1 — რუსი. 20 კაცი 30 წლამდე იყო, 56 — 31—40 წლისა, 43 — 41—50 წლისა, 97 — 50 წელს ზევით.

---

[328] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1966, № 12.

ყრილობა, რომელიც მუშაობდა 25—26 ივლისს, გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ, დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს წინა ყრილობის შემდეგ გარდაცვლილი 30-ზე მეტი მწერლის (მათ შორის იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, სიმონ ჩიქოვანის) ხსოვნას.

მძიმე ავადმყოფობის გამო ყრილობას ვერ დაესწრო მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, პოეტი გიორგი ლეონიძე. მალე იგი მთაწმინდის მიწამ მიიბარა (გარდაიცვალა 9 აგვისტოს).

ამ ყრილობაზეც (თუმცა განზრახული იყო თანამოხსენებები) ერთ მოხსენებაში („ქართული საბჭოთა ლიტერატურა და მისი ამოცანები“ — ს. ჭილაია) იქნა განხილული საანგარიშო პერიოდის (1959—1966) ქართული მწერლობა[329].

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო მწერალთა კავშირის მდივნები ალექსი სურკოვი და ბორის პოლევოი, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი ბორის რიურიკოვი, აგრეთვე ვლადიმერ სოლოუხინი, ანდრეი ვოზნესენსკი და მწერლები მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

მეექვსე ყრილობა ჩატარდა შოთა რუსთაველის, ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეებისათვის მზადების ნიშნით.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ გრიგოლ აბაშიძე, ხუტა ბერულავა, კონსტანტინე გამსახურდია, იონა ვაკელი, ალიო მირცხულავა, მიხეილ მრევლიშვილი, ბესო ჟღენტი, ვლადიმერ სოლოუხინი, ალექსი სურკოვი, დემნა შენგელაია და სხვ.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა 1002 ლექსთა დიდი თუ პატარა კრებული, 518 პროზაიკოსთა წიგნი, 42 — დრამატურგებისა, 325 — კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეებისა, 571 — თარგმნილი წიგნი; რომ იზრდებოდა პროზის ხვედრითი წონა; აღინიშნა საქართველოში უკრაინული და რუსული ლიტერატურის დეკადების ჩატარების დიდი მნიშვნელობა, დეკადებთან ერთად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამსვლელი სესიების პრაქტიკის გაგრძელების სასურველობა. ითქვა, რომ წარმოებდა ბრძოლა უიდეო, მხატვრულად სუსტი ნაწარმოებების წინააღმდეგ, ქართული ენის დამა-

---

[329] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 31, 32, ლხცსა, 8—1—2329.

ხინჯებათა აღმოსაფხვრელად, რომ სულ ნაკლებად გვხვდება პანეგირიკა, შელამაზება, სქემატიზმი, მწვავედ გაკრიტიკდა აგეევის წერილი „ლიტერატურნაია როსიაში“ ერებისა და ენების მოსპობის თაობაზე.

ყრილობაზე აღინიშნა მურმან ლებანიძის, რევაზ მარგიანის, ალიო მირცხულავას, კოლაუ ნადირაძის, შოთა ნიშნიანიძის, იოსებ ნონეშვილის, მორის ფოცხიშვილის, თამაზ ჭილაძის ნაყოფიერი მოღვაწეობა, საანგარიშო პერიოდში შექმნილი ლექსთა ციკლები: „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „მიახლოვება ნახევარ საუკუნესთან“ ირაკლი აბაშიძისა, „კოლხური მელოდიები“ ხუტა ბერულავასი, „განჯის დღიური“ და „შემოდგომის დღეები აჭარაში“ სიმონ ჩიქოვანისა, პოემები: გივი გეგეჭკორის „მზიანი დღე“, ჯანსუღ ჩარკვიანის „მუქღვერ“, ტარიელ ჭანტურიას „ლტოლვა“ და „მიწის ძახილი“, ოთარ ჭელიძის „ქალაქის მსგავსი ადამიანი“, „უფარაჯო ჯარისკაცი“ და „თანამედროვეთა ეპოპეა“, ოთარ ჭილაძის „სინათლის წელიწადი“, „შესავალი“, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, „რკინის საწოლი“, „თაკო და ზაზა“.

პოეზიაში შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდნენ ძველი და უფროსი თაობის წარმომადგენელნი: კალე ბობოხიძე, იონა ვაკელი, გიორგი კაჭახიძე, ბონდო კეშელავა, ნესტორ მალაზონია, ალექსანდრე შანიძე, ალეკო შენგელია და შემდეგ თაობათა პოეტები: შოთა აკობია, ალექსანდრე ბეგაშვილი, ვახტანგ გორგანელი, მამია ვარშანიძე, გიორგი კალანდაძე, დავით კვიცარიძე, ზურაბ ლორთქიფანიძე, ოთარ მამფორია, მირიან მირნელი, სამუელ მოძღვრიშვილი, ლადო სულაბერიძე, შალვა ფორჩხიძე, ფრიდონ ხალვაში, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და სხვ.

საბოლოოდ გასრულდა სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ (II წიგნი), ლადო ავალიანის რომანი „ახალი ჰორიზონტი“, (V—VI წიგნები), ელიზბარ მაისურაძის „დაკარგული ოცნებები“ (II წიგნი); დაიწერა ახალი რომანები: როსტომ ბეჟანიშვილის „ჩვენი უკანასკნელი თამაში“, აკაკი გეწაძის „ყარამან ყანთელაძე“, ელიზბარ ზედგინიძის „გაზაფხული დაიწყო ადრე“ (წ. I), ოთარ კუპრავას „ლურჯი იების ზღაპარი“, მიხეილ მრევლიშვილის „საბედისწერო მოსახვევი“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“ (წ. I), ვანო ურჯუმელაშვილის „ჭიამაია“, ოთარ ჩხეიძის „კვერნაქი“, ფრიდონ ხალვაშის „საყვედური“, ჯემალ ჯაყელის „გულის საუნჯე“ (წ. I—II); ბიოგრაფიულ რომანებს შეემატა აკაკი გელოვანის „სვეტი ნათლისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილზე).

საანგარიშო პერიოდში (1959—1966) მწერლობაში საფუძვლიანად დამკვიდრდნენ ნოდარ დუმბაძე („მე, ბებია, ილიკო და ილა-

რიონი“, „მე ვხედავ მზეს“), მერაბ ელიოზიშვილი („ბებერი მეზურნეები“ და სხვა ნოველები), ოტია იოსელიანი („ჩქარი მატარებლიდან“, „ლევანა“, რომანი „ვარსკვლავთცვენა“), ნოდარ წულეისკირი (ნარკვევების წიგნი და „თეთრი მთა“), რეზო ჭეიშვილი (კრებული „ბზიანეთი“ და სხვ.).

მოხსენებასა და სიტყვებში განხილულ იქნა პროზაზე გადასულ პოეტთა ბელეტრისტიკა: გიორგი ლეონიძის მოთხრობათა კრებული „ნატვრის ხე“, თამაზ ჭილაძის „შუადღე“ და მოთხრობის ოსტატთა — ლევან გოთუას („ნისლი ნახატარის ტყეში“), რევაზ ინანიშვილის („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“), კონსტანტინე ლორთქიფანიძის („ცაბუნია“), გიორგი შატბერაშვილის („მკვდრის მზე“), გურამ რჩეულიშვილის („ალაველდობა“) ნაწარმოებები.

აღინიშნა, რომ შეიქმნა მნიშვნელოვანი ისტორიული რომანები — გრიგოლ აბაშიძის „დიდი ღამე“ და ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“. ქართულ დრამატურგიას შეემატა დავით გაჩეჩილაძის („ამირანი“), ლევან სანიკიძის („ქუთათურები“), გიორგი ნახუცრიშვილის („ჭინჭრაქა“, „შაითან ხიხო“, „ფიროსმანი“), ოთარ მამფორიას („მეტეხის ჩრდილში“), გიორგი ხუხაშვილის („მთაწმინდის მთვარე“), თამაზ ჭილაძის („აკვარიუმი“) პიესები.

ამ პერიოდში შექმნილი კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ნაშრომებიდან აღინიშნა ოთარ ჩხეიძის „რომანი და ისტორია“, გიორგი ციციშვილის „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ და „საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის გენეზისისა და სპეციფიკის საკითხები“, სერგი ჭილაიას „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის“ სამი ტომი და სხვ.

ელგუჯა მაღრაძემ თარგმნა მაინ რიდის რომანი „უთავო მხედარი“, კონან დოილის „ბასკერვილების ძაღლი“, ჯონ გოლსუორთის „ფორსაიტების საგა“ (ტ. 1, ვახტანგ ჭელიძესთან ერთად), ოთარ ჭელიძემ — ალექსანდრე ტვარდოვსკის პოემა „შორეთს იქეთა შორეთი“, არისტო ჭუმბაძემ — მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნი, გივი კარბელაშვილმა ლეონიდ ლეონოვის „რუსული ტყე“, გამოვიდა ივანე მაჭავარიანის ნათარგმნი ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი“ (წ. 1—2).

საანგარიშო პერიოდში აფხაზურ მწერლობაში შექმნილი ნაწარმოებებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ივანე პაპასქირის საბოლოოდ გასრულებული ტრილოგია „ქალის ღირსება“.

მწერლობაში მოვიდა ახალი თაობა: აკაკი ბაქრაძე, ზაურ ბოლქვაძე, გურამ გეგეშიძე, სოლომონ დემურხანაშვილი, აკაკი ვა-

საძე, დილარ ივარდავა, ემზარ კვიტაიშვილი, კარლო კობერიძე, დავით ჯავახიშვილი.

ამ პერიოდში რუს მწერალთაგან ემანუილ ფეიგინმა შექმნა მოთხრობა „ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა“, მიხეილ ლოხვიცკიმ — რომანი „უცნობი“, სომეხმა მწერლებმა — ბენიკ სეირანიანმა — რომანი „ბედი და გზები“, სურენ ავჩიანმა — პიესა „პელ-პუღი“.

1966 წელს (12.6.) სსრკ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მეოთხედ აირჩიეს ირაკლი აბაშიძე, ქართველ მწერალთა მეექვსე ყრილობამდე ცოტა ხნით ადრე კი (1966.14.5) საკავშირო ალკკ ცკ-ის მე-9 პლენუმმა ლენინური კომკავშირის პრემია მიანიჭა ნოდარ დუმბაძეს რომანებისთვის: „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ყრილობამ უარყო კონსტანტინე გამსახურდიას წინადადება ვამგეობაში 25 კაცის შეყვანის თაობაზე და დაადგინა 61 კაცის არჩევა.

მეექვსე ყრილობის მიერ შექმნილი გამგეობის პლენუმმა (26.7.) გამგეობის თავმჯდომარედ ისევ ირაკლი აბაშიძე, ხოლო მდივნებად კვლავ იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი და სერგი ჭილაია აირჩია. ოცდაერთკაციან პრეზიდიუმში კი მათ გარდა შეიდნენ: გრიგოლ აბაშიძე, ხუტა ბერულავა, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე გომიაშვილი, ნოდარ გურეშიძე, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მარგიანი, მუხრან მაჭავარიანი, ალიო მირცხულავა, გიორგი ნატროშვილი, დემნა შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, რევაზ ჯაფარიძე.

სარევიზიო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ბორის ჩხეიძე.

* * *

ყრილობის შემდეგ მწერალთა კავშირის მთელი ყურადღება კვლავ რუსთაველის იუბილეზე იქნა გადატანილი. უშუალოდ, საიუბილეო დღეების წინ, 17 სექტემბერს გაიმართა მწერალთა აქტივის კრება, რომელმაც რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის მდივნის სერგი ჭილაიას საინფორმაციო მოხსენების შემდეგ იმსჯელა იუბილეს ჩატარებაზე.

1966 წლის 26 სექტემბერს თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საკავშირო მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი, რომელიც შესავალი

სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი მარკოვმა. მოხსენება — „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ წაიკითხა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნიკოლოზ ტიხონოვმა. მეორე მოხსენება — „შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესო ჟღენტმა. სიტყვებით გამოვიდნენ რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი მიხეილ ალექსეევი, უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ოლეს გონჩარი, ბელორუსიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი პეტრუს ბროვკა, ყაზახი მწერალი — აკადემიკოსი საბიტ მუკანოვი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის სახალხო მწერალი მირზა იბრაჰიმოვი, ლიტვის მწერალთა კავშირის მდივანი, ლენინური პრემიის ლაურეატი ედუარდას მეჟელაიტისი, სომეხი სილვა კაპუტიკიანი, მოლდავეთის სახალხო პოეტი ანდრეი ლუპანი, თურქმენი ბეკი სეიტაკოვი, ჩუვაშეთის სახალხო პოეტი პედერ ხუზანგაი, ბალყარელი მწერალი ყაისინ ყულიევი, ბულგარელი ელისავეტა ბაგრიანა, ინგლისელი ჯეიმს ოლდრიჯი, ინდოელი ამრიტა პრიტამი, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურად მთარგმნელი იეჟი ზაგურსკი, უნგრულ ენაზე მთარგმნელი შანდორ ვერეში, ავსტრალიელი პოეტი ჯ. დატონი და სხვ. [330].

29 სექტემბერს ბორჯომში გაიმართა რუსთაველის იუბილეზე ჩამოსულ პოეტთა მსოფლიო ფორუმი [331], იმავე დღეს საღამოს კი თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრში — ინტერნაციონალური ლიტერატურული საღამო.

30 სექტემბერს შედგა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელზეც მოხსენებით „პოეტის უკვდავება“ გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე [332].

შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით 14—23 ოქტომბერს მოსკოვში ჩატარდა ქართული პოეზიის დეკადა. დეკადის დღეებში, 25 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა თანდასწრებით გაიხსნა რუსთაველის ძეგლი. იმავე დღეს დიდ თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო.

---

[330] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 40.
[331] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 47.
[332] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 41.

ოქტომბერში (25.10.) შოთა რუსთაველის მე-800 წლისთავთან დაკავშირებით მისი სახელობის რესპუბლიკური პრემიები მიენიჭა მიკოლა ბაჟანს „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნისათვის და ნიკოლოზ ტიხონოვს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისათვის. 25 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში მათ საზეიმოდ გადაეცათ ეს ჯილდო.

გამოვიდა წიგნი „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს“.

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „რუსთაველი“.

დაბოლოს, 11 ნოემბერს, მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა შეაჯამა რუსთაველის იუბილეს ჩატარების შედეგები.

* * *

გარდა აღნიშნულისა, 1966 წელს გაიმართა ლავრენტი ჭიჭინაძის დაბადების მე-60 (11.6.), შიო მღვიმელის დაბადების მე-100 და ილო მოსაშვილის დაბადების 70-ე (23.12. რუსთაველის თეატრში) წლისთავების აღსანიშნავი საღამოები.

დაარსდა დიმიტრი გულიას პრემია[333].

---

[333] დაარსდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 21 აპრილის დადგენილებით.

1967

ეს წელი არამწერლური, მაგრამ მწერლებს შორის საკმაოდ პოპულარული ღონისძიებით დაიწყო. მხედველობაში გვაქვს ჭადრაკის თამაში.

ვინ იცის, რამდენი მშვენიერი საჭადრაკო პარტია უთამაშნიათ მწერალთა სასახლის მყუდრო ბაღში კაზმულ სიტყვასთან ჭიდილით დაქანცულ პაოლო იაშვილს, პეტრე სამსონიძეს, ივანე ყიფიანს, არისტო ჭუმბაძეს, სიმონ ხუნდაძეს... შემდეგ და შემდეგ ჩვენ თვითონ ვყოფილვართ მოწმე, დინჯი ლეო ქიაჩელი სათვალის ზემოდან როგორ დაჰყურებდა ჭადრაკის დაფას, ხოლო დავით გაჩეჩილაძე საინტერესო ამბებისა და ანეგდოტების მოყოლით აცოცხლებდა თამაშს. ხშირად დაჰღამებიათ ჭადრაკის თამაშში. გართულ იონა ვაკელსა და ოთარ ჭელიძეს, ალექსანდრე ქუთათელსა და ოთარ ჩიჯავაძეს, ზურაბ ლორთქიფანიძესა და ზურაბ ჭუმბურიძეს, გივი გოგიჩაიშვილსა და ნოდარ გურეშიძეს, ოთარ შალამბერიძეს, ნოდარ ნარსიასა და ბეჟან ბარდაველიძეს.

მწერლებს ხშირად უწევდნენ პარტნიორობას მწერალთა შემოქმედებითი სახლის „ქვიშხეთის" ყოფილი დირექტორი კუკური ხოფერია და საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს (საუდი) ბუღალტერი შოთა კობალაძე.

შემდეგ კი, რაღაც ბედად, მხატვრულ სიტყვასა და ჭადრაკზე გადაგებულ ამ მწერლებს პარტნიორად მოევლინა (რა თქმა უნდა — ჭადრაკში) ცნობილი ოსტატი არჩილ ებრალიძე, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში მწერალთა სასახლის გვერდით სახლში (მაჩაბლის 9) ცხოვრობდა და ჩვენს ბაღში ათენ-აღამებდა, და რამდენჯერაც მწერლები ამ ნიჭიერ მოჭადრაკეს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდნენ (თუ მათ დავუჯერებთ, იშვიათად კიდეც უგებდნენ), იმდენჯერ ირწმუნებდნენ სიტყვაკაზმულ მწერლობასა და ჭადრაკში თანაბარ ოსტატობას ვაღწევთო.

და აი, 1967 წლის დასაწყისში, 23 იანვარს მწერალთა კავშირში მოიწვიეს მსოფლიო ექსჩემპიონი, დიდოსტატი მიხეილ ტალი. იგი მწერლებს ესაუბრა მსოფლიო პირველობის ისტორიასა და იმჟამად

თბილისში მიმდინარე საბჭოთა კავშირის პირველობაზე, აღნიშნა ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატებები და პასუხი გასცა შეკითხვებს. შემდეგ დიდოსტატმა ჩაატარა ერთდროული სეანსი 22 დაფაზე. მწერლები სამ ყაიმს დასჯერდნენ (ოთარ ჭელიძე, ედიშერ ყიფიანი, ოთარ შალამბერიძე; მეოთხე ყაიმს მიაღწია იმხანად მწერალთა სასახლეში მოთავსებული ქართული ენციკლოპედიის ისტორიის განყოფილების გამგემ შოთა ხანთაძემ).

სეანსი კურიოზმაც „დაამშვენა", საუდის ბუღალტერმა შოთა კობალაძემ დიდოსტატის მიერ აღებული ფიგურა დაფაზე ხელახლა დადო. დახედა თუ არა დაფას, მ. ტალმა, იმწუთშივე იკითხა, ამ ფიგურას აქ რა უნდაო. შოთა კობალაძემ ჩაილუღლუღა, ფიგურა აქ შემთხვევით აღმოჩნდაო და განზე გადადება დააპირა. დიდოსტატმა ჩაიცინა და უთხრა, იყოს, არაუშავსო. რა თქმა უნდა, ბუღალტერს ამ ნაჩქარმა ფიგურამაც ვერ უშველა.

მწერლები ერთ ასეთ კურიოზსაც იხსენებენ: სამამულო ომი ახალდამთავრებული იყო, როდესაც მწერალთა კავშირში ვახტანგ ქარსელაძის მეთვალყურეობით საჭადრაკო ტურნირი ჩატარებულა. მონაწილეობა მიუღიათ ლეო ქიაჩელს, იონა ვაკელს, დავით გაჩეჩილაძეს, ალექსანდრე ქუთათელს, კარლო კალაძეს, ერემია ქარელიშვილს, აგრეთვე ახალგაზრდა პოეტებს (ზურაბ ლორთქიფანიძეს, ოთარ ჭელიძეს და სხვ.). ვახტანგ ქარსელაძეს საათებიც კი მოუტანია, შემდგარა ცხრილი, მაგრამ წაგებით განაწყენებულ რომელიღაც მწერალს ეს. ცხრილი დაუხევია და საბოლოოდ ტურნირი ჩაშლილა.

ახლა ისევ მწერლურ საქმეებს დავუბრუნდეთ;

25 იანვარს აღინიშნა ლადო ასათიანის დაბადების 50-ე წლისთავი.

წლის დასაწყისში პრეზიდიუმმა ტრადიციულად განიხილა მწერალთა კავშირისა და მისი შემოქმედებითი სექციების სამუშაო გეგმები, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიების მუშაობა და გადაახალისა ეს კოლეგიები: „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორად დაინიშნა (4.2.) რევაზ თვარაძე (გაზეთს ხელს აწერს 10.2. № 7).

11.3. — გაიმართა გიორგი კაპახიძის დაბადების მე-60 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

19.3. — საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი და სერგი ჭილაია, დეპუტატები გახდნენ აგრეთვე მწერალთა კავშირის წევრები, პარტიის სამხრეთ

ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვლადიმერ გელაშვილი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბაგრატ შინქუბა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე.

7—10.4. — მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციამ ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად გამართა დისკუსია თემაზე „კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა საქართველოს ლიტერატურულ პერიოდიკაში (1966)".

28.4. — მარჯანიშვილის სახელობის თეატრში აღინიშნა კარლო კალაძის დაბადების მე-60 წლისთავი.

ტრადიციად იქცა მწერალთა მეექვსე ყრილობის მიერ მოწონებული მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ლიტერატურების დეკადების გამართვის პრაქტიკა. მაისში თბილისში, მოსკოვის დღეებთან დაკავშირებით, იყვნენ რუსი პოეტები: მიხეილ ზენკევიჩი, სტანისლავ კუნიაევი, მიხეილ ლუკონინი, მარკ მაქსიმოვი და პროზაიკოსი ვასილ სუბოტინი.

მაისში საქართველოს ალკა პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ მერაბ ელიოზიშვილი კინოფილმ „თეთრი ქარავანისათვის" და ჯანსუღ ჩარკვიანი პოემისათვის „მუჟღეერ-მზე ჰიდის" და ლექსთა კრებულებისათვის „აყვავებული მზე" და „ფერადი მერიდიანები" [334].

მაისშივე (22—27.5.) გაიმართა საკავშირო მწერალთა მეოთხე ყრილობა, რომელმაც სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობაში საქართველოდან აირჩია გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ბესო ჟღენტი, ბაგრატ შინქუბა, სერგი ჭილაია; საკავშირო მწერალთა კავშირის ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში — ივანე თარბა, რევაზ მარგიანი, მუხრან მაჭავარიანი და იოსებ ნონეშვილი.

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობამ თავის სამდივნოში შეიყვანა ირაკლი აბაშიძე [335].

ივნისიდან ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის" რედაქტორად ინიშნება ნანა გვარიშვილი (1967—1968, № 6).

7.7. — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმმა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ, განიხილა საკავშირო ყრილობის შედეგები [336]. ბესო ჟღენტის მოხსენების შემდეგ მწერლობის საჭირბოროტო

---

[334] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, № 21.
[335] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, № 23.
[336] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, № 28.

საკითხებზე იმსჯელეს ჭაბუა ამირეჯიბმა, თედორე გაგლოევმა, გურამ გვერდწითელმა, ალექსი გომიაშვილმა, მერაბ ელიოზიშვილმა, რევაზ თვარაძემ, კარლო კალაძემ, დავით კვიცარიძემ, მიხეილ მრევლიშვილმა, ნოდარ ჩხეიძემ, ოთარ ჭელიძემ.

1967 წელს ცვლილებები მოხდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში:

19 ივნისს გამგეობამ დაადგინა სამდივნოს ოთხამდე გადიდება და მდივნად დამატებით აირჩია ელგუჯა მაღრაძე (რომელიც იმავე წელს გათავისუფლდა ჟურნალ „მნათობის" რედაქტორად დანიშვნის გამო), მას დაეკალა იმხანად ავადმყოფი სერგი ჭილაიას მაგივრად ორგანიზაციული საქმეების გაძღოლა. გამგეობამ პრეზიდიუმში შეიყვანა რევაზ თვარაძე (გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი) და მიხეილ მრევლიშვილი (ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიის" რედაქტორი), ცნობად იქნა მიღებული ირაკლი აბაშიძის პირადი განცხადება, რომ იგი თავმჯდომარედ უხელფასოდ იმუშავებდა.

1967 წლის 17 ნოემბერს კი გამგეობამ დააკმაყოფილა ირაკლი აბაშიძის თხოვნა და იგი გაათავისუფლა. სსრკ მწერალთა კავშირის წესდების შესაბამისად გააუქმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა. გამგეობის პირველ მდივნად აირჩიეს გრიგოლ აბაშიძე, მდივნებად — იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი და სერგი ჭილაია.

გამგეობამ ჟურნ. „მნათობის" რედაქტორად (გრიგოლ აბაშიძის ნაცვლად) დანიშნა ელგუჯა მაღრაძე (ხელს აწერს 1968 წლის იანვრიდან).

ახალმა ხელმძღვანელობამ ერთი კვირის შემდეგ (25.11.) პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა მწერალთა კავშირის გაზეთისა და ჟურნალების სამუშაო გეგმები, ხოლო კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ (29.11.) შედგა შემოქმედებითი სექციების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე.

წლის ბოლოს (18—19.12.) გაიმართა გამგეობის კიდევ ერთი პლენუმი, რომელიც დრამატურგიის საკითხებს ეძღვნა[337]. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. ბესო ჟღენტის მოხსენების („ქართული დრამატურგიის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების გზები") ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დრამატურგებმა აკაკი გეწაძემ და ვალერიან კანდე-

---

[337] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, № 51 და 1968. № 2.

ლაკმა, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა ოთარ ეგაძემ, ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა აკაკი ვასაძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დავით მჭედლიძემ, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ.

ამ ხნის განმავლობაში ზოგი რამ სხვაც მოხდა მნიშვნელოვანი მწერალთა კავშირის ცხოვრებაში:

აგვისტოდან ჯანსუღ ჩარკვიანი დაინიშნა „ცისკრის“ რედაქტორად (1967—1977), მუხრან მაჭავარიანი კი — „დილის“ რედაქტორად.

23.9. — აღინიშნა გიორგი ლეონიძის ხსოვნა.

25.9. — აღინიშნა ელიშე ჩარენცის დაბადების 70-ე წლისთავი.

30.9. — გამოვიდა ერთდროული გაზეთი „რუსთაველის დღე, პოეზიის დღე“ (რედ. კ. კალაძე).

5.11. — ქუთაისის განყოფილებამ ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „50 წელი“ (რედაქტორი დავით კვიცარიძე).

16.12. — რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა შიო არაგვისპირელის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

წლის დასასრულს შეიქმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტი[338] (თავმჯდომარე — საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი დევი სტურუა, მოადგილე საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე). მასში შევიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები (იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, სერგი ჭილაია), განყოფილებათა მდივნები (თედორე გაგლოევი, ივანე თარბა, ფრიდონ ხალვაში), ჟურნალების რედაქტორები (მარიკა ბარათაშვილი — „საბჭოთა ქალი“, ელგუჯა მაღრაძე — „მნათობი“, მუხრან მაჭავარიანი — „დილა“, მიხეილ მრევლიშვილი — „ლიტერატურნაია გრუზია“, გიორგი ნატროშვილი — „დროშა“, ჯანსუღ ჩარკვიანი — „ცისკარი“), გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი რევაზ თვარაძე, გამომცემლობათა დირექტორები (ხუტა ბერულავა — „განათლება“, კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „ნაკადული“, რევაზ მარგიანი — „ლიტერატურა და ხელოვნება“, ვახტანგ ჭელიძე — „საბჭოთა საქართველო“), მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი, სომხეთისა (ედუარდ თოფჩი-

---

[338] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 50.

ანი) და აზერბაიჯანის (მირზა იბრაჰიმოვი) მწერალთა კავშირების პირველი მდივნები, მწერლები მიკოლა ბაჟანი, რასულ გამზათოვი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, კარლო კალაძე, ალიო მირცხულავა, გიორგი ჯიბლაძე.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად რუსულ ენაზე გამოსცა „მეგობრობის მატიანე“ 2 ტომად (შემდგენლები: I ტ. — ვანო შადური, II ტ. — გარეგინ ბებუთოვი), რომელშიც დოკუმენტებთან, წერილებთან, მემუარებთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს მხატვრულ ლიტერატურას.

1967 წელს კარლო კალაძე დაინიშნა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ (1968 წლიდან — „მერანი“) დირექტორად (1967—1978).

ბაგრატ შინქუბას მიენიჭა აფხაზეთის სახალხო პოეტის წოდება.

ახალდაარსებული დიმიტრი გულიას პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ ივანე პაპასქირი — რომანისათვის „ხანგრძლივი სიცოცხლე“ და მოთხრობების წიგნისათვის; ბაგრატ შინქუბა — ლექსად დაწერილი რომანისათვის „კლდის სიმღერა“.

1968

წელიწადი რედაქტორების შეცვლით დაიწყო:

17.1. — სამდივნომ დააკმაყოფილა რევაზ თვარაძის განცხადება რედაქტორობიდან განთავისუფლების თაობაზე და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად დანიშნა (1968—1973) რევაზ მარგიანი (ხელს აწერს 1968.9.2. № 5).

იანვრიდან ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორია ელგუჯა მაღრაძე (1968—1973, № 9).

24.1. — სამდივნომ განიხილა საკავშირო მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილება[339] (1968.15.1.), რომლის მიხედვით საქართველოს მწერალთა კავშირი მისთვის ბიჭვინთაში შემოქმედებითი სახლის ასაშენებლად გამოყოფილ ტერიტორიას გადასცემდა საკავშირო მწერალთა კავშირს ასეთივე სახლის ასაშენებლად. ამის სანაცვლოდ ბიჭვინთის შემოქმედებითი სახლის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ გაგრის მწერალთა შემოქმედებითი სახლი გადაეცემოდა საქართველოს მწერალთა კავშირს.

27.1. — აღინიშნა კონსტანტინე ბალმონტის დაბადების მე-100 წლისთავი.

5.2. — გაიმართა შეხვედრა „ტელევიზია და მწერალი“.

წლის დასაწყისში (8.2.) პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50-ე წლისთავის აღსანიშნავად სამხედრო-მხატვრული კომისიის მიერ შემუშავებული გეგმა, შემდეგ (7.3.) ყურადღება მიაქცია მხატვრული ლიტერატურის გამოცემის მდგომარეობასა და ჟურნალ-გაზეთების ახალი სარედაქციო კოლეგიების შექმნას, ხოლო 13 ივნისს — ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავის აღნიშვნისთვის მზადებას.

საბჭოთა არმიის იუბილესთან დაკავშირებით სამხედრო ნაწილებში შეხვედრებთან, ჟურნალ-გაზეთებში სამხედრო-პატრიოტულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა ბეჭდვასთან ერთად 23 თებერვალს მწერალთა კლუბში აღინიშნა საბჭოთა არმიის 50-ე წლისთავი.

---

[339] ლხცსა, 8—214—18.

1.4. — ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მაქსიმ გორკის დაბადების მე-100 წლისთავის საიუბილეო საღამო.

10.5. — რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში აღინიშნა ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას დაბადების მე-100 წლისთავი.

12 მაისს მოეწყო დისკუსია თემაზე „ქართული პოეზია 1967 წელს" (მომხს. ბესო ჟღენტი).

10.6. — აღინიშნა გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 70-ე წლისთავი (რუსთაველის თეატრი).

1968 წელს თბილისში გაიმართა სსრკ მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა ორი გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი, ორივე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. პირველზე (28.6. — რუსთაველის სახელობის თეატრი), რომელიც მიეძღვნა მ. გორკის დაბადების მე-100 წლისთავს[340], მოხსენებით „გორკი და საქართველო" გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბესო ჟღენტი, სიტყვებით კი — სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი ბორის პოლევოი, რსფსრ მწერალთა კავშირის მდივანი ფრანც ტაურინი, კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი, ჩერნოგორიელი (იუგოსლავია) პოეტი რადოვან ზოგოვიჩი. აგრეთვე გიორგი მარგველაშვილი, ალიმ ქეშოკოვი, დემნა შენგელაია და სხვ.

მეორე პლენუმზე საზეიმოდ აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150-ე წლისთავი (10.9. ოპერის თეატრი)[341]. პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა პავლე ინგოროყვამ. საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდნენ რუსი მწერლები: სერგეი ბარუზდინი, მიხეილ დუდინი, ევგენი ევტუშენკო, მიხეილ ლუკონინი, ალექსანდრე მეჟიროვი; სერგეი სმირნოვი, ლეონიდ სობოლევი, ანატოლი სოფრონოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, უკრაინელი ოლეს გონჩარი, აზერბაიჯანელი მამედ რაჰიმი, სომეხი გევორკ ემინი, ყალმუხი დავით კუგულტინოვი, ნ. ბარათაშვილის პოლონურად მთარგმნელი ლეოპოლდ ლევინი, ბულგარელი ლამარი, უნგრელი ჟუჟა რაბი და გერმანელი რაინერ კირში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150-ე წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ლიტერატურა

---

[340] „ლიტ.-ი საქ-ო", 1968, № 26. მ. გორკის საიუბილეო საღამო უფრო ადრე, 1967 წ. 1 აპრილს გაიმართა.

[341] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1968, № 37.

და ხელოვნებას“ იუბილარი პოეტის შესანიშნავი ქმნილების „მერანის“ სახელი ეწოდა[342]. განზრახული იყო ამ გამომცემლობის მწერალთა კავშირისათვის დაბრუნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1966 წლის 5 მაისს სამდივნომ. დაადგინა საქართველოს მინისტრთა საბჭოსათვის ეთხოვა გამომცემლობის დაბრუნება. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გამომცემლობა მართლაც დაუბრუნა მწერლებს, მაგრამ იმავე წელს (11.9.) ეს დადგენილება გაუქმდა და გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ ისევ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გადაეცა.

15.9. — ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესთან დაკავშირებით ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „ბარათაშვილი“ (რედაქტ. დავით კვიცარიძე).

17.10 — გაიმართა ვიქტორ გოლცევის ხსოვნის საღამო.

28.10. — აღინიშნა ლენინური კომკავშირის შექმნის 50-ე წლისთავი. საზეიმო დღეებში ამ თარიღისადმი მიძღვნილი პოემა „ძახილისათვის“ პოეტ რეზო ამაშუკელს მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია[343]. გამოვიდა კრებული „ქართველი პოეტები ლენინურ კომკავშირს“ (შემდგენელი მურმან ლებანიძე, „ნაკადული“).

წლის ბოლოს (17—18.12.), საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობასთან ერთად, გაიმართა კიდევ ერთი პლენუმი, რომელმაც განიხილა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ 1967—68 წლებში გამოშვებული ფილმები (მომხსენებლები: რევაზ ჯაფარიძე და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი გივი ბარათაშვილი)[344].

კამათში მონაწილეობდნენ მწერლები ლადო ავალიანი, გურამ ასათიანი, იონა ვაკელი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ ჩაჩავა, სერგი ჭილაია, მსახიობები და კინოს მუშაკები ვერიკო ანჯაფარიძე, ნიკოლოზ სანიშვილი, ლანა ღოღობერიძე, მიხეილ ჭიაურელი.

1968 წელს გამოსვლას იწყებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ალმანახი „ცისარტყელა“ კონსტანტინე ლორთქიფანიძის რედაქტორობით (1968—1973) და ალმანახი „ხომლი“ ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობით (1968—1973). ეს უკანასკნელი

---

[342] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 10.
[343] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 45.
[344] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 51.

მკითხველს აცნობდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს. ახალშექმნილი ალმანახები იქცა მთარგმნელთა ახალგაზრდა კადრების გამოვლენისა და დაოსტატების მნიშვნელოვან კერად.

გამოსვლას იწყებს ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული ალმანახი „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე“ (1974 წლიდან „საყმაწვილო ლიტერატურა“) ელიზბარ უბილავას რედაქტორობით.

ლადო სულაბერიძე ინიშნება მწერალთა კლუბის დირექტორად.

1969

1969 წელიც რედაქტორების შეცვლით დაიწყო:

იანვრიდან ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობას ასრულებს გიორგი ციციშვილი. ნოემბრიდან იგი ინიშნება მთავარ რედაქტორად (1969—1977). იანვრიდანვე ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ რედაქტორად დაინიშნა აკაკი შონია.

თებერვალში რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა გიორგი ლეონიძეს (სიკვდილის შემდეგ).

სამდივნოს დადგენილების თანახმად 17—21 თებერვალს გამართულ თათბირ-სემინარზე ახალგაზრდა მწერლებმა მოისმინეს მოხსენებები: ბესო ჟღენტისა („ლიტერატურის პარტიულობის ლენინური მოძღვრება და ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა“), არნოლდ ჩიქობავასი („ქართული სალიტერატურო ენა და ნორმატიული საკითხები“), დემნა შენგელაიასი („მხატვრული ოსტატობის საკითხები“), აკაკი გაწერელიასი („ქართული ლექსი“).

წლის დასაწყისში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა სამდივნომ და პრეზიდიუმმა: სამდივნომ საქართველოს ალკკ პრემიაზე წარადგინა ნოდარ წულეისკირი „თეთრი მთისა“ და „თუთარჩელასთვის“ (11.2.), ხოლო ჯ. ნერუს პრემიაზე — ირაკლი აბაშიძე ლექსთა ციკლისათვის ინდოეთზე და წიგნისათვის „ინდოეთის გზებზე“ (17.2.) დაადგინა გერმანულ ენაზე გამოსაცემი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შესატანი მწერლების სია. (28.2.); პრეზიდიუმის მსჯელობის საგანი კი გახდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ასარჩევად კანდიდატურის შერჩევა (წარადგინეს დემნა შენგელაია), ისტორიკოს ვერმიშევის წიგნი, უკრაინაში დეკადაზე გასაგზავნი დელეგატები (25.3.)...

ამ დეკადაზე უკრაინაში (10—20.5.) საქართველოს მწერალთა კავშირმა გაგზავნა გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, მარიკა ბარათაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ხუტა ბერულავა, ნოდარ გურეშიძე, ივანე თარბა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გია მარგველაშვილი, რევაზ მარგიანი, მარიჯანი, იოსებ ნონე-

შვილი, ბესო ჟღენტი, არჩილ სულაკაური, გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში.

დეკადის დაწყების დღეს ქ. მირგოროდში, მწერლის სახლ-მუზეუმის წინ გაიხსნა, დავით გურამიშვილის ძეგლი.

23.6. — თბილისში გაიმართა ინტერნაციონალური ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სოციალისტური ქვეყნების მწერლებმა: ხრისტო განევმა, გიორგი კონსტანტინოვმა, ლუბომირ ლევჩევმა, მატეი შოპკინმა (ბულგარეთი), პავლე ლახოვსკიმ (ჩეხოსლოვაკია), ვ. ტილგნერმა (გდრ), გ. პოპისკომ (რუმინეთი) და სსრკ ხალხთა მწერლებმა: ახმედხან აბუ-ბაქარმა, აკაკი გეწაძემ, ლარისა ვასილევამ, ოლეგ მიხაილოვმა, გენადი სერებრიაკოვმა, ვალენტინ სიდოროვმა, ლადო სულაბერიძემ, ლეონიდ ტატარენკომ, რახიმ ფარხადიმ, მორის ფოცხიშვილმა, ფელიქს ჩუევმა.

1 ივლისს საგანგებო პლენუმი ეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის სამზადისს[345]. იგი ვრცელი შესავალი სიტყვით („ქართული მწერლობა დიდი ლენინის დაბადების მე-100 წლისთავისათვის") გახსნა გრიგოლ აბაშიძემ. მოხსენება „ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობა და ქართული მწერლობის თანამედროვე პრობლემები"—წაიკითხა ბესო ჟღენტმა. ამ თარიღისათვის მზადებაზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გიორგი ჯიბლაძემ, გამომცემლობა „მერანის" დირექტორმა კარლო კალაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ახვლედიანმა, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შალვა სალარიძემ, ჟურნ. „ცისკრის" რედაქტორმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ივანე თარბამ, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის განყოფილებების პასუხისმგებელმა მდივნებმა: ფრიდონ ხალვაშმა, დავით კვიცარიძემ, თედორე გაგლოევმა, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის" რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ციციშვილმა, და მთავარი რედაქტორის მოადგილემ გიორგი მაზურინმა, „ლიტერატურული გაზეთის" პასუხისმგებელმა მდივანმა გურამ ფანჯიკიძემ, მწერლებმა რევაზ ჯაფარიძემ, ვლადიმერ კანდელაკმა, ვლადიმერ მაჭავარიანმა, რევაზ მიშველაძემ. პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს მწე-

---

[345] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1969, №№ 27, 28.

რალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. პლენუ-მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქ. კპ ცკ-ის მდივანმა ფედორ სტურუამ ცკ-ის კულტ. განყ. გამგემ დავით ჩხიკვიშვილმა, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა სერგო რიგვავამ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პრეზიდიუმმა 15 ნოემბერს გამოყო ამ თარიღისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავის აღსანიშნავად გამოცხადებული კონკურსის ჟიური გიორგი ნატროშვილის თავმჯდომარეობით. პრეზიდიუმის ამავე სხდომაზე იმსჯელეს გერმანიაში ჩატარებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების შედეგებზე.

აგვისტოში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების დამატებით დააწესა კიდევ ერთი პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო საბავშვო ნაწარმოებისათვის [346].

20.10. — გამოვიდა ერთდროული გაზეთი „რუსთაველის დღე, პოეზიის დღე“ (რედაქტორი კ. კალაძე).

[346] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 31.

1970

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავების აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგები. პროზაში მეორე პრემიები ერგოთ ნოდარ დუმბაძეს რომანისათვის — „ნუ გეშინია, დედა“ და რევაზ ჯაფარიძეს რომანისათვის — „ენების კვირა“ (ნაწ. I), მესამე პრემიები — თენგიზ გოგოლაძეს რომანისათვის — „ჟამი ჩვენი“ და ედიშერ ყიფიანს რომანისათვის — „მაღლა ასროლილი ქუდები“.

პოეზიაში მეორე პრემიები მიენიჭათ კარლო კალაძეს პოემისათვის — „ფიქრები“ და ოთარ ჭელიძეს პოემისათვის — „ამირანმთა“: მესამე პრემიები — შოთა ნიშნიანიძეს პოემისათვის — „აქილევსის ქუსლი და ფარი“ (ნაწ. I) და ლადო სულაბერიძეს პოემისათვის — „შემოდგომის დღის ქრონიკა ლენინგრადში“.

დრამატურგიაში მეორე პრემია მიეკუთვნა ვალერიან კანდელაკს პიესისათვის — „დრო — 24 საათი“; მესამე პრემიები — აკაკი გეწაძეს პიესისათვის — „პაემანი ცაში“ და თამაზ ჭილაძეს პიესისათვის — „მკვლელობა“.

წამახალისებელი ჯილდო მიიღო რაფიელ მამულაშვილმა პიესისათვის — „უღელი“.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მიიღო დადგენილება „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ გამოცემის თაობაზე (9.1.).

21.1. — პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა ჟურნალ „მნათობის“ 1969 წლის 10—12 ნომრები. მომხსენებელმა თამაზ ჭილაძემ და პრეზიდიუმის წევრებმა იმსჯელეს ჟურნალში დაბეჭდილ მხატვრულ მასალაზე, იმ საკითხებზე, რომლებსაც ეხებოდა „მნათობი“, კერძოდ ისტორიკოს ვერმიშევის ნაშრომზე.

23.2. — სამდივნომ ვრცლად იმსჯელა და დაამტკიცა მწერალთა კავშირის სამხედრო კომისიის საგანგებო გეგმა სამამულო ომში გამარჯვების 25-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებებისა. ამავე სხდომაზე სამდივნომ დაადგინა ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული კრებულის „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბის“ ალმანახად გარდაქმნა.

მარტში საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა ნოდარ წულეისკირი რომანისათვის — „თუთარჩელა“ და მოთხრობისათვის — „თეთრი მთა“.

მარტშივე ჩატარდა ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი ა/კ ხალხთა პოეზიის საღამოები ბაქოში (17.3.), ერევანსა (26.3.) და თბილისში (30.3.). ბაქოსა და ერევანში ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ალექსი გომიაშვილმა, კარლო კალაძემ, ალიო მირცხულავამ, ბესო ჟღენტმა, მორის ფოცხიშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ფრიდონ ხალვაშმა, თბილისში კი ჩამოვიდნენ აზერბაიჯანელი მწერლები ფიქრეთ გოჯა, მირზა იბრაჰიმოვი, ნიგიარ რაფიბეილი, რასულ რზა, ალი-აღა ქურჩაილი და სომეხი მწერლები: აშოტ გრაში, ვააგნ დავთიანი, სილვა კაპუტიკიანი, ვალარშაკ ნორენცი, ჰრაჩია ოვანესიანი, არშალუის საროიანი, ოვანეს შირაზი.

ამ ღონისძიების შედეგები განიხილა სამდივნომ (31.3.), რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა — მირზა იბრაჰიმოვმა და ჰრაჩია ოვანესიანმა.

10 აპრილს მწერალთა კლუბში გაიმართა საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავისადმი.

გამოვიდა კრებულები „ქართველი პოეტები ლენინს“, „მსოფლიო პოეტები ლენინს“ („ნაკადული“, შემდგენელი მორის ფოცხიშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე).

14.6. — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე აირჩიეს სსრკ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

გამგეობის მორიგმა პლენუმმა (23—24.6.) განიხილა საკითხი „ქართული საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობა საქართველოს ცკ-ის დადგენილების (1969.22.4.) შუქზე“ [347]. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე. ქამათში — მარიკა ბარათაშვილი, გიორგი კაკაბაძე, მუხრან მაჭავარიანი, სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქი-

---

[347] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 26, 27.

ფანიძე, უშანგი ობოლაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, არჩილ ჩაჩიბაია და სხვ. მანამდე ეს დადგენილება — 14 მაისს პრეზიდიუმზე იქცა მსჯელობის საგნად, უფრო ადრე კი (1969.29.10.) — სამდივნომ მიიღო ვრცელი ღონისძიება საბავშვო ლიტერატურის სექციის შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

4.8. — პრეზიდიუმმა გამოყო საერთო კომისია საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ჩასატარებლად, შემდეგ სხდომაზე კი (17.8.) ამავე თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა საგამომცემლო, პრესისა და რადიო-ტელევიზიის, რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ საღამოების მომწყობი კომისიები.

ოქტომბერში პოეზიის დღის აღსანიშნავად გამოვიდა ერთდროული გაზეთები „რუსთაველის დღე, პოეზიის დღე" (თბილისი), „ლიტერატურული ქუთაისი" (12.10. რედაქტორი დავით კვიცარიძე).

შემოდგომაზე (26.10.) გაიმართა დისკუსია თემაზე „ქართული პოეზია ერთი წლის მანძილზე". მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე.

1970 წელს გამართული ღონისძიებებიდან აღვნიშნავთ ზურაბ ანტონოვის დაბადების 150-ე (21.2., თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად), ომში დაღუპულ მწერალთა ხსოვნის (მაისი), გიორგი ლეონიძის დაბადების 70-ე (1.6.), ლევან ასათიანის დაბადების 70-ე (19.10.), გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის (24.9.), იაკობ გოგებაშვილის დაბადების 130-ე (30.10) და გიორგი შატბერაშვილის დაბადების მე-60 წლისთავების (18.12.) აღსანიშნავ საღამოებს.

1970 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარას" ეწოდა „ჭოროხი".

წესდების მიხედვით, საქართველოს მწერალთა მორიგი მეშვიდე ყრილობა უნდა გამართულიყო 1970 წელს. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა მწერალთა ეს დიდი ფორუმი შეკრებილიყო საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის საიუბილეო დღეებში — 1971 წლის გაზაფხულზე [348].

---

[348] ლხცსა, 8—2483.

1971

იანვარში პრეზიდიუმმა განიხილა ქართული მწერლობის შემდგომი პოპულარიზაციის საკითხი[349]. კერძოდ, მოისმინა. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გივი მელაძის ვრცელი ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული მწერლობის პოპულარიზაციის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე. ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გრიგოლ აბაშიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, კარლო კალაძემ, რევაზ მარგიანმა, იოსებ ნონეშვილმა, ბესო ჟღენტმა და სხვ.

ერთობლივ დადგენილებაში აღნიშნული იყო: საკმაოდ მაღალია პოპულარიზაციის დღევანდელი დონე, ითარგმნა ბევრი ქართული წიგნი, იწვევდნენ მთარგმნელებს, საზღვარგარეთ იგზავნება წიგნები, მაგრამ მოუწესრიგებელია უცხოეთის ქვეყნებში ქართველი მწერლების მივლინების საქმე, უცხოეთში ცოტა იგზავნება ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ქართველი მწერლები იშვიათად მონაწილეობენ საერთაშორისო ლიტერატურულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, საკავშირო გამომცემლობა „პროგრესის“ საგამომცემლო გეგმებში ქართულ ლიტერატურას სათანადო ადგილი არ ეთმობა, უცხო ენებზე გამომავალ ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურაში“ ქართული ნაწარმოებების თარგმანი იშვიათად იბეჭდება.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი: საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მწერალთა კავშირის წინადადებით მოიწვიოს რამდენიმე თვალსაჩინო მთარგმნელი; ეთხოვოს იუნესკოს საქმეთა სსრ კავშირის კომისიას, რომ იუნესკოს სერიით („მსოფლიო ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებები“) გამოსცეს ვაჟა-ფშაველას თხზულებები; ეთხოვოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწიგნს“ ყოველწლიურად შემოიტანოს რესპუბლიკაში ქართველ

---

[349] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1971, № 4.

მწერალთა ნაწარმოებების უცხოურ გამოცემათა ტირაჟის გარკვეული ნაწილი; ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის რეკომენდაციით მაგნიტოფირზე ჩაწეროს ქართული მწერლობის ნიმუშები; მომზადდეს და საზღვარგარეთ გაიგზავნოს ფოტოგამოფენა „ქართული მწერლობა", რომელიც ასახავს ქართველი მწერლების შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას; შეკვეთის წესით ყოველწლიურად მომზადდეს კინოსტუდიაში ერთნაწილიანი ფილმი ქართველი მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

20—21 იანვარს თელავში ჩატარდა გამგეობის გამსვლელი პლენუმი თემაზე „თანამედროვე სოფელი და ქართული საბჭოთა მწერლობის ამოცანები" [350]. პლენუმმა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გრიგოლ აბაშიძემ, მოისმინა სერგი ჭილაიას მოხსენება. სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: მარიკა ბარათაშვილი, ხუტა ბერულავა, ივანე თარბა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, სსრკ სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე და სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ადამიანები: თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბატიაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კუტალია, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხაკო ორაგველიძე, თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ზ. ხოლუაშვილი. პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი შოთა ჭანუყვაძე, პლენუმის მუშაობა კი შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ.

პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: დაევალოს ლიტერატურულ პრესას გამოაქვეყნოს ნაწარმოებები სოფლის ცხოვრებაზე; ეთხოვოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაუდოს მწერლებს ხელშეკრულებები საბჭოთა სოფლის თანამედროვე ცხოვრებისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებზე და უზრუნველჰყოს მოწონებულ ნაწარმოებთა დროულად გამოცემა; ეთხოვოს რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს ხანგრძლივად მიავლინონ მწერლები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; დაევალოს სამდივნოს ყოველგვარი შემოქმედებითი და ნივთიერი დახმარება გაუწიოს იმ მწერლებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხანგრძლი-

---

[350] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1971, №№ 5, 6.

ვად წასვლისა და მხატვრული ნაწარმოებების შექმნის სურვილს გამოთქვამენ. ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს საქლიტფონდის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების გარკვეული ნაწილი; ეთხოვოს გამომც. „საბჭოთა საქართველოს“ და „ნაკადულს“ გეგმაში გაითვალისწინონ მხატვრულ ნარკვევთა სერია „საბჭოთა სოფლის სახელოვანი ადამიანები“, მიიზიდონ ამ სერიის წიგნების დასაწერად მხატვრული სიტყვის ოსტატები, შეუქმნან მათ შემოქმედების წახალისებისა და ხელშემწყობი პირობები; ეთხოვოს თეატრებსა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს ხელშეკრულება დაუდონ სოციალისტური სოფლის ცხოვრების თემებზე ახალი პიესისა და კინოსცენარის დასაწერად; ეთხოვოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს განიხილონ საკითხი ლიტერატურული კონკურსის გამოცხადებისა საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრებისათვის მიძღვნილ ახალ საუკეთესო ნაწარმოებებზე; განხილულ იქნეს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს რომელიმე მძლავრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გამოაცხადონ საკუთარი კონკურსი ამ თემატიკის საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებზე.

პლენუმმა დაადგინა: ქართველ მწერალთა მორიგი, მეშვიდე კრილობა მოწვეულ იქნეს 1971 წლის აპრილის მეორე ნახევარში.

8—9 თებერვალს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად გაიმართა შემოქმედებითი კონფერენცია „პარტია და ლიტერატურა“, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ოციანი წლების ქართული საბჭოთა მწერლობა“ (სერგი ჭილაია), „ოცდაათიანი წლების ქართული საბჭოთა მწერლობა (ბესო ჟღენტი), „ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“ (დიმიტრი ბენაშვილი), „ომისშემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა მწერლობა“ (ლავრენტი კალანდაძე), „ქართული საბჭოთა რომანის ჰუმანისტური კონცეფცია“ (გიორგი მერკვილაძე), „ლენინური ასახვის თეორია და სოციალისტური რეალიზმის საკითხები“ (ალექსანდრე ქუთელია), „საბჭოთა ლიტერატურის განვითარების იდეურ-ესთეტიკური საფუძვლები“ (მამია დუდუჩავა), „ეროვნული ენების პრობლემა და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა“ (ვლადიმერ მაჭავარიანი), „ახალი ადამიანის სახე ქართულ საბჭოთა მწერლობაში“ (გურამ გვერდწითელი). სიტყვები წარმოთქვეს ალიო მირცხულავამ, დემნა შენ-

გელაიამ, ალექსანდრე ბარამიძემ, დავით თევზაძემ და სიმონ წვერავამ.

შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ აბაშიძემ.

19.2. — მწერლობის ახალ კადრებზე ზრუნვის გამოხატულება იყო მწერალთა შეხვედრა დამწყებ პოეტებთან და პროზაიკოსებთან.

მარტში გაიმართა ლესია უკრაინკის დღეები საქართველოში. ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ ნოვიჩენკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), ჟურნ. „ვიტჩიზნას“ მთავარი რედაქტორი ლიუბომირ დმიტერკო, ლესია უკრაინკის დაბადების მე-100 წლისთავის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მწერალი მიკოლა ოლეინიკი, პოეტი და მოქანდაკე ანდრეი ნიმენკო, უკრაინის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელი ს. პ. კობნიაცკი, კანადის გაერთიანებულ უკრაინელთა საზოგადოების წარმომადგენელი, ჟურნ. „უკრეინიენ კანადიენის“ რედაქტორი მ. ფ. სკრიპნიკი, ლესია უკრაინკის ძმისწული, აშშ-ში უკრაინელთა პროგრესული მოძრაობის მოღვაწე მწერალი ი. მ. კოსაჩი, ამერიკელ უკრაინელთა ლიგის თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადო მოღვაწე მ. დ. განუსიაკი.

* * *

1971 წელს (28—29.4.) ქართველი მწერლები კვლავ შეიკრიბნენ თავიანთ მორიგ მეშვიდე ყრილობაზე[351] (რომელიც გახსნა უხუცესმა მწერალმა ს. შანშიაშვილმა) და მოისმინეს გამგეობის პირველი მდივნის გრიგოლ აბაშიძის მოხსენება „1966—1971 წლების ქართული ლიტერატურა და მისი განვითარების ამოცანები“, აგრეთვე თანამოხსენებები პროზის (სერგი ჭილაია), პოეზიის (ბესო ჟღენტი), დრამატურგიის (გიორგი ციციშვილი), კრიტიკის (გიორგი ნატროშვილი), საბავშვო მწერლობის (იოსებ ნონეშვილი) და თარგმნილი ლიტერატურის (გივი გაჩეჩილაძე) შესახებ.

მეექვსე ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე განვლილ პერიოდში ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების მე-800 და ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150-ე წლისთავები. ამ თარიღებს საგანგებო პლენუმები ეძღვნა.

დიდი ადგილი ეჭირა ვ. ი. ლენინის თემას, ლენინის დაბადების

---

[351] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1971, №№ 18, 19.

მე-100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო სამზადისსა და იუბილეს, რომელსაც აგრეთვე საგანგებო პლენუმი ეძღვნა.

ფართოდ აღინიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25-ე წლისთავები.

მწერალთა კავშირის ინიციატივით დაარსდა ორი ალმანახი: „ცისარტყელა“ და „ხომლი“.

გამოვიდა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“.

შეიქმნა ლექსთა ციკლები ალიო მირცხულავასი „ასი ლექსი“, კარლო კალაძისა „ფიქრები“, პოემები: მურმან ლებანიძის „ანისის აღება“, შოთა ნიშნიანიძის „აქილევსის ქუსლი და ფარი“, ლადო სულაბერიძის „შემოდგომის დღის ქრონიკა“, „მარცხიანი დღე“, „უდრეკი სული“, ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელი“ და „ჯაქვის თორანი“, ოთარ ჭელიძის „ჩემი მაგნიტური არე“ და „ამირანმთა“.

ამ პოეტებთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ ძველი და უფროსი თაობის პოეტები: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამისულაშვილი, იონა ვაკელი, გიორგი კაჭახიძე, ბონდო კეშელავა, რევაზ მარგიანი, მაყვალა მრევლიშვილი, კოლაუ ნადირაძე, იოსებ ნონეშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი. საშუალო და უფრო ახალგაზრდა თაობის პოეტები: ხუტა ბერულავა, გივი გეგეჭკორი, ნოდარ გურეშიძე, ანა კალანდაძე, მედეა კახიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნაზი კილასონია, ზურაბ ლორთქიფანიძე, მუხრან მაჭავარიანი, მორის ფოცხიშვილი, ოთარ შალამბერიძე, გივი ძნელაძე, ტარიელ ჭანტურია, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, გივი ჭიჭინაძე, ფრიდონ ხალვაში, ვახტანგ ჯავახაძე, ნოდარ ჯალაღონია.

მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შეიქმნა პროზაში, ესაა რომანები: გრიგოლ აბაშიძის „ყორნალი“ (ნაწ. I), გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“, თენგიზ გოგოლაძის „ჟამი ჩვენი“, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ და „ნუ გეშინია, დედა“, ელიზბარ ზედგინიძის „გაზაფხული დაიწყო ადრე“ (წ. 2), ოტია იოსელიანის „იყო ერთი ქალი“, იაკინთე ლისაშვილის „ნანგრევებზე“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, ოთარ ჩიჯავაძის „თვითმკვლელები“ (წ. 1), ოთარ ჩხეიძის „აღმართ-დაღმართი“ და „ლანდები“, რეზო ჭეიშვილის „დალი“, თამაზ ჭილაძის „აჰა, მიიწურა ზამთარი“, რევაზ ჯაფარიძის „ვნების კვირა“.

ესაა რომანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას, ახალი ცხოვრების პირველ წლებს ეხება (როსტომ ბეჟანიშვილის „სამამულე რქის“ გადამუშავებული ვა-

რიანტი და მისი გაგრძელება „შურისგების კალო“, თენგიზ გოგოლაძის „კაცი კაცითა“ წ. 1 და 2, გრიგოლ ჩიქოვანის „თებერვალი დადგა“).

ესაა ყოფილი ფრონტელების მიერ ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები: კონსტანტინე ლორთქიფანიძის ციკლი „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, რომანები — აკაკი გეწაძის „მუზარადში ამოსული ყვავილი“, დავით კვიცარიძის „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“, ალექსანდრე კალანდაძის „პიასტის ნამუხლარზე“ და „მაკიზარებთან“, გიორგი ქავთარაძის „ჯარისკაცის ჩანაწერები“. აკაკი გეწაძის პიესები „პაემანი ცაში“ და „წვინდანები ჯოჯოხეთში“.

ესაა მამხილებელი რომანები: არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“, ედიშერ ყიფიანის „წითელი ღრუბლები“, „ცაში ასროლილი ქუდები“, ივანე ურჯუმელაშვილის „ფერიცვალობა“.

ისტორიული რომანები: გრიგოლ აბაშიძის „დიდი ღამე“, ლევან გოთუას „მითრიდატე“, სერგი ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე“.

ბიოგრაფიული რომანები — ელგუჯა მაღრაძის „გრიგოლ ორბელიანი“, კლიმენტი გოგიავას „ილიაობა“.

ნაყოფიერად მუშაობდნენ მოთხრობის გამოცდილი ოსტატები: გურამ დოჩანაშვილი, აკაკი გეწაძე, („მხოლოდ ერთი ნაბიჯი“), რევაზ ინანიშვილი (საბავშვო მოთხრობები), სერგო კლდიაშვილი („დაუვიწყარი დღეები და თვეები“, „სირინოზი“, „განდეგილი სარკეულაში“), ანდრო ლომიძე (საზღვაო მოთხრობები), კონსტანტინე ლორთქიფანიძე („ჩემი პირველი კომკავშირელი“), გრიგოლ ჩიქოვანი („ოდიშური მოთხრობები“), ნოდარ წულეისკირი, აგრეთვე, სოლომონ დემურხანაშვილი, კარლო კობერიძე, თამაზ ნატროშვილი, გიორგი პაპუაშვილი, ილია რურუა, გიორგი ხორგუაშვილი.

ყრილობაზე აღინიშნა დრამატურგიაში მიღწეული წარმატებებიც, კერძოდ პიესები — ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, ვალერიან კანდელაკის „დრო — 24 საათი“, ოთარ მამფორიას „ეთიმ გურჯი“, ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდი“, ოთარ ჩხეიძის „თედორე“ და „ძველი რომანსები“, თამაზ ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“, გიორგი ხუხაშვილის „ზღვის შვილები“.

კრიტიკასა და ლიტმცოდნეობაში აღინიშნა პავლე ინგოროყვას „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, გივი გაჩეჩილაძის „რეალიზმი თარგმნის ხელოვნებაში“, რევაზ ჯაფარიძის „აწონილი სიტყვა“,

გურამ ასათიანის „მერანი“. ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ დარგში აკაკი ბაქრაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, გურამ გვერდწითელი, კობა იმედაშვილი, რევაზ მიშველაძე, ოტია პაჭკორია.

ელგუჯა მაღრაძემ თარგმნა. მაინ რიდის რომანი „თეთრი ბელადი“, იროდიონ ქავჟარაძემ — ლონგის „დაფნისი და ელოე“.

საანგარიშო პერიოდში მომძლავრებულ ახალ თაობას: რეზო ამაშუკელს, გურამ დოჩანაშვილს, თამარ ერისთავს, იზა ორჯონიკიძეს, ლია სტურუას, ჯემალ ქარჩხაძეს, ბესიკ ხარანაულს, მურმან ჯგუბურიას მხარში ამოუდგა უახლესი შევსება — გივი ალხაზიშვილი, თედო ბექიშვილი, შოთა ზოიძე, გენო კალანდია, ვანო ჩხიკვაძე.

საანგარიშო პერიოდში აფხაზური მწერლობიდან უნდა აღინიშნოს ივანე თარბას რომანი „მზე ჩვენთან ამოდის“, რისთვისაც მას 1971 წ. დიმიტრი გულიას სახელობის პრემია მიენიჭა.

მეშვიდე ყრილობის მიერ შექმნილი ახალი გამგეობის პლენუმზე (29.4.) საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად კვლავ არჩეულ იქნა გრიგოლ აბაშიძე. მდივნებად — ნოდარ გურეშიძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, სერგი ჭილაია, აგრეთვე თედორე გაგლოითი, ივანე თარბა, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, რევაზ ჯაფარიძე (პირველი ხუთი შტატიანი მდივანი იყო).

სარევიზიო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია მედეა კახიძე.

მაისში ქართველმა მწერლებმა ფართო მონაწილეობა მიიღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში. საიუბილეო დღეებში რუსთაველის პრემია მიენიჭათ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოთხრობათა ციკლისათვის — „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „მამია ჯაიანი“, „ცაბუნია“, „როდესაც კაცი მარტოა“, „ერთი ღამის საუკუნე“, „მაისის დილა“, „ცისფერი დუნაი“ და კრებულში — „ერთი კარგი წელიწადი“ გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის „ჩემი პირველი კომკავშირელი“, „გაუმარჯოს დონ კიხოტს“, „ორთაჭალელი მეთევზეები“ და არჩილ სულაკაურს მოთხრობისათვის „სალამურას თავგადასავალი“.

ამავე თარიღების აღსანიშნავად გამოვიდა (14.5.) ერთდროული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი“ (რედაქტ. დავით კვიცარიძე).

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, ბაგრატ შინქუბა და გიორგი ჯიბლაძე.

7.6. — აღინიშნა გერონტი ქიქოძის დაბადების 85-ე წლისთავი.

23.6. — საქართველოს მილიციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო შეხვედრა მილიციის მუშაკებთან.

* * *

1971 წლის 29.6.—2.7. გაიმართა საბჭოთა კავშირის მწერალთა მეხუთე ყრილობა, რომელზეც ქართველ მწერალთაგან სიტყვით გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე.

ყრილობის მიერ არჩეულ გამგეობაში საქართველოს მწერალთაგან შეევიდნენ გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ბესო ჟღენტი, ბაგრატ შინქუბა, სერგი ჭილაია. ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში — თედორე გაგლოითი (გაფეზი), ივანე თარბა, რევაზ მარგიანი, მუხრან მაჭავარიანი, იოსებ ნონეშვილი.

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობამ 2 ივლისს თავის სამდივნოში შეიყვანა გრიგოლ აბაშიძე [352].

* * *

20.9. — აღინიშნა ალექსი გომიაშვილის დაბადების მე-60 წლისთავი.

ოქტომბერში მორის ფოცხიშვილს მიენიჭა საქართველოს კომ. კავშირის პრემია ლექსების კრებულებისათვის — „რწმენა“, „ხარულა და ხარხარა“ და საქართველოს კომკავშირისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლისათვის.

27 ოქტომბრიდან საქართველოში ჩატარდა ესტონეთის კულტურის დღეები. მწერალთა კავშირში შეხვედრა მოეწყეს ესტონელ მწერლებს: ესტონეთის მწერალთა კავშირის მდივანს ვილემ გროსს, ესტონეთის სახალხო მწერალს დებორა ვაარანდის და ლენარტ მერის.

---

[352] სსრკ მწერლების მეხუთე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. მოსკოვი. 1972 (რუსულ ენაზე), დამატებაში (გვ. 288—302) დაბეჭდილია „ქართული ლიტერატურა 1966—1971 წლებში და მისი განვითარების ამოცანები“ (გრიგოლ აბაშიძის მოხსენება საქართველოს მწერალთა კავშირის მე-7 ყრილობაზე 1972, 28.4).

16.10. — გარდაიცვალა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალიო მირცხულავა. იგი დიდების პანთეონში დაკრძალეს.

ოქტომბერში პოეზიის დღის აღსანიშნავად გამოვიდა ერთ-დროული გაზეთები: „რუსთაველის დღე, პოეზიის დღე“ (რედ. კ. კალაძე) და „ლიტერატურული ქუთაისი“ (12.10. რედაქტორი დავით კვიცარიძე).

30.11.—1.12. — უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში გაიმართა საბჭოთა და პერუელი მწერლების სხდომა „მრგვალ მაგიდასთან“ [353]. დიალოგის თემა იყო „წარსულის კულტურული ტრადიციები და თანამედროვე ლიტერატურა“. დიალოგში მონაწილეობდნენ პერუელები მარიო ერერიო გრაი, ე. გ. ვიანია, ს. მირო, ა. ტაურო. რუსი მწერლები, პერუს ლიტერატურის სპეციალისტები და მთარგმნელები სერგეი სმირნოვი, მარკ მაქსიმოვი, ბორის გრიბანოვი, იური დაშკევიჩი, პავლე გრუშკო, თ. ზლაჩევსკაია, ნინა ბულგაკოვა.

გამოვიდა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“ ქართულ და რუსულ ენებზე (გამომც. „მერანი“).

---

[353] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1971, №№ 49, 51.

1972

18.I. — აღინიშნა ნინო ნაკაშიძის დაბადების მე-100 წლისთავი.

1970—71 წლების ჯ. ნერუს სახელობის პრემია მიეკუთვნა ირაკლი აბაშიძეს ლექსებისათვის ინდოეთზე და წიგნისათვის — „ინდოეთის გზებზე“.

იანვარში სკკპ ცკ-მ მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ[354]. ამ საკითხზე გაიშალა დისკუსია, რომელიც შეაჯამა გამგეობის პლენუმმა (14.2.)[355]. პლენუმი გახსნა მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. შესავალ სიტყვაში მან თქვა: კრიტიკას ბრალად სდებენ პასიურობას და ნეიტრალობას, მიკერძოებასა და ჯგუფობრიობას, კომპლიმენტურობას. აღნიშნა კრიტიკაში ახალი კადრების აღზრდის საჭიროება.

ყოველივე ამაზე კონკრეტული მასალების მოტანით ილაპარაკა ბესო ჟღენტმა მოხსენებაში „თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობა და მისი განვითარების ამოცანები“. მან თავის მოხსენება ასე დაიწყო: „საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის მთელი ისტორიის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, რომ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი საგანგებოდ ლიტერატურულ კრიტიკას ეხებოდეს“.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კრიტიკის მოუთმენლობის გამო ბრძოლის ცეცხლის ხაზს გაეცალა და ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიის კვლევის აკადემიურ სფეროებში გადავიდა ბევრი კრიტიკოსი. უკანასკნელ წლებშიც სამწუხაროდ რაიმე დიდმნიშვნელოვანი გარდატეხა არ მომხდარა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ჟურნალ-გაზეთები ვერ ბეჭდავენ საკმაო რაოდენობით კვალიფიციურ კრიტიკულ წერილებს, ვერ აღმოიფხვრა პანეგერიკული კრიტიკა, ვერ ავამოძრავეთ კრიტიკოსთა ძირითადი ბირთვი. მაგრამ არის ძვრებიც:

---

[354] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, № 4.

[355] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, №№ 7, 8.

1) უპირველეს ყოვლისა ალმანახ „კრიტიკის“ გამოსვლა — „ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში პირველად გახდა შესაძლებელი კრიტიკის სპეციალური ორგანოს დაარსება“. ალმანახს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მწერალთა კავშირის გამგეობა და მისი გამომცემლობა „მერანი“ დიდი გულისყურით მოეკიდნენ ამ ალმანახს; 2) კრიტიკაში ახალი ძალების მოსვლა (ლერი ალიმონაკი, ჯუმბერ თითმერია, სოსო სიგუა, ჯანსუღ ღვინჯილია, თამაზ წივწივაძე). საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ლადო ავალიანმა, გურამ ასათიანმა, ალექსანდრე ბარამიძემ, გურამ გვერდწითელმა, ნოდარ გურეშიძემ, მამია დუდუჩავამ, ივანე თარბამ, გიორგი მერკვილაძემ, დემნა შენგელაიამ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გიორგი ციციშვილმა, რევაზ ჯაფარიძემ, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ლეონიდ ნოვიჩენკომ, სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელმა მუშაკმა იური კუზმენკომ.

შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ აბაშიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი მიხეილ გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე და პარტიის ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგე დავით ჩხიკვიშვილი.

6.3. — მწერალთა კლუბში გაიმართა შემოქმედ ქალთა შეხვედრა.

15.5 — იქვე გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირისა და „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიერ 25—26 მაისს მოწყობილი მრგვალი მაგიდა თემაზე „მრავალეროვნული საბჭოთა პროზის ნოვატორული ძიებანი თანამედროვეობის თემის ათვისებაში“ [356]. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ. საკითხის განხილვისას სიტყვებით გამოვიდნენ: „ლიტერატურნაია გაზეტას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ახიარ ხაკიმოვი, მოსკოველი მწერლები ბორის ანაშენკოვი, ვლადიმერ გუსევი, იური იაკოვლევი, გიორგი ლომიძე, ვალენტინ ოსკოცკი, ვიქტორ შკლოვსკი; უკრაინელი იგორ ძევერინი, ბელორუსი ვასილ ბიკოვი, აზერბაიჯანელები სეიფულა ასადულაევი, გასიმ ეფენდიევი, ისი აბასოღლი მელიქ-ზადე, ისმაილ შიხლი, სომეხი ჟირაირ აევეტისიანი, ლიტველი მიკოლას სლუცკისი, ესტონელი

---

[356] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, №№ 21, 22, 31.

აქსელ ტამი, ლატვიელი ლია ბრიდეკა, მოლდაველი ვასილ ვასილაკი, ყაზახი მურად აუეზოვი, უზბეკი ვახიდ ზახიდოვი, თურქმენი თირქიშ ჯუმაგელდიევი, თათარი ფლიურ შუსინი, აგრეთვე გურამ ასათიანი, ივანე თარბა, გიორგი ციციშვილი, თამაზ ჭილაძე, ნაფი ჯუსოითი.

აღინიშნა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემების საინტერესოდ ასახვა ლიტვურ პროზაში, ამ პროზის ახლებური სტრუქტურა. აღინიშნა ინტერესის გაცხოველება ადამიანის მიმართ, მისი შინაგანი სამყაროსადმი, სულიერი პრობლემებისადმი.

საუბარი შეეჯამეს „ლიტერატურნაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის პირველმა მოადგილემ ევგენი კრივიცკიმ და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესო ჟღენტმა.

1.6. — გაიმართა სიტყვის ოსტატთა შეხვედრა მწერალთა და მწერალთა კავშირის თანამშრომელთა ბავშვებთან ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

7.7. — მწერლები შეხვდნენ ჭადრაკში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს — ნონა გაფრინდაშვილს.

13.10. — საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. ცოტა ხნით ადრე კი (4.5.) ამ თარიღთან დაკავშირებით იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

15.10. — გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საბჭოთა დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე (დაკრძალულია დიდუბეში).

გამოვიდა ალმანახი „კრიტიკა".

შეიქმნა მწერალთა კავშირის აფხაზური ლიტერატურის საბჭო (პირველი თავმჯდომარე ქარლო ქალაძე) და ოსური ლიტერატურის საბჭო (პირველი თავმჯდომარე ნოდარ გურეშიძე).

ოქტომბერში სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს ეძღვნა პოეზიის დღესასწაული. 6 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე, ქართველ მწერლებთან ერთად, გამოვიდნენ მოსკოველები ბელა ახმადულინა, ალექსანდრე მეჟიროვი, კონსტანტინე სიმონოვი, ვლადიმერ სოლოუხინი, არსენ ტარკოვსკი, ლენინგრადელი მიხეილ დუდინი, უკრაინელი ვიტალი კოროტიჩი, ბელორუსი ევგენია ლოსი, უზბეკი ჰამიდ გულიამი, აზერბაიჯანელი რასულ რზა, სომეხი აშოტ გრაში, ლატვიელი იანის პეტერსი, ესტონელი რუდოლფ რიმელი, ლიტველი იოზას მაციავიჩუსი, ბალყარელი ყაისინ ყულიევი, ტაჯიკი ოზოდ ამინოვა, თურქმენი რ. ალიევი, ყირგიზი სოორონბაი ჯუსუევი.

ამავე თარიღს ეძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მწერალთა კავშირების გამგეობათა საიუბილეო გაერთიანებული პლენუმი ერევანში (12.12.), თბილისსა (26.12.) და ბაქოში (27.12.)[357].

ამ თარიღის აღსანიშნავად გამოვიდა (12.12) ერთდროული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი" (რედაქტ. დავით კვიცარიძე).

მწერალთა კავშირი შეფობას უწევს ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობას.

წლის ბოლოს (2,11.) სამხრეთ ოსეთის მწერალთა საერთო კრებაზე ისიდორე ქოზაევი აირჩიეს განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად (1972—1975).

---

[357] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1972, №№ 50, 52, 1973, № 1.

1978

30.1. — ქართულ მწერლობას გამოაკლდა პროზის ოსტატი ლევან გოთუა. (დაკრძალულია არმაზში).

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 4) გამოქვეყნდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მოწოდება „ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა!“ (თანამედროვეობის ასახვა, ხუთწლედის მშრომელთა სახელების შექმნა).

ამ მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა მწერალთა კავშირის სამდივნო („ღირსეულად ავსახოთ ხუთწლედის გმირთა სასახელო საქმეები) [358].

ეს იყო ახალი გამოხატულება ხალხთან, კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან იმ თანადგომისა, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა მწერლობა და რომელმაც ახალი ძალით იფეთქა ამ წლებში.

თებერვალში შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატები გახდნენ მურმან ლებანიძე — 1970—72 წლებში გამოქვეყნებული ლექსებისა და პოემებისათვის და მაყვალა მრეველიშვილი — ბოლო ხანს გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის.

23 თებერვალს, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თაობაზე სკკპ ცკ-ის 1972 წლის იანვრის დადგენილების წლისთავზე, სამდივნოს გაფართოებული სხდომა მიეძღვნა სალიტერატურო კრიტიკის საკითხების განხილვას (მომხს. ბესო ჟღენტი) [359], ხოლო 7 მარტს გაიმართა თათბირი ახალგაზრდა კრიტიკოსთა შემოქმედების საკითხებზე [360]. მომხსენებელმა გივი ვარდოსანიძემ სპეციალურად განიხილა რამდენიმე ახალგაზრდა კრიტიკოსის (ჯუმბერ თბილელიას, სოსო სიგუას, ჯანსუღ ღვინჯილიას, თამაზ წივწივაძის) სტატიები. თათბირზე სიტყვით გამოვიდა ჯანსუღ ჩარკვიანი, მუშაობა კი შეაჯამა ბესო ჟღენტმა.

მარტშივე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო

---

[358] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 5.
[359] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 9.
[360] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 11.

კომიტეტის სხდომათა დარბაზში მოეწყო შეხვედრა მწერლებთან. კომიტეტის თავმჯდომარის კარლო გარდაფხაძის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენება-ანგარიში წაიკითხა ტელევიზიის ლიტერატურულ და დრამატულ გადაცემათა რედაქციის მთავარმა რედაქტორმა მწერალმა როდამ ჩაჩანიძემ, ასევე რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციის მთავარმა რედაქტორმა აკაკი კობერიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ გრიგოლ აბაშიძე, ალექსი გომიაშვილი; ვახტანგ გორგანელი, კლავდია დევდარიანი, ვალერიან კანდელაკი, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი, ლადო მრელაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, სიმონ წვერავა. შეხვედრაზე ლაპარაკი იყო სცენარების შიმშილზე, კონტაქტების გაძლიერებაზე.

19—23 აპრილს ბათუმში ჩატარდა მწერალთა მეორე საკავშირო თათბირი მესაზღვრეთა ცხოვრების ამსახველ ლიტერატურაზე [361]. თათბირი გახსნა და I და II სხდომებს თავმჯდომარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე.

ივნისში აღინიშნა სიმონ ჩიქოვანის დაბადების 70-ე (4.6.), ალიო მირცხულავას დაბადების 70-ე (11.6.) წლისთავები, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გაიხსნა პოეტის ძეგლი; სლოვაკეთში პოეზიის კვირეულში მონაწილეობა მიიღო და ჯილდო დაიმსახურა მორის ფოცხიშვილმა [362].

20 ივლისს აღინიშნა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების მე-80 წლისთავი.

ამავე თარიღს ეძღვნა წლის ბოლოს (26.11—2.12.) ქუთაისში გამართული ახალგაზრდა პოეტთა მეშვიდე საკავშირო ფესტივალი [363].

აგვისტოში საქართველოს კპ ცკ-მ მიიღო დადგენილება „საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში“.

24.8. — ვახტანგ ჭელიძე ინიშნება გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად (№ 33-დან).

1973 წლის 3 ოქტომბერს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ისევ შეიქმნა თავმჯდომარის თანამდებობა და ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილება: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გრიგოლ აბაშიძე,

---

[361] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 17.
[362] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 20.
[363] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, №№ 47, 48.

პირველ მდივნად — თენგიზ ბუაჩიძე, მდივნებად — ნოდარ დუმ-ბაძე, იოსებ ნონეშვილი და ბესო ჟღენტი[364].

ოქტომბრიდან გიორგი ნატროშვილი ინიშნება ჟურნალ „მნა-თობის“ რედაქტორად, რევაზ მარგიანი კი — ჟურნალ „დროშის“ რედაქტორად.

1-ლ ნოემბერს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაი-მართა გალაკტიონ ტაბიძის დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშ-ნავი საიუბილეო პლენუმი[365], სიტყვებით გამოვიდნენ რუსი ვიქ-ტორ ბოკოვი, ირინა სნეგოვა, არსენ ტარკოვსკი), უკრაინელი (ბო-რის ოლიინიკი), ბელორუსი (ვიაჩესლავ ადამჩიკი), აფხაზი (ივა-ნე თარბა) პოეტები, კრიტიკოსები — ჟურნალ „დრუჟბა ნარო-დოვის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ლეონიდ ლავ-ლინსკი, იოსებ გრინბერგი, გურამ ასათიანი, გიორგი მარგველა-შვილი, ბესო ჟღენტი.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანები წაიკითხეს რუსმა პოეტებმა: ვლადიმერ ლეონოვიჩმა, ელენა ნიკოლაევსკაიამ, ბუ-ლატ ოკუჯავამ, მიხეილ სინელნიკოვმა, ირინა სნეგოვამ, აზერბაი-ჯანელმა კასუმ კასუმ-ზადემ (კასუმოვმა), ინგლისელმა ქართვე-ლოლოგმა დონალდ რეიფილდმა.

გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვით გამოვიდნენ ქართველი პოეტები რეზო ამაშუკელი, მარიკა ბარათაშვილი, ალექსანდრე ბეგაშვილი, გიორგი კაჭახიძე, ბონდო კეშელავა, ნა-ზი კილასონია, გიორგი წერეთელი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა ვიქტორია სირაძემ, სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელ-მა მუშაკმა ი. კუზმინმა, საქართველოს კპ ცკ-ის კულტურის გან-ყოფილების გამგემ ნიკა ჩერქეზიშვილმა.

2 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე ერთ-ერთ სკვერში გამართული მიტინგი მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის სა-ძირკვლის ჩაყრას. იმავე დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კი გაიმართა საიუბილეო საღამო. მოხსენებით პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოვიდა საქართველოს მწე-რალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე. სიტყვები წარ-მოთქვეს საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანმა ალექსი სურ-კოვმა, უკრაინის მწერალთა კავშირის მდივანმა პავლო ზაგრებელ-ნიმ, ბელორუსმა პროზაიკოსმა არკადი მარტინოვიჩმა, თურქმა მწერალმა აზიზ ნესინმა, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივანმა

---

364 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 39.

365 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 45.

პოეტმა ჯაბირ ნოვრუზმა, თურქმენმა დრამატურგმა ჰუსეინ მუხტაროვმა, სომეხმა ლეონ მკრტიჩიანმა და სხვ.

3.11. — სტუმრები იყვნენ ქუთაისში, დაესწრნენ გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას ვანში.

წლის ბოლოს (25.12.) შედგა კიდევ ერთი პლენუმი, რომელიც მიეძღვნა საკითხს „მუშათა კლასის თემა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“ [366]. პლენუმის გახსნისას მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ თქვა: „ქართველი ხალხი მუდამ აფასებდა გუთნისდედისა და მწყემსის, მთიბავისა და მომკელის, მთოხნელისა და მევენახის საპატიო შრომას, დღეს ამ პროფესიას უამრავი ახალი პროფესია მიემატა: მეტალურგისა და მაღაროელის, მეჩაიისა და მეციტრუსის, ინჟინრისა და ოსტატის, ლაბორანტისა და კონსტრუქტორის...

ქართველი მწერალი ვალდებულია უკვდავჰყოს მათი გმირული შრომა და თავდადება“.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა გიორგი ნატროშვილი. მან აღნიშნა სერია „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“, ლექსების ციკლები და ა. შ. თქვა, რომ შემოქმედს, ლიტერატურის მკვლევარსა და შემფასებელს ახლა ყველაზე მეტად აინტერესებს, რა მოუტანა ადამიანს მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რა ზეგავლენა მოახდინა მის სულიერ სამყაროზე და როგორ გამოხატა ეს ლიტერატურამ. შემდეგ მომხსენებელმა კონკრეტულად დაასახელა პროზაში მუშათა ცხოვრების ასახვის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ადამიანზე ზემოქმედების ასახვის მაგალითები: ლადო ავალიანის რომანი „ახალი ჰორიზონტი“, როსტომ ბეჟანიშვილის „უკანასკნელი გადასარბენი“, კონსტანტინე გამსახურდიას ნარკვევი „რუსთავი“, თამაზ გოდერძიშვილის მოთხრობა „ხელში გამომწყვდეულ ბეღურასავით“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ჩემი გაიანე“, გურამ ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ცა“, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ცხოვრების ამსახველი მოთხრობები კარლო კობერიძისა „წინ, ზარმაცებო“ და ლადო მრელაშვილისა „გზები სავსეა მოულოდნელობით“; კომუნისტური შრომის ამსახველი რომანი აკაკი ბელიაშვილისა „შვიდკაცა“; მუშების ცხოვრებისადმი მიძღვნილი რომანები — დემნა შენგელაიას „ირმის ნახტომი“ და „შთაგონება“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვახტანგ ჟღენტმა, თბილისის სტალინის სახე-

---

[366] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 51; 1974, № 1.

ლობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორმა არსენ მახარაშვილმა, თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ „კომკავშირის 50-ე წლისთავის“ სახელობის ბრიგადის ბრიგადირმა მარინა აბულაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა არჩილ ძამაშვილმა, მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა თენგიზ ბუაჩიძემ, მწერლებმა როსტომ ბეჟანიშვილმა, კარლო კალაძემ (გამომც. „მერანის“ დირექტორი), დავით კვიცარიძემ (მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი), ბესო ჟღენტმა (მწერალთა კავშირის მდივანი), გურამ ფანჯიკიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა (ჟურნ. „ცისკრის“ რედაქტორი), გიორგი ციციშვილმა (ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიის“ რედაქტორი) და კრიტიკოსმა სერგი ჭილაიამ.

ამ წელს ვანო ურჯუმელაშვილი სათავეში ჩაუდგა (1973—74) ქვეშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლს.

1974

იანვარში შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია (თავმჯდომარე ოთარ ნოდია).

თებერვალში საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა მირზა გელოვანს (სიკვდილის შემდეგ).

წლის დასაწყისში ჩატარდა დისკუსიების სერია წინა წლის ლიტერატურულ პროდუქციაზე: „ქართული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა" (22—23.1.; მომხსენებლები ვასო ბაიაძე, გივი ვარდოსანიძე, ვლადიმერ მაჭავარიანი, ზურაბ ჭუმბურიძე), „ქართული დრამატურგია" (28.1.; ვალერიან კანდელაკი), „ქართული პროზა" (7—8.2.; როსტომ ბეჟანიშვილი), „ეხატვრული ნარკვევი" (2.4.).

12 აპრილს აღინიშნა ლეო ქიაჩელის დაბადების 90-ე წლისთავი.

23—24 აპრილს თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო თათბირი — „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია!" [367] თათბირში მონაწილეობა მიიღეს მწერალთა დელეგაციებმა მოსკოვიდან (ხელმძღვანელი ფელიქს კუზნეცოვი), უკრაინიდან (ხელმძღ. სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ლეონიდ ნოვიჩენკო), ბელორუსიიდან (ა. ადამოვიჩი), აზერბაიჯანიდან (ხელმძღ. აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი მირზა იბრაჰიმოვი), სომხეთიდან (ხელმძღვ. სომხეთის მწერალთა კავშირის მდივანი პარუირ მიქაელიანი), ყაზახეთიდან (ხელმძღ. ყაზახეთის მეცნ. აკად. მ. აუეზოვის სახ. ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი ადი შარიფოვი), ყირგიზეთიდან (ხელმძღვ. ყირგიზეთის მწერალთა კავშირის მდივანი კ. კაიუმოვი), ლატვიიდან (ხელმძღ. მწერალთა კავშირის მიდვანი გუნარ პრიედე), ლიტვიდან (ხელმძღვ.

---

[367] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1974, №№ 17, 18, 24.

მწერალთა კავშირის მდივანი ალგირდას პოციუსი), მოლდავეთიდან (ხელმძღვ. პეტრე კრუჩენიუკი), ტაჯიკეთიდან (ხელმძღვ. ფაზლიდინ მუხამადიევი), თურქმენეთიდან (ხელმძღვანელი ატა ატაჯანოვი), უზბეკეთიდან (ხელმძღვ. ლაზიზ კაიუმოვი), ესტონეთიდან (ხელმძღვ. მწ. კავშირის მდივანი ვილემ გროსი).

თათბირში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მწერლებმა დანიელ გრანინმა, ვალენტინ კატაევმა, ვილი ლიპატოვმა, მარია პრილეჟაევამ, ანატოლი სოფრონოვმა და სხვ.

თათბირმა განიხილა თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში კომუნისტის სახის ხორცშესხმის საკითხი. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი ვიტალი ოზეროვი. მან აღნიშნა: ჩვენი ლიტერატურისაგან მოველით სულ უფრო ღრმად და მაღალმხატვრულად ასახოს კომუნისტური მშენებლობის ორგანიზატორი, მუშაკი და კომუნისტური ფორმაციის საქმიანი ადამიანი, რომელშიც კომპეტენტურობა და ინიციატივა შეთავსებული იქნებოდა ღრმა პატრიოტულობასა და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზრუნვასთან. ასეთი სახეები ბევრი მოგვცა საბჭოთა ლიტერატურამ, მაგრამ გვინდა კიდევ მეტი და სრულყოფილი, „სწორი არ იქნებოდა, თუ სათანადოდ ვერ დავაფასებდით იმას, რაც შექმნა ჩვენმა ლიტერატურამ; იგი სწორი გზით მიემართება და წარმატებაც ბევრი აქვს. მაგრამ ასევე სწორი არ იქნებოდა იმის დავიწყება, თუ რამდენი რამ აქვს მას კიდევ გასაკეთებელი საიმისოდ, რომ ჩვენი წიგნების გმირები გაუტოლდნენ, გაუთანასწორდნენ თვით ცხოვრების გმირებს“.

თათბირზე ვრცელი სიტყვა — „სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი წარმატებებისაკენ“ — წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც, კერძოდ აღნიშნა:

„იმ ფაქტმა, რომ კომუნისტებმა თავისნაირი გახადეს მშრომელთა მილიონიანი მასები, თავიანთ დონემდე აამაღლეს ისინი, თვით კომუნისტები ნაკლებად საინტერესო ადამიანებად რჩებიან, თუმცა ისინი გარეგნულად ისე კოლორიტულად აღარ გამოირჩევიან, როგორც ეს იყო ოციან, ოცდაათიან, ორმოციან წლებში. მაგრამ მაინც თანამედროვე კომუნისტი, როგორც ადამიანი, უფრო რთული მოვლენა გახდა. მისი შესწავლისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში მისი მხატვრული ხორცშესხმისათვის საჭიროა უფრო ღრმა მიდგომა, უფრო მდიდარი პალიტრა, უფრო მსუყე საღებავები და შტრიხები, სახის გამოკვეთის უფრო თანამედროვე სტილი. ასე რომ ამოცანა რთულ-

დება, და ჩვენი ლიტერატორების ღირსების საქმეა, რადაც უნდა დაუჯდეთ გადაწყვიტონ ეს ამოცანა, არ ასცდნენ შემოქმედების ისეთ მაგისტრალურ, გენერალურ თემებს, როგორიც არის კომუნისტის, ჩვენი თანამედროვის ცხოვრება და საქმეები".

თათბირის მონაწილეებმა იმოგზაურეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში, შემდეგ საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართეს პოეზიის ინტერნაციონალური საღამო.

თათბირის მუშაობის დღეებში თბილისში, ცხრა იანვრის ქუჩაზე, გაიხსნა მაქსიმ გორკის ძეგლი.

13.5. — აღინიშნა იროდიონ ევდოშვილის დაბადების მე-100 წლისთავი.

15—18 მაისს თბილისელი და სოხუმელი მწერლებისა და ხელოვნების ოსტატთა შეხვედრაში აფხაზეთის მშრომელებთან მონაწილეობა მიიღო თბილისელ მწერალთა დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ გრიგოლ აბაშიძე (ხელმძღვანელი), გურამ ასათიანი, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, რევაზ მარგიანი, შოთა ნიშნიანიძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, ლადო სულაბერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი. ივნისში კი სოხუმში ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გამსვლელი სხდომა[368], რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, გრიგოლ აბაშიძემ, აფხაზეთის მწერალთა მუშაობაზე ილაპარაკა აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანმა კუმფ ლომიამ. მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულებმა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნებმა თენგიზ ბუაჩიძემ, ნოდარ დუმბაძემ, ბესო ჟღენტმა, პრეზიდიუმის წევრებმა, გურამ ასათიანმა (საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზური ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე), კარლო კალაძემ (გამომცემლობა „მერანის" დირექტორი), ჯანსუღ ჩარკვიანმა (ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი), მწერლებმა შოთა აკობიამ, ჯუმა ახუბამ, პლატონ ბებიამ, ნიკოლოზ კვიწინიამ, შოთა სალაყაიამ, შალვა წვიჟბამ, ოთარ ჭურღულიამ, ჯანო ჯანელიძემ დეტალურად განიხილეს აფხაზური ლიტერატურის ავ-კარგი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის მუშაობა, აღინიშნა, რომ დიდი შემოქმედებითი საკითხების გადაწყვეტას ხელს უწყობს ერთობლივი შემოქმედებითი ღონისძიებები, პირადი კონტაქტები, რომ მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოები კვლავაც ხელს შეუწყობს აფხაზური ლიტერატურის პროპაგანდას (კარლო კალაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი); რომ მწერალ-

---

[368] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1974, № 25.

თა კავშირი დიდ იმედებს ამყარებს აფხაზური ლიტერატურის საბ-ჭოზე (გრიგოლ აბაშიძე). სამდივნოს გამსვლელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგე ნიკა ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ხვარცკაია და სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გიორგი ჟორჟოლიანი.

ივნისში აღინიშნა ალექსანდრე პუშკინის დაბადების 175-ე (2.6.) და სერგო კლდიაშვილის დაბადების მე-80 წლისთავები.

16.6. — გრიგოლ აბაშიძე ხელმეორედ აირჩიეს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (მეცხრე მოწვევა).

25 ივნისს შედგა პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცამეტე პლენუმის შედეგები და ქართველი მწერლების ამოცანები" (მომხსენებელი გრიგოლ აბაშიძე)[369]. ქართული მწერლობა მისი კავშირის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის პირით ასე გამოეხმაურა („ხარაჩოები გვიხმობენ") საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მთავრობის დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ": „დღეს ქართველი მწერლების ადგილი იქ არის, სადაც ამ ისტორიული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაცია ხდება.

ჟურნალიზმი და მხატვრული რეპორტაჟი ახალ მაღალ ხარისხში უნდა მოიმარჯვოს ჩვენმა მწერლობამ, მწერალი კვალში უნდა ჩაუდგეს მოვლენებს და უშუალოდ ხარაჩოებიდან უნდა გადმოსცეს მშენებლობის ის რიტმი და მაჯისცემა, რომლითაც ახლა ჩვენი ხალხი ცხოვრობს".

ივლისში გაიმართა მწერალთა საუბარი არქიტექტორებთან თბილისის მომავალი მშენებლობისა და კეთილმოწყობის თაობაზე.

აგვისტოში აღინიშნა გრიგოლ აბაშიძის დაბადების მე-60 წლისთავი[370].

აგვისტოში საქართველოში სტუმრად მყოფი ანდრე სტილი ქართველ მწერლებს შეხვდა მწერალთა კავშირში (5.8.).

ზაფხულში „საქლიტფონდის" მწერალთა კავშირის პოლიკლინიკა მწერალთა სახლიდან გადავიდა ახალ ბინაზე — ტაშკენტის ქუჩა № 27-ში.

სექტემბერში აღინიშნა დიმიტრი გულიას დაბადების მე-100 წლისთავი. მისი სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ ალექ-

---

[369] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1974, №№ 26, 27.
[370] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1974, № 31.

სი გოგუა მოთხრობების წიგნისათვის „მშვენიერი მთა“, ჭიჭიკო ჯონუა პოეტური კრებულისათვის „მთის გზა“, და გიორგი გუბლია მონოგრაფიისათვის „დიმიტრი გულიას შემოქმედების გზა“.

27 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გრიგოლ აბაშიძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

10.10. — აღინიშნა საფო მგელაძის დაბადების მე-80 წლისთავი.

12—16 ოქტომბერს თელავში საქართველოს კომკავშირის ცკ-სთან ერთად ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა თათბირ-სემინარი [371], რომელშიც მონაწილეობდა მწერლობის კიდევ ერთი ახალი თაობა: თემურ აბულაშვილი, ბაღათერ არაბული, დალილა ბედიანიძე, ჯანრი გოგეშვილი, იზა გოცაძე, პაატა ნაცვლიშვილი, ჯემალ ქირია, თენგიზ ჩალაური, მანანა ჩიტიშვილი და სხვ.

დეკემბერში ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის უძველესი და უპირველესი ჟურნალის „მნათობის“ დაარსების 50-ე წლისთავი. საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ძოწენიძემ საპატიო ნიშნის ორდენით ჟურნალის დაჯილდოება მიულოცა თანამშრომლებს. „მნათობის“ ირგვლივ ილაპარაკა მისმა რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა, ხოლო ჟურნალს მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი შოთა ძიძიგური, თსუ პროორექტორი სერგო ჯორბენაძე (რომელმაც გიორგი ნატროშვილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცა უნივერსიტეტისა და „მნათობის“ კოლექტივების ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისათვის), უკრაინელი ო. ხომენკო, სომეხი ვააგან კარენკი, აზერბაიჯანელი გ. გიანჯალი. მოგონებით გამოვიდა „მნათობის“ ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი დეშნა შენგელაია.

დეკემბერშივე აღინიშნა რაფიელ ერისთავის დაბადების 150-ე (23.12.) და გიორგი ლეონიძის დაბადების 75-ე წლისთავები (27.12.).

ალმანახების „ცისარტყელასა“ და „ხომლის“ შეერთებით შეიქმნა ალმანახი „საუნჯე“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რედაქტორობით (1974—1977) [372].

---

[371] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1974, №№ 41, 42.

[372] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1974, № 30.

1975

1975 წელს ქართულმა მწერლობამ მიიღო კიდევ ერთი ბეჭდვითი ორგანო. გურამ ფანჯიკიძის რედაქტორობით (1975—1977) გამოსვლას იწყებს საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ორთვიური ალმანახი „განთიადი“.

12—13 თებერვალს ჩატარებული საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი[373], რომელმაც მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის მოხსენება „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის“, ეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შეჯამებას.

მომხსენებელმა ილაპარაკა ქართული მწერლობის ინტერნაციონალურ სულისკვეთებაზე, აღნიშნა ღონისძიებანი, რომლებიც შეეძღვნა მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, კერძოდ, 1973 წელს ჩატარებული ქართული პოეზიის საღამოები მოსკოვში (მარტი), საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის აღსანიშნავი ქართული პოეზიის საღამო კავშირების სვეტებიან დარბაზში (26.3.), ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი რევოლუციური პოეზიის დღეები საქართველოში (ივლისი), აზერბაიჯანელი პოეტის ნასიმის დაბადების მე-600 წლისთავის აღსანიშნავი საღამო თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (13.9.); თბილისში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ა/კ ოლქის ჯარების ნაწილებში ჩატარებული ინტერნაციონალური საღამოები ქართველი და საქართველოში მცხოვრები რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ქურთი მწერლების მონაწილეობით; 1974 წელს ჩატარებული გალაკტიონ ტაბიძის დღეები მოსკოვში, აფხაზური პოეზიის საღამო ჭ. ცხაკაიაში, ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო თათბირ-სემინარი ქუთაისში, ა. ს. პუშკინის დაბადების 175-ე წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი საქართველოში საბჭოთა და საზღვარგარეთის მწერლების

---

[373] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975, №№ 6, 7, 10.

მონაწილეობით, მეგობრობისა და პოეზიის საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საბჭოთა მწერლების მონაწილეობით (27.4.), მაქსიმ გორკის ძეგლის გახსნა თბილისში, აფხაზეთის კულტურის დღეები თბილისში, ქართული კულტურის დღეები სამხრეთ ოსეთში, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლების ანთოლოგიების გამოცემა.

ყველა ეს დღეები, ეს ღონისძიება იქცა ჩვენი ხალხებისა და ლიტერატურების მეგობრობის დემონსტრაციად.

ამავე პლენუმმა იმსჯელა ქართველ მწერალთა წვლილზე მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანების შესრულებაში (მომხს. მწერალთა კავშირის პირველი მდივანი თენგიზ ბუაჩიძე) და მხატვრული ლიტერატურის სწავლებაზე საშუალო სკოლებში (მომხს. მწერალთა კავშირის მდივანი ბესო ჟღენტი). ქართული მწერლობა მუდამ იყო დაინტერესებული სკოლის ბედით და ეს გამოჩნდა ბესო ჟღენტის საფუძვლიან მოხსენებასა და მწერლების, მეცნიერებისა და განათლების მუშაკთა გამოსვლებში. აღინიშნა, რომ ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა არამარტო განათლების ორგანოებისა და მწერალთა საზოგადოებრიობის უპირველესი და უკეთილშობილესი ამოცანაა, არამედ პარტიის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილიცაა (გრიგოლ აბაშიძე).

თებერვალში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ ნოდარ დუმბაძეს რომანისათვის — „თეთრი ბაირაღები“ და მოთხრობებისათვის „დიდრო“, „კორიდა“, „ძაღლი“, „უმადური“, შოთა ნიშნიანიძეს — 1973—74 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შევიდა წიგნში „ეპიკური ექო“ და ლექსების წიგნისათვის სერიიდან „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“, ნიკო კეცხოველს წიგნისათვის — „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ და ნიკოლოზ ზაბოლოცკის (სიკვდილის შემდეგ) „ვეფხისტყაოსნის“ და ქართული კლასიკური პოეზიის რუსულ ენაზე მაღალმხატვრულად თარგმნისათვის.

25.2. მწერლები იყვნენ საშეფო აწყურის საბჭოთა მეურნეობაში.

მარტში ახალგაზრდა მწერალთა მეექვსე საკავშირო თათბირ-სემინარში. მონაწილეობა მიიღეს თემურ აბულაშვილმა, კონსტანტინე ამირიძემ, დალილა ბედიანიძემ, ავთანდილ მეგრელიშვილმა, პაატა ნაცვლიშვილმა, მამუკა სალუქვაძემ, სოსო სიგუამ, ნინო ქუთათელაძემ, მიხეილ ქურდიანმა [374].

---

[374] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975, №№ 11, 14.

მწერლებს ეწვივნენ შრომის გმირები.

24—30.3. — საქართველოში მიმდინარეობდა საბავშვო ლიტერატურის საკავშირო კვირეული.

4 მაისს უცნობი ქართველი ჯარისკაცის ჩამოსასვენებლად ქერჩში მივლინებულ დელეგაციაში შედიოდა ორი ქართველი პოეტი — ყირიმის ბრძოლების მონაწილე ალექსი გომიაშვილი და ომის შემდგომი თაობის წარმომადგენელი ჯანსუღ ჩარკვიანი.

9 მაისს თბილისში, გამარჯვების პარკში, მიწას მიაბარეს მათ მიერ ჩამოსვენებული უცნობი ჯარისკაცი და მის საფლავზე გრანიტის შავ ფილაზ წააწერეს მესამე პოეტის — მორის ფოცხიშვილის სტრიქონები: „არ ხარ უცნობი, სახელი შენი უკვდავებაა აწ და მარადის“, ლექსიდან „არ ხარ უცნობი“, რისთვისაც მას მალე ახლადდაწესებული გალაკტიონ ტაბიძის პრემია მიანიჭეს.

გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავზე დიდ სამამულო ომში შექმნილი ნაწარმოებებისათვის რუსთაველის პრემია მიენიჭა მირზა გელოვანს (სიკვდილის შემდეგ).

გამარჯვების ზეიმის დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის ახლადშექმნილი ყოველწლიური პრემიები მიანიჭეს რეზო მარგიანს პოემისათვის „თოვაში შეხვედრა გაზაფხულთან“ და ლექსთა ციკლისათვის „1942“ და ჯანსუღ ჩარკვიანს პოემებისათვის „მირზა გელოვანი“, „სამი თამარი“.

მოეწყო მწერალთა შეხვედრა სამამულო ომის მონაწილე ქალებთან.

20.5. — აღინიშნა მიხეილ შოლოხოვის დაბადების 70-ე წლისთავი (რუსთაველის თეატრი).

26.5. — აღინიშნა მემედ აბაშიძის დაბადების მე-100 წლისთავი.

მწერლების რიცხვმა რესპუბლიკის პარლამენტში რვას მიაღწია: 15 ივნისს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს ირაკლი აბაშიძე, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ დუმბაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ბაგრატ შინქუბა და ვიორგი ჯიბლაძე.

18—25 ივნისს საქართველოში ჩატარდა საბჭოთა ლიტერატურის დღეები[375]. ამ ღონისძიებაში, რომელიც 18 ივნისს ქუთაისის ოპერის თეატრში გამართული ლიტერატურული საღამოთი დაიწყო, მონაწილეობდა საკავშირო მწერალთა კავშირის დელეგაცია კონსტანტინე სიმონოვის ხელმძღვანელობით. მასში შედიოდნენ ბელა ახმადულინა, აგნია ბარტო, ვიქტორ ბოკოვი, ევგენი

---

[375] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975, №№ 24, 25, 26, 28.

დოლმატოვსკი, ლარისა ვასილიევა, სავა ვიკულოვი, ვიტალი კოროტიჩი, მარკ მაქსიმოვი, ალექსანდრე მეჟეროვი, იუვან შესტალოვი.

დასავლეთ საქართველოდან ლიტერატურის დღეებმა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა და დასრულდა 24 ივნისს თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული ინტერნაციონალური ლიტერატურული საღამოთი.

ივნისში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო (ფილარმონიის მცირე დარბაზი).

ივლისში მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები 1974 წელს შექმნილი ნაწარმოებებისათვის მიენიჭათ ნაზი კილასონიას — ახალი პოეტური ნაწარმოებებისათვის, ვახტანგ ჭელიძეს — გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებისათვის და რევაზ ჯაფარიძეს ნარკვევისათვის „ეწვანე ზამთრის ქვეყანა".

17.7. — გარდაიცვალა ქართული საბჭოთა პროზის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია. დაკრძალულია მისი კოლხური კოშკის ეზოში.

მოეწყო მწერალთა შეხვედრა პარტიული ბიბლიოთეკების მუშაკებთან.

19.9. — მწერლების სტუმარი იყო თბილისის წინდების საქსოვი ფაბრიკა „კრწანისის" კომუნისტური შრომის კომკავშირული ბრიგადა.

17 ოქტომბერს გაიმართა გამგეობის პლენუმი, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობისათვის საპატიოდ და ქართული სალიტერატურო პრესის ამოცანები" [376]. მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა: ამ დღეებში ჩვენს გაზეთსა და ყველა ჟურნალში კვლავ გამოცოცხლდა პუბლიცისტური ხაზი და ისეთი ხვედრითი წონა მოიპოვა, რომ ჩვენს წერილებს ანგარიშს უწევენ არამარტო ისინი, ვისაც ეს გამოსვლები უშუალოდ ეხება, არამედ ამ გამოსვლებზე მსჯელობენ და სავალდებულადაც უხდიან შენიშვნების გათვალისწინებას სხვა ორგანიზაციებსაც.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რევაზ ამაშუკელმა („ნათობის" პასუხისმგებელი მდივანი), მერაბ ელიოზიშვილმა, ჯუმბერ თითმერიამ („კრიტიკის" პასუხისმგებელი მდივანი), კარლო კალაძემ („მერანის" დირექტორი), ვლადიმერ კანდელაკმა,

---

[376] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1975, №№ 42, 44.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ („საუნჯის" რედაქტორი), ბესო ჟღენტმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა („ცისკრის" რედაქტორი), რევაზ ჯაფარიძემ.

პლენუმმა იმსჯელა აგრეთვე საქართველოს მწერალთა მორიგი მერვე ყრილობის მოწვევის შესახებ და დაადგინა: მოწვეულ იქნეს მწერალთა ყრილობა 1976 წლის 20 აპრილს.

ოქტომბერში აღინიშნა პაოლო იაშვილის დაბადების მე-80 (20.10.) და ავეტიქ ისაკიანის მე-100 წლისთავები (27.10.).

25.11. — მწერალთა სასახლეში გაიმართა ქალთა საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

28.11. — სამხრეთ ოსეთის განყოფილების ბიურომ კოსტა მარღიევი აირჩია განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად.

12 დეკემბრიდან საქართველოში ჩატარდა სლოვენიის ლიტერატურის დღეები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პრეშერნის პრემიის ლაურეატმა, „ვეფხისტყაოსნის" სლოვენურ ენაზე მთარგმნელმა ტონე პავჩეკმა, ლიტერატურული ჟურნალის „სოდობნოსტის" მთავარმა რედაქტორმა ცირილ ზლობეცმა, დრამატურგმა და მთარგმნელმა იანეზ მენარტმა, პოეტებმა ივანე მინატმა, მარკო კრავოსმა, ტონე კუნტნერმა. სლოვენიის ლიტერატურის დღეები დამთავრდა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართული პოეზიის საღამოთი (15.12.).

დასრულდა გალაკტიონ ტაბიძის თორმეტტომეულის აკადემიური გამოცემა (1966—1975).

გაზეთებში აღინიშნა კოლაუ ნადირაძის დაბადების მე-80 წლისთავი.

საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭო კონსტანტინე სიმონოვის თავმჯდომარეობით განაგრძობდა ქართული მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდას [377].

შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო (დირექტორი ვახტანგ გორგანელი). მწერალთა შემოქმედებითი სახლის დირექტორად ქვიშხეთში დაინიშნა ამ სოფლის მკვიდრი ოთარ ლომიძე.

---

377 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1975, № 5.

1976

აგრძელებდნენ რა ცხოვრებასთან, მშრომელებთან მჭიდრო ურთიერთობის ტრადიციას, 21 იანვარს ქართველმა მწერლებმა შეხვედრა მოუწყეს საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობის დელეგატებს. მათ მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე. შთაბეჭდილებათა გაზიარებაში, აზრთა ურთიერთგაცვლაში, საუბარში ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე, მწერლებისა და მკითხველთა ურთიერთობაზე, თანამედროვე ქართული ლიტერატურის მთავარ ტენდენციებზე მონაწილეობდნენ ვახტანგ ესვანჯია (პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი), მიხეილ ორაგველიძე (მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ივანე თარბა (აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), თინა დონეაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, არსენ კობაიძე (წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემოქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ენვერ მალაზონია (პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი), ფრიდონ ხალვაში, გურამ ფანჯიკიძე, ალექსი გომიაშვილი, მარგო გერსამია (ზუგდიდის რაიონის ენგურის ქაღალდის ფაბრიკის ბრიგადირი), ბესო ჟღენტი, დავით კვიცარიძე, მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი, კოსტა მარღიევი, მერაბ ელიოზიშვილი, იაგორ მამალაძე (საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი), ბაგრატ შინქუბა, იოსებ ნონეშვილი [378].

იანვარში გურამ ფანჯიკიძეს მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია.

თებერვალში ოთარ ჭურღულიას რედაქტორობით გამოსვლა დაიწყო ლიტერატურულმა კრებულმა „რიწამ“ (სოხუმი).

სკკპ 25-ე ყრილობის მუშაობაში (24.2. — 5.3.) მონაწილეობა მიიღო ორმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ და ნოდარ დუმბაძემ.

---

[378] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976, № 4.

მარტში მწერლები (შალვა ამისულაშვილი, ვახტანგ გორგანელი, ნოდარ დუმბაძე, ბონდო კეშელავა, კარპე მუმლაძე, სილოვან ნარიმანიძე, ლადო სულაბერიძე, არჩილ სულაკაური, რევაზ ჯაფარიძე) ეწვივნენ რუსთაველ მშენებლებს.

მარტშივე ქართველი მწერლების სტუმრები იყვნენ რუმინელი პოეტი დიმიტრიუ იონი და ლუქსემბურგელი მწერალი მ. მორინო.

6.4. — საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა იოსებ ნონეშვილის პოეზიის საღამო.

წლის მთავარი მოვლენა იყო საქართველოს მწერალთა მორიგი ყრილობა.

მწერალთა მერვე ყრილობაზეც (1976.22—23.4.)[379] რომელიც გახსნა მწერალმა-აკადემიკოსმა დემნა შენგელაიამ, დაწვრილებით იქნა განხილული 1971—1976 წლების ქართული მხატვრული ლიტერატურა გრიგოლ აბაშიძის საანგარიშო მოხსენებასა და ბესო ჟღენტის (პროზა), ნოდარ დუმბაძის (პოეზია), თენგიზ ბუაჩიძის (კრიტიკა), მორის ფოცხიშვილის (საბავშვო ლიტერატურა), კონსტანტინე ლორთქიფანიძის (თარგმნილი ლიტერატურა) თანამოხსენებებში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ქართულმა მწერლობამ ადრევე გამოუცხადა ბრძოლა 60-იან წლებში საქართველოში მომძლავრებულ მექრთამეობას, მომხვეჭელობასა და კანონების დარღვევას, თვითდამშვიდებასა და უკონტროლობას, ხოლო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განახლების შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად ჩაება ახლო წარსულის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, გაძლიერდა მწერლობის მოქალაქეობრივი, პუბლიცისტური ჟღერადობა.

სერიით „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამჭერ“ შეიქმნა ბევრი მებრძოლი მოთხრობა და ნარკვევი.

„ქართულ მწერლობაში ისევ გაცოცხლდა ილიასა და აკაკის სამოქალაქო ლირიკის, მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციური პოეზიის ტრადიციები“, — თქვა მომხსენებელმა გრიგოლ აბაშიძემ.

მოხსენებაში ხაზი გაესვა საბჭოთა ლიტერატურის მრავალეროვნულობას და მშობლიურ ენაზე წერის უპირატესობას კოლონიური ქვეყნების მწერალთა ორენოვნებასთან შედარებით.

მომხსენებელი შეეხო მწერალთა კავშირის გამომცემლობის საკითხს: „ეს გამომცემლობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დააარსა ნიკო ნიკოლაძემ საპაიო გამოსაღების ბა-

[379] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975, №№ 17, 18, 19.

ზაზე. შემდეგ, როცა მწერალთა კავშირი დაარსდა, გამომცემლობა ჩვენს ორგანიზაციას გადმოეცა და იგი კარგ სამსახურს უწევდა მწერლობას მანამ, ვიდრე ისიც არ გააერთიანეს ერთ საგამომცემლო სისტემაში.

ჩვენი მსგავსი გამომცემლობები ჰქონდა მოსკოვსა და კიევსაც. რუსეთისა და უკრაინის მწერალთა კავშირებმა დიდი ხანია დაიბრუნეს ეს გამომცემლობები, ხოლო ჩვენ ვერ შევძელით დღემდე ჩვენი უფლებების აღდგენა. ეს მაშინ, როცა აზერბაიჯანსა და საქართველოში მწერალთა კავშირებს ახლა უარსებენ ასეთ გამომცემლობებს".

მოხსენებაში აღინიშნა „ცისკრის" დამატება „ნობათის" გამოსვლის მნიშვნელობა მწერლობის ახალი კადრების მომზადებაში.

მოხსენებასა და თანამოხსენებებში აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდნენ უხუცესი მწერლები: სანდრო შანშიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი, დემნა შენგელაია, ალექსანდრე ქუთათელი, აგრეთვე ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე.

გამოქვეყნდა ხუტა ბერულავას პოემები „ნემანის ტალღები" და „თინა თორტიზელი", ოთარ ჭელიძის „ჩემი მაგნიტური არე", ბესიკ ხარანაულის „ხეიბარი თოჯინა", ყურადღება მიიქციეს გრიგოლ აბაშიძის („ფიქრები ენგურის ხეობაში"), ტარიელ ჭანტურიას („სალაღობო" და სხვ.), შოთა ნიშნიანიძის („კომუნისტი" და სხვ.), გივი გეგეჭკორის („ფეოდალი"), ფრიდონ ხალვაშის, ნოდარ გურეშიძის, ვახტანგ ჯავახაძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, გივი ალხაზიშვილის, თედო ბექიშვილის ლექსებმა.

ყრილობაზე აღინიშნა წარმატებანი პროზაში, კერძოდ, რომანები: ოთარ ჭილაძის დებიუტი პროზაში — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" და „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია", ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები", გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი", ალიო ადამიას „დიდი და პატარა ეკატერინე", ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი", სერგი ჭილაიას „შვილები" და „ჩემი უნივერსიტეტის პროფესორი", ოთარ ჩიჯავაძის „თვითმკვლელები" (წ. II), ნოდარ წულეისკირის „ზესნახე", ალექსანდრე კალანდაძის „მწვანე შტო", თეიმურაზ მაღლაფერიძის „წყურვილი" და „გაულ გავხე", გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი", ნანა კანდელაკის „თოფის ხმა გათენებისას", ვანო ურჯუმელაშვილის „მოსკოვი ქვეყნად ერთია".

ისტორიულ რომანებს შეემატა გრიგოლ აბაშიძის „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება", რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარი" (I—II), ლევან სანიკიძის ქრონიკები „უქარქაშო ხმლე-

ბი“ (წ. I), ჯემალ ჯაყელის „მუჰაჯირი“, ბიოგრაფიულ რომანებს — ელგუჯა მაღრაძის „გოდება“ (დ. გურამიშვილი) და მირონ ხერგიანის „კლდის ვეფხვი“ (მთასელელ მიხეილ ხერგიანზე).

საანგარიშო პერიოდში შექმნილი მოთხრობებიდან ყრილობაზე აღინიშნა გიორგი ციციშვილის ნოველების პირველი წიგნი სამამულო ომზე „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, თამაზ ჭილაძის „პოსეიდონის სასახლე“, „მდგმურები“ და „აუზი“, არჩილ სულაკაურის „ლუკა“, რევაზ ინანიშვილის მოთხრობათა ციკლი „საღამო ხანის ჩანაწერები“, გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, როსტომ ბეჟანიშვილის „უკანასკნელი გადასარბენი“, თამაზ ბიბილურისა და გიორგი ხორგუაშვილის მოთხრობები.

აღინიშნა პიესები: ნოდარ დუმბაძის „ოეთრი ბაირაღების“ მიხედვით — „საბრალდებო დასკვნა“, ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, ალექსანდრე ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“, ითქვა, რომ ჩვენი თეატრები ნაკლებ ეტანებიან ქართულ პიესებს.

ლიტერატურათმცოდნეობიდან ყურადღებას იქცევს რევაზ თვარაძის „გალაკტიონი“, გიორგი მერკვილაძის „რომანი და ეპოქა“, ოთარ ჩხეიძის „იტალიური ქრონიკები ბაირონისა“, მარკ ზლატკინის „როცა წიგნი აახლოებს ხალხებს“.

თარგმნილ ლიტერატურაში — რევაზ ჯაფარიძის მიერ თარგმნილი ისააკ ბაბელის რომანი „ცხენოსანთა არმია“, გურამ გვერდწითელის მიერ თარგმნილი ვადიმ კოჟევნიკოვის რომანი „ფარი და მახვილი“, ელგუჯა მაღრაძის მიერ თარგნილი კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“ (I—II—73), ჰომეროსის „ოდისეა“ (ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა), ფრანსუა ვიიონის ლექსები (დავით წერედიანმა), ჰელიოდორეს „ეთიოპიკა“ და ესქილეს ტრილოგია „ორესტეა“ (ორივე — გიგლა საროიშვილმა), ა. პუშკინის „ევგენი ონეგინი“ (ოთარ ჭელიძემ), ვერგილიუსის „ენეიდა“ (რომან მიმინოშვილმა), გ. ფლობერის „სენტიმენტალური აღზრდა“ (არისტო ჭუმბაძემ).

მწერლობაში მოვიდა შევსება: გიორგი ბაქანიძე, ალეიზურაზ ლანჩავა, გურამ პეტრიაშვილი, ვლადიმერ სიხარულიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, დოდო ჭუმბურიძე...

ნაყოფიერად მომუშავე რუსმა მწერალმა მიხეილ ლიხვიცკიმ შექმნა რომანი „გასროლა მეტეხში“ ლადო კეცხოველის რევოლუციურ ბრძოლაზე.

აფხაზური ლიტერატურიდან აღსანიშნავია ბაგრატ შინქუბას რომანი „უკანასკნელი უბიხი“.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

მერვე ყრილობის მიერ არჩეულმა გამგეობამ (83 კაცი) 23 აპრილს შექმნა 33 კაციანი პრეზიდიუმი და სამდივნო, რომელშიც შეიდნენ: გამგეობის თავმჯდომარე — გრიგოლ აბაშიძე, პირველი მდივანი — თენგიზ ბუაჩიძე, მდივნები — ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი.

მდივნების გარდა პრეზიდიუმში შეიდნენ ირაკლი აბაშიძე, გურამ ასათიანი, ხუტა ბერულავა, ალექსი გომიაშვილი, ივანე თარხა, ანა კალანდაძე, კარლო კალაძე, დავით კვიცარიძე, მურმან ლებანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მარგიანი, კოსტა მარღიევი, ელგუჯა მაღრაძე, მუხრან მაჭავარიანი, გიორგი მერკვილაძე, გიორგი ნატროშვილი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, დემნა შენგელაია, ალანს ულ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, ფრიდონ ხალვაში, რევაზ ჯაფარიძე.

სარევიზიო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია მედეა კახიძე.

3 ივნისის ბრძანებულებით დემნა შენგელაია დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

3 ივნისს ბათუმში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გრიგოლ აბაშიძემ. მოხსენებით „საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის ამოცანები“ გამოვიდა განყოფილების პ/მგ მდივანი ფრიდონ ხალვაში. კამათში გამოსულებმა აღნიშნეს: წარმატებები უფრო დიდი იქნებოდა, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი რომ მოგვარდებოდეს, კერძოდ, მომწიფდა აჭარის სამწერლო ორგანიზაციაში სამდივნოს შექმნის საკითხი. სხდომაზე კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ჟურნალ „ჭოროხზე“.

გარდა პრეზიდიუმის წევრებისა და აჭარაში მომუშავე მწერლებისა, სიტყვით გამოვიდა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვახტანგ პაპუნიძე.

პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომის მონაწილენი ესტუმრნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოსა და შუახევის რაიონებს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს. 5 ივნისს ბათუმის კულტურის სახლში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელზეც ფრიდონ ხალვაშის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე [360].

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების შესწავლის შემდეგ პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: 1. დაისვას ზემდგომი ორგანოების წინაშე ჟურნალ —

---

[360] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976, № 24.

„ჭოროხის“ მოცულობისა და პერიოდულობის გაზრდის საკითხი; 2. 1978 წელს თბილისში ჩატარდეს აჭარაში მომუშავე მწერალთა დღეები, რომელიც მიეძღვნება აჭარის განთავისუფლების მე-100 წლისთავს და ამასთან დაკავშირებით გამოიცეს ამ დღეებისადმი მიძღვნილი კრებული ხუთი საავტორო თაბახის მოცულობით; 3. ეთხოვოს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობებსა და მეურნეობებში მწერალთა შემოქმედებითი მივლინებებისათვის გამოყოს სამივლინებო თანხა; 4. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლიტერატურის განყოფილების გახსნის თაობაზე; 5. ეთხოვოს საქალაქო საბჭოს ყოველწლიურად გაითვალისწინოს ფითო ბინა ბათუმელი მწერლებისათვის; 6. აღიძრას შუამდგომლობა განყოფილებისათვის ერთი მდივნის შტატის გამოსაყოფად [381].

11.6. — აღინიშნა მე-10 წლისთავი სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებიდან.

1976 წლის 21—25 ივნისს ჩატარებულ საბჭოთა კავშირის მწერალთა მეექვსე ყრილობაზე ქართველ მწერალთაგან სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე და გურამ ფანჯიკიძე.

ყრილობის მიერ არჩეულ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობაში შევიდნენ გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტი, ბაგრატ შინქუბა, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე; გამგეობის ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში — ივანე თარბა, ანა კალანდაძე, რევაზ მარგიანი, კოსტა მარღიევი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე.

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმმა (25.6.) სამდივნოში შეიყვანა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე [382].

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ [383], რომელშიც ნათქვამია: ახალგაზრდა შემოქმედებთან მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს მათდამი გულისხმიერი, პატივისმცემელი დამოკიდებულება,—შეხამებული მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან.

საქართველოს მწერალთა კავშირმა, მისმა ხელმძღვანელობამ ეს დადგენილება სახელმძღვანელოდ გაიხადა მწერლობის ახალი თაობების აღზრდის საქმეში.

---

381 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976, № 31.

382 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976, №№ 26, 27, 28.

383 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976, № 43.

13.11. — თბილისში ბარათაშვილის ხიდთან ვაიხსნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი.

16.11. — გაიმართა გამგეობის პლენუმი[384], რომელმაც განიხილა პარტიის თბილისის კომიტეტზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესრულების შემოწმება და ქართველი მწერლების ამოცანები. მომხსენებელმა გრიგოლ აბაშიძემ აღნიშნა: გააქტიურდა მთელი ქართული მწერლობა. მაგრამ ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია, მთავარი გასაკეთებელი წინ არის. კარგი წიგნებით უნდა გავზარდოთ ჩვენი წვლილი რესპუბლიკის წარმატებებში. მომხსენებელი შეეხო მწერალთა პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ამაღლების საკითხს.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა (ზაზა აბზიანიძე, ლადო ავალიანი, იონა ვაკელი, ალექსანდრე კალანდაძე, დავით კვიცარიძე, ნაზი კილასონია, რევაზ მარგიანი, გიორგი ნატროშვილი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, ემანუილ ფეიგინი, სულხან ქეთელაური, ჯანსუღ ღვინჯილია, დემნა შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭელიძე) აღნიშნეს კრიტიკის როლი ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალგაზრდებთან მუშაობის მნიშვნელობა, სექციებისა და ლიტერატურული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგემ ალექსანდრე ალექსიძემ და სექტორის გამგემ რომან მიმინოშვილმა.

25.11. — თბილისში გაიმართა სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს პირველი გასელითი სხდომა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმთან ერთად[385]. სხდომა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ. ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე სიმონოვმა აღნიშნა, რომ საბჭოს თაოსნობით მოსკოვში ტარდება „ქართული პოეზიის საღამოები" (მაგალითად, ბოლო წლებში ჩატარებულია გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძის საღამოები), რომ საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს საკავშირო გამომცემლობებში ქართული ნაწარმოებების დროულად და ხარისხიანად გამოცემას. კონსტანტინე სიმონოვმა ილაპარაკა საკავშირო გამომცემლობათა ბოლო წლების გეგმების ავ-კარგზე და აღნიშნა, რომ კარგი ნაწარმოები უთარგმნელი და გამოუცემელი რჩება, ამიტომ აუცილებელია შეჯერდეს საკავშირო გამომცემლობათა და „მერანის" რუსული რე-

---

[384] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1976, № 47.

[385] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1976, № 48, 51.

დაქციის გეგმები. აუცილებელია ამა თუ იმ ნაწარმოებს რეკომენდაცია მისცეს საქართველოს მწერალთა კავშირმა.

თარგმანისა და გამოცემის პრობლემებზე ილაპარაკეს გიორგი ციციშვილმა („ლიტერატურნაია გრუზიის" მთავარი რედაქტორი), ოთარ ნოდიამ (საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), ევგენი ევტუშენკომ, გრემიცკაიამ (გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია"), გურამ ასათიანმა, მიხეილ ქვლივიძემ, მარკ ზლატკინმა („მერანის" რუსულ გამოცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი), ვიქტორ პერცოვმა, გიორგი მარგველაშვილმა, იური სუროვცევმა (საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი).

მეორე სხდომა მიეძღვნა ალმანახის — „სახლი ჭადრების ქვეშ" ორი ბოლო ნომრის განხილვას. მონაწილეობა მიიღეს იოსებ გრინბერგმა, გენრიხ მიტინმა, ევგენი ევტუშენკომ, მიხეილ სინელნიკოვმა, ალექსანდრე მეჟიროვმა, უშანგი რიჟინაშვილმა.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგე ალექსანდრე ალექსიძე.

1976 წელს საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა გურამ ფანჯიკიძეს 1974—75 წლებში ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის თემებზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

ამ წელს გურამ ფანჯიკიძემ კიდევ ერთი პრემია მიიღო პუბლიცისტური ნარკვევებისათვის „დრო და პრობლემები" — ეს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია 1975 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის. მასთან ერთად ასევეთივე პრემიები მიენიჭათ ხუტა ბერულავასა და იოსებ ნონეშვილს ხუთწლედის თემაზე დაწერილი ლექსებისათვის, არჩილ სულაკაურს მოთხრობისათვის — „პაწაწინა ნიგეზის ტოტი" და აკაკი გეწაძეს — პიესისათვის „ნატყვიარი წლები [386].

ახალშექმნილი კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა გიორგი ძუგათი რომანისათვის „ოქროს წყარო".

სკკპ 25-ე ყრილობას ეძღვნა „მერანის" მიერ რუსულ ენაზე გამოცემული კრებული „ერთსულოვნება", რომელშიც შეეიდა ქართველ პოეტთა მიერ 1970-75 წლებში დაწერილი ლექსები.

---

[386] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1976, № 42.

1976 წელს შეიქმნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის სამდივნო, რომელშიც ივანე თარბასა (თავმჯდომარე) და კუმფ ლომიასთან (მდივანი) ერთად შევიდა სოხუმში მომუშავე ქართველ მწერალთა წარმომადგენელი ხუტა გაგუა.

1976 წელსავე ხუტა გაგუა დაინიშნა სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად.

მწერალთა რიგებს გამოაკლდა (18.10) მწერალთა კავშირის ერთ-ერთი აქტიური და მებრძოლი წევრი, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი (დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).

1977

წელიწადი დაიწყო რევაზ ინანიშვილის წიგნის — „შორი თეთრი მწვერვალის“ განხილვით (იანვარი) და საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედების საღამოთი (31.1.).

21 თებერვალს აღინიშნა აკადემიკოსი მწერლის დემნა შენგელაიას დაბადების მე-80 წლისთავი.

წლის დასაწყისში მორიგი ცვლილებები მოხდა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში: 11 მარტს საქართველოს კპ ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგემ ალექსანდრე ალექსიძემ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს წარუდგინა ახალი ორგმდივანი გიორგი ჟორჟოლიანი (ნაცვლად 1976 წლის შემოდგომაზე სხვა სამუშაოზე გადასული თენგიზ ბუაჩიძისა).

25 მარტს შედგარმა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმმა თენგიზ ბუაჩიძე გაათავისუფლა პირველი მდივნისა და პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან და მდივნად (ორგანიზაციულ საკითხებში) დაამტკიცა გიორგი ჟორჟოლიანი. ამავე პლენუმმა, ნაცვლად 1976 წელს გარდაცვლილი ბესო ჟღენტისა, მდივნად აირჩია გიორგი ციციშვილი [387].

მარტში შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა რევაზ ინანიშვილს 1975-76 წლებში შექმნილი მოთხრობებისათვის, რომლებიც შესულია წიგნში — „შორი თეთრი მწვერვალი“ [388].

აპრილში მწერალთა კავშირში გაიმართა მიხეილ კვესელავას წიგნის — „ას ერგასის დღის“ განხილვა.

როგორც აღვნიშნეთ, 1976 წელს გამოქვეყნდა სკკპ ცკ-ის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ [389]. საქართველოს მწერალთა კავშირი მუდამ აქცევდა ყურადღებას მწერლობის ახალი ცვლის მომზადებას, მაგრამ ხსენებულმა დადგენილებამ კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე.

---

[387] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1977, № 14.

[388] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1977, № 10.

[389] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976, № 43.

სწორედ ამის გამო იყო საუბარი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის ინტერვიუში. 1977 წელს კი (4.5) გამგეობის პლენუმმა[390] ამ დადგენილების შუქზე ჩამოაყალიბა მწერალთა კავშირის ამოცანები. პლენუმზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გრიგოლ აბაშიძემ, მოხსენებებით გამოვიდნენ: ახალგაზრდული ქართული პოეზია — გურამ ასათიანი, პროზა — გურამ გვერდწითელი, საბავშვო მწერლობა — არჩილ სულაკაური, დრამატურგია — გიორგი ხუხაშვილი, კრიტიკა — ზაზა აბზიანიძე, ახალგაზრდობასთან მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობაზე ილაპარაკა კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიამ, სიტყვებით გამოვიდნენ ლადო ავალიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი და ახალგაზრდა მწერლები.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის თაობაზე პარტიის 1976 წლის დადგენილების საპასუხოდ, თანდათან ძლიერდებოდა ზრუნვა ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდისათვის და 17 ოქტომბერს მწერალთა კავშირში შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება[391], ხოლო 1-ლ დეკემბერს გამგეობის პლენუმზე მწერალთა კავშირის მდივნად არჩეულ იქნა ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელსაც სხვათა შორის, საგანგებოდ მიენდო მწერალთა ახალ კადრებზე ზრუნვა როგორც ახალგაზრდულ ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორად დიდხანს ნამუშევარს, ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის დიდი გამოცდილების მქონეს.

ამავე პლენუმმა (1.12.) გურამ ფანჯიკიძე დაამტკიცა ჟურნალ „ცისკრის" (ხელს აწერს 1978 წლის № 2-დან), კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ალმანახ „განთიადის" (ხელს აწერს 1978 წლის № 2-დან), შოთა ნიშნიანიძე ალმანახ „საუნჯის (ხელს აწერს 1978 წლის № 1-დან) მთავარ რედაქტორებად, მედეა კახიძე კი მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარედ.

ამ წელს გაიმართა (26.7.) კიდევ ერთი პლენუმი — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა თემაზე „ბუნების დაცვა ჩვენი ცხოვრების უზენაესი კონსტიტუციური კანონია"[392]. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვილი კაჭარავა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, მეცნიერებმა, უწყებათა ხელმძღვანელებმა.

---

[390] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1977, № 19.
[391] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1977, № 44.
[392] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1977, № 31.

ივნისიდან ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ მთავარი რედაქტორია გურამ ასათიანი.

ივლისში გაიმართა მწერალთა აქტივის კრება, რომელმაც იმსჯელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შეხვედრისათვის მზადების გამო[393].

სექტემბერში ქართველი მწერლების სტუმრები იყვნენ სლოვაკი მწერალი მილოშ კრნო და ავსტრალიელი ჯუდა უოტენი.

ამ წლიდან სექტემბერში სოფელ ლამისყანაში საფუძველი ჩაეყარა გურამიშვილობას და გამოჩენილი ქართველი მწერლების ტრადიციულად ქცეულ დღეობებს შოთაობას (ოქტომბერში), ილიაობას (ოქტომბერში), ვაჟაობას (აგვისტოში), ყაზბეგობას (ივლისში), იაკობობას (ოქტომბერში), გოგლაობას (მაისში) მიემატა კიდევ ერთი ზეიმი — გურამიშვილობა, რომელიც ყოველ სექტემბერში აღინიშნება სოფ. ლამისყანაში.

წლის განმავლობაში ჩატარდა ლადო ასათიანის მე-60 (16.5), ლევან გოთუას 70-ე (6.6), მირზა გელოვანის მე-60 (4.7) და ილო მოსაშვილის დაბადების მე-80 (II.7) წლისთავების აღსანიშნავი საღამოები.

დეკემბერში მწერლებს ესტუმრნენ თერჯოლის რაიონის მოწინავე მშრომელები.

გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული“ (შედგენა და რედაქცია რევაზ თვარაძისა), კრებულები: „ოქტომბრია ცისარტყელა“, ქართველი პოეტები დიად ოქტომბერს. 1917 — 1977 („მერანი“) და „ოქტომბრის სიმფონია“ (შემდგენელი მორის ფოცხიშვილი), „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“ (საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდები ხუთწლედს), „მარადი ექო“ (მოძმე რესპუბლიკების მწერალთა მოთხრობები, შემდგ. ჯუმბერ თითმერია);

ვლადიმერ ალფენიძეს მოთხრობების წიგნისათვის „33 მზის სახოვანი ბრძენი იაკობი“ გადაეცა იაკობ გოგებაშვილის მედალი.

იმის გამო, რომ ხუტა გაგუა დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლად საკავშირო მწერალთა კავშირში — ამ კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად, მის ნაცვლად აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივნად არჩეულ იქნა გენო კალანდია.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის დირექტორად დაინიშნა პოეტი ზურაბ კუხიანიძე.

---

[393] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1977, № 28.

1978

პირველი იანვრიდან, თანახმად შეთანხმებებისა, საქართველოს მწერალთა კავშირს გადმოეცა გაგრის შემოქმედებითი სახლი.

წლის დასაწყისში გამოქვეყნდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით გალაკტიონ ტაბიძის პრემია 1976 წლისა მიეკუთვნა შოთა ნიშნიანიძეს ლექსისათვის „ძახილი“, 1977 წლისა კი—ტარიელ ჭანტურიას ლექსისათვის „ვისია ხელი“, მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები მიენიჭათ: 1976 წლისა—მედეა კახიძეს,—ლექსების ციკლისათვის, თამაზ ბიბილურს მოთხრობისათვის „ჩივილი“, ალექსანდრე ჩხაიძეს პიესისათვის — „როცა ქალაქს სძინავს“, ელგუჯა მაღრაძეს — კრიტიკული ნარკვევებისათვის, გიორგი ნატროშვილს — პუბლიცისტური წერილებისათვის; 1977 წლისა — ლადო სულაბერიძეს პოემისათვის — „ლოდზე ამოკითხული თქმულება“, ოთარ კუპრავას (გარდაცვალების შემდეგ) რომანისათვის — „სირიაჩქონის ტყის სიზმარი“, გიორგი მერკვილაძეს — კრიტიკული წერილებისათვის, თამაზ ჭილაძეს — კრიტიკული წერილებისათვის, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს წიგნისათვის — „რა მოხდა აბაშაში?“

იანვარში საკმაოდ ინტენსიური მუშაობა იყო გაჩაღებული მწერალთა კავშირში: „ლიტერატურულ საქართველოში (№ 1) აღინიშნა მეცნიერისა და მწერლის ნიკო კეცხოველის დაბადების მე-80 წლისთავი; პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს „მნათობის“ 1977 წლის ნომრები (მომხსენებელი რევაზ ჯაფარიძე); ქართველ მწერლებს ესტუმრნენ გერმანელი მწერლები: მარტინ ბუხჰორნი, პეტრა მიხაელი, ფელიციტია ფრიშმუტი და ლუდვიგ ჰარიხი. მწერალთა კავშირმა, მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საქართველოს საზოგაების ლიტერატურულმა სექციამ მოაწყო შეხვედრა გერმანელ მწერლებთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნებმა იოსებ ნონეშვილმა, გიორგი ჟორჟოლიანმა და ჯანსუღ ჩარკვიანმა. პოეტებმა მედეა კახიძემ და მორის

ფოცხიშვილმა, მეცნიერებმა ნოდარ კაკაბაძემ და რევაზ ყარალაშვილმა.

გაიმართა ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური გაერთიანების მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. მოხსენებით „ქართული ლიტერატურის თარგმნის რამდენიმე საკითხი და ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება“ გამოვიდა ჯანსუღ ღვინჯილია. კამათში მონაწილეობა მიიღეს თემურ აბულაშვილმა, დალილა ბედიანიძემ, თედო ბექიშვილმა, ბაჩანა ბრეგვაძემ, კამილა კორინთელმა. ზეზვა მედულაშვილმა, დავით მჭედლურმა, ენვერ ნიჟარაძემ, უშანგი რიჟინაშვილმა, ავთანდილ ჩხიკვიშვილმა. სხდომის მუშაობა შეაჯამა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ.

თებერვალში კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციის სხდომაზე, გურამ გვერდწითელმა (მომხსენებელი). ვალერიან კანდელაკმა, რევაზ მიშველაძემ, ელიზბარ უბილავამ, ერემია ქარელიშვილმა, შალვა ჩიჩუამ და ვანო წულუკიძემ განიხილეს აკაკი თოფურიას მონოგრაფია „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“.

მწერალთა კავშირის სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის თინა დონეაშვილის საანგარიშო მოხსენება. ბიუროს საქმიანობის განხილვის შემდეგ (სიტყვებით გამოვიდნენ: ვასო გვეტაძე, ალექსი გომიაშვილი, ელიზბარ მაისურაძე, გიორგი ნატროშვილი, ლადო სულაბერიძე, ვანო ურჯუმელაშვილი, გიორგი ქავთარაძე). ალექსი გომიაშვილმა ილაპარაკა საკავშირო პლენუმის შესახებ, რომელზეც განიხილეს სამხედრო თავდაცვითი ლიტერატურის საკითხი. კომისიამ შეიმუშავა 1978 წლის სამუშაო გეგმა და აირჩია ახალი ბიურო: თავმჯდომარე — ალექსი გომიაშვილი, მოადგილეები — ელიზბარ მაისურაძე და ლადო სულაბერიძე.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ მოაწყო მწერლების ნოდარ გურეშიძის, ოტია იოსელიანის, სერგო კლდიაშვილის, თედო ბექიშვილის, რევაზ მარგიანის, ოთარ ჩხეიძის, სარგის ცაიშვილის, მამუკა წიკლაურისა და რევაზ ჯაფარიძის შეხვედრა-საუბარი თამაზ გალდავას მშენებელთა ბრიგადასთან.

14.2. — პროზის სექციამ მოაწყო ნოდარ დუმბაძის წიგნის „ათი მოთხრობის“ განხილვა. სექციის თავმჯდომარის ლადო ავალიანის ვრცელი შესავალი სიტყვისა და ზურაბ ჭუმბურიძის მოხსენების შემდეგ, მოთხრობების ავ-კარგზე ილაპარაკეს გრიგოლ აბაშიძემ, კალე ბობოხიძემ, სერგო კლდიაშვილმა, გიგა მახვილაძემ, ენვერ

ნიჟარაძემ, იოსებ ნონეშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა და გიორგი ციციშვილმა.

15.2. — კრიტიკოსთა სექციამ გამართა ნოდარ ჩხეიძის ხსოვნის საღამო, რომელზეც სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები გურამ გვერდწითელი (მომხსენებელი), ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე, კობა იმედაშვილი, ილია რურუა, ლია სტურუა, ლიტერატორები და მეცნიერები იოსებ ბოცვაძე, დავით გამეზარდაშვილი, გიორგი ზაუტაშვილი, გრიგერ ფარულავა.

20.2. — პროფკავშირთა კულტურის სასახლეში მოეწყო ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის საღამო.

21-22 თებერვალს მოეწყო დისკუსია წინა წლის ქართული მხატვრული ლიტერატურის ირგვლივ[394]. დისკუსიაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ციციშვილმა, წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: „1977 წლის ქართული ლირიკა" (ჯანსუღ ღვინჯილია), „ქართული პოემა 1977 წელს" (კობა იმედაშვილი), „თანამედროეობის ამსახველი პროზა 1977 წელს" (გურამ გვერდწითელი), „ქართული ისტორიული რომანი 1977 წელს" (შალვა ჩიჩუა), „ქართული დრამატურგია 1977 წელს" (გიორგი ხუხაშვილი). კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, ლიტერატორებმა, მეცნიერებმა: თეიმურაზ დოიაშვილმა, ნოდარ დუმბაძემ, ალექსანდრე კალანდაძემ, ჯიბო ლომაშვილმა (წიგნისმოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე), დავით მჭედლურმა, რევაზ მიშველაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, გურამ პეტრიაშვილმა, უშანგი რიჟინაშვილმა, ენათმეცნიერმა ალექსანდრე ფოცხიშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გიორგი ციციშვილმა, მამუკა წიკლაურმა და ოთარ ჭელიძემ.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირების გამგეობათა სამდივნოების გაერთიანებულ სხდომაზე (1977 წლის აპრილი) მიღებული დადგენილების (ყოველ გაზაფხულზე სამივე რესპუბლიკაში ამიერკავკასიის ხალხთა პოეზიის დღეების მოწყობის თაობაზე) შესასრულებლად თებერვალში ბაქოში გაიმართა პოეზიის საღამო, რომელშიც მასპინძლებთან (მირვარიდ დილბაზი, ეჰედ მუხთარი) და სომეხ პოეტებთან: ოვანეს გრიგორიანთან, ედვარდ მელიტონიანთან, არამაის სააკიანთან და ლუდვიგ ტურიანთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პოეტებმა: ნოდარ გურეშიძემ, ლეილა ერაძემ, მედეა კახიძემ და რევაზ მარგიანმა.

---

[394] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1978, № 11.

ქართველ მწერლებს ესტუმრა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ჩეჩენი პოეტი ნურღინ მუზაევი.

შეიქმნა პუბლიცისტიკის სექცია, რომლის ბიუროში შეეიდნენ ვლადიმერ მაჭავარიანი (თავმჯდომარე), ეროვნია ქარელიშვილი (მოადგილე), როდამ ჩაჩანიძე (მდივანი), კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, გურამ ფანჯიკიძე და ვახტანგ ჭელიძე.

მარტში ქართველმა მწერლებმა შეხვედრა მოუწყვეს უკიდურეს ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში ნამოღვაწარ ქართველებს [395].

თბილისში სტუმრად იყო იუგოსლაველი პოეტი, სერბიის მწერალთა საზოგადოების მდივანი მიროსლავ მაქსიმოვიჩი.

აპრილში საქართველოს კომკავშირის 1976-77 წლების პრემია მიენიჭა გივი ჭიჭინაძეს — საბავშვო ლიტერატურის ნაწარმოებთა შექმნისათვის და დილარ ივარდავას — ლექსების ციკლისათვის „ყინული ლღვება“, „სადაც ზღვაა და ლურჯი მთებია“, „მზეო, მაცოცხლეო“, „გმირული ორატორია“, „ჩემი ცხოვრების ხუთი ფურცელი“.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა რეზო ამაშუკელის პოეზიის საღამო, ხოლო საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში — გურამ ფანჯიკიძის შემოქმედების საღამო — „მწერალი და თეატრი“ (10.4.).

22.4. — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე, მწერალთა კავშირის მდივნები გიორგი ციციშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი, მწერლები იონა ვაკელი, რევაზ ჯაფარიძე, გურამ ფანჯიკიძე, გივი ძნელაძე, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ნოდია, გივი ალხაზიშვილი, ენვერ ნიჟარაძე და სხვ. იყვნენ შაბათობაზე გლდანში.

აპრილშივე მწერალთა კლუბში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი რევაზ ჩხეიძე მწერლებს ესაუბრა ქართული კინემატოგრაფიის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე [396].

აპრილში გარდაიცვალა პარმენ ლორია.

5 მაისს ქ. მახარაძეში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმი, რომელიც ეძღვნა ლ. ი.

---

[395] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, № 13.

[396] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, № 18.

ბრეჟნევის მოგონებათა — „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ განხილვას [397].

პლენუმის მონაწილეებმა, რომელიც ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა გრიგოლ აბაშიძემ, მოისმინეს მოხსენებები: „საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა დიდ სამამულო ომში და მცირე მიწის ეპოპეა“ (გიორგი ციცეშვილი) „ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „აღორძინება“ და ახალი ადამიანების აღზრდის პრობლემა (ელგუჯა მაღრაძე), „დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული ქართველი მწერლების შემოქმედება“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები გურამ გვერდწითელი, დავით კვიცარიძე, რეზო მარგიანი, რევაზ ჯაფარიძე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, მე-18 არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე ნ. სოლოვეიკინი და სხვები.

გმირთა მოედანზე, მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმის საფუძვლის ჩაყრისას, სიტყვებითა და ლექსის კითხვით გამოვიდნენ პოეტები იოსებ ნონეშვილი და მორის ფოცხიშვილი.

მე-18 არმიის სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის მშობლიურ მახარაძეში გამართულ ამ ღონისძიებებში, გარდა დასახელებულებისა, მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა; ალუდა აბაბულმა, ედუარდ ელიგულაშვილმა, ივანე თარბამ, გენო კალანდიამ, ელიზბარ მაისურაძემ, ენვერ ნიჟარაძემ, ოთარ ნოდიამ, ლევან სანიკიძემ, ლადო სულაბერიძემ, ფრიდონ ხალვაშმა, საქართველოს კპ ცკ-ის კულტურის განყოფილების სექტორის გამგემ, მწერალმა რომან მიმინოშვილმა, სტუმრებმა მოსკოვიდან, კიევიდან, სევასტოპოლიდან, ქერჩიდან, ნოვოროსიისკიდან, გელენჯიკიდან.

9.5. — გარდაიცვალა ცნობილი პოეტი ქალი, საბავშვო ლიტერატურის მოამაგე მარიჯანი (მარიამ ალექსიძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

10.5. — აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა ალექსანდრე აბაშელის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

აპრილში ქ. ათენში მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „მცირე ხალხების ლიტერატურის პრობლემა და მათი როლი თანამედროვე მსოფლიოში“, სიტყვით გამოვიდა იოსებ ნონეშვილი [398].

მაისში საქართველოში აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დღეები.

29 მაისს თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზ-

---

[397] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, № 20.
[398] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, № 21.

ში გაიმართა ილიას დაბადების 140-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმი, 8 ივნისს კი მოსკოვში მოსკოვის საბჭოს თეატრში მოეწყო საიუბილეო საღამო [399].

მაისშივე საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მიხეილ ქვლიეიძის პოეზიის საღამო.

29—30.6 — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, ოს მწერლებთან ერთად, გაიმართა საუბარი ოსური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის გამო.

ივნისში კონსტანტინე ლორთქიფანიძე აირჩიეს აბაშის საპატიო მოქალაქედ აბაშელ მშრომელთა მხარდამხარ ცხოვრებისა და შრომისათვის, დოკუმენტური მოთხრობის „რა მოხდა აბაშაში?“ შექმნისათვის.

ივლისში დაბადების 50-ე წლისთავზე ნოდარ დუმბაძე დაჯილდოვდა (13.7.) ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და ეს თარიღი აღინიშნა გაზეთში.

26 ივლისის ბრძანებულებით მარიკა ბარათაშვილი დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 28 ივლისის ბრძანებულებით კი სანდრო შანშიაშვილი დაბადების 90-ე წლისთავზე — ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ზაფხულში ქართველმა მწერლებმა მასპინძლობა გაუწიეს საზღვარგარეთელ თანამოკალმეებს: ივლისში საქართველოს ეწვია ბულგარელი მწერალი სალის ტაჯერი და უელსელ მწერალთა ჯგუფი: უელსის ხელოვნების საბჭოს ლიტერატურული დირექტორი პოეტი მეიკ სტივენსი (ხელმძღვანელი), ჟურნალ „ინგლისურ უელსური მიმოხილვის“ მთავარი რედაქტორი პოეტი ჯილიან კლარკი, მწერალი ჯერალტ ჯონსი. მათ შეხვდნენ და ესაუბრნენ ფრიდონ ხალვაში და ჯემალ ქათამაძე (ბათუმში), იოსებ ნონეშვილი, მორის ფოცხიშვილი, მხატვრული ლიტერატურის თარგმნისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ კახნიაშვილი და სხვები.

აგვისტოში სტუმრად იყო ინდოელი მწერალი და ისტორიკოსი კხილნანი, რომელმაც დაათვალიერა თბილისი და მცხეთა. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეხვდა დირექტორის მოადგილეს ოთარ გიგინეიშვილს.

---

[399] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, № 23, 25.

აგვისტოშივე გვეწვია ბულგარელი მწერალი და მთარგმნელი ქალი ივანა ლავოვა, რომელმაც ინახულა თბილისი, მცხეთა, დაესწრო ვაჟაობას ჩარგალში, ესაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნებს იოსებ ნონეშვილსა და გიორგი ჟორჟოლიანს.

4.9. — საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა ლევ ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, გრიგოლ აბაშიძემ. სიტყვა („ტოლსტოის გაკვეთილები") წარმოთქვა თამაზ ჭილაძემ.

1978 წლის სექტემბერში მწერალთა სასახლის (მაჩაბლის ქ. № 13) რესტავრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირი დროებით გადავიდა საქართველოს მხატვართა კავშირის შენობის მესამე სართულზე (რუსთაველის პრ. 7, ყოფილი სასტუმრო „ინტურისტი").

სექტემბრის ბოლოს ქართველ მწერლებს ეწვია ამერიკელი მწერალი, ამერიკელ მთარგმნელთა ასოციაციის პრეზიდენტი უილიამს ჯეი სმიტი, მას შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები იოსებ ნონეშვილი და გიორგი ჟორჟოლიანი, ამერიკელი მწერალი ესტუმრა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს და მოქანდაკე-ლითონმჭრელ ირაკლი ოჩიაურს თავის სახელოსნოში.

სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული ქართული და ლიტეური ლიტერატურის საბჭოების თაოსნობით ლიტვაში 1978 წლის აპრილში ჩატარებული ქართველი და ლიტველი მწერლების შეხვედრის (თემა „70-იანი წლების საბჭოთა პროზის გმირის ზნეობრივი იდეალი და ძისი ცხოვრებისეული პოზიცია") საპასუხოდ ოქტომბრის დასაწყისში ქართველ მწერლებს ესტუმრნენ ლიტველი თანამოკალმეები.

3 ოქტომბერს ჟურნალ „ცისკრის" რედაქციაში გაიმართა დისკუსია თემაზე „საბჭოთა ლიტერატურის გმირის ზნეობრივი იდეალი და ცხოვრებისეული პოზიცია" [400]. მონაწილეობა მიიღეს პროზაიკოსებმა ვიტაუტას მარტინკუსმა (ლიტვის მწერალთა კავშირის კაუნასის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი), იუოზას აპუტისმა, ლეონიდას იაცინიავიჩუსმა, პოეტმა რობერტას კუტურაკისმა, კრიტიკოსებმა პიატრას ბრაჟენასმა (ლიტვის მწერალთა კავშირის მდივანი), ალგიმანტას ბუჩისმა, იურატე სპრინდიტემ, პუბლიცისტმა მარინა ბაუბლენემ. მასპინძელთა მხრიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბა-

---

[400] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1978, № 41.

შიძემ, მდივნებმა იოსებ ნონეშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გიორგი ჟორჟოლიანმა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა გურამ ფანჯიკიძემ, მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიამ, მწერლებმა და კრიტიკოსებმა მერაბ აბაშიძემ, გურამ ასათიანმა, ხუტა გაგუამ, გივი გეგეჭკორმა, გურამ გვერდწითელმა, გურამ დოჩანაშვილმა, კობა იმედაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ნუგზარ შატაიძემ, გივი ძნელაძემ, ტარიელ ჭანტურიამ.

20.10 — მწერალთა კლუბში (მაჩაბლის 13) ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებამ გამართა ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო.

27 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე სსრკ მწერალთა კავშირმა და საქართველოს მწერალთა კავშირმა, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის აქტიური მხარდაჭერით, ჩაატარეს „საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში [401].

ამ დიდ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ყველა მოძმე რესპუბლიკიდან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, სულ 130-მდე კაცმა.

ლიტერატურის დღეების საზეიმო გახსნაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ვრცელი სიტყვა — „მაღლა გვეჭიროს ხალხთა ლენინური მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა!“ — წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

ლიტერატურის დღეების მონაწილეებმა „მრგვალ მაგიდასთან“ იმსჯელეს თემაზე „საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის ინტერნაციონალიზმი განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში“, სხდომა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ციციშვილმა. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გურამ ასათიანმა, გურამ გვერდწითელმა, ივანე დრაჩმა, იმრან კასუმოვმა, დავით კუგულტინოვმა, ლეონარდ ლავლინსკიმ, გიორგი ლომიძემ, ლეონიდ ნოვიჩენკომ, ვ. ოსკოცკიმ, ბორის პანკინმა, იური რიტხეუმ, ვიქტორ ტელეშუგოვმა, ტაშლი ყურბანოვმ:. გრიგორი ხოლოპოვმა. განხილვა შეაჯამეს სსრკ მწერალთა კავშირის მდივანმა იური სუროვცევმა და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ციციშვილმა.

„მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქარ-

---

[401] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, №№ 44, 45.

თველოს კპ ცკ-ის მდივანმა ვიქტორია სირაძემ, განყოფილებათა გამგეებმა ალექსანდრე ალექსიძემ, ემილ სეხნიაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ.

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ კოლეგიასთან, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიისა“ და ალმანახ „საუნჯის“ რედაქციებთან შეხვედრაზე თარგმანის პრობლემებზე იმსჯელეს ლიტერატურის დღეების მონაწილეებმა ელიზბარ ანანიაშვილმა, რუმინელმა მწერალმა და გამომცემელმა მირჩე იაკობანუმ, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა იმრან კასუმოვმა, ყალმუხმა პოეტმა დავით კუგულტინოვმა, რუსმა პოეტმა და მთარგმნელმა ელენა ნიკოლაევსკაიამ, სსრკ მწერალთა კავშირის მდივანმა იური სუროვცევმა, ყაბარდოელმა ადამ შოგენტუკოვმა, ესტონელმა აადუ ჰინტმა და სხვ.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგემ ალექსანდრე ალექსიძემ.

ლიტერატურის დღეების დროს ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში საფუძველი ჩაეყარა კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლს (27.10), მეგობრობის პროსპექტზე კი გაიხსნა (2.11.) ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი, ჯგუფებად დაყოფილმა მწერლებმა იმოგზაურეს მთელ საქართველოში, შეხვედრები ჰქონდათ მშრომელებთან ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში: გამოიცა სპეციალური ერთდროული გაზეთი „საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში“ (რუსულ ენაზე).

2 ნოემბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში მოხდა ლიტერატურის დღეების დახურვა, რომელზეც სიტყვებითა და ლექსების კითხვით გამოვიდნენ საკავშირო მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე სიმონოვი, პოეტები მიხეილ დუდინი, ევგენი დოლმატოვსკი, ვიქტორ ბოკოვი, რიმა კაზაკოვა, პროზაიკოსები ვლადიმერ პოპოვი, ვიქტორ ტელპუგოვი, გუნარ პრიედე, ტაშლი ყურბანოვი, კრიტიკოსები ლეონიდ ნოვიჩენკო, იური სუროვცევი, ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი იოზეფ კადეცი, ვიეტნამელი ნგუენ ჰონგი, პოლონელი ზდისლავ მორავსკი, იაპონელი მწერალი, ვ. მაიაკოვსკის მთარგმნელი და მკვლევარი ტადაო მიძუნო, საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი ვიქტორია სირაძე.

20 ნოემბერს შ. რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა იოსებ ნონეშვილის დაბადების მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სა-

იუბილეო საღამო[402], რომელიც გახსნა გრიგოლ აბაშიძემ. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა თენგიზ მენთეშაშვილმა წაიკითხა საქართველოს კპ ცკ-ის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება იუბილარი პოეტისადმი. მოხსენებით იოსებ ნონეშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოვიდა საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე ელგუჯა მაღრაძე. პოეტს მიესალმნენ დაღესტნის სახალხო პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი რასულ გამზათოვი, საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი ჟიული შარტავა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ა. მასლეიჩი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ნოდარ დუმბაძე, გიორგი ციციშვილი და სხვანი.

საიუბილეო ზეიმი გაიმართა აგრეთვე პოეტის მშობლიურ გურჯაანში.

პოეტის სახელი შეიტანეს საქართველოს ალკკ ცკ-ის საპატიო წიგნში და იგი დაჯილდოვდა საპატიო ნიშნით „ლენინური კომკავშირი 60 წლისაა".

ნოემბერში ლაგოდეხში გაიმართა შემოქმედებითი ახალგაზრდობის შეხვედრა, რომელზეც ლიტერატურის დარგიდან წარმოდგენილი იყო ორი მოხსენება „თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები" (გიორგი ხუხაშვილი), „ქართული ახალგაზრდული დრამატურგიის პრობლემები" (ლაშა თაბუკაშვილი). შემოქმედებით შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გურამ ბათიაშვილმა, დალილა ბედიანიძემ, რევაზ დანელიამ, ზაურ კალანდიამ, შარლოტა კვანტალიანმა, ენვერ ნიჟარაძემ, თენგიზ ჩალაურმა, მანანა ჩიტიშვილმა, ვანო ჩხიკვაძემ, მზია ხეთაგურმა და სხვებმა.

ნოემბერში ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებამ გამართა ლენინური კომკავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო.

27.11. — პროფკავშირების კულტურის სასახლეში გაიმართა ხუტა ბერულავას პოეზიის საღამო.

ნოემბერში გამოვიდა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი კრებული „პოეზია უპირველეს ყოვლისა" (გამომცემლობა „მერანი", შემდგენლები ვახტანგ ჯავახაძე და ტარიელ ჭანტურია).

---

[402] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1978, № 47.

11.12. — ოპერის თეატრში აღინიშნა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ შექმნის მე-1500 წლისთავი.

* * *

1978 წლის დასაწყისიდან გამომცემლობა „მერანი“ მთლიანად გადავიდა გამსახკომის გამგებლობაში.

1979

ტრადიციისამებრ წელიწადი დაიწყო წინა წლის მხატვრული პროდუქციის განხილვა-შეფასებით:

გ. ტაბიძის პრემია მიაკუთვნეს ჯანსუღ ჩარკვიანს ლექსისათვის „ჭაბუკური ნაბიჯით“, საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები — ირაკლი აბაშიძეს — ჟურნალ „მნათობსა“ და გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსებისათვის, ჯემალ თოფურიძეს — ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის (სიკვდილის შემდეგ), მერაბ ელიოზიშვილს — პიესისათვის „ყველგან ყველასათვის“, სარგის ცაიშვილს 1978 წელს გამოქვეყნებული წერილებისათვის [403].

წინა წელს გამოქვეყნებული მხატვრული მასალები პრეზიდიუმთან ერთად მწერალთა კავშირის გამგეობამაც, და შემოქმედებითმა სექციებმაც შეაფასეს.

მწერალთა კავშირის, ლიტერატურის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული საბჭოთა ლიტერატურის კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები „სკკპ ცკ-ის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ და „ქართული საალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები“ (შ. ჩიჩუა)“, ალმანახი „კრიტიკა“ 1978 წელს“ (გ. ვარდოსანიძე). კრიტიკის მდგომარეობაზე იმსჯელეს მწერალთა კავშირის მდივანმა ნ. დუმბაძემ, კრიტიკოსებმა აკ. გაწერელიამ, გ. გვერდწითელმა, ს. დემურხანაშვილმა, ელ. მაჭავარიანმა, ს. ჭილაიამ.

19-20 მარტს კი მწერალთა სასახლეში მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებული შემაჯამებელი სხდომა მიუძღვნა 1978 წლის მხატვრული ლიტერატურის განხილვას. სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები პოეზიაზე (გ. ხუხაშვილი), პროზაზე (გ. გვერდწითელი), დრამატურგიაზე (ჯ. ღვინჯილია), კრიტიკასა

---

[403] გაზ. „ლიტ. საქართველო“ 1979. № 11

და ლიტერატურათმცოდნეობაზე (ა. გაწერელია) ქართული ლიტერატურის ახალი სახელების შესახებ (ზ. აბზიანიძე)[404].

ამ წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გრ. აბაშიძემ, მდივნებმა ნ. დუმბაძემ, ჯ. ჩარკვიანმა, გ. ციციშვილმა მიიღეს და ესაუბრნენ მწერალთა კავშირში ახალმიღებულ წევრებს: ბიძინა მინდაძეს, ნაილი ნეკერიშვილს, ენვერ ნიჟარაძეს, გიორგი ნიშნიანიძეს, სოსო პაიჭაძეს, გიორგი სანადირაძეს, ვლადიმერ სიხარულიძეს, ნუგზარ შატაიძეს, ავთანდილ ჩხიკვიშვილს, დავით წერედინს, თამაზ წივწივაძეს, მაკა ჯოხაძეს, გივი ჯოხაძეს[405].

ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების სხდომაზე მოეწყო დოდო ჭუმბურიძისა და რევაზ ნაჭუყბიას წიგნების განხილვა (13.1.). 25 თებერვალს ამავე გაერთიანებამ მოაწყო ლიტერატურული საღამო „ვაშა ამ ახალ საქართველოს“.

კრიტიკის სექციის სხდომაზე განიხილეს (15.4) ახალგაზრდა სოხუმელი პოეტების რენე კალანდიას, გურამ ოდიშარიას, პროზაიკოს გიორგი სიჭინავას ახალი წიგნები (მომხსენებელი ზ. აბზიანიძე), ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შემოქმედება (26.5; მომხსენებელი — გურამ ბენაშვილი). პროზაიკოსთა სხდომაზე კი (30.5) — ჟურნ. „ცისკრის“ ბიბლიოთეკის 1978 წლის კრებულებში დაბეჭდილი ახალგაზრდა პროზაიკოსთა ნაწარმოებები (მომხს.— ლევან ბრეგაძე).

მონაწილეობა მიიღეს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებმა ჯ. ჩარკვიანმა და გ. ციციშვილმა, ლ. ავალიანმა, გ. გვერდწითელმა, გ. პეტრიაშვილმა, ჯ. ღვინჯილიამ, ახალგაზრდა მწერლებმა თემურ აბულაშვილმა, ბაღათერ არაბულმა, ირაკლი ბაზაძემ, ჯანრი გოგეშვილმა, მაყვალა გონაშვილმა, ლაშა თაბუკაშვილმა, ლალი თოთაძემ, შარლოტა კვანტალიანმა, ენვერ ნიჟარაძემ, სოსო სიგუამ, მიხეილ ქურდიანმა, ბელა შალვაშვილმა, ნუგზარ შატაიძემ, გოდერძი ჩოხელმა, რევაზ ჩხარტიშვილმა, ავთანდილ ჩხიკვიშვილმა, ბადრი ჭოხონელიძემ, ვახტანგ ხარჩილავამ, ტარიელ ხარხელაურმა, მზია ხეთაგურმა, შუკო ჯიქიამ.

ახალგაზრდა მწერლების დაოსტატებასა და სტიმულირებასვე შეუწყო ხელი მათმა მონაწილეობამ 20 მარტს მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა მწერალთა მე-7 საკავშირო თათბირში.

თუ თათბირის მონაწილეთათვის (ბაღათერ არაბული, თამაზ ბა-

---

[404] გაზ. „ლიტ. საქართველო“ 1979, № 12.

[405] გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1979, № 4

ძაღუა, ლაშა თაბუკაშვილი, დავით თედორაძე, ენვერ ნიჟარაძე, რუშბეი სმირი, ავთანდილ ჩხიკვიშვილი, ბადრი ჭოხონელიძე) მოსკოვში ყოფნა სწავლების და გამოცდილების გაზიარება-შეძენის დღეები იყო, მათი აღიარებული კოლეგებისათვის — კ. კალაძის, ი. ნონეშვილისა და ჯ. ჩარკვიანისათვის იმავე მარტის დღეებში მოსკოვში მკითხველებთან მოწყობილი შემოქმედებითი შეხვედრები მრავალწლიანი შთაგონებული შრომისა და რუდუნების დაფასებად იქცა. ამ სამი პოეტის შემოქმედების საღამოებში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა და რუსმა მწერლებმა ირ. აბაშიძემ, გ. ასათიანმა, გ. ციციშვილმა, კ. სიმონოვმა, ალ. სურკოვმა, ს. ნაროვჩატოვმა, ლ. ოზეროვმა, ა. ვოზნესენსკიმ. ი. რიაშენცევმა, ე. ნიკოლაევსკაიამ, მ. სინელნიკოვმა ვლ. ლეონოვიჩმა, ნ. ზლოტნიკოვმა [406].

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედების გასინჯვა-შეფასების გარდა წლის განმავლობაში კიდევ რამდენიმე განხილვა მოეწყო: დრამატურგთა სექციის სხდომაზე განიხილეს ოთ. ჩხეიძის ახალი დრამა „დედა" (23.1.), პროზაიკოსთა სექციის სხდომაზე (27.4) — ო. ჩიჯავაძის ახალი რომანი „როცა ფარშავანგი ყივის" (მომხს. ალ. კალანდაძე), ივნისში პოეზიის და კრიტიკის სექციების გაერთიანებულ სხდომაზე — ერთი ლექსის ანთოლოგია „ვით მარგალიტი ობოლი" (მომხს. — თ. დოიაშვილი), პროზისა და კრიტიკის სექციების გაერთიანებულ სხდომაზე — გ. ფანჯიკიძის რომანი „აქტიური მზის წელიწადი" (გ. გვერდწითელი)

14 ივნისს საგარეჯოში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმი, რომელიც მიეძღვნა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის" განხილვას. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა გრ. აბაშიძემ, მოხსენებით სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემები და მწერალთა ამოცანები ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირის" შუქზე გამოვიდა გ. ციციშვილი [407].

საქართველოს კპ ცკ-მ შეისწავლა და განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობის საკითხი და ინტერნაციონალური ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ამოცანები" (ლ. საქ. 1979 №30) და მიიღო სათანადო დადგენილება.

სწორედ ამ დადგენილების შუქზე განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზური ლიტერატურის საბჭომ (თავმჯდო-

---

[406] გაზ. „ლიტ. საქართველო", 1979. № 14

[407] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1979, № 24.

მარე — ნ. დუმბაძე) ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობის დარგში გაწეული მუშაობა და გეგმები (მომხ. — ა. წვინარია-აბრამიშვილი, კამათში მონაწილენი — გ. ასათიანი, ნ. დუმბაძე, თ. ერისთავი, ჯ. თითმერია, ქ. ლომთათიძე, ჯ. ახუბა, ა. გოგუა, გ. გუბლია).

დ. გრანინთან ვ. კოროტიჩთან, ფ. კუზნეცოვთან, მ. სლუცკისთან, ვლ. სოლოუხინთან ერთად გრ. აბაშიძემ, ნ. დუმბაძემ და ი. ნონეშვილმა როგორც საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირისა და აშშ მწერალთა მესამე შეხვედრაში, რომელიც 4 სექტემბერს გაიმართა ბათუმში[408].

ამ წელმა ქართველ მწერლებს ახალი დაფასება და აღიარება მოუტანა:

4 მარტს მე-10 მოწვევის სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს გრ. აბაშიძე, ნ. დუმბაძე, აგრეთვე აფხაზი მწერალი ბ. შინქუბა.

22 ნოემბერს ქართველ მწერალთაგან მეორეს — ირ. აბაშიძეს დაბადების 70 წლისთავზე სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა[409]. წლის დასასრულს კი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრ. აბაშიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო მწერალთა კავშირის მდივანი გ. ციციშვილი წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს[410].

დაბადების 50 წლისთავზე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ შ. ნიშნიანიძე (30.3) და მ. ფოცხიშვილი (20.4), მაისში კი აღინიშნა პ. ინგოროყვას დაბადების 85 და ლ. სულაბერიძის 60 წლისთავი.

1979 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის გ. ტაბიძის პრემია მიენიჭა ი. ნონეშვილს ლექსისათვის „საქართველოში გაზაფხულია". მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები კი — რ. ჭეიშვილს ჟურნ. „ცისკარში" გამოქვეყნებული მოთხრობების ციკლისათვის „მუსიკა ქარში", ნ. ჯალაღონიას გაზ. „კომუნისტში" და ჟურნ. „მნათობსა" და „ცისკარში" გამოქვეყნებული ლექსებისათვის („რწმენის ორდენის კავალერი" და სხვა), თ. ჭილაძეს პიესისათვის „როლი დამწყები მსახიობისათვის", გ. გეერდწითელს 1979 წ. გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებისათვის, ს. ჭილაიას ალმანახ „განთიადში" გამოქვეყნებული მხატვრული ნარკვევისათვის „ცისფერი კომუნარები"[411].

---

[408] გაზ. „ლიტ. საქართველო", 1979, № 36.
[409] გაზ. „ლიტ. საქართველო", 1979, № 47.
[410] გაზ. „ლიტ. საქართველო", 1980, № 1.
[411] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1980 № 16

ოსურ ლიტერატურაშიც აღინიშნა საუკეთესო ნაწარმოებები— ქ. ხეთაგუროვის პრემია მიენიჭა ნაფი ჯუსოითს მოთხრობების წიგნისათვის „ადამიანის სიკვდილი“.

1979 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ (10.1) აფხაზური ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ნოდარ დუმბაძე, ოსური ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარედ — ჯანსუღ ჩარკვიანი.

ჟურ. „ცისკრის“ მთავარი რედაქტორობა მიენდო მორის ფოცხიშვილს.

ტრადიციულ მწერალთა დღესასწაულებს შეემატა ტბელობა — ტბელ აბუსერიძის ხსოვნის აღნიშვნა ზემო აჭარაში, სხალთის ხეობაში და საბაობა — სულხან-საბა ორბელიანის დღეობა (მაისში) სოფ. ტანძიაში.

ამ წელს გარდაიცვალა სანდრო შანშიაშვილი (28.10 დაკრძალულია დიდუბის პანთეონში) და სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე სიმონოვი.

1980

წელიწადი დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადების ნიშნით. ეს საკითხი 20 იანვარს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს გრ. აბაშიძემ, გ. ციციშვილმა (მომხსენებლები), მ. ლებანიძემ, კ. ლორთქიფანიძემ. რ. მარგიანმა, შ. ნიშნიანიძემ, ი. ნონეშვილმა, გ. ფანჯიკიძემ, მ. ფოცხიშვილმა, ჯ. ჩარკვიანმა, თ. ჭილაძემ, რ. ჯაფარიძემ.

გარდა იმისა, რომ მწერალთა კავშირის ლიტერატურულმა ორგანოებმა იუბილეს მხატვრული მასალები მიუძღვნეს, მწერალთა კავშირმა ამ თარიღის აღსანიშნავად სხვა ღონისძიებებიც ჩაატარა, კერძოდ მწერლები ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში შეხვდნენ ძველ ბოლშევიკებსა და ვეტერან კომკავშირლებს (18.3), ბ. ძნელაძის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში — პიონერებს (27.3), ხოლო ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ჩაატარეს ლიტერატურული საღამო — „ლენინის სახე ქართულ პოეზიაში" (25.3.)

ამ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრ. აბაშიძე, მდივნები: ი. ნონეშვილი, ჯ. ჩარკვიანი, გ. ციციშვილი, მწერლები: თ. აბულაძე, გ. გიგაური, ალ. გომიაშვილი, ვ. გორგანელი, ნ. გურეშიძე, მ. ლებანიძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, ს. ნარიმანიძე, შ. ნიშნიანიძე, ლ. სულაბერიძე, გ. ფანჯიკიძე, მ. ფოცხიშვილი, ი. ქემერტელიძე, ვ. ჩხიკვაძე, თ. ჭილაძე, მ. ხეთაგური, რ. ჯაფარიძე.

სექციების სხდომაზე კვლავ შემოქმედებით საკითხებს — მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვას ეთმობოდა ყურადღება. საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის სხდომაზე განიხილეს დოდო ვადაჭკორიას წიგნი „ერთი კალთა სიყვარული" (მომხსენებელი ლ. ჩანტლაძე, 15.1), მერი ბოლქვაძისა და ავთანდილ მეგრელიშვილის ნაწარმოებები (მომხს. — ნინო ბეზარაშვილი, მზია ჩხეტიანი, 6.7), პუბლიცისტიკის სექციის გამსვლელ სხდომაზე ქუთაისში — საკითხი „მუშათა კლასი — თანამედროვე ქართული ლიტერატურის თემა" (მომხს. სიმონ არველაძე, კამათში

მონაწილეობა მიიღეს მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ციციშვილმა, რევაზ მიშველაძემ, ლევან სანიკიძემ, ლადო სულაბერიძემ, როდამ ჩაჩანიძემ). პროზის სექციის სხდომაზე — აკაკი გაწერელიას ბოლო წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები (მომხს.— აკაკი ბაქრაძე, 16.2), გ. ფანჯიკიძის რომანი „აქტიური მზის წელიწადი" (მომხს. — ს. სიგუა, 2.3), გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი" (მომხს. — აკაკი ბაქრაძე, 15.11).

6 მარტს ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების სხდომაზე, რომელმაც განიხილა 1979 წელს გამოქვეყნებული ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებები, მოისმინეს მოხსენებები ახალგაზრდა მწერალთა ამოცანების (ლევან ბრეგაძე), 1979 წლის ახალგაზრდული პოეზიის (ვახტანგ ხარჩილავა), პროზის (ა. ჩხაიძე), კრიტიკის (თეიმურაზ დოიშვილი) შესახებ.

და ბოლოს 19-20 მარტს მოეწყო შემაჯამებელი საჯარო განხილვა 1979 წელს გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებებისა. მოხსენებებით გამოვიდნენ: ემზარ კვიტაიშვილი და ზაზა აბზიანიძე (პოეზია), გურამ გვერდწითელი და კობა იმედაშვილი (პროზა), გურამ კანკავა (დრამატურგია), აკაკი ბაქრაძე (კრიტიკა), არჩილ სულაკაური (საბავშვო მწერლობა), გივი ვარდოსანიძე და გიორგი გაჩეჩილაძე (პუბლიცისტიკა).

შემოქმედებით საკითხებს მიეძღვნა კიდევ რამდენიმე ღონისძიება: 15 სექტემბერს სოხუმში გაიმართა ახალგაზრდული პოეზიის საღამო, რომელშიც თბილისელ პოეტებთან (მწერალთა კავშირის მდივანი ჯანსუღ ჩარკვიანი, დალილა ბედიანიძე, ვახტანგ ხარჩილავა) ერთად მონაწილეობა მიიღეს სოხუმელმა მწერლებმა (აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუშნი ლასურია, რენე კალანდია, რაულ ლასურია, რუშბეი სმირი).

თებერვალში ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანა კალანდაძის შემოქმედების საღამო, 27 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში კი ჯ. ჩარკვიანის პოეზიის საღამო.

30 მარტს თბილისში გამართულ სსრკ მწერალთა კავშირის ფანტასტიკური, სათავგადასავლო და დეტექტური ჟანრის ლიტერატურის საბჭოს გამსვლელ სხდომაში მონაწილეობა მიიღეს მწერალთა კავშირის მდივანმა იოსებ ნონეშვილმა, რევაზ მიშველაძემ და როდამ ჩაჩანიძემ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და მისი განყოფილებები შეიქმნა 1932 წელს. და აი 48 წლის შემდეგ 1980 წელს საქართველოს მწერალთა კავშირს შეემატა ახალი განყოფილება: გორში, სადაც წლების განმავლობაში თანდათან ჩაღდებოდა ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება, სადაც ნ. ბარათაშვილის

სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და ალმანახმა „მერანმა“ შემოიკრიბა და შეკრა მწერალთა და ლიტერატორთა ჯგუფი, — 10 თებერვალს გამართულ ქალაქის საზოგადოებრიობის კრებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ, მდივნებმა იოსებ ნონეშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მწერლებმა მორის ფოცხიშვილმა, ოთარ ჩხეიძემ გამოაცხადეს საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების შექმნა. ახალი განყოფილების პ/მ მდივნად აირჩიეს პოეტი ჯემალ ინჯია.

თანამედროვე ქართული მწერლობა და მისი ორგანიზაცია — მწერალთა კავშირი, ბევრ სხვა წმინდა შემოქმედებით თუ მოქალაქეობრივ საზრუნავთან ერთად გულისხმიერებით ეპყრობა მშობლიური ბუნების დაცვა-განვითარებას. ეს კარგად იგრძნობა როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ასევე ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული აღმავლობის გზაზე დამდგარ მწერლურ პუბლიცისტიკაში. ამის დასტური იყო მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმიც, რომელიც მან კულტურის სამინისტროსთან და ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მიუძღვნა თემას „ლიტერატურა და ხელოვნება მშობლიური ბუნების სამსახურში“ და ისიც, რომ მომხსენებლად ამ საკითხზე გამოვიდა მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი.

1980 წელმა ქართულ მწერლობას დიდი აღიარება მოუტანა: აპრილში პირველად ქართველ მწერალთაგან ნოდარ დუმბაძეს რომანისათვის „მარადისობის კანონი“ მიენიჭა ლენინური პრემია.

ეს რომანი ამავე წელს მასობრივი ტირაჟით გამოვიდა რუსულ ენაზე, „რომან-გაზეტას“ სერიით. ეს იყო მესამე შემთხვევა (ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ და გ. ჩიქოვანის „თებერვალის“ შემდეგ), რომ ქართული რომანი ამ სერიით გამოსცეს.

1980 წელს მოხდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ახლადშექმნილი („ლ. საქ.“ 1980 № 6). „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის პირველი მინიჭება: მწერლობა აქაც ღირსეულად იყო წარმოდგენილი: პრემია მიიღეს კ. ლორთქიფანიძემ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის „რა მოხდა აბაშაში“ და „მთას დაუბრუნდა მთიელი“, აფხაზმა მწერალმა ალექსი გოგუამ 1976—1980 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის. მესამე მწერალს — რევაზ ინანიშვილს პრემია მიაკუთვნეს მხატვრული ფილმის „ქვიშანი დარჩებიან“ სცენარისათვის [412].

1980 წლის სხვა პრემიები ასე განაწილდა: მწერალთა კავშირის

---

[412] გაზ. „ლიტ. საქართველო“ 1980 № 2.

გამგეობის პრეზიდიუმმა 1980 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის ყოველწლიური პრემიები მიანიჭა: ირაკლი აბაშიძეს ლექსების ციკლისათვის, დავით ჯავახიშვილს — მოთხრობისათვის „ხვალ“, გურამ ბათიაშვილს პიესისათვის „ვალი“, ჯანსუღ ღვინჯილიას ლიტერატურული წერილებისათვის, მირონ ხერგიანს — ნარკვევებისათვის „მე ჯავახეთს რა მიჭირდა“, „მთიელი თავის სიტყვის პატრონია“, ანა კალანდაძეს — გ. ტაბიძის პრემია ლექსისათვის „მარიამ დედოფლის ფრესკას“ [413].

ივ. მაჩაბლის პრემიის ლაურეატები გახდნენ ბაჩანა ბრეგვაძე არისტოტელეს „პოეტიკის“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგიის“, ბლეზ პასკალის „აზრების“ თარგმნისათვის, ელიზბარ ანანიაშვილი რუსულ ენაზე ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნისათვის [414];

საქართველოს ალკკ კომკავშირის პრემია ამ წელს ერგო ენვერ ნიჟარაძეს წიგნებისათვის „მარადისობის დღესასწაული“, „მაღალი აფრა“ და პოეტური ციკლისათვის „გმადლობთ, სიცოცხლეე!“

3-6 ივლისს ქუთაისში ჩატარებულ ვლ. მაიაკოვსკის დღეების პრემია მიენიჭა მზია ხეთაგურს.

1980 წლის 24 თებერვალს მე-10 მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გახდნენ მწერალთა კავშირის მდივნები ი. ნონეშვილი, ჯ. ჩარკვიანი, გ. ციციშვილი, გ. ჟორჟოლიანი, ჟურნალების მთავარი რედაქტორები კ. ლორთქიფანიძე („განთიადი“), გ. ნატროშვილი („მნათობი“), შ. წიშნიანიძე („საუნჯე“), ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ირ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯიბლაძე, გაზ. „პრავდის“ საკ. კორესპონდენტი გ. ლებანიძე.

ოქტომბერში თბილისობის ზეიმის დროს დედაქალაქის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს ირ. აბაშიძე და ნ. კეცხოველი.

წლის განმავლობაში აღინიშნა დ. გურამიშვილის დაბადების 275 (მომხს. — ს. ცაიშვილი), აკ. წერეთლის 140 (მომხს. გრ. აბაშიძე), კ. მაყაშვილის 100, გ. ლეონიძის 80 (მომხს. გ. ციციშვილი), აკ. გაწერელიასა და გრ. ჩიქოვანის 70 და მ. ფოცხიშვილის დაბადების 50 წლისთავები.

ამ წელს ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალნენ ი. ნონეშვილი (6.10.) და დ. შენგელაია (7.12.) ·მიხ. მრევლიშვილი და ა. ადამია.

და თითქოს იმის გასახსენებლად, რომ ჭეშმარიტი მწერლობა

---

[413] გაზ. „ლიტ. საქ. 1981 № 20.

[414] გაზ. „ლიტ. საქ. 1980, № 11.

შემოქმედის სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობსო, თბილისში ჭავ-ჭავაძის პროსპექტზე გაიხსნა გ. ტაბიძის ძეგლი.

1980 წლის მიმოხილვის ბოლოს მწერალთა კავშირის კიდევ ერთ პლენუმზე შევჩერდებით. თუ იგი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საკითხების რკალიდან გამოვყავით და ახლა ვიხსენებთ, არა იმიტომ, რომ შემოქმედებით საკითხებს არ ეხებოდა ან არა იმის გამო, რომ წლის მიწურულს (17.12) გაიმართა, არამედ იმ მიზეზით, რომ ამ პლენუმით დაიწყო შეჯამება მწერალთა წინა ყრილობის შემდეგ გაწეული მხატვრულ-შემოქმედებითი მუშაობისა (მოხსენება — „1976—1980 წლების მხატვრული ნარკვევი და სამწერლო პუბლიცისტიკა" — გ. ფანჯიკიძე) და დადგინდა საქართველოს მწერალთა მორიგი ყრილობის მოწვევა (1981 წლის მარტში).

1 9 8 1

1981 წლის დასაწყისიდან პრესაში დაიწყო წინასაყრილობო დისკუსია. 16-20 მაისს კი გაიმართა მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციების ანგარიშგება-არჩევნები. განვლილი ხუთწლეულის მხატვრული პროდუქციის განხილვასთან ერთად აირჩიეს სექციების ახალი ხელმძღვანელობა და მწერალთა ყრილობის დელეგატები.

საქართველოს მწერალთა მე-9 ყრილობა[415], რომელმაც შეაჯამა ხუთი წლის შემოქმედებითი შრომა და დასახა ახალი ამოცანები, მიმდინარეობდა 1981 წლის 30-31 მარტს. იგი შესავალი სიტყვით გახსნა სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა — აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ.

ყრილობამ მოისმინა გამგეობის ანგარიში — „ქართული საბჭოთა ლიტერატურა განვლილ ხუთწლედში და მისი ამოცანები სკკპ XXVI და საქართველოს კპ XXVI ყრილობათა გადაწყვეტილების შესაბამისად" (მომხსენებელი — გამგეობის თავმჯდომარე გრ. აბაშიძე) და სარევიზიო კომისიის მოხსენება (მ. კახიძე). კამათში მონაწილეობდნენ: ნ. დუმბაძე, გ. ნატროშვილი, მ. ლასურია, ჭ. ამირეჯიბი, ფრ. ხალვაში, მ. ფოცხიშვილი, ელ. მაღრაძე, ო. ნოდია, შ. ნიშნიანიძე, კ. მარღიევი, ა. სულაკაური, ვ. ჭელიძე, დ. კვიცარიძე, ხ. ბერულავა, გ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი, თ. დოიაშვილი. მ. გონაშვილი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრკ მწერალთა

---

[415] გაზ. „ლიტ. საქართველო" 1981 №№ 14, 15, 16.

კავშირის მდივანმა ი. სუროვცევმა, ცნობილმა პოეტებმა მ. დუდინმა, ე. ევტუშენკომ, ყ. ყულიევმა და სხვა.

სიტყვა წარმოსთქვა სკკპ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცკ-ს პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო ამაღლდა ქართული მწერლობის ავტორიტეტი. სწორედ ამ წლებში მიიღო ქართულმა რომანმა და მისმა ავტორმა ნოდარ დუმბაძემ საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი ჯილდო ლენინური პრემია; სწორედ ამ წლებში გახდა სოციალისტური შრომის გმირი კიდევ ერთი ქართველი პოეტი — ირაკლი აბაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი — კიდევ ერთი მწერალი — გრიგოლ აბაშიძე; ნაცვლად ერთისა ორი ადგილი დაეთმო ქართველ მწერლებს (გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე) მე-10 მოწვევის სსრკ უმაღლეს საბჭოში. შორს წაგვიყვანდა ამ ბოლო ხუთწლედში შ. რუსთაველის, გ. ტაბიძის, ივ. მაჩაბლის სახელობის, „ხუთწლედის მატიანის", საქართველოს ალკკ, მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიებით დაჯილდოებულთა, მე-10 მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატებად, საქართველოს კპ ცკ-ის და თბილისის კომიტეტის წევრებად, თბილისისა თუ სხვა ქალაქების საპატიო მოქალაქეებად არჩეულ მწერალთა ხელახალი ჩამოთვლა.

ქართული მწერლობის ბევრი ნიმუში ითარგმნა და გახმაურდა საბჭოთა კავშირში თუ საზღვარგარეთ.

შემოქმედებითი სექციების საანგარიშო მოხსენებებში თუ ყრილობაზე აღინიშნა ქართული პროზის წარმატება, კერძოდ, თანამედროვეობის ამსახველი რომანები: ნ. დუმბაძის, „მარადისობის კანონი", გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადი", გრ. აბაშიძის „ყორნალი" (წ. მე-2), გ. ციციშვილის „სძლიე სიხარბესა შენსა", გურამ გეგეშიძის „სტუმარი" გრ. ჩიქოვანის „რწმენა", რ. ჭეიშვილის „მუსიკა ქარში", ჯემალ ქარჩხაძის „მდგმური" აკ. გეწაძის „ფეხშიშველი სასიძო", აგრეთვე პირველი რომანები გ. ჭეიშვილისა „ზოგი რამ ფიქრიანი კაცის ცხოვრებიდან" კ. კობერიძისა „მთვარის გადაბრუნების ღამე", ი. ყაჭეიშვილის „გამოცხადება" ს. ქეთელაურის „ზაფხულის ცხელი დღე", ჯ. დავლიანიძის „წონასწორობა", გ. ბუთხუზის „გაზაფხულის მოლოდინში".

სიმბოლიურ-ალეგორიული რომანები — ო. ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი" (წ. II), თ. ბიბილურის „ეამი კითხულისა". ჯ. ქირიას „მარადი მხედარი". ისტორიული რომანები — რ. ჯაფარიძის „მძიმე ჯვარი", ნ. წულეისკირის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი", ალ. კა-

ლანდაძის „ნეიშნის ფიცი“ ანტონ ბაგრატიონზე, ელ. ალფენიძის რომანები შუშანიკსა და ნინო ჭავჭავაძეზე, აკაკი გელოვანის „სვანეთის თეთრი ქუდი“, ნიკ. გაბაონის „აივნიანი ქალაქი“, უდროოდ გარდაცვლილი ო. კუპრავას „სირიაჩქონის ტყის სიზმარი“.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშები — ლ. სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“, ს. ჭილაიას „საუბარი ლანდებთან“ ეგ. ნინოშვილზე, „იყო ერთი პოეტი“ (ტ. გრანელზე) და „ცისფერი კომუნარები“ (პირველ ქართველ საბჭოთა ინჟინრებზე), თ. მაღლაფერიძის „ცხრაკარა“ მ. გელოვანზე, ე. უბილავას „განძეულის გუშაგი“ ე. თაყაიშვილზე. ითქვა, რომ სამამულო ომის თემის ერთგული დარჩნენ ვ. ურჯუმელაშვილი („ჯვარცმა“), დ. კვიცარიძე („ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“), ელ. მაისურაძე („ოთხი წელი ჭექა-ქუხილში“), ნ. კანდელაკი („მაკო ცხვედაძე“), გ. ქავთარაძე („დაჭრილი არყის ხე“). გრძელდებოდა ბეჭდვა ისეთი ფართო და მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებებისა როგორიცაა ო. ჭილაძის „რკინის თეატრი“, გ. გეგეშიძის „ხმა მღალადებლისა“. ო. იოსელიანის „შავი და ცისფერი მდინარე“, რ. კობიძის „გვიმრის ფოთლები“.

ქართული მოთხრობის ღირსებისათვის ბევრი შრომა გასწიეს ამ ხუთწლედში ნ. დუმბაძემ („კუკარაჩა“, „ხაზარულა“ და სხვა), კ. ლორთქიფანიძემ („სიტყვა იყო ღმერთი“), ა. სულაკაურმა („ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის“), ო. პაჭკორიამ („გობელენი“), რ. ინანიშვილმა, ოთ. ჩხეიძემ, გ. დოჩანაშვილმა, რ. მიშველაძემ, კ. კობერიძემ, რ. ჩაჩანიძემ.

აღინიშნა, რომ ახალგაზრდებიდან ქართულ პროზას საიმედო ძალად მოევლინენ: სოსო პაიჭაძე, ნუგზარ შატაიძე, ავთანდილ ჩხიკვიშვილი, სოლომონ სამხარაული, მაკა ჯოხაძე, რევაზ ნაჭყებია, გოდერძი ჩოხელი. კრიტიკაში ყურადღება მიიქცია თეიმურაზ დოიაშვილმა.

ბოლო ხუთწლედში განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდებოდა ქართული მხატვრული ნარკვევი და მწერლური პუბლიცისტიკა. ყრილობაზე აღინიშნა მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი — კ. ლორთქიფანიძის „რა მოხდა აბაშაში?“ და „მთას დაუბრუნდა მთიელი“, რ. ჯაფარიძის „ალაზანი დიდია“, „მწვანე ზამთრის ქვეყანა“ და „არესის ჭალა“, რომლებიც თანამედროვე ქართული სოფლის საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

პოეზიაში ხ. ბერულავამ საბოლოოდ გაასრულა პოემა „რუსული გული“ და შექმნა ისტორიული პოემა „წინაპრები“. უნდა აღინიშნოს ო. ჭელიძის ვრცელი ეპიკური ტილო „აია — კოლხიდელი

ზღვაოსანი“ და ლ. სულაბერიძის „ლოდზე ამოკითხული თქმულება“.

ქართული პოეზიის განვითარებისათვის ნიჭსა და შრომას არ იშურებდნენ არც უფროსი თაობის პოეტები (კ. ნადირაძე, ირ. აბაშიძე, ი. ვაკელი, ბ. კეშელავა. კ. კალაძე.), არც მომდევნონი (რ. მარგიანი, მ. ვარშანიძე, ვ. გორგანელი, თ. ჯანგულაშვილი, მ. ქვლივიძე, ანა კალანდაძე, მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, შ. ნიშნიანიძე, ჯ. ჩარკვიანი, მ. ფოცხიშვილი, ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი, ე. კვიტაიშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ძნელაძე, ი. ქემერტელიძე, მ. წიკლაური, ბ. ხარანაული, რ. ამაშუკელი...), გამოვიდა პოეტური კრებული „ვით მარგალიტი ობოლი“ (შემდგენ. ე. კვიტაიშვილი).

ამ ხუთწლედში ქართული დრამატურგია გამდიდრდა თ. ჭილაძის („ბუდე მეცხრე სართულზე“, „როლი დამწყები მსახიობისათვის“), ო. იოსელიანის (დილოგიის მეორე პიესა „საურმე გზაზე“), ვალ. კანდელაკის („პრომეთე“), მ. ელიოზიშვილის („ბერიკონი“), გ. ხუხაშვილის („დაუკარით გიტარები სიყვარულზე“, „აღმართ-დაღმართი“), კ. ბუაჩიძის („8 მოქმედი პირი“), ქ. ქუჩუკაშვილის („გოგო ხოხესია“), ალ. ჩხაიძის („როცა ქალაქს სძინავს“), ლ. თაბუკაშვილის („ჭრილობა“, „დედაჩემის საყვარელი ვალსი“, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“), გ. კალანდიას („ადგილის დედა“), მ. ხეთაგურის („ხეტიალა“) პიესებით.

კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში აღინიშნა: გ. ასათიანის „კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები“, ვ. ბაიაძის „თვალსაწიერი“, ბ. ბარდაველიძის „ნარკვევები“, რ. ბეჟანიშვილის „იისფერი თოვლი“, მ. გვეტაძის „თანამედროვე ქართული პოეზიის საკითხები“, აკ. ვასაძის „მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის საკითხები“, დ. თევზაძის „კრიტიკის ბუნება“, ა. თოფურიას „ლ. ქიაჩელის ცხოვრება და მოღვაწეობა“, კ. იმედაშვილის „30 წლის შემდეგ“, ალ. კალანდაძის „გემოვნების კრიტიკა“, ტ. კვანჭილაშვილის „ლიტერატურა და ცხოვრება“, ი. კენჭოშვილის „გ. ტაბიძის პოეტიკა“, გ. მარგველაშვილის „პოეზიის ნათელი“, ე. მაღრაძის „გულითა მართლით“, გ. მერკვილაძის „წერილები თანამედროვე ლიტერატურაზე“, რ. მიშველაძის „შენ ჩემთვის რა გატირებდა“, ო. პაჭკორიას „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“, აპ. ჟორდანიას „როცა პოეზიაზე ფიქრობ“, ს. სიგუას „ეპოქა და სტილის პრობლემა“, ჯ. ღვინჯილიას „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“, ა. ჩაჩიბაიას „მშვენიერების სამყარო და მოზარდი თაობა“, შ. ჩიჩუას „ლიტერატურული წერილები და ნარკვევები“, თ. ჩხენკელის „პოეზია — სიბრძნის დარგი“, ს. ცაიშვილის „ლიტერატურული წე-

რილები", ნ. წერეთლის „მე ახლაც 26 წლისა ვარ", თ. წივწივაძის „მართალს ვიტყვი", ს. ჭილაიას „წლები და პრობლემები", ა. ხინთიბიძის „ქართული ლექსის ბუნებისათვის".

ამ წლებში ითარგმნა თ. მანის რომანი „ჯადოსნური მთა" (დ. ფანჯიკიძე), ე. ევტუშენკოს პოემა „გზაჭრილი" (შ. ნიშნიანიძე), „შუა საუკუნეების ქართული პოეზია" (ჯ. აჯიაშვილი), ჰ. მელვილის „მობი დიკი" (გ. გეგეჭკორი, ტ. ჭანტურია).

საქართველოში მომუშავე რუს მწერალთა ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს მ. ლოხვიცკის ისტორიული რომანი „მეხთატეხა" ჩერქეზების ცხოვრებაზე, აფხაზი მწერლების რომანები: ვ. თარბას „დედის თვალები", ვლ. ანქვაბის „აბრსკილი", ოსურ ლიტერატურაში ს. ხაჩირთიმ გაასრულა რევოლუციამდელი მთის ცხოვრების ამსახველი რომანის „მთის ქომაგის" მეოთხე წიგნი.

მწერალთა მე-9 ყრილობამ აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, საარჩევნო კომისია და სსრკ მწერალთა მე-7 ყრილობის დელეგატები.

31 მარტს შედგა ახლადარჩეული გამგეობის პლენუმი, რომელიც გახსნა ე. შევარდნაძემ. მან გულითადი მადლობით აღნიშნა გრ. აბაშიძის ხანგრძლივი (1967 წლიდან) და ნაყოფიერი მოღვაწეობა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე და წარმატებები უსურვა მას საქართველოს სსრ შ. რუსთაველის სახელობის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობაში.

პლენუმზე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. დუმბაძე, მდივნებად — გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, თ. ჭილაძე, შ. ნიშნიანიძე, რ. მიმინოშვილი.

ამიერიდან საქართველოს მწერალთა კავშირს მარადიული წინსვლის ერთ დიდ მონაკვეთზე მშობლიური ლიტერატურის სასიკეთოდ ახალი თაობის საუკეთესო მწერალთა რიგებიდან არჩეული ხელმძღვანელები გაუძღვებიან.

40-კაციან პრეზიდიუმში გარდა მდივნებისა შეიდნენ: გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, ჭ. ამირეჯიბი, გ. ასათიანი, ხ. ბერულავა, თ. ბექიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, რ. ინანიშვილი, ანა კალანდაძე, კ. კალაძე, მ. კახიძე, დ. კვიცარიძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, კ. მარღიევი, ელ. მაღრაძე, მ. მაჭავარიანი, გ. მერკვილაძე, გ. ნატროშვილი, ო. ნოდია, ა. სულაკაური, გ. ფანჯიკიძე, მ. ფოცხიშვილი, ს. ცაიშვილი, ვ. ჭელიძე, ო. ჭელიძე, ს. ჭილაია, ო. ჭილაძე, ფრ. ხალვაში, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. ნიჟარაძე.

ზაფხულში ჩვენი რესპუბლიკის მწერალთა წარგზავნილებმა

მონაწილეობა მიიღეს სსრკ მწერალთა მე-7 ყრილობის მუშაობაში (30.6—4.7), კერძოდ, სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე („ლიტერატურული საქართველო, 1981, № 28), გამგეობის მდივნები ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, მწერლები ხუტა ბერულავა, გურამ გვერდწითელი (№ 29).

ყრილობამ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობაში აირჩია გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ბაგრატ შინქუბა, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, თამაზ ჭილაძე, ხოლო ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში — ანა კალანდაძე, მუშნი ლასურია, რეზო მარგიანი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჭელიძე.

სამდივნოში შევიდა ორი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე და გრიგოლ აბაშიძე.

არჩევის შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ სულ მალე პრეზიდიუმის სხდომა დაუთმო 1981 წ. „მნათობში", „ცისკარსა" და „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი მოთხრობების განხილვას (მომხს. რეზო ჯაფარიძე, „ლიტერატურული საქართველო" 1981 № 28).

ამ წელს ჩატარებულ ღონისძიებათაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

10 მაისს ცხაკაიაში ჩატარდა ქართველი (შოთა აკობია, დილარ ივარდავა, გენო კალანდია, მურთაზ ხურცილავა) და აფხაზი (პლატონ ბებია, ივანე თარბა, კონსტანტინე ლომია, ალექსი ჯონუა) პოეტების საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა რომან მიმინოშვილმა.

აღინიშნა ორი საიუბილეო თარიღი: გიორგი შატბერაშვილის 70-ე (8.6, მარჯანიშვილის თეატრი) და მიხეილ ჯავახიშვილის მე-100 (5.10. ოპერის თეატრი, მომხსენებელი გიორგი ციციშვილი) წლისთავები

26 აპრილს ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩატარდა რეზო მიშველაძის შემოქმედებითი საღამო.

ნოემბერში აღინიშნა ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადების 50-ე წლისთავი;

შემოდგომაზე მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახ. საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ, გამგეობის მდივნებმა შოთა ნიშნიანიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გიორგი ციციშვილმა, მწერლებმა რეზო ამაშუ-

კელმა, ხუტა გაგუამ, გივი გეგეჭკორმა, კარლო კალაძემ, მედეა კახიძემ, ენვერ ნიკარაძემ, ანზორ სალუქვაძემ, ლია სტურუამ, არჩილ სულაკაურმა, ოთარ ჭელიძემ.

და ბოლოს პრემიების თაობაზე:

ოცდაათწლიანი შუალედის შემდეგ ქართველმა მწერლობამ კვლავ დაიმსახურა სსრკ სახელმწიფო პრემია: იგი მიეკუთვნა ჭაბუა ამირეჯიბს სატელევიზიო ფილმის „დათა თუთაშხიას“ სცენარისათვის.

1981 წლის რუსთაველის სახელობის პრემია სიკვდილის შემდეგ მიენიჭა იოსებ ნონეშვილს (1978 — 1980 წლებში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსებისათვის), გურამ ფანჯიკიძეს (რომანისათვის „აქტიური მზის წელიწადი“), ნუშნი ლასურიას (აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის), აგრეთვე მწერალ რევაზ თაბუკაშვილს დოკუმენტური კინოდილოგიისათვის „ქართველები იტალიაში“ („კვალი ნათელი“ და „ალპური ვარსკვლავი“).

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1981 წლის პრემია „ხუთწლედის მატიანე“ მიენიჭათ ნაზი კილასონიას და ივანე თარბას უკანასკნელ წლებში დაბეჭდილი პოეტური ნაწარმოებებისათვის, გიორგი ლებანიძეს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „საქართველო, წინ და მაღლა“ სცენარისათვის.

მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები კი პრეზიდიუმმა მიაკუთვნა:

გივი გეგეჭკორს — გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსების ციკლისათვის;

ოთარ ჭილაძეს — ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული რომან „რკინის თეატრისათვის“.

გიორგი ხუხაშვილს — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული პიესისათვის — „მოხუცი ფოტოგრაფის მოგონებანი“;

რევაზ ჯაფარიძეს — 1981 წ. გამოცემული პუბლიცისტური ნარკვევისათვის — „ალაზანი დიდია“;

გურამ ასათიანს — გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილების ციკლისათვის — „ექვსი სილუეტი“.

გალაკტიონ ტაბიძის პრემია მიენიჭა არჩილ სულაკაურს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ლექსისათვის — „შურისცხე“.

კ. ხეთაგუროვის პრემია მიიღო გაფეზმა — მოთხრობისათვის — „მშობლიური მიწის სუნთქვა“.

1981 წლის შემოდგომაზე მწერალთა კავშირი დაუბრუნდა აღდგენილ სასახლეს — მაჩაბლის ქუჩაზე.

1982

ბოლო ხანებში მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი თავის ერთ-ერთ მთავარ საქმედ თვლის მხატვრული პროდუქციის განხილვას, ქართულ ენაზე ზრუნვას. ახლაც პრეზიდიუმის სამი სხდომა მიეძღვნა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ (მომხს. — ტარიელ ჭანტურია) და ჟურნალ „ცისკრის“ (მომხს: პროზა — რევაზ ჯაფარიძე, პოეზია — კობა იმედაშვილი) 1981 წ. ნომრების განხილვას, თემას „მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოები და ქართული სალიტერატურო ენა“ (ზურაბ ჭუმბურიძე). სამივე სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ გამგეობის მდივნები შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მწერლები რევაზ ინანიშვილი, კარლო კალაძე, დავით კვიცარიძე, მურმან ლებანიძე, ლადო მრელაშვილი, ოტია პაჭკორია, გურამ პეტრიაშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, სარგის ცაიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, ნოდარ წულეისკირი, რევაზ ჯაფარიძე.

ასევე თავისი მთავარი საქმე — მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვა განაგრძეს შემოქმედებითმა სექციებმა. გაიმართა საჯარო სხდომები:

პუბლიცისტიკის სექციისა — განიხილეს ელიზბარ უბილავას წიგნი „განძეულის გუშაგი“ (პროფ. იოსებ მეგრელიძე);

პოეზიის სექციისა — განიხილეს ვახტანგ ხარჩილავას წიგნი „ალტერნატივა“ (ჯანსუღ ღვინჯილია), ალმანახი „პოეზია — IV“ (ლევან ბრეგაძე);

დრამატურგთა სექციისა — იმსჯელეს ოთარ ჩხეიძის პიესაზე „სოლომონ — მსაჯული მეფისა“;

კრიტიკის სექციისა — შეაფასეს სარგის ცაიშვილის წიგნი „მარადიული სახეები“ (გიორგი გაჩეჩილაძე);

მოეწყო აგრეთვე ახალგაზრდა მწერლის გია ლომაძის მოთხრობის „თაბაშირის კაცის“ განხილვა (სოსო სიგუა).

გამგეობის სამდივნოს მუშაობის წინა პლანზე დგას მწერლობის ახალ თაობაზე ზრუნვა. ეს გამოხატულებას პოულობს რო-

გორც მათი ნაწარმოებების კითხვა-განხილვებში, ბეჭდვის ხელ-შეწყობაში, მათთვის შემოქმედებითი მივლინებების მიცემაში, ასე-ვე მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვაში.

შემოქმედებითი ხაზით, გარდა ახალგაზრდა მწერლების ვახტანგ ხარჩილავასა და გია ლომაძის ნაწარმოებთა განხილვისა, 30 მარტს მწერალთა კავშირმა ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო ახალ-გაზრდული პოეზიის საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახ-ნა გამგეობის მდივანმა შოთა ნიშნიანიძემ. ლექსები წაიკითხეს ბალათერ არაბულმა, რევაზ დანელიამ, შარლოტა კვანტალიანმა, დავით მჭედლურმა, ვახტანგ ხარჩილავამ.

მაისში მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის შოთა ნიშნი-ანიძისა და მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმა-ნის სარედაქციო კოლეგიაში ახალგაზრდა მთარგმნელთა სემინა-რის ხელმძღვანელის, პოეტ თამარ ერისთავის, თაოსნობით მო-ეწყო შეხვედრა ახალგაზრდა მთარგმნელებთან.

შემოქმედებით საკითხებზე მწერალთა კავშირი თავისი ბეჭდვი-თი ორგანოების საშუალებითაც მსჯელობს. ეს ოპერატიულად გა-ზეთის საშუალებით კეთდება. მაგალითად, გაზეთმა „ლიტერატუ-რულმა საქართველომ“ მოაწყო ანკეტა თემაზე „70-იანი წლების ქართული პროზა“ (1981, №№ 47, 50; 1982 №№ 4,7) გაზეთი გა-მოეხმაურა (№ 6) მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკის შესახებ სკკპ ცკ-ის დადგენილების მე-10 წლისთავს (გურამ გვერდწითელის სტატია — „შედეგი... მიზანი...“);

თავის „სადისკუსიო დარბაზში“ მოაწყო (№ 14) საუბარი თემაზე „ახალგაზრდა შემოქმედი და დრო“, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები მაკა ჯოხაძე, ვახტანგ ხარჩილავა, ბადრი ჭოხონელიძე, როსტომ ჩხეიძე, კომპოზიტორები მარინე ნიკურაძე, თენგიზ შავ-ლოხაშვილი, მხატვარი ავთანდილ მონასელიძე, არქიტექტორი მე-რაბ ანდრონიკაშვილი, საუბარს ხელმძღვანელობდა გაზეთის მთა-ვარი რედაქტორის მოადგილე თამაზ ბიბილური.

შემოქმედებითს საკითხებს მწერალთა კავშირი თავისი დაქ-ვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებების საშუალებითაც წყვეტს. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთო-ბათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თაოსნობით 19 აპრილს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიტერატორთა დიდ ჯგუფთან ერთად მოეწყო მთარგმნელობითი საქმიანობის განხილვა.

მწერალთა კავშირი მუშაობას ეწეოდა მხატვრული ლიტერატუ-რის პროპაგანდის ხაზითაც:

11 თებერვალს სსრკ შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბი-

ურეოს თაოსნობით ბოლნისში ქართველი მწერლები შეხვდნენ დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, წალკის, თეთრიწყაროს რაიონების მშრომელებს, რომელთაც სიტყვით მიმართა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნოდარ დუმბაძემ, ლექსები წაუკითხეს პოეტებმა: ჯანსუღ ჩარკვიანმა, შოთა ნიშნიანიძემ, მედეა კახიძემ, გივი გეგეჭკორმა.

14 თებერვლიდან ყუბანში გამართულ ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ნანა კანდელაკმა, ოთარ ჭელიძემ, უშანგი რიჟინაშვილმა, შოთა ხოდაშნელმა.

თებერვლის დამლევს ლენინგრადში მოეწყო ქართული პოეზიის საღამოები. მრავალი წლის შემდეგ ნევისპირა ქალაქში კვლავ ააღერეს ქართული ლექსები რევაზ ამაშუკელმა, ხუტა გაგუამ, გივი გეგეჭკორმა, კარლო კალაძემ, ენვერ ნიჟარაძემ, ლია სტურუამ, მორის ფოცხიშვილმა. ქართულ პოეზიაზე ისაუბრა გურამ გვერდწითელმა.

ქართული მწერლობის პროპაგანდის ხაზით 15 თებერვალს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო ხუტა ბერულავას, ხოლო 22 თებერვალს პროფკავშირთა კულტურის ცენტრალურ სასახლეში მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საღამოები.

25 თებერვალს მწერალთა კავშირში მიიღეს საქართველოს კომკავშირის 31-ე ყრილობის დელეგატები. მათ მიესალმა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გიორგი ციციშვილი, საუბარში მონაწილეობა მიიღეს ამ ყრილობის დელეგატმა პოეტებმა დალილა ბედიანიძემ, დილარ ივარდავამ, აგრეთვე მწერალმა ლადო მრელაშვილმა.

აპრილში საქართველოს კომკავშირის 32-ე ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", № 15).

აპრილში მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ მიიღო და ქართულ მწერლობაზე ესაუბრა ინგლისელ მწერლებს ალენ ბრაუნს, კრისტოფერ მ. ს. ანდერსონს, სტივ უოლკერს, პიტერ მორტიმერს.

მაისში მწერალთა კავშირის მდივნებმა გიორგი ციციშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მწერლებმა მორის ფოცხიშვილმა, მედეა კახიძემ მიიღეს და ესაუბრნენ დასავლეთ გერმანელ მწერალს მარტინ ბუჰხორნს.

2 ივნისს მწერალთა კავშირში გაიმართა საბჭოთა (საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რომან მიმინოშვილი, ალექსანდრე კუზნეცოვი, ჭაბუა ამირეჯიბი, რუდოლფ ბალანდინი, ირინა რადუნსკაია) და რუმინელ მწერალთა (ანდი ანდრიეში, მიხაი

უნგიანუ, კონსტანტინ კუბლეშანი) საუბარი მრგვალ მაგიდასთან თემაზე „მწერალი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“, შეხვედრას ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე.

გამოვიდა შოთა ნიშნიანიძის ლექსთა კრებული „წუთისოფელი ასეა“.

1982 წელს მწერალთა კავშირის ბეჭდვით ორგანოებს შეეცვალა მთავარი რედაქტორები: „მნათობში“ დაინიშნა არჩილ სულაკაური, „ცისკარში“ — ჯანსუღ ღვინჯილია, „საუნჯეში“ — მუხრან მაჭავარიანი, „ლიტერატურნაია გრუზიაში“ — თენგიზ ბუაჩიძე.

ამას გარდა, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად დაინიშნა მორის ფოცხიშვილი, ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად — გიორგი ნატროშვილი, ჟურნალ „დილის“ რედაქტორად — ენვერ ნიჟარაძე.

1982 წლის 5 ივლისიდან საქართველოში ჩატარდა მაიაკოვსკის ტრადიციული დღეები. აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელმა ახალგაზრდა პოეტებმა. მაიაკოვსკის სახელობის პრემია მიენიჭა პოეტ დალილა ბედიანიძეს პუბლიცისტური პოემისათვის — „ათას ცხრაას ოთხმოცდაორი“,

1981 და 82 წლებში ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდნენ გრიგოლ ჩიქოვანი, დიმიტრი ბენაშვილი, გურამ ასათიანი, დაკრძალული არიან დიდუბის პანთეონში.

საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნასთან ერთად (1932) ჩამოყალიბდა მისი განყოფილებები.

ქუთაისის განყოფილება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილება შეიქმნა 1932 წელს, მაგრამ ქუთაისში მანამდეც არსებობდა მწერალთა გაერთიანებები:

როგორც ცნობილია, 1916 წელს სწორედ ქუთაისში ორგანიზაციულად გაფორმდა ცისფერყანწელთა ლიტერატურული დაჯგუფება (რომლის შესახებაც ვრცლად გვქონდა საუბარი).

1921 წლის იანვარში ქუთაისის ხელოვან მწერალთა წრემ გამოსცა ერთდროული გაზეთი „არმაზი".

1921 წელსვე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირმა გამოსცა სალიტერატურო „კრებული" (ფაქტიური რედაქტორი ნიკო ლორთქიფანიძე).

1922 წელს ნიკო ლორთქიფანიძემ, ვასო გორგაძემ, სანდრო ცირეკიძემ, ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკიამ და სხვებმა დააარსეს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება. როგორც იმხანად ქუთაისიდან იუწყებოდნენ, „მწერალთა კავშირს შალე აღმოუჩინეს თავშესაფარიც, ბულვარის მარცხენა გვერდზე, ალფონს თუმანიშვილისეულ სახლში.

იგი „მწერალთა კავშირის" მიზნისათვის მშვენიერი, ყველასათვის დასამხარი, მოხდენილი ალაგია, ცენტრში"[416].

განყოფილებამ გამოსცა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე" (1922), ჟურნალები: „უქიმერიონი" (1922), და „კოლხეთი" (1923).

1923 წელს შეიქმნა, უფრო ორგანიზებულად კი 1927 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის

---

[416] „ალ. „ლომისი", 1922, № 16, „წერილი ქუთაისიდან, მწერალთა კავშირის სახლი", ხელს აწერს „ისო". ეს სახლი ახლანდელი ოპერის (ყოფილი ქართული დრამატული) თეატრთან იდგა.

ქუთაისის განყოფილება (1926 წლიდან პასუხისმგებელი მდივანი ანაზარდი (ჭიჭიკო ნიკოლეიშვილი), რომლის შესახებ შედარებით ვრცლად გვქონდა საუბარი ქვეთავში — „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია". იქვე მოვიხსენიეთ ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოებიც.

1926 წელს ახალი მწერლობის კოლექტივმა, რომელშიც შედიოდნენ ვიქტორ გაბესკირია, შაჰრუხ (შალვა) ჩარკვიანი, დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე) და ჯაჯუ ჯორჯიკია, გამოსცა ორკვირეული ჟურნალი „უშბა".

1926 წელსვე დაიწყო ცალკეული ჯგუფების გაერთიანება.

ჯერ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის შემდეგ (1926) ქუთაისში დაარსდა მისი განყოფილება, რომლის თავმჯდომარე იყო დია ჩიანელი[417].

1928 წლის 16 ივნისს, საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის შექმნის შემდეგ კი, მისმა პრეზიდიუმმა სასურველად სცნო ქუთაისში ფედერაციის განყოფილების დაარსება, ამის შესაბამისად იმავე წლის 14 ნოემბერს ქუთაისელ მწერალთა კრებაზე[418], რომელმაც მოისმინა მოხსენებები ოსიკო დევდარიანის — „საბჭოთა მწერლობა და თანამედროვე მომენტი", დია ჩიანელისა — „პროლეტარული მწერლობა და მისი ამოცანები", აირჩიეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ქუთაისის განყოფილების გამგეობა ანაზარდის, ოსიკო დევდარიანის, დომენტი თომაშვილის (ოყრეშიძე), ვალერიან ლალიაშვილის, სამსონ ყიფიანის, ფილიპე შავგულიძის, დია ჩიანელისა და ჯაჯუ ჯორჯიკიას შემადგენლობით.

გამგეობის პრეზიდიუმში შეეიდნენ ანაზარდი, დია ჩიანელი და ჯაჯუ ჯორჯიკია, ხოლო თავმჯდომარედ აირჩიეს დია ჩიანელი.

ამ დროისათვის ქუთაისში პროლეტარული მწერლები იყვნენ: ანაზარდი, პეტრე ბახტურიძე, ნესტორ ბურჯანაძე (მუშა-პოეტი), ოსიკო დევდარიანი (კრიტიკოსი; პროფესიით იურისტი), დავით დორგანელი (გვილავა, ფარმაცევტი, წერდა ლექსებს), კოსტა თავბერიძე (კოსტაიდი, მუშა, წერდა ლექსებს, პიესებს, სკეტჩებს), ალექსანდრე თირქია, ვალერიან ლალიაშვილი (ვ. ივანიძე, ჟურნალისტი), ევგენი ფურცხვანიძე და დია ჩიანელი, ხოლო დაჯგუფებათა გარეშე იდგნენ: დავით ავალიანი, ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი), დომენტი თომაშვილი, მელიტონ კელენჯერიძე, ალექსანდრე კვირიკაძე, ისიდორე კვიცარიძე, დავით მესხი, ნემო (მიხეილ

---

[417] ლხცსა, 38-1-55-3;

[418] ლხცსა, 8-1-171-4, 8-1-172-6.

ჯანუაშვილი, მსახიობი, იუმორისტული მოთხრობების ავტორი), აქვსენტი ფარული (ფარულავა, ხატვის მასწავლებელი, წერდა ლექსებს), სამსონ ყიფიანი, ფილიპე შავგულიძე, შაჰრუხ ჩარკვიანი, შალვა ციბელი (ციბაძე) და ჯაჯუ ჯორჯიკია[419].

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ქუთაისის განყოფილებამ, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილებასთან ერთად, 1931 წელს გამოსცა ერთდროული გაზეთები: „10 წელი" (25. 2. ეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მე-10 წლისთავს) და „მწერლობის დამკვრელი" (18. 6.).

1932 წელს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის შემდეგ, ივლისში ქუთაისში ჩავიდა ამ კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი-მირცხულავა, ნიკოლო მიწიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ცეცხლაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვ. 16 ივლისს ამ დელეგაციის წევრთა თანდასწრებით გაიმართა ქუთაისელ მწერალთა კრება, რომელზეც, ადგილობრივ მწერლებთან ერთად, სიტყვებით გამოვიდნენ სანდრო ეული, სიმონ ჩიქოვანი და მიხეილ ჯავახიშვილი. შეიქმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილება.

განყოფილების პირველი თავმჯდომარე (1932-1937), იყო დია ჩიანელი; პასუხისმგებელი მდივანი (1932-1937) — ილია ხოშტარია.

1937 წლის შემდეგ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებას მხოლოდ პასუხისმგებელი მდივნები ხელმძღვანელობდნენ. სხვადასხვა დროს ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ დიმიტრი კვირკველია (1938—1944), გიორგი გიასელი (სამხარაძე, 1944.8.5. — 1956 ოქტომბერი) და არჩილ გურჯიძე (1956-1958).

1958 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანია დავით კვიცარიძე. (საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1958 წლის 17 აპრილს).

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ სიმონ არველაძე, რუთა ბეროძე, ზურაბ კუხიანიძე, თეიმურაზ ლანჩავა, ლილი ნუცუბიძე.

ქუთაისის განყოფილებას ჰქონდა შემდეგი ბეჭდვითი ორგანოები: გაზეთები „საბჭოთა მწერალი" (1932-1934, რედაქტორები:

---

419 ლხცსა, 8-1-172-7.

პეტრე ბახტურიძე — 1933, შალვა რადიანი, — 1934; პასუხისმგებელი მდივანი 1931-34 წწ. ს. ფხაკაძე-თევანიძე). „სიტყვა და საქმე“ (1934—1935, რედ. — პლატონ ქიქოძე), „ჩვენი მწერლობა“ (1932 წ. სექტემბერი).

განყოფილებამ გამოსცა შემდეგი ერთდროული ლიტერატურული გაზეთები:

„აკაკი“ (დაბადების 100 წლისთავზე — 1940.18.6);

„ვაჟა“ (დაბადების 100 წლისთავზე — 1961.16.7. რედ. — კონსტანტინე მეძველია).

დავით კვიცარიძის რედაქტორობით გამოვიდა:

„50 წელი“ (ოქტომბრის რევოლუციისა, 1967.5.11).

„რუსთაველი“ (დაბადების 800 წლისთავზე, 1966).

„ბარათაშვილი“ (დაბადების 15 წლისთავზე, 1968.5.9).

„გალაკტიონი“ (დაბადების 80 წლისთავზე, 1973.3.11).

„ლიტერატურული ქუთაისი“ (რუსთაველის დღის, . პოეზიის დღის აღსანიშნავად, 1969, 1970, 1971 წწ. 2.10;

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად, 1971,14.5;

სსრკ 50 წლისთავის აღსანიშნავად, 1972.12.12.).

1975 წლის დასაწყისიდან გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ორთვიური ალმანახი „განთიადი“. რედაქტორები: გურამ ფანჯიკიძე (1975-1977, № 4), კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1978 წლის № 2-დან) 1977 წლის №№ 5, 6 და 1978 წლის № 1-ს რედაქტორის მაგიერ ხელს აწერს პასუხისმგებელი მდივანი (1975 წლიდან) ავთანდილ ყურაშვილი.

აჭარის განყოფილება

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მალე, როგორც გაზეთი „უწყებები“ გადმოგვცემს, 1921 წლის 29 აპრილს, მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით ბათუმში შედგა იქ მყოფ ქართველ მწერალთა და მგოსანთა კრება, რომელმაც დაადგინა: 1) დაარსდეს ქართველ მწერალთა სექცია, რომელიც იმუშავებს რევკომის სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებული ხელოვნების განყოფილების მზრუნველობის ქვეშ. 2) დაეკალოს ბათუმში მყოფ ყველა მწერალს, განურჩევლად მიმართულებისა, ჩაეწერონ სექციაში; 3) 7 მაისისათვის გამოიცეს ქართული პოეზიის გაზეთი, ამისათვის შედგა სარედაქციო კოლეგია: სანდრო ჩაჩიკაშვილი, სიმონ წეველი (გაჩეჩილაძე) და ს. ქართლელ-იმერელი (სენო წე-

რეთელი) 4) პერიოდულად გამოიცეს სალიტერატურო სამეცნიერო ჟურნალი; 5) გაიმართოს ლექციები, საღამოები; 6) გამოიცეს იაფფასიანი ბროშურები[420].

1921 წლის 7 მაისისათვის აჭარის სახალხო განათლების ხელოვნების განყოფილებამ მართლაც გამოსცა გაზეთი „პოეზიის დღე".

ასეთივე გაზეთი გამოსცეს აჭარის ქართველმა მწერლებმა 1922 წლის 7 მაისს.

ლიტერატურული გამოცემები განახორციელეს მწერალთა ცალკეულმა ჯგუფებმაც:

„კანდელი" — 1922.7.6. ადგილობრივ მწერალთა ყოველთვიური ჟურნალი; („კომუნისტი", 1922, 27.6. № 143).

„ასპიროზი" — 1923.12 თებერვლიდან, ყოველკვირეული სალიტერატურო სამეცნიერო და საინფორმაციო გაზეთი; სულ 5 ნომერი გამოვიდა, თანამშრომლობდნენ კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურია), გიორგი ლეონიძე, იპოლიტე ხონელი (ბახტაძე) და სხვ.

„მწვერვალი" — 1923, 8 აპრილიდან, ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი, რედ. გამომც. — დავით კასრაძე, სულ გამოვიდა 7 ნომერი. თანამშრომლობდნენ ეკატერინე გაბაშვილი, სერგო გერსამია, კონსტანტინე კაპანელი, დავით კასრაძე და სხვ.

„აჭარისტანი" — 1926, ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი, რედ. გრიგოლ ნუცუბიძე (რიონელი). სულ გამოვიდა 3 ნომერი, თანამშრომლობდნენ ვიქტორ გაბესკირია, გრიგოლ შავიშვილი, სიმონ წეველი და სხვ.

1927 წლის 7 აგვისტოს შეიქმნა აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (იმავე წლის 20 სექტემბრიდან — საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება), რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს თომა სიხარულიძე (დაწვრილებით იხ. ქვეთავში — „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია").

1932 წლის 6 ოქტომბერს აჭარის მწერალთა პირველ საგანგებო ყრილობაზე, რომელსაც ესწრებოდა ახლადშექმნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია (ვალერიან გაფრინდაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, ტიციან ტაბიძე) შეიქმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილება[421], რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა (1932-1945) დავით დუმბაძე (მუშაობდა

---

[420] გაზ. „უწყებები" (ბათუმი), 1921, 5. 5. № 37.

[421] ლხცსა 8-1-301 ფურც. 1-2.

უხელფასოდ), თავმჯდომარის მოადგილედ (1932-1945) — ნესტორ მალაზონია, პასუხისმგებელ მდივნად (1932-1945) — პარმენ ლორია (ფაქტიურად სწორედ იგი ხელმძღვანელობდა მწერალთა ორგანიზაციის მუშაობას).

1945 წლიდან განყოფილებას ხელმძღვანელობს მხოლოდ პასუხისმგებელი მდივანი, 1945 წლის 4 ოქტომბერს აჭარის მწერალთა საერთო კრებამ შექმნა სამკაციანი გამგეობა (დავით დუმბაძე, ნესტორ მალაზონია, პარმენ ლორია; სამივე შტატიანი მუშაკი იყო), გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად კვლავ პარმენ ლორია აირჩიეს და იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1952 წლამდე.

შემდეგ წლებში აჭარის მწერალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ანდრო თევზაძე (1952-1953), ილია რურუა (1953. — საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 14.10. — 1957 წლის სექტემბრამდე).

1957 წლის 20 იანვარს აჭარის მწერალთა საერთო კრებამ აირჩია ახალი გამგეობა. იმავე წლის შემოდგომიდან დღემდე განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად მუშაობს ფრიდონ ხალვაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილება სცემდა ორკვირეულ ალმანახ „ლიტერატურულ აჭარისტანს“ (1935), „ლიტერატურულ აჭარას“ (1940-1841, რედ. გ. ნიორაძე, გამოვიდა 2 განაკვეთი).

1945 წელს განყოფილებამ გამოსცა მხატვრული ლიტერატურის კრებული „დაფიონი“ (რედ. პარმენ ლორია).

ამჟამად ბათუმში გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორთვიური ჟურნალი „ჭოროხი“ (1958-1969 წლებში ერქვა „ლიტერატურული აჭარა“), რედაქტორები: შოთა ქურიძე — 1958, № 1 — 1967, № 4; ნანა გვარიშვილი — 1967 № 6 — 1968, № 6; (1967 წლის №№ 5 და 6-ს რედაქტორის მაგიერ ხელს აწერს პ/მგ. მდივანი), აკაკი შონია — 1969, № 1 — 1979, № 5; 1980 წლის დასაწყისიდან (№ 1) რედაქტორია ალექსანდრე სამსონია. პასუხისმგებელი მდივნები: გიორგი სალუქვაძე — 1958, № 1 — 1960, № 6; მამია ვარშანიძე — 1961 № 1-დან.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი

1927 წლის 15 ოქტომბერს შეიქმნა აფხაზეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პასუხისმგებელი მდივანი მუშნი ხაშბა. ორგანიზაცია მეტად მცირერიცხოვანი

იყო, მასში ქართველ და სომეხ მწერლებთან ერთად რამდენიმე აფხაზი მწერალი შედიოდა[422]. (რამდენადმე უფრო დაწვრილებით ქვეთავში — „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“).

1932 წელს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის შემდეგ, ჩამოყალიბდა აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი (ზოგჯერ იგი განყოფილებად ითვლებოდა). 1933 წლის ნოემბერში აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა საგანგებოდ განიხილა აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდგომარეობა და დასახა ღონისძიებანი მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამავე დროს არჩეულ იქნა ახალი ხელმძღვანელობა. პრეზიდიუმში შედიოდნენ ვლადიმერ აგრბა, მიხეილ გრიგოლია, ვალერი გრიგორიევი, მაკარი ეხვაია, ივანე პერებეინოსი, სამსონ ჭანბა, სამდივნოში — სამსონ ჭანბა (თავმჯდომარე), მიხეილ გრიგოლია (მოადგილე) და მაკარი ეხვაია.

აფხაზური ლიტერატურის სექტორს ხელმძღვანელობდა კუკბა, ქართული ლიტერატურის სექტორს — მაკარი ეხვაია, ბერძნულისას — თედორე კანონიდი, რუსულისას — ვალერი გრიგორიევი, სომხურისას — არშავირ ჯიდარიანი[423].

სამსონ ჭანბა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ იყო 1932 წლიდან 1937 წლის ნოემბრამდე.

1937 წლის 1-ლი აგვისტოდან აფხაზეთის მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა პასუხისმგებელი მდივანი ხუხუტი ბღაჟბა, მასთან ერთად სამდივნოში შედიოდნენ გიორგი გულია და ლევარსან კვიწინია[424]. ხუხუტი ბღაჟბა ამ თანამდებობიდან გათავისუფლდა 1938 წლის 6 ოქტომბერს გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე — თბილისში სასწავლებლად წასვლის გამო[425]. ამავე სხდომაზე პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ლევარსან კვიწინია, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1938—1940 წლებში.

1940 წლის 14 თებერვალს, გიორგი გულიას საანგარიშო მოხსენების მოსმენის შემდეგ, აფხაზეთის მწერალთა კრებამ აირჩია გამგეობა[426], რომელშიც შევიდნენ: გიორგი გულია (პასუხისმგებელი მდივანი, 1940-1945), გიორგი გაბუნია (ქართული სექციის გამგე), ნ. კოკოსკერია, სანდრო სანგულია, პ. შაქრილი და არშავირ ჯიდარიანი.

1945 წლის 15 მარტს აფხაზეთის მწერალთა საერთო კრებამ პასუხისმგებელ მდივნად ისევ ხუხუტი ბღაჟბა აირჩია. მასთან ერ-

---

[422] შალვა ინალ-იფა, აფხაზური მწერლობა გუშინ და დღეს, თბ., 1973, გვ. 13.

[423] ლხცსა, 8-2-1813-18; „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, 17.12.

[424] ლხცსა, 8-1-696-12.

[425] ლხცსა, 8-1-768-1.

[426] ლხცსა, 8-1-821-6.

თად გამგეობაში შევიდნენ ხუტა ბერულავა (ქართული სექციის გამგე, შტატიანი მუშაკი), გიორგი გაბუნია, დიმიტრი გულია, ბაგრატ შინქუბა და ალექსი ჯონუა.

ხუხუტი ბღაჟბა გათავისუფლდა 1948 წლის 14 აგვისტოს, ხოლო სამი დღის შემდეგ (17.8) აფხაზეთის მწერალთა საერთო კრებამ, რომელმაც განიხილა გამგეობის მიერ 1945-1948 წლებში ჩატარებული მუშაობა (ხუხუტი ბღაჟბას მოხსენება) და მოისმინა ივანე პაპასქირის თანამოხსენება, — აირჩია ხუთკაციანი გამგეობა (დიმიტრი გულია, სიმონ წვერავა, ივანე თარბა, ივანე პაპასქირი, ალექსი ჯონუა) და სამკაციანი სარევიზიო კომისია (ქიაზიმ აგუმაა, გიორგი გულია, შოთა ტაბიძე).

გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ივანე თარბა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — გიორგი გულია[427].

სიმონ წვერავა ხელმძღვანელობდა ქართულ სექციას.

ივანე თარბა 1953 წლის ოქტომბერში შეცვალა (მისი განთავისუფლება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1953.10.10) ბაგრატ შინქუბამ (ზემო ნახსენებმა პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1953.19.11).

1956 წელს შეიქმნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარისა და პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობანი. 13 ნოემბერს თავმჯდომარედ ისევ ბაგრატ შინქუბა აირჩიეს, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი გახდა ალექსი ლასურია. 1957 წლიდან დღემდე კი ამ თანამდებობაზე კუმფ (კონსტანტინე) ლომია მუშაობს.

1958 წლის იანვარში აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე ბაგრატ შინქუბა შეცვალა ივანე თარბამ

1959 წლის 5—6 იანვარს გაიმართა აფხაზეთის მწერალთა პირველი ყრილობა, რომელმაც თავმჯდომარედ კვლავ ივანე თარბა აირჩია, პასუხისმგებელ მდივნად კი — კუმფ ლომია.

1959 წლიდან 15 წლის განმავლობაში (1974 წლამდე) აფხაზეთის მწერალთა კავშირში მუშაობდა და მის ქართულ სექციას ხელმძღვანელობდა შოთა აკობია.

1966 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის მწერლები შეიკრიბნენ თავიათ მეორე ყრილობაზე[428] და იმსჯელეს ივანე თარბას საანგარიშო მოხსენებაში („აფხაზური საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის მიჯნაზე") წამოჭრილ საკითხებზე. ყრილო-

---

427 ლხცსა, 8-1-1190. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1948, № 33.

428 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1966, № 18.

ბის მიერ შექმნილმა გამგეობამ თავმჯდომარედ ისევ ივანე თარბა, პასუხისმგებელ მდივნად კი კუმფ ლომია აირჩია.

1976 წელს შეიქმნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის სამდივნო: თავმჯდომარესა (ივანე თარბა) და პასუხისმგებელ მდივანს (კუმფ ლომია) დაემატა კიდევ ერთი მდივანი — ქართველი პოეტი ხუტა გაგუა. 1977 წელს სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო იგი ამ თანამდებობაზე გენო კალანდიამ შეცვალა.

1979 წ. 1-ლი ივლისიდან აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე თავმჯდომარედ აირჩიეს მუშნი ლასურია.

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი 1933-1935 წლებში სცემდა გაზეთს „აფხაზეთის საბჭოთა მწერალი" აფხაზურ, ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე და ჟურნალს — „აფსნი ყაფშს" (1933 წ. აფხაზურ ენაზე).

1955 წლიდან აფხაზეთის მწერალთა კავშირი სცემს ჟურნალ „ალაშარას" („სინათლე"). (1955—1966 წ.წ. — 2 თვეში ერთჯერ, 1966 წლის მეორე ნახევრიდან — ყოველთვიურად) რედაქტორები: ალექსი ჯონუა (1956—1966), ჭიჭიკო ჯონუა (1966—1975), ალექსი ჯენია (1975—1978), გიორგი გუბლია (1978-დან);

პ/მგ მდივნები: კ. ლომია (1955—1957), შ. წვიჯბა (1957—1961), ალ. გოგუა (1961 — 1963), ალ. ჯენია (1963 — 1968), ნ. კვიწინია (1968—1975), ვ. ამარშანი (1975-დან).

1975 წლიდან ქართულ ენაზე გამოდის ყოველწლიური ალმანახი „რიწა" (რედ. ოთარ ჭურღულია).

სამხრეთ-ოსეთის განყოფილება

1928 წელს შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხრეთ ოსეთის განყოფილება (უფრო დაწვრილებით იხ. ქვეთავში — „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია").

1932 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის შემდეგ, სამხრეთ-ოსეთს ეწვია ამ კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: ალექსი გომიაშვილი, იონა ვაკელი, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, იაკინთე ლისაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ბორის

ჩხეიძე და არისტო ჭუმბაძე. 30 სექტემბერს ამ დელეგაციის თანდასწრებით გაიმართა სამხრეთ-ოსეთის მწერალთა ყრილობა, რომელმაც შექმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილება[429].

განყოფილებას სათავეში ჩაუდგნენ თავმჯდომარე (1932—1937 ნოემბერი) — ჩერმენ ბეგიზოვი და პასუხისმგებელი მდივანი (1932—1937) — სოსლან გაზაევი.

შემდეგ წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ თავმჯდომარეები: ხარიტონ პლიევი (1937—1940, ამ დროს მასთან ერთად გამგეობაში შედიოდნენ: დავით დარჩიევი, რეზო ჩოჩიევი და გიორგი ძუგაევი); მუხტარ შავლოხოვი (1940-1946 წლის დასაწყისი)[430], ელიოზ ბეკოევი (აირჩიეს 1946 წლის 19 იანვარს სამხრეთ-ოსეთის მწერალთა საერთო კრებაზე, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დამტკიცა 16.2, მუშაობდა 1949 წლის ბოლომდე).

1949 წლიდან სამხრეთ-ოსეთის განყოფილებას პასუხისმგებელი მდივნები ხელმძღვანელობდნენ. 1950 წლის იანვრიდან პასუხისმგებელი მდივანია რევაზ ასაევი. იგი 1954 წლის 9 სექტემბერს გაათავისუფლეს მოსკოვში ლიტერატურულ კურსებზე სასწავლებლად წასვლის გამო და მისი მოვალეობის შესრულება დაევალა ვასილ სანაკოევს (საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 23 სექტემბერს).

1955 წლის თებერვლიდან კი 1972 წლის ნოემბრამდე განყოფილებას ხელმძღვანელობდა გაფეზი (თედორე გაგლოევი).

1972 წლის 2 ნოემბერს სამხრეთ-ოსეთის მწერალთა საერთო კრებაზე (მეხუთე კონფერენციაზე) არჩეულმა ბიურომ, რომელშიც შევიდნენ გიორგი ბესთაუთი, ალექსი ბუქულოვი, მელიტონ გაბულოვი, კოსტა მარღიევი, ალექსანდრე ფუხაევი, ხაჯი-მურად ძუწათი, ნაფი ჯუსოითი, თავის სხდომაზე 28 ნოემბერს პასუხიმსგებელ მდივნად აირჩია ისიდორე ქოზაევი, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1975 წლის დეკემბრამდე.

1975 წლის დეკემბრიდან განყოფილების მდივანია კოსტა მარღიევი.

განყოფილება 1927 წლიდან სცემს (ომის დროს შეწყდა, განახლდა 1945 წ.) ჟურნალ „ფიდიუაგს" („მოამბე"). რედაქტორები: აროონ ფლითი (1927. № 1—2), ჩერმენ ბეკიზათი (1934 წ. № 7—8-დან) სიკო ყულათი (1936 № 8—9—1937), სერგი სანაყოთი (1938), რეზო ჩოჩიევი (1938—1941, 1945—1948), რეზო ასაევი (1948.8.4.—1950.1), ილია პლიევი (1950.2 — 1954.2), გაფეზი (თედორე გაგ-

---

429 „სალიტერატურო გაზეთი", 1932, № 22.

430 ლხცსა, 8-1-824-6

ლოევი) — 1954.2 — 1955.2.), ნიკოლოზ ხუბულთი (1955), გიორგი ჯათიანი (1956.1 — 1963.8), გიორგი ძუგაევი (1963.8 — 1972.2), ვლადიმერ გაგლოევი (1973 წლის ნოემბრიდან).

პასუხისმგებელი მდივნები: გიორგი ჯათიათი (1932.9.—1933.12, 1938—1939), დავით დარჩითი (1934), ყაზბეგ ყოროევი (1936—1937), გიორგი თოთრათი (1939—1940), თედორე გაგლოევი — გაფეზი (1938, 1945.9. — 1950.3), კავკაზაგი (1950.4 — 1952), ივანე ცხოვრებოვი (1955). კოსტა მარლიევი (1955.9. — 1957.1), გიორგი ძუგაევი (1957—1963.9), ალექსანდრე ფუხაევი (1972 წლის მაისიდან).

ბორის განყოფილება

ქ. ბორში წლების მანძილზე არსებობდა მწერალთა ჯგუფი. მათ შემოკრებას და შემოქმედებით ზრდას ხელი შეუწყო პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურულმა წრემ და ალმანახებმა „მერანმა“ და „ლიახვმა“ ოთარ ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

განყოფილება შეიქმნა 1980 წლის 10 თებერვალს ბორში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის საზოგადოებრიობა, ადგილობრივი ლიტერატორები და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე, მდივნები იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მწერლები მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჩხეიძე.

განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია ჯემალ ინჯია.

საქართველოს მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოები და საქვეუწყებო ორგანიზაციები

მწერალთა კავშირი იურიდიული პირია და უფლება აქვს შექმნას ბეჭდვითი ორგანოები და საქვეუწყებო დაწესებულება — ორგანიზაციები.

ბეჭდვითი ორგანოები

როდესაც ლიტერატურულ დაჯგუფებათა ირგვლივ ვსაუბრობდით, მაშინ მოვიხსენიეთ მათი ბეჭდვითი ორგანოებიც.

ასევე მოვიხსენიეთ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა (1926) და საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის (1928) ლიტერატურული ორგანოები.

ახლა შევეხებით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ჟურნალ-გაზეთებსა და ალმანახებს, რომლებიც დღეს გამოდის, აგრეთვე იმ ბეჭდვით ორგანოებს, რომელთა მემკვიდრეა დღევანდელი ჟურნალ-გაზეთები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობას" (რომელსაც 1927—1932 წლებში სცემდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია) ეწოდა „საბჭოთა მწერლობა" (1932—1933, რედ. — შალვა რადიანი, პასუხისმგებელი მდივანი — ალექსანდრე ქუთათელი).

მალე, 1934 წელს, ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი ზრდის ხელშესაწყობად, შეიქმნა ყოველთვიური ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი" (1934—1935 № 1—2, იანვარ — თებერვალი; რედ. — მალაქია ტოროშელიძე, პასუხისმგებელი მდივანი — კალე ბობოხიძე), ხოლო 1935 წლის ივლისიდან მის ნაცვლად გამოდიოდა ჟურნალი „ჩვენი თაობა" (1935—1941, № 5; 1935—36 წლებში — ორთვიური, 1937 წლიდან — ყოველთვიური; რედაქტორები: დავით დემეტრაძე — 1935 წლის ივლისიდან 1936 წლის ბოლომდე; შავლა რადიანი—1937 № 1—№ 2—3; ალექსანდრე ჭეიშვილი — 1937, № 4 — № 12; ირაკლი აბაშიძე — 1938 № 1—1939, № 8; დი-

მიტრი ბენაშვილი — 1939 წლის № 9-დან რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა. 1940 წლის იანვრიდან კი რედაქტორია 1941 წლის მაისის ჩათვლით, ე. ი. მანამდე, ვიდრე დიდი სამამულო ომის დაწყების გამო ჟურნალის გამოცემა შეწყდა; პასუხისმგებელი მდივნები: ნიკოლოზ ჩაჩავა — 1935, III—XII; ალექსანდრე აბაშელი — 1935 — 1937, № 8; კონსტანტინე ლორთქიფანიძე — 1937 № 9-1938, ამ წლის იანვრიდან ჟურნალს არ აწერია პასუხისმგებელი მდივანი; ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილი — 1938, № 4-1941 № 5).

დღეისათვის საქართველოს მწერალთა კავშირს აქვს შემდეგი ბეჭდვითი ორგანოები:

ჟურნალი „ᲬᲜᲐᲗᲝᲑᲘ"

გამოდის 1924 წლიდან. 1927 წლამდე გამომცემელი იყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტგანათლების სამმართველო, 1928-1932 წლებში — საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია, ხოლო 1932 წლიდან — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოა.

რედაქტორები[431]: ლავრენტი ქართველიშვილი (1924, № 1), ვალია ბახტაძე (1924, № 2-1926, № 7), მიხა კახიანი (1926, № 8-1929, № 12), შალვა რადიანი (1930, № 1-1931, № 12), გიორგი ყურულაშვილი (1932, № 1-1936, № 7), აკაკი თათარიშვილი (1936, № 8-1937, № 3), დავით დემეტრაძე (1937, № 7), ალიო მაშაშვილი-მირცხულავა (1937, № 8-1946, № 8), ირაკლი აბაშიძე (1946, № 9-1953, № 6), ალიო მირცხულავა (1953, № 7-1955 № 2). სიმონ ჩიქოვანი (1955 № 3-1960, № 10), გრიგოლ აბაშიძე (1960, № 11-1967, № 12), ელგუჯა მაღრაძე (1968, № 1-1973, № 9) გიორგი ნატროშვილი (1973, № 10-1982, № 6), აჩჩილ სულაკაური (1982, № 7-დან).

პასუხისმგებელი მდივნები: მოსე გოგიბერიძე; ლევან ასათიანი, (1932-1939), კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1939—1940), გრიგოლ აბაშიძე (1940-1942), ერემია ქარელიშვილი (1942-1944), ნიკა აგიაშვილი (1945-1955), ლავროსი კალანდაძე (1955-1960), ელგუჯა მაღრაძე (1960-1961), ვანო წულუკიძე (1962-1966), ედიშერ ყიფიანი (1966-1972), რეზო ამაშუკელი (1973 — 1982; 1977-დან მთ. რედაქტორის მოადგილეცაა), ოტია პაჭკორია (1982-დან).

---

[431] ᲛᲐ. ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ — „ᲡᲘᲚᲘᲑᲘᲡᲢᲠᲝ ᲗᲝᲚᲝᲠᲘᲐ" (თბ. 1974, გვ. 83) „ᲬᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ" რედაქტორად მოხსენებულია თოდრიაც, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ჟურნალი „ციხკარი“

საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს ალკკ ცკ-ის ყოველთვიური ორგანო, გამოდის 1957 წლის ივნისიდან.

რედაქტორები: ვახტანგ ჭელიძე (1957, № 1-1962, № 9), კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1962, № 10-1965), ხუტა ბერულავა (1965, № 10-1967), ჯანსუღ ჩარკვიანი (1967, № 8-1978, № 1); გურამ ფანჯიკიძე (1978 № 2-1979), მორის ფოცხიშვილი (1979, № 4-1982, № 7), ჯანსუღ ღვინჯილია (1982, № 8-დან).

პასუხისმგებელი მდივნები: რევაზ თვარაძე (1957-1962), ჯანსუღ ჩარკვიანი (1962), გურამ ფანჯიკიძე (1962-1967), ოტია პაჭკორია (1967—1982), ავთანდილ ჩხიკვიშვილი (1982-დან).

1982 წლიდან ჟურნალს ჰყავს მთ. რედაქტორის მოადგილე — თედო ბექიშვილი.

ჟურნალი „ბორჯომი“

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების სალიტერატურო ორგანო გამოდის 1958 წლიდან. (დაწვრილებით იხ. თავში — „საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები“).

ალმანახი „ბანთიადი“

საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ორგანო, გამოდის 1975 წლიდან. (დაწვრილებით იხ. თავში — „საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები“).

ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“

გამოდის 1957 წლის ივლისიდან. რედაქტორები: კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1957, № 1-1962, № 10), მიხეილ მრევლიშვილი (1962, № 11-1968, № 12), გიორგი ციციშვილი (1969, იანვრიდან რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნოემბრიდან — მთავარი რედაქტორი — 1977, № 5), გურამ ასათიანი (1977, № 6—1982, № 7), თენგიზ ბუაჩიძე (1982, № 9-დან).

რედაქტორის მოადგილეები: ანატოლი კუზმიჩევი (1957-1959), ედუარდ ელიგულაშვილი (1961-1966), ბორის გასი (1961-1972), გიორგი მაზურინი (1972), გურამ ხარაიძე (1973-დან).

პასუხისმგებელი მდივნები: ლეონიდ როსტოვცევი-შტოკგამერი (1957-1959), მიხეილ ზავერინი-ვაინშტეინი (1959-1961), ბორის გასი (1962-1966), ნათელა ყარაშვილი (1967-1972), ვლადიმერ ხომუტოვი (1973-1978, № 3), ნათელა ყარაშვილი (1979, № 4-დან).

ალმანახი „კრიტიკა"

გამოდის 1972 წლიდან — სამ თვეში ერთჯერ. რედაქტორი გიორგი მერკვილაძე, პასუხისმგებელი მდივნები ჯუმბერ თითმერია (1972-1975), მამუკა წიკლაური, (1976-1977). 1978 წლიდან (№ 1)— ლევან ბრეგაძე.

ალმანახი „საუნჯე"

გამოდის 1974 წლიდან — ორ თვეში ერთჯერ ნაცვლად საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ალმანახ „ცისარტყელას" (1968-1973, გამომც. „ნაკადული", რედ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძე) და საზღვარგარეთული ლიტერატურის ყოველკვარტალური ალმანახ „ხომლისა" (1968-1973, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", რედ.—ვახტანგ ჭელიძე).

1976 წლიდან „საუნჯე" საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ორგანოა.

რედაქტორები: კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1974-1977), შოთა ნიშნიანიძე (1978, № 1-1982, № 4), მუხრან მაჭავარიანი (1982, № 5-დან)

პასუხისმგებელი მდივანი — ნანა დარჩია.

გამოდის 1931 წლის 1-ლი ნოემბრიდან.

1931-1932 წლებში საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიური ორგანო. 1932 წლის № 16-დან საქ. საბჭ. მწ. კავშირის ორგანო.

1932.21.1-დან ახალი ნუმერაცია—1934.4.9. № 16—„სალიტერატურო გაზეთი“, 1934.30.9. № 17-1935 — „ლიტერატურული გაზეთი“, ექვსდღიური; 1936.25.2. № 1-1943.29.9. № 24—„ლიტერატურული საქართველო“, 1943.22.10. № 1-1953. 6.2. № 6—„ლიტერატურა და ხელოვნება“; 1953 13.2. № 1-1963. 1.2. № 5.—„ლიტერატურული გაზეთი“; 1963.8.2. № 6-დან — „ლიტერატურული საქართველო“.

რედაქტორები: შალვა რადიანი (დაარსებიდან, 1931.1.11. № 1-№ 6 და 1932.1.1. № 7), დავით დემეტრაძე (1932.21.1. № 1.-1934. 4.9. № 16); პლატონ ქიქოძე (1934.30.9. № 17.-1935). აკაკი თათარიშვილი (1936.25.2. № 1-1937.12.4. № 7; 1936 წელს № 22-დან 1937. № 3 — ხელს აწერს მთავარი რედაქტორის მოვალეობის აღმასრულებელი, რედ. მოადგილე დავით დემეტრაძე), შალვა რადიანი (1937.20.4. № 8-1943.26.9. № 24); გიორგი ნატროშვილი (1943. 22.10. № 1-1963.1.2. № 5), იოსებ ნონეშვილი (1963.8.2 № 6.-1967. 20.1. № 4); რევაზ თვარაძე (1967.10.2. № 7-1968.19.1. № 3; 1967 წლის №№ 5 და 6 რედაქტორის მაგიერ ხელს აწერს ერემია ქარელიშვილი); რევაზ მარგიანი (1968.9.2. № 6-1973.10.8. № 32; 1968. №№ 4, 5 — რედ. მაგიერ გურამ ფანჯიკიძე); ვახტანგ ჭელიძე (1973.24.8 № 33-დან).

პასუხისმგებელი მდივნები: რაჟდენ გვეტაძე (1931-1934); ნიკოლოზ ჩაჩავა (1934 ოქტომბერი — 1935, 1936-1943 ოქტომბერი), ვანო წულუკიძე (1943-1953), გიორგი მარგველაშვილი (1953-1954. 26.1.); ერემია ქარელიშვილი (1954-1967); გურამ ფანჯიკიძე (1967-1974); თამაზ ბიბილური (1974 წლიდან; 1981-დან—მთ. რედაქტორის მოადგილე.

ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲜᲯᲔᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ

1963 წლამდე (სანახევროდ კი 1978 წლის დასაწყისამდე) საქართველოს მწერალთა კავშირს ჰქონდა თავისი გამომცემლობა. ამის შემდეგ იგი გააერთიანეს ერთ საგამომცემლო სისტემაში.

გამომცემლობის მოკლე ისტორია ასეთია:

1925 წლიდან არსებობდა ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით შექმნილი ბეჭდვითი სიტყვის საპაიო ამხანაგობა „ქართული წიგნი“, რომელიც 1931 წლის ბოლოს გადავიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გამგებლობაში (იხ. ფედერაციის სამდივნოს 1931 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება). გამომცემლობას ეწოდა „ფედერაცია“..

1932 წლის ივნისიდან გამომცემლობა გადაეცა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს.

ეს გამომცემლობა 1934 წელს ჯერ კიდევ მწერალთა სასახლეში იყო მოთავსებული, (უფრო ადრე „ქართული წიგნი“ მოთავსებული იყო ქაშუეთის პირდაპირ სარდაფში), შემდეგ 1940 წელს იგი გადავიდა პლეხანოვის პრ. № 181-ში, იმთავითვე იქ არსებულ სტამბასთან ახალაშენებულ 6-ოთახიან შენობაში.

1943 წლის 1-ლი იანვრიდან გამომცემლობას „საბჭოთა მწერალი“ ეწოდა[432].

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ (რომელიც თავის მხრივ 1936 წლიდან იყო მემკვიდრე, „ზაკგიზისა“ და უფრო ადრე არსებული „ზაკკნიგისა“) გამოეყო წიგნის საგამომცემლო ნაწილი და ისევ იმავე სახელწოდებით („ზარია ვოსტოკა“) შეიქმნა ცალკე გამომცემლობა რუსულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურისა. გამომცემლობა გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირს (1956 წ.).

1963 წლის დასაწყისში გამომცემლობათა „საბჭოთა მწერლის“ „ზარია ვოსტოკასა“ და „ხელოვნების“ ბაზაზე შეიქმნა „ლიტერატურა და ხელოვნება“ და იგი დაექვემდებარა ახალშექმნილ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნის თანახმად, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, გამომცემლობა 1967 წ. დაუბრუნდა მწერალთა კავშირს, მაგრამ სულ მალე, იმავე წლის 11 სექტემბერს, მინისტრთა საბჭომ გააუქმა ეს დადგენილება და გამომცემლობა ისევ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გადასცა.

საქართველოს მწერალთა კავშირს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მსგავსად რუსეთისა, უკრაინისა, აზერბაიჯანისა და სომხეთისა, მასაც უნდა ჰქონდეს საკუთარი გამომცემლობა. სწორედ ამაზე იყო საუბარი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის

---

[432] „ლიტერატურული საქართველო“, 1942.15.12. № 44.

გრიგოლ აბაშიძის მოხსენებაში მწერალთა ყრილობაზე 1976 წლის აპრილში.

1968 წელს გამომცემლობას ცალკე გამოეყო „ხელოვნება“, დარჩენილ ნაწილს შეეცვალა სახელი და ეწოდა „მერანი“.

1969 წელს გამომცემლობა „მერანის“ ქართული ნაწილი გადავიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობის შენობაში, იქ მას შეუერთდა რუსული ნაწილი.

გამომცემლობა „მერანს“ აქვს სამი რედაქცია: 1) ქართული ლიტერატურის 2) ქართულ ენაზე თარგმნისა და 3) რუსულ ენაზე თარგმნისა და რუსული ორიგინალური ლიტერატურის.

გამომცემლობის დირექტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: სიმონ ხუნდაძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე (1930-1931), სიმონ წვერავა (1931-1932), იაკინთე ლისაშვილი (1932-1935), პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე (1935-1937), რაჟდენ გვეტაძე (1937-1952), სიმონ წვერავა ,(1952-27.7.-1953.10.10), ანდრო თევზაძე (1953.10. 10-1958.17.4.), ამირან გაბესკირია (1958.15.5-1963), რევაზ მარგიანი (1963—1967), კარლო კალაძე (1967—1978), ლუკა ხუნდაძე (1978—1979).

1979 წლის შემოდგომიდან გამომცემლობა „მერანის“ დირექტორია რევაზ მარგიანი.

ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგებლობაში შემდეგი ორგანიზაციები და დაწესებულებებია:

ლიტერატურული ფონდი

ლიტერატურული ფონდის შექმნისათვის ზრუნვა ჩვენში მე-19 საუკუნის მიწურულში დაიწყო.

1893 წლის 19 დეკემბერს, ალექსანდრე ყაბზეგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაზ. „ივერიამ“ (№ 275) მოწინავე წერილად დაბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის „სალიტერატურო ფონდის გამო“, რომელშიც მწერალმა ქალმა გულისტკივილით აღნიშნა — ლუკმა-პურის ძიებისათვის ბევრი ნიჭი დაგვეღუპაო, და საზოგადოებას მოუწოდა:

„სახსოვრად დღევანდელის დღისა, სახსოვრად ჩვენის სიტყვაკაზმულის მწერლობის დამამშვენებელისა, მივმართავ ქართველ საზოგადოებას და ვსთხოვ ყველას, ვისაც — კი შეუძლიან და რითაც კი შეუძლიან, ხელი შეუწყოს სალიტერატურო ფონდის გაძლიერებას და იმ გვარ წრის შედგენას, რომელიც ახალგაზრდა ქართველ

მწერალთ ნავთსაყუდლად გაუხდება და რომლის შემწეობითაც დაუბრკოლებლივ განაგრძობენ თავის ნაყოფიერ შრომას სამშობლო ლიტერატურის სასარგებლოდ... მაშ, დავაჩქაროთ ამ ფონდის დაარსება და გაძლიერება“.

მალე იმავე გაზ. „ივერიაში“ (1893.30.12. № 282) ი. ფ-ძე (ილია ფერაძე) მიესალმა ეკატერინე გაბაშვილის წამოწყებას და პრაქტიკული წინადადება წამოაყენა: ჩვენი საზოგადოება რამდენიმე წელია მწერალთა ძეგლების ასაგებად ფულს აგროვებს. მწერლებს ძეგლი მკითხველის სულში აქვს აგებული, ჯერჯერობით ეს ვაკმაროთ, შეგროვილი ფული კი მოვახმაროთ ყველაზე საშურ საქმეს — სალიტერატურო ფონდის დაარსებას. „აწინდელმა ქართველებმა რომ მეოცე საუკუნეს გადავცეთ ორი დაწესებულება: „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“ და „სალიტერატურო ფონდი“, ამით დიდს და დაუფასებელს სამსახურს გავუწევთ ჩვენს მომავალ თაობასა“.

ცოტა ხნის შემდეგ, 1894 წელს, მსგავსი წინადადება წამოაყენა აპოლონ წულაძემ („საშვილიშვილო საქმე“, ჟურნალი „კვალი“, 1894, № 32); დაგროვილი ფულით სალიტერატურო ფონდი დავაარსოთ, ალ. ყაზბეგისა და იოსებ დავითაშვილის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ეს საშური საქმეა, შემდეგში კი სხვა ფონდიდან ნასესხები ფული უკანვე ჩავასესხოთო.

ილია ფერაძესა და აპოლონ წულაძეს, ორივეს ცალ-ცალკე პასუხი გასცა იასე რაჭველმა (იოსებ მეხუზლა)[433]. ფული რისთვისაც შეგროვდა, იმავე საქმეს უნდა მოხმარდეს, თუ გამონაკლისი დავუშვით, შემდეგ საქმე აირევაო.

სალიტერატურო ფონდის წესდების შედგენა თვით ეკატერინე გაბაშვილის დაუწყია: „ბატონი ეკატერინე კიდეც შესდგომია წესდების შემუშავებას და ამ დღეებში იგი ჰფიქრობს მიიწვიოს სათავადაზნაურო ბანკის სადგომში საზოგადოება, რომელსაც წარედგინება განსახილველად პროექტი ამ საგნის შესახებ“ (მეექვსე წერილი, მოწინავე, გაზ. „ივერია“, 1894.9.2. № 30).

გავიდა ხანი და 1895 წელს ჟურნ. „კვალში“ (№ 10) „№№“-მა წამოჭრა ეს საკითხი („ორიოდე სიტყვა სალიტერატურო ფონდზე“): რამდენიმე წელია ფული გროვდება მწერალთა ძეგლების ასაგებად, მაგრამ ფული უმოძრაოდ დევს, წ. კ. გ. საზოგადოება ამბობს ამ საქმის გაძღოლას ვერ ვითავებ, უფლებამოსილი არ ვარო.

ფული ცოტაა და დიდი დრო დასჭირდება იმდენის შეგროვებას,

---

[433] გაზ. „ივერია“, 1894, № 22, ჟურნალი „კვალი“, 1894, № 40.

რომ „ჩვენმა მწერლებმა გაჭირვების დროს სული მოითქვან“. ამიტომ, ამბობდა წერილის ავტორი, „ემჯობინება ცალკე სალიტერატურო საზოგადოების დაარსების მაგივრათ ამოვირჩიოთ წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე სამი-ოთხი კაცი, რომელთაც ჩავაბაროთ სალიტერატურო ფონდის საქმის წაყვანა და იმათვე უნდა მივანდოთ, რომ ამ „ფონდს“ მოუმატონ სხვადასხვა მწერლის თანხის ფულები დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად“.

ეკატერინე გაბაშვილის სალიტერატურო მოღვაწეობის მე-40 წლისთავზე, 1911 წლის აპრილში გაზეთმა „თემმა“ (№ 17) წერილში — „სალიტერატურო ფონდის გამო“, გაიხსენა ეკატერინე გაბაშვილის ზრუნვა სალიტერატურო ფონდის შესაქმნელად და თავის მხრივ დასძინა:

„იქნებ მართლა ვეღირსოთ ამ მოკლე ხანში ლიტერატურული ფონდის, როგორც საზოგადოების, დაარსებას. მით უფრო ადვილია ეს, რომ ცოტაოდენი თანხაც მოგვეძებნება და წესდების პროექტიც შემუშავებულია, თუ არ ვცდებით ბ. გიორგი ჟურულისაგან და ინახება წ.-კ საზოგადოებაში. დავფაცურდეთ ცოტა და ეს საქმეც გაგვიხორციელდება“.

1913 წელს გაზ. „თემში“ (10.6 № 27) დაიბეჭდა სერგო გერსამიას წერილი — „დიდმნიშვნელოვანი საქმე“, რომელშიც ავტორი წუხდა — როდის დაარსდება სალიტერატურო ფონდიო.

1915 წელს ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№ 36) იოსებ იმედაშვილი ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების მე-40 დღეს წერდა:

„ჩვენი დაუდევრობით ადრე დავკარგეთ იგი — სიამაყე ჩვენი მწერლობისა, რომელსაც შეეძლო 20-30 წელიწადი კიდევ ნაყოფიერად ემოღვაწნა...

ჩვენს მწერლობაში არა ერთგზის აღნიშნულა, ის გულცივობა-დაუდევრობა, რომლის ნაადრევი მსხვერპლიც შეიქმნენ ალ. ყაზბეგი, ეგ. ნინოშვილი, არ. ჯორჯაძე... და ბოლოს ვაჟაც...

უნდა ვიღონოთ რამე, რომ ასეთი თვითმკვლელობის მოწმენი აღარ შევიქმნეთ...

...ავაგოთ საზოგადო მოღვაწეთა თავშესაფარი — აგარაკი, სადაც სულს მოითქვამენ ხანგრძლივი შრომით ღონე-მიხდილნი და დასნეულებულნი მწერალნი, მსახიობნი თუ სხვა დარგის საზოგადო მოღვაწენი.

...მარტო სიკვდილის შემდეგ კი ნუ ვამკობთ ვარდ-ყვავილებით, სიცოცხლეშივე ვაღირსოთ თბილი ლუკმა, გრილი ოთახი, ერთი ვარდი“...

ლიტერატურული ფონდის დაარსებაზე იმსჯელა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამაც თავის საჯნგარიშო

(1911-1915) კრებაზე 1916 წლის 28 თებერვალს[434], მაგრამ ფონდის დაარსება მაინც ვერ ხერხდებოდა.

1918 წელს იოსებ იმედაშვილმა კიდევ ერთხელ წამოჭრა ეს საკითხი: „ის, ვინც სამშობლოს თავისუფლებისა და მონობიდან ხალხის განთავისუფლების ქურას აგიზგიზებდა, ვინც ერს გრძნობა-გონებას უწვრთნიდა, ვინც იერიქონის საყვირით ძილში მყოფთ აღვიძებდა, ვინც ძმობა-ერთობისა და სიყვარულის მოციქული იყო, ხელოვნებისა და მშვენიერების უანგარო ქურუმი, დღეს ყველაზე მეტად იგია დასჯილი, თითქმის არარად მიჩნეული“ — ჩვენი ნიჭიერი მწერლები ვასილ ბარნოვი, სოფრომ მგალობლიშვილი, მელანია, ლალიონი, ბაჩანა, თედო რაზიკაშვილი ყოველდღიურ ზრუნვაში, ლუკმა-პურის ძებნაში, საპნისა და ნავთის რიგში ჰკარგავენ დროს, ნაცვლად იმისა, რომ წერდნენო.

თუ ჩვენს მწერალთა კავშირს, საგამომცემლო, სიტყვაკაზმულ, საგანმანათლებლო, წ. კ. გ. ს. და სხვ. დღემდე ვერ მოუხერხებიათ სამწერლო ფონდის შექმნა, ნიჭიერ მწერალთა დახმარება, თვით ჩვენმა მთავრობამ უნდა შექმნას საგანგებო ფონდი ასეთ „მწერალთათვის“ (იოსებ არიმათიელი „სამწერლო ფონდი“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918. № 13).

იმავე ჟურნალის მომდევნო ნომერში (№ 14) „მგზავრი“ შენიშვნით გამოეხმაურა ამ წერილს — ქუთაისელი მწერლებიც გაჭირვებაში არიანო, ხოლო 1920 წლის № 8-ში „საწერელმა“ (შენიშვნაში „მწერალთა ყრილობისათვის“) სურვილი გამოთქვა მწერალთა ყრილობამ სალიტერატურო ჟურნალის სისტემატური გამოცემის უზრუნველყოფასთან ერთად „ქართველ მწერალთა ნივთიერი ცოტა თუ ბევრად უზრუნველყოფა“ მოახერხოსო.

საქართველოში, მწერალთა ორგანიზაციის შექმნის შემდეგ (1917), ლიტერატურული ფონდის შექმნისთვის ბრძოლას სწორედ ეს ორგანიზაცია — საქართველოს მწერალთა კავშირი (კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით) ჩაუდგა სათავეში. როგორც გაზეთი „სახალხო საქმე“ აღნიშნავდა (1919, № 550): „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი: მემორანდუმი მთავრობისადმი მწერალთა ფონდის დაარსებისათვის“.

ლიტერატურული ფონდის შექმნის შედარებით რეალური პირობები შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ჩამოყალიბდა (1926) სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი.

---

[434] გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1916. №№ 515, 516.

1927 წლის 7 თებერვალს ამ კავშირის პრეზიდიუმმა (თავმჯდომარე სილვა თოდრია) დაადგინა ლიტერატურული ფონდის დაარსება.

მაგრამ დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა შექმნას.

ლიტფონდის შესაქმნელად ზრუნვა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამაც განაგრძო—მის მიმართვაში (1930.9.2.) საქართველოს სახკომსაბჭოსადმი ნათქვამი იყო, რომ ფედერაციამ გადაწყვიტა ლიტფონდის შექმნა.

ცოტა ხნის შემდეგ ფედერაციამ წესდების დამტკიცება ითხოვა, წარადგინა წესდება და სია იმ მწერლებისა (შოთა რუსთველიდან რაფიელ ერისთავამდე), რომელთა ნაწარმოებების ჰონორარის 50%, მისი აზრით, უნდა გადარიცხულიყო ლიტფონდში[435].

1931 წლის აპრილში საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილმა მწერალთა მდგომარეობის შემსწავლელმა და გაუმჯობესების ღონისძიებათა გამომმუშავებელმა კომისიამ დაადგინა საქართველოს ლიტერატურული ფონდის შექმნა[436] და მისთვის ერთდროული სახსრების გამოყოფა, აგრეთვე გარდაცვლილი მწერლების ჰონორარიდან 50%-ის გადარიცხვა ლიტფონდის სასარგებლოდ. კომისიის ამავე დადგენილებაში ლაბარაკი იყო მწერალთა საბინაო საკითხსა და პანთეონის შექმნაზე.

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის წინ 1934 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება ლიტფონდის შექმნის შესახებ[437].

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ (1934.21.9.) ლიტფონდის ორგანიზაცია დაავალა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებს დავით დემეტრაძესა და ბესო ჟღენტს.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ შექმნა საქართველოს ლიტფონდის პირველი გამგეობა, რომელშიც შევიდნენ: სანდრო ეული (თავმჯდომარე), ნიკოლო მიწიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე და ლიტფონდის დირექტორი), ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე, დემნა შენგელაია, მიხეილ ჯავახიშვილი[438].

ლიტფონდის ფაქტიური მუშაობა დაიწყო 1934 წლის 28 ოქტომბრიდან, როდესაც საქლიტფონდს — საკავშირო ლიტფონდის

---

[435] ლბცსა, 8-1-113-5; 8-1-215-1; 8-1-215 — ფურც. 2-3; 8-1-215 — ფურც. 5-10; 8-1-215-11.

[436] ლბცსა, 8-1-241-1.

[437] „სალიტერატურო გაზეთი", 1934, № 15.

[438] სამდივნოს სხდომა 1934.13.10. „ლიტერატურული გაზეთი", 1934, № 21.

საქართველოს განყოფილებას მოსკოვიდან გადმოურიცხეს საოპერაციო თანხები.

საქლიტფონდი მოთავსებული იყო პლეხანოვის პრ. № 117-ში, 1962 წელს იგი გადავიდა მისივე თანხებით აშენებულ მწერალთა სახლში იმავე პლეხანოვის პრ. № 181-ში.

სხვადასხვა დროს საქლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარეებად იყვნენ არჩეული: სანდრო ეული (1934-დან), პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე (1936), მიხეილ ჯავახიშვილი, (1937), ილო მოსაშვილი (1937-17.8-დან), კონსტანტინე ჭიჭინაძე, სერგო ჭილაია (1953.30.12 პრეზიდ. — 1958.15.5). ბ. ჟღენტი (1958.15.5-1976). 1977 წლის მარტიდან საქლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარეა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გიორგი ციციშვილი.

საქლიტფონდის დირექტორებად მუშაობდნენ: ნიკოლო მიწიშვილი (1934), დავით წერეთელი (1936, მოხსნეს 1937.25.1. სამდივნოზე), იაკინთე ლისაშვილი (ხომერიკი — 1937.8.3). ვასო გორგაძე (1942-1943), ბესო ჟღენტი (1943-1946), ალიო მაშაშვილი-მირცხულავა (1946-1948), ჭიჭიკო დოლიძე, ალექსი გომიაშვილი (1951-1963.30.1.), ამირან გაბესკირია (1963-დან).

*
* *

საქლიტფონდში შედის: ა) მწერალთა კლუბი ბიბლიოთეკითურთ, ბ) მწერალთა პოლიკლინიკა, გ) მწერალთა შემოქმედებითი სახლები ქვიშხეთსა და გაგრაში.

მწერალთა კლუბი

როგორც კი მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებთან ერთად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ხელოვნების სასახლე მიიღეს, მაშინვე დაიწყეს ზრუნვა კლუბის მოსაწყობად. 1921 წლის აპრილში მწერალთა კავშირის საბჭომ ხელოვანთა კომიტეტს მიმართა ხელოვანთა სასახლეში მწერალთა საკრებულოს (კლუბის) დაარსების თაობაზე.

ცოტა ხნის შემდეგ, 1922 წლის 16 ივნისს, მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა — ეთხოვოს ხელოვანთა კომიტეტს ხელოვანთა სასახლის ქვედა სართული დაუთმოს მწერალთა კავშირს კლუბისათვის.

კლუბის საკითხი შემდგომში არაერთხელ დაისვა სამდივნოსა თუ პრეზიდიუმის სხდომებზე. მაგრამ, სანამ სასახლეში გარდა მწერალთა კავშირისა (დაჯგუფებებისა), სხვა სახელოვნო ორგანიზაციებიც იყო მოთავსებული, კლუბისათვის ადგილის გამონახვა, მით უმეტეს მთელი ქვედა სართულის დათმობა, გაჭირდა.

როგორც ვიცით, 1926 წელს, სრულიად საქ. მწერალთა კავშირის შექმნის შემდეგ, დაისვა ხელოვანთა სასახლის მხოლოდ მწერალთათვის გადაცემის საკითხი.

1928 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გააუქმა საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტი, ხელოვანთა სასახლე სავსებით გადავიდა ფედერაციის გამგებლობაში და მას „მწერალთა სასახლე" ეწოდა.

მას შემდეგ, რაც სასახლე ნაწილობრივ დაიცალა სხვა ორგანიზაციებისაგან, უკეთესი პირობები შეიქმნა მწერალთა კლუბის მოსაწყობად. ჩამოყალიბდა საკლუბო კომისია. 1929 წელს ამ კომისიამ შეადგინა კლუბის წესდება და დებულება.

ასეთი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1931 წლის 18 ოქტომბერს, გაიხსნა მწერალთა კლუბი, რომლის დირექტორად დანიშნა პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე[139].

მიუხედავად ხელოვანთა სასახლის მთლიანად მწერალთათვის გადაცემის თაობაზე არსებული დადგენილებისა, სასახლეში კარგ ხანს იყო სხვა ორგანიზაციები. როდესაც სასახლე ამ ორგანიზაციებისაგან გათავისუფლდა და ქვედა სართული მთლიანად კლუბს დაეთმო, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ორგანიზაცია—საქლიტფონდი—რომელიც მწერალთა კლუბს დააფინანსებდა, 1938 წლის 21 დეკემბრიდან მუშაობა დაიწყო საქლიტფონდის მწერალთა კლუბმა, რომელიც შეიქმნა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით[140].

კლუბი ხელს უწყობს მწერალთა კავშირის გამგეობას, პრეზიდიუმს, სამდივნოს და შემოქმედებით სექციებს ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვის, დაბეჭდილი პროდუქციის შეფასების, შემოქმედებითი დისკუსიების, მწერალთა ყრილობების, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გაერთიანებული სხდომების ანუ პლენუმების, შემოქმედებითი, საიუბილეო თუ სხვადასხვა საღამოების, ლექცია-მოხსენებების გამართვისა და მწერალთა დასვენების ორგანიზებაში.

ბევრი ამ ღონისძიებათაგანი მწერალთა კლუბში (მაჩაბლის 13) იმართებოდა.

---

139 ლბცსა, 8-1-29-24; 8-1-182-1; 8-1-182 — ფურც. 2-7; 8-1-183; 8-1-240-9.

140 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938, №№ 30.32.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს შექმნამდე მწერალთა კლუბი უძღვებოდა ხალხში ჩვენი მწერლობის გატანის, მკითხველებთან მწერლების შეხვედრის საპასუხისმგებლო საქმეს.

სხვადასხვა დროს კლუბის დირექტორად მუშაობდნენ: გრიგოლ ცეცხლაძე, (1931-დან) პლატონ კეშელავა (1939-მდე, მწერალთა სასახლის დირექტორობასთან შეთავსებით), ილია ხოშტარია (1940 იანვარი-25 ივლისი), შოთა შუბლაძე (1940-1941.12.7.), სიმონ წვერავა (1941-1947), ნიკოლოზ ჩაჩავა (1947 ივლისი-ნოემბერი 1951), თეიმურაზ ჯანგულაშვილი (1951-1958), მამია ასათიანი (1958-1963), გივი გოგიჩაიშვილი (1963-1968).

1968 წლიდან მწერალთა კლუბის დირექტორია პოეტი ლადო სულაბერიძე.

ბიბლიოთეკა

მწერალთა კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება მწერლებსა და მათი ოჯახის წევრებს.

ამ ბიბლიოთეკის შექმნაზე ფიქრი იმთავითვე დაიწყო მწერალთა კავშირმა.

უკვე 1921 წლის 13 ივლისს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ადგენს — დაევალოს პრეზიდიუმს შეუდგეს ზრუნვას წიგნთსაცავის შესაძენად.

1921 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სახალხო განათლების კომისარიატს ნაწილი პ. თუმანიშვილის ბიბლიოთეკისა (ბელეტრისტიკა), პრეზიდიუმის თხოვნით, დაუთმია მწერალთა კავშირისათვის. საბჭომ დაავალა პრეზიდიუმს ჩაებარებინა წიგნები და გადმოეტანა ხელოვანთა სასახლეში. ბიბლიოთეკის გამგეობა დაევალა და ამისთვის ჯამაგირიც დაენიშნა საბჭოს მდივანს ნიკ. წულუკიძეს.

საქართველოს მწერალთა მესამე კონფერენციის (1921.9-12.10.) რეზოლუციაში გათვალისწინებული იყო ხელოვანთა სასახლეში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობა.

1921 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე საბჭომ ბიბლიოთეკა ჩააბარა საბჭოს ახალ მდივანს მიხ. ბოჭორიშვილს.

გაზ. „კომუნისტის“ ცნობით (1922, № 82) ხელოვანთა სასახლის ბიბლიოთეკის შესავსებად, თანახმად განათლების კომისრის მანდატისა, ტიციან ტაბიძემ და ვახტანგ კოტეტიშვილმა პროფ. ი. ვერ-

ხოვსკის ბიბლიოთეკის ფონდში შეარჩიეს ბელეტრისტიკა (2.000-მდე ტომი).

1922 წელს ჟურნ. „ლომისში“ ქვეყნდება განცხადება: „ხელოვნების მოღვაწეთა კომიტეტის ბიბლიოთეკა. ხსენებული კომიტეტი შეუდგა ბიბლიოთეკის მოწყობას ხელოვანთა სასახლეში“.

1926 წელს იოსებ გრიშაშვილი განცხადებით მიმართავს მწერალთა კავშირს — კავშირისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკის შექმნაო. ამ დროს სწორედ იგი მეურვეობს მწერალთა ბიბლიოთეკას. მას საბჭო ირჩევს (1926.29.3.) საბიბლიოთეკო კომისიაში, ხოლო 1927 წლის 7 ოქტომბერს პრეზიდიუმი ამტკიცებს ბიბლიოთეკის გამგედ.

ჟურნ. „ქართული მწერლობა“ 1928 წელს იუწყებოდა, მწერალთა ფედერაციამ ხელოვანთა სასახლეში სამკითხველო-ბიბლიოთეკა მოაწყოო.

1931 წლის 14 ოქტომბერს ფედერაციის სამდივნომ ბიბლიოთეკის გამგედ დაამტკიცა თამარ ყიფიანი. ამავე ხანებში ერთხანს ბიბლიოთეკის გამგედ იყო ბაბილინა ხოსიტაშვილი-კურდღელაშვილი[441].

როდესაც კლუბისათვის გათავისუფლდა მწერალთა სასახლის ქვედა ნაწილი, ბიბლიოთეკასაც მეტი ადგილი მიეცა: ბიბლიოთეკის სამკითხველო მოეწყო სასახლის ქვედა სართულის ერთ-ერთ ყველაზე კარგ და დიდ დარბაზში (ყოფილი სასადილო ოთახი, სასახლის მშვენიერი მყუდრო ბაღის მხარეს), რომლის გვერდზე არსებული სათავსი გადაეცა ბიბლიოთეკას წიგნთსაცავისათვის. შემდგომში ამავე მიზნისათვის გადაეცა დიდი სათავსი სარდაფის სართულში, სამკითხველო დარბაზის ქვეშ.

1935 წლის სექტემბრიდან ბიბლიოთეკის გამგე იყო გუია ბერულავა. 1960 წლიდან გამგეა რევაზ კვერენჩხილაძე.

1937 წლის 21 დეკემბრიდან ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფად ათეული წლების მანძილზე მუშაობდა თამარ ფოფხაძე[442].

მრავალი ათეული წელია მუშაობს ჯერ ბიბლიოთეკარად, შემდეგ სამკითხველო დარბაზის გამგედ — ბიბლიოგრაფად დოდო ჩიკვაიძე, ბიბლიოთეკარად — ლაურა დათიაშვილი.

---

441 ლხცსა, 8-1-9-16. 8-1-9 — ფურც. 19-20. 8-1-10-5. 8-1-86-3. 8-1-107-41. 8-239—10. 8-1-228-13. „ლომისი“, 1922, № 6-7. „ქართული მწერლობა“, 1928, № 5.

442 საქართველოს მწერალთა კავშირის ბრძანებათა წიგნი № 1, 1936-1941 წ. წ.

გარდა საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდისა ქართულ და რუსულ ენებზე, ბიბლიოთეკაში დაცულია საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთები: „ლომისი (1922-23) და მისი გაგრძელებანი „ხომლი“ (1923), „ივერია“ (1923) და „ქართული სიტყვა“ (1923-24), აგრეთვე „პოეზიის დღე“ (1922, 1923, 1924, 1927), „ლიტერატურული საქართველო“ (დაარსებიდან) და ჟურნალები: „ლომისი“ (1922), „კავკასიონი“ (1924), „ახალი კავკასიონი“ (1925), „ქართული მწერლობა“ (1926-1930), „პროლეტარული მწერლობა“ (1923-1932), „ახალგაზრდა მწერალი“ (1934-1935), „ჩვენი თაობა“ (1935-1941). დაარსებიდან ინახება: „მნათობი“ (1924), „ცისკარი“ (1957), „ლიტერატურნაია გრუზია“ (1957), „ჭოროხი“ (1958), „ცისარტყელა (1968-1977), „ხომლი“ (1968-1973), „საუნჯე“ (1974), „კრიტიკა“ (1972), „განთიადი“ (1975), „დროშა“, „პიონერი“, „დილა“, „საქართველოს ქალი“.

გარდა ჩვეულებრივი კატალოგებისა, ბიბლიოთეკას აქვს მწერალთა პერსონალური კატალოგი, რომელშიც აღნუსხულია სად და როდის დაიბეჭდა ამა თუ იმ მწერლის ცალკეული ნაწარმოებები (ლექსი, მოთხრობა და ა. შ.) და წიგნები.

ბევრი მწერლისათვის ბიბლიოთეკა საჭირო წიგნისა და ცნობების მიღების ადგილთან ერთად დასვენების თბილ კერასაც წარმოადგენს.

საქლიტფონდის მწერალთა პოლიკლინიკა

1956 წლის 8 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მოითხოვა მას გადასცემოდა № 14 ამბულატორია[443]. რომელიც თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ მწერალთა სასახლეში გახსნა 1934 წლის 25 დეკემბერს (ამ დახურული ტიპის ამბულატორიაში მუშაობდნენ ექიმები გიორგი თევდორაძე—გამგე, ალ. გაჩეჩილაძე, თ. მაღაქიანი). ეს ამბულატორია ემსახურებოდა მწერლებს და რამდენადმე მწერალთა კავშირისა იყო, ვინაიდან ყოველგვარ კომუნალურ ხარჯებს მწერალთა კავშირი ფარავდა. ამასთან, 1953 წლიდან, საქლიტფონდი იხდიდა ჰონორარს სხვადასხვა სპეციალისტთა კონსულტაციისათვის. ქალაქის ჯანდაცვის განყოფილება იძლეოდა ჯამაგირს, მედიკამენ-

---

[443] ლიცსა 8-1-1804-12.

ტებისა და სახვევი მასალის შესაძენ თანხას, სულ 6900 მანეთს (1956 წლის კურსით).

1955 წელს ამბულატორია 10.880-ჯერ მოემსახურა მწერლებს

როგორც ვთქვით, 1953 წლიდან ამბულატორიას ჰქონდა სახსრები სსრკ ლიტფონდიდანაც ექიმთა, პროფესორ-კონსულტანტთა ჰონორარისათვის. შემდეგ საკავშირო ლიტფონდმა უარი თქვა სახსრების გამოყოფაზე, ვინაიდან ამბულატორია არ იყო ლიტფონდის საქვეუწყებო ორგანიზაცია. ამავე დროს არც თბილჯანგანი ჰყოფდა თანხებს სპეციალისტებისათვის.

1956 წლისათვის სულ ამ ამბულატორიაში იყო თერაპიული, სტომატოლოგიური და ფიზიოკაბინეტები. ყველა კაბინეტი მწერალთა კავშირის მიერ იყო მოწყობილი.

ჯანმრთელობის მინისტრის ბრძანებით, 1956 წელს, ამბულატორიას აუქმებდნენ. ამიტომ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: 1. ამბულატორია გადაეცეს საქლიტფონდს და ეთხოვოს სსრკ ლიტფონდის გამგეობას — დაამტკიცოს ეს დადგენილება.

2. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან მწერალთა კავშირისათვის ამბულატორიის გადაცემის თაობაზე შემდეგი შემადგენლობით: გამგე, თერაპევტი, ფიზიო-თერაპევტი, სტომატოლოგი, უბნის მედდა, ფიზიო მედდა, სანიტარი, (თითო-თითო შტატი) და ბუღალტერისა და მნეს ნახევარ-ნახევარი შტატი.

ეს ასეც მოხდა და 1956 წლიდან საქლიტფონდის მწერალთა პოლიკლინიკა ემსახურება მწერლებს (აგრეთვე კომპოზიტორებს, კინემატოგრაფისტებს).

1974 წლის ზაფხულში პოლიკლინიკა მწერალთა სასახლიდან (მაჩაბლის 13) გადავიდა ახალ ბინაზე — ტაშკენტის ქ. 27-ში.

მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის დაცვის ეს კერა საქლიტფონდს გადაეცა, იგი თანდათან სრულყოფილი ხდებოდა.

ათეული წლები ემსახურებიან მწერალთა ჯანმრთელობას თერაპევტები: ნათელა ცხომელიძე (მთავარი ექიმი 1954 წლიდან), ციცო ალხაზიშვილი (მწერალ ლევან გოთუას მეუღლე) და თამარ რეხვიაშვილი, სტომატოლოგი ბენო მიქატაძე, ყელ-ყურის ექიმი ნოდარ გვეტაძე (მწერალ რაჟდენ გვეტაძის ვაჟი), ქირურგი-გინეკოლოგი ნინო ჩიხრაძე, ენდოკრინოლოგი ნინო ჯოჯუა (მწერალ არჩილ ჩაჩიბაიას მეუღლე), რენტგენოლოგი დოცენტი ბაბე მთვარაძე, თვალის ექიმი სტელა ჭილაია, ლაბორატორიის გამგე რუსუდან ღლონტი, უფროსი მედდა ნინო წერეთელი, ლაბორანტი ტატა აბულაძე, სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი ერნა ავეტისოვა...

პოლიკლინიკას კონსულტაციას უწევდნენ და უწევენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები როგორებიც არიან პროფესორები ირაკლი ჭუმბურიძე, გიორგი ხუნდაძე (ქირურგი), ნიკოლოზ იზაშვილი (ურولოგი, კონსულტაციას უწევს როგორც ადგილზე, ასევე ინსტიტუტის ბაზაზე სტაციონარით), თენგიზ ახმეტელი (ქირურგი), დოცენტი მაყვალა დოდაშვილი (თერაპევტი), კარდიოლოგი ნინო ცხომელიძე-ყიფიანისა, ნათელა თავბერიძე-მანჯგალაძისა (ყელ-ყური და ცხვირი), ლიდა შარაშიძე (პედიატრი).

პოლიკლინიკას აქვს ფიზიოთერაპიული კაბინეტი და კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური ლაბორატორია.

მწერალთა შემოქმედებითი სახლი „ქვიშხეთი"

1923 წელს საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ხელოვანთა კომიტეტს გადაეცა დიმიტრი ყიფიანისეული სახლი ქვიშხეთში[444].

1924 წელს გაზეთ „ქართულ სიტყვაში" (№ 27) მოთავსებული იყო ხელოვანთა მთავარი კომიტეტის განცხადება სოფ. ქვიშხეთში მწერალთა კავშირის სახლში სააგარაკოდ წასვლის თაობაზე. განცხადების მიხედვით, ამ სახლში ერთდროულად თავსდებოდა ათი კაცი, სააგარაკოდ წასვლა შეეძლოთ მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრებს პერსონალურად.

ეს განცხადება გამოქვეყნდა მაისში, ოფიციალურად კი დიმიტრი ყიფიანისეული სახლი, საქართველოს მწერალთა კავშირს, ცოტა მოგვიანებით, 1924 წლის 24 დეკემბერს, გადაეცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით (ოქმი № 42)[445].

1926 წელს სახლი ჩაიბარა ახლად შექმნილმა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა და სააგარაკოდ გააქირავა[446].

ქვიშხეთის დასასვენებელ სახლს შეეხო თავის თანამოხსენებაში პაოლო იაშვილი სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობაზე 1928 წელს[447].

ბუნებრივია, სახლი გადავიდა ამ ყრილობაზე შექმნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გამგებლობაში. სწო-

---

[444] ფაზ. „ქართული სიტყვა", 1924, № 27.

[445] ლხცსა, 8-1-9 — ფურც. 2-5.

[446] ლხცსა, 8-1-87.

[447] ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1928. № 4.

რედ ამის თაობაზე წერდა ჟურნალი „ქართული მწერლობა“ (1928, № 5): „მწერალთა ფედერაციამ ქვიშხეთში ჩაიბარა დიმიტრი ყიფიანისეული სახლი, სადაც ზაფხულობით დასასვენებლად გაემგზავრებიან მწერლები“.

ცოტა მოგვიანებით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნის შემდეგ, სახლს უფრო სრულყოფილი დასასვენებელი სახლის იერი მიეცა: „ქვიშხეთის მწერალთა სახლი პრეზიდიუმის დადგენილებით გადაკეთებულ იქნა მწერალთა დასასვენებელ სახლად პანსიონატით“[448]. ეს მოვლენა „სალიტერატურო გაზეთში“ აღინიშნა (1933, № 21) ლევან ასათიანის წერილით.

დროთა განმავლობაში შემოქმედებით სახლს ბევრი რამ შეემატა: 1958 წელს აშენდა 2 ფინური სახლი, 1966 წელს — მწერალთა კორპუსი, 1972 წელს — კიდევ 2 ფინური სახლი და ამჟამად საქლიტფონდის მწერალთა შემოქმედებითი სახლი „ქვიშხეთი“, გარდა ძირითადი ყიფიანისეული სახლისა (30-მდე ოთახი), შედგება ე. წ. მწერალთა კორპუსისაგან (7 ოთხადგილიანი და ერთი ერთადგილიანი ოთახი), 4 კოტეჯისა (თითოეულში ერთი სამადგილიანი, ერთი ორადგილიანი და ერთი ერთადგილიანი ოთახი) და ხის შენობის ნაცვლად აგებული სასადილო კორპუსისაგან. კეთილმოწყობილი გახდა ეზოც.

სახლი იქცა მწერალთა შემოქმედებით სახლად.

აქ წლითი-წლობით ისვენებდნენ და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, ალექსანდრე აბაშელი, რაჟდენ გვეტაძე, ლევან ასათიანი, დემნა შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სიმონ ხუნდაძე, გიორგი ქუჩიშვილი, კოლაუ ნადირაძე, ვოვა მაჭავარიანი, ვიქტორ გაბესკირია, ვახტანგ ჭელიძე, დავით გაჩეჩილაძე, ნიკა აგიაშვილი, ალეკო შენგელია, ოტია პაჭკორია და სხვები.

ბევრი თვე გაუტარებიათ აქ სსრკ სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს, საქ სსრ სახალხო არტისტს გიორგი გეგეჭკორს, მოქანდაკე შოთა მიქატაძეს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს, პროფესორ ელენე ვირსალაძეს, პროფესორ მაგალი თოდუას, ექიმ დავით ბიბილეიშვილს...

სახლი შემოქმედებითია, მაგრამ იმის გამო, რომ ქვიშხეთი ძირითადად ბავშვთა საგარაკო ადგილია, სახლიც უფრო და უფრო მწერალთა და მწერალთა კავშირის თანამშრომელთა ბავშვების, შვილებისა და შვილიშვილების საყვარელ დასასვენებელ ადგილადაც იქცა.

---

[448] „სალიტერატურო გაზეთი“, 1933. № 10.

სხვადასხვა დროს, ქვიშხეთის მწერალთა შემოქმედებითი სახლის დირექტორებად მუშაობდნენ: ბონდო კეშელავა (1946-1950), შაქრო ღონღაძე, გაბელია, კუკური ხოფერია, (1953.12.2-მდე), გრიგოლ ცეცხლაძე (1953.12.2-დან), ალეკო სანადირაძე, გივი გოგიჩაიშვილი (1962-მდე), ვახტანგ გორგანელი (1962-1965), აკაკი ხვიჩია (1965-1973), ვანო ურჯუმელაშვილი (1973-74).

1975 წლიდან შემოქმედებითი სახლის დირექტორია სოფ. ქვიშხეთის მკვიდრი ოთარ ლომიძე.

ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქვიშხეთის მწერალთა შემოქმედებით სახლში ცხოვრობდა და მის დიასახლისად მუშაობდა, მწერლებს, მათი ოჯახის წევრებს მასპინძლობას უწევდა და ერთგულად ემსახურებოდა ანეტა ყაზიშვილი (გარდაიცვალა 1976 წელს).

მწერალთა შემოქმედებითი სახლი გაბრაში

ეს შემოქმედებითი სახლი საქართველოს მწერალთა კავშირს გადმოეცა 1978 წლის 1-ლი იანვრიდან. მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. 3 კორპუსში ერთდროულად თავსდება 170 კაცი. დირექტორია იქაური მკვიდრი ნიკოლოზ ნანეიშვილი.

*
* *

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებობს: ა) მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგია, ბ) მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო.

მხატვრული ლიტერატურის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია

კოლეგია მუშაობას შეუდგა 1974 წლის იანვრიდან. მისი თავმჯდომარეა ოთარ ნოდია.

კოლეგია ხელმძღვანელობს ქართულ ენაზე და ქართულიდან სხვა ენებზე მხატვრული ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემას.

შექმნის დღიდან კოლეგიამ ქართულსა და უცხო ენებზე მოამზადა და გამოსცა მრავალი მნიშვნელოვანი წიგნი.

კოლეგიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს რესპუბლიკის გამომცემლობებთან, იგი აწარმოებს მხატვრული თარგმნის კოორდინაციას, სააპრობაციოდ გამოგზავნილი თარგმანისა და სათარგმნი წიგნის რეცენზირებას, რესპუბლიკის გამომცემლობებისათვის ადგენს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის ანოტირებულ სარეკომენდაციო სიებს, ხოლო მოძმე რესპუბლიკებისათვის — ქართული ლიტერატურის ანოტირებულ სარეკომენდაციო სიას.

კოლეგიის ლიტერატურულ ურთიერთობათა პწკარედის ჯგუფი ქმნის პწკარედებს.

ინფორმაციის რედაქცია აწარმოებს ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ინფორმაციულ მიმოხილვას, თემატურ მიმოხილვებს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურათა შესახებ, ადგენს ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს.

კოლეგია ხელს უწყობს ახალგაზრდა მთარგმნელთა დაოსტატებას.

მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან შექმნილია მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შედიან მწერლები, მთარგმნელები, დაინტერესებული უწყებებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

კოლეგიას აქვს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურულ ურთიერთობათა თბილისის სახლი და ივანე მაჩაბლის სახელობის მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლი (სოფ. თამარაშენში).

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურო

ბიურო შეიქმნა 1975 წელს (არსებობდა ადრეც, მაგალითად, 1951 წელს, თავმჯდომარე იყო ალექსი გომიაშვილი, იხ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის ოქმები 1951. 13. 2 და 27.3).

ბიურო ეწევა ქართული მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდას, აწყობს მწერალთა შეხვედრას მკითხველებთან საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო ნაწილებში.

ბიურო მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე. მისი პირველი დირექტორი იყო ვახტანგ გორგანელი (1975-1977). 1977 წლიდან დირექტორია მედეა კახიძე.

მწერალთა კავშირის ორგანიზაციული აგებულება და სტრუქტურა

ორგანიზაციული აგებულება.

საქართველოს მწერალთა კავშირის უმაღლესი ორგანოა მწერალთა ყრილობა, ყრილობებს შორის კი — გამგეობა, რომელსაც ფარული კენჭისყრით ირჩევენ ყრილობაზე და რომლის სხდომებიც (პლენუმები) იმართება ყრილობიდან ყრილობამდე.

მწერალთა ყრილობაზევე ირჩევენ სარევიზიო კომისიას.

გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს გამგეობის პრეზიდიუმსა და სამდივნოს.

სამდივნო თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებს გამგეობას, ხოლო გამგეობა — საქართველოს მწერალთა ყრილობას.

მწერალთა კავშირის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოები თავის მუშაობაში ეყრდნობიან ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, ჟურნალებისა და გაზეთის სარედაქციო კოლეგიებს, მწერალთა კავშირის შემოქმედებით სექციებს, კომისიებსა და საბჭოებს.

გამგეობა — ყრილობიდან ყრილობამდე, პრეზიდიუმი და სამდივნო — გამგეობის პლენუმებს შორის ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირის იდეურ-შემოქმედებით და ორგანიზაციულ მუშაობას, ბეჭდვით ორგანოებს, საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

მწერალთა კავშირის სამდივნოსა და პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ შემოქმედებითი სექციების, მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანოების, მწერალთა კავშირის განყოფილებებისა და ორგანიზაციების გეგმებს და წარმართავენ მათ მუშაობას;

სამდივნო და პრეზიდიუმი განიხილავს მწერლობასთან, შემოქმედებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს როგორიცაა შემოქმედებითი მივლინებები, სხვადასხვა თათბირების, კონფერენციებისა და დისკუსიების მოწყობა, შემოქმედების, საიუბილეო თუ ლიტე-

რატურული საღამოების გამართვა, ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობა, ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებების თუ სხვადასხვა ანთოლოგიებისა და კრებულების შედგენა-გამოცემა, მწერლებს შორის, მწერლებსა და საზოგადოებას შორის წამოჭრილი დავა, ლიტერატურული ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.

მწერალთა კავშირის სამდივნო და პრეზიდიუმი ზრუნავს მწერალთა დაჯილდოების, მათთვის პენსიების დანიშვნისათვის, გარდაცვლილ მწერალთა უკვდავყოფისათვის.

სამდივნო და პრეზიდიუმი მიმოწერას აწარმოებს საკავშირო და მოძმე რესპუბლიკათა, აგრეთვე, სოციალისტური ქვეყნების მწერალთა კავშირებთან და საზღვარგარეთის მწერალთა ორგანიზაციებთან, მწერლებთან, გამომცემლობებთან სხვადასხვა შემოქმედებითს, საგამომცემლო, საიუბილეო თუ სხვა საკითხებზე.

თავის მუშაობას სამდივნო აწარმოებს მწერალთა კავშირის აპარატის (ლიტერატურული კონსულტანტები, საქმეთა მმართველობა, უცხოეთის კომისია და სხვა) მეშვეობით.

წლების განმავლობაში მწერალთა კავშირში სანიმუშო ლიტერატურულ კონსულტანტობას სწევდნენ მწერლები ალექსანდრე აბაშელი, შალვა აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, მარიჯანი, მიხეილ მრევლიშვილი, ბესო ჟღენტი, ლეო ქიაჩელი, გიორგი შატბერაშვილი, ლავროსი კალანდაძე, დემნა შენგელაია, კონსტანტინე ჭიჭინაძე.

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მწერალთა კავშირის რთულ და საპასუხისმგებლო საქმეთა მმართველობას წარმატებით უძღვებოდა მწერალი და მთარგმნელი იროდიონ ქავჟარაძე.

მის მხარდამხარ მრავალი ათეული წელი იშრომა მწერალთა კავშირის აპარატში მდივან-მემანქანემ ნადეჟდა გოგიჩაძემ, რომელიც საქმის ცოდნისა და ოსტატობის გამო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მწერლებს შორის.

ასევე მწერალთა კავშირს შესწირა მთელი სიცოცხლე არქივარიუსმა ნინო კლდიაშვილმა.

ათეული წლების მანძილზე თავდადებით ემსახურებოდნენ მწერალთა სასახლეს დამლაგებელი ანიკო ჯინჭარაძე, მორიგეები რიფსიმე ცატუროვა-წულუკიძისა, მისაკ აკოფოვი.

სტრუქტურა

წარსულში მწერალთა კავშირის სტუქტურა ასეთი იყო: საქართველოს მწერალთა მესამე კონფერენციამ (1921) შექმნა სამეურნეო საბჭო.

მეხუთე კონფერენციამ (1923) გამოჰყო სარედაქციო, საფინანსო და სალიტერატურო საღამოების მომწყობი კომისიები.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა ყრილობამ (1926) შექმნა შემდეგი სექციები: საფინანსო-სამეურნეო, უცხო ლიტერატურის, საბიბლიოთეკო, აგრეთვე, ქართული სიტყვის ინსტიტუტი, და ჟურნალის სარედაქციო კოლეგია.

1930 წელს მე-4 პლენუმმა შექმნა მასობრივი, საკონსულტაციო, მწერალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების სექციები და მეთოდურ-შემოქმედებითი მუშაობის სექტორი.

1932 წელს იყო 5 სექტორი: მასობრივი, საორგანიზაციო, ყოფაცხოვრების, საგამომცემლო და ფინანსურ-სამეურნეო.

1932 წლის ივნისის ,ყრილობის შემდეგ მალე შეიქმნა დამწყებ მწერალთა საკონსულტაციო კაბინეტი.

1933 წელს შეიქმნა დრამატურგია და საბავშვო ლიტერატურის სექციები და სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისია.

1934 წელს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა (5.4) გააუქმა სამდივნო და მოაწყო: ა) სექტორები — შემოქმედებითი დისკუსიებისა და მასობრივი მუშაობის; ახალ კადრებთან მუშაობის „სალიტერატურო-საკონსულტაციო; — ლიტფონდისა და საგამომცემლო მუშაობის ბ) სექციები — 1933 წელს შექმნილ დრამატურგთა და საბავშვო ლიტერატურის სექციებს დაუმატა ეროვნულ-უმცირესობათა ლიტერატურებისა და სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის სექციები.

ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირში არსებობს შემდეგი შემოქმედებითი სექციები, კომისიები და საბჭოები:

პოეტების სექცია — შეიქმნა 1936 წელს. პირველი თავმჯდომარე იყო პაოლო იაშვილი. სხვადასხვა დროს ამ სექციას ხელმძღვანელობდნენ: სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მირცხულავა, ალექსი გომიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ მარგიანი, ტარიელ ჭანტურია.

პროზაიკოსთა სექცია — შეიქმნა 1936 წელს პირველი თავმჯდომარე იყო მიხეილ ჯავახიშვილი.

სხვადასხვა დროს ამ სექციას ხელმძღვანელობდნენ: ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ედიშერ ყიფიანი, ლადო მრელაშვილი, არჩილ სულაკაური, ლადო ავალიანი.

დრამატურგთა სექცია — შეიქმნა 1933 წლის 9 ივნისს დრამკომის რეორგანიზაციის შემდეგ, პირველი თავმჯდომარე იყო პეტრე სამსონიძე.

სხვადასხვა დროს ამ სექციას ხელმძღვანელობდნენ: შალვა დადიანი, ბესო ყღენტი, სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, იონა ვაკელი, მიხეილ მრევლიშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ვალერიან კანდელაკი, აკაკი გეწაძე, ოთარ მამფორია.

საბავშვო ლიტერატურის სექცია — შეიქმნა 1933 წელს. პირველი თავმჯდომარე იყო მალაქია ტოროშელიძე.

სხვადასხვა დროს ამ სექციას ხელმძღვანელობდნენ: ნინო ნაკაშიძე, ერემია ქარელიშვილი, გიორგი კაკახიძე, გიორგი შატბერაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, იოსებ გრიშაშვილი, მარიჯანი, ხუტა ბერულავა.

კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექცია — შეიქმნა 1934 წელს. პირველი თავმჯდომარე იყო ბენიტო ბუაჩიძე[449].

სხვადასხვა დროს სექციას ხელმძღვანელობდნენ: შალვა რადიანი, ერემია ქარელიშვილი, გიორგი ნატროშვილი, ბესო ყღენტი, (1951—1976), გიორგი მერკვილაძე, გურამ გვერდწითელი.

მთარგმნელთა სექცია — შეიქმნა 1934 წელს[450]. პირველი თავმჯდომარე იყო ვალერიან გაფრინდაშვილი.

სხვადასხვა დროს სექციას ხელმძღვანელობდნენ: დემნა შენ-

---

[449] ლხცსა, 8-1-435-1.

[450] თუმცა, გაზ. „კომუნისტის" ცნობით (1928.3.12), მთარგმნელთა სექცია, შექმნილია 1928 წელსაც.

ბელაია, შალვა აფხაიძე, გივი გაჩეჩილაძე, ნიკა აგიაშვილი, თამაზ ჩხენკელი.

ჩამოთვლილი სექციები შექმნილია ჟანრების მიხედვით და შიგ გაერთიანებული არიან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ქართველი მწერლები.

საქართველოს მწერალთა კავშირის თბილისის ორგანიზაციაში შედიან აქ მცხოვრები და მომუშავე სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი მწერლები.

ახალი ნაწარმოების კითხვა-განხილვების მოსაწყობად, შემოქმედების პროფესიული საკითხების გასარკვევ-გასაშუქებლად, მათთვისაც შეიქმნა შემოქმედებითი სექციები. მაგრამ ეს არაა ჟანრობრივი სექციები. ისინი ხელმძღვანელობენ საქართველოში მცხოვრები სომეხი და რუსი მწერლების ლიტერატურულ მუშაობას მთლიანად.

სომეხ მწერალთა სექცია — სხვადასხვა დროს სექციას ხელმძღვანელობდნენ: ვართან ატრიანი, ბენიკ სეირანიანი, მარტინ ქარამიანი,

ომამდე 3 თვეში ერთჯერ გამოდიოდა ჟურნალი „არშავი“ („იერიში“)

1947 წლიდან წელიწადში ერთჯერ გამოდის ალმანახი „კამურჯი“ („ხიდი“), რომელშიც იბეჭდება თბილისში მცხოვრებ და მომუშავე სომეხ მწერალთა ნაწარმოებები და სომხურად თარგმნილი ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

რუს მწერალთა სექცია — შეიქმნა 1955 წელს[451]. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გრებენშჩიკოვი (1932), ვლადიმერ ელსნერი, ვლადიმერ ტატიშვილი, ემანუილ ფეიგინი, მიხეილ ზავერინი, მიხეილ ლოხვიცკი.

პუბლიცისტიკის სექცია — შეიქმნა 1978 წელს. თავმჯდომარეები — ვლადიმერ მაჭავარიანი, ილია რურუა.

ბ) კომისიები

სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისია — შეიქმნა 1933 წელს. პირველი ხელმძღვანელი იყო კალე ბობოხიძე.

სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ივანე შაიშმელაშვილი,

---

[451] 1926 წელს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შეიქმნა რუს მწერალთა სექცია. გაზ. „კომუნისტის“ ცნობით (1932. 10. 10) რუს მწერალთა სექცია შექმნილა 1932 წელსაც.

სიმონ წვერავა, არჩილ ჩაჩიბაია, ილო მოსაშვილი, ალექსი გომიაშვილი, თინა დონეაშვილი, ელიზბარ მაისურაძე.

კინოკომისია — შეიქმნა 1949 წელს (მანამდე, 1947-49 წ. წ. იყო კინოდრამატურგთა სექცია გრიგოლ აბაშიძის თავმჯდომარეობით).

კინოკომისიას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აკაკი ბელიაშვილი, მარიკა ბარათაშვილი.

ახალ წევრთა მიმღები კომისია — სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, რეზო ჯაფარიძე, გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი.

უცხოეთთან ურთიერთობის კომისია — შეიქმნა 1955 წელს, მწერალთა კავშირის მდივნებიდან ამ კომისიას მეურვეობდნენ იოსებ ნონეშვილი, გიორგი ეორეოლიანი, რომან მიმინოშვილი.

კომისიის განკარგულებაშია მწერალთა კავშირის აპარატში არსებული უცხოეთის განყოფილება.

ბ) საბჭოები

აფხაზური ლიტერატურის საბჭო — შეიქმნა 1972 წელს[452]. პირველი თავმჯდომარე — კარლო კალაძე. შემდეგ გურამ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე.

ოსური ლიტერატურის საბჭო — შეიქმნა 1972 წელს[453]. პირველი თავმჯდომარე—ნოდარ გურეშიძე, შემდეგ ჯანსუღ ჩარკვიანი.

*
* *

წლების მანძილზე არსებობდა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია.

ჯერ კიდევ 1932 წელს შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა საკონსულტაციო კაბინეტი (გამგე — ლეო ქიაჩელი, კონსულტანტები: პროზაში — დემნა შენგელაია, პოეზიაში—ფრიდონ ნაროუშვილი).

ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, მორის ფოცხიშვილი.

---

[452] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1972, № 21

[453] იქვე.

1977 წ. შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება, რომლის თავმჯდომარე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ჯანსუღ ჩარკვიანი.

საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობის (1981) შემდეგ ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობას კოორდინირებას უწევს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი შოთა ნიშნიანიძე.

*
* *

სექციები სისტემატურად აწარმოებენ დაუბეჭდავი ნაწარმოებების კითხვა-განხილვას (უმეტესად პროფესიულ-ლაბორატორიული სამუშაო სხდომები) და ახლად დაბეჭდილი მხატვრული მასალების შერჩევას სხვადასხვა კრებულებისა და ანთოლოგიებისათვის. რეკომენდაციას უწევენ მწერლებს მწერალთა კავშირში მისაღებად.

ასეთსავე შემოქმედებით პროფესიულ მუშაობას ატარებენ მწერალთა კავშირის კომისიები და საბჭოები[454].

*
* *

მწერალთა ოჯახი ცოცხლობს და იღვწის, მედგრად მიიწევს წინ, სიტყვასთან ჭიდილის, მშობლიური ენისა და სიტყვაკაზმული მწერლობის სამსახურის გზაზე ერთხელ დამდგარი.

მარადიული და უკვდავი ყოფილიყოს ეს ენა, წარმატებული მისი ლიტერატურა და მისი გზა!

---

[454] მასალები სექციების, კომისიებისა და საბჭოების მუშაობის შესახებ მრავლადაა პრესაში, განსაკუთრებით, გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში". აგრეთვე ლხცსა-ში (სექციების სხდომების ოქმები, სტენოგრამები).

ს ა რ ჩ ე ვ ი

1917 წლამდე . . 3
1917 და შემდეგი წლები 8
*** 30
ციისფერყანწელები . . 51
აკადემიური მწერლობის კავშირი (ასოციაცია) 57
საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია 63
ფუტურისტ-ლეფელები 96
*** 100
„არიფიონი“ 113
1932 131
საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები 375
საქართველოს მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოები და საქვეუწყებო ორგანიზაციები 386
მწერალთა კავშირის ორგანიზაციული აგებულება და სტრუქტურა 407

მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია
ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი
კორექტორები: ე. ჩიკაშუა, ნ. ლომაძე, ნ. ლოლაძე
გამომშვები გ. მინდიკაური

ს. ბ. — 2601

ჩაბარდა წარმოებას 15.07.82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.06.83 წ. უე 00386. ფორმატი 60 × 90¹/₁₆. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 26. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 21,25.
ტირაჟი 2500 ეგზ. შეკვეთა № 700.

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის 42,
თბილისი, 1983 წ.

Кверенчхиладзе Реваз Касьянович

Союз писателей Грузии
(на грузинском языке)
Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1983

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.